გახსენით ლინკი და მოიწონეთ გვერდი

https://www.facebook.com/eExistentialCrisisA1/

რაფაელო ჯიოვანოლი

სპარტაკი

რაფაელო ჯიოვანოლი 1
სპარტაკი 1
1. სულას გულუხვობა 2
2. სპარტაკი მოედანზე 12
3. სამიკიტნო „დამმარხველი ვენერა“ 25
4. რას აკეთებდა სპარტაკი გათავისუფლების შემდეგ 37
5. კატილინას სანადიმო ოთახი და ვალერიას კონკლავი 50
6. მუქარა, მახე, ხიფათი 62
7. სიკვდილი ასწრებს დემოფილს და მეტრობის 82
8. სულას სიკვდილის შედეგი 95
9. ლოთი რესპუბლიკის მსხნელად 115
10. ამბოხება 132
11. კაპუადან ვეზუვამდე 150
12. რაზმები ჯარად იქცევა 158
13 კაზილინუმის ბრძოლიდან აკვინუმის ბრძოლამდე 173
14. ლიქტორი სიმპლიციანუსი 188
15. სპარტაკი სასტიკად ამარცხებს მეორე პრეტორს და თავიდან იცილებს საშინელ განსაცდელს 215
16. ლომი ქალის ფეხქვეშ. დასჯილი ელჩი 234
17. არტორიქსი ტაკიმასხარაობს 249
18. კონსულები გამოდიან საომრად. კამერინუმის ბრძოლა. ენომაის სიკვდილი 269
19. ბრძოლა მუტინთან. არეულობა. მარკუს კრასუსი 287
20. მარგანუმის ბრძოლიდან კრიკსის დასაფლავებამდე 304
21. სპარტაკი ლუკანელებს შორის. სხვებზე მონადირე საკუთარ მახეში გაბმული 326
22. უკანასკნელი ომები. ბრადანუსთან დამარცხება. სიკვდილი 347
ეპილოგი 371

1. სულას გულუხვობა

ოთხი დღის წინ, 675 წლის 10 ნოემბერს რომის ქორონიკონით[1], პუბლიუს სერვილიუსისა და აპიუს კლავდიუს პულხერის კონსულობის[2] დროს, რომში რიჟრაჟზევე ბუზებივით ირეოდნენ ადამიანები და ოთხივე კუთხიდან მიეშურებონენ დიდი ცირკისკენ. ვიწრო და უსწორმასწორო, უბრალო მცხოვრებლებით დასახლებული ესკვილინიდან[3] და სუბურის ქუჩიდან მოდიოდა და მოდიოდა

ხალხი. გაბრწყინებულ სახეებზე, უზრუნველ ლაპარაკსა და ხუმრობაზე შეატყობდით, რომ მხიარულ სანახაობაზე მიიჩქაროდნენ.

ეს ზღვა ხალხი დიდ ქალაქს გაურკვეველი დრტვინვითა და მხიარული გუგუნით ავსებდა. იფიქრებდით, ქუჩებში სკები დაუდგამთ და ფუტკრები ზუზუნებენო. რომაელების კმაყოფილებით გაბრწყინებულ სახეებს ჩრდილს ოდნავადაც ვერ ჰფენდა ღრუბლიანი ცა, რომელსაც ჩადრივით გადაჰკვროდა შავი ღრუბელი, უფრო წვიმის ნიშანი, ვიდრე დარისა.

ლაციუმისა და ტუსკულუმის ბორცვებიდან მონაბერი ცივი ქარი სახეებს უსუსხავდათ. ზოგს წამოსასხამები წამოეფარებინა თავზე, ზოგს განიერფარფლებიანი ან ქეჩის მრგვალი ქუდები ეხურა. მამაკაცები ტოგებში[4] გახვეულიყვნენ, ქალები კი - გრძელსა და განიერ სტოლასა[5] და პალაში[6].

ცირკს, რომელიც ტარკვინიუს უფროსმა[7] ააშენა, რომის დაარსებიდან 138 წელს, ხოლო აპიოლის დაპყრობის შემდეგ გაამშვენიერა და განადიდა ლუციუს ტარკვინიუს ამაყმა[8], 533 წლიდან დიდს ეძახდნენ, რადგან იყო კიდევ ერთი, კვინტუს ფლამინიუსის აშენებული ცირკი, რომელსაც მისივე სახელი უწოდეს.

დიდი ცირკი აღმართული იყო მურციას ველზე, პალაციუმისა და ავეციუმის ბორცვებს შორის და მიუხედავად იმისა, რომ აქ აღწერილი ეპოქის დროს არ იყო ჯერ ისე გამშვენიერებული და გადიდებული, როგორც შემდეგ იულიუს კეისრისა და ოქტავიანე ავგუსტუსის[9] დროს, მაგრამ მაინც მშვენიერი იყო: სიგრძით ორი ათას ას ოთხმოცი ფუტი და სიგანით ცხრაას ოთხმოცდათვრამეტი ფუტი, რომელშიც ას ოცი ათას მაყურებელზე მეტი თავსდებოდა.

ცირკის შენობა თითქმის ოვალური ფორმისა იყო. დასავლეთით სწორხაზოვნად იყოფოდა, აღმოსავლეთით კი ნახევარმთვარისებურად გვირგვინდებოდა. დასავლეთ ნაწილში პოოდუმი - ცამეტთაღიანი შენობა იყო განთავსებული. შუა თაღი ერთ-ერთ მთავარ, სადღესასწაულო შესასვლელს წარმოადგენდა, საიდანაც მოედანზე პროცესია გამოდიოდა და ღმერთების გამოსახულებები მიჰქონდათ. ეს იყო სანახაობის დაწყების მაუწყებელი. დანარჩენ თორმეტ თაღქვეშ საჯინიბოები იყო. შიგ ეტლებსა და ცხენებს აყენებდნენ, როცა მოედანზე დოღი იმართებოდა ხოლმე; სისხლისმღვრელი შეტაკებების, რომაელთა საყვარელი სანახაობის დროს კი გლადიატორებსა და მძვინვარე მხეცებს ათავსებდნენ.

ოპიდუმიდან ამფითეატრივით ეშვებოდა საფეხურების გრძელი მწკრივები, რომლებიც ამავე დროს სკამების მაგივრობასაც სწევდნენ. მათ კიბეები ჰკვეთდა, რომლებითაც მაყურებლები თავთავიანთი ადგილებისკენ მიდიოდნენ. გვერდითი კიბეებით კი ხალხი ცირკის მრავალი გასასვლელისკენ მიდიოდა. ამფითეატრის ზემოთა რიგები თაღიანი გალერეით გვირგვინდებოდა, სადაც წარჩინებული მანდილოსნები სხდებოდნენ ხოლმე.

სადარბაზო შესასვლელის პირდაპირ სატრიუმფო ალაყაფის კარი იყო. აქედან შემოდიოდნენ გამარჯვებულები. ოპიდიუმის მარჯვნივ კი მიცვალებულთა ალაყაფის

კარი გადიოდა. ამ ავბედითი ჭიშკრიდან ცირკის მსახურებს კავებით გაჰქონდათ მოკლული და მომაკვდავი გლადიატორების დასახიჩრებული სხეულები.

ოპიდუმის მოედანზე საგანგებო სკამები იყო კონსულების, უმაღლესი თანამდებობის პირების, ვესტალებისა და სენატორებისთვის, დანარჩენი სკამები კი თავისუფალი იყო.

ოპიდუმსა და სატრიუმფო ალაყაფის კარს ხუთას ფუტზე დაბალი კედელი, ეგრეთ წოდებული, ქედი ჰკვეთდა. მისი დანიშნულება იყო მანძილის დაცვა დოღის დროს. მის ორივე ბოლოში რამდენიმე სანიშნო ბოძი იდგა. ქედის შუაგულში მზის ქანდაკება იყო აღმართული, მის ორივე მხარეს კი სამსხვერპლოები, კოლონადა, ანდრიანტები, მათ შორის, ცერერასა[10] და ვენერა მურციელის[11] ანდრიატებიც იდგა.

მოედანს თვრამეტი ფუტის სიმაღლის ზღუდე ჰქონდა შემოვლებული, რომელსაც წყლით სავსე, რკინის მოაჯირშემოვლებული თხრილი მიუყვებოდა. ის მაყურებელს მოედანზე გამოყვანილი გამძვინვარებული მხეცების თავდასხმისგან იცავდა. ასე გამოიყურებოდა 675 წელს სანახაობათა ეს უზარმაზარი შენობა, იმ ხალხის ღირსი, რომლის ძლევამოსილ შევარდნებს მთელი ქვეყნიერება შემოეფრინათ. აქეთკენ მოისწრაფოდა და ყოველ წუთს იზრდებოდა ხალხის ტალღა, არა მარტო მონები, პატრიციების[12] მხედრები და დიდგვაროვანი მანდილოსნებიც კი. ყველას უდარდელი სახე ჰქონდა, ისეთი, როგორიც მხიარული სანახაობის მომლოდინე ხალხს შეეფერებოდა. რა იზიდავდა დღეს ცირკში აუარებელ ხალხს?

- ლუციუს კორნელიუს სულამ[13] - იტალიის მპყრობელმა და რომის ზარდამცემმა, ამ რამდენიმე კვირის წინ გასცა ბრძანება, რომ სამ დღეს ზედიზედ რომაელებისათვის გაიმართებოდა სადილი და ცირკში სხვადასხვა სანახაობა. ამით უნდოდა მცირე ხნით მაინც გაექარვებინა ის საშინელი ტანჯვა, ორი წლის განმავლობაში რომ აყენებდა მისი სნეულება.

უკვე წინა ღამესვე მთელი რომის მონები იყვნენ გამოჭიმულნი მარსის[14] მინდორზე[15], მდინარე ტიბრის ნაპირას. დიქტატორის ბრძანებით მომზადებულ სუფრაზე ბრბო შუაღამემდე ქეიფობდა, ბოლოს ქეიფი ორგიით დამთავრდა.

გაიუს მარიუსის[16] ეს მედიდური და დაუძინებელი მტერი გულუხვად ურიგებდა ხალხს საჭმელსა და ღვინოს კვირიტების[17] პატივსაცემად გამართულ სეფებში. იქამდის მივიდა სულას ხელგაშლილობა, რომ ჰერკულესის თაყვანსაცემად გამართულ თამაშობებსა და დღესასწაულებს შესწირა ნაწილი თავისი ქონების მეათედი. აუარებელი ხორაგი იყრებოდა წყალში ყოველდღე და ორმოც წელიწადზე მეტხანს შენახული ღვინო იღვრებოდა.

ამგვარად, სულა რომაელებს მარცხენა ხელით უძღვნიდა იმ ქონების ნაწილს, რომელიც იმათვე გამოჰგლიჯა წამგლეჯი მარჯვენით. კვირიტებს ჭირივით ეჯავრებოდათ სასტიკი დიქტატორი, მაგრამ პირმოთნეობით იღებდნენ მის საჩუქარს - ამ სანახაობას.

მზე ამობრწყინდა. მისი ცხოველმყოფელი სხივები ოქროსფრად მოჰფენოდა მთის წვერებს, ტაძრებს, ბაზილიკებს[18], პატრიციების მარმარილოთი ნაგებ სასახლეებს და დიდი ცირკის ამფითეატრში თავმოყრილ ხალხს ათბობდა.

ასი ათასზე მეტი მოქალაქე შეკრებილიყო იქ გლადიატორებისა და მხეცების ბრძოლისა და სისხლისღვრის სანახავად, რაც ძალიან უყვარდათ რომაელებს. აქა-იქ საუკეთესო ადგილებიდან ლამაზად მოჩანდა მანდილოსნების, პატრიციების, მხედრების, ბანკირებისა და მდიდარი უცხოელების პატარ-პატარა ჯგუფები, რომლებიც იტალიისა და სხვა ქვეყნების კუთხეებიდან ჩამოსულიყვნენ ამ უკვდავ ქალაქში.

ამფითეატრში მდაბიოები შინიდან მოტანილ საჭმელს ჭამდნენ. მადიანად შეექცეოდნენ ლორს, მშრალად მოხარშულ ძროხის ხორცს, ჯიგრის ძეხვებს, ყველიანსა და თაფლის კვერებს და ორცხობილებს. ჭამდნენ და თან ხუმრობდნენ, ენამჭევრობდნენ. უდარდელად ლაყბობდნენ, იცინოდნენ და ველიტერნისა და ტუსკულუმის ღვინოს მიირთმევდნენ.

ყველგან გაცხოველებული ვაჭრობა გაჩაღებულიყო: მოხალული ცერცვისა და თაფლის კვერების გამყიდველები მუშტარს უბრალო ხალხში პოულობდნენ, რომელთაც სურდათ ამ იაფფასიანი ნუგბარით თავიანთი ცოლ-შვილი გაენებივრებინათ. კარგ გუნებაზე დამდგარი მუშტრები, ცხადია, შემდეგ სირაჯებსაც ეძახდნენ, რათა მოხალული ცერცვის ჭამით აღძრული წყურვილი მოეკლათ, და სვამდნენ პატარა ჭიქებში ჩასხმულ მჟავე ღვინოს, რომელსაც მიმტანები ურცხვად ასაღებდნენ ტუსკულუმის ღვინოდ.

მდიდრების, მხედრებისა და პატრიციების ოჯახებს თავი შორს ეჭირათ პლებეებისგან. გაცხოველებით, მხიარულად საუბრობდნენ. მდიდრულად მორთული მამაკაცები ნოხებით ჰფენდნენ ქვის საფეხურებს და გაშლილი ქოლგებით იცავდნენ მშვენიერ მანდილოსნებსა მზის მცხუნვარებისგან.

მესამე რიგში, სატრიუმფო ალაყაფის კარის სიახლოვეს იჯდა მშვენიერი მანდილოსანი,

მაღალი, კოხტად მოყვანილი ტანისა. პირველივე შეხედვით მიხვდებოდით, რომ იგი რომის ნამდვილი შვილი იყო. სწორნაკვთიანი პირისახე, მაღალი შუბლი, კოხტად მოყვანილი ცხვირი, კოპწია ტუჩები, რომლებსაც თითქოს მხურვალე კოცნა მოსწყურებოდა, და ცოცხალი, დიდი შავი თვალები - ყველაფერი ეს ერთად მომხიბლავს ხდიდა ქალს. რბილი და სქელი ხუჭუჭა შავი თმა მხრებზე გადაჰყროდა და შუბლზე დაკავებული ჰქონდა ძვირფასი თვლებით მოჭედილი დიადემით. ტანზე ეცვა თეთრი, წმინდა შალის ტუნიკა[19], ოქროს ფოჩებით შემოვლებული, რომელიც უცხოდ აჩენდა კეკლუცად მოყვანილ ტანს. ტუნიკას ზემოთ ლამაზი ნაკეცებით გადმოჰფენოდა წითელი არშიით მოყოლებული თეთრი პალა.

ეს ქალბატონი, სახელად ვალერია, ოცდაათი წლისაც არ იყო. ეს იყო ვალერიუს მესალას ქალი, კვინტუს ჰორტენზიუსის, გამოჩენილი ორატორის, ციცერონის მოქიშპის და.

დიდი ხანი არ იყო, რაც ამ ქალს ქმარი გაჰყროდა, ვითომცდა უშვილობის გამო. ნამდვილი მიზეზი კი ამ მანდილოსნის უკადრისი საქციელი იყო, რაზედაც მთელი რომი ლაპარაკობდა. ხალხის აზრით, ვალერია ქარაფშუტა ქალი იყო და ბევრს ჭორაობდნენ მის გარყვნილებაზე. ასე იყო თუ ისე, რადგან უშვილობის მიზეზით გაიყარა ცოლ-ქმარი, მაინც საკმარისად იყო დაცული მისი პატიოსნება.

ვალერიას გვერდით იჯდა ელვიუს მედულიუსი, მაღალი, გამხდარი, კარგად მოვლილი მამაკაცი ფერმკრთალი სახით. მას თმაზე მუშკის სურნელი ასდიოდა. ყველა თითზე ძვირფასთვლებიანი ოქროს ბეჭდები უბრწყინავდა. კისერზე ოქროს წმინდა ძეწკვი ჰქონდა შემოვლებული. ყოველივე ამასაგვირგვინებდა სპილოს ძვლის პატარა ჯოხი, რომელსაც მედულიუსი ხელში ათამაშებდა.

პატრიცის უძრავსა და უსიცოცხლო სახეს მოწყენილობისა და უხალისობის ბეჭედი ესვა. ჯერ მხოლოდ ოცდათხუთმეტი წლისა იყო და ყველაფერი მობეზრებოდა ამქვეყნად. იგი რომის პატრიციების იმ რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც, ცხოვრებისაგან განებივრებულები, დროს ტრიკლინიუმებში[20] ზეიმებში ატარებდნენ და პლებეებისთვის მიენდოთ ქვეყნიერებისა და ხალხების დაპყრობა, თვითონ კი თავიანთ მემკვიდრეობას ფუფუნებაში ფლანგავდნენ და მათ გამგებლობაში მყოფ პროვინციებს[21] ძარცვავდნენ.

მეორე მხარეს იჯდა მარკუს დეციუს ცედიციუსი, ასე ოცდაათი წლის, ჩაფსკვნილი და ტანდაბალი, მხიარული, ღაჟღაჟა სახის პატრიცი. იგი უმეტეს დროს სუფრასთან და ტრიკლინიუმში ატარებდა. ნახევარი დღე რჩეული საჭმელების გასინჯვას უნდებოდა, რომელსაც მთელ რომში განთქმული მისი მზარეულები ამზადებდნენ. დღის მეორე ნახევარს ვახშამზე ფიქრში ატარებდა და წინასწარ განიცდიდა იმ სიამეს, რაც ტრიკლინიუმში მოელოდა.

ასეა თუ ისე, მარკუს დეციუს ცედიუსი სადილობას რომ მორჩებოდა, უკვე ვახშამზე ოცნებობდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ შემოვიდა და ვალერიას გვერდით დაჯდა კვინტუს ჰორტენზიუსიც, რომელიც მთელ რომში განთქმული იყო თავისი მჭევრმეტყველებით. კვინტუს ჰორტენზიუსი ჯერ ოცდათექვსმეტი წლისაც არ იყო; ის უფრო თალხი ფერის ტანსაცმელს ხმარობდა, მაგრამ წამოსასხამის გულმოდგინებით და გემოვნებით დაწყობილი ნაკეცები ერთიორად მატებდა მას სილამაზესა და ღირსებას.

ნასწავლობისა და მჭევრმეტყველების გარდა, ჰორტენზიუსს გასაოცარი ნიჭი ჰქონდა. ამ ნიჭს ხელს უწყობდა ხმის მშვენიერი ტემბრი და მჭევრმეტყველებით ხომ ისე იყო შემკული, რომ გამოჩენილი ტრაგიკოსები - ესოპუსი და როსციუსი იძულებული იყვნენ, ფორუმზე[22] ევლოთ ჰორტენზიუსის სიტყვის მოსასმენად და შესასწავლად.

იქ, სადაც ვალერია და მასთან მოსაუბრეები ისხდნენ, იდგა თეთრ, მეწამულ არშიაშემოვლებულ ტოგებში გამოწყობილი ორი ყმაწვილი. მათ თან ახლდათ აღმზრდელი. ერთი ყმაწვილი თოთხმეტი წლისა თუ იქნებოდა, მეორე - თორმეტისა.

გამხდარ სახეზე, გამოკვეთილ ნაკვთებსა და გაშლილ შუბლზე შეატყობდით, რომ რომაელები უნდა

ყოფილიყვნენ. ესენი იყვნენ ცეპიონი და კატონი, პორციუსების გვარის შთამომავლები, მეორე პუნიკურ ომში[23] კართაგენის შეურიგებელი მტრის, კატონ ცენზორის (რომელიც მოითხოვდა, რადაც უნდა დასჯდომოდათ, დაენგრიათ კართაგენი) შვილიშვილები.

უმცროსი ძმა ცეპიონი უფრო მხიარული და მოლაპარაკე ჩანდა. იგი ხშირად მიუტრიალდებოდა ხოლმე თავის აღმზრდელს, სარპედონს, მაშინ, როცა ახალგაზრდა მარკუს პორციუს კატონი უხმოდ, მოღუშული და ამრეზილი, გაბრაზებული სახით იდგა, რაც სრულიადაც არ შეჰფეროდა მის წლოვანებას. იგი ადრიდანვე ამჟღავნებდა ნებისყოფასა და სიმტკიცეს. ამბობდნენ, ჯერ რვა წლისაც არ იყო, როცა ბიძამისის, დრუზუსის სახლში მივიდა მარკუს პომპიდიუს სილიონი, იტალიის ქალაქებში რომს რომ ებრძოდნენ მოქალაქეობის უფლებისთვის, ერთ-ერთი წინამძღოლი, ხელი წაავლო კატონს, ფანჯარასთან მიიყვანა და დაემუქრა, ახლავე ქვაფენილზე დაგანარცხებ, თუ ბიძაშენს იტალიელების შეწყალებას არ შესთხოვო. ანჯღრევდა და ემუქრებოდა, მაგრამ ვერაფერს გახდა: ყმაწვილს სიტყვაც არ დასცდენია, ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს. სახეზე არც შიში, არც თანხმობა არ გამოხატვია, ბუნებით სულიერმა სიმტკიცემ, ბერძნული ფილოსოფიის შესწავლამ, განსაკუთრებით სტოელების[24] ფილოსოფიისა, და თავისი სასტიკი პაპის მიბაძვამ, ეს თოთხმეტი წლის ყმაწვილი მამაც მოქალაქედ აქცია. შემდგომში მან თავი შესწირა უტიკასთან[25] ბრძოლას და ლათინების თავისუფლების დამხობის დროშა სუდარასავით საფლავში ჩაიტანა.

სატრიუმფო ალაყაფის თავზე, გასავალ კარებთან ახლო იჯდა სხვა პატრიცის ბავშვი და თავის მასწავლებელს, ჩვიდმეტის წლის ყმაწვილ კაცს ელაპარაკებოდა, რომელსაც ვაჟკაცის ტოგა ეცვა, თუმცა ჯერ ულვაშიც არ ამწვანებოდა. პატარა ტანისა და სუსტი აგებულების იყო.

ეს 17 წლის ყმაწვილი იყო ტიტუს ლუკრეციუსი, რომის კეთილშობილი გვარისა, რომელმაც შემდეგ უკვდავი სახელი მოიპოვა თავისი პოემით „De Rerum Nature“. მასთან მომუსაიფე თორმეტი წლის ვაჟი იყო გაიუს კასიუს ლონგინუსი[26], პატრიკის გვარის ჩამომავალი, კონსულ კასიუსის შვილი.

სანამ ხალხი ლაპარაკით ერთობოდა კონსულებისა და სულას მოლოდინში, მოწაფე გლადიატორები ხის მახვილებით იბრძოდნენ ცირკის არენაზე.

უეცრად ხალხი გამოცოცხლდა, ატყდა საშინელი გრიალი და ტაშისცემა უშველებელ ამფითეატრში.

- გაუმარჯოს პომპეუსს! გაუმარჯოს პომპეუს დიდს! - გაისმოდა ათასი ხმა.

ოცდარვა წლის პომპეუსი მაღალი ტანისა და ზორბა შესახედაობის იყო. გრძელი, შავი თმით

შემოსილი თავი, ბრტყელი წარბები და დიდრონი, თუმცა უსიცოცხლო, შავი თვალები - ყველაფერი ეს ერთად პომპეუსს ლამაზსა და მამაცურ შესახედაობას აძლევდა. კაცი

რომ უფრო დაკვირვებოდა, ამ უსიცოცხლო სახეში საერთოდ ვერ დაინახავდა იმ კაცის საზრიანობას, რომელიც ოცი წლის განმავლობაში პირველ პირად ითვლებოდა რომში, მაგრამ, ამის მიუხედავად, ოცდახუთი წლისა ტრიუმფატორად იყო აფრიკის ომში და თვით სულამ უწყალობა მეტსახელად „დიდი“. ყოველ შემთხვევაში, ვისაც რა უნდა ეფიქრა პომპეუსზე, მის ღვაწლზე, გმირობასა და იღბალზე, ეს კი უეჭველი იყო, რომ იმ დროს, როდესაც პომპეუსი დიდ ცირკში შევიდა, 675 წლის ათ ნოემბერს, მთელი რომის ხალხი ესალმებოდა მას. ოცდახუთი წლისამ იქამდე მიაღწია, რომ ტრიუმფატორი გახდა და ლეგიონების[27] სიყვარული მოიპოვა, რომელთაც მრავალგვარი გაჭირვება გამოევლოთ ათასნაირ ბრძოლაში. ამ ლეგიონებმა უბოძეს მას იმპერატორობა[28].

პომპეუსის შემდეგ მოვიდნენ კონსულები: პუბლიუს სერვილიუს ვატია ისავრიელი და აპიუს კლავდიუს პულხერი. მათი თანამდებობა მომავალი იანვრის პირველ რიცხვში თავდებოდა.

როდესაც კონსულები ოპიდუმის მოედანზე ავიდნენ, ყველანიზეზე წამოდგნენ და სალამი მისცეს რესპუბლიკის უმთავრეს მმართველებს.

დასხდნენ თუ არა სერვილიუსი და კლავდიუსი, ხალხიც დალაგდა. ამ კონსულებთან ერთად დაჯდა სექტემბრის კრებაზე ამორჩეული ორი ახალი კონსული; ესენი იყვნენ მარკუს ემილიუს ლეპიდუსი და კვინტუს ლუტაციუს კატულუსი.

პომპეუსი ძველ კონსულებს მიესალმა, რაზედაც მათ მოწყალებით უპასუხეს, თითქმის პატივისცემითაც. შემდეგ მივიდა და ხელი ჩამოართვა მარკუს ლეპიდუსს; მისი ამორჩევის მიზეზი პომპეუსი იყო.

ლეპიდუსი პატივისცემით და სიყვარულით მიეგება ყმაწვილ იმპერატორს და პომპეუსი თავის მხრით თბილად დაელაპარაკა მას, მაშინ, როდესაც მეორე კონსულს, ლუტაციუს კატულუსს, ცივად და ამაყად მისცა სალამი.

ამ ორი კონსულის ამორჩევის დროს სულა, იმის მიუხედავად, რომ იმ დროს დიქტატორი აღარ იყო, ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ლეპიდუსი არ ამოერჩიათ, რადგან თავის მოწინააღმდეგედ და გაიუს მარიუსის მომხრედ მიაჩნდა. სულას წინააღმდეგობამ და პომპეუსის წასარჩლებამ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ლეპიდუსის კანდიდატურამ დასძლია, რომელსაც ოლიგარქთა პარტიაც[29] ემხრობოდა. სულამ კიდევაც უსაყვედურა ამის შესახებ პომპეუსს, ცუდად იქცევი, რომ გამოსადეგ მოქალაქეს ეწინააღმდეგები და უვარგისს ემხრობიო.

გაისმა ტაშისკვრა ჯერ ნელი, მერე - თანდათან მომეტებული. ყველამ სატრიუმფო ალაყაფს მიაპყრო თვალი, საიდანაც სულა შემოვიდა; მას თან ახლდა სენატიორი, მეგობარი და ერთგული ადამიანები.

ეს გასაოცარი კაცი იყო ორმოცდაცხრამეტი წლისა, კარგი და ღონიერი აგებულების, მაღალი ტანისა. ნელა მომავალი უღონოსავით ბორძიკობდა, ეს მისი გარყვნილი ცხოვრების შედეგი იყო. უმთავრესი მიზეზი კი იყო მტანჯველი სენი, რომელმაც მთელ მის სხეულს უდროო სიბერის დაღი დაასვა.

როდესაც აზიაში მითრიდატეს[30] ეომებოდა, მედიატორად ამოირჩია კაპადოკიის ხელმწიფემ, არიობარზანმა. პართების ხელმწიფემ, თავის წარმომადგენლად ორობაზი გაუგზავნა. ამ დროს სულა პროკონსული[31] იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, როდესაც სამსჯავროში მივიდა და დაინახა დასაჯდომად მომზადებული სამი ადგილი, ეჭვშიც არ შეჰპარვია, რომ შუა ადგილი მას არ ეკუთვნოდა; პირდაპირ დაჯდა; მარჯვნივ აზიაში უძლიერესი ხელმწიფოს წარმომადგენელი ორობაზი დაისვა, მარცხნივ - არიობარზანი. ეს ისე ითაკილა პართების ხელმწიფემ, რომ დაბრუნებისთანავე სიკვდილით დასაჯა ორობაზი. ორობაზის ამალაში ერია ერთი ვიღაც ქალდეველი, გამოჩენილი მისანი. როდესაც ის სულას ჩააკვირდა, ისე გაოცდა მისი სასტიკი და ელვარე თვალებით, რომ ბრწყინვალე მომავალი უწინასწარმეტყველა და თან გაიკვირვა, აქამდე პირველ კაცად როგორ არ ითვლებიო.

თუ სიყმაწვილეშიც ასეთი გონჯი იყო სულა, ადვილი წარმოსადგენია, ხანში შესვლისას რამდენად უფრო დამახინჯდებოდა, რადგან ბოროტი ხასიათი თანდათან უფრო უფუჭდებოდა. გარყვნილებითა და ლოთობით მთელ ტანზეც ჩირქიანი მუწუკები დააყარა. ტანზე ეცვა თეთრი შალის ტუნიკა, ოქროს სითით დაფენილი. ტუნიკის ზემოთ ძველებური ტოგის მაგივრად წამოსხმული ჰქონდა ცეცხლისფერი, ოქროთივე მოსირმულიმშვენიერი ქლამიდა, მარჯვენა მხარზედამაგრებული ძვირფასი თვლებით მოჭედილი ოქროს აბზინდით, რომელსაც ლაპლაპი გაჰქონდა მზეზე. სულას სძულდა მთელი კაცობრიობა და მეტადრე თანამოქალაქენი, ამიტომაც წამოისხა მან სხვათა შორის ბერძნული ქლამიდა. ხელში ოქროს ბუნიკიანი ჯოხი ეჭირა. მასზე დიდი ოსტატობით იყო გამოყვანილი ორქომენთან ბრძოლის ეპიზოდი, სადაც სულამ სასტიკად დაამარცხა მითრიდატეს მთავარსარდალი არქელაე. დიქტატორს არათითზე ოქროში ჩასმული იასპის ბეჭედი ეკეთა. ქვაზე გამოსახული იყო ბოკხის მიერ იუღურთას[32] გაცემის სურათი. სულა მოუშორებლად ატარებდა ამ ბეჭედს გაიუს მარიუსის ტრიუმფატორად გამოცხადების დღემდე. ეს ბეჭედი გახდა სულასა და გაიუს მარიუსს შორის დამღუპველი განხეთქილების მიზეზი. ხალხის ტაშისკვრაზე სულას დამცინავად ჩაეღიმა და წაიჩურჩულა:

- დამიკარით ტაში, ცხვრებო, დამიკარით!

კონსულებმა ნიშანი მისცეს და ასი გლადიატორი გამოვიდა მოედანზე. წინ მოდიოდნენ რეციარი[33] და მირმილიონი[34]. მათ უნდა დაეწყოთ ბრძოლა. უკან მისდევდათ ცხრა ლაკვეატორი[35] სამკაპიანი კვერთხებით და თოკის ქამანდებით შეიარაღებულნი, რომლებიც მათ მოწინაამდეგე, ფარებითა და მახვილებით შეიარაღებული სეკუტორებისთვის[36] უნდა ესროლათ. თუ ესენი დაუსხლტებოდნენ ლაკვეატორების ქამანდებს, გაქცეულებს უნდა დასდევნებოდნენ.

ამ ცხრა წყვილს უკან მოსდევდა ოცაათი წყვილი გლადიატორი, რომელთაც გამწკრივებულებს უნდა ეომათ ისე, როგორც ნამდვილ ომში. ერთ მხარეს იყვნენ თრაკიელები, მეორე მხარეს - სამნიტები[37].

ზვიადი თრაკიელები შეიარაღებულიყვნენ მოკლე, წვერში მოკაკვული მახვილებით, ფარებით და ზუჩიანი ჩაჩქნებით. ტანზე ეცვათ მოკლე, წითელი ტუნიკები. ჩაჩქანებში გარჭობილი ჰქონდათ ორი შავი ფრთა. აგრეთვე ეროვნული ტანსაცმლითა და

იარაღით იყო ოცდაათი სამნიტიც: მოკლე და სწორი მახვილი, ფრთებიანი ჩაჩქანი, ოთხკუთხა ფარი, რკინის სამკლავე მარჯვენა ხელზე და მარცხენა ფეხზე მიფარებული ენქერი. ცისფერი ტუნიკები ეცვათ და ორი თეთრი ფრთა ჩაჩქანში ჰქონდათ გარჭობილი. სულ ბოლოს გლადიატორებს მოსდევდა ცხრა წყვილი ანდაბატი, თეთრი მოკლე ტუნიკებით და დანის მსგავსი მოკლე მახვილებით შეიარაღებულნი. თავზე ჩაჩქანები ეხურათ, რომელთაც სათვალე ჰქონდა დატანებული.

ასმა გლადიატორმა ტაშის ცემასა და ხალხის ყვირილში შემოუარა არენას და ბოლოს, იმ ადგილას მივიდნენ, სადაც სულა იჯდა. იქ გაჩერდნენ, თავი მაღლა აიღეს და შეჰყვირეს:

- სალამს გიძღვნით, დიქტატორო!

გლადიატორებმა მთელ ცირკს შემოუარეს, თავი დაუკრეს კონსულებს და თავის ადგილზე დაბრუნდნენ

ახლა მზის სხივებით მოფენილ არენაზე მხოლოდ ორი კაცი იდგა: მირმილიონი და რეციარი.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა საომრად მომზადებულ გლადიატორებს შესცქეროდა.

მირმილიონი წახრილი, ცალ მუხლზე დაყრდნობილიიდგა დამარცხენა ხელში მახვილით ელოდა რეციარის თავდასხმას.

რეციარი უცებ გადახტა, რამდენიმე ნაბიჯზე გაჩერდა მირმილიონთან და ელვის სისწრაფით ესროლა ბადე. მირმილიონი მარჯვნივ გადახტა, მიწაზე დაწვა და როდესაც ამნაირად ბადე თავიდან აიცილა, გაქცეულ რეციარს გაეკიდა. მირმილიონი მისდევდა, მაგრამ რეციარმა

გაასწრო, მოედანს შემოურბინა და ისევ იმ ადგილას მივიდა, სადაც ბადე იდო. ძლივს მოასწრო აღება, რომ იმ დროს წამოეწია მირმილიონი და ის იყო, უნდა დაერტყა, რომ რეციარი მოულოდნელად მიუბრუნდა და ხელმეორედ ესროლა ბადე თავის მტერს, რომელიც მარდად გადახტა გვერდზე. თვალის დახმამხამებაზე წამოხტა ფეხზე მირმილიონი, ასე რომ, რეციარის მიერ მოქნეული სამკაპიანი კვერთხი მარტო მის ფარს მოხვდა. რეციარი ისევ გაიქცა. ხალხმა უკმაყოფილოდ ამოიგმინა. შეურაცხყოფად მიაჩნდათ უხერხული და ჯერ ბადის სროლაში გამოუცდელი გლადიატორის არენაზე გამოსვლა. მირმილიონი რეციარს აღარ გამოეკიდა. რეციარი მიუხვდა მტერს ცუღლუტობას და ნელ-ნელა დაბრუნდა უკან. სატრიუმფო ალაყაფს რომ მიაღწია, გადაევლო მას, ცირკის მეორე მხარეს გაჩნდა და შეტევა დაიწყო. გაანჩხლებული ხალხის მასა კი გაბრაზებული ყვიროდა:

- აბა, ერთი ჰკა მაგას! მოჰკალი ეგ უტვინო, ეგ ლაჩარი! გაგზავნე აქერონის[38] ნაპირზე ბაყაყების დასაჭერად!

ამ ყვირილით წაქეზებული მირმილიონი თანდათან უახლოვდებოდა მოწინააღმდეგეს. ის კი უკან-უკან იხევდა და თან კვერთხს უღერებდა. მირმილიონმა ფარით აუქნია კვერთხი, და ის იყო გული უნდა გაეპო, რომ რეციარმა კვერთხი

ესროლა და გასაოცარი სიმარჯვით წამოავლო ხელი ბადეს, თუმცა მირმილიონმა მარცხენა მხარში დაჭრა. ამის მიუხედავად, რეციარი მაინც გაიქცა თავისი ბადით და ოცდაათ ნაბიჯზე არ იყო, რომ მტერს მიუბრუნდა და შეჰყვირა: - უბრალო ჭრილობაა, არაფერი მიჭირს. - და სიმღერა შემოსძახა:

მოდი, მოდი, ჩემო გალო [39], შენ
კი არა, ვეძებ თევზსა... მოდი,
მოდი, ჩემო გალო![40]

ამ სიმღერამ ხალხი აღტაცებაში მოიყვანა. რეციარი მიხვდა, რომ ამ ეშმაკობით ხალხის გული ისევე მოიგო. ტაშიც კი დაუკრეს, რადგან უიარაღო, დაჭრილი, სისხლისაგან იცლებოდა და ამ გაჭირვებაში ხუმრობას მაინც ახერხებდა.

ამ დაცინვით გაბრაზებული მირმილიონი გააფთრებული ეცა მტერს, მაგრამ რეციარი უკან-უკან ხტოდა, მარდად იცილებდა დარტყმას და თან უყვიროდა:

- მოდი, მოდი, ჩემო გალო, შენ კი არა, ვეძებ თევზსა!

მირმილიონი გამეტებით ეცა მტერს, მაგრამ რეციარმა ისე მარჯვედ ესროლა ბადე, რომ მოწინააღმდეგე შიგ გაება.

მირმილიონი, რაც ძალიდა ღონე ჰქონდა, ცდილობდა თავის დახსნას, მაგრამ ამით უფრო ეხვევოდა შიგ და მაყურებელს აცინებდა. ამასობაში რეციარმა კვერთხი აიღო და ისევ გაექანა მირმილიონისკენ ყვირილით:

- შენ კი არა, ვეძებ თევზსა!

ამ სიტყვებით, ის იყო, უნდა დაერტყა მტრისთვის, რომ მირმილიონმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, ბადე გაგლიჯა და ხელები გაითავისუფლა, კვერთხის დარტყმა რომ მაინც აეცილებინა, თუმცა ადგილიდან კი ვერ იძვროდა.

ხალხი სულგანაბული ადევნებდა თვალს ამ ორი მეომრის ყოველ მოძრაობას.

მირმილიონმა ძლივს გაითავისუფლა ხელები, მაგრამ რეციარმა კვერთხი დაჰკრა. მირმილიონმა მაინც აიცდინა თავიდან, თუმცა ფარი ჩაემტვრა და ხელში მოხვდა, მაგრამ იმავე წუთს მარცხენა ხელით გამოგლიჯა კვერთხი მტერს, ზედ დააწვა და მახვილი მარჯვენა ფერდში გაუყარა.

დაჭრილმა რეციარმა თავი მიანება კვერთხს და გაიქცა. არ გადაუდგამს ორმოცი ნაბიჯიც კი,

რომ დაეცა ჯერ მუხლებზე, მერე მთლად განერთხა მიწაზე. ამ ღონიერ დარტყმაზე მირმილიონმაც ვეღარ შეიკავა თავი და თვითონაც დაეცა. ერთი წუთის შემდეგ ისევ წამოხტა, ბადეში გახლართული ფეხები გაითავისუფლა და მტერს ეტაკა.

მირმილიონმა ფეხი დაადგა მტერს, მახვილი მკერდზე მიაბჯინა და ხალხის გადაწყვეტილებას დაელოდა.

ოთხმოცდაათიათასზე მეტმა კაცმა, ქალმა თუ ბავშვმა მარჯვენა ხელის ცერი ძირს დაუშვა, ნიშნად სიკვდილისა, და მხოლოდ თხუთმეტიათასმა აჩვენა გლადიატორის

პატიების ნიშანი. მირმილიონი მზად იყო, ბოლო მოეღო რეციარისთვის, მაგრამ მან აღარ დააცალა, ხელიდან მახვილი გამოგლიჯა და გულში გაიყარა. მირმილიონმა სისხლით შეღებილი და ოხშივარადენილი მახვილი ამოაძრო რეციარმა კი უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და დაიბღავლა:

- წყეულიმც იყავით!.. - და მკვდარი დაეცა.

2. სპარტაკი მოედანზე

ასი ათასი მაყურებლის საშინელი ღრიანცელი და ტაშისცემა გაისმა. მირმილიონი არენიდან გავიდა და შემოვიდნენ პლუტონი[41], მერკური[42] და მსახურნი რეციარის გვამის გასატანად. ჯერ გახურებული რკინით შეეხნენ, რომ დარწმუნებულიყვნენ მის სიკვდილში, და მერე გაიტანეს სასიკვდილო ალაყაფიდან. სისხლით მორწყულ ადგილს ტივოლის თეთრი მარმარილოს ფხვნილი მოაყარეს.

აღტაცებული ბრბო კი განუწყვეტლივ ღრიალებდა:

- გაუმარჯოს სულას!

სულა მიუბრუნდა ამ ორი წლის წინათ კონსულად ნამყოფ გნეუს კორნელიუს დოლაბელას და უთხრა:

- გეფიცები ჩემს მფარველს, დელფოს აპოლონს[43], რომ ეს რომაელები საძაგელი ხალხია. შენ გგონია, მე მიკრავენ ტაშს? არა, ეს ტაშისცემა ჩემს მზარეულებს ეკუთვნით, რადგან გუშინ გემრიელი და უხვი საჭმელები მოუმზადეს მათ.

- რატომ ოპოდუმზე არ გინდა დაჯდომა? - ჰკითხა დოლაბელამ.

- გგონია, ამით დიდება მომემატება? - უპასუხა სულამ და ერთი წუთის შემდეგ დაუმატა: - მგონი, გვარიანი საქონელი მომყიდა აქციანმა.

- ოჰ, რა გულუხვი ხარ! წამოიყვირა სულას გვერდით მჯდომმა სენატორმა ტიტუს აკვიციუსმა.

- იუპიტერმა მეხი დასცეს ყველა სულმდაბალ ფარისეველს! - წარმოთქვა გულმოსულმა ნადიქტატორალმა, ხელი მარცხენა მხრისკენ წაიღო და გაშმაგებით დაიწყო ფხანა, ცოტათი მაინც რომ ჩაეცხრო ის აუტანელი ქავილი, შემდეგ დაუმატა:

- დიქტატორობაზე უარი ვთქვი, ესენი კიდევ მეუფედ მრაცხვენ! ო, სულმდაბლებო, სიცოცხლე არ შეგიძლიათ, თუ არავის ემონეთ!

- არა, სულა, ყველა მონად არ არის დაბადებული! - მოურიდებლად უპასუხა შორიახლო მჯდომმა ერთმა პატრიცმა.

იმ დროს კატილინა საშინელ კაცად ითვლებოდა თავისი ანჩხლი და გულსწრაფი ხასიათით;

ცოტა ხნის წინ ტიბრის ნაპირზე გულმშვიდად მოსეირნე პატრიცი გრატიდიანი იმიტომ მოკლა, რომ უარი უთხრა ფულის სესხებაზე. ეს ფული კატილინას თავისი აუარებელი ვალების გასასტუმრებლად სჭირდებოდა, რადგან ამ ვალების მიზეზით ვერც ერთი ის სახელმწიფო თანამდებობა ვერ იშოვა, რომელიც უნდოდა.

ამის შემდეგ გავიდა ცოტა ხანი და კატილინა წაეჩხუბა თავის ძმას; ორივემ იშიშვლა მახვილები, მაგრამ კატილინამ, როგორც ღონიერმა, ძმა მოკლა და მისი საცხოვრებელი დაინარჩუნა. ამით აიცილა თავიდან სრული გაღარიბება, რომელიც მას თავისი მფლანგავი და გარყვნილი ცხოვრების გამო მოელოდა. სულამ ამაზედაც თვალები დახუჭა.

კატილინას თამამ სიტყვებზე სულა მშვიდად მიუბრუნდა და ჰკითხა:

- როგორ გგონია, ბევრი მოიპოვება რომში შენისთანა მამაცი?

- დიდებულო სულა, - უპასუხა კატალინამ, - მე მხოლოდ ის ვიცი, რომ თავისუფლების მოყვარულად დავიბადე, თითქმის თავნება, და მძაგს მტარვალობა. ჩემი აზრით, ჩვენმა სამშობლომ ურთიერთშორის შფოთი და უთანხმოებაც რომ გამოიაროს, მაინც ყველას მმართველობით უფრო ბედნიერი იქნება, ვიდრე ერთის დიქტატორობით. გამოგიტყდები, რომ

აშკარად ვკიცხავ შენს დიქტატორობას. მე მტკიცედ მწამს და მიხარია კიდეც, რომ რომის მრავალი მცხოვრები ეწინააღმდეგება ახალ დიქტატორს, მით უმეტეს, თუ იმ კაცს არ ერქმევა ლუციუს კორნელიუს სულა.

- მაშ რატომ ხალხის სამართალს არ მიმცემთ? - დამშვიდებით, მაგრამ დაცინვით ჰკითხა სულამ, - მე დიქტატორობაზე უარი ვთქვი, მაშ რატომ არ მაბრალებთ ძალადობას? რატომ არ მომთხოვთ ჩემი ქმედებებისთვის პასუხს?

- რომ არ განახლდეს რომისთვის არასასურველი ომი და ხოცვა-ჟლეტა... მაგრამ დავანებოთ თავი ამ ლაპარაკს. მე, რასაკვირველია, შენ არ გამტყუნებ; რა თქმა უნდა, ბევრი შეცდომა მოგსვლია, მაგრამ ბევრი კეთილშობილური საქმეც ჩაგიდენია. ვერ ხედავ, რომ ჩვენი ხალხის ძარღვებში ისევ დუღს ჩვენი მამა-პაპის სისხლი? გახსოვს, ამ რამდენიმე თვის წინ შენ რომ კურიაში სენატის წინაშე უარი გამოაცხადე დიქტატორობაზე და ლიქტორებისა[44] და ჯარის გასტუმრების შემდეგ მეგობრებთან ერთად შენს სახლში გაემგზავრე, ერთმა ყმაწვილმა მოქალაქემ რა გისაყვედურა იმის შესახებ, რომ შენ წაართვი რომაელებს თავისუფლება და ხალხი დატანჯე ძარცვაგლეჯით? სულა, გამოტყდი მაინც, რომ მართლა მამაცი უნდა იყოს კაცი, რომ ეგ გაბედოს, მაშინ, როდესაც ერთი ნიშნით შეგეძლო იმ ყმაწვილისათვის სიცოცხლე მოფესწრაფა. მაშინ შენ დიდსულოვნება გამოიჩინე. ამას მოფერებით არ გეუბნები, კატილინა არ არის მაგას ჩვეული, დიდსულოვნება გამოიჩინე და მას არა დაუშავე რა.

- იმიტომ მივუტევე იმ ყმაწვილს და არ დავსაჯე, რომ მიყვარს და პატივს ვცემ მამაც ადამიანს, მაგრამ შენ იცი, კატილინა, რა შედეგი მოჰყვა იმ ყმაწვილის სიტყვებს?

- რა შედეგი? - ჰკითხა გაკვირვებით კატილინამ და თვალებში ჩააცქერდა ბედნიერ დიქტატორს.

- ის, - უპასუხა სულამ, - რომ ამის შემდეგ თუ ვინმე ჩაიგდებს ხელში რესპუბლიკის მმართველობას, არასდროს აღარ დაანებებს თავს.

დაფიქრებულმა კატილინამ თავი ჩაღუნა, მაგრამ მერე კი, თითქოს თავის თავს დასძლიაო, თქვა:

- აღმოჩნდება ვინმე, ვინც ინდომებს ან შეძლებს უმალესი ძალაუფლების ხელში ჩაგდებას?

- ეჰ, მაგას რას ამბობ? - დამცინავად გაიღიმა სულამ და ხალხით სავსე ცირკს მოატარა ხელი: მონების ბრბო არ გვაკლია და, მაშასადამე, მბრძანებლებიც გამოჩნდებიან.

ამ ლაპარაკის დროს გაისმოდა ტაშისცემა და ხალხი ტკბებოდა სისხლისღვრის ცქერით ცირკის მოედანზე. ომში მოკვდა შვიდი ლაკვეატორი და ხუთი სეკუტორი. დანარჩენი ექვსი

გლადიატორი სიკვდილს გადაურჩა და დაჭრილნი, სისხლისგან დაცლილნი გავიდნენ მოედნიდან. ხალხი კი აღტაცებული იყო, ხმაურობდა, ყვიროდა და ტაშს უკრავდა.

იმ დროს, როდესაც მოსამსახურეებს ცირკიდან გაჰქონდათ თორმეტი მოკლულის გვამი და მოედანზე სისხლს წმენდნენ, ვალერია თვალს არ აშორებდა შორიახლო მჯდომ სულას, ბოლოს ადგა, ზურგიდან მიუახლოვდა და შალის ძაფი გამოაძრო დიქტატორის ქლამიდას. გაკვირვებულმა სულამ მიიხედა და საზარელი მხეცივით დააბრიალა თვალები.

ცუდად ნუ ჩამომართმევ ამ საქციელს, დიქტატორო, - უთხრა ვალერიამ, - ეს ძაფი იმიტომ გამოგაძვრე, რომ მეც მერგოს ცოტაოდენი შენი ბედნიერებისა, - შემდეგ ზრდილობიანად დაუკრა თავი და თავის ადგილას დაბრუნდა.

- ვინ არის ეს ქალი? - იკითხა სულამ.

- ვალერიაა, - უპასუხა გნეუს კორნელიუს დოლაბელამ, - მესალას ქალი.

- კვინტუს ჰორტენზიუსის და?

- დიახ.

სულა ხელმეორედ მიბრუნდა ვალერიასკენ, რომელიც სიყვარულით შესცქეროდა მას.

ამ დროს ჰორტენზიუსი წამოდგა და მარკუს კრასუსთან მივიდა. მარკუს კრასუსი მეტად მდიდარი პატრიცი იყო, ამასთან ხარბი და პატივმოყვარე. ის იჯდა კალმით აუწერელი სილამაზის მქონე ბერძენი ქალის ახლოს.

ევტიპიდა - ასე ერქვა იმ ქალს. ის მაღალი, გასაოცრად მშვენივრად მოყვანილი ტანისა. დიდრონი, ნუშისფერი მწვანე თვალები ცეცხლივით უბრწყინავდა. პატარა და ლამაზად მოყვანილი, ბოლოში ცოტა აწკვეტილი ცხვირი შეუპოვარ გამბედაობას

ჰმატებდა მთელ მის სახეს. თეთრი ყელი მარმარილოსაგან გამოკვეთილი გეგონებოდათ. მხრები იუნონას[45] მხრებს მიუგავდა. მაღალი, ამობურცული მკერდი არ ეხამებოდა მის წერწეტ ტანს, მაგრამ ეს კიდევ უფრო მეტ მიმზიდველობას აძლევდა. თეთრი, ვერცხლის ვარსკვლავებით მოქარგული ტუნიკის ქვეშ უცხოდ მოჩანდა მისი გამოქანდაკებული ტანი. მას ზედ წამოსხმული ჰქონდა ასეთივე ვარსკვლავებით მოფენილი ცისფერი შალის წამოსასხამი. შუბლზე უბრწყინავდა დიადემა და პატარა ყურებს უმშვენებდა ვარსკვლავისნაირი საფირონის საყურეები. გულზე უბრწყინავდა მსხვილი საფირონის თვლების ვარსკვლავი. ხელებს უმშვენებდა ოთხი ვერცხლის სამაჯური, ზედ გამოკვეთილი ფოთლებითა და ყვავილებით. წელზე ძვირფასი ლითონის ბოლოებდაკუთხული, წაწვეტებული თარანგი შემოესალტა. პატარა, ვარდისფერ ფეხებზე

მოკლე ხამლები ეცვა, რომლებიც კოჭებთან გადაჯვარედინებული ორი ცისფერი სალტისა და საძირისაგან შედგებოდა. კოჭებს ზემოთ ნაჭედი ვერცხლის წყვილი დასტანგი ეკეთა.

ევტიპიდა იყო ოცდაოთხი წლისა. ისე იყო შემკული სიტურფითა და სიმშვენიერით, გეგონებოდათ, თვითონ ვენერა დაძრულა ოლიმპოდან[46], რომ მოკვდავნი თავისი ღვთაებრივი სილამაზით დაათროსო.

როდესაც ჰორტენზიუსი კრასუსთან მივიდა, ის ღრმად ჩაფიქრებული იყო მშვენიერი ქალის ცქერით. ევტიპიდა კი იმ დროს პატარა ხელით მთქნარებას იფარავდა და თან გულზე დაკიდებულ საფირონის ვარსკვლავს ათამაშებდა.

კრასუსი ოცდათორმეტი წლისა შესრულდა მაშინ. საშუალო ტანისა და მაგარი აგებულებისა იყო, მაგრამ თანდათან სრულდებოდა. კეთილშობილმა ჩამომავლობამ, დიდმა მჭევრმეტყველებამ, აუარებელმა სიმდიდრემ და ზრდილობამ გამოსაჩენ კაცად გახადა იგი. ის მამაცურად იბრძოდა სულას მოწინააღმდეგეებთან და კიდეც სჯობნიდა.

- სალამი, მარკუს კრასუს, - უთხრა ჰორტენზიუსმა და ფიქრებიდან გამოიყვანა, - შენ, მგონი, ვარსკვლავების ყურებში გაერთე?

- ვფიცავ ჰერკულესს, რომ მიმიხვდი, - უპასუხა კრასუსმა, - მე აი, იმ ვარსკვლავს ვეტრფი.

- რომელს?

- იმ მშვენიერ ბერძენ ქალს. შორიახლორ რომ ზის ორის წყებით ჩემზე მაღლა.

- აა, დავინახე, ის ევტიპიდაა.

- ევტიპიდა? მერე, რა გინდა მაგით თქვა?

- არაფერი. მისი სახელი გითხარი... ის კურტიზანი ქალია... - უთხრა ჰორტენზიუსმა და კრასუსთან დაჯდა.

- კურტიზანი?! ციდან ჩამოსულ ვენერას კი ჰგავს! ვფიცავ ჰერკულესს, რომ უკეთესად ვერც წარმოვიდგენდი იუპიტერის ქალის ღვთაებრივი სილამაზის განხორციელებას!

- მართალს ამბობ! - გაიცინა ჰორტენზიუსმა.

- სად ცხოვრობს?

- წმინდა ქუჩაზე... იანუსის[47] ტაძრის ახლოს. შემდეგ ჰორტენზიუსმა დაამატა:

- მაგ ქალისთვის გონება გეკარგება, მაშინ, როდესაც მეათასედი შენი ქონებისა საკმარისია, რომ შენ გეკუთვნოდეს.

კრასუსს თვალები ცეცხლით აენთო, მაგრამ მერე ისევ მალე ჩაუქრა. ის ჰორტენზიუსს მიუბრუნდა და ჰკითხა:

- მოლაპარაკება გინდა რამეზე ჩემთან? - ჰო, ოქრომჭედელი ტრაბულონის საქმეზე.

სანამ ესენი ოქრომჭედლის საქმეზე ლაპარაკობდნენ და ორმოცდაცხრამეტი წლის სულა ოთხი თვის წინ მეოთხე ცოლის, ცეცილია მეტელას დამმარხველი და ახლა კვლავ ამურის ბადეში გახვეული, ვალერიასთან მომავალი სიყვარულის ოცნებაში იყო გართული, ბუკების გრიალმა აცნობა ხალხს ოცდაათი თრაკიელისა და ოცდაათი სამნიტის ბრძოლის დაწყება.

ლაპარაკი, ხმაური და სიცილი ერთბაშად შეწყდა და ყველამ მეომრებს დაუწყო ცქერა. პირველი

შეტაკება საზარელი იყო; ფარებისა და მახვილების წკრიალიღა ისმოდა იმ სიჩუმეში. დაქანცული გლადიატორები კი გააფთრებულები იბრძოდნენ. ხუთ წუთსაც არ გაევლო ბრძოლაში, რომ სამი მომაკვდავი გლადიატორი უკანასკნელი ტანჯვით მეომრების ფეხქვეშ ითელებოდა.

არამც თუ აღწერა, წარმოდგენაც კი ძნელია იმისი, თუ რა სულგანაბული ადევნებდა თვალს ხალხი ამ სისხლისღვრას. როდესაც გაიგებს, რომ ოთხმოციათასი მაყურებელი დანაძლევებული იყო ერთმანეთში, ათი-ოცი სესტერციდან[48] მოყოლებული, ორმოცდაათ ტალანტამდე[49], ზოგი წითელი თრაკიელების გამარჯვებაზე, ზოგიც ლურჯი სამნიტებისა.

თანდათან, როცა გლადიატორების გუნდი შესამჩნევად შეთხელდა, გაისმა ტაში და გლადიატორგების ქება.

ერთი საათის შემდეგ ორმოცდაათი გლადიატორი, ზოგი დახოცილი და ზოგი მომაკვდავი, აქეთ-იქით ეყარა. მომაკვდავები საშინელი ტანჯვისაგან იკლაკნებოდნენ. შვიდი სამნიტი შემოხვეოდა სამ გადარჩენილ თრაკიელს, რომელნიც ერთმანეთს ზურგით მიჰყუდებოდნენ და თავგანწირულნი ებრძოდნენ რიცხვით უმეტეს გამარჯვებულებს.

ამ სამ ცოცხალ თრაკიელში სპარტაკიც ერია. ის იყო ოცდაათის წლისა. იყო განათლებული და საზრიანი.

გრძელი ქერა თმა და სქელი წვერი უმშვენებდა ლამაზ, მამაცურ პირისახეს. სიცოცხლითა და გრძნობით სავსე მის ზღვისფერ თვალებში სიმშვიდის დროს

სევდით მოსილი სიკეთე გამოიხატებოდა, მაგრამ როდესაც სპარტაკი მძვინვარებით აენთებოდა, მაშინ მისი თვალები ელვარებდა და სახე საზარელი უხდებოდა.

სპარტაკი დაიბადა როდოპის მთებში, თრაკიაში. რომაელებთან ბრძოლისას დატყვევებული, თავისი ღონისა და სიმამაცის წყალობით ლეგიონში ჩარიცხეს. ის მონაწილეობას იღებდა მითრიდატესა და მისი მომხრეების წინააღმდეგ საომრად გასულ რომის ჯარში. ამ დროს ისეთი სიმამაცე გამოიჩინა, რომ დეკანად დანიშნეს, ანუ ათისთავად და ამასთან თავი გვირგვინით შეუმკეს. მაგრამ, როდესაც რომაელებმა მის თანამემამულე თრაკიელებზე გაილაშქრეს, მაშინ სპარტაკი გაიქცა და თავისიანებთან ერთად გუშინდელ უფროსებს ეომებოდა. აქ ხელმეორედ დაჭრეს და ისევ მტრებს ჩაუვარდა ხელში. სიკვდილით დასჯის მაგივრად მოწყალებასავით გლადიატორობა გადაუწყვიტეს და ანტრეპრენიორს[50] მიჰყიდეს, რომლისგანაც შემდეგში აქციანმა შეისყიდა.

მხოლოდ ორი წლის წინ გახდა სპარტაკი გლადიატორი. თავის პირველ ანტრეპრენიორთან თითქმის მთელი იტალიის ქალაქები შემოიარა და მონაწილეობა მიიღო ასზე მეტ ბრძოლაში, მაგრამ არცერთხელ მძიმედ არ დაჭრილა. დიდი ღონისა და სიმამაცის პატრონები იყვნენ მისი მეგობარი გლადიატორები, მაგრამ ის იმდენად მაღლაიდგა მათზე, რომ ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა ყველა ბრძოლიდან. მისი ქება-დიდება გაისმოდა მთელი იტალიის ცირკის არენებზე და ამფითეატრებში.

აქციანმა სპარტაკი შეისყიდა ძალიან ძვირად - თორმეტი ათას სესტერცად, მაგრამ უკვე ნახევარი წლის ნაყიდი ჰყავდა და ჯერ არც ერთხელ არ გამოეყვანა რომის ამფითეატრში. ეს იყო ან იმის მიზეზით, რომ დიდად აფასებდა და ფარიკაობისა და გიმნასტიკის მასწავლებლად ჰყავდა თავის სასწავლებელში, ან არადა, ძვირად უჯდა სპარტაკი და ისეთ ბრძოლებში ვერ უშვებდა, სადაც მის სიკვდილს ვერ აინაზღაურებდა.

დღეს კი პირველად გამოიყვანა სპარტაკი ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად, რადგან გულუხვმა სულამ ას გლადიატორში, რომელთაც დღეს მონაწილეობა უნდა მიეღოთ ბრძოლაში, ორასოციათასი სესტერცი მისცა, და სპარტაკი კიდევაც რომ მომკვდარიყო, მაინც მოგებული იქნებოდა.

- მარჯვედ! მარჯვედ, სამნიტებო! - გაიძახოდა ათასი ხმა, რომელთაც ლურჯების მხარე ეჭირათ.

- დაჰკა, მოკალი ეგ სამი ბარბაროსი[51]! - ყვიროდნენ სხვები.

- მიდი, ნებულიან! დაჰკარი, კრიკს! ღონივრად, ღონივრად, პიორფირი! - ყვიროდნენ ზოგნი, ვისაც ხელში გლადიატორების სახელების სია ეჭირა.

ამ ყვირილს უერთდებოდა თრაკიელების მომხრეების იმათზე არანაკლები ხმა, რომელთაც ცოტა იმედიღა დარჩენოდათ, მაგრამ მაინც ჯიუტად ჩასჭიდებოდნენ ერთადერთ დარჩენილ იმედს: სპარტაკს, რომელსაც ფარი და ჩაჩქანი ისევ მთელი ჰქონდა და სწორედ იმ დროს დასცა ერთი. მახვილის ამ მოქნევაზე ატყდა ტაშის ცემა. ათასობით მაყურებელი ყვიროდა: - ვაშა, სპარტაკ! გაუმარჯოს სპარაკს!

ორი თრაკიელი შველოდა სპარტაკს თავგანწირულ ბრძოლაში, მაგრამ მძიმედ დაჭრილები სუსტადღა იქნევდნენ მახვილებს, უკანასკნელი ღონე ელეოდათ.

- ჩემს ზურგს მოეფარეთ! - დაიყვირა რიხით სპარტაკმა და თან ელვასავით დაატრიალა თავისი მოკლე მახვილი.

სული ეგუბებოდა სპარტაკს. ფერმიხდილს პირისახეზე წკრიალით ჩამოსდიოდა ოფლი.

მუცელში დაჭრილი მეორე სამნიტი მალე დაეცა სპარტაკის გვერდით. სპარტაკის ზურგს უკან მდგომი მეორე თრაკიელიც დაეცა თავგაპობილი.

ყველა მოედანს მისჩერებოდა.

სულასთან შორიახლო მდგომი სუნთქვაშეკრული ლუციუს სერგი კატილინა ისე იყო გატაცებული ბრძოლით, გეგონებოდათ, კატალინას ცხოვრებაც თრაკიელის მახვილის წვერზე ჰკიდიაო.

კისერში დაჭრილი მესამე სამნიტი თავის ამხანაგებთან გაემგზავრა, მაგრამ მას მიჰყვა სპარტაკის ერთადერთი მშველელი თრაკიელიც.

ყველაშეძრწუნდა. მაყურებლებში გაისმა გაუგებარი დრტვინვა, მაგრამ ისე უცებ ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე, რომ გლადიატორების მძიმე სუნთქვაც კი ისმოდა.

სპარტაკი საათნახევრიან ბრძოლაში სამგან დაიჭრა, უფრო გაიფხაჭნა. ახლა მარტოდმარტო დარჩა ოთხის წინააღმდეგ, რომლებიც, თითქმის ყველანი მძიმედ იყვნენ დაჭრილები და სისხლისაგან იცლებოდნენ. უეცრად სპარტაკს ერთმა ბედნიერმა აზრმა გაუელვა თავში: გაიქცა. სამნიტები გამოეკიდნენ.

არ გაურბენია ორმოცდაათი ნაბიჯი, რომ სპარტაკი მობრუნდა, პირველ სამნიტს ეცა და გულში გაუყარა თავისი მოკლე მახვილი. დაჭრილმა ხელი აღაპყრო, თითქოს მისაყუდებელს ეძებსო და დაეცა; სპარტაკი მეორეს ეცა, მისი მახვილი აიცდინა, დაჰკრა და ძირს დასცა. ხალხში აღტაცების ჟრიამული გაისმა. ახლა თითქმის ყველა სპარტაკს გულშემატკივრობდა.

ის იყო მეორე მოწინააღმდეგე დაეცა და მესამე მიუახლოვდა, სპარტაკმა მას მახვილის მაგივრად ფარი დაჰკრა თავში, რადგან მისი მოკვლა არ უნდოდა; დარეტიანებული სამნიტი წაბარბაცდა და მიწაზე დაეცა იმ დროს, როდესაც მას სისხლისაგან დაცლილი და ღონემიხდილი ამხანაგი წამოეშველა. სპარტაკი იმასაც ეცა, მაგრამ რადგან დაჭრა არ უნდოდა, ორი დარტყმით გააგდებინა ხელიდან მახვილი, თავისი მძლავრი მკლავები შემოხვია, მიწაზე დაანარცხა და წასჩურჩულა:

- ნუ გეშინია, კრიკს, იმედი მაქვს, რომ დაგიხსნი!

ამ სიტყვებით ერთი ფეხი კრიკსს დააჭირა გულზე, მეორე - ფარით დარეტიანებულ სამნიტს და უცდიდა ხალხის გადაწყვეტილებას.

ხანგრძლივი და მიწისძვრის მსგავსად ზარდამცემი გრიალი გაისმა ცირკში. თითქმის ყველამ მაღლა აიშვირა მარჯვენა ხელის მუშტები მოხრილი ცერით და ორ სამნიტს მიანიჭეს სიცოცხლე.

- აი, იშვიათი სიმამაცის მქონე კაცი, - უთხრა სულას კატილინამ, რომელსაც წურწურით ჩამოსდიოდა სახეზე ოფლი, - აი, მამაცი, რომელიც რომაელად უნდა დაბადებულიყო. ამავე დროს ასობით ადამიანი გაიძახოდა:

- თავისუფლება მამაც სპარტაკს!

უცნაური ცეცხლით აენთო გლადიატორს თვალები. სახე ისე გაუფითრდა, როგორც არასოდეს. ხელი გულზე მიიდო, თითქოს საშინელი ძგერა უნდა შეეჩერებინა, ძგერა, რომელიც ამ სიტყვამ - თავისუფლებამ გამოიწვია და რომელიც გულში ტკბილსა და მთრთოლვარე იმედს უხატავდა.

- თავისუფლება! თავისუფლება! - გაიძახოდა ათასი ხმა.

- თავისუფლება! - წაიჩურჩულა ხმამიწყვეტილმა გლადიატორმა, - თავისუფლება!.. ოჰ! ოლიმპოს ღმერთებო, ნუ იქნება ეს სიზმარი! - და ცრემლები გადმოყარა.

- არა! არა! ეგ ჩვენი ლეგიონებიდან გაიქცა, დეზერტირია, - შეჰყვირა ვიღაცამ, - მაგას თავისუფლება არ ეკუთვნის!

ამ ხმასსხვაც ბევრი შეუერთდა, მომეტებულად უფრო იმათი, ვინც სპარტაკის მიზეზით სანაძლეო წააგო.

-არა, არა, ეგ გაქცეულია!

სახეშეშლილმა თრაკიელმა რაღაც უძლეველი ძალით გაიწია იმ კარისკენ, საიდანაც პირველი ხმა მოისმა, და აღგზნებული ეძებდა იმას, ვინც პირველად წამოიყვირა, გაქცეულიაო.

ათასი ხმა კი მაინც იმეორებდა

- თავისუფლება, თავისუფლება, თავისუფლება სპარტაკს!

კაცი ვერ აღწერს იმას, თუ რა მდგომარეობაში იყო საცოდავი გლადიატორი. ის შიში, მტანჯავი

ლოდინი, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა უფრო ძვირფასი რამ, ვიდრე თვით სიცოცხლეა, აშკარად ეტყობოდა ფერმიმკრთალ სახეზე, კუნთების თრთოლვასა და თვალების ელვარებაზე, რაც შესანიშნავად მეტყველებდა მის მიერ გადატანილ ბრძოლაზე, სასოწარკვეთილებასა და იმედზე. იმ კაცმა, რომელიც საათნახევრის განმავლობაში ებრძოდა სიკვდილს და ერთ წუთსაც არ შემკრთალა; ებრძოდა ოთხ მოწინაამდეგეს ერთად და იმედი არ დაკარგვია გადარჩენისა; კაცმა, რომელმაც თორმეტი თუ თხუთმეტი თავისი უბედური ამხანაგი დახოცა და იმის გულს ღელვა არ მიჰკარებია, ახლა იგრძნო, მუხლები ეკეცებოდა და, გულშეწუხებული რომ არ წაქცეულიყო, დახოცილების გასაყვანად შემოსულ მოსამსახურეებს მიეყრდნო.

- თავისუფლება! თავისუფლება! - ღრიალებდა ბრბო.

- სწორედ ღირსია! - წასჩურჩულა სულას კატილინამ.

- სწორედ რომ ღირსია! - წარმოთქვა ვალერიამ, რომელსაც სწორედ იმ დროს სიყვარულით შესცქეროდა სულა.

- ასე გსურს? - ჰკითხა სულამ და ვალერიას ჩააკვირდა, - კარგი, ასე იყოს!.. - და ოდნავ დააქნია თავი. როგორც იყო, სპარტაკმა მიიღო თავისუფლება ღრიანცელში.

- თავისუფალი ხარ! - უთხრა სპარტაკს მოსამსახურემ, - სულამ მოგანიჭა თავისუფლება.

სპარტაკი ხმას არ იღებდა, არც ინძრეოდა. თვალები დახუჭა და გახელის ეშინოდა, ვაითუ ეს ტკბილი ოცნება გაქრეს და მაშინ ნამდვილსაც ვეღარ დავიჯერებო. - შენი სიმამაცით დამღუპე, ცუღლუტო! - წასჩურჩულა ვიღაცამ ყურში გლადიატორს.

ამ სიტყვებზე სპარტაკი შეკრთა, თვალები გაახილა და დაინახა ანტრეპრენიორი აქციანი, რომელიც სპარტაკთან მისალოცად გამოსულიყო. აქციანის აზრით, სულას სულელურმა გადაწყვეტილებამ და სხვისი ჯიბით გულუხვობამ ის თორმეტი ათასი სესტერციით აზარალა.

ანტრეპრენიორის სიტყვებმა დაარწმუნა სპარტაკი, რომ სიზმარში არ იყო. თავი დაუკრა ჯერ სულას, შემდეგ ხალხს და ღრიალსა და ტაშისცემაში მოედნიდან გავიდა.

- არა, ყველაფერი ღმერთებს არ შეუქმნიათ! - განაგრძობდა საუბარს ლუკრეციუსი თავის ამხანაგ კასიუსთან და გაიუს მემიუს გემელუსთან, რომლებსაც გვერდით მოუჯდა

წარმოდგენის დროს. გაიუს გემელუსი იყო ლიტერატურის, ხელოვნებისა და ფილოსოფიის კარგი მცოდნე.

შემდეგში ლუკრეციუსმა მას მიუძღვნა თავისი პოემა „De Rerum Natura“, რომლის დაწერაც ამ დროს განიზრახა.

- მაშ, ვინ შექმნა ქვეყანა? - ჰკითხა კასიუსმა.

- მატერიის დაუსრულებელმა მოძრაობამ და უჩინარი ნაწილაკების შეერთებამ შექმნა. რაკი ხედავ დედამიწის ზურგზე და ცაზე ბევრნაირ ქმნილებას, ამიტომ გგონია, რომ მათი შემქმნელები ღმერთები არიან. არაფრიდან თავის დღეში არაფერი არ შეიქმნება.

- მაშ, იუპიტერი, იუნონა და სატურნი[52] რაღა არიან? - ჰკითხა გაკვირვებულმა კასიუსმა, რომელსაც ძალიან უყვარდა ლუკრეციუსთან ბაასი.

- ეგ სულ კაცის უმეცრებისა და შიშის შედეგია. შენ, ჩემო კარგო, გაგაცნობ მეცნიერ აპიკურეს ერთადერთ ნამდვილ მოძღვრებას, რომელსაც არ ეშინოდა არც ცისა და ჭექაქუხილისა, არც ზარდამცემი მიწისძვრისა, არც ღმერთების ძლიერებისა.

მაგრამ აქ მასწავლებელმა გააწყვეტინა მათ ლაპარაკი და შეახსენა კასიუსს, რომ მამამ სთხოვა, სახლში დაბინდებამდე დაბრუნება. ყმაწვილი წამოდგა. წამოდგნენ

ლუკრეციუსი და მემიუსიც. კიბეზე დაეშვნენ და მახლობელი ალაყაფისკენ გაემართნენ, მაგრამ სანამ იქამდე მიაღწევდნენ, კასიუსსა და იმის მეგობრებს იმ ადგილას უნდა გაევლოთ, სადაც ფაუსტუსი, სულას ვაჟი იჯდა. მის მახლობლად იდგა პომპეუს დიდი, რომელსაც დაეტოვებინა ოპიდუმი და აქ მოსულიყო, რათა ნაცნობ მანდილოსნებსა და მეგობრებს მისალმებოდა. კასიუსს ის იყო უნდა ჩაერბინა მის გვერდით, რომ უცებ შეჩერდა და ფაუსტუსს მიუბრუნდა:

- აბა, ფაუსტუს, გაიმეორე შენ მიერ სამი დღის წინ წარმოთქმული სულელური სიტყვები ისეთ სახელგანთქმულ მოქალაქესთან, როგორიც პომპეუს დიდია. ხომ ამბობდი, რომ მამაშენი კარგად მოიქცა, როცა თავისუფლება წაართვა რომაელებს და მტარვალი გახდა. მინდა ერთხელ კიდევ მოვისმინო ეგ სიტყვები. ამისთვის ხომ ერთხელ კარგად დაგილურჯე ცხვირ-პირი. ახლა ერთს კიდევ მიგბეგვავ პომპეუსის თვალწინ.

სწორედ ამ დროს მიცვალებულთა ალაყაფთან, ზემოთა რიგებიდან გამოდიოდა ასე ოცდაექვსი წლის ახალგაზრდა. მას გრძელი, მეტისმეტად გრძელი ტოგა ეცვა, რომელიც გამხდარ, წვრილ ფეხებს უფარავდა. ტანად მაღალი იყო, საუცხოო შესახედაობისა, თუმცა პირისახე ფერმკრთალი და ავადმყოფური ჰქონდა. წამოდგა და გამოემშვიდობა იქ მყოფთ.

ციცერონმა გზა გაიკაფა ხალხის ტალღაში, გასასვლელებს რომ ავსებდა, და გაეშურა სატრიუმფო ალაყაფისკენ, სადაც მარკუს პორციუსი და კატონ ცენზორის ძმისწულები ისხდნენ.

მაყურებლები, რომელთაც გამოეთხოვა მარკუს ტულიუს ციცერონი, ხელოვნების მსახურნი იყვნენ: გალერია ემბოლარია, ოცდასამის წლის ლამაზი ქალი, განთქმული მსახიობი, მხოლოდ ტრაგიკული როლების შემსრულებელი; ცნობილი ტრაგიკოსი მსახიობი ესოპუსი - ლოყებღაჟღაჟა, კოხტად მორთული მამაკაცი, რომელსაც მუდამ მუშკის სურნელი ასდიოდა; მისი მოცილე კვინტუს როსციუსი - დიდი მსახიობი, თავისი თამაშით რომაელელებს რომ ატირებდა და აცინებდა.

როსციუსს დიდი ხანი არ იყო, რაც ორმოცი წელი შესრულებოდა. მისი ნიჭი სრულიად გაფურჩქვნილიყო. უკვე ძალიან გამდიდრებულიყო. მთელი რომი ქებადიდებას ასხამდა მას. თვით სახელოვანი მოქალაქეები ამაყობდნენ მასთან მეგობრობით: სულა, ჰორტენზიუსი, ციცერონი, პომპეუსი, ლუკულუსი, კვინტუს მეტელუსი. ცეცილიუს პიუსი, სერვილიუს ვატია ისავრიელი, მარკუს კრასუსი, კორნელიუს სკრიბონიანი, კურიონი, პუბლიუს კორნელიუს სციპიონი ერთმანეთს ეცილებოდნენ მის მიპატიჟებაში, ელოლიავებდნენ და გუნდრუკს უკმევდნენ არა მარტო როგორც ბრწყინვალე მსახიობს, არამედ როგორც ქველსა და ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს. მის წინაშე გულწრფელი აღტაცებით მუხლს იყრიდნენ თვით გონებრივად და სულიერად აღზევებულნიც.

ამ სამ სახელგანთქმულ მსახიობს გარს შემოხვეოდნენ ნაკლები ბრწყინვალების ვარსკვლავნი, იმ წლებში რომის საზოგადოებას რომ აჯადოებდნენ ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიებითა და არისტოფანეს, მენანდრეს, ფილემონესა და პლავტუსის კომედიებით.

ემბოლარიას, ესოპუსის, როსციუსისა და მათი მეგობრების ახლოს ჯგუფად იდგნენ თავმომაბეზრებელი თაყვანისმცემლები, უგუნური უსაქმურნი, განდიდების მანიით, სულელური მედიდურობითა და ძლიერი შთაბეჭდილებების მოხდენის სურვილით შეპყრობილნი. თუ როგორ თაყვანსა სცემდნენ იმ დროში მსახიობს, ადვილად მიხვდებოდით მათი სიმდიდრის მიხედვით. მარტო როსციუსი თითო წარმოდგენაში ათას დინარს იღებდა, წელიწადში კი ეს შეადგენდა ას ორმოცდაექვსი ათას დინარს.

მარკუს ტულიუს ციცერონმა რიგები გაიარა და კატონთან და ცეპიონთან მივიდა, ალერსიანად მიესალმა ორივეს, გვერდით მიუჯდა და საუბარი გაუბა თავის მეგობარ კატონს.

როგორცა ვთქვით, მარკუს ტულიუს ციცერონი ამ დროს ოცდაექვსი წლისა იყო, ახალგაზრდა, თუმცა ტანად სუსტი და ავადმყოფი, მაგრამ მედიდური შესახედაობისა. მაღალი კისერი ჰქონდა, ვაჟკაცური სახე, მეტყველი, სწორი ნაკვთებითა და როგორც მის ჭკუა-გონებას შეეფერებოდა, გადაშლილი შუბლი. ხშირ, აბურძგნულ წარბებქვეშიდან დიდრონი თვალები

უელვარებდა. ტუჩებზე თითქმის მუდამ ღიმილი დასთამაშებდა, ხშირად დამცინავი, მაგრამ ამ დაცინვაშიც კი გულკეთილობა გამოსჭვიოდა. გამჭრიახი ჭკუით, ბრწყინვალე მეხსიერებითა და ენამჭევრობით დაჯილდოებულმა ციცერონმა თავისი გულმოდგინე შრომით სახელი გაითქვა, როგორც ფილოსოფოსმა, ორატორმა და საუცხოო პოეტმა.

პოეტიკა ჭაბუკობის წლებშივე შეასწავლა ბერძენმა პოეტმა არქიაესმა, რომელსაც შემდეგ ერთ თავის ცნობილ სიტყვაში იცავდა. თავისი ნიჭის გამო მისი სახელი გრგვინავდა მთელ რომში. იმ დროს იგი ცხოვრობდა ლუკულუს დიდის, მითრიდატესა და ტიგრანის[53] მძლეველის სასახლეში და მის შვილებს ლექსის თხზვის ხელოვნებაში ამეცადინებდა ამასთან, რომში სკოლაც გახსნა. ამ სკოლაში პატრიცების ბავშვები სწავლობდნენ. იმ ხანად, როცა ჩვენი ამბავი ხდებოდა, არქიასმა[54] შეთხზა და გამოაქვეყნა პოემა „კიმბრების ომი“, სადაც ქება-დიდებას ასხამდა გაიუს მარიუსს - ერთადერთ რომაელს, რესპუბლიკის პერიოდში შვიდჯერ რომ აირჩიეს კონსულად.

არქიასის სკოლაში დადიოდა და თან დიდი გულმოდგინებით ისმენდა ჯერ ფილოსოფოს ეპიკურეელის, შემდეგ კი სტოელ დიოდოტოსისა და ათენიდან გამოქცეული აკადემიელი ფილონის ლექციებს. ციცერონი ისმენდა ლექციებს, რომელსაც რომში ორ წელიწადს კითხულობდა განთქმული მოლონ როდოსელი. იგი ტიბრის სანაპიროზე ჩამოსულიყო, რათა

სენატისათვის მოეთხოვა იმ ხარჯების ანაზღაურება, ქალაქმა როდოსმა რომ გაიღო რომაელების მხარეზე მითრიდატეს წინააღმდეგ ბრძოლისას. მოლონის არაჩვეულებრივი ენამჭევრობით მოხიბლულებმა პირველად იყო, რომ დართეს ნება სენატში ბერძნულ ენაზე ელაპარაკა თარგმანის გარეშე.

ციცერონი დიდი გულმოდგინებით სწავლობდა კანონმდებლობას ძმებ სცევოლების - სენატორებისა და სწავლული მართლმსაჯულების ხელმძღვანელობით: უფროსი

ავგური[55] იყო, უმცროსი კი უმაღლესი ქურუმი. მათ დაწვრილებით შეისწავლეს იურისპრუდენცია და მისი საიდუმლოებანი.

ჯერ თვრამეტი წლისაც არ იყო, რომ მონაწილეობდა მარსების, ანუ მოკავშირეთა ომში[56] პომპეუს დიდის წინამძღოლობით და, თავისივე გადმოცემით, განცვიფრებაში მოჰყავდა სულას სიმამაცეს და გამარჯვებებს.

ორი წლის წინ, სანამ ეს ამბები მოხდებოდა, მარკუს ტულიუსი თავის სიცოცხლეში პირველად გამოვიდა ფორუმზე და წარმოთქვა სიტყვა კვინტუსის დასაცავად. ვიღაც მევალე, რომელსაც ცნობილი ჰორტენზიუსი იცავდა, კვინტუსს თავისი ქონების დაბრუნებაზე უჩიოდა. ჯერ მთლად ყმაწვილმა ციცერონმა უარი სთქვა მრისხანე ჰორტენზიუსის მეტოქეობაზე, მაგრამ

როსციუსმა, მისმა მეგობარმა, სთხოვა ნათესავის დაცვა. ციცერონიც დაეთანხმა და გამოვიდა. ის იმდენად დამაჯერებლად და მომხიბლავად ლაპარაკობდა, რომ საქმე მოიგო.

იმ ხანებში პოეტის ნიჭით აღტაცებული რომის მოსახლეობის მაღალსა თუ დაბალ ფენებში ხელიდან ხელში გადადიოდა ციცერონის პოემა. ციცერონს თავისი ნაწარმოებებით ლათინური ენა მიუღწეველ მწვერვალამდე აეყვანა, მხოლოდ ძნელია იმის თქმა, თუ რა იწვევდა მომეტებულ აღტაცებას: თეორიული სიღრმე, ზნეობრივი სიწმინდე, აზრის სიდიადე, სტილის ბრწყინვალება თუ ანტიკურად გამოკვეთილი მომაჯადოებელი ფორმა.

ჩვენ მიერ ხსენებულ პოემას „მარიუსი“ ეწოდება. მისგან მცირე ფრაგმენტმა მოაღწია. მიუხედავად ოლიგარქიული შეხედულებებისა, რომელსაც აქამდე მხარს უჭერდა ავტორი, პოემა დაიწერა გაიუს მარიუსის სადიდებლად, რომელიც ციცერონივით არპინუმში დაიბადა და უსაზღვროდ უყვარდა იგი. ახლა კი ჩვენი თხრობის გაწყვეტილ ძაფს დავუბრუნდეთ.

- დიდო ღმერთებო, ნუთუ ჭეშმარიტებაა, რასაც შენზე ყვებიან? - ჰკითხა ციცერონმა კატონს.

- დიახ, - მიუგო წარბშეკრულმა ყმაწვილმა, - განა მართალი არ ვიყავი?

- მართალი იყავი, უმამაცესო ბიჭუნავ, - წყნარად თქვა ციცერონმა და ყმაწვილს შუბლზე აკოცა, - მაგრამ სიმართლეს ყოველთვის ვერ იტყვი ხმამაღლა. ერთ წამს ორივენი დადუმდნენ.

- როგორ მოხდა, რომ... - მიუბრუნდა ახლა ტულიუსი სარპედონს, ყმაწვილების მასწავლებელს.

- ყოველდღიური მკვლელობის გამო, რაც სულას ბრძანებით ხდებოდა, - გააწყვეტინა სარპედონმა, - თვეში ერთხელ დიქტატორთან უნდა მივსულიყავი და თან ორივე ყმაწვილი წამეყვანა, რომ სულას, მიუხედავად სისხლის ღვრის გაშმაგებული წყურვილისა, მათთვის მოწყალე თვალით შეეხედა, მეგობრებად შეერაცხა და გუნებაშიც კი არ გაევლო მათი შეტანა პროსკრიპციის[57] სიაში. სულა მათ მართლაც

გულთბილად იღებდა, ორივეს დაუყვავებდა და ტკბილი სიტყვებით გამოისტუმრებდა ხოლმე. ერთხელ მისი სახლიდან გამოსულებს, ფორუმი რომ გადავჭერით, გულის განმირავი კვნესა შემოგვესმა მამარტინის საპყრობილედან...

- მე მაშინ სარპედონს მივუბრუნდი და ვკითხე, - გააწყვეტინა კატონმა: - ვინ არის, რომ ეგრე ყვირის? - ეგენი მოქალაქენი არიან, რომელთაც სულას ბრძანებით ხოცავენ, - მერე, რისთვის ხოცავენ? - ისევ ვკითხე მე. - „იმისათვის, რომ თავისუფლება უყვართ. - მაშინ ამ უგუნურმა,

სულ სხვა ხმითა და ისე ხმამაღლა, რომ, საუბედუროდ, ყველა გაიგონებდა, მითხრა: რად არ მომეცი მახვილი, ჩემი ქვეყნის ულმობელ მტარვალს ხუთ წუთში

წავაგდებინებდი თავს. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ სარპედონმა

დაუმატა:

- მაშ, ამ ხმებმა შენამდეც მოაღწია?

- რამდენი ლაპარაკობს ამაზე, აღტაცებული არიან იმ ყმაწვილის სიმამაცით, - მიუგო ციცერონმა.

- მერე რაღას გააკეთებს, ამ ხმამ, მისდა საუბედუროდ, სულას ყურამდე რომ მიაღწიოს? - წამოიძახა განწირული ხმით სარპედონმა.

- რა ვუყოთ? - ზიზღით მიუგო შუბლშეკრულმა ყმაწვილმა, - რაც ვთქვი, იმასთანაც გავიმეორებ, ვისი შიშითაც თქვენ ფოთოლივით თრთით. მე ყმაწვილი ვარ, მაგრამ ღმერთებს ვფიცავ, ის ფერს ვერ შემაცვლევინებს.

განცვიფრებულმა ციცერონმა და სარპედონმა ერთმანეთს გადახედეს, ბიჭმა კი გატაცებით შესძახა:

- ნეტავ შემეძლოს ტოგის ტარება!

- მერე რას იზამდი, შე უგუნურო? - ჰკითხა ციცერონმა და მაშინვე დაუმატა, - აღარ გაჩუმდები?

- მაშინ ლუციუს კორნელიუს სულას სამსჯავროში გამოვიწვევდი და საქვეყნოდ დავდებდი ბრალს.

- კარგი ერთი, დაჩუმდი! - მიაძახა ციცერონმა, - ხომ არ გინდა, ყველანი დაგვღუპო! მეც სულელურად ხოტბას ვასხამდი გაიუს მარიუსის გმირობას. ორ პროცესზე დავიცავი ის, ვინც სულას მომხრე არ იყო. ამით ეჭვი არ არის, ვერ მოვიგე ნადიქტატორალის გული. ხომ არ გინდა, შენს უგუნურ სიტყვებს მისი მძვინვარების ურიცხვი მსხვერპლი მოჰყვეს? ჩვენ რომ დაგვხოცოს, ვიხსნით კი რომს ულმობელი მტარვალისგან? შიშმა რომაელებს სისხლი გაუყინა ძარღვებში. სულა ყოველთვის ბედნიერი და გამარჯვებულია, ყოვლისშემძლეა.

- სჯობდა, ბედნიერის მაგივრად სამართლიანი ეწოდებინათ, - მიუგო კატონმა, რომელიც დამორჩილებოდა ციცერონის დარიგებებს, რაღაცას თავისთვის ბურტყუნებდა და თანდათან მშვიდდებოდა.

ამ დროს ანდაბატები ართობდნენ ხალხს ერთმანეთთან ბრძოლითა და სისხლის ღვრით, რა დროსაც შეიძლებოდა ოცივე გლადიატორი დახოცილიყო.

სულას მოსწყინდა ეს სანახაობა; მას ახლა ერთადერთი აზრიღა უტრიალებდა თავში და თანდათან იპყრობდა მთელ მის არსებას. უცებ ადგა და ვალერიასაკენ გასწია თავის დაკვრით და ალერსიანი თვალებით, თან ცდილობდა, რამდენადაც შეეძლო, სახის კეთილი გამომეტყველება მიეღო. მიუახლოვდა თუ არა, მოკრძალებით და სიყვარულით ჰკითხა:

- თავისუფალი ხარ თუ არა, ვალერია?

- დიახ, რამდენიმე თვეა, რაც ქმარი გამეყარა, მაგრამ, რასაკვირველია, მე არანაირი დანაშაული არ მიმიძღვის ამაში.

- ვიცი, - უპასუხა სულამ, რომელსაც ვალერია თავისი შავი თვალებით შესცქეროდა.

- მაშ მე შემიყვარებ? - ერთი წუთის სიჩუმის შემდეგ ჰკითხა სულამ დაბალი ხმით.

- მთელი სულით და გულით! - უპასუხა ვალერიამ და ალერსიანი ღიმილით დახარა თვალები.

- მე კი, ვალერია, მიყვარხარ ისე, როგორც ჯერ არავინ მყვარებია! - უთხრა სულამ აღელვებული ხმით.

მერე სიჩუმე ჩამოვარდა, რომლის შემდეგაც რომის ნადიქტატორალმა ხელი გამოართვა მშვენიერ მანდილოსანს და მხურვალე კოცნით უთხრა:

- ერთი თვის შემდეგ შენ ჩემი ცოლი იქნები, - და მეგობრების თანხლებით ცირკიდან გავიდა.

3. სამიკიტნო „დამმარხველი ვენერა“

ერთ ძალიან ვიწრო და ჭუჭყიან ქუჩაზე, სერვიუს ტულიუსის[58] დროინდელი ქალაქის ძველი კედლის მახლობლად, კვერკვეტულანუსის ალაყაფის კარის ახლოს დღედაღამ ღია იყო სამიკიტნოს კარი. ეს სამიკიტნო აეშენებინათ სასაფლაოებისა და აკლდამების მფარველ ვენერას სახელობაზე. ამისთანა საზარელი სახელი ალბათ იმიტომ დაარქვეს ამ სამიკიტნოს, რომ იქვე, ქალაქის ალაყაფის გარეთ, ერთ მხარეს იყო მდაბიო ხალხის სასაფლაო, სადაც მათ მარხავდნენ, როგორც მოხვდებოდათ, საერთო საფლავში, და მეორე მხარეს, სესტერციუსის ბაზილიკამდე, გადაჭიმული იყო უშველებელი მინდორი, სადაც დახოცილ მონებსა და ღარიბ-ღატაკებს ყრიდნენ მგლებისა და ყვავების საჯიჯგნად. სწორედ ამ მყრალ მინდორზე გააშენა მეცენატმა[59] ნახევარი საუკუნის შემდეგ თავისი შესანიშნავი ბოსტანი, სადაც საუკეთესო ბოსტნეული მოდიოდა, იმის მიზეზით, რომ ადამიანის ხორცით და ძვლებით იყო გაპოხიერებული.

სამიკიტნოს კარზე გამოხატული იყო ვენერა, უფრო ქაჯის მსგავსი, ვიდრე სილამაზის ქალღმერთისა. თოკზე ჩამოკიდებული ფარანი ქანაობდა და ცუდად ანათებდა საწყალ

ვენერას, თუმცა უკეთესი სინათლეც ბევრს ვერას შეჰმატებდა, მაგრამ ეს ჩაბჟუტული სინათლეც კმაროდა, რომ გამვლელ-გამომვლელს ყურადღება მიექცია კარზე ჩამოკიდებული გამხმარი ტოტისთვის და რამდენადმე მაინც გაეფანტა სიბნელე, ამ ჩაბნელებულ ქუჩაზე რომ მეფობდა.

ზემოთ აღწერილი ამბების დღეს, 675 წლის ნოემბრის ათს, შუაღამისას ეს სამიკიტნო გატენილი იყო მუშტრებით; მათი ღრიანცელი ქუჩაშიც ისმოდა.

ამ პატივსაცემი სახლის ცალთვალა დიასახლისი თავისი მოსამსახურე ზანგი გოგოთი დიდ ფაციფუცში იყო, რომ აესრულებინა ხმამაღალი ბრძანება თავისი მშიერი მუშტრებისა. ლუტაცია მაღალი, წითური ქალი, ჯერ კიდევ ლამაზი იყო, - თუმცა ორმოცდახუთი წელი შესრულებოდა და თმაც გასჭაღარავებოდა. ერთი ნაკლი ჰქონდა - შუბლიდან მოყოლებული, დაშრეტილ მარჯვენა თვალზე გადმოსული ჭრილობა ცხვირს შუაზე ჭრიდა, რომელსაც ერთი ნესტო აღარ ჰქონდა.

სწორედ ამ მიზეზით დაერქვა ლუტაციას ცალთვალა.

ლუტაცია ერთი მეომრის, რუფინიუსის ცოლი იყო. ქმარი მამაცად იბრძოდა აფრიკაში იუღურთას წინააღმდეგ. როდესაც გაიუს მარიუსმა დაამარცხა ეს მეფე და გამარჯვებული დაბრუნდა რომში, რუფინიუსიც თან მოჰყვა მას. ლუტაცია მაშინ ყმაწვილი და ლამაზი ქალი იყო და ამასთან სრულებით არ მისდევდა ცოლ-ქმრობის ერთგულების შესახებ დადგენილ წესებს. ერთ მშვენიერ დილას, ეჭვმორეულმა ქმარმა იძრო დანა და მოკლა თავისი მოქიშპე - ყასაბი, მერე მიუბრუნდა ცოლს და ასე დაასახიჩრა იმ განზრახვით, რომ ზემოხსენებული

წესები დაეხსომებინა სამუდამოდ. იმას ეგონა, მოვკალიო, კვესტორების[60] შეეშინდა და გადაწყვიტა იმ ღამესვე გაქცევა. ის გაიუს მარიუსის წინამძღოლობით იბრძოდა. მოკლეს იმ ბრძოლაში, სექსტიეს წყლებთან, სადაც გამოჩენილმა არპინუმელმა გლეხკაცმა დაამრცხა ტევტონების ჯარები და ამით რომი იხსნა.

ლუტაცია რამდენიმე თვის შემდეგ განიკურნა საშინელი ჭრილობისგან და გადაწყვიტა სამიკიტნოს გახსნა ცოტაოდენი შენახული ფულით; კვინტუს ცეცილიუს მეტელუს ნუმიდიელის წყალობით ეს ქოხმახი მან საჩუქრად მიიღო.

თუმცა დასახიჩრებული იყო ლუტაცია, მაგრამ არაერთხელ დაუმტვრევიათ ერთმანეთისთვის გვერდები ამ ცალთვალა ტურფას გულისთვის. ეს კი უნდა დავუმატოთ, რომ სამიკიტნოს მუშტრები იყვნენ მესაფლავეები, გლადიატორები, კომედიანტები და ქილიკები, მათხოვრები, ცრუ კოჭლები და უსაქციელო ქალები. ლუტაცია არაფერში არ იყო ზიზღიანი. ამასთან, კეთილი დედაკაცი ფიქრობდა, რომ იუპიტერის განგებით, მზე ერთნაირად ანათებდა როგორც მდიდრებისთვის, ისე ღარიბებისთვის. თუ მდიდრებს ღვინისა და ნამცხვრის დუქნები სასადილოები და ტრიკლინიუმები ჰქონდათ, ღარიბებსაც უნდა ჰქონოდათ თავიანთი სამიკიტნოები.

- ოჰ, ეშმაკის კერძი იყოს შენი სული! - შეჰყვირა რიხიანი ხმით ძველმა გლადიატორმა, რომელიც სულ მთლად დასახიჩრებული იყო ჭრილობით, - როდის გვაღირსებს ეს ბებერი ქაჯი ლუტაცია თავის კუპატებს?

- თუ გინდა დაგენიძლავები სესტერცებზე, რომ ესკვილინის მინდვრიდან ლუვენიმ მოუტანა ყვავებისაგან ნაძიძგნი ხორცის ნაჭერი და აქამდე ვერ მოუხარშავს! - წამოიძახა გლადიატორის გვერდზე მჯდომმა მათხოვარმა.

ხმამაღლა ხარხარმა ბანი მისცა ამ საზიზღარ ხუმრობას. მაღალ, სქელ, ღაჟღაჟა სულელური სახის მესაფლავე ლუვენის კი არ ეამა ეს ხუმრობა. ის იყო კინაღამ ჩხუბი გაიმართა, რომ გარედან ქალების სიმღერა მოისმა.

- ეს ევენიაა! - შეჰყვირა ზოგიერთმა.

- ლუჩილაა!

- დიანა!

ყველამ შემოსასვლელ კარს მიაპყრო თვალი, საიდანაც რამდენიმე წუთის შემდეგ ერთი ყიჟინითა და სიცილით შემოვიდა ლოყებღაჟღაჟა ხუთი ქალი, წამოწეული კაბებითა და უკადრისად მოღეღილი მხრებით. გაისმა ყვირილი, მისალმება. ეს ქალებიც ურიცხვი მასხარაობით აძლევდნენ პასუხს.

ცალთვალა ლუტაციამ და მისმა მონამ ცალკე მაგიდა გაშალეს პატარა ოთახში. რამდენიმე სინი დადგეს და გაფაციცებით ათვალიერებდნენ, ხომ არა დაგვავიწყდა რაო. აშკარა იყო, ლუტეცია პატივსაცემ სტუმრებს ელოდა.

- ვის მოელი დღეს? - ჰკითხა მათხოვარმა ველენიმ, - ვისთვის ხარშავ მაგ კატებს, რომ მერე კურდღლებად გაასაღო?

- იქნებ დღეს ვახშმად მარკუს კრასუსი უნდა გეწვიოს?

- არა, უეჭველად პომპეუს დიდი გეწვევა!

სიცილი და ხმაური ჯერ არ შეწყვეტილიყო, რომ კარში გამოჩნდა ვაჟკაცი, რომელსაც თმაში ჭაღარა შერეოდა, მაგრამ სილამაზე ჯერ კიდევ არ დაეკარგა.

- ტრებონი!

- მობრძანდი, ტრებონ! - შეჰყვირა რამდენიმე კაცმა ერთად.

ტრებონს რამდენიმე წლის წინათ დაეკეტა თავისი გლადიატორების სკოლა და ახლა იმ კარგ შემოსავლიან ხელობაში მოგებული ფულით ცხოვრობდა. მაინც ჩვეულება და სიყვარული გლადიატორებთან ყოფნისა მუდამ მიიზიდავდა ხოლმე მათ წრეში, ასე რომ, ყოველ საღამოს შეხვდებოდით ერთ-ერთ სამიკიტნოში ესკვილინისა ან სუბურისაში, სადაც მუდამ ირეოდნენ ის უბედურები.

თუმცა იმასაც ლაპარაკობდნენ, ტრებონი ამაყობს თავისი გლადიატორული წარმოშობით და მათთან სიახლოვით, მაგრამ არანაკლებ სამსახურს უწევს პატრიციებსაცო. ამბობდნენ, რომ ხელში ჰყავდა ამ თავზეხელაღებულების მთელი ლეგიონები.

ასეა თუ ისე, ტრებონი იყო გლადიატორების მეგობარი და მფარველი. ცირკში სანახაობის დამთავრების შემდეგ სპარტაკს შეხვდა, მიულოცა, გადაკოცნა და „დამმარხველ ვენერას“ სამიკიტნოში წაიყვანა.

ტრებონი ოთახში სპარტაკისა და ათიოდე გლადიატორის თანხლებით შევიდა.

სპარტაკს ჯერ ისევ ის წითელი ტუნიკა ეცვა, რომლითაც ცირკში იბრძოდა. ტოგაზე მოკლე მოსასხამი ჰქონდა წამოსხმული. ჯარისკაცები ასეთ მოსასხამებს, ჩვეულებრივ, აბჯრის ზემოდან ატარებდნენ, სპარტაკს ეს მოსასხამი ერთმა ცენტურიონმა[61], ტრებონის მეგობარმა ათხოვა.

არ აიწერება ის აღტაცება, როგორითაც მას თანამოძმენი მიეგებნენ. ცირკში მყოფნი თავმომწონედ აჩვენებდნენ თავიანთ ამხანაგებს ბედნიერსა და ღირსეულ გმირს, რომელზეც მთელი რომი ლაპარაკობდა.

- უმამაცესო სპარტაკ! აი, ეს მშვენიერი ევენია. ულამაზესი იმ მშვენიერთა შორის, ვინც აქ არიან, - უთხრა მოხუცმა გლადიატორმა.

- უბედნიერეს ქალად მიმაჩნია თავი, რომ შემიძლია, მოგეხვიო, - ჩაურთო ევენიამ, მაღალ-მაღალმა, ლერწამივით ტანის მქონე მიმზიდველმა ქალმა და აღარც დალოდებია პასუხს, ორივე ხელი შემოხვია სპარტაკს კისერზე და აკოცა.

თრაკიელი ცდილობდა, ღიმილით დაეფარა ის უსიამოვნო გრძნობა, იმ ქალის საქციელი რომ იწვევდა მასში, ნელ-ნელა მოიშორა და უთხრა:

- გმადლობთ, ძვირფასო ეგენია, მაგრამ ახლა მინდოდა ცოტა მოვმაგრებულიყავი...

- მობრძანდი, მობრძანდი, გლადიატორო! - წარმოთქვა ლუტაციამ, - ბედნიერი ვარ, რომ შენისთანა ღირსეული და გამოჩენილი ვაჟკაცი მეწვია, - მერე ტრებონს მიუბრუნდა და დაუმატა: - მოდი, მოდი, აქ, ამ ოთახში. ასეთი შემწვარი კურდღლის ხორცი მხოლოდ მარკუს კრასუსს თუ ექნება ვახშმად.

- ვნახოთ, ვნახოთ! - უთხრა ტრებონმა და მხარზე ხელი დაჰკრა, - მანამდე კი ამფორით[62] ვალიტერნის ღვინო მოგვიტანე. მხოლოდ მითხარი, როგორია, ხომ ძველია?

- ოჰ, მფარველო ღმერთებო! - შეჰყვირა ლუტაციამ, - ძველია თუ არაო? ძველი? თხუთმეტი წლისაა. გაიუს ცელიუსისა და ლუციუს აჰენობარბუსის კონსულობის დროს არის დაყენებული.

სანამ ლუტაცია სტუმრებს ართობდა, მისმა ზანგმა მონამ აზურმა ამფორაც მოიტანა. ბეჭედი ახსნა, რომლის თვალიერებასაც შეუდგნენ სტუმრები და გადასცემდნენ ხელიდან ხელში. მონამ ღვინო სქელი მინის მაღალ ჭურჭელში ჩაასხა, რომელშიაც ნახევრამდე წყალი ესხა, და რაც გადარჩა - სუფთა ღვინისათვის განკუთვნილ ჭურჭელში. შემდეგ ორივე მაგიდაზე დადგა, ლუტაციამ კი სტუმრებს სათითაოდ ფიალები ჩამოურიგა. ჭურჭელსა და ჭურჭელს შუა კი ჩამჩა ჩადო, რომლითაც ისხამდნენ სუფთასა თუ წყლიან ღვინოს.

მალე გლადიატორები შეუდგნენ იმის განსჯას, თუ როგორი იყო ლუტაციას შემწვარი კურდღლის ხორცი და რამდენი წლისა იქნებოდა ღვინო.

ღვინო მართლაც კარგი გამოდგა. ვახშამიც გვარიანი იყო. მხოლოდ სპარტაკი, რომელიც ქებით ზეცამდე აჰყავდათ, იმ დღეს სხვადასხვა მიზეზით, თუ უსაზღვრო სიხარულით, რომ თავისუფლება დაუბრუნდა, მოწყენილი იყო, უმადოდ ჭამდა და არ იცინოდა.

- ვფიცავ ჰერკულესს, მე შენი არ მესმის, სპარტაკ, - უთხრა ტრებონმა, როდესაც ნახა, რომ ღვინის თასი ისევ სავსე ედგა, - რა დაგემართა? რატომ არ სვამ?

- რად ხარ ეგრე დაღონებული? - ჰკითხა თავის მხრივ ერთმა სტუმარმა.

- სპარტაკ, ვფიცავ, იუნონას, ღმერთების დედას, - უთხრა ერთმა გლადიატორმა, რომელსაც ლაპარაკის კილოზე ეტყობოდა, სამნიტი იყო, - დღეს შენი მეგობრები შენს გათავისუფლებას ვდღესასწაულობთ და შენ კი, კაცმა რომ შემოგხედოს, ეგონება, საკუთარ დედას გლოვობსო.

- დედას? - წარმოთქვა სპარტაკმა მთლად აღელვებულმა ამ სიტყვებზე, მძიმე ფიქრებისაგან თავი ჩაჰკიდა და სახე უფრო დაეღვრიმა. მაშინ ტრებონი წამოდგა და სადღეგრძელო თქვა:

- თავისუფლებას გაუმარჯოს!

- თავისუფლებას გაუმარჯოს! - შეჰყვირეს ანთებული თვალებით გლადიატორებმა, ზეზე წამოდგნენ და თასები მაღლა ასწიეს.

- ბედნიერი ხარ, სპარტაკ, რომ სიცოცხლეშივე გეღირსა თავისუფლება, - უთხრა დაბალი ხმით ახალგაზრდა, ქერათმიანმა გლადიატორმა, - ჩვენ კი მხოლოდ საფლავიღა დაგვიხსნის.

პირველსავე სადღეგრძელოზე სპარტაკს სახე უეცრად გაუნათდა, ფეხზე წამოდგა, ჭიქა ასწია და წარმოთქვა მაღალი ხმით:

- გაუმარჯოს თავისუფლებას!

მაგრამ ქერა გლადიატორის ნატკენი გულიდან კვნესასავით წარმოთქმულმა სიტყვებმა ხელახლა დააძმარეს. თასი ვერ დაცალა, თავი ჩაჰკიდა და იდგა ჩანთქმული მწარე ფიქრებში.

რამდენსამე წუთს სიჩუმე სუფევდა ოთახში, ათი გლადიატორის თვალები სპარტაკისკენ იყო მიმართული.

ეს სიჩუმე თვითონ სპარტაკმა დაარღვია, სრულებით გადაავიწყდა, თუ სად იყო, და დაიწყო ჯერ ხმამადაბლა და მერე თანდათან უფრო მაღალი ხმით გლადიატორების სიმღერა, რომელიც აქციანის სკოლაში გაისმოდა ხოლმე თავისუფალ დროს:

ის დაიბადა თავისუფალი,
მშობლიური ცის ქვეშ, სვებედნიერი,

წამოიზარდა და ვით უდაბნოს
მეუფე ლომი, გახდა ძლიერი. მაგრამ
დაეცნენ თავს უცხო ტომნი, დღე
გაუთენეს გოლიათს მწარე, რკინის
ჯაჭვებით შებოჭეს იგი და წაიყვანეს
შორეულ მხარეს. და ახლა არა თავის
ოჯახის, არა საყვარელ სამშობლოს
ხსნისთვის, არა, უაზრო, სასტიკ
ბრძოლაში გლადიატორის იღვრება
სისხლი.

- ჩვენი სიმღერაა! - წაიდუდუნეს სიხარულით ზოგიერთებმა.

- სპარტაკს ბედნიერებისგან თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ მაშინვე, თითქოს ეს სიხარული უნდა დამალოსო, რომლის მიზეზსაც ტრებონი ვერ გაიგებდა, სახე ისევ მოეღუშა და ვითომც აქ არაფერიო, თანამოსუფრეებს ჰკითხა:

- რომელი სკოლიდან ხართ?

- ფარიკაობის მასწავლებლის, იულიუს რაბეციუსის, სკოლიდან.

მაშინ სპარტაკი კარისაკენ მიბრუნდა და ვითომ იმ დროს შემოსულ მოახლეს უთხრა:

- სინათლე!

გლადიატორებმა ერთმანეთს შეხედეს და ქერა ყმაწვილმა კაცმა, თითქოს დაწყებულ ლაპარაკს განაგრძობსო, დაბნეულად თქვა:

- და თავისუფლება! შენ ამას ვეღარავინ წაგართმევს, ძლიერო სპარტაკ!

ახლა კი თვითონ სპარტაკმა გადაჰკრა თვალი სხვანაირად პირდაპირ მჯდომარე ქერა გლადიატორს. მათ ერთმანეთს გაუგეს.

მაგრამ სწორედ იმავე წამს, როცა სპარტაკს რაღაცის თქმა უნდოდა, კარი გაიღო და ვიღაცის ძლიერმა ხმამ წამოიძახა:

- შენ თავისუფლების ღირსი იყავი, უძლეველო სპარტაკ!

ყველა კარს მიაჩერდა, რომელშიც გაუნძრევლად იდგა დიდსა და შავ პენულაში[63] გახვეული მამაკაცი. ეს იყო ლუციუს კატილინა.

კატილინას მიერ წარმოთქმულ სიტყვა „თავისუფლებაზე“ სპარტაკი და სხვა გლადიატორები, გარდა ტრებონისა, კითხვის გამომხატველი თვალებით მიაჩერდნენ მას.

- კატილინა! - შეჰყვირა ტრებონმა და დაბლა თავის დაკვრით მიეგება. იგი ზურგით იჯდა კარისაკენ და მაშინვე ვერ შენიშნა შემოსული. რომაელთა ჩვეულებით ხელი ტუჩებზე მიიდო და დაამატა:

- სალამს გიძღვნი, დიდებულო კატილინა! რომელი ღმერთის მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ შენი მობრძანების ღირსი გაგვხადე?

- შენი ნახვა მინოდა, ტრებონ, - უპასუხა კატილინამ და მაშინვე მიუბრუნდა სპარტაკს:

- აგრეთვე შენიც.

გლადიატორებმა რომ გაიგონეს მთელ რომში განთქმული სასტიკი კატილინის სახელი, რომელიც ცნობილი იყო თავისი უგულობით, მკვლელობებითა და სიმამაცით, გაოცებულებმა ერთმანეთს გადახედეს და უნდა სიმართლე ითქვას თითქმის, შეშინებულებმაც. სპარტაკიც კი, რომელსაც მკრედში მამაცურად უძგერდა გული, უნებურად შეკრთა მრისხანე პატრიცის სახელის გაგონებაზე. შუბლი შეიკრა და დაჟინებით მიაცქერდა კატილინას.

- ჩემი ნახვა? - ჰკითხა გაკვირვებულმა სპარტაკმა.

- დიახ, შენი, - წყნარად უპასუხა კატილინამ, დაჯდა და ანიშნა, რომ ყველანი დამსხდარიყვნენ, - არ მეგონა, თუ აქ შეგხვდებოდი, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ტრებონს ვიპოვნიდი და ის მეტყოდა, სად შემეძლო შენი ნახვა, უშიშარო ვაჟკაცო! სპარტაკი თანდათან უფრო მომეტებული გაკვირვებით შესცქეროდა კატილინას.

- შენ მოგცეს თავისუფლება, - განაგრძო პატრიცმა, - რომელიც საკუთარი სისხლითა და სიმამაცით შეიძინე, მაგრამ ფული არ გაქვს, რომ ისარგებლო ამ თავისუფლებით და რადგან შენი უშიშროების გამო მე დღეს გნეუს დოლაბელას ათი ათასი სესტერცი მოვუგე, მინდოდა, მენახე, რომ ნახევარი გადმომეცა, რომელიც შენ გეკთვნის, რადგან მე თუ ფულს ვწირავდი, შენ ორი საათის განმავლობაში ყოველ წუთს სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდი.

ყველა მადლიერებით ისმენდა პატრიცის კეთილშობილურ სიტყვებს, რომელმაც არათუ მარტო თავი დაიმდაბლა მოძულებულ გლადიატორებთან ლაპარაკით, კიდეც აფასებდა მათ ღირსებას და მზად იყო, ხელი გაეწოდა საშველად.

სპარტაკს ჯერ კიდევ მთლად ვერ გაეფანტა ეჭვი, მაგრამ უნებურად კი აღელდა ამისთანა დიდებული კაცის სიტყვებზე, მით უმეტეს, რომ არასდროს არ შეხვედროდა ხალხში ასეთ თანაგრძნობას.

- გმადლობ, სახელოვანო კატილინა, - უთხრა სპარტაკმა, - წრფელი გულით შემოთავაზებისთვის, მაგრამ არ შემიძლია და არც მაქვს უფლება, რომ შენი საჩუქარი მივიღო.

გიმნასტიკისა და ფარიკაობის მასწავლებლად ვიქნები ჩემს უწინდელ პატრონთან და ეს ჯერჯერობით მეყოფა.

კატილინა ცდილობდა, აერიდებინა მის გვერდით მჯდომი ტრებონის ყურადღება, გაუწოდა თავისი ფიალა და უბრძანა, ღვინო წყლით გაეზავებინა, თვითონ კი თავი დაღუნა და სპარტაკს ყურში წასჩურჩულა:

- მეც ვიტანჯები ოლიგარქების ჩაგვრით, მეც იმ დაცემული რომის საზოგადოების მონა ვარ. მე გლადიატორი ვარ პატრიციებში და მეც მინდა სინათლე და თავისუფლება...

სპარტაკი შეკრთა, შეშინებულმა უკან გადაიწია და კითხვით შესცქეროდა თავის მოსაუბრეს.

- მე ყველაფერი ვიცი, - განაგრძო მან, - მეც თქვენი მომხრე ვარ... შემდეგ ხმამაღლა

  დაუმატა:

- მაშ, მიიღე ეს ორი ათასი სესტერცი. გიმეორებ, საჩუქრად კი არ გაძლევ, შენ გეკუთვნის ისე, როგორც ჩვენი საერთო მოგების ნაწილი, - და სპარტაკს ლამაზი, პატარა ქისა გაუწოდა, შემდეგ ხელი მოჰკიდა და როგორღაც სხვანაირად ჩამოართვა, ისე, რომ სპარტაკი შეკრთა:

- ახლა ხომ გჯერა, რომ მე ყველაფერი ვიცი.

სპარტაკს თავზარი დაეცა, ვერ წარმოედგინა, საიდან გაიგო კატილინამ ზოგიერთი დაფარული სიტყვები და ნიშნები. აშკარა იყო, რომ იცოდა. გლადიატორმა ხელი ჩამოართვა პატრიცს, ქისა გამოართვა, უბეში ჩაიდო და უთხრა:

- დღეს ღისრეულად ვერ გადაგიხდი მადლობას, რადგან მეტისმეტად აღელვებული ვარ შენი გულუხვი საჩუქრით. თუ ნებას მიბოძებ, ხვალ საღამოს მოვალ შენთან, რომ მადლობა გადაგიხადო.

- ჩემს სახლში, - უპასუხა მან, - სპარტაკი მიღებული იქნება საყვარელ სტუმრად, - ახლა კი, - მიუბრუნდა ტრებონს და სხვა გლადიატორებს, - თითო ჭიქა დავლიოთ, თუ ამ ბუნაგში მოიპოვება კარგი ფალერნის ღვინო.

- თუკი ჩემი ღარიბი ქოხი იმის ღირსი გახდა, რომ შენისთანა დიდებული კაცი ეწვია, კატილინა, მაშ ერთი ამფორა ფალერნა როგორ აღარ მოიპოვება, - თავაზიანად უთხრა ცალთვალა ლუტაციამ. მძიმედ დაუკრა თავი კატილინას და ოთახიდან გავიდა.

- ახლა მე ორიოდე სიტყვა უნდა გითხრა, - მიუბრუნდა კატილინა ტრებონს.

- თქვენი მონა-მორჩილი ვარ, - უპასუხა მან. კატილინა დაბალი ხმით რაღაცას

  უამბობდა ტრებონს.

- ვიცი, ვიცი,- უთხრა უკანასკნელმა, - ის ოქრომჭედელი ეზოფორია, დუქანი რომ აქვს, წმიდა ქუჩის კუთხეში, ჰოსტილიუსის კურიის ახლოს.

- სწორედ ის არის. შენწახვალ მასთან და გადაკვრით ლაპარაკში გააგებინებ, რომ დიდი ხიფათი მოელის, თუ არ დაეხსნება იმ ხუთი ათასი სესტერცის მოთხოვნას, რომელიც მე მმართებს და რომლის დაბრუნებას ჩემგან ახლავე ითხოვს.

- მესმის, მესმის.

- ეტყვი, ვითომ გლადიატორებში უცაბედად მოკრა ყური, რომ რამდენიმე პატრიცს, ჩემს მეგობრებს, რასაკვირველია, მოუგროვებიათ გლადიატორების ბრბო და რაღაც ცუდ საქმეს უპირებენ.

- მესმის, მესმის და დარწმუნებული იყავი, კეთილშობილო კატილინა, ყველაფერს ისე შევასრულებ, რომ უკეთესი არ იქნება.

ამ დროს ლუტაციამ ფალერნის ღვინო მოიტანა და თასებში დაასხა. ღვინო ყველას მოეწონა, თუმცა კი ძალიან ძველი არ იყო.

- რას იტყვი, დიდებულო კატილინა? - ჰკითხა ლუტაციამ.

- გვარიანია.

- ლუციუს ფილიპესა და სექსტუს იულიუს კეისრის კონსულობის დროს არის დაყენებული.

- მართლა? - წამოიძახა კატილინამ და ღრმა ფიქრს მიეცა ამ კონსულების სახელების ხსენებაზე. თავი ჩაღუნა, ხელში კალის ჩანგლის ტრიალით დიდხანს იდგა უძრავად სტუმრებს შორის.

აშკარა იყო, რომ რაღაც საზარელი ცეცხლი ტრიალებდა მის გულში, რადგან ხანდახან თვალები აენთებოდა ხოლმე, ხელები უკანკალებდა, მთელი სახე უთრთოდა, შუბლზე გადაჭიმული ძარღვები სისხლით ებერებოდა და უსივდებოდა. ეჭვი არ იყო, რომ ბუნებით მეტისმეტად გულწრფელი და პირდაპირ მთქმელი იყო ეს კაცი, იმიტომ, რომ თავისი სურვილის წინააღმდეგ ვერ შეეკავებინა თავხედი ვნება, რომელიც გულს უშფოთებდა და, როგორც სარკეში, ისე იხატებოდა მის სასტიკ, მოძრავ სახეზე.

- რაზე ფიქრობ, კატილინა, ალბათ, რამე სამწუხაროზე? - ჰკითხა ბოლოს ტრებონმა, როცა კატილინამ ისე ამოიოხრა, რომ უფრო ლომის ბრდღვინვას ჰგავდა.

- ძველი ამბები მომაგონდა, - უპასუხა თავაუღებლივ კატილინამ, თან ხელში მღელვარებით ისევ ატრიალებდა ჩანგალს, - მახსოვს, იმ წელს, როდესაც ამ ამფორაში გადმოასხეს ფალერნის ღვინო, სიმუხთლით მოკლეს თავისი სახლის წინ ტრიბუნი[64] ლივიუს დრუზუსი, ისე, როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ დახოცეს ტრიბუნები ლუციუს სატურნინი; ტიბერიუს და გაიუს გრაკხუსები. ის უკეთილშობილესი ადამიანები დაიღუპნენ იმისათვის, რომ მეტად გულმხურვალედ უყვარდათ სამშობლო და მისი ჩაგრული შვილები; მათ ფლიდმა ოპტიმატებმა[65] მოუღეს ბოლო. მერე ერთი წამის შემდეგ წამოიძახა:

- დავიჯერო, მაღალმა ღმერთებმა დააწესეს, ჩაგრულმა ვერასოდეს გაიხაროს, მუდამ ლუკმაპური ენატრებოდეს, რომ ეს ქვეყანა ორად იყოს გაყოფილი - მგლებად და ცხვრებად, მტარვალებად და ჩაგრულებად?

- არა, ოლიმპოს ყველაღმერთებს ვფიცავ! - მედგარი ხმით დაიყვირა სპარტაკმა და თვალებანთებულმა მუშტი დაჰკრა მაგიდას. სახეზე სიძულვილი და რისხვა გამოეხატა.

მაგრამ, როცა შეამჩნია კატილინას გაკვირვება, მაშინვე გონს მოვიდა და უფრო დამშვიდებული კილოთი თქვა:

- არა, მე მგონი, მაღალი ღმერთები არ დააწესებდნენ ასეთ უწყალო უსამართლობას.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

პირველად კატილინამ დაარღვია ეს სიჩუმე. მის ხმაში ნაღველი და სიბრალული გამოიხატებოდა.

- საწყალი დრუზუსი, - დაიწყო მან, - ახალგაზრდა, ლომივით გამბედავი და ბავშვივით სათნო იყო და სწორედ იმით ისარგებლეს მისმა მტრებმა, რომ ბოლო მოეღოთ მისთვის.

- მეც მახსოვს, - თქვა ტრებონმა, - სენატორებს რომ მიმართა, როცა ისევ მოითხოვდა აგრარული კანონების დამტკიცებას: „თქვენ ყველაფერი წაართვით ხალხს, რაც კი წაერთმეოდა, არა დაუტოვეთ რა სინათლისა და ჰაერის მეტი, და არც იმას დაანებებთ, თქვენს ხელთ რომ ყოფილიყო!“

- მისი უმძვინვარესი მტერი იყო კონსული ლუციუს ფილიპე, რომელსაც ერთხანად ხალხი აუჯანყდა და ასო-ასო გაგლეჯდნენ, რომ ისევ იმავე დრუზუსს არ დაეხსნა საპყრობილეში წაყვანით. მაინც ხომ მოასწრეს ფილიპეს გვერდების დაზელვა და ცხვირის ჩაჭეჭყვა ისე, რომ სისხლის ნაკადული ჩამოსდიოდა წვერზე!

- ამბობენ, - განაგრძო კატილინამ, - დრუზუსმა გასისხლიანებული ფილიპე რომ დაინახა, შესძახა: ეს სისხლი კი არა, ქათმის წვენიაო. ამით ფილიპეს ღორმუცელობას გადაჰკრა.

ამ დროს, როდესაც პატარა ოთახში ეს ლაპარაკი იყო, დიდ ოთახში გაისმოდა ჭირვეული და უკადრისი ლაპარაკი და თან უფრო და უფრო ემატებოდა, რამდენიც ღვინის ამფორები იცლებოდა. უცებ კატილინას და მის ამხანაგებს მოესმათ ძახილი.

- როდოპია, როდოპია!

ამ სახელის გაგონებაზე სპარტაკი შეკრთა. მას მოაგონდა თავისი თრაკია, თავისი მთები, თავისი სახლ-კარი, თავისი საბრალო ოჯახი. რამდენმა მწარე და ტკბილმა მოგონებამ გაიღვიძა მასში.

- მობრძანდი, კეთილი იყოს შენი მოსვლა, მშვენიერო როდოპია! - ყვიროდა რამდენიმე ხმა.

- აჰა, დალიე! ხომ ამისთვის მოხვედი?! - ჰკითხა მესაფლავემ და ღვინო დაუსხა. ყველა ქალს შემოეხვია. მართლაც, ძალიან ლამაზი იყო. იქნებოდა ასე ოცის წლის. მის დალაგებულ პირისახეს მშვენიერი ლურჯი თვალები ამშვენებდა. გრძელი, ქერა ნაწნავები მხრებზე გადაჰყროდა და ლერწამ ტანს შემოხვეოდა. ტანზე ეცვა ცისფერი ტუნიკა, ვერცხლის ფოჩით მოვლებული; მაჯებზე უბრწყინავდა ვერცხლის სამაჯურები; თხელი, ცისფერივე პირბადე თავზე ჰქონდა გაკრული დაშუბლს ნახევრამდე უფარავდა. შეხედულებით ეტყობოდა, რომ რომაელი კი არა, მონა იყო.

რამდენადაც ეტყობოდა იმ მეტისმეტად ალერსიან, ზრდილობიან მიღებას, როგორითაც სამიკიტნოს ბრიყვი და გარყვნილი მუშტრები მიეგებნენ, ეს ქალი ბევრად მაღლა უნდა მდგარიყო თავის საზარელ მდგომარეობაზე. ეჭვი არ იყო, რომ მოჩვენებითი მხიარულების მიუხედავად თავს უბედურად გრძნობდა.

ლუტაციას ბინაში ის რამდენიმე თვის წინათ მივიდა. ცემისგან დალურჯებული და დასისხლიანებული გამოქცეოდა თავის მაჭანკალ პატრონს. აქ მიუალერსეს, ერთი ყლუპი ღვინო დაალევინოს და ამის შემდეგ ყოველ ორ-სამ დღეში შეივლიდა ხოლმე ლუტაციასთან,

სადაც ისვენებდა იმ ჯოჯოხეთური ცხოვრებისაგან, რომელშიც მის ბოროტ პატრონს ჰყავდა ჩათრეული. თავისი სანდომიანი სახით და ალერსიანი, მაგრამ ზრდილობიანი ქცევით ისე მოულბო გული „დამმარხველ ვენერას“ რეგვენ მუშტრებს, რომ ისინიც მამაშვილურად ექცეოდნენ.

როდოპია იჯდა ლუტაციას გვერდით და მეგობრებისგან მიწოდებული თასიდან ღვინოს ხვრეპდა. უეცრად ოთახის მეორე კუთხეში ალიაქოთი ატყდა.

იქ მესაფლავე ლუვენიმ, მისმა ამხანაგმა, სახელად არეზიმ და მათხოვარმა ველენიმ სიმთვრალით გათამამებულებმა უშვერი პირით დაიწყეს ყველა პატრიცის ლანძღვა და კერძოდ კატილინასიც, რომლის ყოფნა სამიკიტნოში აღარ იყო არავისთვის დაფარული.

- არა, ჰერკულესს ვფიცავ, - ღრიალებდა არეზი, - ამ ჩვენი სისხლისა და ოფლის მწოვ წურბელებს არ მივცემ ნებას, რომ შეურაცხყოფა მოგვაყენონ იმ ადგილას ყოფნით, სადაც გვეღირსება ხოლმე დასვენება! დაიკარგოს აქედან!

- ფეხებზე გვკიდია ჩვენ ეს კატილინა! სულას ქოფაკი ძაღლი! როგორ ბედავს აქ მოსვლას! რომ სასაცილოდ აიგდოს ჩვენი სიღარიბე და დამცირება?! მერე ვისი ბრალია, რომ ჩვენ ასე ღარიბ-ღატაკნი ვართ? განა ეგ თვითონ და მისი მეგობარი პატრიციები არ არიან დამნაშავეები?

გაიძახოდა პირზე დორბლმორეული ლუვენი და ცდილობდა, ხელიდან გასხლტომოდა იმ ბრგე კაცს, რომელსაც ჩაბღუჯული ჰყავდა, რომ იმ ოთახში არ შევარდნილიყო, სადაც კატილინა და მისი მეგობრები ვახშმობდნენ.

- გაჩერდები თუ არა, შე წყეულო ლოთო! - ეუბნებოდა ტაურივი, - რატომ ეხები იმათ, ვინც არ გერჩის? ვერ ხედავ, რომ ათი თუ თორმეტი გლადიატორი ახლავს თან და შეუძლიათ შენი სხეული ცომად აზილონ, ბებერო ჯაგლაგო?

- ფეხებზე მკიდია გლადიატორები! - ყვიროდა გაცოფებული ემილიუს ვარინიუსი, - თქვენ, რომის მოქალაქენო, შეგეშინდათ იმ საზიზღარი მონებისა, რომლებიც მხოლოდ ერთმანეთს ხოცავენ ჩვენ გასართობად! ვფიცავ აფროდიტას ღვთაებრივ სილამაზეს, უნდა ვუჩვენოთ სეირი ამ ძვირფასტოგიან არამზადას, რომელშიც თავი მოუყრია სულმდაბალი მდაბიოების და პატრიციების ყველა ცოდვას.

- დაიკარგოს თავის პალაცინში! - ყვიროდა ყველა.

- ჯანდაბამდე გზა ჰქონია! ოღონდ აქედან დაიკარგოს!

- თავი დაგვანებონ ამ წყეულმა ოპტიმატებმა, ნუ მოძვრებიან იმ ჩვენს ცელიუმში, ნურც სუბურაში, ნურც ესკვილინში, წაეთრენ ფორუმებზე, კაპიტოლიუმსა[66] და პალაცინებში და ჩაიხრჩონ თავიანთ უსირცხვილო ღრეობებსა და ორგიებში.

- დაიკარგონ აქედან ოპტიმატები, დაიკარგოს კატილინა! - შეჰყვირა ერთად რვა თუ ათმა კაცმა. ამ ხმის გაგონებაზე კატილინა წამოხტა სისხლიანი თვალებით, კართან გაჩერდა და არ უშვებდა გლადიატორებს დასახმარებლად, რომ არ შეტაკებოდნენ იმ არამზადებს. გულზე ხელები დაიკრიფა, თავი მაღლა ასწია და დაიყვირა:

- ეჰეი, თქვე ბაყაყებო, რას აყიყინდით? როგორ ბედავთ თქვენი პირით ჩემი სახელის გაბინძურებას? რა გინდათ თქვენ კატილინასთან, თქვით, საზიზღარო ლაჩრებო!

ამ ხმამ ერთ წუთში გააშტერა მთვრალი ყრილობა, მაგრამ ისევ მალე მოისმა ვიღაცის ხმა:

- გვინდა, რომ აქედან დაიკარგო!

- გასწი შენს პალაცინში!

- ან სახრჩობელაზე, სადაც სწორედ შენი ადგილია! - დაიყვირა ყურისწამღები ხმით ემილიუს ვარიუნისმა.

- მაშ კარგი, გამიგდეთ რაღა! აბა, მარჯვედ, ჰეი, თქვე არამზადებო, თქვენა! - დაუყვირა კატილინამ და საჩხუბრად მოემზადა. რამდენიმე წამს მის მტერთაგან არავინ განძრეულა.

- ვფიცავ ჯოჯოხეთის ღმერთებს, რომ შენ გაქცეულს ვერ მომკლავ, ისე, როგორც გრატიდიანპი მოკალი! ჰერკულესი ხომ არ ხარ! - შეჰყვირა ბოლოს არეზიმ და მიიწია.

მაგრამ ამ დროს ისეთი მძიმე მუშტი ჩაჰკრა კატილინამ მკერდში, რომ დარეტიანდა და თავის ამხანაგებს გადააწყდა.

იმავე დროს მესაფლავე ლუვენიც ეცა კატილინას, მაგრამ კატილინა ელვის სისწრაფით იქნევდა მუშტებს აქეთ-იქით და მოტიტვლებულ თავში ორი მძიმე მუშტის მოხვედრის შემდეგ მესაფლავე გულაღმა გაიშოტა კედელთან. დაფეთებული ქალები ოთახის კუთხეში მიკრუნჩხულიყვნენ და გაჰკიოდნენ.

მოჩხუბრების ხმაური, მაგიდებისა და სკამების ბრახუნი, ჭურჭლის მსხვრევა, დაშავებულების კვნესა, ლანძღვა და წყევლა-კრულვა ირეოდა. ტრებონი, სპარტაკი და გლადიატორები ეხვეწებოდნენ კატილინას, რომ გაეშვა ისინი და იმ ლოთებს გასწორებოდნენ.

ამ დროს მათხოვარი ველენი ეცა კატილინას დანით, მაგრამ მან ფეხი ჰკრა მუცელში და მიწაზე დაანარცხა.

როცა დაინახეს, ველინი დაეცაო, უკანა ოთახის კართან შეჯგუფებულმა ბრბომ უკან დაიწია. კატილინამ მოკლე მახვილი იძრო, გამოეკიდა და მტრებს სიბრტყით დაუშინა მარცხნივ და მარჯვნივ, თავსა და გულში.

- სულმდაბალნო! - ყვიროდა კატილინა, - ყოველთვის მზად ხართ, ფეხიულოკოთ იმათ, ვინც ფეხქვეშ გთელავთ და ტალახში გსვრით და შეურაცხყოფთ იმას, ვინც თავს იმდაბლებს და ხელს გიწვდით საშველად!

როგორც კი კატილინა კარს მოშორდა, ტრებონი, სპარტაკი და სხვა გლადიატორები ოთახში შეცვივდნენ. ლოთების მთელი ბრბო გარბოდა. დარჩნენ მარტო მესაფლავე და მათხოვარი უგონოდ იატაკზე დაყრილები, და გაიუს ტაურივი, რომელიც არანაირ მონაწილეობას არ იღებდა ჩხუბში და გულხელდაკრეფილი ფეხზე იდგა.

- ლაჩრები! - წამოიძახა შეგუბებული ხმით კატილინამ. მერე მტირალ ქალებს მიუბრუნდა და დაუყვირა: - გაჩუმდებით თუ არა, თქვე წყეულო მოზარეებო? - აჰა, შენ! - დაუმატა და დახლზე რამდენიმე ოქრო გადაუგდო ლუტაციას, რომელიც თავის დამსხვრეულ ჭურჭელს, სკამებს და გადაუხდელ ვახშამს დასტიროდა, - მე გისწორდები ყველა იმ არამზადის ნაცვლად.

ამ დროს როდოპია შიშისგან გაფართოებული თვალებით შესცქეროდა კატილინას და მის ამხანაგებს. უცებ გაფითრებული ეცა სპარტაკს:

- სპარტაკ! ჩემო საყვარელო სპარტაკ! შენ ხარ? - შეჰყვირა ქალმა.

გლადიატორმა შეხედა და აღელვებით შესძახა:

- მირცა! ჩემი და! ნუთუ, ეს დასაჯერებელია მირცა, ჩემი და!

და-ძმანი ერთმანეთს კისერზე ჩამოეკიდნენ, სხვები კი გაკვირვებით შესცქეროდნენ.

მაგრამ გული მოიოხა თუ არა სპარტაკმა კოცნითა და ცრემლების ღვრით, უცებ განზე გადგა, მხრებში სწავდა დას და თავით ფეხებამდე სინჯვა დაუწყო. მომაკვდავის ფერი დაედო და აკანკალებული ხმით წასჩურჩულა:

- მერე შენ... შენ ოჰ, ღმერთებო! - წამოიკვნესა და ხელები თავში წაივლო.

- მე... მონა ვარ! - გულამოსკვნილი ეუბნებოდა ქალი,- მონა ვარ უმსგავსისა... გესმის? წკეპლები, ტანჯვა, გახურებული რკინა... ოჰ, სპარტაკ, სპარტაკ!

- საბრალო! - წარმოთქვა ნამტირალევი ხმით გლადიატორმა, - მოდი, გულში ჩამეკარი! - და ალერსით ჩაიკრა გულში.

4. რას აკეთებდა სპარტაკი გათავისუფლების შემდეგ

ორმა თვემ განვლო ზემოთ აღწერილი ამბების შემდეგ.

დილით, 676 წლის 12 იანვარს ჩრდილოეთის ქარი ქროდა რომის ქუჩებში.

ბურუსიანი და მოსაწყენი დღე იყო. თოვლის ფანტელები ირეოდა ჰაერში და ატალახებდა ქუჩებს.

ფორუმზე მოსული მოქალაქეები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ. იშვიათად გამოდიოდნენ ამ დღეს მოედანზე. ათასობით ირეოდნენ ფორუმის დერეფნებში, ჰოსტილიუსის კერიაში, გრეკოსტაზში[67] და განსაკუთრებით პორციას, ფულვიას, ემილიუსის ბაზილიკებში და თანხმობის ტაძარში, რომელიც 388 წელს რომის ქორონიკონით ააგო ფურია კაილუსმა, მისი დიქტატურის ბოლო ხანებში, ნიშნად მშვიდობიანი კავშირისა პატრიციებსა და პლებეებს შორის.

ემილიუსის ბაზილიკა აეშენებინა მარკუს ემილიუს ლეპიდუსის წინაპარს, რომელიც ამ წელს

კვინტუს ლუტაციუს კიტულუსთან ერთად კონსულად აერჩიათ და პირველი იანვრიდან შესდგომოდა ის თავისი მოვალეობის აღსრულებას.

მარკუს ემილიუს ლეპიდუსი როგორც კი კონსული გახდა, პირველად ბრძანა, ჩუქურთმით შეემკოთ ბაზილიკა, რომელიც მისმა წინაპარმა ააშენა 573 წელს რომის ქორონიკონით. ამით უნდოდა სახელი გაეტეხა სულასთვის, რომელმაც დაამსხვრია ყველა თაღი და ძეგლი, აგებული წინა დიქტატორის სადიდებლად.

ბაზილიკის გალერეაში, მარმარილოს მოაჯირზე ნიდაყვდაყრდნობილი იდგა სპარტაკი და გულგრილად შეჰყურებდა ერთმანეთში ჭიანჭველასავით არეულდარეულ ათასნაირ ხალხს.

სპარტაკს ტანზე ცისფერი ტუნიკა ეცვა და ზედ წამოსხმული ჰქონდა მუქი მეწამულისფერი ბერძნული პალა, მარჯვენა მხარზე ვერცხლის აბზინდით შეკრული.

იქვე ახლოს სამი მოქალაქე რაღაცაზე ცხარედ ებაასებოდა ერთმანეთს. ორი მაგთანი ჩვენი ნაცნობები იყვნენ: უზარმაზარი ტანის გაიუს ტაურივი და მიმიკოსი მსახიობი ემილიუს ვარინიუსი. მესამე ეკუთვნოდა რომის იმ მოქალაქეთა რიცხვს, რომლებიც სიცოცხლეს უსაქმურობაში ატარებდნენ და ცხოვრობდნენ მდიდარი პატრიციების წყალობით. ამისათვის ეს

კლიენტები[68], როგორც ამ ხალხს ეძახდნენ, ყოველთვის თან ახლდნენ მწყალობლებს ფორუმზე, კომიციაში[69] და აძლევდნენ ხმას იმათ, ვისაც ისინი უბრძანებდნენ; თან ილაჯს უწყვეტდნენ მათ მოწყალების განუწყვეტელი თხოვნით.

ეს ის დრო იყო, როცა რომი აზიასა და აფრიკაში გამარჯვებების შემდეგ ფუფუნებასა და აღმოსავლური სიზარმაცის ჭაობში ეფლობოდა, როცა რომაელების იარაღით ძლეულმა საბერძნეთმა იმით მაინც გაიმარჯვა თავის დამპყრობლებზე, რომ მოწამლა ფუფუნებისა და გახრწნილი ცხოვრების სენით. ურიცხვი მონები ახლაყველა იმ სამუშაოს ასრულებდნენ, რასაც აქამდე თავისუფალი, შრომისმოყვარე რომის მოქალაქეები აკეთებდნენ.

ის, ვინც ტაურივსა და ემილიუს ვარინიუსს ელაპარაკებოდა ბაზილიკის გალერეიაში, იყო აპულიუს ტუდერიუსი, მარკუს კრასუსის კლიენტი. ტუდერიუსს იმიტომ ეძახდნენ, რომ მისი წინაპრები ტუდერიდან ჩასულიყვნენ რომში.

სამივენი სპარტაკის შორიახლო იდგნენ და საუბარი ჰქონდათ საზოგადო საქმეებზე, მაგრამ სპარტაკს არაფერი ესმოდა, მწარე ფიქრებში იყო ჩანთქმული.

მას შემდეგ, რაც „დამმარხველ ვენერას“ სამიკიტრნოში თავის დას შეხვდა და შეიტყო, რა

საზარელ მდგომარეობაშიც იყო მირცა, პირველი ფიქრი, პირველი ზრუნვა საწყალი თრაკიელისა ის იყო, რომ როგორმე გამოეგლიჯა ხელიდან იმ კაცისთვის, რომელმაც ის ასე დაამცირა. კატილინას გულუხვობამ ამჟამადაც უშველა. ახალგაზრდა პატრიცმა მაშინვე შესთავაზა დის გამოსახსნელად ის დანარჩენი, დოლაბელასაგან მოგებული რვა ათასი სესტერციც.

სპარტაკმა დიდი მადლობით მიიღო ეს ფული და შეჰპირდა, რომ პირველსავე შემთხვევაში დაუბრუნებდა, რაზედაც კატილინამ ცივი უარი უთხრა. სპარტაკი მაშინვე წავიდა მირცას პატრონთან.

ცხადია, მირცას პატრონმა რომ დაინახა სპარტაკის შეწუხებული სახე და როგორ ესწრაფვოდა ის დის გათავისუფლებას, ფასს აუწია უთხრა, რომ მირცა ოცხდახუთი ათასი სესტერცი დაუჯდა. რომ ქალი ყმაწვილი იყო, ლამაზი, ზრდილობიანი, ყველას ძალიან მოსწონდა და გამოუცხადა, რომ ეს ქალი ორმოცდაათი ათასი სესტერცი მაინც ღირდა და მერკური და ვენერა დაიფიცა, რომ ამაზე ნაკლებად არ დაუთმობდა.

სპარტაკი ევედრებოდა, აბრალებდა თავს მუხლზე დაჩოქილი იმ უმსგავსს, მაგრამ მან იცოდა, რომ ვერავინ ვერაფერს უზამდა, კანონი იმისკენ იყო და გაკერპდა.

მაშინ სპარტაკი ფეხზე წამოდგა, ყელში სწვდა და ეჭვი არ არის, დაახრჩობდა, რომ არ მოჰგონებოდა თავისი სამშობლო და ის იდუმალი საქმე, რაც მისთვის წმიდათა წმიდა იყო. თუ პატრონს დაახრჩობდა, თვითონაც დაიღუპებოდა და ის საქმეც განწირული იქნებოდა.

გული დაიმშვიდა და ხელი გაუშვა იმ საზიზღარს, რომელიც თვალებგადმოკარკლული და გალურჯებული პირისახით რამდენიმე ხანს გონზე ვერ მოსულიყო. მერე, ცოტა ხნის შემდეგ, სპარტაკმა დამშვიდებულის ხმით ჰკითხა.

- მაშ შენ ორმოცდაათი ათასი სესტერცი გინდა?

- არაფერი... არ მინდა რა... დაიკარგე, დაიკარგე ჯანდაბას... თორემ ყველა ჩემს მონას დავუძახებ.

- მაპატიე... ავჩქარდი... სიღარიბე... ძმური სიყვარული... გამიგონე, ვივაჭროთ, იქნებ მოვრიგდეთ!..

- მოვურიგდე ავაზაკს, რომელიც პირველსავე სიტყვაზე ახრჩობს კაცს! - თქვა ცოტათი დამშვიდებულმა პატრონმა. - არა, არა, დამეკარგე აქედან!

მაინც, როგორც იქნა, მოახერხა საწყალმა თრაკიელმა მისი დამშვიდება და დაყოლიება.

სპარტაკმა მაშინვე შესთავაზა ორი ათასი სესტერცი იმ პირობით, რომ მირცა ცალკე სადგომში დაებინავებინა, სადაც სპარტაკიც დაიდებდა ბინას. თუ ერთი თვის შემდეგ დას ვერ დაიხსნიდა, მაშინ მირცა ისევ მას დარჩებოდა.

ბაჯაღლო ოქროები მომხიბლავად ბრწყინავდა. პირობა საუკეთესო იყო, რადგან უმსგავსი არაფერს კარგავდა, პირიქით, ორი ათას სესტერცს იგებდა, და დასთანხმდა.

დააბინავა თუ არა თავისი და ცალკე სადგომში, პატრონის სახლის შორიახლოს, სპარტაკმა მაშინვე გასწია სუბურაში, სადაც ტრებონი ცხოვრობდა.

უამბო თავისი გაჭირვება და შველა სთხოვა.

ტრებონმა იმედი მისცა და დაჰპირდა დახმარებას, რომ თუ სრულ თავისუფლებას ვერ მისცემდა, იმ დამცირებული ცხოვრებიდან მაინც დაიხსნიდა მირცას.

ამ დაპირებით ცოტა დამშვიდებული სპარტაკი კატილინასთან წავიდა და მადლობით

დაუბრუნა რვა ათასი სესტერცი, რადგან აღარ სჭირდებოდა. აღელვებული პატრიცი დიდხანს ემუსაიფებოდა გლადიატორს თავის წიგნსაცავ ოთახში და უეჭველია ფრიად სამძიმო საგანზე, ეს ჩანდა კატილინას სიფრთხილიდან, რომ არავის დაეშალა მათთვის ლაპარაკი. ასე იყო თუ ისე, ამ დღიდან ძალიან ხშირად დაიარებოდა პატრიცსთან და მათ შორის დამყარდა მეგობრობა და პატივისცემა.

იმ დღიდან, რაც თავისუფლება მიიღო, სპარტაკს უკან დასდევდა მისი ყოფილი ანტრეპრენიორი აქციანი და თავს აბეზრებდა: შენი მდგომარეობა მტკიცე არ არის, სადმე მუდმივ ადგილას უნდა მოეწყო, რომ ლუკმაპურით უზრუნველყოფილი იყოო და თან სთავაზობდა მასწავლებლის ადგილს გლადიატორების სკოლაში, ან ისევ მიეყიდა თავი გლადიატორად.

თავისუფლებს ეძახდნენ მათ, ვინც თავისუფალი მოქალაქეების ან გათავისუფლებულების - თავისუფალი მსახურისა და მოახლის, ან მსახურისა და თავისუფალი მოქალაქის შვილები იყვნენ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გარდა იმათისა, ვინც ომების დროს მონებად იქცეოდნენ და შემდეგ გლადიატორებად ჰყიდდნენ, ან ზოგჯერ რაიმე სასჯელის გამო გადააქცევდნენ გლადიატორებად, იყვნენ აგრეთვე მოხალისე გლადიატორები. ესენი გახლდნენ უსაქმურები, ლოთები, ყელამდე ვალებში ჩაფლული შფოთის თავები, აღვირახსნილი ჟინი და ვნება რომ ვერ

დაეოკებინათ, და თავზეხელაღებული პლებეები. როცა თავს გლადიატორებად ჰყიდდნენ, ფიცსაც სდებდნენ, თავიანთი სიცოცხლე ამფითეატრებში ან ცირკის არენებზე დაესრულებინათ.

სპარტაკმა, ცხადია, გადაჭრით თქვა უარი თავისი ყოფილი პატრონის წინადადებაზე და გააფრთხილა კიდეც, შემდგომში თავი აღარ შეეწუხებინა იმაზე ზრუნვით, მაგრამ აქციანი თავს მაინც არ ანებებდა და გარს უტრიალებდა, როგორც ბოროტი სული, თუ უბედურების მაუწყებელი.

ტრებონი, რომელსაც სპარტაკი უყვარდა, სერიოზულად მოეკიდა მირცას საქმეს. როგორც მეგობარმა და დიდმა თაყვანისმცემელმა ჰორტენზიუსის ორატორული ნიჭისა, შესთავაზა ვალერიას, მის დას და სულას მეუღლეს, რომ ეყიდა მირცა თავის მოსამსახურედ. მირცა ლამაზი, განათლებული ქალი იყო, ლაპარაკობდა ბერძნულად და კარგად იცოდა სხვადასხვა სურნელოვანებისა და წასასმელების მომზადება, რასაც პატრიციების ოჯახებში ხმარობდნენ.

ვალერიამ აღუთქვა, რომ ქალის ყიდვაზე უარს არ იტყოდა, თუ მოეწონებოდა. მოინდომა მისი ნახვა და ძალიან კმაყოფილი დარჩა. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ ვალერიამ გამოისყიდა მირცა ორმოცდახუთი ათას სესტერცად.

თუმცა ამისთანა ბოლო სრულიად არ აკმაყოფილებდა სპარტაკს, რადგან თავისი და უნდოდა სრული თავისუფალი ენახა, მაგრამ კარგად ესმოდა, რომ ჯერჯერობით უკეთესს ვერას მოელოდებოდა მირცასთვის; ამას გარდა, გათავისუფლებული მაინც იყო, უეჭველია, სამუდამოდაც იმ საზარელი ცხოვრებიდან, რაც მას თავის ბატონთან ჰქონდა.

დამშვიდდა თუ არა ამ მხრივ, სპარტაკი მთლად მიეცა თავის საიდუმლო საქმეს. განუწყვეტლივ დადიოდა კატილინასთან და დიდხანს ელაპარაკებოდა. შეჯიბრებების დროს ყოველდღე შეხვდებოდით მას რომის სხვადასხვა გლადიატორების სკოლებში, სუბურსა და ესკვილინის სამიკიტნოებში, ღამე დასადგომ სახლებში და სხვა საკრებულო ბანაკებში, სადაც ყოველთვის მონები და გლადიატორები იკრიბებოდნენ.

რისთვის ემზადებოდა?

მკითხველი ამას მალე გაიგებს. ახლა კი იდგა ემილიუსის ბაზილიკის გალერეიაში და იმდენად იყო გართული თავის ფიქრებში, რომ არც ერთი სიტყვა არ გაუგონია გაიუს ტაურივის, ემილიუს ვარინიუსისა და აპულიუს ტედერიუსის ხმამაალი ლაპარაკიდან.

- ძალიან კარგად უქნია, ძალიან კარგად, - გაიძახოდა იმ დროს გაიუს ტაურივი, - მაგ სულას

ეგონა, რომ ადვილად მოსპობდა მარიუსის ღვაწლის ხსენებას! ჰა, ჰა, ჰა! დარწმუნებული იყო, რომ ამისათვის საკმარისი იყო პინცის ბორცვზე მარიუსის სადიდებლად აგებული ანდრიანტის გადმოგდება და სატრიუმფო თაღის დაქცევა, რომელიც კაპიტოლიუმზე კიმბრებზე გამარჯვების სადიდებლად ააგეს. არა, თავისი მძვინვარებით მას შეუძლია მხოლოდ გაანადგუროს მთელი ქალაქი, მთლად ამოჟლიტოს მცხოვრებნი, მაგრამ ვერ შეძლებს დაგვავიწყოს, რომ იუღურთა დაამარცხა მარიუსმა და არა სულამ.

- სულელი! - გასწიოდა თავისი ქალური ხმით ემილიუს ვარინიუსი, - ლეპიდუსმა აიღო და მის ჯიბრზე სულ ჩუქურთმით შეამკო ეს ბაზილიკა.

- ოჰ, ეს ლეპიდუსი კრიჭაში უდგას დიქტატორს!

- ლიპიდუსი! - ზიზღით წარმოთქვა მარკუს კრასუსის სქელმა კლიენტმა, - რას უზამს სულას ვიღაც ლეპიდუსი? - იმას, რასაც კოღო -სპილოს.

- მაგას ნუ იტყვი! - თქვა ტაურივიმ, - ტყუილად კი არ იყო სულა მისი არჩევის წინააღმდეგი. კუდი ეწვის. ლეპიდუსი მარიუსის მეგობარია.

- განა არ იცი, რომ ლეპიდუსი მარტო კონსული კი არა, ძალიან მდიდარიც არის, შენს მარკუს კრასუსზედაც მდიდარია.

- მდიდარი რომ არის, ვიცი, მაგრამ ვერ დავიჯერებ, თუ მარკუს კრასუსზე მდიდარია.

- გინახავს ლეპიდუსის სახლის დერეფანი? ის ყველაზე მდიდრული, დიდებული დერეფანია არა მარტო პალიცაში, მთელ რომშიაც.

- მერე რა, რომ მთელ რომში ყველაზე ლამაზი სახლი მაგას აქვს?

- მისი სახლი ერთადერთია, რომლის დერეფანიც ნუმიდიური მარმარილოთია აშენებული.

- რაო მერე, ამით შეაშინებს სულას?

- ეს ამტკიცებს, რომ იგი ძლიერია და ხალხს უყვარს.

- იგი პლებეებს უყვართ, და განა ნაკლებს საყვედურობენ ამ თავშეუკავებელი ფლანგვისა და ფუფუნებისთვის?

სწორედ ამ დროს სპარტაკთან მივიდა საშუალო ტანის, მაგრამ მხარბეჭიანი კაცი და მის მხარს შეეხო. ეს იყო სპარტაკის ერთი მეგობართაგანი - გალი კრიკსი.

- დავიჯერო, ისე გაერთე ფიქრებში, რომ იცქირები და ვერ ხედავ? - ჰკითხა სპარტაკს.

- ოჰ, შენა ხარ, კრიკს? - წარმოთქვა სპარტაკმა და ხელი შუბლზე გადაისვა, თითქოს მძიმე ფიქრების გადაყრა უნდაო, - ვერ შეგნიშნე.

- პირდაპირ მე კი მიყურებდი, როდესაც ქვევით ჩვენს მასწავლებელ აქციანთან ვსეირნობდი.

- რაო? რა საქმე გაუჩნდა შენთან?

- ჩამციებია, დაგაჯერო, რომ ისევ გლადიატორად მიესყიდო. ორმოცი ათას სესტერცს გპირდება.

- ოჰ, წყეულიც იყოს თავისი სესტერცებით! - სიბრაზით წამოიძახა სპარტაკმა, - სხვა ახალი ამბავი რა იცი?

- არტორიქსი ვნახე. მოგზაურობიდან დაბრუნდა.

- კაპუაში იყო?

- იყო.

- მოელაპარაკა ვისმე?

- ერთ გერმანელს, სახელად ენომაის. ის ყველაზე ღონივრი და გამბედავია მთელ სკოლაში.

- მერე? - ჰკითხა მოუთმენლად სპარტაკმა.

- იმ ენომაისაც ისსდებია გულში, რაც ჩვენ. მაშინვე დასთანხმებია არტორიქსს ჩვენთან შემოერთებაზე და დაჰპირებია ჩვენი წმინდა და სამართლიანი იდეის, მაპატიე, უნდა მეთქვა, შენი, ქადაგებას ლენტულუს ბატიატის სკოლის მამაც გლადიატორებში.

- ოჰ, - წარმოთქვა დაბალი ხმით სპარტაკმა და სიხარულით აღაპყრო თვალები მაღლა, - თუ ოლიმპოს ღმერთები არ მოგვაკლებენ თავის მფარველობას, რამდენიმე წლის შემდეგ მონობა მოისპობა დედამიწის ზურგზე!

- არტორიქსი ამბობს, - განაგრძო კრიკსმა, - რომ ეს ენომაი ძალიან მამაცია, მაგრამ მეტად ფიცხი, გაუფრთხილებელი და წინდაუხედავიო.

- ოჰ, ეგ ცუდია, ძალიან ცუდი, ვფიცავ ჰერკულესს!

- მეც აგრე ვიფიქრე.

ორივე რუდიარი რამდენიმე ხანს ჩუმად იყო. ბოლოს კრიკსმა ჰკითხა:

- კატილინა?

- თანდათან ვრწმუნდები, - უპასუხა სპარტაკმა, - რომ ის თავის დღეში ჩვენს მხარეს არ დაიჭერს.

- მაშ იმის გულადობასა და გამბედაობაზე ლაპარაკი სულ ტყუილი ყოფილა?..

- არა! ის უშიშარია და ძალიან ჭკვიანიც, მაგრამ რომაელია: მას სურვილი აქვს, ისარგებლოს ჩვენი მახვილით, რომ მმართველობის წესი შეცვალოს და არა თვით ის ბარბაროსული კანონები, რომლებზე დაყრდნობითაც რომი მთელი მსოფლიოს მბრძანებელი გახდა. შემდეგ დაუმატა:

- ამ საღამოს მასთან თავს მოიყრიან მისი მეგობრები, მე მივალ, რომ უკანასკნელად მოველაპარაკო საერთო საქმის შესახებ, თუმცა კი მეშინია, რომ არაფერი გამოვა.

- ვითომ ჩვენი საიდუმლო მანაც იცის და მისმა მაგობრებმაც?

- ნუ წუხხარ, არსად გაამხელენ. რომაელებს ისე ვეზიზღებით, რომ სასაცილოდაც კი არ ჰყოფნით ჩვენი ცდა მათგან თავი დავიხსნათ; რომაელებს არ ეშინიათ მონებისა, გლადიატორები მათთვის სერიოზულ საფრთხეს არ წარმოვადგენთ.

- იმათ ჩვენ ადამიანებად კი არა, პირუტყვებად მივაჩნივართ. მონებსაც კი, თვრამეტი წლის წინათ სიცილიაში სირიელი ევნუსის მეთაურობით რომაელებს რომ ებრძოდნენ, უფრო მეტად აფასებდნენ, ვიდრე ჩვენ.

- იმათ ადამიანებადაც კი თვლიდნენ.

- ჩვენ კი მდაბალი რასა ვართ.

- სპარტაკ! - შეჰყვირა კრიკსმა და თვალები აევსო რაღაც მხეცური ცეცხლით, - შენ რომ ცირკში სიკვდილს გადამარჩინე, იმაზე უფრო მეტად იმიტომ მიყვარხარ, რომ ეგრე მტკიცედ მიგყავსჩვენი მძიმე საქმეყოველი დაბრკოლების მიუხედავად! მოგვეცი დრო, როდესმე შენი უფროსობის ქვეშ დავენახოთ ამ მძარცველებს და ვაჩვენოთ ტრიალ მინდორზე მართლა მდაბალი მოდგმისანი ვართ თუ არა!

- სანამ პირში სული მიდგას, ჩვენი საერთო საქმის სასარგებლოდ ვიბრძოლებ, - თქვა მტკიცედ სპარტაკმა, - ან დავაბოლოვებ, ან თავს შევწირავ.

- სპარტაკ, ჩემო მხსნელო, შენისთანები დიადი საქმეებისთვის იბადებიან, ბოლოს კი გმირები ხდებიან.

- ან ტანჯულები! - თქვა სპარტაკმა და ჩაფიქრებულმა ჩაჰკიდა თავი. ამ წუთში გაისმა

ემილიუს ვარინიუსის ყურის წამღები ხმა:

- წავიდეთ, გაიუს, აპულიუს, განხეთქილების ტაძარში. გავიგოთ სენატის ახალი გადაწყვეტილებები.

- განა დღეს სენატი თანხმობის ტაძარში არ თათბირობს? - ჰკითხა ტუდერიუსმა.

- ჰო, - მიუგო ვარინიუსმა.

- ახალში თუ ძველში?

- რა უგუნური ხარ! მაშინ ხომ გეტყოდი, თანხმობის ტაძარში წავიდეთ-მეთქი. რომ გეუბნები, განხეთქილების ტაძარში, უნდა მიხვდე, რომ ბილწი ლუციუს ოპიმიუსის მიერ გრაკხუსების სამარცხვინო, სულმდაბლური მკვლელობის შემდეგ დაჩაგრული ხალხის ძვლებზე აშნებულ ტაძარზე გეუბნები.

- ვარინიუსი მართალია, - მიუგო გაიუს ტაურივიმ, რომელიც ის იყო წასვლას აპირებდა. ჭეშმარიტად, თანხმობის ტაძრისთვის განხეთქილების ტაძარი უნდა ეწოდებინათ.

და სამი მოლაყბე გაეშურა კიბისკენ, რომელიც ემილიუსის ბაზილიკის დერეფნისკენ მიემართებოდა. მათ გაჰყვა ორივე გლადიატორი.

როგორც კი სპარტაკი და კრიკსი დერეფანს მიუახლოვდნენ, ვიღაც კაცი მოვიდა თრაკიელთან და უთხრა:

- აბა, რას იტყვი, სპარტაკ, როდის დაბრუნდები ჩემს სკოლაში?

ეს იყო ანტრეპრენიორი აქციანი.

- მომისმინე, აქციან, და კარგად დაიხსომე ჩემი სიტყვები. ყმაწვილი არა ვარ და არ მჭირდება მეურვე. რომ მჭირდებოდეს კიდეც, შენ არასოდეს აგირჩევდი. გახსოვდეს, შე ბებერო, თვალით აღარ დამენახო, თორემ, ვფიცავ იუპიტერს, ჩემი ღმერთების მამას, ისე დაგილურჯო ეგ თავი, ჯოჯოხეთში გაგისტუმრო. ერთი წუთის შემდეგ დაუმატა:

- კარგად იცი, რა ღონე მაქვს მკლავში. ხომ გახსოვს, გლადიატორობის ხელობას რომ ვასწავლიდი, როგორ წავახდინე შენი კორსიკელი მონები, რომლებიც ერთ მშვენიერ დღეს ხის მახვილებით შეიარაღებულები მომცვივდნენ? ანტრეპრენიორიუბოდიშებდა, მეგობრობას ეფიცებოდა.

- დამეკარგე, თვალით აღარ დამენახო. თავი დამანებე! - მიუგო სპარტაკმა პასუხად.

ორივენი ბაზილიკიდან გამოვიდნენ, გაიარეს მთელი ფორუმი და პალაცინისკენ გაემართნენ. იქ იყო კატულუსის სასახლე, სადაც კატილინასთან შეხვედრის იმადი ჰქონდათ.

სპარტაკი და კრიკსი მივიდნენ თუ არა დერეფანთან, რამდენადმე მოშორებით გაჩერდნენ პატრიციების ჯგუფისაგან, როგორც დაბალი წრის ხალხს შეჰფეროდათ, და თვალებით დაიწყეს კატილინას ძებნა და დაინახეს ერთ სვეტთან - კურიონს, გარყვნილ ლოთს ელაპარაკებოდა.

მორიდებით, რომ არავის არ შეხებოდნენ, სპარტაკმა და კრიკსმა ზურგიდან მოუარეს სასტიკ პატრიცს, რომელიც გესლიანი ღიმილით ეუბნებოდა მეგობრებს:

- უეჭველად მივალ ვესტალა[70] ლიცინიასთან, რომელსაც თავს ევლება ის სქელი კრასუსი და ვუამბობ, რა კავშირიც აქვს ევტიპიდასთან.

- დიახ, დიახ! - კვერი დაუკრა ლუციუს ბესტიამ, - უთხარი, რომ კრასუსმა ორასი ათასი სესტერცი აჩუქა.

- მარკუს კრასუსმა აჩუქა ორასი ათასი სესტერცი? - შეჰყვირა კატილინამ, - ეგ ხომ სასწაულია, უფრო მეტად გასაკვირველი, ვიდრე ის, რომ არიმინიუმში მამალმა ადამიანივით დაილაპარაკა!

- სწორედ გასაოცარია, - შენიშნა კვინტუს კურიონმა, - მაგრამ მარტო იმიტომ, რომ მეტისმეტად ძუნწია, თორემ მარკუს კრასუსისთვის ორასი ათასი სესტერცი იგივეა, რაც მდინარე ტიბრისთვის - ერთი წვეთი წყალი.

- შენ მართალი ხარ, - თქვა ლუციუს ბესტიამ და თვალები შურით აენთო, - იმას ხომ შვიდი ათას ტალანტზე მეტი აქვს!

- ესე იგი, მილიარდ-ნახევარი სესტერცი!

- აუარებელი სიმდიდრე! შეიძლება, არც კი დაგვეჯერებინა, ნამდვილად რომ არ გვცოდნოდა, რომ ეს სიმართლეა.

- აი, როგორ ცხოვრობს ხალხი ჩვენს დალოცვილ რესპუბლიკაში! - სიმწრით წარმოთქვა კატილინამ, - უნიჭო კაცი კი მიაღწევს იმას, რასაც მოისურვებს; მე კი, თუმცა ვგრძნობ, რომ ჯარების წინამძღოლობაც შემიძლია, სულ მცირე სამსახურსაც ვერ ვეღირსე, რადგან ღარიბი ვარ და ვალებში ჩაფლული.

- მერე, რა საშუალებით შეიძინა მან ის აუარებელი სიმდიდრე? - იკითხა კვინტუს კურიონმა.

- ის იაფად ყიდულობდა სულას პროსკრიპციის მსხვერპლთა დაბანდებულ ქონებას! - თქვა ლუციუს ბესტიამ.

- ასე რომ, ახლა რაც რომში სახლებია, ნახევარი მას ეკუთვნის. ფულს პროცენტით ასესხებდა. დაახლოებით ხუთასი მონა იყიდა. მათ შორის იყვნენ არქიტექტორებიც, ქვისმთლელებიც, და სახლები ააგო ხრიოკ ადგილებში, რომლებიც მუქთად ჩაიგდო ხელში. წინათ იქპლებეების ქოხებიიდგა. ხშირმა ხანძრებმა გაანადგურა. ღარიბების მთელი კვარტლები გაჩანაგდა.

- ეგ სამართალია? - სიბრაზით იკითხა ბესტიამ, - ეგ პატიოსნებაა?

- ჯიბისთვის ასე ჯობია. - გესლიანი ღიმილით თქვა კატილინამ.

- დავიჯერო, ეს წესი არ შეიცვლება? - შეჰყვირა კვინტუს კურიონმა.

- უნდა შეიცვალოს, - წაიდუდუნა კატილინამ, - მაგრამ ვინ იცის, რა წერია იღბლის წიგნში.

- საქმე მონდომებაა! - თქვა ყმაწვილმა ბესტიამ, - რომის მოსახლეობის უკანასკნელი აღწერით, ოთხას სამოცდაათი ათასი კაციდან ოთხას ოცდაცამეტი ათასი ნახევრად შიმშილობს. იმდენი

მიწაც კი არ გააჩნიათ, რომ თავიანთი ძვლები ჩაფლან შიგ. მაგრამ დაიცა, გამოჩნდება კაცი, რომელიც აუხსნის დამშეულ რომაელებს, რომ დანარჩენი ოცდაათი ათასი მოქალაქის მიერ შეგროვილი სიმდიდრე უსამართლოდ არის შეძენილი და უსამართლოდ ფლობენ მას. მაშინ ნახავ, კატილინა, იმათ გამოუჩნდებათ მარჯვე წინამძღოლი, მოიკრებენ ძალ-ღონეს, რომ უბედური და მშიერი ხალხის სისხლისმწოველ წურბელებს მათდამი პატივისცემა ჩაუნერგონ.

- ტყუილუბრალო ლაპარაკით კი არ უნდა ვიოხებდეთ გულს, - მედიდურად წარმოთქვა კატილინამ, - უნდა მოვიფიქროთ ჩვენი საქმე და თავის დროზე მტკიცე ხელით სისრულეში მოვიყვანოთ! ჩვენი სული მტკიცე უნდა იყოს, საქმენი - დიადი! ჩუმად იყავი და დაიცადე, მეგობარო ბესტია! იქნებ დადგეს ისეთი დღე, როდესაც ერთი ღონიერი წაკვრით შევძლებთ ამ ძველი შენობის დანგრევას.

- შეხედეთ, შეხედეთ, რა მხიარულია დღეს ჰორტენზიუსი! - შეჰყვირა კურიონმა, ვითომცდა თემის შესაცვლელად, - იქნებ უხარია კიდეც, რომ ციცერონი აქ არ არის და არავინ ჰყავს ფორუმზე მოქიშპე.

- ოჰ, რა ლაჩარია ეს ციცერონი! - ზიზღით თქვა კატილინამ, - როგორც კი შენიშნა, რომ სულა უბღვეროდა მარიუსისადმი ყმაწვილური აღტაცებისთვის, მაშინვე საბერძნეთში გაიპარა!

- დიახ, აგერ ორი თვეა, რაც რომიდან დაიკარგა!

- მე რომ მისი მჭევრმეტყველება მქონდეს, - თქვა მუქარით კატილინამ და ხელი დამუშტა - ორ წელიწადში რომის მფლობელი გავხდებოდი.

- შენ იმის მჭევრმეტყველება გაკლია, იმას - შენი ვაჟკაცობა.

სამივე პატრიცი გაჩუმდა.

ამ დროს დერეფანს გარშემორტყმული ხალხის კედელი გაირღვა და სვეტებს შუა გამოჩნდა ვალერიას მედიდური ფიგურა, სულას ცოლისა; მას თან ახლდა ჰორტენზიუსი და თაყვანისმცემლების ბრბო.

სახე ფერმკრთალი ჰქონდა. შავი დიდრონი თვალები უძრავად იყურებოდნენ, თითქოს მოწყენას გამოხატავდნენ, რაც სრულებით არ შეშვენოდა ერთი თვის გათხოვილ ქალს.

კეკლუცად თავის დახრით აძლევდა პასუხს გარშემორტყმულ პატრიციების სალამზე და ღიმილით მთქნარებას იკავებდა. როდესაც ორი კოხტა ყმაწვილი კაცი გამოჩნდა. ისინი არავის დაუთმობდნენ ტახტრევანში მისი ჩასმის პატივს.

კაპადოკიელებმა ტახტრევანი ასწიეს და გზას გაუდგნენ. მათ წინ მიუძღოდათ მონა, რომლის მოვალეობაც იყო გზის დაცლა ხალხისგან. მას მოსდევდა ექვსი კაცისაგან შემდგარი ამალა.

ვალერიამ თავისუფლად ამოისუნთქა, პირბადე გაისწორა და უაზროდ დაიწყო აქეთიქით ცქერა. მაგრამ მოღრუბლული ცისა და ტალახიანი ქუჩების დანახვაზე უფრო მოიწყინა.

ამ დროს სპარტაკი და კრიკსი, როგორც ზემოთ ვთქვით, ცოტა უკან იდგნენ და სპარტაკმა ტახტრევანში მჯდომი მანდილოსანი რომ დაინახა, მაშინვე იცნო თავისი დის ქალბატონი. სისხლი აუვარდა სახეში და ოდნავ მხარზე ხელის შეხებით უთხრა ამხანაგს:

- შეხედე, ეს ვალერიაა, სულას ცოლი!

- ვფიცავ არელატის წმიდა ჭალას, ამისთანა მშვენიერება ჩემს დღეში არ მინახავს!

ამ დროს ნადიქტატორალის მეუღლის ტახტრევანმა ორ ნაბიჯზე გვერდით გაუარა მათ და ვალერიას თვალები უცაბედად შეხვდნენ სპარტაკის თვალებს.

ახალგაზრდა ქალი უცებ შეკრთა, თითქოს მოულოდნელად ხელი წაჰკრესო. ლოყები

შეეფარკლა და თავისი შავი თვალები თრაკიელს მიაშტერა, ასე რომ, ცოტათი თავიც კი გადმოჰყო და რამდენიმე წუთის განმავლობაში თვალი არ მოუშორებია.

- აი, დასწყევლოს ეშმაკმა! - შეჰყვირა კრიკსმა, რომელსაც არ გამოეპარა, თუ რას ნიშნავდა მისი ბედნიერი ამხანაგისკენ დიდებული მანდილოსნის მოწყალე თვალით გახედვა, - ჩემო კარგო სპარტაკ, ქალღმერთი ფორტუნა[71], სწორედ როგორ შეჰფერის ამისთანა თავნება ქალს, თმაში გწვდა, ან უკეთ რომ ვთქვათ, შენ სწვდი, ჩემო კარგო, ნაწნავებში თავქარიან ქალღმერთს. მაშ, დაიჭირე, დაიჭირე მაგრად, რომ ვინიცობაა ხელიდან გაგისხლტეს, ცოტაოდენი მაინც დაგრჩეს რამე მისი.

ამ სიტყვების დროს რომ კრიკსს სპარტაკისთვის შეეხედნა, შეამჩნევდა, თუ რა უცებ გაფითრდა და რაღაც მალული მღელვარებისაგან შეეშალა სახე.

როცა კრისკმა დაამთავრა თავისი სიტყვა, სპარტაკმა უკვე მოასწრო სახის შეცვლა და ნაძალადევი ღიმილით უპასუხა:

- კარგი, გაჩუმდი, რას ბოდავ ფორტუნაზე! ვფიცავ ჰერკულესის კვერთხს, ანდაბატზე უფრო ბრმა ყოფილხარ. სპარტაკი მივიდა ლუციუს კატილინასთან და მორჩილებით ჰკითხა:

- მიბრძანებ, გეახლო დღეს საღამოს, დიდებულო კატილინა?

კატილინამ მოიხედა.

- დიახ, უეჭველად მოდი, მაგრამ კი ნუ ამბობ: „დღეს საღამოსო“, რადგან უკვე ბნელდება, თქვი: ცოტა ხანში.

- გეახლები ცოტა ხანში, - უპასუხა სპარტაკმა და თავი დაუკრა.

რამდენიმე წუთს ორივე რუდიარი რაღაცაზე ცხარედ ელაპარაკებოდა ერთმანეთს, მერე ორივენი ხმაამოუღებლივ გაემართნენ წმიდა ქუჩისაკენ.

ამ დროს სპარტაკი და კრიკსი წმიდა ქუჩისკენ გაემართნენ. ისინი უეცრად შეეტაკნენ ერთ გასაოცრად ლამაზ, მდიდრულად მორთულ ქალს. ის პირდაპირ მათკენ მიდიოდა, თან ახლდა ხანში შესული მონა ქალი.

ქერათმიანი და მწვანეთვალებიანი უცნობი ქალი ისეთი კეკლუცი და მშვენიერი იყო, რომ კრიკსი მის წინ უცებ შეჩერდა.

-რა მშვენიერებაა! - წაიბუტბუტა კრიკსმა.

სპარტაკი ჩაფიქრებული მიდიოდა კრიკსთან და თავი მაღლა რომ აიღო, ქალს შეხედა, რომელმაც ყურადღება არ მიაქცია კრიკსის აღტაცებას, თვალებში შეხედა სპარტაკს და ბერძნულად უთხრა:

- ღმერთები იყვნენ შენი შემწე, ღირსეულო სპარტაკ!

- მადლობელი ვარ, მშვენიერო ქალო, - უპასუხა შეცბუნებულმა, - ნიდიის ვენერა იყოს შენი მფარველი! ყმაწვილი ქალი მიუახლოვდა და დაბალი ხმით თქვა:

- სინათლე და თავისუფლება, უძლეველო სპარტაკ!

ამ სიტყვების გაგონებაზე სპარტაკი შეკრთა და წარბშეკრულმა ეჭვით ჩაათვალიერა უცნობი ქალი.

- არ მესმის, რას ნიშნავს შენი ხუმრობა, მშვენიერო!

- ეს ხუმრობა არ არის, ტყუილად თვალთმაქცობ ჩემთან. ეს ყველა დაჩაგრულის კვნესაა. მეც, კურტიზანი ევტიპიდა, ჩამომავლობით ბერძენი ქალი, მონად ნამყოფი, ვეკუთვნი დაჩაგრულთა რიცხვს, - ამასთან სპარტაკს ვაჟკაცურად ხელი ჩამოართვა და თავისი პატარა ხელებით მაგრად, მოუჭირა. სპარტაკი ხელახლა შეკრთა.

- ეს არ ხუმრობს. ამასაც სცოდნია ჩვენი საიდუმლო ნიშნები.

სპარტრაკმა ქალს Aშეხედა, რომელიც პირდაპირ თვალებში უცქერდა გამარჯვებული ღიმილით.

- კარგი... ღმერთები იყვნენ შენი მფარველნი!

- მე წმიდა ქუჩაზე ვცხოვრობ, იანუსის ტაძრის სიახლოვეს, მოდი ჩემთან. შემიძლია, არაერთი სარგებლობა მოგიტანო შენს წმიდა საქმეში.

მაგრამ რადგან სპარტაკი ჯერ ისევ გაუბედავად იდგა, ევტიპიდამ ვედრებთ სავსე თვალები მიაპყრო და თქვა:

- მოდი ჩემთან!

- კარგი, მოვალ, - უპასუხა სპარტაკმა.

- Salve! - უთხრა ქალმა ლათინურად და ორივე გლადიატორს თავი დაუკრა.

- Salve! - მიუგო სპარტაკმა.

- Salve! - ოჰ, უმშვენიერესო ქალღმერთო! - შეჰყვირა კრიკსმა და თან თვალს არ აშორებდა მშვენიერ ქალს.

დიდხანს იდგა და გაჰყურებდა მიმავალს და ვინ იცის, რამდენ ხანს გასტანდა ეს, სპარტაკის ხმას რომ არ მოეყვანა გონზე.

- კრიკს, მალე წამოხვალ თუ არა?

კრიკსი შეკრთა და ხმაამოუღებლივ გაჰყვა მეგობარს, მაგრამ გაიარა თუ არა ოციოდე ნაბიჯი, თქვა:

- აბა, როგორ არ გითხრა, რომ ფორტუნას ჰყვარებიხარ? ოჰ, უმადურო! შენ ტაძარი უნდა აუგო იმ ჟინიან ქალღმერთს, რომელმაც თავისი ორივე ფრთა გადმოგაფარა.

- რა უნდა ჩემგან იმ უბედურს?

- არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე. ის კი ვიცი, რომ თუ ვენერა არსებობს, ის ამ ბერძენ ქალზე უმშვენიერესი არ იქნება!

ამ დროს ვალერიას ტახტრევანის მხლებელი შიკრიკი მივიდა გლადიატორებთან და ჰკითხა:

- რომელია თქვენში სპარტაკი?

- მე ვარ, - უპასუხა თრაკიელმა.

- შენი და მირცა დღეს შუაღამისას გელოდება. მას უნდა, მოგელაპარაკოს ერთ საჭირო და საჩქარო საქმეზე.

- უთხარი, რომ მოვალ.

5. კატილინას სანადიმო ოთახი და ვალერიას კონკლავი

კატილინას სახლი, რომელიც აშენებული იყო პალაცინის ბორცვის[72] სამხრეთ ფერდობზე, არ წარმოადგენდა მთელ რომში განთქმულ დიდებულ შენობას. ნახევარი საუკუნის შემდეგ ორატორ ჰორტენზიუსის სახლთან ერთად ისიც ავგუსტუსის მფლობელობაში გადავიდა, მაგრამ თავისი მორთულობით არ ჩამოუვარდებოდა იმ დროს ცნობილ პატრიციების სახლებს, ხოლო ტრიკლინიუმი, სადაც კატილინა და მისი მეგობრები რბილ სასადილო საწოლებზე გადაწოლილნი ნებივრად ატარებდნენ დროს მამლის პირველ ყივილამდე, მთელ რომში განთქმული იყო თავისი მშვენიერებით.

მოგრძო ვრცელ დარბაზს ორ ნაწილად ჰყოფდა ტივოლის მარმარილოს ექვსი სვეტი. ზედ ჩამოშვებული სურო და ვარდები მინდვრის სურნელებას აფრქვევდა მოყირჭებული ავხორცობისა და მუცლის პატივის ამ კაცთსამყოფელში. იატაკი ძვირფასი მოზაიკისა ჰქონდა. ზედ არაჩვეულებრივი ხელოვნებით იყო გამოყვანილი ნიმფების[73], სატირებისა[74] და ფავნების[75] ბაკხანალია. შექმნილ შიშველ ქალღმერთებს ფერხული ჩაებათ. შუა დარბაზში, სვეტებს იქით, იშვიათი მარმარილოს მრგვალი მაგიდის გარშემო სამი მაღალი, დიდი,

ბრინჯაოსფეხებიანი სასადილო საწოლი იდგა. რბილ ბალიშებს ძვირფასი ქსოვილი ეფარა. ჭერიდან ოქროსა და ვერცხლის, საოცარი ოსტატობით ნაკეთი ჭაღები ეშვებოდა, რომლებიც დარბაზს აჩირაღდნებდნენ და დამათრობელ სურნელებას აფრქვევდნენ გარშემო.

კედლებთან უწმინდესი ნაკეთობის მთლად ფოთლებში და გირლიანდებში ჩაფლული სამი ბრინჯაოს სკივრი იდგა, შიგ სხვადასხვა ფორმისა და ზომის ვერცხლის ჭურჭელი ინახებოდა. მათ შორის იდგა მეწამული ფარჩაგადაფენილი ბრინჯაოს სკამები.

საწოლებზე, რბილ წითელ ბალიშებზე გადაწოლილიყვნენ კატილინა და მისი სტუმრები: კურიონი, ლუციუს ბესტია, ფიცხი ყმაწვილი, შემდეგ სახალხო ტრიბუნი რომ გახდა; გაიუს ანტონიუსი - მუდამ მოღუშული, უსიცოცხლო, ყელამდე ვალებში ჩაფლული ახალგაზრდა პატრიცი. იგი 691 წელს კატილინას შეთქმულების მონაწილე აღმოჩნდა, შემდგომ ციცერონის თანაკონსული. ციცერონის ენერგიულობის წყალობით იმავე წელს გაანადგურა კატილინა, თავისი ყოფილი თანამოაზრე. მათ შორის იყო აგრეთვე ლუციუს კალპურნიუსი, პისონ ცესონიუსი, გარყვნილი, ვალებში ჩაფლული პატრიცი. 691 წელს მან ვერ უშველა კატილინას. 696 წელს კი ბედმა არგუნა, სამაგიერო მიეზღო, როცა კონსული გახდა და ძალ-ღონე არ დაიშურა ციცერონის გასადევნად. პისონი უხეში, აღვირახსნილი, ავხორცი, უმეცარი კაცი იყო. პისონის გვერდით, მეორე საწოლზე, რომელიც შუაში იდგა და საპატიოდ ითვლებოდა, იწვა

ყმაწვილი, ასე ოცი წლისა. ეს იყო ავლიუს გაბენიუს ნიპოტუსი, კატილინას ახლო მეგობარი. 696 წელს მანაც დიდი გულმოდგინეობა გამოიჩინა ციცერონის განდევნაში. გაბენიუსისათვის მასპინძელს კონსულის ადგილი შეეთავაზებინა საპატიო სავარძელზე.

მის გვერდით საწოლზე ნებივრად წამოწოლილიყო სხვებზე არანაკლებ გარყვნილი და მფლანგველი კორნელიუს ლენტულუს სურა, ძლიერი და მამაცი ახალგაზრდა პატრიცი. ის 691 წელს ციხეში მოახრჩვეს, მაშინ კონსულად მყოფი ციცერონის ბრძანებით. ეს მოხდა კატილინას შეთქმულების მოწყობის დროს, რომელშიც კორნელიუს სურა ყველაზე აქტიურად მონაწილეობდა.

მის ახლოს წამოწოლილიყო გაიუს კორნელიუს ცეთეგუსი[76] - ფიცხი და მამაცი ყმაწვილი კაცი. ისიც ოცნებობდა ამბოხებაზე და რომის სახელმწიფო წყობილების შეცვლაზე. სულ ბოლო საწოლზე ნებივრობდა გაიუს ვერესი - სასტიკი, პატივმოყვარე პატრიცი. მალე იგი კვესტორი უნდა გამხდარიყო კარბონთან, გალიის პროკონსულთან, რომელმაც მეტად ცუდი სახელი გაითქვა შემდეგში ხალხის ძარცვით გალიის პროკონსულად და სიცილიის პრეტორად[77] ყოფნის დროს. ტრიკლინიუმი ხალხით იყო გაჭედილი, მაგრამ აქ თავი მოეყარა არა თვით ქველმოქმედ რომის მოქალაქეებს და არა კეთილშობილურ საგმირო საქმეთათვის.

ყველას ეცვა წმინდა თეთრი შალის სანადიმო ტანისამოსი, და თავზე ედგათ ვარდის, სუროსა და დაფნის გვირგვინები. მდიდრული ვახშამი უკვე თავდებოდა.

- აბა, ფალერნისა დამისხი! - წამოიძახა უცებ ღვინისაგან გახრინწიანებული ხმით სენატორმა კურიონმა და თავისი თასი მიაწოდა ერთ მერიქიფეს. - ფალერნისა დამისხი! მინდა დავლიო კატილინას სიუხვის სადღეგრძელო. სიხარბითაც ჩამხრჩვალა საძაგელი ძუნწი კრასუსი.

- ამ ლოთს ისღა აკლია ახლა, რომ შენს საქებრად პინდარეს[78] ლექსი დაამღეროს, - წასჩურჩულა ლუციუს ბესტიამ გვერდით მჯდომ კატილინას.

- ამისთვის მაგას მეხსიერება აკლია, რომელიც დიდი ხანია თავისი თასის ძირში დატოვა, - უპასუხა კატილინამ.

- კრასუსი, კრასუსი! ეს ჩემი მაჯლაჯუნაა! მოსვენებას არ მაძლევს იმაზე ფიქრი! -თქვა ამოოხვრით გაიუს ვერესმა.

- საწყალო ვერეს! - უთხრა დაცინვის ღიმილით ავლიუს გაბენიუსმა, თან გამომცდელად უყურებდა თავის მეზობელსა და თეთრი ხელით ხუჭუჭ თმას ისწორებდა. - კრასუსის აუარებელი ქონება მოსვენებას არ გაძლევს.

- ო, დავიჯერო, ეს არასოდეს არ შეიცვლება? - ამოოხვრით წარმოთქვა ვერესმა.

- ვინ არიან ჩვენზე ღარიბები? დავბადებულვართ პატრიციებად და ბრიყვი გლეხკაცობა დაგვცინის, ვითომ ძლიერები ვიყოთ, - თქვა ნაღვლიანად ლენტულუს სურამ.

- ჩვენ ვართ მათხოვრები წითელი ტოგებით.

- ჩვენ გაუბედურებული მათხოვრები ვართ. არავინ მიგვიშვებს რომის დიდებულ დღესასწაულებზე.

- სიკვდილი ზარაფებს და ბანკირებს!

- ძირს თორმეტი მცნების კანონები[79]!

- და პრეტორის ედიქტი!

- იუპიტერმა გაწყვიტოს თავისი ელვით უნამუსი სენატი!

ამ დროს ტრიკლინიუმში შემოვიდა მონა, სახლის პატრონთან მივიდა და რაღაც წასჩურჩულა ყურში.

- ძლივს! - შეჰყვირა ხმამაღლა კატილინამ, - სთხოვე, სთხოვე იმასაც და მის აჩრდილსაც. მონამ თავი დაუკრა და კარისაკენ გასწია, მაგრამ კატილინამ დააბრუნა და დაუმატა:

- რაც შეიძლება პატივისცემით მოექეცით: ფეხები დაბანეთ და სურნელებით დაუზილეთ. ჩააცვით სანადიმო ტანისამოსი და გვირგვინებით შეამკეთ.

მონამ ხელახლა დაუკრა თავი და გავიდა, კატილინამ კი თავისი სახლთუხუცესი მოიხმო და უთხრა:

- ეპაფორ! უბრძანე ახლავე აალაგონ სუფრა და ორი სავარძელი დადგან კონსულის საწოლის პირდაპირ. ორ მეგობარს ველოდები. მოსამსახურეები დაითხოვე. მოამზადე ეკსედრაში[80] რაც კი საჭიროა, რომ ღამე მხიარულად გავატაროთ.

სანამ სახლთუხუცესი თავისი ბატონის ბრძანებას ასრულებდა, სტუმრები თასებით ხვრეპდნენ ორმოცდაათი წლის ფალერნის ღვინოს და მოუთმენლად ელოდნენ ორ ახალ სტუმარს. მართლაცდა სტუმრები მალე შემოვიდნენ თეთრი ტუნიკებით და თავზე გვირგვინებით. ესენი იყვნენ სპარტაკი და კრიკსი.

- ღმერთმა დალოცოს ამ სახლის პატრონი და მისი კეთილშობილი სტუმრები! - თქვა შესვლისთანავე სპარტაკმა.

- სალამი თქვენდა, - წარმოთქვა კრიკსმა.

- სალამი შენ და შენს მეგობარს, ღირსეულო სპარტაკ, - უპასუხა კატილინამ და გლადიატორებს მიეგება.

- ძალიან ვწუხვარ, სპარტაკ, რომ ვახშამზე არ მოინდომე მონაწილეობის მიღება ამ კეთილშობილ და პატივსაცემ ყმაწვილებთან.

- მოსვლა არ შემეძლო, მაგრამ შეგატყობინე, თუ შენმა მეკარემ აასრულა ჩემი დანაბარები.

- მან მითხრა, რომ შებინდებამდე ვერ მოხვიდოდი, მაგრამ...

- მოგეხსენება, რას შეეძლო ჩემი გაჩერება. ახლა შემიძლია გითხრა ყველაფერი ის, რაც მეკარეს ვერ ვანდე: იქ მომიხდა ყოფნა, სადაც დიდი გავლენის მქონე რამდენიმე გლადიატორი შეიყარა.

- ასე რომ, უთხრა ცოტა დაცინვის კილოთი ლუციუს ბესტიამ, - გლადიატორები აღარ ხუმრობენ თავის გათავისუფლებას! მალულად იყრიან თავს და აპირებენ თავისუფლების დაცვას იარაღით ხელში.

სპარტაკს სისხლი აუვარდა სახეში, მუშტი დაჰკრა მაგიდას და სიბრაზით ანთებული თვალებით შეჰყვირა:

- დიახ! ვფიცავ იუპიტერის ელვას, რომ ჩვენ... - მაგრამ გონზე მოსულმა უცებ შეცვალა კილო და მშვიდად განაგრძო: - რომ ჩვენ გავთავისუფლდებით, თუ ღმერთების ნება იქნება და თქვენიც, კეთილშობილო პატრიციებო!

- ეს წყეული გლადიატორი ხარივით ბღუის, - წაიბუტბუტა თითქოს სრულებით მიძინებულმა კურიონმა.

- მაგისთანა თავხედობა შეშვენის თვით ლუციუს კორნელიუს სულას, დიქტატორს, - დაუმატა გაიუს ანტონიუსმა.

კატილინა მიხვდა, სადამდე მიიყვანდა საქმეს ბესტიას დაცინვა, უბრძანა მონას დაესხა მისთვის ფალერნის ღვინო, ფეხზე წამოდგა და თქვა:

- კეთილშობილნო რომის პატრიცნო, რომელთაც ურიცხვმა ოპტიმატებმა აგხადეს ის ხარისხი, რისიც სრული ღირსნი იყავით თქვენი ჩამომავლობით. თქვენ, ერთგულო და პატიოსანო მეგობრებო, გაცნობთ სპარტაკს, რომელიც თავისი ვაჟკაცობით, სულის სიმხნევით თრაკიელად კი არა, რომის მოქალაქედ და პატრიცად უნდა დაბადებულიყო, მან ჩვენს ლეგიონებში იბრძოლა და მიიღო კიდეც სამოქალაქო გვირგვინი[81] და დეკანის წოდება...

- მაგრამ მაინც გაიქცა პირველივე შემთხვევაში, - გააწყვეტინა სიტყვა ლუციუს ბესტიამ.

- როგორ! - შეჰყვირა კატილინამ, - თქვენ ამტყუნებთ მას, რომ მიატოვა ჩვენი დროშები, როდესაც ომი ავუტეხეთ მის სამშობლოს? თქვენ დააყვედრებთ, რომ მოინდომა თავისი სამშობლოს, ოჯახისა და ღმერთების დაცვა? ვინ იქნებოდა ჩვენში ისეთი, რომ მითრიდატეს ტყვედ წაეყვანა და მის ჯარებში სამსახურის დროს თავის მოვალეობად არ დაესახა გამოქცევა, როგორც კი ჩვენი რომის დროშებს დაინახავდა? საერთო თანხმობის დრტვინვამ მისცა ბანი ამ სიტყვებს. კატილინამ, თანაგრძნობით გამხნევებულმა, განაგრძო:

- ახლა, თვითონ ამ კაცს, რომელმაც თქვენსა და მთელი რომის წინაშე გამოიჩინა ვაჟკაცობა, შესაფერი არა თუ გლადიატორისა, თვით გმირისაც, რამდენიმე წელიწადია, რაც გულში ჩაუნერგავს ერთი მეტად მძიმე და საფრთხილო, მაგრამ დიადი საქმე: ის აწყობდა გლადიატორების საიდუმლო კრებებს იმ მიზნით, რომ ააჯანყოს ისინი იმ მტარვალების წინააღმდეგ, რომელნიც ახოცვინებდნენ მათ ამფითეატრებში ხალხის გასართობად, მიანიჭოს თავისუფლება და სამშობლოში დააბრუნოს. კატილინა ცოტა ხნით შეჩერდა და მერე ისევ განაგრძო:

- განა ჩვენც ამასვე არ ვაპირებთ? ამათ უნდათ გათავისუფლება და განა ჩვენც ამასვე არ ვფიქრობთ? ვის წინააღმდეგ ვაპირებთ ამბოხებას, თუ არა ამავე ოლიგარქების? განა იმათგან არა ვართ ჩვენ შევიწროებულნი? განა იმათ დამარტო იმათ არ ეკუთვნის რესპუბლიკა და იმათ არ აძლევენ ხარკს მფლობელნი და ტეტრარქები, ტომნი და ხალხნი, მაშინ, როდესაც ჩვენ, პატრიცები, რომის ძლიერების დამაარსებელნი სიღარიბეში ვიხოცებით და ჩვენს სიყმაწვილესა და ძალ-ღონეს ვკარგავთ ხელმოკლეობასთან ბრძოლაში!

ჟრუანტელმა დაუარა ტანში მთელ ყრილობას. თვალები მძულვარებითა და შურისძიების წყურვილით აენთო ახალგაზრდა პატრიცებს. კატილინამ განაგრძო:

- ოჯახებში გვაწუხებს სიღარიბე, გარეთ კი - ვალები. ჩვენი აწმყო უიმედოა, მომავალი კი უარესი. გვეყო მოთმინება. დროა, გავიღვიძოთ!

- გავიღვიძოთ! გავიღვიძოთ! - ხრინწიანი ხმით წამოიძახა ძილით გაბრუებულმა მთვრალმა კურიონმა, რომელსაც ჩაესმა კატილინას სიტყვები, შინაარსი კი არ ესმოდა, და გულმოდგინედ დაიწყო თვალების სრესა.

თუმცა დიდი ყურადღებით ისმენდნენ შეთქმულები კატილინას ლაპარაკს და ძალიანაც იყვნენ აღელვებულები, მაგრამ კურიონის სულელურ საქციელზე ვერც ერთმა ვერ შეიკავა სიცილი.

- ეშმაკსაც წაუღია შენი თავი, დე, იმათ გაგსაჯონ, შე წყეულო ღვინის კასრო, - მუშტის ქნევით ყვიროდა კატილინა.

- ხმა გაიწყვიტე და დაიძინე, შე წყეულო! - დაუყვირა ბესტიამ და მუჯლუგუნის კვრით გადააბრუნა ლოთი სარეცელზე. კატილინამ აუჩქარებლივ გადაყლაპა რამდენჯერმე ფალერნის ღვინო და განაგრძო:

- ამისთვის შეგკრიბეთ თქვენ, მეგობრებო, რომ საერთოდ განვსაჯოთ, გვმართებს თუ არა სპარტაკთან და მის გლადიატორებთან შეერთება ჩვენი საქმის სასარგებლოდ, ოლიგარქებისა და სენატის წინააღმდეგ, რომელთაც ხელში უჭირავთ მთელი რესპუბლიკის უფლება, სახელმწიფო ხაზინა და ჩვენი დიდებული ლეგიონები; ცალცალკე, რასაკვირველია, ვერას გავაწყობთ; ჩვენ დაგვჭირდება დახმარების ძებნა. ომი ღარიბებისა მდიდრების წინააღმდეგ, მონებისა ბატონების წინააღმდეგ, ჩაგრულებისა მჩაგვრელების წინააღმდეგ, ჩვენი საერთო საქმეა. ვერ გამიგია, რატომ არ უნდა შევუერთდეთ გლადიატორებს? რატომ არ შევქმნათ ისინი ჩვენი უფროსობით დაუძლეველ ლეგიონებად, რომლებსაც ვერც სენატი და ვერც ოლიგარქები წინ ვერ დაუდგებიან? დამარწმუნეთ, რომ მე ვცდები და გადავდოთ ჩვენი გეგმების განხორციელება საუკეთესო დრომდე.

სულ სხვადასხვა შთაბეჭდილება მოახდინა ყრილობაზე კატილინას სიტყვებმა, თუმცა სახეზე და მოძრაობაზე ეტყობოდათ, რომ ზოგიერთს არ მოეწონა. სპარტაკი ყურადღებით ადევნებდა თვალს ახალგაზრდა პატრიცებს, ბოლოს ადგა და თქვა შემდეგი:

- აქ რომ მოვიდოდი, კატილინა, ვასრულებდი შენს სურვილს, ღირსეულო ვაჟკაცო, რადგან დიდად გაფასებ და პატივსა გცემ. მე კი ვერასოდეს ვერ დავიჯერებდი, რომ ამ კეთილშობილ პატრიცებს დაარწმუნებდა შენი სიტყვები. შენ გულწრფელად გჯერა იმისი, რაც ახლა

წარმოსთქვი, თუმცა სულის სიღრმეში არა ხარ მთლადდარწმუნებული. ნება მიბოძე შენ, თქვენც, კეთილშობილო პატრიცნო, გამოვთქვა თქვენ წინაშე დაუფარავად. თქვენ, პატრიციებსა და ჩვენ, გლადიატორებს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა, რომ ერთად შეგვეძლოს მოქმედება. თქვენ ხართ წარჩინებული გვარის თავისუფალი შთამომავლობა, რომელთაც ოლიგარქების კასტა საზოგადო საქმის წარმოებას არ განდობთ, სიმდიდრეს გართმევთ. ხალხისადმი, მამაცი ადამიანებისადმი განწყობილმა მტრულმა კასტამ ხელში ჩაიგდო ძალაუფლება და თვითნებურად ბატონობს თქვენზე. თქვენი ამბოხების მიზანი ის არის, რომ დაამხოთ ახლანდელი სენატი, ახლანდელი მმართველნი და თქვენ დაიჭიროთ მათი ადგილი, შეცვალოთ ძველი კანონები ახლით, ხალხისთვის უფრო სამართლიანი კანონებით და თანაბრად გაიყოთ ძალაუფლება და სიმდიდრე, მაგრამ თქვენთვისაც, ისევე როგორც ახლანდელი მმართველებისთვის, ალპებს იქით ან ზღვის გაღმა მცხოვრები ხალხი ბარბაროსებად დარჩებიან და მოინდომებთ, რომ მათზე მბრძანებლობდეთ, თქვენი მოხარკეები იყვნენ. მოისურვებთ, რომ თქვენი სასახლეებიც, როგორც პატრიცთა სასახლეებს შეეფერება, სავსე იყოს მონებითა და აწყობდნენ თქვენს საყვარელ სანახაობებს - გლადიატორების სისხლისმღვრელ ბრძოლებს. ეს იქნება გართობა და დასვენება სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვისაგან დაღლილებისთვის. აი, მხოლოდ ამას ისურვებდით. თქვენთვის მთავარი ის იქნებოდა, ახლანდელ მბრძანებელთა ადგილები დაგეკავებინათ. ჩვენთვის, საწყალი გლადიატორებისთვის კი სულ სხვა არის; ჩვენ, ყველასგან მოძულებულნი, თავისუფლებასა და

სამშობლოს მოკლებულნი, რომაელთა გასართობად ერთმანეთის ხოცვას გვაიძულებენ. ჩვენ ვცდილობთ სრული თავისუფლების მოპოვებას, სამშობლოსა და უფლებების დაბრუნებას; ამისათვის უნდა ვიბრძოლოთ არა თუ რომის ახლანდელი მპყრობელების წინააღმდეგ, არამედ, რომლებიც მათ ადგილს დაიჭერენ, სულ ერთია, ვინც უნდა იყოს - სულა თუ კატილინა, ცეთეგუსი თუ პომპეუსი, ლენტულუსი თუ კრასუსი! მაგრამ მეორე მხრივ, შეგვიძლია კი ჩვენ, გლადიატორებს, მარტო ჩვენი ძალებით იმედი ვიქონიოთ გამარჯვებისა? არა! რომის სასტიკი და უძლეველი ლეგიონების დამარცხება ჩვენთვის შეუძლებელია; იმედი მქონდა, რომ შენ, კატილინა, და შენი მეგობრები წინ გაგვიძღვებოდით, დარწმუნებული ვიყავი ჩვენს გამარჯვებაში და ამავე რწმენას გულში ვუნერგავდი ჩემს უბედურს ამხანაგებს. ახლა კი, მივხვდი იმას, რასაც ნიშნავდა შენი ლაპარაკი, რომ თქვენ, რომის პატრიცნი, არასოდეს გაუძღვებით წინ მოძულებულ გლადიატორებს, ამიტომაც, გულითადი მწუხარებით ვამბობ უარს ჩემს ოცნებაზე, რომელსაც რამდენი ხანია ველოლიავებოდი ჩემს გულში, რადგან უგუნურებად ჩაითვლება გლადიატორების ამბოხება, თუნდ რომ რიცხვით რამდენიმე ათასიც იყვნენ! რა უფლება და გავლენა მექნება მათ წრეში მე ან სხვას, ჩემზე უფრო ძლიერს? რომის ორი ლეგიონი თხუთმეტ დღეში გაგვსრესს ჩვენ ისე, როგორც პრეტორ ლუკულუსის კოჰორტებმა[82] გასრისეს

ამ ოცი წლის წინათ კაპუაში აჯანყებული მონები, თუმცა კი წინამძღოლად ჰყავდათ რომის მხედარი[83] მინუციუსი[84], სულით ძლიერი, მამაცი კაცი.

ძნელია იმის აღწერა, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა სპარტაკის სიტყვებმა კატილინას სტუმრებზე. ზოგს უკვირდა ამ ბარბაროსის მჭევრმეტყველება, ზოგს - მისი ღრმა აზრი და ზოგს - მისი შორსმჭვრეტელობა; ყველა ძალიან კმაყოფილი დარჩა, რომ სპარტაკმა ასეთი პატივისცემით მოიხსენია რომის ძლიერება; სპარტაკისაგან ხელოვნურად ნაქებმა თავმოყვარეობამგაიღვიძა მათ გულებში და ერთმანეთში დაიწყეს ჭკვიანი თრაკიელის ქება.

სპარტაკმა გამოაცხადა, რომ მისი და იმ მცირეოდენი გლადიატორების მახვილები ყოველთვის მზად იქნებოდნენ კატილინასა და მისი მეგობრებისთვის; ბოლოს კრიკსთან ერთად მოსვა ღვინო „მეგობრობის თასიდან“, რომელშიც სტუმრები რიგრიგად ყრიდნენ თავთავიანთ ვარდის ფურცლებს და გამოეთხოვა კატილინას და მის მეგობრებს. გავიდნენ თუ არა ქუჩაში სპარტაკი და კრიკსი, სულას სასახლისკენ გასწიეს. არ გადაედგათ ათიოდე ნაბიჯი, რომ კრიკსმა ჰკითხა:

- ამიხსნი თუ არა...

სპარტაკმა ანიშნა, რომ გაჩუმებულიყო და, როცა კარგა მანძილი გაიარეს, დაბალის ხმით უთხრა:

- იქ ძალიან ბევრი ხალხი იყო და ყველანი არ იყვნენ ჩვენ მხარეს. არც ისეთი გონივრები ჩანდნენ ის ყმაწვილები, რომ მივნდობოდით. ხომ გაიგონე, იმათთვის ჩვენს საუბარს აზრი აღარ ჰქონდა და ჩვენი შეთქმულებაც დაიშალა. გასწი ახლავე აქციანის სკოლაში და შეატყობინე სიტყვისა და ხელის ჩამორთმევის შეცვლა. ნიშნად იყოს ახლა არა „სინათლე და თავისუფლება“, არამედ „სიმტკიცე და გამარჯვება“ და ხელი უნდა ჩამოვართვათ ზედიზედ სამჯერ კი არა, სამჯერ შეეხონ სალოკი თითით ხელისგულს.

სპარტაკმა კრიკსს ხელი ჩამოართვა და აჩვენა, როგორც უნდოდა.

- მიხვდი?

- მივხვდი, - უთხრა კრიკსმა.

- მაშ გასწი, დროს ნუღარ კარგავ და უთხარი, რომ ყოველმა დეკანმა შეატყობინოს თავის ათ კაცს ნიშნების გამოცვლა და ისიც, რომ ძველ ნიშნებზე უპასუხონ ხოლმე, რომ ყოველი იმედი დაკარგულია. ხვალ დილით შევიყრებით იულიუს რაბეციუსის სკოლაში.

სპარტაკი კრიკსს გამოეთხოვა და აჩქარებული ნაბიჯით გასწია სულას სახლისკენ. მივიდა თუ არა, დააკაკუნა, მეკარემ შეუშვა და მაშინვე შეიყვანა მირცას ოთახში.

მირცა ისე შეუყვარდა თავის ქალბატონს, რომ პირისფარეშის თანამდებობას ასრულებდა, ამიტომ სხვა მსახურებისაგან ცალკე ცხოვრობდა, თავის ქალბატონის ოთახის ახლოს. დაინახა თუ არა ძმა, ყელზე მოეხვია და ტკბილად აკოცა. მერე უამბო, რომ თავისი ქალბატონის, ვალერიას ბრძანებით დაუძახა, რომელიც ძალიან ხშირად

კითხულოდა მის ამბავს ისეთი თანაგრძნობით, რომ სწორედ საკვირველი იყო ასეთი წარჩინებული ქალისაგან. ახლა კი მას უნდა შემოგთავაზოს გლადიატორების სკოლის მასწავლებლობა.

მირცას ლაპარაკზე სპარტაკს სახე ხან აენთებოდა ცეცხლივით, ხან გაუფითრდებოდა. ეტყობოდა, რომ უცნაური აზრები უელავდა თავში, რადგან ძალიან ხშირად იქნევდა თავს, თითქოს ამით ფიქრების გაფანტვა უნდაო.

- კარგი, გლადიატორებისსკოლის მასწავლებლობაზე რომ დავეთანხმო, ვალერია არ მომთხოვს, რომ ხელმეორედ მონად მივეყიდო? თუ თავისუფალს დამტოვებს? - ჰკითხა აღელვებულმა სპარტაკმა.

- ვალერიას მაგაზე ჩემთვის არაფერი უთქვამს , - უპასუხა მირცამ, - მაგრამ ის ისე თანაგიგრძნობს, რომ თითქმის დარწმუნებული ვარ, თავისუფალი დარჩები.

- მაშ ძალიან კეთილი ყოფილა!

- ოჰ, დიახ! ისეთივე კეთილია, როგორც მშვენიერი!

- მაშ მის სიკეთეს საზღვარი არა ჰქონია!

- შენ, გეტყობა, ძალიან მოგწონს!

- მე? ძალიან, მეტისმეტის მოკრძალებით... სწორედ ასეთი გრძნობით უნდა იყოს გამსჭვალული ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცი დიდებული მანდილოსნისადმი.

- მაშ იცოდე, ღმერთებს გაფიცებ, არავის არაფერი უთხრა, რადგან სასტიკად ამიკრძალა შენთან ამის თქმა, - იცოდე, რომ თვითონ ღმერთებმა ჩაგინერგეს შენ ეგ გრძნობა, რადგან სწორედ მან ჩააგონა სულას ცირკში შენი გათავისუფლება.

- როგორ? რას ამბობ? მართლა? - შეჰყვირა სპარტაკმა და წამოხტა.

- დიახ, დიახ! მაგრამ მას არაფერი უთხრა. სპარტაკი ისევ დაჯდა, თავი ხელებში ჩაირგო და ღრმა ფიქრებს მიეცა. - აქ მომიცადე, - უთხრა მირცამ, - მე წავალ და მოვახსენებ შენს მოსვლას.

და ჩიტივით გაფრინდა ოთახიდან. სპარტაკმა ვერ შეამჩნია ეს, ისე იყო გართული თავის ფიქრებში.

მან პირველად ნახა ვალერია თვენახევრის წინათ, როდესაც ერთხელ მირცასთან მიმავალმა ტახტრევანიდან ჩამოსული დაინახა.

ვალერიას მიმართ აღძრული გრძნობა საწყალი თრაკიელის გულში უცაბედი და უძლეველი იყო. ეს იყო ერთი იმ მოულოდნელი გატაცებათაგანი, რომელსაც კაცი ვერც ახსნის და ვერც დასძლევს. მაშინვე, როგორც ოცნება, როგორც სიზმარი, როგორც კადნიერი და შეუძლებელი იმედი, აღეძრა გულში აზრი, რომ როდესმე ეკოცნა იმ ქალის ტუნიკის კალთისთვის.

უეჭველია, რაღაც საიდუმლო, გაუგებარი მიმზიდველობა არსებობდა სპარტაკსა და ვალერიას შორის, რადგან მათ შორის დიდი განსხვავების მიუხედავად, ვალერიასაც, როგორც ჩვენ დავინახეთ, პირველსავე შეხვედრაზე აღეძრა გულში რაღაც იმის მსგავსი, რასაც საწყალი თრაკიელი გრძნობდა.

უბედური სპარტაკი ჯერ ცდილობდა, გადაეგდო გულიდან ეს მისთვის ახალი გრძნობა, რადგან გონება ეუბნებოდა, რომ მისი სიყვარული არა თუ შეუძლებელი, მხოლოდ ბოდვა იყო და ენით გამოუთქმელი სისულელე. მაგრამ იმ ქალის სახე მაინც ყველგან თან დასდევდა, შეუპოვრად, მოუცილებლად. ვალერია წარმოუდგებოდა მას ცოცხლად, თანდათან უფრო უმშვენიერესად და თავბრუ ეხვეოდა იქამდე, სანამ სრულიად არ შთანთქა მთელი მისი გონება და გულისქმა.

თავისდაუნებურად ემორჩილებოდა რაღაც უძლეველ გატაცებას. მივიდოდა ხოლმე სულას სახლთან, მიეფარებოდა დერეფნის სვეტს და ელოდა იქიდან ვალერიას გამოსვლას. ამნაირად, ფარულად, ხშირად ტკბებოდა მისი ხილვით და ყოველთვის უმშვენიერესად ეჩვენებოდა.

ახლა კი, აქ იყო, სულას სახლში, რამდენიმე ნაბიჯზე იმ ქალის სიახლოვეს, არა, ქალის კი არა, ქალღმერთისა, რომლისთვისაც მზად იყო მსხვერპლად შეეწირა თავისი სიცოცხლე, პატიოსნება, ყველაფერი! ის აქ არის და მალე მასთან იქნება, გაიგონებს მის ხმას, ახლოს დაინახავს მის პირისახეს, თვალებს, ღიმილს, ღიმილს, რომელიც სპარტაკს ჯერ არასოდეს უნახავს, მაგრამ რაღაც ღვთაებრივი, დიდებული უნდა ყოფილიყო, როგორც გაზაფხულის ცა. ის აქ არის, ბედნიერებასთან ახლოს, რომელსაც არა თუ არასდროს არ მოელოდა, ფიქრადაც ვერ გაიელვებდა თავში!.. მაგრამ ნუთუ ეს მართალია? ვაითუ ეს ტკბილი ბოდვაა შეყვარებულისა, ოცნებაა? ან იქნება ჭკუაზე იშლება? ვაითუ კიდევაც შეიშალა?

ამ საზარელ ფიქრზე სპარტაკი ზეზე წამოდგა და შეშინებული თვალებით დაიწყო აქეთ-იქით ცქერა და დის ძებნა, მაგრამ მირცა იქ აღარ იყო. ხელები თავზე მიიდო, თითქოს უნდოდა საფეთქლებში ჩაქუჩით ცემის შეჩერება.

- ოჰ, ღმერთებო, ნუთუ ჭკუაზე შევიშალე? - თქვა მან და ხელმეორედ დაიწყო აქეთიქით ცქერა და ცოტათი გონზე მოსულმა მოისაზრა, თუ სად იმყოფებოდა.

მართლაც მისი დის ოთახი იყო. პატარა საწოლი იდგა კუთხეში, იქვე მოჩანდა ორი სკამი, ოქროში დაფერილი ფეხებით, ცოტა მოშორებით იდგა პატარა ხის კარადა, ბრინჯაოთი მოჭედილი და ზედ თიხის პატარა ლამპარი, მწვანედ შეღებილი, ხვლიკის მსგავსი, რომლის პირიდან ალი ამოდიოდა ოთახის გასანათებლად.

სპარტაკი, ჯერ კიდევ იმ აზრით, რომ ან სძინავს, ან ჭკუიდან შეიშალა, ნელი ნაბიჯით მივიდა კარადასთან და წაჩხირა თითი ცეცხლში. მხოლოდ მაშინ გამოიღო, როცა ძალიან დაეწვა და დარწმუნდა, რომ სიზმარში არ იყო. მაშინ მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, რომ როგორმე დამშვიდებულიყო.

როდესაც მირცა შევიდა მასთან, რომ ვალერიასთან წაეყვანა, სპარტაკი უკვე გონზე მოსული ჩანდა, დამშვიდებული, მხიარულიც კი, თუმცა სახე მეტისმეტად

ფერმკრთალი ჰქონდა და გრძნობდა, როგორ უძგერდა გული. მირცამ შენიშნა ეს და მზრუნველობით ჰკითხა:

- რა დაგემართა, სპარტაკ? ცუდად ხომ არ გრძნობ თავს?

- არა, არა, არასოდეს ასე კარგად არ ვყოფილვარ, - უპასუხა და გაჰყვა დას, რომელიც კიბეზე ჩავიდა, რადგან რომის სასახლეებში მონები ზემო სართულში ცხოვრობდნენ და მალე ვალერიას კონკლავში შევიდნენ.

კონკლავი ერქვა რომაელი მანდილოსნების იმ ოთახს, სადაც ისინი წიგნებს კითხულობდნენ და მეგობრებს იღებდნენ. კუთხეში, სარეცელზე კეკლუცად წამოწოლილიყო მშვენიერი ვალერია, ვერცხლის ფოჩებით შემოვლებული თეთრი შალის ტუნიკით. მკრთალშუქზე მომაჯადოებლადმოჩანდა მისი მშვენიერი მხრები, ოლიმპიელ ქალღმერთთა შესადარი, თითქოს სპილოს ძვლისაგან გამოკვთილი მკლავები და ნახევრად შიშველი თეთრი მკერდი, უწესრიგოდ დაყრილი შავი თმით დაფარული. მარჯვენა ხელით ბალიშზე დაყრდნობოდა. ოდნავ თვალებდახუჭული იწვა, ასე რომ, გეგონებოდათ სძინავსო. ცხადია, მისი ოცნება, რომლის ზღვაშიაც ის ცურავდა, ძალიან სასიამოვნო იყო, რადგან ისე დაავიწყა სინამდვილე, რომ ვერც კი შეამჩნია, როგორ შემოიყვანა მონამ კონკლევში სპარტაკი.

ფერმკრთალი სპარტაკი, როგორც პოროსის მარმარილოს ანდრიანტი, იდგა ჩუმად და თვალს არ აშორებდა ვალერიას. სხვა ვინმე რომ ყოფილიყო ოთახში, გაიგონებდა რუდიარის აჩქარებულ ქშენას, მაგრამ ვალერიას არა ესმოდა რა. უცებ შეკრთა, თითქოს ვინმემ დაუძახაო, ან უთხრა, სპარტაკი აქ არისო, მარდად წამოჯდა სარეცელზე, თავისი მშვენიერი სახე მიაპყრო თრაკიელს და წყნარად ჰკითხა:

- აჰ... შენა ხარ?

ამ ხმის გაგონებაზე სპარტაკს სისხლი სახეში ეცა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ვალერიასკენ, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მეტისმეტი აღელვებით ვერაფერი თქვა.

- კურთხეულ იყავ ღმერთებისაგან, ღირსეულო სპარტაკ! - უთხრა ბოლოს ვალერიამ ალერსიანი ღიმილით. ღონე მოიკრიბა და სკამზე ანიშნა. ახლა სპარტაკმაც დასძლია თავს:

- ღმერთებმა ღირსეულად მაკუთრხეს, ოჰ, საღმერთებელო ვალერია, - უთხრა სპარტაკმა, - რადგან მათ მომანიჭეს უდიდესი ბედნიერება, როგორსაც კი მიაღწევს კაცი დედამიწის ზურგზე - შენთან ლაპარაკის ბედნიერება!

- არამარტო მამაცი, - უპასუხა ვალერიამ და სიხარული მოეფინა სახეზე, - შენ ზრდილიც ყოფილხარ, სპარტაკ! მერე უცებ ბერძნულად ჰკითხა:

- შენს სამშობლოში, სანამ ტყვედ ჩავარდებოდი, შენი ხალხის წინამძღოლი იყავი, არა?

- დიახ, მე ვიყავი თრაკიის ერთი უძლიერესი ტომის წინამძღოლი როდოპის მთებში, - უპასუხა სპარტაკმა ბერძნულადვე, თუმცა ატიკურით არა, მაგრამ ალექსანდრიული სინატიფით, რადგან ზედმიწევნით იცოდა ეს ენა, - მქონდა ოჯახი, მქონდა

სამშობლო, მყავდნენ მეგობრები. მე ვიყავი მდიდარი, ძლიერი, ბედნიერი და, მერწმუნე, ვალერია, ვიყავი კეთილი, სამართლიანი და...

აქ ხმა გაუწყდა. შემდეგ ღრმად ამოიოხრა და მეტისმეტი მღელვარებისაგან მთრთოლვარე ხმით განაგრძო:

- ბარბაროსად, საზიზღარ მონად და გლადიატორად არ ვითვლებოდი!

სიბრალული მოეფინა ვალერიას მკრთალ სახეზე. ნაზად შეხედა სპარტაკს და ალერსით უთხრა:

- შენზე ხშირად მელაპარაკებოდა შენი კეთილი და მირცა. მან მითხრა, რაშიც ახლა სრულიად ვრწმუნდები, რომ შენ ხარ განათლებული და ჭკვიანი, უფრო ბერძენს ჰგავხარ, ვიდრე ბარბაროსს; შენი გასაოცარი სიმამაცე ხომ მთელმა რომმა იცის.

რა შთაბეჭდილება იქონიასპარტაკზე ამ სიტყვებმა, ძნელი ასაწერია. თვალები ცრემლით აევსო და მადლობით, აღელვებული ხმით უთხრა:

- ოჰ, გაკურთხონ მაღალმა ღმერთებმა მაგ კეთილი სიტყვებისთვის, კეთილშობილო მანდილოსანო. უბედნიერესად გაგხადონ დედამიწაზე ყველა ადამიანთა შორის.

ვალერია ვეღარ ფარავდა თავის მღელვარებას. ამას მეტყველებდა მისი შავი თვალების მზერა და მაღალი მკერდის აჩქარებული სუნთქვა.

რაც შეეხება სპარტაკს, იგი ამ დროს ოცნებების სამყაროში დაფრინავდა. აღგზნებული თვალებით შესცქეროდა საღმერთებელ ვალერიას. ხარბად უსმენდა მის ნაზ, აპოლონის არფის სიმებივით ტკბილ ხმას და ვერ ძღებოდა მისი ანთებული თვალების ცქერით, რომელნიც ენით გამოუთქმელი სიყვარულის ნეტარებას ჰპირდებოდა. საწყალს არ სჯეროდა და ვერც დაიჯერებდა, რაც ნათლად გამოკრთოდა ვალერიას თვალთაგან. თუმცა ეს მოჩვენებად, დაღლილი გონების ნაყოფად მიაჩნდა და მზერას არ აშორებდა ვალერიას მშვენიერ თვალებს.

ოთახში სიჩუმე სუფევდა.

პირველად ვალერია ეცადა ამ საშიში სიჩუმის დარღვევას.

- მაშ შენ სრული თავისუფალი ყოველნაირი პირობებისგან, მზად ხარ იკისრო გლადიატორების სკოლის ხელმძღვანელობა, რომელიც სულამ თავის აგარაკზე, კუმში დააარსა?

- მე მზად ვარ აღვასრულო ყველაფერი, რასაც მიბრძანებ, იმიტომ, რომ მე ვარ შენი მონა ვარ და მთლად შენ გეკუთვნი, - წაიჩურჩულა სპარტაკმა დაბალი, უსაზღვრო ერთგულებისა და სინაზის გამომხატველი ხმით.

ვალერია მარდად წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, თრაკიელის წინ გაჩერდა და რამდენიმე წუთს ხმაამოუღებლივ შესცქეროდა თვალებში. მერე ჰკითხა:

- სპარტაკ, გულახდილად მითხარი, რას აკეთებდი რამდენიმე დღის წინ ჩემი სახლის დერეფნის სვეტს ამოფარებული?

- თრაკიელი გაწითლდა. თავი ჩაღუნა და გაჩუმებული იყო. ორჯერ ეცადა ხმის ამოღებას,

მაგრამ ენა ვერ მოატრიალა. სირცხვილი ახრჩობდა, მწარე სირცხვილი. მიხვდა, რომ მისი საიდუმლოება მარტო მას აღარ ეკუთვნოდა. როგორ უნდა დასცინოდეს ვალერია საზიზღარ გლადიატორს, რომელმაც გაბედა, შეეხედა უმშვენიერესი და უდიდებულესი რომაელი ქალისთვის, დიქტატორის ცოლისთვის.

ვალერიას არ ესმოდა, რას ნიშნავდა სპარტაკის სიჩუმე და მასთან უფრო ახლო მივიდა.

- აბა... მითხარი... რას აკეთებდი? სპარტაკი მუხლებზე დაეცა ვალერიას წინ და

ეჩურჩულებოდა:

- მაპატიე, მაპატიე! უბრძანე შენს მონებს, მათრახებით მცემონ... უბრძანე, ჯვარს მაცვან სესორის მინდორზე[85]... მე ღირსი ვარ ამის.

- რა დაგემართა? - ჰკითხავალერიამ და ცდილობდა, ფეხზე დაეყენებინა სპარტაკი.

- გეფიცები, რომ გაღმერთებდი შენ, როგორც აღმერთებენ ვენერას, როგორც აღმერთებენ იუნონას...

- აჰ! - სიხარულით წამოიძახა ვალერიამ, - შენ ჩემს სანახავად მოდიოდი?

- არა, არა, მე მოვდიოდი შენზე სალოცავად! მაპატიე, მაპატიე!

- ადექი, სპარტაკ, კეთილშობილო სულო! - მღელვარებისგან აკანკალებული ხმით წარმოთქვა ვალერიამ და მაგრად მოუჭირა ხელი. - არა, არა, შენს ფეხქვეშ არის ჩემი ადგილი, ო, ვალერია!

სწვდა მისი ტუნიკის კალთას და მხურვალედ დაუწყო კოცნა.

- ადექი, ადექი, მანდ არ არის შენი ადგილი! - მთლად აკანკალებული ეჩურჩულებოდა ვალერია.

სპარტაკი მხურვალედ დაეწაფა მის ხელებს და წამოდგა. სიყვარულითა და ალერსით აღვსილი მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ.

- ო, საღმერთებელო, ო, საღმერთებელო, ო, საღმერთებელო ვალერია! - იმეორებდა სპარტაკი ბოდვასავით, ძლივს გასაგონი ხმით.

6. მუქარა, მახე, ხიფათი

- ერთი სიტყვით, ხეირიანად მითხარი, იცი რამე, თუ არა? შეიტვე რამე, თუ არა?

ასე ეკითხებოდა თავის მობაასეს აბრეშუმის რბილ ბალიშზე წამოწოლილი ევტიპიდა, მშვენიერი ბერძენი ქალი, თავისი ლამაზი სახლის ეკსიდრაში, წმინდა ქუჩაზე - იანუსის ტაძრის მახლობლად.

მერე პასუხი არ დააცადა ასე ორმოცდაათის წლის პირტიტველა მასხარას, რომლის დედაკაცური სახის ნაოჭები აქა-იქ სქლად იყო ფერუმარილით დაფარული. ჩაცმულობაზე შეატყობდით, რომ აქტიორი იყო.

- გინდა, ჩემგან გაიგონო სიმართლე? მე ყოველთვის მიმაჩნდი ქარაფშუტა ტრაბახად, ახლა კი ვხედავ, რომ სულელიც ყოფილხარ!

- ვფიცავ ჩემი მფარველი მომუსის[86] ნიღაბს, - უპასუხა მწივანა ხმით მასხარამ, - შენ რომ არ იყო, ევტიპიდა, დიანაზე უმშვენიერესი და ვენერაზე უმაცდურესი, გაძლევ სულას უერთგულესი, ოცდაათი წლის მეგობრის სიტყვას, გავჯავრდებოდი, ვფიცავ უძლეველ ჰერკულესს, წავიდოდი და შენ კი სტიქსის[87] ნაპირისკენ დაგილოცავდი გზას!

- აბა, რას აკეთებდი, ტუტუცო, რა შეიტყვე ამდენ ხანში?

- მოიცა... ბევრიც შევიტყვე და არაფერიც.

- როგორ? ამიხსენი.

- მოთმინება იქონიე და მათქმევინე, რომ მე, მეტრობიმ, ბებერმა მასხარამ, აგერ ოცდაათი წელიწადია, სცენაზე მაცდური ქალების როლებში მოთამაშემ, ვიცი ხალხის მოხიბლვა, როცა ხელს მიწყობს ყოვლისშემძლებელი იარაღი - ოქრო. ამაში ეჭვი, იმედი მაქვს, არ უნდა გქონდეს, მშვენიერო ევტიპიდა!

- მეც იმიტომ მოგანდე ეს საქმე, რომ შენი იმედი მქონდა, მაგრამ...

- მაგრამ, შეისმინე, მშვენიერო ევტიპიდა, რომ ჩემი ხერხის გამოსაჩენად გლადიატორების შეთქმულების გაგებაში ჯერ საჭიროა, რომ შეთქმულება არსებობდეს და სწორედ ეს არ არსებობს.

- ეგ შეუძლებელია!

- გარწმუნებ, უმშვენიერესო ქალწულო!

- სულ ორი თვეა მას აქეთ, ყრილობა ჰქონდათ, - ეს მე ნამდვილად ვიცი, - ემზადებოდნენ რაღაც ამბებისთვის სიცილიაში მონების აჯანყების მსგავსად.

- შენც გჯერა გლადიატორების აჯანყების?

- რატომ? განა მათ არ იციან ბრძოლა და სიკვდილი?

- ამფითეატრებში...

- ჰოდა, თუკი მათ შეუძლიათ ბრძოლა და სიკვდილი ბრბოს გასართობად, საკუთარი თავისუფლებისთვის ვერ იბრძოლებენ და ვერ დაიხოცებიან?

- ეგ სულ სხვაა! შენ თუ ამბობ, რომ იცი რამე ამის შესახებ, მაშ მართლა ყოფილა... ისინი შეთქმულნი იყვნენ. მაგრამ შემიძლია, დაგარწმუნო, რომ ახლა ყველაფერს თავი დაანებეს.

- მე ვიცი მიზეზი! - ამოოხვრით თქვა მშვენიერმა ქალმა, - ან ეჭვი მაინც მაქვს.

- მით უკეთესი. მე კი არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე.

- გლადიატორები შეერთდებოდნენ და აჯანყდებოდნენ, სენატისა და კანონების მტერი რომის პატრიციები რომ დათანხმებულიყვნენ და წინ გასძღოლოდნენ მათ.

- მაგრამ, რადგან რომის პატრიციებში, რაც უნდა სულით დაეცნენ, ამისთანა არავინ მოიპოვება, რომ ეგ იკისროს...

- ხომ იყო დრო... ეჰ, არ ღირს ამაზე ლაპარაკი, სჯობია შენ მითხრა, მეტრობი..

- არა, ჯერ შენ მიპასუხე, ლამის მოვკვდე ცნობისმოყვარეობით, როგორ მოახერხე გლადიატორების საიდუმლო შეთქმულების გამოკვლევა?

- ერთმა ბერძენმა გლადიატორმა გამაგებინა.

- ევტიპიდა, შენ დედამიწაზე უფრო ძლიერი ხარ, ვიდრე იუპიტერი - ზეცაში. ერთი ფეხი ოლიგარქების ოლიმპზე გიდგას, მეორე კი - პლებეების ტალახში.

- რა ვუყოთ, ყოველი ღონისძიება უნდა იხმარო, თუ გინდა მიაღწიო...

- რას? - ჰკითხა კომედიანტმა.

- უფლებას! - შეჰყვირა ევტიპიდამ და ფეხზე წამოხტა. თვალები უცებ აენთო რაღაც ბოროტი ცეცხლით და მის სახეზე გამოიხატა ისეთი მძულვარება, შეუპოვრობა და ენერგია, რაც ძნელი წარმოსადგენი იყო ამ კოხტა, კეკლუცი ქალისგან, - დიახ, მე მინდა უფლება, მინდა გავხდე მდიდარი, ძლიერი, რომ ყველანი შურით მიყურებდნენ, - და უფრო მეტიც, ჩურჩულით დაუმატა, - შურისძიება!

მეტრობი თუმცა დაჩვეული იყო სცენაზე ყოველნაირ თვალთმაქცობას, იდგა გაქვავებული და თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდა ქალს, რომელიც არასდროს ენახა ამ მდგომარეობაში. ევტიპიდამ ეს შენიშნა და ხმამაღალი დაიწყო სიცილი.

- განა კარგად შევასრულე მედეას როლი, თუმცა ისე არა, როგორც გალერია ემბოლარიამ, მაგრამ მაინც გვარიანად. შენ სულ დაიბენი, საბრალო მეტრობი, თუმცა ოცდაათი წელიწადია კნავი იტალიის ქალაქების სცენაზე. მერე, რაში მჭირდება ეს, როგორ ფიქრობ, გამოტვინებულო? - გაიმეორა ევტიპიდამ სიცილით, ხელი კისერზე წამოჰკრა და განაგრძო:

- რომ გავმდიდრე, როგორც ნიკოპოლა, სულას საყვარელი, როგორც ფლორა, გნეუს პომპეუსზე[88]

თავდავიწყებით შეყვარებული, მოხუცი კურტიზანი ქალი, რომელიც ავადაც კი გახდა, პომპეუსმა რომ თავი გაანება. ვფიცავ ვენერას, ასეთი რამ არასოდეს დამემართება. მინდა გავმდიდრდე, მეტისმეტად გავმდიდრდე, გესმის, ბებერო სულელო, რომ ვტკბებოდე ყველაფრით, რაც კი საუკეთესოა ცხოვრებაში, იმიტომ, რომ მას იქით, როგორც ღვთაებრივი ეპიკურე[89] გვასწავლის, აღარა არის რა. მიხვდი ახლა, რად ვსარგებლობ ყველაფერ იმით, რითაც ბუნებამ დამაჯილდოვა? რად მჭირდება ერთი ფეხით ოლიმპზე დგომა, მეორეთი - ტალახში და...

- კი მაგრამ, ტალახში ხომ გასვრა შეიძლება?

- მერე დაბანაც შეიძლება. განა ცოტა აბანოები არის რომში? ცოტა საბანებლები მაქვს ჩემს სახლში? მაგრამ, დიდებულო ღმერთებო, ეს მიქადაგებს ზნეობას! ეს, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე ყოველნაირ საზიზღრობასა და ბიწიერებაში გაუტარებია!

- გაჩერდი, გაჩერდი! ნუ ხატავ ჩემს სურათს ეგრე ღია ფერებით, თორემ ძალიან მიემსგავსება და ყველა შემოეფანტება ასეთ მახინჯს! გეხუმრები, მე ისე მეკითხება ზნეობა, როგორც შარშანდელი თოვლი.

ამ სიტყვებით ნელ-ნელა მიუახლოვდა მეტრობი ევტიპიდას, ხელი გამოართვა და კოცნა დაუწყო.

- როდის მივიღებ, მშვენიერო ტევიპიდა, ჩემი ერთგულების ჯილდოს? - ეუბნებოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად მეტრობი.

- ჯილდოს? - შეჰვირა ქალმა და ხელი ჰკრა, - როგორ მიბედავ ჯილდოზე ლაპარაკს, ბებერო მასხარავ? განა შენ გამიგე რამე? განა შემიტყვე, რას აპირებენ გლადიატორები?

- გამიგონე, ღვთაებრივო ევტიპიდა, - უპასუხა მოხუცმა მტირალა ხმით, - განა შემეძლო შეტყობა იმისი, რაც არ არსებობს? გენა შემეძლო, დაფიქრდი შენ თვითონ!

- კარგი, კარგი, -თქვა ქალმა მომხიბლავი ღიმილით, - მაგრამ, თუ გინდა ჩემი მადლობის დამსახურება...

- მიბრძანე, მიბრძანე, სათაყვანებელო ევტიპიდა!

- თვალი ადევნე გლადიატორებს. მე არა მჯერა, რომ ასე ადვილად მოესპოთ თავისი დაწყებული საქმე.

- თვალს ვადევნებ რომში, კუმში. თუ საჭიროა, კაპუაშიც წავალ.

- თუ გინდა რამის გაგება, თვალი ადევნე სპარტაკს. ამ სახელის ხსენებაზე სახე მთლად

აუწითლდა ყმაწვილ ქალს.

- ოჰ, რაც შეეხება სპარტაკს, - უპასუხა მეტრობიმ, - აგერ ერთი თვეა, თვალს არ ვაშორებ, მარტო შენთვის კი არა, ჩემთვისაც, უკეთ ვთქვათ, სულასთვის.

- რაო? რა თქვი? - შეჰყვირა ევტიპიდამ და უცებ მიირბინა მასხარასთან.

მან მიიხედ-მოიხედა, თითქო ეშინოდა, ყურს ხომ არავინ მიგდებსო, ტუჩებზე სალოკი თითი მიიდო და დაბალი ხმით უთხრა ევტიპიდას:

- მე ჯერ ეჭვში ვარ, ეს ჩემი საიდუმლოა და რადგან ამ საქმეში სულა ურევია, ამიტომ დავიფიცე, ძე ხორციელს არ ვუთხრა, ვიდრე სიმართლეს არ გავიგებ.

სანამ მასხარა ლაპარაკობდა, ევტიპიდა ხან ყვითლდებოდა, ხან წითლდებოდა მეტისმეტი აშფოთებისგან, რომელიც გაუგებარი იყო მისი მობაასისთვის. მეტრობის სურვილმა, რომ

უეჭველად დაეფარა ის საიდუმლო, ევტიპიდაში აღძრა მტკიცე განზრახვა, რაც უნდა ყოფილიყო, უთუოდ გაეგო. გარდა იმ იდუმალი მიზეზებისა, იქნებ ქალური ცნობისმოყვარეობაც ჰკლავდა, ან სურვილი, გამოეცადა თავისი მომხიბვლელობის ძალა ამ ბებერ, გარყვნილ კაცზე.

- იქნებ სპარტაკს სულას სიცოცხლის შესახებ განუზრახავს რამე? - ჰკითხა იმან.

- არა! აბა როგორ მოგივიდა ეგ თავში!

- მაშ რა არის?

- არ შემიძლია თქმა, მერე გაიგებ.

- არა, არა, მიამბე ახლავე, ჩემო კარგო მეტრობი, შენ მე არ დამტანჯავ! - დაუმატა მან, კომედიანტს ხელი გამოართვა და ალერსით დაუწყო თვალებში ცქერა, - დავიჯერო, არ მენდობი? განა შენ არ იცი, რა კარგად ვიცი მე საიდუმლოს დაფარვა? შენ არ მეუბნებოდი, შენა ხარ საბერძნეთის მერვე ბრძენიო? გეფიცები ჩემს მფარველს, დელფოს აპოლონს, რომ ვერავინ გაიგებს იმას, რასაც შენ მიამბობ, თქვი, თქვი, ჩემო კეთილო მეტრობი, ჩემი მადლობა უსაზღვრო იქნება. ამ ალერსით ძალიან მალე მოტეხა მოხუცის სიკერპე.

- რა ვქნა, შენთან ვერას გააწყობს კაცი, - უთხრა მან, - მაშ იცოდე, რომ მე ვეჭვობ და, მგონია, არც უმიზეზოდ, რომ სპარტაკსა და ვალერიას ერთმანეთი უყვართ.

- ოჰ, - შეჰყვირა ქალმა და გაფითრდა, - განა ეგ შესაძლებელია!

- ყველაფერი ეჭვსა მგვრის, თუმცა ჯერ ნამდვილი საბუთი არ მიჭირავს ხელში, მაგრამ, ღმერთებს გაფიცებ, არავის უთხრა...

- ჰო, განა არა, - ჩაფიქრებით თქვა ევტიპიდამ, თითქო თავის თავს ელაპარაკებაო, - დიახ, დიახ... სხვაგვარად არც შეიძლებოდა! მხოლოდ სხვა ქალს... სხვას, სხვას!.. - შეჰყვირა გაცოფებულმა, - მაშ... არის ქალი შენზე ლამაზი, უბედურო, სხვამ დაიჭირა შენი ადგილი?! - პირზე ხელები მიიფარა და გულამომჯდარმა ტირილი დაიწყო.

ამ მოულოდნელმა ტირილმა და ნაწყვეტ-ნაწყვეტმა სიტყვებმა, რომლებიც სიყვარულს აღიარებდნენ, თავზარი დასცა მეტრობის.

მშვენიერი ევტიპიდა, რომლისთვისაც იმდენი მდიდარი პატრიცი დნებოდა, ევტიპიდა, რომელსაც არასდროს არავინ არ ჰყვარებია, ახლა თვითონ იწვოდა უბრალო გლადიატორისადმი გაგიჟებული სიყვარულით. ეს კურტიზანი ქალი,

რომელიც, მიჩვეული თავისი აუარებელი თაყვანისმცემლების სიყვარულის ზიზღით უკუგდებას, თვითონ შეიქნა უკუგდებული მოძულებული გლადიატორისგან.

მეტრობის მეტად შეებრალა საცოდავი ქალი და ალერსით ცდილობდა დაემშვიდებინა.

- იქნებ მე შევცდი! იქნებ ეს სულ ტყუილია?

- არა, არა, შენ არ შემცდარხარ! ეგ მართალია, მე ვიცი, ვგრძნობ, - პასუხობდა ქალი და თვალებს იწმენდდა. ერთი წამის შემდეგ კი ნაღვლიანი, მაგრამ მტკიცე ხმით დაამატა: - მე მაინც მოხარული ვარ, რომ მითხარი. ჩემთვის საჭიროა ამის ცოდნა.

- მაგრამ, გაფიცებ ღმერთებს, არ გამცე...

- ნუ გეშინია, მეტრობი, პირიქით, მადლობით გადაგიხდი ისე, როგორც ევტიპიდამ იცის ხოლმე, თუ შენ ჩემი მიზნის მიღწევაში დამეხმარები.

ერთი წამის შემდეგ განაგრძო:

- წადი კუმში, მაგრამ დღესვე, ამ წამში და თვალი ადევნე ყოველ მათ ნაბიჯს, ყოველ სიტყვას, მათ ამოოხვრას და მიშოვე, რაც უნდა გახდეს, ნამდვილი საბუთი, რომ შემეძლოს ჩემი და სულას პატიოსნების სამაგიეროს გადახდა.

ამ სიტყვებით მთლად აცახცახებული გავიდა ოთახიდან და მეტრობის დაუბარა:

- მომიცადე, ახლავე დავბრუნდები.

ერთი წამის შემდეგ მართლაც დაბრუნდა, მეტრობის ტყავის მძიმე ქისა მიაწოდა და უთხრა:

- აიღე, აქ ათასი ოქროა, მოისყიდე მონები, გოგოები, ვინც გინდა, ოღონდ... მიშოვე საბუთი უსიკვდილოდ. თუ ფული დაგჭირდეს, კიდევ...

- არა, საკმარისად მაქვს მეც...

- კარგი, ხარჯე შენი, ნუ დაზოგავ, მერე გავსწორდებით. მხოლოდ გასწი ამ წამსვე, ნუ დაყოვნდები ნურსად გზაში და მალე საბუთით ხელში დაბრუნდი.

ამ სიტყვებით თვითონ გაიყვანა მეტრობი ოთახიდან. ალაყაფთან მდგომ მეკარეს უთხრა:

- ხედავ, გერმოგენ, ამ კაცს, როგორც კი გაჩნდება აქ, რა დროც უნდა იყოს, დღისა თუ ღამისა, მაშინვე ჩემთან გამოუძეხი.

როცა მეტრობი გააცილა, თავის ოთახში შევარდა, დიდხანს აქეთ-იქით მიმოდიოდა. ხან აუჩქარებდა, ხან უკლებდა ნაბიჯს. ათასი სურვილები, იმედები და გეგმები აღძვროდა მის გახურებულ გონებაში, ხან დაებინდებოდა, ხან ისევ მკრთალი შუქი მოეფინებოდა და თვალებში რაღაც არაადამიანური, მხეცური მძვინვარება გამოუკრთოდა. ბოლოს საწოლზე დაეცა და ჩურჩულებდა, თან ხელებზე იკბენდა.

- ოჰ, ევმენიდებო! ამომაყრევინეთ ჯავრი და მე თქვენ დიდებულ სამსხვერპლოს აღგიმართავთ! შურისგება მწყურია, შურისგება!

რომ ავხსნათ მშვენიერი ევტიპიდას მღელვარება, დავბრუნდებით ცოტა უკან და გიამბობთ მოკლედ იმას, თუ რა მოხდა სპარტაკსა და ვალერიას შორის ჩვენ მიერ აღწერილი შეხვედრის შემდეგ, ორი თვის განმავლობაში.

მკითხველს ემახსოვრება, რომ გლადიატორი ბუნებას არაჩვეულებრივი მამაცური შესახედაობითა და სილამაზით დაეჯილდოებინა. რისხვისაგან დამცხრალ სახეზე სანდომიანი ღიმილი ეფინებოდა. მის დიდრონ, ლურჯ თვალებში სიკეთე, სილამაზე, აგზნება გამოსჭვივოდა. და არ არის გასაკვირველი, თუ ვალერიას გულში ასეთივე ძლიერი გრძნობა აღუძრა, როგორსაც თვითონ განიცდიდა.

ბედნიერი იყო თუ არა სპარტაკი, ეს საკითხავიც არ არის. სიყვარულით დამთვრალი, ბედნიერების ბურუსში გახვეული, იქამდე მივიდა, როგორც ყველა ბედნიერი, რომ დროებით თითქმის კიდეც მიივიწყა თავისი უბედური ამხანაგები. დაივიწყა თავისუფლების წმიდა საქმე, რომელზედაც დიდი ხანია ოცნებობდა და შეჰფიცა, ბოლომდე მიეყვანა. დიახ, დაივიწყა ყველაფერი, რადგან ადამიანი იყო და თავდავიწყებულმა სიყვარულმა მასში ჩაახშო სხვა გრძნობები.

ევტიპიდა, როგორც ზემოთ ვთქვით, ოცდაოთხის წლის სრულდებოდა. რვა წლის წინ 668 წელს რომის ქორონიკონით, თავის თანამემამულეთა ბრბოსთან ერთად მიიყვანეს ის რომში მონად, სულას მიერ ათენის აღების შემდეგ. ევტიპიდა ერგო გარყვნილ პატრიცს, პუბლიუს სტაციუს აპრონიანუსს და ძალაუნებურად მისი საყვარელი გახდა, გარყვნილებაში დაკარგა პატიოსნება და მთლად უნამუსო გახდა. ბუნებით ამაყი და შურისმაძიებელი იყო, მონობაში ის

გულჩახვეული და ცბიერი გახდა. პატრონზე ზეგავლენით ისარგებლა, მიიღო თავისუფლება და რომის ცხოვრების მორევში გადაეშვა. აქ მან მოიპოვა სახელი, გავლენა, სიმდიდრე, რადგან იშვიათი სილამაზის გარდა, ჭკვიანი და ნიჭიერი იყო. პირველად სპარტაკი ცირკში დაინახა და იმ ჰერკულესის ღონემ, იშვიათმა სიმამაცემ და ვაჟკაცურმა სილამაზემ უცებ აღძრა მასში როსკიპის ვნება, რომლის დაკმაყოფილებაც სულ ადვილად მიაჩნდა. მაგრამ, როდესაც სპარტაკი ცბიერებით მიიტყუა და და სპარტაკის მხრიდან კი შეხვდა სრულ გულგრილობას, დარწმუნდა, რომ არსებობდა ადამიანი, რომელსაც შეეძლო უარი ეთქვა მის ალერსზე, როდესაც სხვები თავს იკლავდნენ ამისთვის, მაშინ მისი ჟინი მისდაუნებურად მხურვალე სიყვარულად გადაიქცა.

სპარტაკი, ახლა სულას გლადიატორების ლანისტი[90], მალე წავიდა კუმში, სადაც დიქტატორიც გადასახლდა თავისი ოჯახით.

ევტიპიდა, გლადიატორის გულგრილობით შეურაცხყოფილი, თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ამ საქმეში სხვა ქალი ერია. ის გრძნობდა, რომ მარტო სხვა ქალის სახემ დაუშალა სპარტაკს მისი სიყვარული. ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ გულიდან ამოეგდო ის, მაგრამ ამაოდ. ყველა ადამიანის გული ასეთია, რომ სწყურია სწორედ ის, რისი მიღწევაც ძნელია მისთვის.

დღევანდლამდე ევტიპიდა ბედნიერი და უზრუნველი ქალი იყო, ახლა კი ფუფუნებაში, სიმდიდრეში მყოფს, თაყვანისმცემლებით გარშემორტყმულს, ყველაზე უბედურ ქმნილებად მიაჩნდა თავი მთელ ქვეყანაზე.

თქვენ დაინახეთ, როგორი სიხარულით გაუბრწყინდა სახე ევტიპიდას მისთვის საყვარელი, თან საძულველი კაცისა და თავისი ბედნიერი მეტოქის შურისძიების მოგონებაზე.

ახლა დავუბრუნდეთ სამიკიტნოს, „დამმარხველ ვენერას," სადაც დღევანდელ დღეს სპარტაკის და ყველა დაჩაგრულის საქმეს დიდი ხიფათი მოელოდა.

იმ დღეს, ბინდისას, ე. ი. 676 წლის 16 მარტსრომის ქორონიკონით, ლუტაციას სამიკიტნოში ოცამდე გლადიატორი შეიკრიბა. სუფრას არ აკლდა არც შემწვარი ღორის ხორცი, არც კუპატები, არც კარგი ღვინო. სტუმრების სიცილი და ხუმრობა არ შეწყვეტილა.

საპატიო ადგილას იჯდა კრიკსი, ჩვენი მკითხველისთვის უკვე ნაცნობი გალი, რომელმაც თავისი პატიოსნებით, სიმამაცითა და ერთგულებით მოიპოვა სპარტაკის მეგობრების სიყვარული და პატივისცემა.

სუფრა სამიკიტნოს სულ პატარა ოთახში იყო გაშლილი და გლადიატორებს შეეძლოთ თავისუფლად ლაპარაკი, რადგან მეორე ოთახში იმ დროს ძალიან ცოტა სტუმარი იყო.

კრისკი ოთახში რომ შევიდა, შენიშნა, რომ კუთხეში იდგა მაგიდა ვახშმის ნასუფრალით და მის წინ სკამი.

- ერთი მითხარი, ლუტაცია ციბელა, ღმერთების დედავ, - მიმართა კრიკსმა მაგიდასთან მოფუსფუსე დიასახლისს, - აქ ვინ იყო...

- ღმერთების დედა კი არა, ისეთი გაუმაძღარი გლადიატორებისა, როგორიც შენ ხარ, - ხუმრობით გააწყვეტინა ლუტაციამ.

- და განა თქვენი ღმერთები გლადიატორები არ იყვნენ?

- უი, იუპიტერო, რა ღვთის გმობა მესმის! - შეჰყვირა გულმოსულმა ლუტაციამ.

- ვფიცავ, არ ვტყუი და არც ღმერთებს ვგმობ, - უპასუხა კრიკსმა, - დავანებოთ თავი მარსს, მითხარი, ვინ ივახშმა ამ სუფრაზე? ლუტაცია მობრუნდა და როცა შეხედა მითითებულ სუფრას, შეჰყვირა:

- სად დაკარგულა? კარგი ამბავია! - მიიხედ-მოიხედა და დაუმატა:

- ოჰ, შემეწიოს იუნონა ლუცინა!

- შენს კატას შეეწევა კნუტების დაყრაში, - ბურტყუნით თქვა ერთმა გლადიატორმა.

- აი, ის დაწყევლილი ანგარიშგაუსწორებლად წასულა!

- მეტყვი თუ არა, ვინ იყო? - ჰკითხა კრიკსმა.

- არა, არა, ტყუილად დავაბრალე კარგ კაცს. იმას რვა სესტერცი დაუტოვებია მაგიდაზე, ეს ღირებულზე მეტიც არის. პირიქით, ოთხ-ნახევარი ასა[91] ხურდა ეკუთვნის.

- აი, შეგაჩვენოს ღმერთმა! მითხარი-მეთქი!

- უი, საწყალი, თავისი ანგარიშების სქემა აქ დავიწყებია.

- გეყურება, შე ბებერო ქაჯო, ვირთხებსაც მოუკვნეტია ეგ შენი ყბედი ენა! - დაუყვირა კრიკსმა, ლუტაციას გაუთავებელი ყბედობით მოთმინებიდან გამოსულმა, - თუ ახლავე არ მეტყვი...

-

კარგი, გეტყვი, თუკი ეგრე დედაკაცივითცნობისმოყვარე ხარ! ჩემთან ივახშმა თავის საქმეებზე რომში ჩამოსულმა საბინელმა[92] პურის ვაჭარმა. აგერ, რამდენიმე დღეა ზედიზედ მოდის ჩვენთან ამ დროს, ყოველ საღამოს.

- მომეცი, აქ ვნახო, რა უწერია, - უთხრა კრიკსმა და მოურიდებლად გამოგლიჯა ხელიდან ლუტაციას გასანთლული პატარა ხის ფიცარი და ძვლის ჯოხი.

მართლაც, ფიცარზე დაწერილი იყო სხვადასხვა პურის წონა და ფასი. იქვე ჩაწერილი იყო სახელები იმათი, ვისგანაც იყიდა. ეტყობოდა, ვაჭრისგან ბე მიეღო.

- მაგრამ ერთი არ მესმის, - განაგრძო ცალთვალამ, - სად გაჰქრა? როდესაც თქვენ შემოდიოდით, ის ჯერ ისევ ოთახში იყო. ჰო, ახლა კი ვიცი! მე რომ სარდაფში ჩავედი, ღვინისთვის, წასულა და ფული დაუტოვებია. ღმერთებსაც დაუჯილდოვებიათ ამისთანა პატიოსნებისათვის! - მერე გამოართვა ფიცარი და მიმავალმა თქვა:

- მივცემ, როცა მოვა. უეჭველია, ხვალ შემოივლის. გლადიატორები ჩუმად ჭამდნენ,

  რამდენიმე ხნის შემდეგ ერთმა იკითხა:

- მზე[93] ჯერ არა ჩანს?

- ღრუბლებს მოეფარა[94], - უპასუხა კრიკსმა.

- საკვირველია! - წამოიძახა ერთმა.

- არ მესმის! - წაიდუდუნა მეორემ.

- რა ისმის ჭიანჭველებისგან?[95] - ჰკითხა მესამემ კრიკსს.

- მრავლდებიან და შრომობენ ზაფხულის მოლოდინში.[96]

- ნეტავ მალე დადგეს ზაფხული და მზემ თავისი მცხუნვარე სხივებით სიხარული მოჰგვაროს შრომისმოყვარე ფუტკრებს. ბოროტ ტრუტნებს[97] კი ფრთები მიაწვას.

- მითხარი, კრიკს, რამდენ ვარსკლავს ხედავ?[98]

- გუშინ ორი ათას ორას სამოცი იყო.

- ახლები ჩნდებიან?

- სულ მუდამ. გაჩნდებიან მანამ, ვიდრე ცის კამარა ურიცხვი ვარსკვლავებით არ მოიჭედება.

- მოუსვი ორთაყვირს[99], - თქვა ერთმა გლადიატორმა, როცა დაინახა შემოსული შავი მონა აზური.

როდესაც მონა გავიდა, ერთმა გლადიატორმა, ჩამომავლობით გალმა, თქვა დამახინჯებულ ლათინურ ენაზე:

- ახლა ხომ მარტო ვართ და შეგვიძლია ადამიანურად ვილაპარაკოთ, რომ არ ვურევდეთ ამ დაწყევლილ ნიშნებს, რომლებსაც ვერასგზით ვერ დაისწავლის კაცი. ჩვენი მომხრეების რიცხვი იზრდება, ღონე გვემატება, მაშ როდისღა აღვდგებით და

ვუჩვენებთ ამ ამაყ რომაელებს, რომ ჩვენც გვეხერხება მახვილის მოქნევა იმათზე ნაკლებად კი არა, უკეთესადაც?

- არ უნდა აჩქარდე, ჩემო კარგო ბრეზოვირ, - ღიმილით უთხრა კრიკსმა, - ჩვენს წრეს დღითი დღე ემატება მომხრეთა რიცხვი. აი, სწორედ დღეს საღამოს ფურიის წმიდა ჭალაში, სუბლიციუმის ხიდს გაღმა, ავეცინსა და იანიკულს შორის გვექნება ყრილობა, რომელზედაც ერთგულების აღთქმას დადებს თერთმეტი გამოცდილი და საიმედო გლადიატორი.

- ფურიის ჭალაში! - თქვა აღტაცებით ბრეზოვირმა, - სადაც ჯერ ისევ მუხის ფოთლებში თრთის სამაგიეროს გადაუხდელი გაიუს გრაკხუსის სული, რომელმაც თავისი სისხლით მორწყო ის წმიდა მიწა! სწორედ იქ მართებთ შეერთება დაჩაგრულებს, ერთმანეთს რომ შეუერთდნენ თავისუფლების მოსაპოვებლად!

- მე კი, - თქვა ერთმა გლადიატორმა, ჩამომავლობით სამნიტმა, - მოუთმენლად ველი აჯანყებას, იმიტომ კი არა, რომ მჯერა გამარჯვების, იმიტომ, რომ მინდა რომაელებთან შეტაკება და მაგ ავაზაკებისთვის დახოცილი ათასი სამნიტისა და მარსებისთვის სამაგიეროს გადახდა.

- მე კი გამარჯვების იმედი რომ არ მქონდეს, თავის დღეში არ შევუერთდებოდი დაჩაგრულებს, - უთხრა მეორემ.

- მე შევუერთდი იმიტომ, რომ შეწირული ვარ ჯოჯოხეთის ღმერთებისათვის და ცირკში უნდა მოვკვდე; მირჩევნია, ბრძოლის ველზე მოვკვდე.

ამ დროს ერთ გლადიატორს ხელიდან მახვილი გაუვარდა, რომელიც შემოეხსნა და მუხლზე ეჭირა, ეს გლადიატორი სწორედ პურის საჭმელი ტახტის პირდაპირ იჯდა. როცა დაიკუზა იარაღის ასაღებად, უცებ შეჰყვირა:

- ტახტქვეშ ვიღაც არის! გლადიატორის დაყვირებაზე ყველანი ფეხზე წამოხტნენ.

- ბრეზოვირი და ტორკვატო ბუზებს გარეკავენ[100], ჩვენ კი თევზს შევწვავთ[101].

ორივე გლადიატორი კართან გაჩერდა და უდარდელი ხმით დაიწყეს ერთმანეთთან მუსაიფი, რომ ყურადღება არავის მიექცია. დანარჩენი გლადიატორები ტახტთან მივიდნენ; თვალის დახამხამებაზე ასწიეს და გამოჩნდა ასე ოცდაათი წლის ყმაწვილი, როდესაც ოთხი ღონიერი ხელი სწვდა, მან შებრალება ითხოვა.

- ხმა გაიკმინდე! - მკაცრად უბრძანა კრიკსმა, - თორემ აქვე გაგაქრობ!

ათ ძლიერ ხელში აპრიალებულმა ათმა მახვილმა, ერთს წამსაც არ შეიყვანა უბედური ეჭვში, რომ ლუკმა-ლუკმა აკუწავდნენ ერთი ხმის ამოღებაზე.

- მაშ შენ ბრძანდები საბინელი პურის ვაჭარი, სუფრაზე პეშვით რომ ყრის სესტერცებს? - დაცინვით ჰკითხა მას კრიკსმა და სიძულვილით მიანათა დასისხლიანებული თვალები.

- დამიჯერეთ, ღირსეულო ვაჟკაცებო, მე... - დაიწყო აკანკალებული ხმით.

-

- ხმა გაიკმინდე, საზიზღარო! - გააწყვეტინა სიტყვა ერთმა გლადიატორმა და მუშტი ჩაჰკრა მუცელში

ევმაკლ! - უთხრა საყვედურით კრიკსმა, - მოიცადე, ჯერ უნდა გამოვკითხოთ ამ უკეთურს, ვინ გამოგზავნა აქ, ან რისთვის, - მერე მიუბრუნდა ტყვეს და უთხრა:

- შენ პურის ვაჭრობაში კი არა, როგორც მეტრობი, ენის მიტანის სპეციალისტი ხარ.

- მაპატიეთ, ყველა ღმერთების გულისათვის... - თქვა შიშისაგან აკანკალებული ხმით უბედურმა.

- ვინ ხარ? ვისი გამოგზავნილი?

- მომიტევეთ... ყველაფერს გიამბობთ... მხოლოდ ღმერთების გულისათვის, ნუ მომკლავთ.

- მაგაზე მერე ვილაპარაკოთ, ახლა კი გვიამბე.

- მე მქვია სილვიუს გორდენიუს ვერესი... ბერძენი ვარ... ჯერ გაიუს ვერესს ვყავდი მონად, ახლა გათავისუფლებული ვარ.

- ჰო, მაშ იმის ბრძანებით მოხვედი აქ?

- დიახ, მისი ბრძანებით.

- მერე, რა დავუშავეთ ჩვენ გაიუს ვერესს, რად უნდა მას ჩვენი დაბეზღება? ჩვენზე თვალის დევნება ხომ იმ აზრით გიბრძანა, რომ მერე სენატთან დაგვაბეზღოს?

- არ ვიცი, არ ვიცი... - უთხრა ისევ მთელი ტანით აცახცახებულმა.

- ნუ თვალთმაქცობ და ნუ ისულელებ თავს! გაიუს ვერესმა ამისთანა საფრთხილო საქმე მოგანდო, ალბათ, სულელად არ მიაჩნდი; თქვი, თორემ უფრო ინანებ.

სილვიუს გორდენიუსი მიხვდა, რომ ამისთანა ხალხთან ხუმრობა არ გამოდგებოდა, და როგორც წყალწაღებული ხავსს ეკიდება, ისე მოეკიდა უკანასკნელ იმედს სიცოცხლის დასახსნელად და უამბო ის, რაც იცოდა.

გაიუს ვერესი დაესწრო კატილინას ვახშამს, სადაც სპარტაკთან ჰქონდა მოლაპარგაკება გლადიატორების აჯანყების შესახებ, და არ დაუჯერა სპარტაკს მისი განცხადება, რომ უარჰყოფს თავის დაწყებულ საქმეს.

დიდი ფიქრის შემდეგ, ვერცხლის მოყვარულმა გაიუს ვერესმა გადაწყვიტა გლადიატორების თვალის დევნება და მათი საიდუმლოების გაგების შემდეგ სენატთან დაბეზღება, რისთვისაც იმედი ჰქონდა, რომ ან დიდ ფულს მიიღებდა, ან რომელიმე მდიდარი პროვინციის მმართველობას, სადაც ძარცვით ყოველთვის შეეძლო ქონების შეძენა, როგორც კვესტორებისა და პროკონსულების დიდი უმეტესობა აკეთებდა. იცოდა, რომ ჩაგრული ხალხის საჩივარი სულაც არ აღელვებდა გარყვნილ, ზნედაცემულ სენატს.

აი, ამ აზრით მიუჩინა გლადიატორებს თავისი ერთგული მონა სილვიუს გორდენიუს ვერესი, რათა გაეგო, სად ჰქონდათ საიდუმლო ყრილობები.

და აი, უკვე ერთი თვე იყო, სილვიუს გორდენიუსი დადიოდა თავშესაფრებში და საროსკიპოებში, რომის ყველაზე შორეულ და მიყრუებულ სამიკიტნოებსა და დუქნებში, სადაც თავს იყრიდნენ გლადიატორები.

იგი გამუდმებით ყურს უგდებდა და უთვალთვალებდა. ამით ზოგიერთი დასკვნაც გამოიტანა. მიხვდა, რომ სპარტაკის შემდეგ გლადიატორებში ყველაზე პატივცემული და სახელიანი იყო კრიკსი. სწორედ იგი იყო მთავარი შეთქმულებაში, თუ ასეთი რამ არსებობდა. ამიტომ დაუწყო თვალთვალი კრიკსსა. რახან გალი ხშირად დადიოდა სამიკიტნო „დამმარხველ ვენერაში“, სილვიუსიც მთელი ერთი კვირის განმავლობაში ყოველდღე მოდიოდა აქ, ზოგჯერ დღეში ორჯერაც კი. კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, გადაწყვიტა, ხერხი ეხმარა - შეძვრა სასადილო ტახტქვეშ სწორედ გლადიატორების მოსვლის დროს და არავის მიუქცევია ყურადღება მისი მოულოდნელი გაქრობისათვის.

როდესაც სილვიუს გორდენიუსმა დაამთავრა თავისი ამბავი, კრიკსმა, რომელიც გულდასმით უგდებდა ყურს, უთხრა:

- დიდი უკეთური ვინმე ყოფილხარ!

- შენ ღირსეულად არ მაფასებ, კეთილშობილო კრიკს, - უპასუხა გათავისუფლებულმა მონამ.

- არა, არა, შესახედავად ძალიან წყნარი ხარ და თავს იკატუნებ, მაგრამ ამის მიუხედავად, ბევრი გესლი ბუდობს შენში.

- მე ხომ თქვენთვის არა დამიშავებია რა... მარტო ჩემი პატრონის ბრძანება ავასრულე... გეფიცებით ყველა ღმერთს, ჯოჯოხეთისას და სამოთხისას, რომ, რაც აქ ვნახე და გავიგონე, არავის, თვითონ ვერესსაც არ ვეტყვი. ჩემი გულახდილობისა და გულწრფელობისათვის, იმედი მაქვს, სიცოცხლეს მაჩუქებთ და გამათავისუფლებთ.

- ჯერ კიდევ გვაქვს დრო, ძმაო სილვიუს. ჩვენ მაგას ახლავე ვნახავთ, - უთხრა კრიკსმა. მერე გარეთ გაიყვანა შვიდი გლადიატორი და დანარჩენებს დაუბარა: - ყური უგდეთ ამ ბატონს და არაფერი დაუშაოთ.

- რა ვუყოთ ახლა ამ უკეთურს? - ჰკითხა კრიკსმა ამხანაგებს, - როდესაც ისინი ერთ მიყრუებულ ბნელ ადგილას აღმოჩნდნენ.

- რაღა კითხვა უნდა, - უპასუხა ბრეზოვირმა, - მოვკლათ ცოფიანი ძაღლივით.

- ეგ რომ გავათავისუფლოთ, - უთხრა მეორემ, - ჩვენ თავს ჩვენვე გავცემთ.

- სიცოცხლე ვაჩუქოთ და მივმალოთ სადმე. - უპასუხა მესამემ.

- აბა, სად უნდა დავმალოთ?

- მაშ სიკვდილი? - ჰკითხა ყველას კრიკსმა.

-

- ახლა ბნელა...

- ქუჩაში არავინ არის...

- ავიყვანოთ მთის წვერზე, სამიკიტნოს მოშორებით.

- Mors sua, vita nostra[102], - წარმოთქვა ბრეზოვირმა.

- ჰო, მოვკლათ, მოვკლათ, - თქვა კრიკსმა და სამიკიტნოს კარისაკენ გასწია, მაგრამ უცებ შეჩერდა და იკითხა:

  მერე ვინ მოკლავს?

არავინ განძრეულა, მხოლოდ რამდენიმე წამის სიჩუმის შემდეგ ერთმა გლადიატორმა წაიდუდუნა:

- უიარაღოს მოკვლა...

- მახვილი მაინც ჰქონდეს... - თქვა მეორემ.

- რომ შეეძლოს და მოინდომოს ჩემთან ბრძოლა, იქნებ მე მომეკიდა ხელი, - თქვა ბრეზოვირმა.

- უიარაღოს ყელის გამოჭრა კი... - შენიშნა სამნიტმა ტორკვატომ...

- თქვენ პატიოსანი ხალხი ხართ, სრული ღირსი თავისუფლებისა! - უთხრა კრიკსმა, - მაგრამ საერთო კეთილდღეობისათვის ვინმემ უნდა დაძლიოს თავისი სიძულვილი და განაჩენი სისრულეში მოიყვანოს.

- ამასთან, - დაამატა გალმა ცოტა ხნის შემდეგ, - განა ის თანაბარი იარაღით გამოვიდა თქვენ წინააღმდეგ ბრძოლაში? განა ის გამცემი არ არის? ჩვენ რომ ის არ დაგვეჭირა, ერთი საათის შემდეგ დაგვაბეზღებდა. ხვალ ყველას მემარტინის ციხეში წაგვიყვანდნენ და მერე ჯვარს გვაცმევდნენ სესორის მინდორზე.

- მართალია, მართალი, - თქვა რამდენიმე გლადიატორმა.

- გიბრძანებთ, ბრეზოვირ და ტორკვატო, ჩაგრულთა სამსჯავროს სახელით, მოკლათ ეს კაცი.

ორივე გლადიატორმა მორჩილებით დაღუნა თავი და ყველანი სამიკიტნოში დაბრუნდნენ.

სილვიუს გორდენიუს ვერესმა, მოსულებს შეწუხებული და შეშინებული თვალებით შეხედა. სახის უცებ გაყვითლებაზე ეტყობოდა, რომ უბედურმა კარგი არა ამოიკითხა რა გლადიატორების სახეებზე.

- რა გადაწყვიტეთ? - ჰკითხა მან შეწუხებული ხმით... - მაპატიეთ?.. მჩუქნით სიცოცხლეს?.. მუხლმოდრეკილი გევედრებით დედის, მამის, შვილების, რაც რამ ძვირფასად მიგაჩნიათ, მათი გულისთვის, მაჩუქეთ სიცოცხლე!

- განა ჩვენ დედ-მამა გვყავს? - უთხრა ავი და სასტიკი ხმით ბრეზოვირმა.

- ადექი, ლაჩარო! - დაუყვირა ტორკვატომ.

- ნელა! - წარმოთქვა კრიკსმა და სილვიუს ვერესს მიუბრუნდა: - გამოგვყევი. ამ ქუჩის ბოლოს გადავწყვეტთ შენს საქმეს, - და ანიშნა ამხანაგებს, ხელი ჩაეკიდათ ცოტა იმედმოცემული სილვიუსისათვის, რომ ყვირილით არ გაეღვიძებინა ქუჩა. ყველანი გავიდნენ. სამიკიტნოში მარტო ერთი გლადიატორი დარჩა, რომ ლუტაციას გასწორებოდა, რომელმაც ვერ შეამჩნია პურის ვაჭარი.

გლადიატორებმა ტალახიანი და დაკლაკნილი ქუჩა აიარეს და მალე გავიდნენ ტრიალ მინდორზე. სილვიუსი ხელახლა დაეცა მუხლებზე და ტირილით ევედრებოდა.

-

გინდა, შე წუწკო, ლაჩარო, თანასწორი იარაღით შეგვებრძოლო ვისმე? - ჰკითხა აცახცახებულ მონას ბრეზოვირმა.

- მაპატიეთ, მაპატიეთ თქვენი შვილების გულისთვის?

- ჩვენ შვილები არ გვყავს! - დაუყვირა ერთმა გლადიატორმა.

- სამუდამოდ განწირულები ვართ, რომ ოჯახი არ გვყავდეს.

- დავიჯერო, მარტო დამალვა და დაბეზღება შეგიძლია, შე საზიზღარო, - უკმაყოფილოდ ჰკითხა ბრეზოვირმა, - და თავის დაცვას ვერ ახერხებ?

- მაპატიეთ, დამიფარეთ, ნუ მომკლავთ!

- ჯანდაბამდე გზა გქონია, საზიზღარო! - დაუყვირა ბრეზოვირმა და სილვიუსს გულში მახვილი დაატაკა.

ბრეზოვირმა და ტორკვატომ რამდენჯერმე ჩაარჭვეს მიწაში მახვილები, რომ გაეწმინდათ სისხლისაგან, მერე ქარქაშებში ჩააგეს. მდუმარე გლადიატორები ვიწრო ქუჩაზე დაეშვნენ.

გავიდა ერთი კვირა. ბინდზე, პირველი ვარსკვლავის ამოსვლის წინ, აპიუსის გზაზე[103] მხედარი მიანიჭებდა, თავის მოსასხამში გახვეული, რომ ცოტათი მაინც დაეფარა თავი წვიმისაგან. მხედარი მივიდა წმიდა ქუჩასთან და ევტიპიდას სახლის წინ გაჩერდა. ცხენიდან ჩამოხტა, სწვდა ბრინჯაოს ჩაქუჩს და მაგრად დააკაკუნა კარზე. ხმამაღლა ყეფამ მისცა პასუხი; არც ერთი სახლი არ იყო რომში, რომ ძაღლი არ ჰყოლოდათ.

- ღმერთებმა გაკურთხონ, კეთილო გერმოგენ, მე ვარ მეტრობი, ეს არის ახლა მოვედი კუმიდან.

- მობრძანდი.

- ისე ვარ გაწუწული, როგორც თევზი. დაუძახე მეჯინიბეს და უბრძანე, მოუაროს ჩემს საწყალ ცხენს.

- შემობრძანდი, ღირსპატივცემულო მეტრობი. პირველად არ ბრძანდები ამ სახლში, მისაღებ ოთახში დაგხვდება ასპაზია, ქალბატონის გოგო, ის მოახსენებს შენს მობრძანებას. ცხენზე კი მე ვიზრუნებ.

მეტრობი ფრთხილად დაეშვა საფეხურებზე, ცდილობდა, ფეხი არ დასცურებოდა, - ეს ცუდი ნიშანი იყო. - შევიდა მისაღებ ოთახში და ბრინჯაოს შანდლის შუქზე ჭერიდან რომ ეშვებოდა მოზაიკის იატაკზე, ამოიკითხა - Salve (სალამი). რამდენიმე ნაბიჯზე ეს სიტყვა გაიმეორა თუთიყუშმა, რომელიც კედელზე ჩამოკიდებულ გალიაში იჯდა.

გაიარა თუ არა დერეფანი და ატრიუმი[104], მეტრობის მართლა დაუხვდა ასპაზია, რომელსაც უბრძანა, მაშინვე მოეხსენებინა ქალბატონისათვის.

ამ დროს მშვენიერი ბერძნის ქალი თავის კონკლავში საუცხოოდ მორთულ საწოლზე იწვა. ამ დროს გაისმა ნელი კაკუნი.

ვინ არის? - უკმაყოფილოდ იკითხა ევტიპიდამ.

ასპაზიამ მორიდებით უპასუხა:

- მეტრობი მოვიდა კუმიდან.

- უჰ! - სიხარულით შეჰყვირა ევტიპიდამ და ტახტიდან წამოხტა, - მეტრობი! შეიყვანე ეკსედრაში, მე ახლავე მოვალ!

გარეთ ქარიშხალი მძინვარებდა. ხშირი ელვა ანათებდა კონკლავს. საზარელი ჭექაქუხილი სახლს საძირკვლამდე აზანზარებდა. სეტყვაში არეული წვიმა უშენდა ფანჯრებს და დამსხვრევას უქადდა. ჩრდილოეთის საშინელი ქარი ყურისწამღები ზუზუნით იჭრებოდა კარში, ფანჯრებსა და ყველა ჭუჭრუტანაში. ლუკრეციუსი ფანჯარასთან გაჩერდა და დიდხანს უყურებდა გაგიჟებული ბუნების სურათს.

ევტიპიდა ესკედრაში შევიდა, სადაც მეტრობი ელოდებოდა. როცა დაინახა, რა საცოდავად იყო უბედური კომედიანტი, გოგოს დაუძახა:

- დაანთეთ ცეცხლი ბუხარში, მოუმზადეთ ახალი ტანისამოსი საწყალ მეტრობის და მოუტანეთ კარგი ვახშამი ტრიკლინიუმში, - მერე მივიდა მეტრობისთან, მაგრად ჩამოართვა ორივე ხელი და ჰკითხა:

- აბა, რას მეტყვი, ჩემო მეტრობი, კარგი ამბებია?

- კარგია - კუმიდან, საძაგელი - გზიდან.

- ვხედავ, ვხედავ, საბრალო მეტრობი, - უპასუხა ევტიპიდამ, - დაჯექი ცეცხლთან, გათბი და მოკლედ მიამბე, გაიგე რამე თუ არა. - და სკამი მისწია ბუხართან.

- ოქრომ, მშვენიერო ევტიპიდა, იუპიტერს გაუღო დანაიდას ციხის ბრინჯაოს კარი.

- დაანებე თავი, გთხოვ, შედარებებს. დავიჯერო, ამისთანა მდგომარეობამაც ვერ დაგაშლევინა უქმი ლაპარაკი?

- მონა გოგო მოვისყიდე და კარის ჭუჭრუტანაში თვითონ დავინახე რამდენჯერმე, რომ შუაღამისას სპარტაკი ვალერიას ოთახში შედიოდა.

- ოჰ, ჯოჯოხეთის ღმერთებო, დამეხმარეთ! - მხეცური სიხარულით შეჰყვირა ევტიპიდამ. მერე თავისი გაშმაგებული სახე მიუახლოვა მეტრობის. ანთებული, გადმოკარკლული თვალებით, დაბერილი ნესტოებითა და მოცახცახე ბაგეებით სისხლმოწყურებულ ძუ ვეფხვსა ჰგავდა. - და... შენ ამბობ... ყოველდღე... ისინი... არცხვენენ პატიოსან სულას სახელს? - ჰკითხა ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

- მე მგონია, ვნებით გატაცებულნი უქმე დღეებსაც არ აქცევენ ყურადღებას.

-

- ოჰ, ახლა დაუდგებათ შავი დღე, იმათ თავს ჯოჯოხეთის ღმერთებს რომ შევწირავ! - შესძახა და თავისი ოთახებისკენ გასწია, მაგრამ კარში შეჩერდა და მეტრობის მიუბრუნდა:

- ტანზე გამოიცვალე, მერე საჭმელი ჭამე ტრიკლინიუმში. მე მალე მოვალ. მარტო

  დარჩენილმა მეტრობიმ თავი ნელა გააქნია.

„მე, მგონია, დიდი სისულელე ჩავიდინე, რომ ამ საქმეში გავერიე, - ამბობდა თავისთვის, ტანსაცმლის გამოსაცვლელად რომ მიდიოდა, - ამ გადარეული ბერძენი ქალისგან ყველაფერს უნდა მოელოდეს კაცი“.

გამოიცვალა თუ არა ტანისამოსი, კომედიანტი ტრიკლინიუმში შევიდა, სადაც გემრიელმა ვახშამმა და ძველმა ფალერნის ღვინომ ამ კეთილ კაცს უსიამოვნო მგზავრობა და მომავლის გაურკვეველი შიში დაავიწყა.

ვერც კი მოასწრო ვახშმის დამთავრება, რომ ტრიკლინიუმში შევიდა გაფითრებული, მაგრამ დამშვიდებული ევტიპიდა. ხელში წვრილი ყაითნით შეკრული, პატარა შეხვეული პაპირუსი ეჭირა, რომლის ბოლოებიც დაბეჭდილი იყო წმიდა სანთლით, ზედ გამოკვეთილი აქაფებული ზვირთებიდან გამომავალი ვენერას გამოსახულებით. წერილის დანახვაზე მეტრობი ცოტა შეკრთა.

- გამიგონე, ძვირფასო ევტიპიდა, მე გთხოვ... მე მინდა... გავიგო, ვის სახელზე არის ეს წერილი.

-კიდევაც კითხულობ? რასაკვირველია, ლუციუს კორნელიუს სულას სახელზე.

- ვფიცავ ჩემს მფარველს, მომუსის ნიღაბს, მაგაზე ჩვენ კარგი მოფიქრება გვმართებს, ჩემო მშვენიერო...

- ჩვენ? შენ რაღა შუაში ხარ?

- ოლიმპოს იუპიტერმა დაგვიფაროს... მაგრამ, მაგალითად, სულას რომ არ მოეწონოს სხვების გარევა მის საქმეში? მერე ჯავრი რომ ცოლის მაგივრად დამბეზღებლებზე ამოიყაროს? ან რაც უფრო უარესია და უფრო მოსალოდნელი, ყველაზე რომ განრისხდეს?

- მერე მე რა მენაღვლება?

- მოიცა, ნუ ჩქარობ, ჩემო მშვენიერო. შენ თუ არ გენაღვლება სულას წყრომა, მე კი, ჩემო კარგო, ძალიან მენავლება.

- მერე შენ ვის რაში სჭირდები?

- მე, მე თვითონ მჭირდება, ტურფა ევტიპიდა, სასურველო კაცთათვისაც და ღმერთებისთვისაც! - შეჰყვირა მეტრობიმ, - მე თვითონ, იმიტომ, რომ ჩემი თავი მიყვარს და ძალიანაც მიყვარს.

- კარგი, მაგრამ მე ხომ შენ არ დამისახელებიხარ, შენ აქ რა შუაში ხარ?

- მესმის... ძალიან კარგად გიქნია... მაგრამ საქმე ის არის, ტურფა ევტიპიდა, რომ მე ოცდაოთხი წელიწადია დაახლოებული ვარ სულასთან.

- ვიცი, ვიცი, მეტად ხარ დაახლოებული, ვიდრე შენს პატიოსან სახელს ესაჭიროება.

- ეგ საქმეს არ შეეხება... მე ვიცი, რა მხეციც არის. უნდა მეთქვა, რა კაციც არის, და კარგად მესმის, რომ ჩვენი დიდი ხნის მეგობრობის მიუხედავად, მან შესაძლებელია, ბრძანოს, წიწილასავით წამაგდებინონ თავი... რასაკვირველია, მერე დიდებულად

დამმარხოს, გლადიატორების ბრძოლა გამართოს ჩემს კოცონზე. ბრალი ჩემი, რომ მე ვეღარ დავტკბები იმ საუცხოო სანახაობით!

- ნუ გეშინია, ნუ გეშინია, - უთხრა ევტიპიდამ, - შენზე ის ვერაფერს გაიგებს!

- დამიფარონ იმ ღმერთებმა, რომლებიც ყოველთვის მწამდა! - ახლა კი თაყვანი ეცი ვაკხს და დალიე მისთვის ერთი თასი ღვინო. ამ დროს ტრიკლინიუმში შემოვიდა მონა სამგზავრო ტანისამოსით.

- გახსოვდეს ჩემი დარიგება, დემოფილ, და ნურსად ნუ დაყოვნდები თვით კუმამდე, - უთხრა მას ევტიპიდამ.

მონამ გამოართვა ქალს წერილი, უბეში ჩაიდო, თავი დაუკრა ქალბატონს, მოსასხამში გაეხვია და გავიდა.

რამდენადაც შეიძლებოდა, დაამშვიდა ევტიპიდამ მეტრობი, რომლისთვისაც ფალერნის ღვინოს ენა ამოედგმევინებინა და ისევ შიშზე ლაპარაკობდა. ევტიპიდა შეჰპირდა, ხვალ ისევ შევხვდებით ერთმანეთსო. გამოვიდა ტრიკლინიუმიდან და კონკლავში დაბრუნდა.

ევტიპიდამ იმაზე დაიწყო ფიქრი, რაც ჩაიდინა, და იმ წერილის შედეგზე; იქნებ სულამ

მოახერხოს თავისი რისხვის დაფარვა დაღამებამდე, რომ შეასწროს საყვარლებს და დახოცოს ისინი?

ვალერიას, იმ ამაყი და ზვიადი მანდილოსნის სიკვდილზე და სირცხვილზე ფიქრი, რომელიც ისეთი ზიზღით დაჰყურებდა ზემოდან მას, საწყალ კურტიზან ქალს, თუმცა კი თვითონ ერთი ათასად უფრო დამნაშავე იყო მასზე, ბოროტი სიხარულით უვსებდა გულს და უმსუბუქებდა იმ შურისძიების გრძნობას, მის სულს რომ დაპატრონებოდა.

რაც შეეხება სპარტაკს, ეს სულ სხვა იყო. ევტიპიდა ცდილობდა, გაემართლებინა მისი დანაშაული და უბედური თრაკიელი ვალერიაზე ბევრად ნაკლებ დამნაშავედ მიაჩნდა.

ასეა თუ ისე, ის მაინც უბრალო გლადიატორია. იმას სულას ცოლი, თუმცა ლამაზი საერთოდ არ არის, მაინც ღმერთად ეჩვენება. უეჭველია, იმ საძაგელმა დედაკაცმა მოხიბლა თავისი ალერსით, შეაგულიანა საცოდავი, ასე რომ, იმას, არაფერი შეეძლო და ვერც მოახერხებდა წინააღმდეგობას... დიახ... სხვანაირად არ შეიძლებოდა, მაშ როგორ შეეძლო გლადიატორს თვალის გასწორება თვით დიქტატორის ცოლისათვის? და რაკი ერთხელ გაება დაგებულ მახეში, რასაკვირველია, საწყალი სპარტაკი თავს ვეღარ დაიხსნიდა იქიდან და ვერ იფიქრებდა სხვა ქალის სიყვარულზე. სპარტაკის სიკვდილი ახლა მას უსამართლოდ და უღირსად მიაჩნდა.

ასე გაატარა მან რამდენიმე საათი. ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდებოდა, ხან მეორეზე, დაძინება ვერ მოეხერხებინა, მწუხარე ფიქრებით, სულ საწინააღმდეგო გრძნობებით შეპყრობილს.

მაგრამ უეცრად წამოხტა საწოლიდან გაფითრებული, შეშინებული და გულამომჯდარმა შეჰყვირა:

- არა, არა, სპარტაკ, მე არ მინდა შენი სიკვდილი... ის... შენ არ მოკვდები!

სულ ერთი აზრი უტრიალებდა თავში და ჩაძინებულმა ევტიპიდამ სიზმარში ნახა სისხლში ამოსვრილი სპარტაკი, მომაკვდავი და ხელებგამოწვდილი, რომელიც მას ევედრებოდა, რომ ეპატიებინა.

საჩქაროდ წამოხტა საწოლიდან ტანჯვისგან დამახინჯებული სახით, წამოსასხამი მოიხურა, ასპაზიას დაუძახა და უბრძანა, მაშინვე გაეღვიძებინა მეტრობი.

ნამძინარევი და დაქანცული გადაჭარბებული ღვინის სმისა და გაშმაგებული ჭენების შემდეგ მეტრობი მარტო მოსვენებაზეღა ფიქრობდა თბილ დოშაკზე მწოლი და საჭირო იყო ევტიპიდას დიდი ოსტატობა, რომ ხელახლა დაეყოლიებინა მგზავრობაზე.

ქარიშხალი შეწყდა. ვარსკვლავები ბრწყინავდნენ და ცივი ქარი ფანტავდა უკანასკნელ ღრუბლებს.

- დემოფილი, - უთხრა ქალმა კომედიანტს, - ხუთი საათით არის შენზე წინ, შენ კი არ აჭენო, უნდა აფრინო შენი ცხენი.

- ჰო, პეგასი რომ იყოს, სიამოვნებით გავფრინდებოდი.

- ასეა თუ ისე, შენთვისაც ხომ სასარგებლოა. რამდენიმე წამის შემდეგ გაშმაგებული ცხენი მიქროდა ქუჩებში.

7. სიკვდილი ასწრებს დემოფილს და მეტრობის

ვისაც რომიდან კაპენის ალაყაფიდან გამოსულს, აპიუსის გზით უვლია, სადაც გზა მარჯვნივ ბენევენტოსკენ უხვევს, ხოლო მარცხნივ კუმისაკენ, საუცხოო სანახაობა წარმოუდგება.

ზღაპრულად მომაჯადოებელი იყო ეს პეიზაჟი! ტყუილად კი არ შეიქმნა ლეგენდა, თითქოს მიცვალებულთა სულებს აქ ელოდებოდა თავისი ნავით ქარონტი, რომ ამ ქვეყნიდან ელიზიუმში[105] გადაეყვანა. კუმი საუცხოო, მდიდრული, მჭიდროდ დასახლებული ქალაქი იყო.

იქ ისევე მშვიდად და ფუფუნებით შეეძლოთ ეცხოვრათ წარჩინებულ პატრიციებს, როგორც რომში. იქაც მრავალი ცირკი, ბაზილიკა, ფორუმი იყო და ვეებერთელა, დიდებული ამფითეატრი, რომლის ნანგრევები დღესაც დგას, ხოლო მთაზე, აკროპოლისზე[106], იტალიის ყველაზე საუცხოო, აპოლონის ტაძარია აღმართული.

კუმის მახლობლად, საუცხოო გორაკზე, საიდანაც მშვენიერი სანახაობა იშლებოდა ზღვაზე, იდგა დიქტატორის დიდებული სასახლე.

სულას სასახლე არაფრით არ ჩამოუვარდებოდა რომაელთა სხვა სასახლეებს. მთლად მარმარილოს ორმოცდაათი ცივი, ცხელი და თბილის წყლის აუზების აგებაზე არ დაიშურა სესტერცები, სათბურებში იშვიათი მცენარეები მოჰყავდათ, ვოლიერებში ფრინველებს ზრდიდნენ, ნაკრძალებში ირმები, შვლის ნუკრები, მელიები და სხვა ნადირი ჰყავდათ მოშენებული.

უძლიერესი დიქტატორი ორი თვე იყო, რაც განმარტოებით ცხოვრობდა ამ მომხიბლავ მხარეში, რომლის არაჩვეულებრივი ჰაერი დიდად რგებდა მის ჯანმრთელობას.

თავის მრავალრიცხოვან მონებს უბრძანა, აპიუსის გზიდან განტოტვილი გზა, რომელიც კუმისაკენ უხვევდა, პირდაპირ მის სასახლემდე მიეყვანათ. იქ ატარებდა დღეებს სულა და წერდა მოგონებებს, რომელიც უნდოდა მიეძღვნა და შემდგომ მართლაც მიუძღვნა ლუციუს ლიცინიუს ლუკულკუსს, რომის წარჩინებულ პატრიცს, სამი წლის შემდეგ კონსულად რომ აირჩიეს და მითრიდატეს, რომელიც დამარცხდა სომხეთსა და მესოპოტამიაში. მისი სახელი შთამომავლობიდან შთამომავლობას გადაეცემოდა, თუმცა არცთუ იმდენად იყო განთქმული

სიმამაცითა და გამარჯვებებით, რამდენადაც ფუფუნებითა და თავისი აურაცხელი სიმდიდრით.

კუმის მახლობელ სასახლეში სულა მთელ ღამეებს გამუდმებულ ღრეობებსა და ორგიებში ატარებდა.

ხანდახან კუმში, ბაიში ან პუცეოლში გაისეირნებდა, თუმცა ძალიან იშვიათად, და ყველგან მოქალაქეები დიდი თაყვანისცემით ხვდებოდნენ. ამის მიზეზი იყო არა იმდენად მისი დიადი საქმენი, რამდენადაც მისი სახელი.

ჩვენ მიერ აღწერილი ამბებიდან, სამი დღის შემდეგ სულა ეტლით დაბრუნდა პუცეოლიდან, სადაც პატრიციებსა და პლებეებს შორის ზავის ჩამოსაგდებად იყო წასული. ათი დღის წინათაც ყოფილა იქ იმავე მიზეზით. ამ დღეს კი, როგორც შუამავალმა, თანხმობის აქტი განამტკიცა მათ შორის.

დაბრუნდა თუ არა, იმავე საღამოს ბრძანა ვახშამი მოემზადებინათ დელფოს აპოლონის ტრიკლინიუმში.

ვრცელ ტრიკლინიუმში სამი მაგიდის გარშემო ცხრა სასადილო საწოლი იდგა. მათზე ოცდახუთი მოქეიფე წამოწოლილიყო, თუ თვითონ სულას არ ჩავთვლით. სულას საყვარელი მეტრობის ადგილი ცარიელი იყო.

ხმამაღალ სიცილზე, ლაპარაკზე და ხშირად ღვინის ყლურწვაზე შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ სულა მხიარულებას ეძლეოდა და არანაირი დარდი და ნაღველი არ აწუხებდა, მაგრამ, ვინც კარგად დააკვირდებოდა, ადვილად შეამჩნევდა, როგორ დაბერებულიყო და ჩამომხმარიყო ამ ოთხ თვეში და უფრო დამახინჯებულიყო.

მაგრამ მის გამგმირავ მონაცრისფრო ლურჯ თვალებში უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გამოსჭვივოდა სიცოცხლე, ძალა, ენერგია და ყოვლისმძლეველი ნებისყოფა, რითაც ცდილობდა, დაეფარა აუტანელი ტკივილი. ხშირად ორგიების დროს თითქოს ივიწყებდა კიდეც თავის სატანჯველს.

- აბა, მიამბე, მიამბე, პონციან, - უთხრა სულამ მეორე მაგიდასთან წამოწოლილ კუმის ერთ პატრიცს, - მინდა ვიცოდე, რას ლაპარაკობდა გრანიუსი.

- არ გამიგონია, რა თქვა, - მიუგო პონციანმა, თან გაფითრდა. მთლად დაბნეულს, აღარ იცოდა, რა ეპასუხა.

- ხომ იცი, პონციან, მე კარგი სმენა მაქვს, - თქვა სულამ მშვიდად, მაგრამ წარბშეკვრით, - კარგად გავიგონე, რაც უთხარი ელიუს ლუპერკუსს.

- არა... - წამოიწყო შემკრთალმა პატრიცმა, - დამიჯერე... ბედნიერო, უძლიერესო... დიქტატორო.

- შენ ასე თქვი: „როცა გრანიუსს, ახლანდელ ედილს[107], უბრძანეს გადაეხადა ხაზინაში ჯარიმა, დადებული სულას მიერ, მან უარი განაცხადა და თქვა...” აქ მე შემომხედე და რა შემატყვე, გულდასმით გიგდებდი ყურს, უცბად გაჩუმდი. ახლა გთხოვ, სიტყვასიტყვით გადმომცე, რაც თქვა გრანიუსმა.

- მოწყალე იყავ, სულა, რომის სარდალთა შორის უმაღლესო.

- მე არ ვსაჭიროებ შენს ქებას, სულმდაბალო პირმოთნევ! - დაუყვირა სულამ ხრინწიანი და სასტიკი ხმით. თვალები აენთო, საწოლზე წამოჯდა და მთელი ძალით დაარტყა მუშტი მაგიდას, - ჩემი ღვაწლით და ტრიუმფით თვითონ ჩავიწერე ჩემი სახელი კონსულთა მატიანეში. მე მინდა, შენგან გავიგო გრანიუსის სიტყვები და შენ

მეტყვი კიდეც, თუ არა და, ვფიცავ ჩემს მფარველ აპოლონს, რომ ვეღარ გახვალ აქედან, გაგიტანენ და გადაგაგდებენ ჩემი თევზების შესაჭმელად.

სულამ დიდი ხანია, თავის მფარველად ამოირჩია აპოლონი და როდესაც მის სახელს მიმართა, მარჯვენა ხელით შეეხო დელფოდან მოტანილ ამ ღმერთის ოქროს პატარა ანდრიანტს, რომელიც მას ყოველთვის გულზე ეკიდა იშვიათი ხელოვნების ოქროსივე ძეწკვით.

ყველა იქ მყოფი კარგად იცნობდა სულას; ამ სიტყვებზე გაყვითლდნენ, გაჩუმდნენ და თავზარდაცემულებმა დაუწყეს ცქერა ერთმანეთს; მუსიკა და თამაში შეწყდა და მხიარულება სამარისებურმა სიჩუმემ შეცვალა. უბედურმა, შიშისაგან გაყინულმა პონციანმა წარმოთქვა:

- გრანიუსმა თქვა: ახლა არ გადავიხდი ჯარიმას, სულა მალე მოკვდება და მე გამამართლებენო.

- ჰოო! - მიუგო სულამ და აჭარხლებული სახე უცებ სიბრაზით გაუყვითლდა, - ჰოო! გრანიუსი მოუთმენლად მოელის ჩემს სიკვდილს? ყოჩაღ, გრანიუს!.. მას თავისი ანგარიში აქვს... - შეჰყვირა მძვინვარე რისხვით აკანკალებულმა დიქტატორმა, - მას თავისი ანგარიში აქვს! ძალიან კარგი, მაგრამ ვაითუ ანგარიში შეეშალოს! სულა შეჩერდა ერთ წუთს, შემდეგ ხელი ხელს შემოჰკრა და დაიყვირა:

- ქრიზოგენ! - და დაუმატა საზარელი ხმით: - ვნახოთ, ფუჭად ხომ არ ჩაუვლის ეგ ფიქრები.

სულას ძახილზე ქრიზოგენე, სულას გათავისუფლებული და ერთგული მონა, მიუახლოვდა ნადიქტატორალს. ამ უკანასკნელს სახე თანდათან დაუმშვიდდა და გამოერკვა; ქრიზოგენეს ჩასჩურჩულა, რაც ჰქონდა სათქმელი და როდესაც მან ჩუმი თავის დაკვრით მისცა პასუხი და გატრიალდა, სულამ მიაძახა:

- მაშ ხვალ, დილით!

მერე მიუბრუნდა მონადიმეებს მხიარული სახით, წამოავლო თასს ხელი, მაღლა ასწია და თქვა:

- აბა, თქვენ რას გაჩუმდით და დაუშვით ცხვირები? ვფიცავ ოლიმპოს ღმერთებს, იქნებ გგონიათ, რომ ჩემს ქელეხში ხართ?

- ღმერთებსაც დაუფარიხარ მრავალ წელს!

- იუპიტერმა მოგცეს ბედნიერება და აპოლონმა დაგიხსნას!

- ხანგრძლივი სიცოცხლე ღირსეულ სულას! - შეჰყვირა ერთად რამდენიმე სტუმარმა და მაღლა ასწიეს ღვინით აქაფებული თასები.

გამხიარულებული სულა ეხვეოდა, კოცნიდა და მადლობას ეუბნებოდა როსციუსს და მემუსიკეებს და მიმოსებს[108] უყვიროდა:

- ეი, თქვენ, უსაქმურებო, რას აკეთებთ მანდ? თქვენ მარტო იმაში ვარგიხართ, რომ ჩემი ფალერნის ღვინო სვათ და გამქურდოთ! დაე ახლავე შეგიპყროთ მარადიულმა ძილმა!

ვერ მოასწრო სულამ ლანძღვის გათავება, რომ მუსიკამ დაიგრიალა და მას აჰყვნენ მიმოსები და მოცეკვავე ქალები.

- დღეს მხიარულად ვარ და მინდა თავი შევიქციოთ ისეთი სანახაობით, როგორიც არასდროს გინახავთ ნადიმზე. დამიჯერეთ, ძვირფასო მეგობრებო... გინდათ, ნახოთ ამ დარბაზში გლადიატორების ბრძოლა?

- დიახ, დიახ... - შეჰყვირა ორმოცდაათმა ხმამ, რადგან ეს სანახაობა ძალიან სასიამოვნო იყო არა თუ მარტო სტუმრებისათვის, მემუსიკეებისა და მოცეკვავეებისთვისაც და იმათაც აღტაცებით უპასუხეს: „დიახ“, იმის მოუფიქრებლად, რომ ეს კითხვა მათ სრულიად არ ეხებოდათ.

- დიახ, დიახ! გლადიატორები! გლადიატორები! გაუმარჯოს სულას, უუხვეს სულას!

მაშინვე მისცეს ბრძანება ერთ მონას, რომ გლადიატორების სადგომში მიერბინა, იქვე სასახლეში, და გადაეცა ბრძანება სპარტაკისათვის, რომ დაუყოვნებლივ მოეყვანა დარბაზში ხუთი წყვილი გლადიატორი. მოსამსახურეები კი ადგილს ამზადებდნენ, სადაც ბრძოლა უნდა მომხდარიყო.

ცოტა ხნის შემდეგ ქრიზოგენემ შემოიყვანა ათი გლადიატორი; ხუთი მათგანი თრაკიელის ტანისამოსით, ხუთი - სამნიტისა.

- სპარტაკი სადღაა? - ჰკითხა სულამ ქრიზოგენეს.

- ვერ ვნახე, იქნებ დასთან იყოს.

ამ დროს შემოვიდა სპარტაკი, დაქანცული და გაწითლებული, პირთან ხელის მიტანით სალამი მისცა სულას და მის თანამონადიმეთ.

- მე მინდა ვნახო, - უთხრა სულამ მას - ისეთივე ხელოვნებით ასწავლი ბრძოლას გლადიატორებს, როგორც შენ იბრძვი თუ არა. ვნახოთ, რა ისწავლეს შენმა მოწაფეებმა.

- ჯერ ორი თვეა, რაც ესენი ფარიკაობას სწავლობენ.

- ვნახოთ, ვნახოთ, - თქვა სულამ. მერე მიუბრუნდა სტუმრებს, - ჩვენს ჩვეულებაში ახალი არაფერი შემიტანია, მხოლოდ აღვადგინე, რაც ორი საუკუნის წინ ჰქონდათ კამპანიის[109] მცხოვრებთ, თქვენს ღირსეულ წინაპრებს, პირველ მცხოვრებლებს ამ მხარეში.

ამ დროს სპარტაკი მეომრებს ამწკრივებდა და თან ისე იყო აღშფოთებული და გაფითრებული, თვითონაც არ ესმოდა, რას ამბობდა და რას სჩადიოდა. ეს ბარბაროსობა, ეს წინდაწინვე მოფიქრებული შეუბრალებლობა, ეს გაუმაძღარი სისხლის წყურვილი სულს უმწარებოდა სპარტაკს და სიბრაზით აცახცახებდა იმის გაფიქრებაზე, რომ მთელი ბრბოს მხეცური მოთხოვნილებითა და სურვილით და

ერთი მთვრალი ადამიანის ჟინისთვის ათი უბედური ყმაწვილი კაცი, თავისუფლად დაბადებული თავისუფალ ქვეყანაში, უნდა დაღუპულიყო უდროოდ და უსახელოდ.

გარდა ამისა, ერთი პირადი მიზეზიც ჰქონდა. გლადიატორთა ციხვში ერია არტორიქსი, ოცდაოთხი წლის ყმაწვილი გალი, მშვენიერი, კეთილშობილური მკრთალი სახით და საუცხოო ოქროსფერი ხუჭუჭა თმით. სპარტაკს ძალიან უყვარდა არტორიქსი და ისიც თავის მხრივ უერთგულესი იყო სპარტაკისა. ამიტომ, როგორც კი შესთავაზეს სპარტაკს ადგილი სულას

სკოლაში, მაშინვე ურჩია სულას არტორიქსის ყიდვა და დაარწმუნა, რომ ის საჭირო იყო კუმის სკოლაში თანაშემწედ. ამ დროს ჩუმად ჰკითხა ახალგაზრდა გალს:

- შენ რად მოხვედი?

- ჩვენ წილი ვყარეთ, ვინ უნდა წამოსულიყო სასიკვდილოდ და სხვათა შორის, მე მერგო. თვითონ ბედისწერას უნდა ჩემი სიკვდილი.

სპარტაკმა აღარა უპასუხა რა და, როდესაც ერთი წუთის შემდეგ მზად იყო ყველაფერი, სპარტაკი მიუბრუნდა სულას და უთხრა:

- ნება მიბოძეთ დიდსულოვანო სულა, რომ გავგზავნო სკოლაში მეორე გლადიატორისთვის ამის მაგივრად, - და მიუთითა არტორიქსზე.

- მერე მაგას რატომ არ შეუძლია ბრძოლა, ჰა? - ჰკითხა ნადიქტატორალმა.

- იმიტომ, რომ სხვაზე ბევრით დახელოვნებულია და თრაკიელების მხარე, რომელთა შორისაც მან უნდა იბრძოლოს, შეუფარდებლად ღონიერი იქნება, მეორე...

- რაღად უნდა ვიცადოთ? იბრძოლოს ამ დახელოვნებულმა და მით უარესი სამნიტებისთვის. სულამ ანიშნა, დაეწყოთ ბრძოლა.

ბრძოლა, რასაკვივრელია, ხანგრძლივი არ იყო: რამდენიმე წამის შემდეგ ერთი თრაკიელი და ორი სამნიტი მოკვდა, ორი სხვა უბედურიც იატაკზე იწვა დაჭრილი, დასისხლიანებული და პატიებას ითხოვდა. მათ მაშინვე მიენიჭათ სიცოცხლე.

რაც შეეხება ერთადერთ გადარჩენილ სამნიტს, თავგანწირული იგერიებდა ოთხ თრაკიელს, მაგრამ დაჭრილსა და დასისხლიანებულს ძალიან მალე მოუღო ბოლო თავისმა მეგობარმა არტორიქსმა, რადგან ვეღარ უყურა მის ტანჯულ სახეს უკანასკნელ წამებში. გაისმა დარბაზში ტაშის ცემა. ხმაური შეაჩერა მთვრალმა სულამ, რომელმაც დაუყვირა სპარტაკს ხრინწიანი ხმით:

- აბა, სპარტაკ! შენ პირველი გლადიატორი ხარ რომში! აიღე ერთი ფარი და ხმალი რომელიმე მოკლულისა და გვიჩვენე შენი ღონე: შეებრძოლე ამ ოთხს ერთად.

აღტაცებით მიიღეს ეს წინადადება, რომელმაც თავზარი დასცა საბრალო გლადიატორს და ტანზე ცივმა ოფლმა დაასხა. ის იდგა და შესცქეროდა სულას თვალებგაშტერებული. ეგონა, გონება დაკარგა, სმენა ღალატობდა, ტუჩებს

აცმაცუნებდა, თითქოს ცდილობდა, რაღაც ეთქვა. არტორიქსმა შეამჩნია სპარტაკს შეძრწუნება და წასჩურჩულა:

- გაბედე!

სპარტაკიშეკრთა ამ სიტყვებზე, იქაურობა მოათვალიერა. ბოლოს სულას მიაპყრო თვალი და დიდი თავშეკავებით თქვა:

- დიახ... მაგრამ, ჰოი, სახელოვანო და ბედნიერო დიქტატორო, ნება მიბოძეთ გითხრათ, რომ მე გლადიატორი კი არა, რუდიარი ვარ, თავისუფალი, და შენთან მხოლოდ შენი გლადიატორების მასწავლებლად ვიმყოფები.

- ხა, ხა ხა! - გადაიხარხარა მთვრალმა ლუციუს კორნელიუს სულამ.

- და შენ, უღონიერესო და უმამაცესო სპარტაკ, გეშინია სიკვდილისა? გლადიატორთა საზიზღარო მოდგმავ! მაგრამ ვფიცავ ჰერკულესს, უნდა იბრძოლო! - დაუმატა მან ერთი წამის შემდეგ ტაბლაზე მუშტის დაკვრით, - ვინ მოგანიჭა სიცოცხლე და თავისუფლება, უკეთურო ბარბაროსო?.. განა სულამ არა? და სულავე გიბრძანებს ახლავე იბრძოლო... და იბრძოლებ კიდეც, გეფიცები ოლიმპოს ღმერთებს!

ვერ წარმოიდგენს კაცი იმ მღელვარებას, როგორშიც სპარტაკი იყო ამ მხეცური სცენის დროს. ათასნაირი საზარელი აზრები უტრიალებდა თავში. სახეზე ეხატებოდა სულის მღელვარება, თვალები უელავდა, ხან მთლად გალურჯდებოდა სახე, ხან ალმური მოედებოდა.

ორჯერ თუ სამჯერ მზად იყო წამოევლო ხელი ერთ-ერთი მოკლულის მახვილისათვის და ელვის სისწრაფით, ვეფხვივით გააფთრებული მივარდნოდა სულას ლუკმა-ლუკმა ასაკუწად, სანამ იქ მყოფნი მოასწრებდნენ წამოდგომას, მაგრამ ძლივს რაღაც სასწაულით შეიკავა თავი.

ბოლოს, თითქოს დაიტანჯა ამ აუტანელი ჩუმი ბრძოლით, თავი გაიქნია და უნებურად, გაუგებრად, თუ რას სჩადიოდა, ხელი წამოავლო ფარს, მკლავზე გადაიცვა, აიღო ხმალი და სიბრაზისგან აკანაკლებული ხმით თქვა:

- მე არც მხდალი ვარ და არც ბარბაროსი; ვიბრძოლებ, რომ შენ გასიამოვნო, სულა, მაგრამ გაფიცებ ყველა შენს ღმერთს, რომ, თუ საუბედუროდ, არტორიქსი დავჭერი... ამ დროს ქალის საშინელმა კივილმა მიიქცია ყველას ყურადღება.

დარბაზის შუა კედელში, რომლისკენაც ზურგით იწვნენ სულა და მისი სტუმრები, კარი იყო, მასაც ისეთივე მწვანე ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული, როგორც ტრიკლინიუმის დანარჩენ სხვა ოთახებში გამავალ კარებს. ამ კართან იდგა გაფითრებული ვალერია. სპარტაკი იმ დროს მასთან იყო, როდესაც სულას მონა მივიდა დასაძახებლად. ამ დაბარებამ, მეტადრე იმ დროს, გააკვირვა და ააღელვა სპარტაკი და შეაშინა ვალერია, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ საშინელი ხიფათი მოელოდა სპარტაკს. ამიტომ არანაირი ყურადღება არ მიაქცია არც ზრდილობას, არც ჩვეულებას და უბრძანა მონებს, ტანთ ჩაეცმიათ და მორთულმა თეთრი, სულ მთლად ვარდებით შემკული სანადიმო კაბით, გაიარა გრძელი

დერეფანი და მივიდა იმ კართან, რომელიც მისი ოთახიდან შედიოდა დარბაზში, სადაც თავაწყვეტილები ქეიფობდნენ.

დარბაზთან რომ მივიდა ვალერია, ტყუილად ცდილობდა მხიარული და უდარდელი სახით ყოფნას, მის მიმტკნარებულ, ტანჯულ სახეზე აშკარად ეწერა საშინელი წუხილი და შიში.

ზიზღითადა სიძულვილით უყურებდა კართან მდგომი გლადიატორების შემაძრწუნებელ ბრძოლას და იმის შემდეგ სცენას სპარტაკსა და სულას შორის. ამ უკანასკნელის ყოველ სიტყვასა და მოძრაობაზე ცახცახებდა, თრთოდა და გრძნობდა, რომ ღონე მთლად ელეოდა; შესვლას აპირებდა იმ იმედით, რომ იქნებ მოულოდნელად კეთილად დაბოლოვდესო, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ სულა ძალას ატანდა სპარტაკს, შებრძოლებოდა არტორიქსს, რომელიც კარგად იცოდა, რა ძვირფასი იყო სპარტაკისთვის, როდესაც დაინახა, რომ რუდიარი, სიბრაზითა და თავგანწირულებით ათრთოლებული, მზად იყო საბრძოლველად, როდესაც გაიგონა სულას მიმართ წარმოთქმული მისი სიტყვები, ვალერია მიხვდა, რომ თუ დაუყოვნებლივ არ ჩაერეოდა საქმეში, სპარტაკი სამუდამოდ დაიღუპებოდა.

კივილით უცებ გასწია ფარდა, გამოჩნდა კარში და ყველა იქ მყოფი სტუმრის ყურადღება მიიპყრო.

- ვალერია! - წამოიძახა სულამ და ამაოდ ცდილობდა წამოწევას ტახტიდან, რომელზედაც თითქო მიჭედილიყო გადაჭარბებული სმისაგან, - ვალერია!.. შენ აქ ხარ?.. ამ დროს!

ყელანი წამოდგნენ, უკეთ რომ ვთქვათ, ცდილობდნენ წამოდგომას, თუმცა ყველა ვერ ახერხებდა ფეხზე დგომას.

ჟიოვენტინა, გათავისუფლებული მონა ქალი, ჯერ გაწითლდა, როგორც ყაყაჩო, მერე თანდათან გაფითრდა. არ წამომდგარა, მაგრამ აიზღარბა, მოიკუნტა თავის ადგილზე, ნელა, შეუმჩნევლად ჩაცურდა ტახტიდან და უეცრად მიიმალა სუფრის ქვეშ.

- სალამი თქვენ! - წარმოთქვა რამდენიმე წუთის შემდეგ ვალერიამ, როდესაც მოასწრო იქაურობის დათვალიერება და გონზე მოსვლა, - უკვდავი ღმერთები იყვნენ შემწე უძლეველი სულასი და მისი მეგობრებისა!

ამავე დროს გახედა სპარტაკს, რომელიც ჩუმად იდგა და ვალერიას შეჰყურებდა უზომო აღტაცებით. იმ წამს ის მიაჩნდა სპარტაკს თვით ღმერთების მოციქულად.

ვალერიას არ გამოჰპარვია სულასა და ჟიოვენტინას სიახლოვე, არც მისი გაქრობა. სიბრაზისაგან სახე შეეფაკლა, მაგრამ თითქოს ვერ შეამჩნია.

ვალერია მაგიდას მიუახლოვდა. სულა ძლივს წამოდგა ფეხზე, თუმცა ტანის რხევა უმტკიცებდა, რომ დიდხანს ვერ შეძლებდა ამ მდგომარეობაში ყოფნას. ვალერიამ ჯერ ისევ გონზე მოუსვლელ სულას, რომელიც გამომცდელად შეჰყურებდა ცოლს, უთხრა:

- შენ იმდენჯერ მეპატიჟებოდი ტრიკლინიუმში, რომ დღეს, რადგან ვერ დავიძინე და მესმოდა აქედან მხიარული ყიჟინა თქვენი ნადიმისა, გადავწყვიტე ჩაცმა და მოსვლა,

რომ დაგილიოთ მეგობრობის თასი და წაგიყვანო შენს სავანეში, რადგან ჯანმრთელობა ნებას არ გაძლევს მეტხანს დარჩე. მაგრამ შემოვედი თუ არა, გავიგონე მახვილების წკრიალი და დავინახე ცხედრები! რა ამბავია ეს? დავიჯერო, არ გეყოთ აუარებელი მსხვერპლი ცირკსა და ამფითეატრში და ახლა გინდათ ველური სიამოვნებით აღადგინოთ ბარბაროსული ჩვეულებანი, რომ ნადიმებზე დათვრეთ მომაკვდავი გლადიატორების ტანჯვა-წამებით?

ყველამ თავი დახარა. სულა ეცადა რაღაცის თქმას, მაგრამ მისი პირიდან მხოლოდ ბღუილი მოისმა.

გლადიატორები, განსაკუთრებით სპარტაკი და არტორიქსი, მადლიერებითა და სიყვარულით შესცქეროდნენ ვალერიას.

- ეჰეი! - წარმოთქვა სულას მეუღლემ რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ და მონებს მიუბრუნდა:

- გაიტანეთ ახლავე ეს გვამები და დაასაფლავეთ, იატაკი გარეცხეთ და სურნელებით მორწყეთ; სულას მურინის თასი კი აავსეთ ფალერნის ღვინით და ჩამოუტარეთ ყველა აქ მყოფთ.

იმ დროს, როცა მონები ჩქარობდნენ ვალერიას ბრძანების ასრულებას, გლადიატორები გავიდნენ. ღრმა სიჩუმეში, მეგობრობის თასმა, რომელშიაც ძალიან ცოტამ ჩაყარა თავისი გვირგვინის ვარდის ფურცლები, შემოუარა სტუმრებს და ბოლოს, ჩუმად, ქანაობით, ყველანი გალაგდნენ დარბაზიდან.

სულა დიდი ხანია, დაეცა თავის ტახტზე,, თითქოს ღრმა ფიქრებს მისცემიაო, თუმცა სრულიად გამოტვინებულიყო ღვინისგან. ვალერია მივიდა მასთან, მხარზე ხელი შეახო და უთხრა:

- აბა, ახლა შუაღამე გადასულია, ხომ არ ინებებ საწოლ ოთახში წაბრძანებას?

ამ სიტყვებზე სულამ თვალი გაახილა და დამძიმებული თავი ნელა წამოსწია, ძლივს მოატრიალა ენა და თქვა:

- როგორ ბედავ შენ... ჩემი სტუმრების გარეკვას. ჩემი სიამოვნების დაშლას?.. ჰოი, ვფიცავ ოლიმპოს იუპიტერს... შენ ვერ წაართვა ყოვლისშემძლეობა სულა ბედნიერს... ვენერას რჩეულს... დიქტატორს... ვფიცავ მაღალ ღმერთებს... მე მპყრობელს რომისას... და მთელი ქვეყნისას... არ მინდა ჩემზე ბატონი, არ მინდა... არ მინდა!

და მისი უსიცოცხლო თვალების გაგანიერება ამტკიცებდა, თუ რა ძალასაც ატანდა თავის თავს, რომ მოეტრიალებინა პირში ენა, მოეკრიბა გრძნობა და დაებრუნებინა ძალ-ღონე, ღვინისაგან დახშული და შებოჭილი, მაგრამ მაშინვე ჩაქინდრა ისევ თავი.

ვალერია იდგა და შეჰყურებდა სულას სიბრალულით და თან ზიზღით. უეცრად სულამ ისევ წამოსწია თავი და თქვა:

- მეტრობი!.. სადა ხარ, ძვირფასო მეტრობი! მომეშველე... მინდა გავეყარო... გავაგდო ეს... თავისი ბავშვით, რომელზედაც ორსულად არის... რომელიც არ მინდა... ჩემად ჩავთვალო...

მრისხანებამ გაიელვა ვალერიას შავ თვალებში და ტახტისკენ გადადგა ნაბიჯი დამუქრებით; მერე კი მძულვარებისა და ზიზღით სავსე ხმით დაიძახ:

- ეჰეი, ქრიზოგენე! დაუძახე მონებს და უბრძანე გადაიყვანონ ლოგინზე შენი მთვრალი ბატონი.

და ამ დროს, როდესაც ქრიზოგენე, ორი სხვა მონის დახმარებით, უშვერი ენით მლანძღავ სულას მიათრევდა მის სავანეში, ვალერიამ თვალი შეავლო სუფრას, რომლის ქვეშაც იმალებოდა ჟიოვენტინა და თავის ოთახებში დაბრუნდა.

სულას მთელი ღამე და დილა ეძინა. ვალერიას კი, როგორც ალბათ მიხვდებოდით, თვალი არ მოუხუჭავს.

სულას შუადღისას გამოეღვიძა აუტანელი ქავილისაგან, რომელმაც უკანასკნელ დროს ბევრად მოუმატა და სრულიად აგიჟებდა. ძლივს წამოდგა ლოგინიდან, გადაიცვა მხრებზე განიერი ტოგა და მონების თანხლებით ქრიზოგენეზე დანდობილი გაემართა საუცხოო აბანოსკენ, რომელიც სასახლეს ეკვროდა. იქ რომ მისულიყავით, უნდა გაგევლოთ ვრცელი ატრიუმი - დიდებული დორიული სტილის სვეტებით დამშვენებული.

სულა ბალიშებითა და წითელი ქსოვილით დაფენილ მარმარილოს სავარძელში ჩაჯდა, ტანთ გაიხადა და მონების დახმარებით შევიდა ცხელ აბანოში.

- ოჰ, რა კარგია, - ამბობდა სულა, - დიდი ხანია ეს არ მიგრძვნია! მალე, მალე, დიოდორ, - მიუბრუნდა მონას, რომელიც მექისეობას ასრულებდა, - მალე აიღე საურავი და დამისვი ტანზე, მოუთმენელი ქავილი მკლავს.

დიოდორემ აიღო საურავი, თითბრის დანის მსგავსი, რომელსაც, ჩვეულებრივ, უსვამდა ხოლმე ბანაობის შემდეგ, ნელსაცხებელი წაუსვა და თავის ბატონის სნეულ ტანს გადაუსვა. ამავე დროს სულა მიუბრუნდა ქრიზოგენეს და უთხრა:

- დაკაზმე წითელ ეტრატში ოცდამეორე წიგნი ჩემი თხზულებისა, რომელიც გუშინწინ გავათავე და გადმოგეცი?

- დიახ, ჩემო კეთილო ბატონო, და არა თუ მარტო შენი ტომი, აგრეთვე ათი პირიც, რომლებიც მონა გადამწერლებს გადავაღებინე.

- მადლობელი ვარ, ქრიზოგენე! მაშ შენ ათი პირის გადაღება უბრძანე? - ჰკითხა კმაყოფილმა სულამ.

- დიახ, არა თუ მარტო უკანასკნელი ტომისა, შენი თხზულების წინა ტომებისაც. ზოგი მათგანი ამ სასახლის სამწიგნობრო ოთახში დავალაგე, ზოგი - შენი რომის სასახლეში, რამდენიმე მე შევინახე; ამას გარდა, თითო ცალი ყოველი ტომისა, შენის ნებართვით, ჩემი ხელით გადავეცი ლუკულუსსა და ჰორტენზიუსს. ვფიქრობ, ამდენი ცალი, სხვადასხვა ადგილზე შენახული, დაიცავს შენს შრომას დაწვისაგან ან სხვა უბედურებისაგან იქამდე, ვიდრე ან შენ გადაწყვეტდე მათ გამოცხადებას, ან შენი სიკვდილის შემდეგ, - მაღალმა ღმერთებმა დაგვიფაროს ამისაგან, - ლუკულუსი იზამდეს მაგას, როგორც შენს ანდერძშია მოყვანილი.

- მე ვიზრუნე ჩემს ანდერძში თქვენთვის, რომლებიც ჩემი ერთგულები იყავით.

- აბა, რას ბრძანებ მაგას! - წარმოთქვა თავმდაბლად კორნელიუს ქრიზოგენემ.

- მოიცა, თითქო ხმაური მესმის წინა ოთახში. ყოფილი მონა მაშინვე გავიდა ოთახიდან.

სულა მიყუჩდა, თავი აუზის კედელს მიადო, თითქოს ჩაეძინა. მსახური მონები კუთხეში მიიმალნენ, იდგნენ ჩუმად და შეჰყურებდნენ იმ კაცს, რომლის ერთი წარბის განძრევისაც კი ეშინოდათ. რამდენიმე წამის შემდეგ ქრიზოგენე დაბრუნდა; სულა შეკრთა და მისკენ მიბრუნდა. - რა დაგემართა, ჩემო ბატონო? - მზრუნველობით ჩაეკითხა მონა.

- არაფერი, თითქოს ძილი მომერია... იცი, სიზმარი ვნახე...

- მერე რა ნახე?

- ჩემი საყვარელი ცოლი ცეცილია მეტელა, შარშან რომ მომიკვდა, თავისთან მეძახდა. - ნუ აქცევ ყურადღებას, სულა, სიზმარს.

- მერე შენ თვითონ რად გაღონებენ ხოლმე სიზმრები, ქრიზოგენე? მე... მწამს სიზმარი და ყოველთვის ვასრულებდი ხოლმე, რასაც ღმერთი მიბრძანებდა სიზმარში, ამიტომაც ვრჩებოდი გამარჯვებული ყველა ჩემს დაწყებულ საქმეში...

- შენს დაწყებულ საქმეში გამარჯვებას გაძლევდა შენი ჭკუა, შენი ვაჟკაცობა და არა სიზმრების რჩევები.

- არა, მაგას ნუ ამბობ, ქრიზოგენე, მარტო ჩემი ჭკუა და ვაჟკაცობა კი არა, უმეტესად ბედისწერა, რომელიც მუდამ მწყალობდა. დამიჯერე, რომ ყველაზე უკეთ ის საქმე მისრულდებოდა, რომელსაც მოუფიქრებლად, როგორც მომხვდებოდა, ისე შევებმოდი.

ქრიზოგენემ გადაწყვიტა, რომ ახლა სწორედ დრო იყო მოეხსენებინა, რომ გუშინ საღამოს მისი ბრძანებით კუმიდან მოიყვანეს ედილი გრანიუსი და მეორე ოთახში უცდიდა მის ბრძანებას. ამ სახელის გაგონებაზე სულას სახე უცბად დაემანჭა მრისხანებით:

- შემოიყვანეთ... ახლავე... აქ... ჩემ წინაშე... ეგ თავხედი, რომელმაც ერთადერთმა გაბედა დედამიწის ზურგზე ჩემი განკარგულების სასაცილოდ აგდება და ჩემს სიკვდილს ნატრობს! და გამხდარი ხელებით მიეპოტინა აუზის კედელს, რაზედაც მიყრდნობილი იყო.

- იქნებ მოიცადო, ჰოი, დიდსულოვანო ჩემო ბატონო, სანამ აბაზანიდან გამობრძანდებოდე?

- არა... არა... აქ... ჩემთან... ასე მინდა მე!..

გრანიუსი იყო ღონიერი კაცი, ასე ორმოცის წლისა, მკაცრი და ცბიერი შესახედაობისა. როდესაც აბანოში შევიდა საშინლად გაფითრებული, მდაბლად დაუკრა თავი და ხელი პირთან მიიტანა მისალმების ნიშნად.

- მრავალჟამიერ აცოცხლონ ღმერთებმა დიდსულოვანი სულა ბედნიერი! - წარმოთქვა გრანიუსმა შიშისგან აცახცახებული ხმით.

- შენ აგრე არ ამბობდი გუშინწინ, სულმდაბალო, გარყვნილო, როდესაც დასცინოდი ჩემს ბრძანებას, მისი ასრულება არ გინდოდა და ამბობდი, რომ დღეს-ხვალ მოვკვდებოდი და შენ კი გათავისუფლდებოდი ჯარიმისაგან!

- არასდროს, არასდროს არ მითქვამს ეგ! ნუ დაუჯერებ მაგ დაბეზღებას, - წარმოთქვა გრანიუსმა და უფრო შეეცვალა სახე.

- ლაჩარო! ახლა ცახცახებ? მაშინ უნდა აცახცახებულიყავი, როდესაც შეურაცხყოფას აყენებდი უძლიერესსა და უბედნიერეს ადამიანს, ფლიდო!

ამ სიტყვებზე თვალებგადმოკარკლულმა სულამ სახეში შემოჰკრა უბედურს, რომელიც აუზის წინ განერთხო და ტირილით ევედრებოდა შებრალებას.

- შემიბრალე... შემიბრალე... მაპატიე! - ყვიროდა უბედური.

- შეგიბრალო? - შეჰყვირა სულამ, - შეგიბრალო შენ, რომელმაც შეურაცხმყავ? უნდა მოკვდე, უნდა მოკვდე, საზიზღარო, აქ ამ საათში, ჩემ თვალწინ... მე მინდა, მე ვიწვი მოუთმენლობით, რომ დავტკბე შენი უკანასკნელი გრეხვით და ხრიალით.

გაშმაგებული, ჭკუაზე შეშლილივით აწყდებოდა აქეთ-იქით, ხელებს ირტყამდა გამხმარ სხეულზე და გაცოფებული ხმით უყვიროდა მონებს:

- ჰეი, თქვე ზანტებო... რას აკეთებთ მანდ, წაავლეთ ხელი ამ უკეთურს და მოკალით ცემით, აქ, ჩემ თვალწინ, გაგლიჯეთ, დაახრჩეთ!

და რადგან მონები თითქო ყოყმანოდნენ, საზარელი ხმით დაუყვირა:

- დაახრჩვეთ-მეთქი, თორემ ვფიცავ კაპარჩხინის გველებს, ვუბრძანებ, ჯვარს გაცვან ყველანი!

მონები მისცვივდნენ უბადურ ედილს, იატაკზე დაანარცხეს და დაუწყეს ცემა და ფეხით თელვა. ამ დროს სულა კიდევ შფოთავდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, როგორც სისხლის სუნდაკრული ნადირი და ყვიროდა:

- აბა! აბა! ღონივრად დაჰკათ, გაქელეთ, დაახრჩეთ ეგ უკეთური!.. დაახრჩეთ, დაახრჩეთ, ყველა ღმერთების გულისათვის! დაახრჩეთ!

გრანიუსი, რომელსაც სცემდნენ და თელავდნენ მონები, მთელი თავისი მძიმე ტანით ზედ გადაწოლილნი, ღონიერი მუშტებით ცდილობდა მათ მოგერიებას. მონები, რომლებიც სცემდნენ და ახრჩობდნენ თავის მსხვერპლს მარტო ბატონის ბრძანებით და სრულებით უღონოდ, ახლა თვითონაც გაფიცხდნენ და სულას გაგიჟებული ყვირილით წაქეზებულებმა,

მალე გამოაცალეს გრანიუსს განძრევის ღონე და ერთმა მათგანმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ყელში წაუჭირა ხელი. რამდენიმე წუთის შემდეგ გრანიუსი დაახრჩეს.

სულა კი გადმოკარკლული თვალებით, პირზე დორბლმრეული ჩასცქეროდა უბედურ მსხვერპლს და მისუსტებული ხმით გაჰკიოდა:

- ეგრე... ეგრე მაგას... ღონივრად წაუჭირე, დაახრჩე!..

მაგრამ ამ დროს, როცა გრანიუსი სულს ლევდა, ყვირილით დაქანცული სულა უკან გადავარდა და თავი დაჰკრა აუზის კედელს.

- მიშველეთ, ვკვდები! მიშველეთ! - შეჰკივლა მისუსტებული ხმით.

ქრიზოგენე მივარდა, მისცვივდნენ სხვა მონებიც, წამოაყენეს და აუზის კედელს მიაყუდეს.

სიკვდილის ნიშანი ედო ნადიქტატორალის სახეს. წამწამები დაეშვა, თვალები ნახევრად დაეხუჭა, მთელი ტანით კანკალებდა და კბილებს აკრაჭუნებდა.

სანამ ქრიზოგენე და მონები გარს ეხვეოდნენ და ცდილობდნენ სულას გონზე მოყვანას, ის

უეცრად წამოჯდა, ერთი საშინლად დაახველა, სისხლი წასკდა პირიდან და თვალებგადატრიალებული მკვდარი დაეცა იატაკზე.

ასე გაათავა სიცოცხლე მესამოცე წელიწადში გადასულმა კაცმა, იმდენადვე დიდებულმა, რამდენადაც ცოდვილმა; კაცმა, რომლის ჭკუა და დიდსულოვნება დახშული იყო სიმძვინვარითა და შეუკავებელი ვნებით. სულას ბევრი დიდი ღვაწლი მიუძღვოდა, მაგრამ იმავე დროს საშინელი უბედურება მიაყენა თავის სამშობლოს და დიდებულმა სარდალმა ისტორიაში ცუდი მოქალაქის სახელი დატოვა. მისი შრომის განხილვით, ძნელი გადასაწყვეტია, რა უფრო მეტი იყო მასში: სიმამაცე და ენერგია, თუ ეშმაკობა და ცბიერება. ტყუილად კი არ თქვა კონსულმა გნეუს პაპირიუს კარბონმა[110], მარიუსის მომხრემ, რომელიც დიდხანს და მამაცურად ებრძოდა სულას, რომ: სულასთან მეომარი ერთსა და იმავე დროს უნდა ებრძოდეს ლომს და მელას, რომლებიც სულაში ცხოვრობენ, და უკანასკნელი უფრო აჭირვებს საქმეს, ვიდრე პირველიო.

სულა მოკვდა ყოველი ცხოვრებისეული სიამოვნებით დამტკბარი და ამისათვის ეძახდნენ მას ბედნიერს, თუ მართლა ადამიანის ბედნიერებას ის შეადგენს, რომ თავის ყველა სურვილს მიაღწიოს. ის იყო სული დალია, რომ ოთახში შემოვიდნენ ექიმი და დიოდორე. - შიკრიკი გეახლათ რომიდან საგანგებო წერილით, - თქვა უკანასკნელმა. აქ მონას ხმა ჩაუწყდა: მან დაინახა თავისი ბატონის გვამი.

ექიმმა უბრძანა, სულა იატაკზე დაედოთ, სახელდახელოდ მომზადებულ ბალიშების ლოგინზე. მერე დაუწყო სინჯვა, შეუმოწმა მაჯა, გული და თავჩაღუნულმა თქვა:

- ყველაფერი გათავდა, გარდაიცვალა!

ევტიპიდას მონა, წერილის მომტანი, მომხსენებელ დიოდორეს შეჰყვა თან. გაჩერდა კუთხეში და გაოცებული შესცქეროდა ამ სურათს. შემდეგ, როდესაც იფიქრა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი კაცი ამ სახლში ქრიზოგენე იყო, მიუახლოვდა მას და წერილი გაუწოდა.

- ჩემმა ქალბატონმა, მშვენიერმა ევტიპიდამ მიბრძანა, ეს წერილი გადამეცა სულასთვის საკუთარ ხელში, მაგრამ ღმერთებმა დამსაჯეს იმით, რომ აქ მომიყვანეს ყველაზე უდიდესი ადამიანის სიკვდილის სანახავად. შენს ცრემლებზე ვხედავ, რომ მისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი ყოფილხარ, ამიტომ შენ მოგცემ ამ წერილს.

მწუხარებით გამწარებული ქრიზოგენე ტიროდა და მისთვის მზრუნველი ბატონის გვამს დასტრიალებდა. წერილისათვის არანაირი ყურადღება არ მიუქცევია და ტუნიკის ქვეშ დამალა.

სულას სიკვდილის ხმა უკვე გაისმა და მთელი სახლი გადაატრიალა. მონები მოცვივდნენ. იმ დროს, როდესაც ისინი ქვითინებდნენ და მოსთქვამდნენ, შემოვარდა დაქანცული კომედიანტი მეტრობი. გაფითრებული სახე დამანჭვოდა, თვალები ცრემლებით ავსებოდა. შევიდა თუ არა აბანოში, მეტრობიმ შეჰყვირა:

- არა, ეგ შეუძლებელია!... არა, არა!... ეგ ტყუილია! - მაგრამ სულას უკვე გაციებული და გაშეშებული გვამის დანახვაზე საცოდავად შეჰკივლა, მიწაზე დაეცა უსულო გვამის გვერდით და მხურვალედ დაუწყო კოცნა.

- უჩემოდ მოკვდი შენ, დაუვიწყარო მეგობარო, ვეღარ გავიგონე შენი უკანასკნელი სიტყვები... ვეღარ დავესწარი შენს უკანასკნელ ამოსუნთქვას. ჰოი, სულა, ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო სულა!

8. სულას სიკვდილის შედეგი

სულას სიკვდილის ხმა ელვის სისწრაფით გავარდა მთელ იტალიაში.

პირველ წამებში ყველას თავზარი დაეცა, მერე კი დაიწყეს მითქმა-მოთქმა, გამოკითხვა. ყველას უნდოდა გაეგო, თუ როდის და როგორ მოხდა ეს მოულოდნელი ამბავი.

ოლიგარქების წრე, პატრიციები, მდიდრები დასტიროდნენ ამ კაცს და ითხოვდნენ ამ დიდებული ადამიანის დამარხვას იმპერატორის ღირსებით, მის სახელობაზე ანდრიანტებისა და ტაძრების აგებას.

მათ ხმას ბანს აძლევდა სულასაგან გათავისუფლებული ათი ათასი მონის გოდება, რომლებსაც მოქალაქეობის უფლება მიეღოთ. ათიათასი კაცი ერთგული იყო სულასი, რომლის მოწყალებით მიიღეს ყველაფერი და ამიტომ წუხდნენ ისინი არა თუ მხოლოდ მადლიერების გამოსახატავად, აგრეთვე იმის შიშითაც, სულას სიკვდილთან ერთად არ დაეკარგათ ისიც, რაც მისგან ჰქონდათ მინიჭებული.

მთელ იტალიაში ასოცი ათასზე მეტი ლეგიონერი იყო, რომლებიც სულას მხარეზე იბრძოდნენ

მითრიდატეს წინააღმდეგ, შემდეგ კი სამოქალაქო ომში - მარიუსის წინააღმდეგ. ამ ლეგიონერთა უმრავლესობა დაბინავდა მარიუსის მომხრე ქალაქებში. როდესაც სულა შეებრძოლა მარიუსს, ამოხოცა და გარეკა ამ ქალაქის მკვიდრნი, ლეგიონერებს დამარცხებულების ქონება დაურიგა. ეს ასოცი ათასი ლეგიონერი აღმერთებდა სულას, არა მარტო როგორც ძლევამოსილ მხედართმთავარს, აგრეთვე როგორც მოწყალეს, რომელმაც დაურიგა მათ დამარცხებულთა ქონება. ესენიც მზად იყვნენ, დაეცვათ ყველაფერი ის, რაც მათ სულამ მიანიჭა.

როდესაც სულას მომხრეთა ძლიერი პარტია მის სიკვდილს გლოვობდა, მისი მძვინვარების ასი ათასი მსხვერპლი, ასი ათასი განდევნილი და მარიუსის მომხრე ზეიმობდა. ეს ხალხი სწყევლიდა მათი ნათესავებისა და მეგობრების მკვლელს და ამდენი ოჯახის დამღუპველს და აღელვებით, შიშით მოელოდნენ ცვლილებას და ახალ დადგენილებას. მათ ემხრობოდნენ პლებეები, რომელთაც სულასაგან მოსპობილი ჰქონდათ უფლებები და ახლა სწყუროდათ დაებრუნებინათ წართმეული.

ამგვარად, ნადიქტატორალის სიკვდილის ამბავმა ააღელვა, შეაწუხა და შეაშფოთა უკვდავი რომი ისე, როგორც კარგა ხანია, არ ყოფილა შეწუხებული.

ფორუმებზე, ბაზილიკებში, ტაძრებში, ქუჩებში, დუქნებში, სავაჭრო მოედნებზე, ყველგან გროვდებოდა მოქალაქეთა ბრბო და გაისმოდა ხმამაღალი წუხილი იმ უდიდეს უბედურებაზე და უფრო მეტად ხმამაღალი დიდება ღმერთებისა, რომ როგორც იქნა რესპუბლიკა გათავისუფლდა მტარვალისაგან.

ამ მღელვარების გაზვიადებას უფრო ცდილობდა კატილინა და მისი თანამოაზრენი, რადგან, ვალში დამხრჩვალებს ესმოდათ, რომ წაგებით არაფერს წააგებდნენ და მოგებით კი შეიძლებოდა ყველაფერი მოეგოთ. ამიტომ იყო, რომ ისა და მისი

ახალგაზრდა მეგობრები ჩაერივნენ და ცეცხლზე ნავთს უსხამდნენ, აღვივებდნენ ოლიგარქებისადმი სიძულვილს.

მარტო გნეუს პომპეუსი და მარკუს კრასუსი იყენებდნენ მთელ თავიანთ გავლენას გაშმაგებულთა დასამშვიდებლად და ჩააგონებდნენ მოქალაქეთ, პატივი ეცათ კანონებისთვის, არ დაეღუპათ სამშობლო.

ამ არეულობის დროს სენატი შეიკრიბა ჰოსტილიუსის კურიაში, რომ გადაეწყვიტა, თუ როგორ დაესაფლავებინათ მითრიდატეს დამმარცხებელი.

ატყდა კამათი. თავმჯდომარეობდა პუბლიუს სერვილიუს ვატია ისავრიელი, ყოფილი

კონსული, ცნობილი თავისი სიბრძნითა და სიმამაცით. პირველად ილაპარაკა კონსულმა კვინტუს ლუტაციუს კატულუსმა, პატრიცთა პარტიის მომხრემ. მან მოკლე სიტყვით, რომ არაფრით არ მიეყენებინა შეურაცხყოფა სულას მოწინააღმდეგეთათვის, წარმოადგინა სულას ღვაწლმოსილი სიცოცხლე. ილაპარაკა იუღურთაზე, რომელიც ტყვედ ჩაიგდო აფრიკაში; არქელაეზე, ვინც ქერონეასთან დაამარცხა; მითრიდატეზე, რომელზეც გაიმარჯვა და განდევნა აზიის სიღრმეში; ათენის აღებაზე, დამღუპველი სამოქალაქო ცეცხლის ჩაქრობაზე. კატულუსმა მიმართა სენატს თხოვნით, შესაფერისი პატივი მიეგოთ ამ კაცისა და რომაელი ხალხისათვის, რომელთა წინამძღოლი და სარდალიც იგი იყო, და დაასრულა იმით, რომ მოითხოვა სულას ცხედარი კუმიდან რომში გადაესვენებინათ და დიდი პატივით დაესაფლავებინათ მარსის მინდორზე.

კატულუსის მოკლე სიტყვას მოწონების შეძახილებით შეხვდნენ

სენატორები, გალერეაში კი - ლანძღვა-გინებით. როდესაც ხმაურობა

მიწყნარდა, გამოვიდა ლეპიდუსი.

- ვნანობ, მწარედ ვნანობ, სენატორნო, - ამბობდა იგი, - რომ დღეს ვერ დავეთანხმები ჩემს სახელოვან თანამოაზრეს, რომელსაც პატივს ვცემ სიმამაცისა და კეთილშობილებისთვის. მე

მგონია, მხოლოდ თავისი უსაზღვრო სიკეთის წყალობით და არა ჩვენი სამშობლოს სიყვარულისა და ინტერესებისათვის წარმოთქვა განსვენებულ იმპერატორს შესაფერი პატივი მივაგოთ და მეფურად დავკრძალოთ მარსის მინდორზე. სიკეთის წყალობით, ჩვენმა თანამოაზრემ მოგვაგონა მხოლოდ დამსახურებანი და კეთილი საქმენი სულასი და დაივიწყა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, უნდოდა დაევიწყებინა ის უბედურება, რაც მისმა დიქტატურამ მოუტანა ჩვენს სამშობლოს, ყველა ის მწუხარება, რომელშიც მას ბრალი მიუძღვის და ვთქვათ უშიშრად, ნუ შეგვაკრთობს სიმართლე, დაივიწყა ის ბიწიერებანი და დანაშაულებანი, რომელმაც ჩირქი მოსცხო მის სახელს. ის ბოროტი საქმეები, რომელთაგან ერთიც კი საკმარისია, რომ დავივიწყოთ მისი კეთილი საქმეები და გამარჯვებები.

ამ სიტყვამ მხურვალე აპლოდისმენტები გამოიწვია სენატორთა შორის და უკმაყოფილების დრტვინვა - დერეფნებში.

ვატია ისავრიელმა მემუსიკეებს ნიშანი მისცა. დასცეს ბუკი, რაც ხალხს სიჩუმისკენ მოუწოდებდა.

- ვიყოთ გულწრფელნი, - განაგრძობდა ემილიუს ლეპიდუსი, - სულას დიქტატორობა ავის მომასწავებელი იყო რომისათვის. დანაშაულობებით მან ისე წაბილწა თავისი სახელი, რომ მისი

წარმოთქმისას ყველას თვალწინ უდგას დათრგუნვილი კანონები, ტრიბუნების ტალახში ამოსვრილი ავტორიტეტი და კონსულთა ღირსებანი, დესპოტიზმი, უკანონო მკვლელობები ათასობით და ათიათასობით უდანაშაულო მოქალაქეებისა, სამარცხვინო, წყეული პროსკრიპცია, ძალადობა, მტაცებლობა და სხვა ნამოქმედარი სულას სახელითა და ბრძანებით, სამშობლოს საზიანოდ, რესპუბლიკის მოსასპობად. და ასეთ კაცს, რომლის სახელიც ყოველ პატიოსან მოქალაქეს მხოლოდ უბედურებას მოაგონებს, კაცს, რომელმაც თავისი ჟინი და ვნება კანონად აქცია, გვინდა დღეს დიდი პატივი მივაგოთ, მეფურად დავკრძალოთ და სახალხო გლოვა გამოვაცხადოთ?

როგორ? ნუთუ ჩვენ ლუციუს სულას, რესპუბლიკის დამანგრეველს, მარსის მინდორზე დავასაფლავებთ, სადაც რესპუბლიკის ერთ-ერთი დამაარსებლის პუბლიუს ვალერიუს პოპლიკოლას[111] საფლავია. ნუთუ შესაძლებელია, რომ მარსის მინდორზე, სადაც სენატის დადგენილებით წარსული დროის გამოჩენილ მოქალაქეებს ასაფლავებდნენ, მისი ძვლებიც განისვენებდეს, ვინც განდევნა და ამოხოცა ჩვენი დროის ყველაზე კეთილშობილი და გამოჩენილი ადამიანები? განა უფლება გვაქვს დამნაშავეს იგივე პატივი მივაგოთ, რასაც ჩვენი მამა-პაპანი წარსულში სათნოებისთვის მიაგებდნენ? მაშ, რისთვის უნდა გავაკეთოთ, რაც ჩვენს ღირსებას და სინდისს ეწინააღმდეგება?

იქნებ იმის მხარეზე მებრძოლ იმ ოცდაშვიდი ლეგიონის შიშით, იტალიის მრავალ ულამაზეს ქალაქში რომ არიან დაბანაკებულნი, თუ იმ ათი ათასი სულმდაბალი მონის შიშით, რომლებიც ჩვენი კანონებისა და ჩვეულებების წინააღმდეგ თავისი ნებით გაათავისუფლა და რომაელი მოქალაქის საპატიო წოდება მიანიჭა? მჯერა, რომ სულიერი დაცემულობისა და შიშის წყალობით, სადამდეც სულას თვითნებობამ მოგვიყვანა, მის სიცოცხლეში ვერავინ ბედავდა მოეწოდებინა ხალხისა და სენატისათვის ჩვენი სამშობლოს კანონების დაცვა. მაგრამ ახლა რომის მფარველი ღმერთების სახელით გეკითხებით, დიდებულო სენატორნო, რაღა გაიძულებთ, უსამართლო სამართლიანად სცნოთ და ხოტბა შეასხათ როგორც დიდსულოვან ადამიანს, ვინც ბიწიერი და საზიზღარი მოქალაქე იყო1

ო, დიდებულო სენატორნო, ნუ გამხდით სასოწარკვეთილს ჩვენი სამშობლოს ბედის გამო. ნუ წარმიკვეთთ იმედს, რომ სიმამაცე, საკუთარი ღირსების გრძნობა და სინდისი ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ჩვენს სენატს. დამიმტკიცეთ, რომ სულმდაბლური შიში კი არა, საკუთარი ღირსების გრძნობა გამეფებულა თქვენს გულებში, ნუ მისცემთ მიზეზს რომის მოქალაქეთ, რომ ნაპერწკლებივით გაღვივდეს მათში შფოთისა და უკმაყოფილების ცეცხლი. უარყავით, როგორც უღირსი და უპატიოსნო, მარსის მინდორზე სულას დამარხვის წინადადება დიდი მოქალაქისა და სახელმოხვეჭილი იმპერატორის შესაფერისი პატივით.

მხურვალე აპლოდისმენტებით შეხვდნენ მარკუს ემილიუს ლეპიდუსის სიტყვებს. ამ თამამ და მგრძნობიარე სიტყვაზე ტაშისცემა ატეხეს არა მარტო პლებეებმა, დერეფნებში მსხდომებმაც, მრავალმა სენატორმა.

მარკუს ემილიუსის სიტყებმა მართლაც რომ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დრტვინვა გამოიწვია სულას მომხრეებში, რასაც არ მოელოდნენ და არც იყვნენ ამის მსურველნი.

როგორც კი ხმაური მიწყნარდა კონსულის სიტყვის შემდეგ, წამოდგა პომპეუს დიდი. იგი იყო ყველაზე ახალგაზრდა, რომის დიდი სახელმწიფო მოღვაწე და ყველაზე სახელმოხვეჭილი მთელ სენატორებში. თუმცა მჭევრმეტველებას მოკლებული, მაგრამ გულიდან ამოხეთქილი სიტყვებით მან ხოტბა შეასხა განსვენებულ ლუციუს კორნელიუს სულას. არ განუდიდებია სულას ბრწყინვალე გამარჯვებები და კეთილშობილური საქმენი, არ იცავდა, არც ჰკიცხავდა სამარცხვინო საქმეებისათვის. იგი ამაში ბრალს სდებდა არა სულას, არამედ იმ არანორმალურს პირობებს, რომელშიც აღმოჩნდა დაღუპვის გზაზე დამდგარი რესპუბლიკა.

გულწრფელმა, უბრალო და გულში ჩამწვდომმა სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, განსაკუთრებით კი სენატორებზე. პომპეუსის სიტყვის შემდეგ ამაო იყო ვინმეს გამოსვლა, მაგრამ კონსულ კვინტუს ლუტაციუს კატულუსის მერე ბრწყინვალე სიტყვა

წარმოთქვა ლენტულუს სურამ. კვინტუს კურიონის გამოსვლამ კი ვერავინ მოხიბლა. საქმე მიდგა კენჭისყრაზე.

ზოგიერთი სენატორის მოთხოვნით საიდუმლო კენჭისყრა მოაწყვეს. სამასოცდაშვიდმა კაცმა ხმა მისცა კატულუსის წინადადებას, ოთხმოცდაცამეტი მისი წინააღმდეგი იყო.

გაიმარჯვეს სულას მომხრეებმა.

იმ წამს, როდესაც პომპეუსი და ლეპიდუსი კურიიდან გამოვიდნენ და ცხარედ განაგრძობდნენ ბაასს ერთმანეთში, ხალხში კინაღამ შეჯახება მოხდა, რომელსაც მეტად სამწუხარო შედეგი მოჰყვებოდა, რადგან ეს იქნებოდა ნიშანი ურთიერთშორის ომის დაწყებისა.

ბრბო დაიშალა, მაგრამ არა ერთი შეტაკება და სისხლისღვრა მოხდა იმ ღამეს სამიკიტნოსა და ფორუმებზე, სადაც ჩვეულებრივად იკრიბებოდა ხალხი. იმ ღამეს რამდენი დასტიროდა თავის ნათესავს, დაჭრილსა და დახოცილს ქუჩებში შეტაკებებისას. ამას გარდა, რამდენჯერმე შეეცადნენ სულას ყველაზე გამოჩენილი მომხრეების სახლების გადაწვას.

როდესაც რომში ზემოთ აღწერილი აღელვება იყო, კუმში სხვა ამბები ხდებოდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი.

სწორედ სულას სიკვდილის დღეს, მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც ამ მოულოდნელმა ამბავმა გადაატრიალა მთელი სასახლე, კაპუადან აქ ერთი კაცი მოვიდა, რომელსაც ტანისამოსზე და იარაღზე მაშინვე გლადიატორად იცნობდით.

გადადგა თუ არა კარში ფეხი, მაშინვე ითხოვა გადაეცათ სპარტაკისთვის, რომ მოლაპარაკება უნდოდა მასთან ძალიან საჭირო საქმეზე.

ეს იყო ორმოცი წლის კაცი, ძალიან ზორბა ტანისა და იშვიათად ღონიერი. პირისახე ყვავილისგან ჰქონდა დაჯენჯილი და უსახური. პირის კანს მიწის ფერი დაჰკრავდა. ძალიან შავი წვერი, ცხადია, დიდი ხნის დაუვარცხნელი, და სქელი, გაწეწილი ფაფარი თავზე, მხეცურ შესახედაობას აძლევდა ამ ისედაც უსახურ ადამიანს.

მაგრამ ამ სახიჩრობის მიუხედავად, გლადიატორი პირველივე შეხედვით უნებურად მიიზიდავდა კაცს, იმიტომ, რომ ყოველი მისი მოძრაობა და თავისუფალი მეტყველება ამტკიცებდა გამბედაობას, კეთილშობილებას, რაღაცაბავშვურ სათნოებას, თუმცაკი ბარბაროსულ სიამაყესაც.

რადგან გლადიატორების სადგომი საკმაოდ მოშორებული იყო, ამიტომ სპარტაკთან წასული მონა მაშინვე ვერ დაბრუნდა. თხუთმეტ წუთში ხეივნის ბოლოს სპარტაკი გამოჩნდა, გლადიატორი გაექანა მისკენ და ერთმანეთს გადაეხვივნენ. სპარტაკმა რამდენჯერმე აკოცა ახალმოსულს და მერე ჰკითხა:

- აბა, ახალი რა არის, ენომაი?

- ახალი? ყველაფერი ძველია, - უპასუხა გლადიატორმა სანდომიანი, ტკბილი ხმით, - ჩვენ ყველანი ვბეზრდებით უსაქმურობით, წამოვწოლილვართ მხარ-თეძოზე, გული გველევა ბუზების ჭერით! ერთი სიტყვით, ჩემო კარგო სპარტაკ, ველით და ველარ მოვესწარით იმ დროის მოსვლას, რომ ხელში მახვილი ავიღოთ და აჯანყების დროშა ავაფრიალოთ!

- გაჩუმდი, გადარეულო! - შეჰყვირა სპარტაკმა, - ვფიცავ ყველა შენს გერმანელ ღმერთს, ჩვენი საქმის დაღუპვა მოგინდომებია!

- დაღუპვა კი არა, გამარჯვებით მინდა დაგვირგვინდეს!

- მაშ, კი ნუ ყვირი ეგრე ხმამაღლა, ფრთხილად მოიქეცი და გონივრულად, იმიტომ, რომ მარტო ამნაირად შეგვიძლია ჩვენი საწადელის ასრულება.

- ასრულება! მერე როდისღა? აი, ეს გამაგებინე, იმიტომ, რომ ძალიან გულს მომიკლავს, თუ ეს ჩემი სიკვდილის შემდეგ იქნება.

- მოიცადე, მომწიფდეს ჯერ ჩვენი საქმე.

- მომწიფდეს? მერე იცი, რა აჩქარებს ისეთი ნაყოფის მომწიფებას, როგორიც არის შეთქმულება და აჯანყების გეგმები? დამერწმუნე, მთავარია გამბედაობა, სიმამაცე, შეუპოვრობა; აღარ უნდა დავაყოვნოთ დაწყება და მერე თავისთავად წავა საქმე.

- გამიგონე, მოთმინება იქონიე. რამდენი კაცი გადმოიბირე ჩვენს წრეში ამ სამი თვის ყოფნით ლენტულუს ბატიატის სკოლაში?

- ასოცდაათი.

- ასოცდაათი ათი ათას კაცში! დავიჯერო გგონია, რომ ეგ გვეყოფა და საკმარისია საქმის დასაწყებად?!

- რაკი აჯანყება დაიწყება, დანარჩენები თვითონ შემოგვიერთდებიან.

- აგრე გგონია? მაგრამ მათ რომ არ იციან, რა საქმისათვის ვიბრძვით, რა გვწადია, რა ხალხი ვართ, რა საშუალებას ვხმარობთ მიზნის მისაღწევად? გამარჯვება მით უფრო უზრუნველყოფილი იქნება, რამდენადაც მოვიპოვებთ ჩვენი ამხანაგების ნდობას.

მერე, ცოტა სიჩუმის შემდეგ, სანამ ენომაი თითქოს წონიდა სპარტაკის სიტყვებს, დაუმატა:

- დააკვირდი, მაგალითად, თუკი შენ უღონიერესი დაუმამაცესი ხარ ლენტულუს ბატიატის სკოლის 10 ათას გლადიატორში, რის გაკეთება მოასწარი ამ ხნის განმავლობაში? მაგრამ ენომაიმ არ დაამთავრებინა.

- მე იმიტომ შევაგროვე ასე ცოტა, - გააწყვეტინა სიტყვა ამხანაგს, - რომ ისეთი განათლებული არ ვარ, როგორც შენ, და არ ვიცი კარგი ლაპარაკი და ჩაგონება. აი, ამიტომაც ვცდილობდი მთელი დრო, რაც ძალა და ღონე მქონდა, დამეჯერებინა ბატიატი, რომ შენ მოეწვიე სკოლის მასწავლებლად, რაზედაც ის, როგორც იყო, დავიყოლიე ახლა და კაპუაში გიწვევს. - ამ სიტყვებით ენომაიმ ამოიძრო ქამრიდან დაკეცილი ეტრატი და სპარტაკს გადასცა.

სიხარულით აენთო თრაკიელს თვალები, გაფაციცებით გამოსტაცა ბატიატის წერილი ხელიდან, აკანკალებული ხელით მოაძრო ბეჭედი და ხარბად დაიწყო კითხვა. ლენტულუს ბატიატი წერდა, რომ შენმა დიდსულოვნობითა და ვაჟკაცობით განთქმულმა სახელმა კაპუამდეც მოაღწიაო, და ეპატიჟებოდა თავისი სკოლის მასწავლებლად.

- მაშ, რად კარგავდი დროს ტყუილუბრალო ლაპარაკში, - შეჰყვირა სპარტაკმა, - და მაშინვე არ გადმომეცი ეს წერილი? ეს მართლა რომ მნიშვნელოვანია ჩემთვის. დიდი ხანია ვნატრობდი ამ ადგილს, მაგრამ გაფიქრებას ვერ ვბედავდი. იქ, იქ, ათი ათას ჩემს ამხანაგში არის ჩემი ადგილი, - ამბობდა აღტაცებით გლადიატორი; - იქ ნელ-ნელა, ცალ-ცალკე, მოველაპარაკები ყველას და ჩავუნერგავ მათ იმ რწმენას, რომელიც ჩემს გულში ღვივის.

თრაკიელმა სიხარულით არ იცოდა რა ექნა, ხელახლა გადაიკითხა ბატიატის წერილი, მიმოდიოდა ხეივანში, ეხვეოდა ენომაის და რაღაც სიტყვებს გაიძახოდა.

გერმანელი არც თუ გაკვირებით, არც თუ კმაყოფილებით ადევნებდა თვალს სპარტაკს და როდესაც ის ცოტათი დამშვიდდა, უთხრა:

- მახარებს შენი სიხარული, მაგრამ უფრო მეტად გაახარებს ეგ ასოცდაათ ჩვენს ამხანაგს, რომლებსაც დიდი იმედი აქვთ შენი.

- თავის თავის იმედი უფრო უნდა ჰქონდეთ.

- იქნებ შენ მაინც შეაკავო მათი მოუთმენლობა?

- მესმის! რადგან ისინი შენი საუკეთესო მეგობრები არიან, უეჭველია, ისეთივე თავშეუკავებლები იქნებიან, როგორც შენ... ჰო, მართალი ხარ... მართლა საჭიროა ჩემი ყოფნა კაპუაში, თორემ უდროო აფეთქებით შეიძლება საქმე დაიღუპოს...

- მე კი, - უთხრა ენომაიმ, - ვფიცავ, ვიქნები შენი ერთგული თანაშემწე და ყოველ დროს შენი მორჩილი. ორივე მეგობარი რამდენიმე წამს ჩუმად იდგა. ენომაიმ უცებ წამოიძახა:

- იცი, სპარტაკ, მას აქეთ, რაც უკანასკნელად ჩვენს საიდუმლო კრებაზე გნახე პუცეოლში, ძალიან გალამაზებულხარ.

მაგრამ აქ შეჩერდა, იმიტომ რომ სპარტაკს ნაცრისფერიდაედო სახეზე. სპარტაკმა სილა შემოიკრა შუბლში და წამოიძახა:

- ჰოი, ღმერთებო!.. იმას რაღა ეშველება?!

ბედკრულ გლადიატორს ახლა უცებ გაახსენდა ვალერია და ამ გახსენებაზე თავი ჩაღუნა. მწუხარებისაგან ელდანაცემი იდგა.

ბოლოს გერმანელმა დაარღვია სიჩუმე და ლმობიერი ხმით ჰკითხა:

- მაშ რადგან აგრეა, თავს გვანებებ, სპარტაკ?

-არა! არა! არასოდეს! - წარმოთქვა მთრთოლვარე ხმით თრაკიელმა, ენომაის მიაპყრო თავისი ლურჯი თვალები, რომლებშიც ცრემლი უბრწყინავდა, და დაუმატა: - ხელს ავიღებ უფრო დაზე, ხელს ავიღებ... სპარტაკი შეჩერდა ერთ წამს, მერე თავი შეიმაგრა და განაგრძო:

- ხელს ავიღებ ყველაფერზე, ყველაფერზე, მხოლოდ დაჩაგრული, უფლებააყრილი მონების საქმეზე კი - არა! არასოდეს, არასოდეს! მე ნუ მიყურებ, ენომაი, გამომყევი. ამ სიტყვებით მოჰკიდა ხელი თავის ამხანაგს და წაიყვანა სასახლისკენ.

მეცამეტე დღეს სენატის დადგენილების გამოქვეყნებიდან, გრძელი პროცესია სულას ცხედრით დაიძრა დიქტატორის სასახლიდან რომისაკენ, შვიდ ბორცვზე გაშენებული ქალაქისკენ.

ცხედრის პატივსაცემად თავი მოეყარათ იტალიის ყველა კუთხიდან. ბალდახინს წინ

მოუძღოდნენ და მოჰყვებოდნენ, გარდა კონსულ ლუტაციუს კატულუსისა, ორასი სენატორი და ამდენივე რომაელი მხედარი, პატრიცნი კუმიდან, კაპუადან, ბაიდან, ჰერკულანუმიდან, ნეაპოლიდან, პომპეიდან, პუცეოლიდან, ლიტერნუმიდან და სხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან. აქ იყვნენ ყველა მუნიციპიისა და იტალიის ქალაქების წარმომადგენელნი. ოცდაოთხი ლიქტორი, კონსულთა დროშები, სულას მხარეს მებრძოლ ლეგიონთა არწივები, ორმოცდაათი ათასზე მეტი იარაღში ჩამსხდარი ლეგიონერი და თავისი ნებით მოსულნი უკანასკნელი ვალის მოსახდელად მათი სარდლის წინაშე. მათ მოჰყვებოდნენ რომიდან მოსული თალხებით მოსილი რამდენიმე ათასი გათავისუფლებული კორნელიუსელი, მემუსიკენი, მეფლეიტეები, ძაძებით მოსილი ათასამდე მოზარე ქალთა უსასრულო პროცესია კუმიდან და იტალიის სხვა ქალაქებიდან.

მდიდრულ, სამგლოვიარო ბალდახინზე, რომელშიც ექვსი ცხენი ება, თითქოს შავი ხისაგან გამოკვეთილები, ესვენა ლუციუს კორნელიუს სულასს გვამი, შემოსილი

საიმპერატორო ოქროსფერ-მეწამული მანტიით. ბალდახინს მისდევდნენ ფაუსტუსი და ფაუსტა, სულას შვილები ცეცილია მეტელასაგან, ვალერია, ჰორტენზიუსი, პუბლიუსი და სერვიუსი, სერვიუს სულას, განსვენებულის ძმის შვილები, მათ მიჰყვებოდნენ ნათესავები სამგლოვიარო ტოგებით, რუდიარები, მეგობრები და ნაცნობები, ყველანი მეტისმეტად დამწუხრებულნი.

ათ დღეს ნელა მიდიოდა სამგლოვიარო პროცესია. ყოველ სოფელში, ყოველ ქალაქში ემატებოდა ხალხი და არაჩვეულებრივ სანახაობად ხდიდა მას.

ათიათასამდე რომაელი აპიუსის გზაზე შეეგება პროცესიას.

კაპენის ალაყაფის კარს რომ მიაღწიეს, დესიგნატორი - მოწესრიგე, რომელსაც სენატისგან მინდობილი ჰქონდა სულას დასაფლავება, შეუდგა წესრიგის დამყარებას, რათა ცერემონია კიდევ უფრო დიდებული გაეხადა. ბოლოს პროცესია ქალაქში შევიდა.

წინ მიდიოდა შავად ჩაცმული მოწესრიგე, შავ ტოგებში გამოწყობილი თორმეტი ლიქტორის თანხლებით. მათ მისდევდა მუტრიბთა დასი და მათ უკან - ხუთასამდე ძაძებით მოსილი მოზარე ქალი. ისინი ხმამაღლა ტიროდნენ, იგლეჯდნენ თმას, მოსთქვამდნენ და ქებას ასხამდნენ გარდაცვლილის სიქველეს. რადგან დესიგნატორმა წინდაწინვე შეატყობინა მოზარეებს, რომ ხაზინა არ დაზოგავს თქვენთვის ფულსო, მათი ცრემლები, მოთქმა, ქვითინი გულწრფელი ჩანდა და მათთვის რომ ყური გეგდოთ, სულა იმდენად სათნო გამოჰყავდათ, რომ კამილუსისა და ცინცინატის[112], ფაბრიციუსისა და ფაბიუს მაქსიმუსის, კატონისა და სციპიონის სათნოება იმასთან არაფრად ჩანდა.

მოზარეებს მოსდევდათ ორიათასზე მეტი კორნელიუსელი, მეომრები და მოქალაქენი, ხელში ორიათასზე მეტი ოქროს გვირგვინით, რომლებიც სულას მიეღო ქალაქებისა და მისი უფროსობით მებრძოლი ლეგიონებისაგან, და სხვა მემუსიკენი, რომლებიც ჰაერს აყრუებდნენ სამგლოვიარო ჰანგებით.

შემდეგ მოდიოდა ქურუმი, რომელსაც უნდა დაეხოცა გარდაცვლილის უსაყვარლესი პორიტყვი მისი კოცონის გარშემო.

ქურუმებს მოჰყვებოდნენ მონები და მოჰქონდათ ლუციუს კორნელიუს სულას წინაპრების სანთლით გაკეთებული ანდრიანტები. მათ შორის იყო ნადიქტატორალის პაპის, რუფინიუს სულას ანდრიანტიც. იგი ოთხჯერ იყო არჩეული კონსულად იტალიაზე პიროსის[113] თავდასხმის დროს. რუფინიუსი პატიოსანი კაცი იყო, მაგრამ ცენზორის[114] გადაწყვეტილებით სენატიდან განდევნეს, რადგან არსებული კანონების წინააღმდეგ სხვადასხვა ნაკეთობის ათ ფუნტზე მეტი ვერცხლეული ჰქონდა. წინაპართა ანდრიანტებთან ერთად სულას შინაურებს მოჰქონდათ აუარებელი ალაფი და სამხედრო ჯილდოები, რომელიც მას მიეღო აზიაზე, საბერძნეთსა და იტალიაზე გალაშქრების დროს.

შემდეგ მოჰყვებოდა ქურუმთა მთელი ჯგუფი: ჯერ ავგურთა კოლეგიის ქურუმნი. ყველას

ხელში კვერთხი ეჭირა - ავგურთა განმასხვავებელი ნიშანი. მათ მოსდევდა ფლამინების[115] კოლეგია. წინ მოდიოდა დიალი - იუპიტერის ქურუმი, მერე მარციალი - მარსის ქურუმი, შემდეგ კვირინალი - რომულუსის ქურუმი, ფლორუსისა და ჰომონიუსის ფლამინები და სხვები, ყველანი სადღესასწაულოდ მორთულმოკაზმულები, მიტრის მსგავსი თავსაბურველით. შალით შემოვლებულ წოპებზე ტვიის ტოტები ჰქონდათ მიმაგრებული.

ფლამინებს მოსდევდა თორმეტი სალი - „ქურუმნი ომში მიმავალი მარსისა“, ამოქარგული ტუნიკებით, წელზე შემოჭერილი ფართო ბრინჯაოს სარტყელებით, ზემოდან საუცხოო მოსასხამებით. მარცხნივ ეკიდათ მახვილი, მარცხენა ხელში ფარი ეჭირათ, მარჯვენაში - რკინის კვერთხი და დროდადრო დასცხებდნენ წმინდა ფარებს, რომლებიც მათ მსახურებს მოჰქონდათ.

სალიებს მოჰყვებოდნენ გარუსპიკები - მარჩიელები ცხოველების შიგნეულობაზე, ფეციალები, ქურუმნი, ვინც ომს აცხადებდნენ და ზავსაც სდებდნენ, არვალები[116], ქალღმერთ ცერერას ქურუმნი. სამსხვერპლოთა შიგნეულობაზე მარჩიელთ მოჰქონდათ სპილოს ძვლის დანები -მსხვერპლთშეწირვის სიმბოლო.

პროცესიის ბოლოს მოდიოდნენ ერთ დროს სულას უფროსობით მებრძოლი ლეგიონები -დისციპლინირებული, კარგად გაწვრთნილი ჯარი.

სამგლოვიარო პროცესიამ გაიარა კაპენის ალაყაფი და გრძელი, ფართო, იმავე სახელწოდების ქუჩით იუპიტერის ტაძრისაკენ გაემართა განვლო წმიდა ქუჩა, ფაბიუსის სადიდებლად აღმართული თაღი, გაჩერდა ფორუმზე და ტახტრევანი დადგა სწორედ ტრიბუნის პირდაპირ. ჯერ სენატმა დაიწყო მწუხარე მოთქმა, იმას აჰყვნენ მხედრები, ლეგიონერები და ხალხი. რადგან სულას ვაჟი, ფაუსტუსი, ჯერ ვაჟკაცის ტოგით არ იყო შემოსილი, ამიტომ უკანასკნელი სიტყვა იკისრეს სულას უერთგულესმა მეგობრებმა პუბლიუს სერვილიუს ვატია ისავრიელმა, კონსულმა კატულუსმა და პომპეუს დიდმა. მათ ქების შესხმას ბანს აძლევდა ოლიგარქების პარტიის ყველა მომხრის გოდება და ტირილი.

შემდეგ პროცესია ხელახლა დაიძრა მარსის მინდვრისაკენ, გაიარეს მამერტინის შესახვევი, რატუმენის ქუჩა, შემდეგ ლაცუმის ფართო და დაუმთავრებელი ქუჩით, რომლის ჩაყოლებითაც კიპარისის და ტვიის ტოტების გირლიანდებით მორთული თაღები იყო აღმართული, მივიდნენ შუა მარსის მინდვრამდე, სადაც უნდა დაეწვათ სულას ცხედარი.

ყველაფერი მზად იყო დაკრძალვისათვის. ტახტრევანი დადგეს ძვირფას, ფისიანი ხის კოცონის გვერდით; ვალერიამ, როგორც ჩვეულება მოითხოვდა, თვალები დაუხუჭა მიცვალებულს და პირში სპილენძის ფული ჩაუდო ქარონტისთვის მისაცემად, ვითომდა გზის ქირად, აზვირთებულ აქერონტზე გადასასვლელად. შემდეგ მკვდარს ტუჩებში აკოცა და წარმოთქვა

ჩვეულებრივი სიტყვა: „მშვიდობით! ბუნებით დადგენილი წესით ჩვენც ყველანი თან გამოგყვებით“.

გვამი კოცონზე შედგეს. მუტრიბებმა სამწუხარო საგალობელი დაუკრეს, რა დროსაც ქურუმებმა აუარებელი ზვარაკი დახოცეს და მათი სისხლი, რძესა და თაფლში არეული, კოცონის გარშემო შემოასხეს. კოცონს მოასხეს სურნელოვანი ზეთი და იმდენი ყვავილები და დაფნის გვირგვინები ჩაყარეს კოცონში, რომ მთლად მოჰფინეს კოცონი და ყველაფერი მის ირგვლივ.

სწორედ ამ დროს სულას სკოლის გლადიატორები, არტორიქსის გარდა, რომელიც სპარტაკის მეცადინეობით გათავისუფლებული იქნა, ერთმანეთს შეეჯახნენ გამძვინვარებული ბრძოლით და მალე ყველანი დახოცილები ელაგნენ კოცონის გარშემო, რადგან სამგლოვიარო ბრძოლაში ვერც ერთს ამ უბედურთაგანს ვერ აჩუქებდნენ სიცოცხლეს.

როდესაც უკანასკნელი გლადიატორი მიწაზე დაეცა, პომპეუს დიდმა გამოართვა მაშხალა მეკუბოვეს, რომელსაც კოცონისთვის უნდა წაეკიდებინა და თავისი ხელით მოუკიდა, რომ ამით პატივი ეცა მეგობრისთვის.

ახალგაზრდა ტრუიმფატორის, აფრიკის დამმორჩილებლის ამ პატივისცემაზე მარსის მინდორი

ტაშის გრიალმა გააყრუა. ცეცხლი უეცრად მოედო ფისითა და ზეთით გაჟღენთილ ხეს და თავის მთრთოლვარე ალში დაფარა მიცვალებულის გვამი, მთის კანაფის უწვავ ზეწარში გახვეული.

არ გაუვლია ნახევარ საათს და იმ პირისაგან, რომელიც ამდენ ხანს რომსა და იტალიას აცახცახებდა, დარჩა მხოლოდ ფერფლისა და ძვლების პატარა გროვა, რომლებიც დიდი სიფრთხილით აკრიფეს უძვირფასეს ბრინჯაოს, ოქროსა და ვერცხლის ზარნიშიან ლარნაკში.

ლარნაკი დროებით დადგეს ჰერკულესის, სულას ბრძანებით რამდენიმე წლის წინ აგებულ ტაძარში, ესკვილინის ჭიშკართან, სადაც გაიმარჯვა გაიუს მარიუსის მომხრეებზე. აქ იდგმებოდა მანამდე, ვიდრე ძვირფას აკლდამაში არ გადაიტანდნენ, რომელიც სენატის ბრძანებით სახელმწიფო ხარჯზე უნდა აეგოთ მარსის მინდორზე იმ ადგილას, სადაც აღმართული იყო კოცონი.

სანამ მოზარეები ლარნაკში სულას ფერფლს აგროვებდნენ, ვიქტიმარიებმა[117] ორას ოცი კალათა სურნელოვანი ნივთიერება შეაგროვეს, ნარჩენები იმისა, რაც მანდილოსნებს მარსის მინდორზე მოეტანათ, და ნადიქტატორალის მოსაგონებლად, სურნელოვანი ფისითა და სანთლით ორი ანდრიანტი გამოაქანდაკეს - სულასი და ლიქტორისა.

სპარტაკსაც, როგორც სულას გლადიატორების სკოლის მასწავლებელს, სამგლოვიარო ტოგა უნდა ჩაეცვა და გაჰყოლოდა თავისი ბატონის ტახტრევანს და დასწრებოდა გლადიატორების ბრძოლას. სიბრაზით აკანკალებული თავს ძლივს იკავებდა, თავისი უბედური მოწაფეების ჟლეტას რომ უყურებდა.

როდესაც ყველაფერი გათავდა, შვებით ამოისუნთქა. ახლა შეეძლო, საითაც მოისურვებდა, წასულიყო. თავისი ძალ-ღონის წყალობით გაარღვია ხალხის ტალღა

და გაშორდა მარსის მინდორს. ეს ადვილი საქმე როდი იყო. ასი ათასი კაცი იქნებოდა დასაფლავებაზე. ზღვის ტალღებივით ბობოქრობდნენ, დრტვინავდნენ, აწყდებოდნენ ლაციუმის ქუჩასა და ქალაქისაკენ მიიწევდნენ.

სპარტაკი პომერიუმის გალავნამდე მივიდა, საიდანაც ქალაქში გავიდა. თანდათან შუა ქალაქს რომ მიატანა, გეგონებოდათ მკვდარ სახელმწიფოში შევიდაო, ისე გამოცარიელებულიყო ქუჩები.

თრაკიელი ძალიან მალე მივიდა იულიუს რაბეციუსის გლადიატორების სკოლაში, სადაც კრიკსს უნდა შეხვედროდა, რომელიც ერთი წუთით ნახა კაპენის ალაყაფთან.

მათი მოლაპარაკება ხანგრძლივი და გულითადი იყო

-
  დღეიდან, - ეუბნებოდა გალი მგზნებარედ, - ჩვენი ბედი შენს ხელშია, სპარტაკ, და თუ შენს გულში უფრო ძლიერია რაიმე გრძნობა, ვიდრე სურვილი მონების გათავისუფლებისა, მაშინ ხსნის იმედი საუკუნოდ გაჰქრება ჩვენთვის!

- რასაც უნდა ვგრძნობდე, - უპასუხა სპარტაკმა, მეგობრის ამ სიტყვებზე გაფითრებულმა, - მერწმუნე, კრიკს, რომ არაფერს, გესმის თუ არა, არაფერს დედამიწის ზურგზე არ შეუძლია დამავიწყოს ერთ წამსაც კი ჩემი კეთილი მიზანი, ვერაფერი გადამახვევინებს გზიდან და ვერ ამაღებინებს ხელს ჩემს განზრახვაზე!

სპარტაკი გამოეთხოვა კრიკსს და დასაფლავებიდან მომავალი ხალხით გაჭედილ ქუჩებით აჩქარებული ნაბიჯით გასწია სულას მემკვიდრეთა სახლისკენ.

შედგა თუ არა ფეხი სახლში, მეკარემ შეატყობინა, რომ მისი და მირცა უცდიდა ძალიან საჭირო საქმისთვის კონკლავის გვერდით ოთახში, სადაც ვალერია ჩვეულებრივ მოსაწყენ სამძიმრებს დამალვოდა.

სპარტაკი ვალერიას ოთახებისკენ გაექანა. გულს უხუთავდა რაღაც უბედურების წინასწარი გრძნობა. არ გადაუდგამს რამდენიმე ნაბიჯი, რომ თავისი და მირცა მიეგება.

- ძლივს! - შესძახა მან, - აგერ ერთი საათია, რაც ქალბატონი გიცდის!

ამ სიტყვებით მირცა ვალერიასთან გაიქცა სპარტაკის მოსვლის შესატყობინებლად და იმანაც უბრძანა, მაშინვე შეეყვანათ მასთან. ფერმკრთალი იწვა ვალერია საწოლზე, თალხ სამგლოვიარო სტოლაში გახვეული.

-სპარტაკ, ჩემო საყვარელო! - დაიძახა ვალერიამ მიგებებისთანავე, - ისევ

ისე გიყვარვარ? ისევ ისე უძვირფასესი ვარ შენთვის ქვეყანაზე? სპარტაკი

შეკრთა ამ მოულოდნელ კითხვაზე.

- რამ მოგაფიქრა ამისთანა კითხვის მოცემა? - ჰკითხა მან ერთი წამის სიჩუმის შემდეგ, - განა გაწყენინე რამე? განა მოგეცი მიზეზი, რომ ეჭვი გქონდეს ჩემი სიყვარულისა, ჩემი ერთგულებისა, ჩემი თაყვანისცემისა? განა შენ არ ხარ მაგიერი ჩემი განსვენებული დედისა, ჩემი უბედური ცოლისა, რომელიც მონობაში მოკვდა ჯალათების როზგქვეშ? შენ ყველფერი ხარ ჩემთვის. შენა ხარ ჩემი ერთადერთი სიყვარული! შენ, მარტო შენ გეკუთვნის ჩემი გული!

- ოჰ! - შესძახა ვალერიამ და თვალები სიხარულით აენთო, - სწორედ ასეთი სიყვარული

მწყუროდა და ასეთი სიყვარულითაც გიყვარვარ, ო, ჩემო სიცოცხლევ, სპარტაკ! და გეყვარები საუკუნოდ? მითხარი!

- დიახ, დიახ, საუკუნოდ! - თქვა მღელვარებით აკანკალებული ხმით გლადიატორმა, მუხლზე დაუჩოქა და ხელებზე დაუწყო მხურვალედ კოცნა, - საუკუნოდ ვიქნები

- შენი მაღმერთებელი, როგორც ქალღმერთის, თუნდ რომ, თუნდ რომ... კიდეც მომიხდეს... ვეღარ შესძლო გაგრძელება და ქვითინი დაიწყო.

რა დაგემართა? სტირი? რა მოხდა, სპარტაკ, ჩემო სპარტაკ, თქვი! - იმეორებდა შეწუხებული ვალერია და თვალებში ჩაჰყურებდა, შუბლზე კოცნიდა და გულში იკრავდა სპარტაკის თავს. ამ დროს კარზე მოისმა ნელი კაკუნი.

- ადექი! - აჩქარებით წასჩურჩულა ვალერიამ სპარტაკს და მერე ძალდატანებით ცოტაოდენად დამშვიდებული ხმით ჰკითხა: -რა გინდა, მირცა?

- ჰორტენზიუსი მოვიდა და სურს შენთან ლაპარაკი, - უპასუხა ქალმა გარედან.

- სთხოვე, ერთ წამს მომიცადოს.

- ბატონი ბრძანდები.

როდესაც მირცას ფეხის ხმა მიწყდა, ვალერია სპარტაკს მიუბრუნდა და აჩქარებით უთხრა:

- ის კიდევ მოვიდა... მე იმიტომ გელოდი, იმიტომ გკითხავდი, ყველაფერს შემომწირავდი თუ არა. იცოდე, რომ მან ყველაფერი იცის... რომ მე შენ მიყვარხარ და შენც გიყვარვარ...

- დავიჯერო? ეს შეუძლებელია! - შეჰყვირა ზარდაცემულმა სპარტაკმა.

- დიახ, მან ყველფაერი იცის. ვერ მივმხვდარვარ, ვის შეეძლო ჩვენი გამხელა, მაგრამ მითხრა ეს და დამპირდა დღეს საღამოს მოვალო. დაიმალე ამ წალოში, - დაუმატა ვალერიამ და ფარდა გასწია, - აქ ვერავინ დაგინახავს და თან ყველაფერს გაიგონებ: მაშინ მიხვდები, რა უსაზღვროა ჩემი სიყვარული. სპარტაკი რომ მიიმალა, ჩურჩულით თქვა:

- რაც უნდა მოხდეს, არ გამოხვიდე და ხმა არ ამოიღო, სანამ მე არ დაგიძახებ.

ვალერიამ ფარდა გამოსწია, მერე საწოლზე დაჯდა და ცდილობდა ხელით გულის კანკალის შეჩერებას. გავიდა რამდენიმე წამი, სანამ დამშვიდდებოდა, ბოლოს როგორც იყო დაიძახა:

- მირცა! ქალი კართან მივიდა. - შემოიყვანე ჰორტენზიუსი!

ერთი წამის შემდეგ წარჩინებული ორატორი, თალხი სამგლოვიარო ტუნიკით და თხუთმეტი დღის მოუპარსავი წვერით, შევიდა დის კონკლავში მოღრუბლული, უკმაყოფილო სახით.

- სალამი, ჰორტენზიუს! - მიეგება ვალერია.

- სალამი, დაო! - უპასუხა მან აშკარა უკმაყოფილებით და მწუხარე ფიქრებს მიეცა.

-

- დაჯექი და კი ნუ მირისხდები, ძვირფასო ძმაო, სჯობია მითხრა პირდაპირ, რას მაბრალებ.

სულას სიკვდილით თურმე ერთ უბედურებას კი არა, ორს უნდა შევეძრწუნებინე. შევიტყვე,

რომ ჩემი დედის შვილს დაუვიწყნია პატივისცემა თავის თავისაც, ჩემიც, მესალას სისხლისაც, სულას სახელისაც და თავს ლაფი დაუსხამს უბრალო გლადიატორის გადაკიდებით. ოჰ, ვალერია, ვალერია, ეგ რა ჩაგიდენია1

სავარძლის ზურგზე ნიდაყვდაყრდნობილმა ჰორტენზიუსმა თავი ხელისგულზე დაიდო და რამდენიმე წუთს იდგა ღრმად მწუხარე და დაფიქრებული სახით.

- გამიგონე, ჰორტენზიუს, შენ ბრალს მდებ დიდ დანაშაულში. სანამ თავს გავიმართლებდე, მინდა, უფლება მაქვს გავიგო, საიდან მოდის ეგ ბრალდება?

ჰორტენზიუსმა თავი მაღლა აიღო, ხელი შუბლზე გადაისვა და უპასუხა:

- რამდენიმე მხრიდან. სულას სიკვდილის მეექვსე დღეს ქრიზოგენემ გადმომცა მე ეს წერილი.

ამ სიტყვებით ჰორტენზიუსმა მიაწოდა ვალერიას დაჭმუჭვნილი ეტრატი, რომელზედაც ეწერა შემდეგი:

„ლუციუს კორნელიუს სულას, იმპერატორს, ბედნიერ დიქტატორს, ვენერას რჩეულს, მეგობრისაგან სალამი.

დღეიდან, ჩვეულებრივი წარწერის მაგივრად „უფრთხილდი ძაღლს!“ შეგიძლია შენს კარზე წააწერო: „უფრთხილდი გველს!“ ან სჯობია - გველებს, რადგან შენს ჭერქვეშ ორმა გველმა დაიბუდა - ვალერიამ და სპარტაკმა.

ნუ განრისხდები, ადევნე თვალი და შუაღამისას, მამლის ყივილისას დაინახავ, როგორ თელავენ ფეხით ტალახში რესპუბლიკაში უძლიერესისა და უსასტიკესი ადამიანის სახელს და პატიოსნებას.

ღმერთები იყვნენ შენი მფარველნი და დაგიხსნან მომავალში ამგვარი უბედურებისაგან“.

სისხლი აუვარდა თავში ვალერიას, წაიკითხა თუ არა პირველი სტრიქონი და როდესაც ბოლომდე ჩაიკითხა, სახე ნაცრისფერი ჰქონდა.

- მერე ქრიზოგენემ საიდან მიიღო ეს წერილი? - ჰკითხა ყრუ ხმით კრიჭაშეკრულმა ვალერიამ.

- კუმიდან მოსულმა მონამ სწორედ სულას სიკვდილის წამს, რომ ვეღარ მოუსწრო ცოცხალს, ქრიზოგენეს გადასცა, მაგრამ ის ისე იყო იმ დროს დაბნეული, რომ საერთოდ არ ახსოვს, ვისგან იყო მოტანილი და მხოლოდ მეექვსე დღეს წაიკითხა.

-

- მერე, დავიჯერო, ერთი უსახელო წერილით კისრულობ ბრალი დამდო მე, სულას ქვრივს, მესალას ქალს?

- ოჰ, არა, სხვა საბუთიც არსებობს. მეტრობი, სულას სიკვდილით შეწუხებული, თავის მოვალეობად თვლის მეგობრის სახელის შეურაცხყოფისათვის სამაგიეროს გადახდას.

სამი დღეა მას აქეთ, ჩემთან მოვიდა და მიამბო შენი და სპარტაკის კავშირზე და

წარმომიდგინა მონა გოგო, რომელსაც შეეყვანა მეტრობი ერთ ოთახში, საიდანაც მას შეეძლო დანახვა, როგორ შემოდიოდა სპარტაკი შუაღამისას შენს კონკლავში.

- კმარა, კმარა! - შეჰყვირა ვალერიამ და სახე შეეცვალა იმის გაფიქრებაზე, რომ მისი კოცნა, მისი სიტყვები, მისი სიყვარულის საიდუმლოება, ყველაფერი ეს ხელში ჩაეგდოთ ბილწ გოგოს და იმისთანა საზიზღარ არსებას, როგორიც მეტრობი იყო, - კმარა, ჰორტენზიუს, ახლა მე მათქმევინე.

ვალერია წამოდგა, ამაყად აიღო თავი მაღლა და პირდაპირ თვალებში შეხედა ძმას.

- დიახ, მე შემიყვარდა სპარტაკი, მერე რა? დიახ, ის მიყვარს მთელი ძალით, მერე რა?

- ოჰ, ყოვლის შემძლებელო ღმერთებო! - შეჰყვირა ზარდაცემულმა ჰორტენზიუსმა და სასოწარკვეთილმა წაივლო ხელი თავში.

- დაანებე თავი ყოვლისშემძლებელ ღმერთებს, იმათ აქ რა საქმე აქვთ, სჯობს მე გამიგონო!

- აბა, თქვი.

- დიახ, მე ის მიყვარდა, მიყვარს და მეყვარება.

- ოჰ, ვალერია! - გააწყვეტინა ჰორტენზიუსმა, რომ ვეღარ შეძლო ზიზღის დაფარვა.

- დიახ, მეყვარება, მეყვარება, - იმეორებდა ვალერია თანდათან მომეტებული ძალით, - მერე რა?

- იუპიტერი იყოს შენი შემწე! მაშინებ! ჭკუაზე შეიშალე.

- არა, მე ჭკუაზე არ შევშლილვარ, მაგრამ გადავწყვიტე, რომ გავარღვიოთ ეს ოქროს ჯაჭვი, რომლითაც თქვენ შეგვბოჭეთ ჩვენ, ქალები, მაშინ, როდესაც თქვენთვის ყველაფერი საკადრისად მიგაჩნიათ... მე მამტყუნებს მეტრობი, მეტრობი, ის ბინძური ტაკიმასხარა. ისიც მრისხანებს ჩემს უნამუსობაზე! ჩინებულია! მხოლოდ არ მესმის, ჰორტენზიუს, რომ რახან ასეთ

მნიშვნელობას აძლევ მის მრისხანებას, რატომ არ შესთავაზებ სენატს, ზნეობათა ცენზორად ამოირჩიონ, აი მაშინ ეყოლებოდათ რომაელებს ცენზორი, სწორედ მათი ზნეობის ღირსი! მეტრობი, ვესტალების უბიწოების დამცველი, მგელი, კრავები რომ საძოვარზე მიჰყავს. ესღა აკლდა თქვენს საზიზღარ რომს, სადაც სულას, თორმეტი მცნების საფარველქვეშ ჩემს თვალწინ, ჩემი კონკლავის გვერდით, ნებადართული ჰქონდა ღამეები გარყვნილ ორგიებში ეტარებინა, ანდრიანტებსა და ტაძრებს უგებენ. აი, ჩვენი სამშობლოს კანონები! რა სამართლიანი ხართ!.. აი, როგორ შეიძლება გაგიგოთ თქვენ ადამიანმა!.. ამ კანონებმა მეც მომანიჭეს უფლება, უტყვი მოწმე ვყოფილიყავ, რაც აქ ხდებოდა და ცრემლებიც კი მეღვარა მალულად ჩემი ქვრივული სარეცელის ბალიშზე და უკუგდებული ვყოფილიყავი იმ ერთადერთი მიზეზით, რომ მემკვიდრე ვერ შევძინე ჩემს ბატონსა და მბრძანებელს!

ვალერიას აღელვებისაგან სახე მთლად ანთებოდა. ლაპარაკობდა მომეტებული გატაცებით, მერე ერთ წუთს გაჩუმდა, მიუბრუნდა ჰორტენზიუსს, რომელიც თვალებგაფართოებული მიშტერებოდა და განაგრძო:

- დიახ, ეგ მართალია, მე არც თავის გამართლებას მოვყვები და არც თავის დაცვას. მართლაც, ვერ შევასრულე ჩემი მოვალეობა, რადგან იმდენი ვერ გავბედე, რომ გავქცეულიყავი სპარტაკთან ერთად გარყვნილებით სავსე სახლიდან. რაც შეეხება იმ კაცისადმი ჩემს

სიყვარულს, ამაში არა თუ დამნაშავედ მიმაჩნია თავი, პირიქით, კიდევაც ვამაყობ. მას კეთილშობილური გული და გამჭრიახი ჭკუა აქვს. თრაკიაში რომ რომის ლეგიონებზე გაემარჯვა, იმას უფრო მეტ ხოტბას შეასხამდნენ, ვიდრე სულასა და მარიუსს. ჰანიბალსა და მითრიდატეზე უფრო შიშის ზარის დამცემი იქნებოდა. მაგრამ იგი დამარცხდა და გლადიატორად აქციეთ, რადგან საუკუნეების განმავლობაში დაჩვეული იყავით ამ უბედურებს „ვაი ძლეულთა“ წესით მოქცეოდით, რასაც ოდესღაც გალები თქვენზე იყენებდნენ. თქვენ გგონიათ, ღმერთებმა ხალხი თქვენს გასართობად შეჰქმნეს, და მარტო იმის წყალობით, რომ სპარტაკი გლადიატორად აქციეთ, ფიქრობთ შეუცვალოთ მას ბუნება. ტყუილად ფიქრობთ, თქვენი ბრძანებით სიმამაცე და გამბედაობა ჩაუნერგოთ ლაჩარს გულში, უჭკუოს თვაში ტვინი ჩაუდოთ და დიდსულოვანი, ჭკვიანი კაცი ბატისტვინად გადააქციოთ.

- ასე რომ, შენ არაფრად მიგაჩნია არც ჩვენი კანონები, არც ჩვეულება, არც სახელის გატეხა? - ნაღვლიანად ჰკითხა ჰორტენზიუსმა.

- დიახ, მე უარს ვამბობ ყველაფერზე - რომის მოქალაქეობაზე, სახელზე, ოჯახზე, თქვენგან აღარაფერი მინდა. მე მივყვები სპარტაკს თრაკიაში, როდოპის მთებში, და თქვენ თავის დღეში ვეღარაფერს გაიგებთ ჩემ შესახებ. მხოლოდ ვიყო თავისუფალი, ჩემი თავი მევე მეკუთვნოდეს, თვითონ მე ვიყო საკუთარი გულის მბრძანებელი. ამ სიტყვებით, ღონეგამოლეული დაეცა საწოლზე.

ნახევარ საათს მეტისმეტად აღგზნებული ვალერია გონს ვერ მოსულიყო, რომ გაეგო მისივე თქმულის შინაარსი და რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა გულახდილობამ. იქნებ იმდენად მართალი არც კი იყო, როგორც ეგონა. მისი ცხოვრება წარსულშიც არ ყოფილა უძრახველი და სპარტაკისადმი სიყვარულითაც, ამ ერთადერთი ნამდვილი სიყვარულითაც, რამაც აათრთოლა იმისი გული, მსუბუქი ყოფაქცევის ქალად ჩანდა, მაგრამ ვალერიამ მაინც მგზნებარე სიტყვებით, თუმცა არცთუ ისე დალაგებით, დახატა ის ჩაგვრა და დამცირება, რომელშიც რომის კანონები ქალს აგდებდა.

ჰორტენზიუსს, მიუხედავად თავისი ჭკუამახვილობისა, არ შეეძლო ვალერიას ფიქრები გამოეცნო. რამდენიმე წამს შეჰყურებდა თანაგრძნობით და სიბრალულით, ბოლოს, დაბალი, ალერსიანის ხმით უთხრა:

- ვალერია, ვხედავ, რომ დღეს ვერ ხარ კარგად.

- მე? - შეჰვირა გაკვირვებით ყმაწვილმა ქალმა და მარდად წამოხდა, - პირიქით, ძალიან კარგად ვგრძნობ თავს.

- არა, არა, ვალერია, მერწმუნე, რომ უქეიფოდ ხარ, ძალიან აღელვებული ჩანხარ და ღონე არ გაქვს დამშვიდდე და კეთილგონიერება მოიკრიბო.

- მე შენ გარწმუნებ...

- არა, გადავდოთ ჩვენი საუბარი ხვალამდე, ზეგამდე, სხვა დროისთვის.

- მაგრამ, იცოდე, რომ ჩემი გადაწყვეტილება უცვლელია.

- კარგი, კარგი. მოვილაპარაკებთ, ვნახავთ ერთმანეთს... ახლა კი ნება მიბოძე, გამოგეთხოვო და მაღალ ღმერთებს ვთხოვო, არ მოგაკლონ თავიანთი მფარველობა. მშვიდობით, ვალერია, მშვიდობით!

- მშვიდობით, ჰორტენზიუს!

ვალერია გამოარკვია სპარტაკმა, რომელიც შევიდა თუ არა მის ოთახში, დაეცა მის ფეხებთან, დაუწყო კოცნა ხელებზე და ცრემლებისაგან შეგუბებული ხმით უხდიდა მადლობას იმ უსაზღვრო სიყვარულისთვის, რომელიც მან ის იყო დაუმტკიცა.

უეცრად შეკრთა, გამოუსხლტა მკლავებიდან ვალერიას, უკან დაიწია და სრულიად გაფითრებულმა და მთლად სმენადქცეულმა რაღაცას ყური მიუგდო.

- რა დაგემართა? - ჰკითხა შეწუხებულმა ვალერიამ.

- ჩუმად! - წაიჩურჩულა მან.

იმ ღრმა სიჩუმეში ორივეს მოესმა ახალგაზრდა, ძლიერი ხმების გუგუნი, თუმცა ვალერიას კონკლავამდე აღწევდა მისი შორეული გამოძახილი. სიმღერა ისმოდა შორიდან, ერთ-ერთ იმ ოთხი ქუჩიდან, პატრიციების დანარჩენი სახლებივით მდგომ სულას მთლად განმარტოებულ სასახლისაკენ რომ მოდიოდა. მღეროდნენ ნახევრად ბარბაროსულ ენაზე, ბერძნულისა და თრაკიულის ნარევით.

სპარტაკმა მაშინვე იცნო. ეს იყო გლადიატორების სიმღერა. თავჩაღუნული მძიმედ სუნთქავდა სპარტაკი და ყურს უგდებდა სიმღერას. ვალერიამ ძლივს გაარჩია თითოთითოდ ბერძნული სიტყვები, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო მისი მეგობრის აღელვების მიზეზს, თუმცა მის მარმარილოსფრად ფერმკრთალ სახეზე ყველა ის ტანჯვა იხატებოდა, რაც უბედური რუდიარის სახეზე ეწერა.

სიმღერა მიწყდა, მაგრამ ისინი მაინც იდგნენ და ყურს უგდებდნენ, თითქოს კიდევ მოელოდნენ რამეს. ბოლოს სპარტაკი გამოფხიზლდა, გაგიჟებით დაუწყო ხელებზე კოცნა ვალერიას და ცრემლებისგან შეგუბებული ხმით შეჰყვირა:

- ოჰ, მაპატიე, მაპატიე! მე ვერ ვიქნები შენი... იმიტომ რომ... ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი.

ვალერია წამოხტა და აღელვებულმა შესძახა:

- სპარტაკ, ეგ რა თქვი? შენ სხვა ქალი გიყვარს?

- არა, არა, დედამიწის ზურგზე ვერა ქალი ვერ დამავიწყებს ერთ წამსაც შენს თავს! არა, ქალი არ მიშლის, გავხდე უბედნიერესი კაცი, სხვა რამეა, მაგრამ რა არის, ვერ ვიტყვი... ფიცი, წმიდა და გაუტეხელი... მართმევს თავისუფლებას... ნუღარას მკითხავ

მეტს... არ შემიძლია, არ უნდა ვთქვა... იცოდე კი, - დაუმატა ნელი ხმით, - რომ მე უშენოდ უბედური ვიქნები! - და ერთი წამის სიჩუმის შემდეგ შეჰყვირა ატირებულმა: - დიახ, უუბედურესი ადამიანი ქვეყანაზე!

- რა დაგემართა? ჭკუაზე ხომ არ შეცდი? - შეშინებული ეკითხებოდა ვალერია და სპარტაკის თავისთვის ჩაევლო თავისი პატარა ხელები. წარბშეკრული, დაჟინებით მისჩერებოდა ის

თავისი შავი, ცეცხლივითმოელვარე თვალებით, რომ მის სახეზე ამოეკითხა, მართლა ხომ არ შეიშალა, - რას ლაპარაკობ? რას ბოდავ? რამ უნდა დაგიშალოს, მთლად ჩემი იყო? მითხარი, გამიფანტე ეჭვები, დამიხსენი ამ ტანჯვისაგან, ვინ?.. ვინ გიშლის?

- დამიჯერე, საყვარელო, სათაყვანებელო ვალერია, - ეუბნებოდა აკანკალებული ხმით სპარტაკი, - დამიჯერე, რომ მე არ შემიძლია ვთქვა... უფლება არ მაქვს დავარღვიო, გავტეხო ფიცი... იცოდე კი, რომ სხვა ქალი არ არის... შენ თვითონ უნდა იცოდე ეს... იმიტომ, რომ აბა რომელი ქალი დაიჭერს ჩემს გულში შენს ადგილს, რა სიყვარული მოთავსდება შენს სიყვარულთან ერთად? სათაყვანებელო ვალერია! გულწრფელად გეუბნები, ვფიცავ შენს სიცოცხლეს და შენს პატიოსნებას, ვფიცავ ჩემს სიცოცხლეს და ჩემს პატიოსნებას, რომ შორს თუ ახლოს, შენთან თუ უშენოდ, სამუდამოდ შენი ვიქნები, საკუთრად და გაუზიარებლად.

- მაშ რა მიზეზია? თუკი აგრე გიყვარვარ, რატომ არ მომანდობ შენს მწუხარებას? - იმეორებდა ვალერია და ძლივს იკავებდა ქვითინს საბრალო ქალი, - დავიჯერო, ვერ მენდობი? იქნება ეჭვი გაქვს ჩემი სიყვარულისა? ცოტაა შენთვის ის სიმტკიცე, რაც გიჩვენე? სხვა გინდა ახალი? მაშ მითხარი, მიბრძანე, ყველაფერზე მზად ვარ. - ოჰ, ღმერთებო, დავიჯერო ჯოჯოხეთში ამაზე მეტი სატანჯველი იქნება? - შეჰყვირა

სასოწარკვეთილებით საბრალო გლადიატორმა და თმაში ხელები წაივლო, - გიყვარდეს საუკეთესო, უწმიდესი, უდიდესი ქალი, უყვარდე იმასაც და გაურბოდე. არ
გქონდეს უფლება უთხრა... რადგან არ შემიძლია... არ შემიძლია!.. -

შეჰყვირა სასოწარკვეთით, - უბედური კაცი ვარ, არ შემიძლია გითხრა!

ვალერიამ ქვითინით გულში ჩაიკრა სპარტაკი. მან თავი გააშვებინა.

- მაგრამ მე დავბრუნდები. დავბრუნდები... როცა უფლება მექნება, რომ დავარღვიო წმიდა ფიცი... დავბრუნდები ხვალ... ზეგ... მალე. ვალერია, ეს არის ჩემი საიდუმლოება. მაშინ მაპატიებ და უფრო შემიყვარებ... თუ შეგიძლია უფრო ძლიერ გიყვარდე, თუ არსებობს იმაზე ძლიერი გრძნობა, რაც ჩვენ გვაკავშირებს... მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო საღმერთებელო ვალერია!

სპარტაკმა რაღაც ზეადამიანური ძალა მოიკრიბა, თავი გაითავისუფლა საყვარელი ქალისგან, რომელიც ტიროდა და შებრალებას ევედრებოდა. მთვრალივით, ბარბაცით გავიდა კონკლავიდან, ვალერია კი განცდილი მღელვარებისაგან გრძნობამიხდილი იატაკზე დაეცა.

9. ლოთი რესპუბლიკის მსხნელად

15 თებერვალს, 680 წელს რომის ქორონიკონით, თითქმის ოთხი წლის შემდეგ ლუციუს კორნელიუს სულას დაკრძალვიდან, კვირიტები ლუპერკალიას ზეიმობდნენ. ეს დღესასწაული შემოღებული იყო რომულუსისა და რემუსის[118] მიერ რომის დაარსების, აგრეთვე მათი ძიძის ლუპერკუსისა და პანის, ნაყოფიერების ღმერთის სადიდებლად და რომულუსისა და რემუსის ბრწყინვალე ბავშვობის მოსაგონებლად.

ეს მწყემსური დღესასწაულები, როგორც მაშინ ფიქრობდნენ და ახლაც მრავალ ისტორიკოსს მიაჩნია, იმ დროიდან მომდინარეობს, როდესაც არკადიელები გადმოსახლდნენ ამ მხარეში და ევანდრეს ხელმწიფობით დაიწყეს ცხოვრება. ამ ადგილას სხვა თამაშობების მსგავსად, რასაც არკადიაში, ლიკიის მთაზე აწყობდნენ, მოაწყვეს დღესასწაული პანის სადიდებლად. მაგრამ კარგად მაინც არ არის ცნობილი, საიდან მომდინარეობს ეს თამაშობანი. ერთი კი უეჭველია, რომ მუდამ აწყობდნენ და არასდროს არ ითვლებოდა მოძველებულად. რესპუბლიკის უკანასკნელ წლებშიც კი დირექტორმა კეისარმა დეკრეტიც კი გამოსცა ლუპერკალიის დღესასწაულის შესახებ.

რუმინალის ლეღვის ხე, ლუპერკალიის წინ, ღმერთების წმიდა ხედ ითვლებოდა, რადგან,

გადმოცემის მიხედვით, სწორედ ამ ლეღვის ხის ქვეშ აწოვებდა ძუ მგელი რომულუსსა და რემუსს ძუძუს. ამიტომ ამ ხეს რუმინალის ეძახდნენ, რაც ნიშნავს ძიძას. ყოველთვის, როდესაც ხე ბერდებოდა, მის ადგილას ახალს რგავდნენ. რომაელების რწმენით, სანამ ძიძა - ლეღვის ხე ყვაოდა, რომის კეთილდღეობაც არ დაემხობოდა.

ამრიგად, ლუპერკალია მოდიოდა 15 თებერვალს, 680 წელსაც ჩვეულების მიხედვით დიდის ზეიმით გადაიხადეს.

რიჟრაჟისას ლუპერკუსის მღვიმეში შეიკრიბნენ ლუპერკალელები, ყმაწვილი ქურუმები პატრიციების უწარჩინებულესი გვარიდან ამორჩეულები და მსხვერპლის შეწირვის დაწყებას ელოდნენ. ლუპერკალელებს შორის იყვნენ ლუციუს დომიციუს აჰენობარბუსი, ასე ოცი წლის, ოქროსფერთმიანი მშვენიერი ყმაწვილი, 700 წელს რომის ქორონიკონით კონსულად ამორჩეული, ლუცხიუს კორნელიუს ლენტელუსი, კვინტუს ფურიუს კალენუსი, ოცდაოთხის წლის ყმაწვილი კაცები, შემდგომ კონსულებად არჩეულნი, პირველი - 705 წელს, მეორე - 706 წელს; ვიბიუს პანსა, რომელსაც იმ დროს ის იყო ოცდახუთი წელი შესრულებოდა, რომელიც 710 წელს ატილიუს ჰირციუსთან ერთად კონსულად აირჩიეს. ვიბიუს პანსა მუტინთან მარკუს ანტონიუსის წინააღმდეგ იბრძოდა, მაგრამ ვერ მოესწრო თავისი ლეგიონების გამარჯვებას, ჰირციუსთან ერთად ბრძოლის ველზე დაეცა.

იმ დროს, როდესაც ესენი, ლუპერკთა კოლეგიის წევრები, ქურუმების სამოსელში გამოწყობილები ლუპერკუსის მღვიმეში იდგნენ, ზღვასავით მოაწყდნენ ახალგაზრდა პატრიციები, რომელთაც თან მოიყვანეს არკუს კლავდიუს მერცელუსი და სერვილიუს სულპიციუს რუფა - ოცდაერთის წლის ყმაწვილები. მათი მამები

კონსულები იყვნენ და შემდგომ შვილებიც გახდნენ კონსულები. ორივეს თეთრი ტოგა ეცვა და თავზესუროს გვირგვინები ედგათ, რახან მსხვერპლთშეწირვის მნიშვნელოვანი პირნი იყვნენ.

როგორც კი ახალგაზრდები შეიკრიბნენ, ვიქტიმარიებმა დანები აიღეს და გადასცეს შესაწირავად თორმეტი თხა და ამდენივე ლეკვი. შემდეგ ერთმა ლუპერკალელმა გამოართვა მეორეს გაშიშვლებული მახვილი, მსხვერპლად შეწირული საქონლის სისხლში ამოავლო და შუბლზე მიადო კლავდიუს მერცელუსსა და სულპიციუს რუფას. სხვა ლუპერკალელებმა რძეში დასველებული შალის ნაჭრით მოაშორეს სისხლის წვეთები ორ ახალგაზრდა პატრიცს. სისხლი რომ მოწმინდეს, მერცელუსმა და რუფამ, ჩვეულებისამებრ, ხარხარი ატეხეს. ეს იყო მწყემსების განწმენდა.

მღვიმის ერთ ნაწილში ამ დროს განბანა ხდებოდა, შემდეგ ლუპერკალელები განწმენდილ ყმაწვილებთან და მეგობრებთან ერთად სუფრას შემოუსხდნენ და რჩეულ საჭმელსა და ძვირფას ღვინოს შეექცნენ.

სანამ ქურუმი ლუპერკალელები ნადიმობდნენ, მღვიმე ხალხით გაიჭედა.

როდესაც გამხიარულებული და შექეიფიანებული ლუპერკალელები სუფრიდან აიშალნენ, ცხადი გახდა, რასაც ელოდებოდა ეს ზღვა ხალხი. ტუნიკებს ზემოდან მსხვერპლად შეწირული საქონლის ტყავები წამოისხეს, ხელში აიღეს ამ ტყავისავე მათრახები, მღვიმედან გამოცვივდნენ და ყველას უჭრელებდნენ კანს, ვინც კი გზად ხვდებოდათ. რადგან გასათხოვარ ქალებს ეგონათ, რომ ღმერთების ნაკურთხი მათრახის მოხვედრა მალე დაქორწინებას მოასწავებდა და გათხოვილი ქალები ფიქრობდნენ, რომ იძლეოდა ნაყოფიერებას, ამიტომ ყველანი ცდილობდნენ, მოხვედროდნენ ლუპერკალელებს ხელში და სიხარულით უშვერდნენ მათრახს თავის გაშიშვლებულ ტანს.

ყოველწლიურად, ლუპერკალიის ზეიმზე, მსხვერპლის შეწირვის შემდეგ მიდიოდნენ ტყეში, სადაც, თუ ლეგენდას დავუჯერებთ, ფავნები ცხოვრობდნენ, მითიური ლაციუმის მეფის, ფავნის, შთამომავალნი. აქ, მწვანე დაბურულ ტყეში განმარტოებული ლუპერკალელები ლოცვასა და ქადაგებას ეძლეოდნენ. ქურუმთა მეორე ჯგუფი, როგორც უკვე ვთქვით, გაეშურა კუნძულ ტიბრისაკენ. ფლუმენტალის ნახევარი ქუჩა რომ განვლეს, პროცესიამ მარცხნივ შეუხვია და ტიბრის მოკლე შესახვევით ხის ხიდამდე მივიდა. თერთმეტი წლის შემდეგ, 691 წელს რომის ქორონიკონით, სენატის გამოცემული დეკრეტით საფუძველი ჩაეყარა ქვის ხიდს, ფაბრიციუსის, გზების კურატორის პატივსაცემად, მისივე სახელი ეწოდა.

იმ დროს ჯერ კიდევ დაუსახლებელ ტიბრის კუნძულზე იდგა სამი ცნობილი ძეგლი: ასკლეპიოსის, იუპიტერისა და ფავნის ტაძრები. ასკლეპიოსის ტაძარი ყველაზე დიდი და დიდებული იმათგან, ააგეს 462 წელს რომის ქორონიკონით, შავი ჭირის გავრცელების წელს, რომელმაც ათასობით მსხვერპლი შეიწირა. ეს ამბავი მოხდა კვინტუს ფაბიუს გურგიტისა და იულიუს ბრუტუს სცევიუსის კონსულობის ჟამს. რომიდან ელჩები გაგზავნეს ეპიდავრში, საბერძნეთში, მკურნალობის ღმერთის, ასკლეპიოსის კულტის ქალაქში. რომაელი ელჩების ყოფნისას განმკურნებელი ღმერთის ტაძარში, მიცოცდა მათთან ერთი გაწვრთნილი, მოყვითალო-მოყავისფრო,

უვნებელი წმიდა გველი. ელჩებმა მისი მისვლა ღვთის გამოცხადებად მიიღეს, რახან მკურნალობის ღმერთისადმი შეწირული გველი თავისი ნებით მიუახლოვდა მათ. გაეშურნენ თავიანთი გემისაკენ, გველიც უკან გაჰყვა. აიყვანეს გემზე. მივიდნენ ოსტიაში, გემიშევიდა ტიბრის შესართავში და აჰყვა ზემო დინებას. ტროას ალაყაფს რომ მიუახლოვდნენ, გველი ჩამოცოცდა გემიდან და მიიმალა კუნძულ ტიბრზე. ავგურებმა გველის მოქმედება ასკლეპიოსის ნებით ახსნეს, ალბათ, აქ უნდა ავაგოთ ტაძარიო და აუგეს კიდეც.

552 წელს რომის დაარსებიდან, პრეტორ ფურიუს პურპორეონის აღთქმით, ასკლეპიოსის დიდი ტაძრის გვერდით ააგეს სხვა ტაძარი, უფრო მცირე ზომის, იუპიტერის სახელობაზე, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა ასკლეპიოსისას.

558 წელს, ექვსი წლის შემდეგ, სახალხო ედილებმა გნეუს დომიციუს აჰენობარბუსმა და გაიუს სკრიბონიუს კურიონმა ფულადი გადასახადი შეაწერეს სამ მსხვილ საქონლით მოვაჭრეს და ამ ფულით ასკლეპიოსის ტაძრის გვერდით, იუპიტერის ტაძრის პირდაპირ, აღმართეს მესამე - ღმერთ ფავნის სადიდებლად.

ამნაირად, ტიბრის პატარა კუნძულზე სამი ტაძარი იყო და ეს ნათლად მოწმობდა, რომ ფაბრიციუსისა და ცესტიუსის მიერ ქვის ხიდების აგებამდე მიმოსვლა ქალაქსა და კუნძულს შორის არა მარტო ნავებითა და ბორნებით, არამედ სუბლიციუსის მსგავსად ხის ხიდებითაც ხდებოდა.

ხის ხიდი რომ გაიარეს, პატრიციებითა და მდიდარი მოქალაქეებით გარშემორტყმული ლუპერკალელები გავიდნენ კუნძულზე, რათა მსხვერპლი შეეწირათ ფავნისათვის, რომელიც მითოლოგიით ნათესავად ერგებოდა ღმერთ პანს. ზეიმი ისევ ნადიმით დამთავრდა ასკლეპიოსის ტაძრის გვერდით, რჩეული საჭმელებითა და ღვინით განთქმულ სამიკიტნოში.

ფავნის ტაძრის დერეფნის ერთ-ერთ სვეტზე იდაყვდაყრდნობილი იდგა ოცდაექვსი წლის ყმაწვილი კაცი, მაღალი, ღონიერი და მოხდენილი ტანისა, და გულგრილად შესცქეროდა ლუპერკალელების მიმოსვლას. ეს ყმაწვილი კაცი გახლდათ გაიუს იულიუს კეისარი[119].

ამ დროს კეისარი იყო ოცდაექვსი წლისა, რადგან დაიბადა 654 წლის 12 სექტემბერს, მაგრამ მის ასაკშიც მნიშვნელოვან კაცად ითვლებოდა რომში თავისი ხასიათის სიმტკიცის, ჭკუის, მჭევრმეტყველების, განათლებისა და საუცხოო შესახედაობის მეოხებით, რაშიაც კეისარს ბადალი არა ჰყავდა.

იულიუს კეისარი, ბებიის მხრით გაიუს მარიუსის შვილიშვილი, ეკუთვნოდა მარიუსელებს თავისი სიმპათიისა და აზრების მიხედვით. თვრამეტი წლისა დაქორწინდა კორნელიაზე, კიმბრებისა და ტევტონების[120] დამმარცხებლის მხურვალე მომხრის, კონსულად ოთხგზის არჩეულ კორნელიუს ცინას ასულზე. როცა ცინა დაამარცხა და თავისი დიქტატორობა გამოაცხადა, სულამ ბრძანა მოეკლათ იულიუსების ოჯახის ორი წევრი, როგორც მარიუსის მომხრეები, და მოითხოვა ახალგაზრდა იულიუს კეისრისაგან, რომ თავის ცოლს კორნელიას გაჰყროდა. მაგრამ კეისარმა მაშინვე გამოიჩინა თავისი ხასიათის სიმტკიცე და კატეგორიულად

განაცხადა უარი ყოვლისშემძლებლისა და რომის მპყრობელის ნების აღსრულებაზე. ამის გამო სულამ სიკვდილი მიუსაჯა კეისარს და აუცილებლად დაიღუპებოდა, რომ უპირველესი სულანელები და ვესტალები არ გამოსარჩლებოდნენ.

რომში დარჩენასახიფათო იყო, რადგან მბრძანებლობდა ადამიანი, რომელიც კეისრის პატიების მთხოვნელებს ასე უპასუხებდა: „თქვენ არაფერი გესმით, მე კი წინასწარ ვხედავ, რომ ეს

ყმაწვილი ბევრ მარიუსს აჯობებს“. ამიტომ კეისარი საბინაში გადასახლდა და იქ ცხოვრობდა მთებში, სულას სიკვდილამდე.

რომში რომ დაბრუნდა, მაშინვე წავიდა ომში, სადაც პრეტორი მინიციუს თერმიუსი უფროსად იყო და მასთან ერთად იღებდა მონაწილეობას მიტილენის აღებაში. იქ ენით აუწერელი სიმამაცე გამოიჩინა. ამბობდნენ, უფრო მეტად მამაცია, ვიდრე ადამიანის გონებას შეუძლია ეს წარმოიდგინოსო. კეისარმა მიიღო რამდენიმე საჯარო ჯილდო და სხვათა შორის, ძალიან იშვიათი სამოქალაქო გვირგვინი, რომელსაც აძლევდნენ იმას, ვინც ერთ თანამებრძოლს მაინც დაიხსნიდა თავისი საკუთარი სიცოცხლის გაწირვით.

ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, კეისარი ბითვინიაში წავიდა და ისე დაუმეგობრდა იქაურ ხელმწიფე ნიკომედეს, რომ დაცინვით „ბითვინიის დედოფალს“ უწოდებდნენ.

იქ შეიტყო, რომ პუბლიუს ისავრიელი დაუნიშნავს სენატს იმ ხომალდის უფროსად, რომელიც მეკობრეების წინააღმდეგ მიდიოდა კილიკიაში. ჩაირიცხა მის შემადგენლობაში და ღირსეულად იბრძოდა მთელი ომის დროს.

იმ ლაშქრობის დამთავრების შემდეგ კეისარმა გადაწყვიტა საბერძნეთში წასვლა, რომ ცნობილი

ფილოსოფოსების ლექციები მოესმინა და ევლო წარჩინებული ორატორების სკოლებში, მაგრამ ფარმაკუსის ყურის სიახლოვეს ხომალდს, რომლითაც ის მიდიოდა, მეკობრეები დაუხვდნენ და კეისარი თავისი მგზავრებით წაიყვანეს ტყვედ.

იმ უბედურებამ კეისარს მისცა შემთხვევა, გამოეჩინა არა თუ იშვიათი სიმამაცე, არამედ, მბრძანებლობის თანდაყოლილი ნიჭი, რომლის მეოხებითაც ის შემდეგში ხელისუფლად იქცა.

როდესაც კეისარმა ჰკითხა მეკობრეებს, რამდენს ითხოვდნენ, რომ თავი დაეხსნა და იმათ ოცი ტალანტი მოსთხოვეს, კეისარმა ამაყად უპასუხა, რომ მისცემდა ორმოცდაათს, მაგრამ თან გამოუცხადა, როგორც კი გათავისუფლდებოდა, მაშინვე გამოეკიდებოდა მათ უკან და უბრძანებდა ჯვარს ეცვათ ყველანი.

როგორც პატრიცის და იულიუსის გვარის წევრებს, სიტყვაზე ენდობოდნენ, რა თანხაც უნდა ყოფილიყო. კეისარმა გაგზავნა თავისი მსახურნი საბერძნეთის ახლო მდებარე ქალაქებში: ეფესოში, სამოსში და სხვებში და მართლაც შეაგროვა დიდი თანხა - ორმოცდაათი ტალანტი, მაგრამ გადმოვიდა თუ არა ხმელეთზე, მაშინვე შეკრიბა ყველა ხომალდი, რაც კი მოიპოვებოდა ახლომახლო, გამოეკიდა მეკობრეებს, დაეწია,

დაესხა თავს, წამოიყვანა ტყვეებად და გადასცა პრეტორს სიკვდილით დასასჯელად. როდესაც კეისარმა გაიგო, რომ პრეტორს უნდოდა მათი

მონებად გაყიდვა, უბრძანა, ჯვარს ეცვათ ისინი და გამოაცხადა, მე ვიქნები პასუხისმგებელი სენატისა და რომაელი ხალხის წინაშეო.

ყველაფერ ამითკეისარმა მოიპოვა საფუძვლიანი და პატივსაცემი სახელი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შეუპოვრად წინ აღუდგა გნეუს კორნელიუს დოლაბელას, ნაკონსულარს და სულას პარტიაში ერთი დიდი გავლენის მქონე წევრს, რომელსაც აბრალებდნენ მაკედონიის ცუდად მართვას, სადაც დოლაბელა პროკონსულად იყო. კეისარი ამტკიცებდა ბრალდებას არათუ მარტო ვაჟკაცურად, აგრეთვე ისეთი მჭევრმეტყველებით, რომ დიდმა ციცერონმაც ძლივს მოახერხა დოლაბელას გამართლება და ისიც თავისი დიდი ნაცნობობისა და კლიენტის აუარებელი სიმდიდრის წყალობით.

ამნაირად, იულიუს კეისარი, ღირსეული მეომარი და შესანიშნავი ორატორი გახდა რომში. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ როდესაც 680 წლის დამდეგს ქურუმთუხუცესი ავრელიუს კოტა გარდაიცვალა, კეისარს გადასცეს ეს საპატიო ხარისხი.

ასეთი იყო კაცი, რომელიც, როგორც ზემოთა ვთქვით, იდგა ღმერთ ფავნის ტაძრის დერეფნის სვეტთან და შესცქეროდა ხალხის ბრბოს.

- სალამი გაიუს იულიუს კეისარს! - თქვა ტიტუს ლუკრეციუსმა.

- სალამი, ტიტუს! - უპასუხა კეისარმა ხელის ჩამორთმევით „საგანთა ბუნების“ ავტორს.

ლუკრეციუსს თან ახლდნენ გასამხიარულებლად თავშეყრილი ახალგაზრდა პატრიციები. ყოველმა მათგანმა გალიის მომავალ დამპყრობს ალერსიანი მისალმებით მიმართა:

- დიდება და პატივი საღმერთებელ იულიუსს, - უთხრა დაბლა თავის დაკვრით და ტუჩებზე ხელის მიფარებით კომედიანტმა მეტრობიმ, სწორედ ამ დროს გამოსულმა ტაძრიდან აქტიორებთან და მასხარებთან ერთად.

- ა, სალამი, მეტრობი! - უპასუხა ღიმილით კეისარმა, - როგორც ჩანს, დროს არ კარგავ, არც ერთი დღესასწაული არ გამოგეპარება, რომ აქ არ ქეიფობდე.

- რას იზამ, საღმერთებელო იულიუს! - კაცი უნდა დატკბეს ღმერთებისაგან მონიჭებული ცხოვრებით, რადგან ეპიკურე ამბობს, რომ...

- ვიცი, - გააწყვეტინა სიტყვა კეისარმა მოსაწყენი ციტატის თავიდან ასაცილებლად. შემდეგ მარცხენა ხელის ნეკით თავი მოიქექა, რომ თმა არ გასწეწოდა და მარჯვენათი ანიშნა მეტრობის, მოლაპარაკება მინდა შენთანო.

კომედიანტი საჩქაროდ ჩამოშორდა თავის ამხანაგებს და კეისართან მივიდა. ერთმა ხუმარამ მიაძახა:

- მაშ ჩვენ ასკლეპიოსის სამიკიტნოში დაგიცდით.

- კარგი, კარგი, - უპასუხა მეტრობიმ და როცა კეისართან მივიდა, მლიქვნელობით მოახსენა:

- ალბათ დღეს რომელიმე ღმერთი მწყალობს, თუკი ეგ ბედნიერება მერგო, რომ შენ რაიმე სამსახური გაგიწიო, დიდებულო კეისარო, იულიუსის მოდგმის სიამაყევ! კეისარმა ოდნავ შესამჩნევი ზიზღით გაიღიმა.

- სამსახური, რომელსაც შენ გთხოვ, თავაზიანო მეტრობი, დიდი არაფერია. შენ დადიხარ გნეუს იულიუს ნორმბანის სახლში?

- როგორ არა, როგორ არა! - თავგამოდებით წამოიძახა კომედიანტმა. - კეთილშობილი ნორბანი მწყალობს... დიდად მწყალობს... და კარგა ხანიც არის... იმ დროიდან, როდესაც ჯერ ცოცხალი იყო ჩემი სახელოვანი მეგობარი, უკვდავი ლუციუს კორნელიუს სულა.

კეისარი უსიამოვნოდ დაიღრიჯა, თითქო სულას სახელის ხსენებაზე რაღაც სიმყრალე იგრძნო, მაგრამ მეტრობის არ შეამჩნევინა და კეთილგანწყობილებით უპასუხა:

- მაშ კარგი, აი, რა საქმეა... - მაგრამ უეცრად შეჩერდა, დაფიქრდა ერთ წამს და მერე დაუმატა: - სჯობს დღეს ვახშმად მოხვიდე ჩემთან, უფრო თავისუფლად მოვილაპარაკებთ იმ საქმეზე.

- ოჰ, რა ბედნიერებაა! რა პატივი! მადლობა.

ის მედიდურად გამოეთხოვა კომედიანტს და ასკლეპიოსის მახლობელი სამიკიტნოსაკენ გაეშურა. არ ვიცით, რის თქმა უნდოდა ყმაწვილ კაცს მეტრობისათვის, მაგრამ თუ მხედველობაში ვიქონიებთ მომუსაიფის ხელობას და იმას, რომ კეისარს ქალების მუსუსს ეძახდნენ, თითქმის დარწმუნებით შეიძლებოდა გადაწყვეტა, რომ ეს საქმე არშიყობას შეეხებოდა.

ასე იყო თუ ისე, მეტრობი მოკიჟინე ხალხის ბრბოში მიიძვრებოდა და სიხარულით დედამიწას ფეხს არ აკარებდა. მას სიზმარშიაც არ მოლანდებია ასეთი პატივი, რომ კეისარს ვახშმად მიეწვია, და ეშურებოდა დატრაბახებას თავის ამხანაგებთან, რომლებიც იმ დროს სუფრასთან ისხდნენ ასკლეპიოსის სამიკიტნოში.

მხიარულებასა და ხუმრობაში მეტრობი სრულიად ვერ ამჩნევდა, თუ როგორ გადიოდა დრო და როგორ ყლაპავდა ზედიზედ თასებით ველიტერნის ღვინოს. ორი საათის ნადიმობამ სრულებით დაათრო კომედიანტი, მაგრამ ღვინის ბურუსში მისუსტებული ტვინი კი აგონებდა, რომ დიდხანს ასე ყოფნა არ ივარგებდა, რომ ერთი საათის შემდეგ ფეხსაც ვერ გაანძრევდა კეისართან ვახშმად წასასვლელად. ამიტომ დაატანა თავს ძალა, დაეყრდნო ორივე ხელებით მაგიდას, გაჭირვებით წამოდგა ფეხზე და მიმართა თავის დოსტებს, რომ მეტხანს ვეღარ დავრჩები თქვენს სასიამოვნო კრებაში, რადგან დაპატიჟებული ვარ ვახშმად კეი... კეი... კეისართანო.

სეტყვასავით მიაყარეს კომედიანტს დაცინვის სიტყვები, სანამ სამიკიტნოდან გამოვიდოდა.

- კარგი სანახავიც იქნები კეისართან! - უყვიროდა ერთი.

- ენა გამოგინასკვავს, საწყალო მეტრობი! - გაიძახოდა მეორე.

- ენა კი არა, ფეხები, უყურე, როგორ ბარბაცებს!

- ნუ ცეკვავ, მეტრობი, სცენაზე ხომ არ ხარ?

- სწორად წადი, კედელს გადაანგრევ!

- სახლის პატრონს დაუქრთამავს!

- გველივით არ იკლაკნება? მეტრობი ქუჩაში გავიდა და თავისთვის ბუტბუტებდა:

- იცინეთ, იცინეთ... ტუტუცებო! მე კი ვახშმად... წავალ... კეისართან... ის კარგი, ძალიან კარგი კაცია... და უყვარს... არ...ტისტები... მაგრამ ვფიცავ ისე როგორ მომეკიდა ის წყეული ველიტერნისა...

რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა ქალაქისაკენ, ლოთი შეჩერდა, თავში ერთმა ისეთმა აზრმა გაუელვა, რომელიც ლოთს გენიოსური ეგონა. გაჭირვებით გამობრუნდა მეორე მხარეს და ბარბაცით ხის ხიდისაკენ გასწია. მერე გავიდა ხიდზე და გაჰყვა იანიკულის გზას იმ ადგილიდან, სადაც ის ორად იყოფოდა:

- საით მირჩევნია წასვლა? იანიკულისკენ?.. რასაკვირველია... იქ ჰაერი უფრო გრილია, მე კი

მცხელა... ისე მცხელა... თუმცა კალენდარი კი ამბობს... რომ ვითომ თებერვალი ზამთრის თვეა. ჰო, თებერვალი ზამთარშია?.. ჰო, იმათთვის, ვისაც არც ცეკუბისა და არც ფალერნისა არა აქვს... ასე, მთაზე ავალ, გრილი ჰაერია...

ჭალის დაკლაკნილ ბილიკებზე დაიწყო ხეტიალი, მკერდი გადაშალა და ამოისუნთქა. მშვიდ ადგილს ეძებდა, რაც ასე ესაჭიროებოდა. უცბად დაინახა დიდი ხე, რომლის ახლოსაც პატარა მოედანი იყო. მეტრობი ჩამოჯდა იმ ხის კორძთან ფესვებზე, ზურგით ხეს მიეყრდნო და დაიწყო ლაპარაკი:

- პოეტები ყველაფერში არ ტყუიან, როცა აგვიწერენ მეცხვარის ცხოვრების მშვენიერებას... დიახ, კარგია მეცხვარედ ყოფნა! იცხოვრე შენთვის დიდი ქალაქების ხმაურის მოშორებით, მინდვრებში, ბუნებაში, ცხვრებში... ისმინე ბატკნის ბღავილი, ბულბულის გალობა, წყაროს ჩუხჩუხი... ოჰ, რა კარგია მეცხვარეობა! - ქუთუთოები დაუმძიმდა, თვლემა მოერია.

მაგრამ ერთი წამის შემდეგ მეტრობი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მეცხვარის ცხოვრებას თავისი უხერხულობაც აქვს: - კარგია მეცხვარეობა, მხოლოდ წყაროებში წყლის მაგივრად რომ ფალერნის ღვინო ამოდიოდეს... ოჰ... ოჰ, ამას არაფრის გამო არ დავთმობდი, არა. წყლის სმა! რამდენიმე დღის შემდეგ ჯავრით გავსკდებოდი! წყალი... აბა, რა იქნება წყლის სმაზე მოსაწყენი, რა უგემური სასმელია.

ამ სიტყვებით მეტრობიმ, რომელსაც თვალები ელულებოდა და თავი უბრუვდებოდა, როგორც ჩვეულებრივ ძილს მოსდევს ხოლმე, კარგად მოკალათდა და წაილუღლუღა დაბმული ენით:

- ფალერნისა... დიახ, მაგრამ კარგისა კი... და არა შერეული, როგორსაც ის მიკიტანი გვასმევდა... იმიტომ, რომ თავბრუ მეხვევა და... ყურები მიბჟუის... თითქო ფუტკრების სკაში შევედიო... მეტრობის მიეძინა.

დაესიზმრა, რომ დგას ერთ დიდ, უნაყოფო, გამხმარ, მზის მცხუნვარე სხივებით მოფენილ ველზე, ოჰ, როგორ სწვავდა მზე! გულ-ღვიძლი ეწვოდა, ყელი უშრებოდა, წყურვილი სტანჯავდა, საშინელი წყურვილი, რომლისგანაც სული ეხუთებოდა და თავი ურეტიანდებოდა. იღბალზე წყაროს ჩხრიალი შემოესმა და იქით გაექანა რაც ძალი და ღონე ჰქონდა. მირბოდა, მირბოდა, მაგრამფეხები დაუმძიმდა და ისე ეფლობოდა მიწაში, თითქო ჭაობზე მიდისო. ამავე დროს, თვითონაც არ იცის, როგორ უეცრად დაინახა, რომ წყაროში წყალი კი არა, ფალერნისა ამოდიოდა. მაგრამ გასაოცარი საქმე იყო: მისი ჩხრიალი ადამიანის ხმას მიაგავდა. წყურვილით დამხრჩვალი მეტრობი მაინც გარბოდა და ბოლოს წყაროსთან მიირბინა, მაგრამ იმ წამს, როდესაც მიწაზე დაემხო, რომ დაელია ის ჩინებული ფალერნის ღვინო, უეცრად საიდანღაც გამოეცხადა ნუმა პომპლიუსი. ნუმას ჰქონდა თეთრი, გრძელი წვერი და მრისხანე სახე. დაუწყო

მეტრობის ტუქსვა და საყვედური. რა რიხიანი ხმა აქვს ამ ნუმა პომპილიუსს[121]! სანამ მოხუცი მეტრობის ტუქსავდა, მას კიდევ სხვა ხმები მოესმა, თითქოს წყაროდან ამოსული, რომელშიც ახლა ფალერნის მაგივრად სისხლი ამოდიოდა. ნუმა მომეტებული მრისხანებით უჯავრდებოდა მეტრობის:

- დალევა გინდა? სისხლის დალევა?! მაშ, მოიკალი წყურვილი შენი ძმების სისხლით, ბოროტო!

საზარელი ხდებოდა სიზმარი; მეტრობი გრძნობდა, რომ ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზე. შეუბრალებელი მოხუცი რიხიანი ხმით იმისთანა შიშის ზარს სცემდა მეტრობის, რომ გაქცევა მოინდომა, მაგრამ ფეხი ქვას წამოჰკრა, წაიქცა და გამოეღვიძა.

პირველ წამს მეტრობი ისე იყო დარეტიანებული, არ იცოდა, სად იყო, ეძინა თუ ეღვიძა. თვალები მოიფშვნიტა, აქეთ-იქით გაიხედა და დაინახა, რომ ტყეში იყო, უკვე დაღამებულიყო და სიბნელეს ხეების ტოტებში შიგადაშიგ ჩამოსული მთვარის მკრთალი სხივები ანათებდა. დიდხანს ატანდა თავს ძალას, მოეკრიბა ფიქრები და გამოერკვია, თუ რა დაემართა, მაგრამ ვერას გზით ვერ ახერხებდა, რადგან გამოღვიძების შემდეგაც ნუმა პომპილიუსის ლაპარაკი ესმოდა სისხლზე და შურისძიებაზე. ეგონა, მძინავს და ისევ სიზმარში ვარო.

მერე კი მალე მოისაზრა მეტრობიმ, რომ აღარ ეძინა, გაიხსენა, თუ როგორ გაჩნდა აქ და მიხვდა, რომ სიზმარში გაგონილი ხმა ეკუთვნოდა ცოცხალ ადამიანს, რომელიც შორიახლო, ტყის პატარა მინდორზე ლაპარაკობდა.

- სიკვდილი სიკვდილის წილ! მაშ ჯობს, ჩვენი საკუთარი თავისუფლებისათვის დავიხოცოთ და არა მტრების გასართობად, - ცხარედ განაგრძობდა ვიღაც, - იმ

მძვინვარე მხეცებს ადამიანის სახით ჩვენი სისხლი სწყურიათ, მაშ თვითონვე თავისი მახვილებით გაგვიჭრან ძარღვები და მაშინ ნახონ, რომ ჩვენც, მონებს, გლადიატორებს, ისეთივე სისხლი გვაქვს, როგორც მათ. რომ ისინიც ისეთივე მოკვდავნი არიან, როგორც ჩვენ! ვფიცავ ოლიმპოს ღმერთებს, მაშინ დარწმუნდებიან, რომ ყოვლის შემძლებელმა იუპიტერმა ყველანი ერთნაირად გააჩინა, რომ ყველას ერთნაირად ანათებს მისი მზე და ყველა ერთნაირად უნდა დატკბეს სიცოცხლით.

მეტრობი მაშინვე მიხვდა, რომ იქ ვიღაც შეთქმულები შეკრებილიყვნენ რესპუბლიკის საწინააღმდეგოდ და თითქოს კიდეც მოეჩვენა, რომ სადღაც გაეგონა ეს რიხიანი ხმა. მაგრამ სად? როდის? ამას ვერ იგონებდა მეტრობი.

- ამ ოთხი წლის შეუპოვარი, საშიში მუშაობის შემდეგ შეგვიძლია თუ არა ვიქონიოთ იმედი,

რომ მოგვიახლოვდა შურისძიების საათი? - იკითხავიღაცამ ხრინწიანი, დაბალი ხმით, შეუბრალებლად დამახინჯებული ლათინური სიტყვებით.

- შეგვიძლია ბრძოლის დაწყება? - იკითხა მეორემ უფრო ხრინწიანი ხმით და ხმადაბლა, ვიდრე პირველმა.

- დიახ! - უპასუხა იმავე ხმამ, რომელიც მეტრობიმ გაღვიძების დროს გაიგონა. - არტორიქსი მიდის ხვალ... ამ სახელის ხსენებაზე მეტრობიმ იცნო მოლაპარაკეს ხმა. ის იყო სპარტაკი და კომენდიანტი მაშინვე მიხვდა, აქ რა ამბავიც იყო.

- არტორიქსი მიდის ხვალ რავენაში და ეტყვის გრანიკს, რომ მზად ჰყავდეს თავისი ხუთი ათას ორასი გლადიატორი, რომლებიც ჩვენი ჯარის პირველ ლეგიონს შეადგნენ. მეორე შედგება შვიდი ათას შვიდას ორმოცდაათი წევრისაგან რომში. ამ ლეგიონის უფროსად შენ იქნები, კრიკს. მესამისა და მეოთხის უფროსად ვიქნებით მე და ენომაი; ეს ლეგიონები შედგება ლენტულუს ბატიატის სკოლის ათი ათასი გლადიატორისაგან.

- ახლა, როდესაც ყველაფერზე მოვილაპარაკეთ, - თქვა სპარტაკმა, - გაფიცებთ იმ წმიდა საქმეს, რომლისთვისაც შევიკრიბეთ, იყავით ფრთხილად და იხელმძღვანელეთ კეთილგონიერებით, ნუ ჩაფუშავთ ერთ წუთს ოთხის წლის ტანჯვით ნაშრომ საქმეს. ყოველი უდროო აფეთქება შეუნდობელ დანაშაულად ჩაითვლება ახლა. ხუთი დღის შემდეგ თქვენ გაიგებთ, რომ აჯანყების დროშა ავაფრიალეთ და კაპუა ჩვენს ხელთაა. თუმცა მე და ენომაი ჩვენს ჯარს გაშლილ მინდორზე გავიყვანთ, მაგრამ პირველი შეძლებისთანავე ვეცდებით მოულოდნელი დაცემით დავიპყრათ კამპანიის სატახტო ქალაქი. მაშინ შეიკრიბეთ თქვენც რომში და რავენაში და წამოდით ჩვენთან.

ურთიერთშორის მოლაპარაკებისა, თანხმობისა და ძმურად ხელის ჩამორთმევის შემდეგ გლადიატორები წავიდნენ სწორედ იმ ადგილისკენ, სადაც მეტრობი იყო, მაგრამ სპარტაკმა დააბრუნა ისინი:

- ძმებო, ყველანი ერთ მხარეს ნუ წახვალთ, გადით წყვილ-წყვილად, სამნი, ოთხნი ერთად. და ქალაქში ზოგი ცესტის ხიდით, ზოგიც უბლიციუმისა და ემილიუსის ხიდით დაბრუნდით.

იმ დროს, როდესაც გლადიატორები ბრძანების მიხედვით სხვადასხვა მხარეს მიდიოდნენ, სპარტაკმა და კრიკსმა სწორედ იმ ხეს გაუარეს გვერდით, რომელსაც მთელი ტანით აცახცახებული მეტრობი ამოფარებოდა. სპარტაკმა ხელზე ხელი მოუჭირა კრიკსს და უთხრა:

- შენ კი, კრიკს, დღეს კიდევ უნდა გინახულო, რომ შეპირებული ჯავშნების წაღებას გავურიგდეთ. მოდი შუაღამისას ლუტაცია ცალთვალასთან. მე მაინც უნდა წავსულიყავი ჯორების მადევართან. დამპირდა ჯავშნების გადატანას კაპუაში, რაც შეიძლება მოკლე ხანში.

„ვაი, - ფიქრობდა ამ დროს მეტრობი, გლადიატორების წასვლით თანდათან გულდამშვიდებული, - რა ქარიშხალი დაატყდება რესპუბლიკას! ოცი ათასი გლადიატორი ველზე! ახალ ბრძოლას ატეხენ მონები იმის მსგავსად, სიცილიაში რომ იყო ერთხელ. უფრო უარესსაც. რადგან ეს სპარტაკიარ შეედრება ვინუსს, იმ სირიელ მონას, აჯანყებული მონების ბანაკებს რომ განაგებდა; ყოვლის შემძლებელმა ღმერთებმა, ცხადია, განგებ გამომგზავნეს აქეთ, რომ რომის დახსნის მიზეზი მე გავხდე. დიახ, დიახ, ამაში ეჭვი არ არის. ამასთან, განა ამავე აზრით არ მოიხმარეს ღმერთებმა ძველ დროში ბატები? და განა მე... აი, დასწყევლოს ღმერთმა, რა სულელური შედარება მომივიდა ამ ღვინისგან გამოტვინებულ თავში!“ გაახსენდა კეისარი, რომელმაც ვახშმად მიიპატიჟა დაბინდებულზე. ეს დრო კარგა ხანია გავიდა და შუაღამე იყო მოტანებული. კომედიანტი ძალიან შეწუხდა ამაზე, მაგრამ მაშინვე გადაწყვიტა, რომ გავიდოდა თუ არა მშვიდობით ქარიშხლის ღმერთის ჭალიდან, მაშინვე მივიდოდა კეისართან და უამბობდა ამ საიდუმლოს, ასე უნებურად რომ გაიგო.

,,შეთქმულების აღმოჩენისთვის, - ფიქრობდა მეტრობი, - კეისარი მაპატიებს ჩემს უწესოდ მოქცევას“.

ნახევარი საათის მოცდის შემდეგ მეტრობი ტყიდან გავიდა და ჩქარი და გაბედული ნაბიჯით გასწია ცესტის ხიდისაკენ თავის თავთან მუსაიფით. კეისრის სახლთან რომ მივიდა, შესვლისთანავე უბრძანა მონას, გადაეცა კეისრისთვის, რომ მეტრობი სთხოვდა წიგნთსაცავში შესვლას ერთი ისეთი მნიშვნელოვანი საქმის გადასაცემად, რომელზედაც რესპუბლიკის ბედი იქნება დამოკიდებული.

პირველ ხანს კეისარმა არ მიაქცია დიდი ყურადღება მეტრობის ნათქვამს, რადგან იგი შემჩნეული ჰყავდა ლოთობასა და ტრაბახში, მაგრამ ცოტაოდენი მოფიქრების შემდეგ გადაწყვიტა მოესმინა. ამიტომ მოიხადა ბოდიში თავის სტუმრებთან და წიგნთსაცავში გადავიდა, სადაც აღელვებულმა მეტრობიმ დაწვრილებით უამბო ყველაფერი, რაც ფურიების ჭალაში გაიგონა.

ეს საქმე ისე შეუძლებლად ეჩვენა ახალგაზრდა პატრიცს, რომ ყველაფერი გამოჰკითხა კომედიანტს. უნდოდა დარწმუნებულიყო მეტრობის ნაღვინევი ოცნების ნაყოფი ხომ

არ იყო ყველაფერი, მაგრამ, როდესაც დარწმუნდა კეისარი, ღრმად ჩაფიქრდა და მიიღო თუ არა გადაწყვეტილება, მეტრობის უთხრა:

- არ გეწინააღმდეგები მაგაზე, მაგრამ უნდა გამოგიტყდე, რომ ამ საქმეში უკანასკნელ როლს არც

ის ველიტერნის ღვინო თამაშობს, რომელიც შენ ასკლეპიოსის სამიკიტნოში უზომოდ დაგილევია.

- სათაყვანებელო კეისარო, მე რომ ველიტერნის ღვინო უზომოდ მიყვარს, - უპასუხა მეტრობიმ, - ამაზე უარს არ ვამბობ და კიდეც რომ მოვინდომო, მაინც არ შემიძლია. მაგრამ რაც შეეხება ფურიების ჭალაში გაგონილს, ეს კი ნამდვილია, რადგან გრილმა ჰაერმა და ტკბილმა ძილმა სრულებით გამომაფხიზლა. ნუთუ კიდევ არ მიჯერებ? ნუთუ სენატს არ შეატყობინებ? თავჩაღუნული კეისარი არაფერს ამბობდა. - თითოეული წამის დაგვიანებაც საშიშია ამ საქმეში!

კეისარი ისევ ჩუმად იყო, გაჩუმდა მეტრობიც. მაგრამ სახეზე ეტყობოდა, რომ პატრიოტული გრძნობა ძალიან აღელვებდა მის სულს. ერთი წამის შემდეგ ჰკითხა: - მაშ...

კეისარმა აიღო თავი მაღლა და უპასუხა.

- რამდენად საშიშია სახელმწიფოსათვის, ეს მოდი, მე ვიცი, კეთილო მეტრობი!

- კარგი, მაგრამ, განა შეგიძლია... - ის იყო დაიწყო კომედიანტმა, მაგრამ კეისარმა არ უგდო ყური და განაგრძო:

- თუ ნებას მიბოძებ...

- ოჰ, მაგას რას ბრძანებ, საღმერთებელო იულიუს! მე შენთან მოვედი, რომ ბრძანება მივიღო და, თუ ინებებ, დიდი სიამოვნებით დაგითმობ ამ შეთქმულების აღმოჩენის პატივს, რადგან ვიცი, რომ გაიუს იულიუს კეისარი შეძლებს ჩემს დაჯილდოებას თავისი ჩვეულებრივი გულუხვობით.

- გმადლობ, მეტრობი, ერთგულებისათვის; მადლობა აგრეთვე მაგ პატივისათვის, მაგრამ მინდა მე თვითონ გამოვიძიო, რაც შენ მიამბე, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიცოდე, როგორ მოვიქცე ამ საქმეში.

მეტრობიმ თავი დაუქნია ნიშნად სრული თანხმობისა. კეისარმა განაგრძო:

- ახლა წადი ტრიკლინიუმში და მომიცადე იქ. მაგრამ არაფერი წამოგცდეს. არც ის, რაც ფურიების ჭალაში გაიგონე, არც ჩვენი ლაპარაკი, რომ არავინ მიხვდეს, სად წავედი. ერთი საათის შემდეგ დავბრუნდები და მაშინ გადავწყვიტოთ.

- ავასრულებ ყველაფერს, როგორც მიბრძანე.

პალაცინის სახლის გარდა კეისარს პატარა სახლი ჰქონდა სუბურას შუაგულში, სადაც ის ხშირად ცხოვრობდა. რასაკვირველია, კეისარმა, რომელიც ძალიან ხშირად ცვლიდა პატრიცის მდიდრულ ტანისამოსს ღარიბის უბრალო ტუნიკაზე, რომ უფრო თავისუფლად ევლო ღარიბ მოქალაქეთა სახლებში, რომელთაც ხელმწიფური

სიუხვით ეხმარებოდა, ზედმიწევნით იცოდა სუბურასა და ესკვილინის ყველა ვიწრო და ჭუჭყიანი ქუჩა. უცნობი არ იყო მისთვის აგრეთვე ლუტიცია ცალთვალაც.

„დამმარხველი ვენერას“ სამიკიტნო ახლოს იყო პატარა, გემოვნებით ნაგებ კეისრის სახლთან.

ამიტომ კეისარი ძალიან მალე მივიდა სამიკიტნოსთან, საიდანაც ღვინის მსმელების ხმამაღალი და უწმაწური ყვირილი გამოდიოდა.

შესვლისთანავე კეისარმა შეამჩნია, რომ მეორე ოთახში სუფრასთან იჯდა ათიოდე გლადიატორი და რუდიარი. შევიდა იმ ოთახში, დაჯდა თავის მონასთან ერთად ოთახის კუთხეში და უბრძანა მონა ზანგს ორი ჭიქა ცეკუბის ღვინო მიერთმია. სანამ მონა ჭიქებს დადგამდა, კეისარი ყურადღებით ათვალიერებდა გლადიატორების ჯგუფს ოთახის ბოლოში და ყურს უგდებდა ყოველ მათ სიტყვას. სპარტაკი კრიკსისა და ენომაის შუა იჯდა. დაღვრემილი და დაფიქრებული ჩანდა.

ყური რომ მოჰკრა სპარტაკის სახელს, კეისარი მაშინვე დარწმუნდა, რომ, როგორც ეგონა, სპარტაკი, სწორედ ის მაღალი, ძლიერი კაცი იყო. რაც უფრო აკვირდებოდა კეისარი გლადიატორს, მით უფრო მომეტებულად გრძნობდა თავის გულში პირველ წამსვე აღძრულ სიმპათიას სპარტაკისადმი. გენიოსის გამჭვრეტელობით გამოიცნო კეისარმა სპარტაკის დიდსულოვნება, დიდი ნიჭი და რომ ბედს იგი დიადი საქმეებისთვის გაეჩინა.

მონა აზურმა ღვინო მოიტანა, კეისარმა ორივე თასში დაასხა, ერთი თვითონ აიღო და მეორეზე მონას მიუთითა:

- დალიე.

მონამ დალია. კეისარმა კი აჩვენა, რომ ვითომ დალია, მაგრამ ტუჩიც არ მიუკარებია, რადგან არაფერს არ სვამდა წყლის მეტს.

კეისარი რამდენიმე წამს ათვალიერებდა გლადიატორებს, ბოლოს წამოდგა, მათთან მივიდა და უთხრა:

- სალამი, ღირსეულო სპარტაკ! ღმერთები იყვნენ შენი შემწე ყოველ დაწყებულ საქმეში. მაჩუქე ერთი წამი შენთან მოსალაპარაკებლად.

ყველამ კეისარს მიაპყრო თვალი.

- იულიუს კეისარი! - წამოიძახა რამდენიმე გლადიატორმა განცვიფრებით.

- იულიუს კეისარი?! - შეეკითხა მათ გაოცებული სპარტაკი, რომელიც გაგონებით იცნობდა კეისარს და თვალით კი არასდროს ენახა.

- გაჩუმდით! - უთხრა მოწყალე ღიმილით მომავალმა დიქტატორმა, - მე არ მინდა ხვალ მთელმა რომმა იცოდეს, რომ ქურუმთუხუცესი ღამღამობით სუბურასა და ესკვილინის სამიკიტნოებში დაეხეტება.

- ბედნიერი ვიქნები, თუ რამეთი გაგიწევ სამსახურს, დიდებულო იულიუს!

- შეგიძლია რამდენიმე ხნით დატოვო შენი ღირსეული მეგობრები და გამომყვე ახლომახლო მინდვრამდე? გლადიატორები გაკვირვებით შესცქეროდნენ ერთმანეთს. სპარტაკმა მძიმედ დაუკრა თავი და უპასუხა:

- რომის უკეთილშობილეს შვილთან ერთად გავლა დიდი პატივი იქნება საწყალი რუდიარისათვის.

- მამაცი კაცი არასდროს არის საწყალი, - უპასუხა კეისარმა ოთახიდან რომ გადიოდა და ანიშნა მონას იქ მოეცადა. სიჩუმე პირველად კეისარმა დაარღვია.

- რამდენი წლის ხარ? - ჰკითხა სპარტაკს.

- ოცდაცამეტის, - უპასუხა სპარტაკმა და თვალებში ჩააცქერდა, თითქოს მისი აზრის გასაგებად.

- თრაკიელი ხარ?

- დიახ.

- თრაკიელები მამაცი მეომრები და შეუდრეკელნი არიან ბრძოლასა და განსაცდელში. შენ კი, არა თუ ძლიერი და უშიშარი, როგორც ჰერკულესი, განათლებულიც ხარ, როგორც საბერძნეთის ნამდვილი შვილი. მართალია თუ არა?

- საიდან იცი ეგ?

- ერთი ქალისგან. მაგრამ ამის სალაპარაკოდ კი არა, ახლა იმის სათქმელად მოვედი, რომ შენ და იმ საქმეს, რომლისთვისაც თავი შეგიწირავს, დიდი განსაცდელი მოელის.

- რა საქმეზე, რა განსაცდელზე ამბობ? - ჰკითხა შეშინებულმა სპარტაკმა და უკან დაიხია.

- მე ყველაფერი ვიცი და აქ იმიტომ კი არ მოვედი, რომ გიმტრო, არამედ დაგიხსნა კიდეც, თუ შესაძლებელია. ერთმა კაცმა, ხის ქვეშ მჯდომმა, უნებურად მოჰკრა ყური თქვენს მოლაპარაკებას ჭურიების ჭალაში.

- ოჰ, წყეულიმც იყავ! - გაცოფებით დაიბღავლა სპარტაკმა ცისაკენ მუშტის ქნევით.

- თუმცა მას ჯერ არ უამბია ეს ამბავი კონსულებისათვის, მაგრამ რამდენსაც უნდა ვეცადო, ვერ შევაკავებ და უეჭველად აასრულებს ამაღამ. შენი გლადიატორების ოთხ ლეგიონს უფრო ადრე გაჰფანტავენ, ვიდრე ისინი შეკრებას მოასწრებენ.

ხუთი წლის, ხუთი წლის ბრძოლა, შრომა, იმედი და განსაცდელი, ყველაფერი ერთ წუთში დამეღუპა!.. ყველაფერი, ყველაფერი, აღარ არის იმედი! მონები ვიყავით, მონებადვე უნდა ჩავიდეთ სფლავში!

კეისარი სიბრალულით და თანაგრძნობით, თითქმის პატივისცემით შეჰყურებდა ამ კაცს. მასში უნებურად გაიღვიძა სიმპათიამ და თანაგრძნობამ იმ გლადიატორისადმი, რომელმაც თავისუფლების წმინდა სიყვარულით გამხნევებულმა, რომის და

საბერძნეთის გმირთა საკადრისი საქმენი მოახდინა; იმ მონისადმი, რომელმაც თავისი რწმენით და გენიოსური წინდახედულობით შექმნა მრისხანე ჯარი მოძულებული და დამცირებული ოცი ათასი გლადიატორისგან.

ამის გაფიქრებაზე შურმა გაუელვა კეისარს შავ თვალებში. ათრთოლდა უფლებისა და დიდების წყურვილით. თავბრუ დაესხა, გადაავლო თვალი ალბას გორაკების წვეროებს და იფიქრა, მისთვის რომ მიეცათ ოთხი ლეგიონი, ოცი ათასი მეომარი, მასათვის თავდადებული, მისი ერთი ხელის ნიშნებით ცეცხლსა და წყალში რომ გადაცვივდებოდნენ, რამდენიმე წელიწადში დაიმორჩილებდა მთელ ქვეყანას და რომის მპყრობელი გახდებოდა, მაგრამ სამულველი და მძვინვარე კი არა, როგორც სულა, საყვარელი და პატივცემული, ზარდამცემი პატივმოყვარე პატრიციების და საწყალი ხალხის სათაყვანებელი კერპი.

ღრმად ჩაფიქრებულნი, ერთი თავის მწუხარებაზე, მეორე პატივმოყვარულ ოცნებებზე, ორივენი რამდენსამე წამს მდუმარედ იდგნენ. პირველად ხმა სპარტაკმა ამოიღო, რომელმაც თქვა:

- ვფიცავ იუპიტერის ელვას, ეგ არ მოხდება!

- მერე რას იზამ? - ჰკითხა კეისარმა.

სპარტაკმა თავისი ანთებული თვალები კეისრის თვალებს მიაპყრო, რომელთაც უკვე მიიღეს ჩვეულებრივი წყნარი, მედიდური გამომეტყველება, და ერთი წამის მოაზრების შემდეგ ჰკითხა:

- შენ რა ხარ ჩვენი, კეისარო, მტერი თუ მეგობარი?

- მსურს, მეგობარი ვიყო.

- მაშ თუ აგრეა, შენ ყველაფერი შეგიძლია; ჩვენი ბედი შენს ხელთაა და თუ მოინდომებ, დაგვიხსნი.

- რანაირად?

- მოგვეცი ხელში ის კაცი, რომელმაც ჩვენი საიდუმლო გაიგონა.

- მაშ შენ გინდა, რომ მე, რომაელმა, რომზე იტალიის მონები აღვძრა, მაშინ, როდესაც დაშლა შემიძლია?

- მართალი ხარ, დამავიწყდა, რომ რომაელი ხარ.

- მე მინდა მთელი ქვეყანა რომს ეკუთვნოდეს.

- მაშასადამე, შენს სულში უფრო უდიდესი აზრი დაბადებულა, ვიდრე ალექსანდრე

მაკედონელის განზრახვანი, როდესაც რომის არწივი გადააფარებს თავის ფრთებს მთელ ქვეყანას, შენ გინდა ბორკილები დაადო ამ ხალხს, რკინის მუშტში ჩაბღუჯო? გინდა, რომი გახდეს მპყრობელი ქვეყნისა, შენ - მპყრობელი რომისა?

რაღაც მხეცურმა სიხარულმა გაუელვა კეისარს თვალებში, მაგრამ მაშინვე დამშვიდდა და ღიმილით უპასუხა:

- რაც მე მწადია, ეს არავინ იცის, იქნებ თვითონ მეც; ჯერ კიდევ ბევრი შრომა დამჭირდება, სანამ იმდენ ღონეს მოვიკრებდე, რამდენიც საჭიროა ჩემი ფრთების გასაშლელად. მაგრამ შენ კი, სპარტაკ, შენ შეაგროვე გასაოცარი ენერგიით მონათა ჯარი და უდიდესი სარდლის სიბრძნით შექმენი მათგან მწყობრი ლეგიონები და უპირებ ველზე გამოყვანას. მაშ, აბა მითხარი, რა განგიზრახავს, რის იმედი გაქვს?

- იმედი მაქვს, - უპასუხა რუდიარმა და თვალები ცეცხლით აენთო, - დავამსხვრიო რომის ძლიერების ჯაჭვი და დავინახო მის ნანგრევებზე თავისუფალი ხალხი! იმედი მაქვს, მოვსპო საზიზღარი კანონები, რომლებიც ერთ ადამიანს მეორის ამონად ხდიან! კანონები, რომლებიც დედაკაცის ნაშობი ორი ერთნაირი ძალის, ერთი ნიჭის ადამიანს ერთნაირად აღვრევინებს ოფლს სხვა მიწაზე, რათა არჩინოს მეორე, განცხრომით განებივრებული ბიწიერი და ზარმაცი.

ვიმედოვნებ, სამაგიერო ვუზღო ჩაგრულთა სისხლისა და ტანჯვისათვის, ბორკილები ავხსნა რომის გამარჯვებათა ეტლზე მიჯაჭვულ უბედურებს, დავამსხვრიო მონობის ჯაჭვი და მახვილებად გადავადნო, რომ ამ მახვილებით ყოველმა ადამიანმა შესძლოს იტალიის საზღვრებამდე თქვენი გარეკვა, რაც დიდებულ ღმერთებს დაუდგენიათ, რომ იმის იქით ვეღარ გადმოაბიჯოთ. მე იმედი მაქვს, დავწვა ყველა ამფითეატრი, სადაც მხეცი ადამიანი, ჩვენ რომ ბარბაროსებს გვიწოდებს, ტკბება სიყვარულისთვის, ბედნიერებისთვის დაბადებულ ადამიანთა ხოცვა-ჟლეტით ტირანთა გასართობად. ვფიცავ ყოვლისშემძლე იუპიტერის ელვას, რომ მოვესწრები, როგორ ამობრწყინდება თავისუფლებისმზე და მოისპობა სამარცხვინო მონობა ამქვეყნად. თავისუფლება გვწყურია! მივაღწევთ ყოველი ადამიანის, მთელი ხალხების თავისუფლებას. თვისუფლებასთან ერთად დამყარდება მშვიდობა, სიკეთე და ის უმაღლესი სათნოება, რომელსაც უკვდავი ღმერთები ადამიანებს ანიჭებენ, დატკბენ სიცოცხლით.

კეისარი ადგილიდან არ იძვროდა, უსმენდა. სიბრალულის ღიმილმა გაუელვა ტუჩებზე. როდესაც სპარტაკი მიწყნარდა, მან თავი გადააქნია და ჰკითხა:

- მერე, მერე, კეთილშობილო მეოცნებევ?

- მერე დადგება უხეშ ძალებზე ბატონობის დრო, გონების ბატონობისა - ვნებაზე, - მიუგო

რუდიარმა. მას გახურებულ სახეზე ეხატებოდა ის დიდი გრძნობები, რაც მის სულში ტრიალებდა. - მერე დადგება დრო ხალხთთა თანასწორობისა, ურთიერთშორის ძმობისა, სიკეთის ზეიმის მთელ ქვეყნიერებაზე.

- საბრალო მეოცნებევ! შენც გგონია, რომ მაგას მიაღწევ? - ჰკითხა იულიუს კეისარმა სიბრალულით სავსე ხმით. - შემდეგ განაგრძო: - გამიგონე, სპარტაკ და კარგად აწონე ჩემი სიტყვები, კეისარი ის კაცი არ არის, რომელიც ადვილად იმეტებს სიყვარულს და მეტადრე, პატივისცემას. შენი დაწყებული საქმე აუსრულებელია. ეს არის სიგიჟე, ოცნება. სპარტაკს დალაპარაკება უნდოდა, მაგრამ კეისარმა შეაჩერა და განაგრძო:

- სიტყვას ნუ გამაწყვეტინებ, სჯობს გამიგონე, შენი სარგებლობისთვისვე გეუბნები, რომ შენი ოცი ათასი გლადიატორი რომს ვერ შეაშინებს, რასაკვირველია, ეს შენც იცი.

თუ გაქვს იმედი იმ აუარებელი მონისა, რომელთაც სიტყვა „თავისუფლება“ მოიზიდავს შენი დროშის ქვეშ, მაგრამ შეგროვდეს თუნდაც ასი, ასორმოცდაათი ათასი, თუნდ მოახერხე, რაც შეუძლებელია, სამხედრო მტკიცე წესებით შექმნა მათგან მწყობრი ჯარი; თუნდ იბრძოლონ თავგანწირული სიმამაცით, რა გამოვა მაგით? ნუთუ გგონია, მათ დასძლიონ ოთხასი ათასი ლეგიონერი, რომლებიც იტალიის ქალაქებში დგანან - აზიისა და აფრიკის ხელმწიფეების დამმარცხებელი

ლეგიონერები? როგორც მოქალაქენი ისინი შეგებრძოლებიან იმიტომ, რომ თქვენი გამარჯვება მათ დაღუპავს. თქვენ იბრძოლებთ სასოწარკვეთილნი, ისინი კი თავის დაცვის ინსტინქტით, თქვენ იბრძოლებთ უფლებისათვის, ისინი კი თავიანთი საკუთრების დასაცავად. ძნელი არ არის თქმა, ვის დარჩება გამარჯვება. რიცხვით თქვენზე უმეტესნი ყოველ ქალაქში მოკავშირეს შეხვდებიან, თქვენ კი - მტერს. მათ ხელში იქნება სახელმწიფო ხაზინის მთელი სიმდიდრე და კიდევ უფრო აუარებელი ქონება პატრიციებისა; მათკენ იქნება რომის ზარდამცემი სახელი, რესპუბლიკის ურიცხვი ხომალდი და მოსაშველებელი ჯარი მთელი დედამიწიდან. შეძლებ კი შენი ჭკუის, სიმტკიცის და ვაჟკაცობის მეოხებით წესიერების დადგენას გამხეცებულ, თავნება ბარბაროსების ლაშქარში, რომლებიც ეკუთვნიან ყოველნაირ გვარ-ტომობას და არ არიან ერთმანეთში დაკავშირებული არც საერთო ინტერესით და ჩამომავლობით და რომელთაც იქნებ, არც კი ესმით თქვენი წამოწყებული საქმის მიზანი.

- რა ვუყო მერე! - წარმოთქვა სპარტაკმა კეთილშობილური გულგრილობით, - დავიღუპები სახელით სამართლიანი საქმისათვის და ჩვენი სისხლიდან აღმოცენდება თავისუფლების ხე, შურისმაძიებლების ახალი თაობა, რომელიც მჩაგვრელთა შუბლზე ახალ სამარცხვინო ლაქას ამოიკითხავს. ჩვენი საქმეები სამაგალითო, მისაბაძი იქნება. აი, რა მემკვიდრეობას დავუტოვებთ შთამამავლობას.

- უარი თქვი წამოწყებაზე, - განაგრძო დამშვიდებულმა კეისარმა, - მეტრობი არ დააყოვნებს, რომ შეატყობინოს კონსულებს. დაუბრუნდი შენს მოძმეებს და ჩააგონე, აიტანონ ყველაფერი, რომ შემდეგში კანონიერი გზით მოიპოვონ ის, რასაც ვერ შეიძენენ იარაღის ძალით. იყავი ჩემი მეგობარი და თანამოზიარე. შენ იქნები ჩემი ლეგიონების წინამძღოლი, თუ გამოიჩენ უდიდეს ნიჭს, რომლითაც ბუნებამ დაგაჯილდოვა...

- შეუძლებელია, შეუძლებელი! - შესძახა სპარტაკმა, - სულით და გულით გმადლობ, კეთილშობილო იულიუს, ჩემდამი კეთილი განწყობისთვის და შენი წინადადებისთვის, მაგრამ მე ჩემს ბედისწერას უნდა მივენდო და არასდროს არ ავიღებ ხელს ჩემს ტანჯულ მოძმეებზე. თუ მართლა უკვდავი ოლიმპოს ღმერთები წყვეტენ ადამიანის ბედს და იქ მაინც არსებობს სამართალი, რომელიც დედამიწაზე არ არის, ჩვენი საქმე არ დაიღუპება. თუ ჩვენს წინააღმდეგ იბრძოლებენ ღმერთებიცა და ხალხიც, მაშინ აიაქსის[122] მსგავსად მოვახარხებ, თავი დავდო მორჩილებით და უდრტვინველად, როგორც შეშვენის მეომარს.

ხელახლა განაცვიფრა კეისარი ამ ადამიანის ვაჟკაცობამ, სპარტაკს მაგრად ჩამოართვა ხელი და უთხრა:

- იყოს ისე, ოგორც შენ გინდა. თუკი ასე უშიშარი ხარ, იქნებ ბედმა გაგიღიმოს, რადგან მე ვიცი,

რამდენად შეუძლია ბედისწერის დამარცხება შეუდრეკელ სიმამაცეს, განსაკუთრებით სამხედრო საქმეში. დღეს შენი საქმე, როგორცა ჩანს, ბეწვზე ჰკიდია; ხვალ კი, თუ ბედი მოგიბრუნდა, შეიძლება, გამარჯვებას მიუახლოვდე. მაშ, წადი კაპუაში. მე არ შემიძლია დავუშალო მეტრობის კონსულებთან თქვენი შეთქმულების გამხელა და კიდევაც რომ შემეძლოს, არ ვიზამ ამას. იჩქარე, რომ, თუ ბედი თქვენკენ არის, კაპუაში სენატის შიკრიკს მიასწრო. მშვიდობით.

- ღმერთები იყვნენ შენი მფარველნი, კეთილშობილო იულიუს, მშვიდობით!

ქურუმთუხუცესმა და რუდიარმა ხელახლა ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და დაეშვნენ მიყრუებულ ქუჩაზე.

შევიდნენ თუ არა „დამმარხველ ვენერას“ სამიკიტნოში, კეისარმა ანგარიში გაასწორა და მონის თანხლებით სახლისაკენ წავიდა. სპარტაკმა კი ამხანაგები მოიხმო. კრიკსს რომში უნდა მოესპო შეთქმულების ყველა ნიშანი, არტორიქსი უნდა გაქანებულიყო რავენაში; თვითონ სპარტაკმა და ენომაიმ შეკაზმეს ორი კარგი ცხენი, წაიღეს თან რაც ფული იყო „დაჩაგრულთა კავშირის“ სალაროში და ცხენები დააქროლეს კაპუასკენ.

კეისარი სახლში რომ დაბრუნდა, შეიტყო, მეტრობის ხელახლა გადაეკრა ღვინო და ისე ანთებულიყო მხურვალე პატრიოტული გრძნობებით, რომ, როგორც მას ეთქვა წასვლის დროს, პირდაპირ კონსულებთან გაემართა ბარბაცით რესპუბლიკის დასახსნელად.

კეისარი ჩაფიქრდა. ცხადია, წილი ნაყარი იყო. თავის საწოლ ოთახში რომ შევიდა, თქვა:

- ახლა გლადიატორების და სენატის შიკრიკები მიაქროლებენ ცხენებს. წინ, ვინ იცის, რომელი მიასწრებს! მერე ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ დაუმატა:

- აი, რა ხშირად გამოიწვევს ხოლმე მძიმე საქმეს სულ უბრალო მიზეზი. ახლა ყველაფერი ცხენზეა დამოკიდებული.

10. ამბოხება

იტალიის ერთი ძალიან ნაყოფიერი და აყვავებული პროვინციის, კამპანიის, ერთ დროს მდიდარმა, საუცხოო და მშვენიერმა სატახტო ქალაქმა კაპუამ აქ აღწერილ დროს დაკარგა თავისი მნიშვნელობა, მაშინ, როდესაც ჰანიბალის მოსვლამდე ის კართაგენისა და რომის უბედნიერეს და უმდიდრეს მოქიშპედ ითვლებოდა.

კაპუა, როგორც ფიქრობენ, დაარსებული იქნა ოსკების მიერ ორი საუკუნით ადრე რომის დაფუძნებამდე, ვულტურნუმის მშვენიერ სანაპიროზე და ამ სახელით იწოდებოდა. სამი საუკუნის მანძილზე. იგი იყო თორმეტი ქალაქის კავშირის ცენტრი, რომლებიც ეტრუსკებმა წაართვეს ოსკებს, ავზონებსა და არუმებს. ამ მაღალი კულტურის ქალაქისგან იტალიამ უფრო ადრე მიიღო ცივილიზაცია, ვიდრე ბერძნებისგან.

ქალაქს გარს ერტყა ექვსი მილის სიგრძის მაგარი ზღუდე. მის მშვენიერ ქუჩებში უმდიდრესი ტაძრები, დიდებული სასახლეები, აბანოები, ამფითეატრები იდგა. თავისი იერსახით კაპუა არა მარტო მეტოქეობას უწევდა რომს, სჯობნიდა კიდეც მზის მცხუნვარებით, ბუნებით დაჯილდოებული საუცხოო რბილი ჰაერით.

განიერსა და ლამაზ, ქალაქის შუაზე გამყოფ ალბას ქუჩაზე მიმოდიოდნენ მოსეირნეები. ზოგი მათგანი უეცრად შეჩერდებოდა და აკვირდებოდა ათ მხედარს. მტვერში და ტალახში ამოსვრილი, ნესტოებიდან ოხშივარადენილი, ლაგმებდადორბლილი ცხენის გამხეცებულ ჭენებაზე აშკარად ეტყობოდათ, რომ ძალიან ეჩქარებოდათ და უეჭველია, რაღაც ძალიან საშური საქმე ჰქონდათ.

- ვფიცავ ტიფატინის იუპიტერს, - უთხრა ერთმა ხნიერმა მოქალაქემ თავის გვერდით მიმავალ ახალგაზრდას, - რომ მე არ მინახავს ამისთანა გაშმაგებული ჭენება იმის შემდეგ, რაც ამ დიდი ხნის წინათ შიკრიკები მოაჭენებდნენ ხოლმე იმ ამბით, რომ სულამ გაიმარჯვა კონსულ ნარბანუსზე, მარიუსის მომხრეზე, დიანას ტაძართან.

- ამ მხედრებს ახალი ამბავი მოაქვთ რამე ჩვენთან? - ჰკითხა ახალგაზრდამ.

- ეტყობათ, რომიდან მოდიან, - შენიშნა ერთმა მჭედელმა. ალბათ ახალი რამე

  მოგველის...

- ან რამე განსაცდელი...

-ან არადა ჩვენი შეთქმულება გამოაშკარავებულა! - წასჩურჩულა გაფითრებულმა ახალგაზრდა გლადიატორმა თავის ამხანაგს.

ამასობაში ათისთავმა დიდი ხნის მგზავრობით დატანჯული და დაქანცული მხედრები ალბას ქუჩაზე გაატარა და არანაკლებ ლამაზ სეპლაზიას ქუჩაზე შეუხვია, სადაც უამრავი კოსმეტიკური მაღაზია იყო, რომელთა პატრონებს დიდი ვაჭრობა ჰქონდათ სურნელოვანი ნელსაცხებლით მთელ იტალიაში.

სწორედ იქ გაჩერდნენ მხედრები. ათისთავი ცხენიდან ჩამოხტა, დერეფანში შევიდა და მოითხოვა, რომ მაშინვე მიეყვანათ პრეფექტთან[123], რომლისთვისაც ძალიან საჭირო წერილი ჰქონდა გადასაცემი რომის სენატისგან.

პრეფექტის სახლთან მხედრებს ცნობისმოყვარულები შემოეხვივნენ.

- როგორცა ჩანს, - თქვა ერთმა, - ძალიან დიდი საქმეა!

- რა საქმე, თუ ღმერთი გწამს?

- პრეფექტის მონები ისე გარბიან, როგორც ძაღლებმისეული ირმები!

- საით მიეშურებიან ეს მონები?

- მაშ შენ გგონია, რომ განსაცდელი მოგველის?

- მაშ როგორ? შენა გგონია, რომ სენატი ტყუილუბრალოდ გამოგზავნიდა და უბრძანებდა მხედრებს ეჭენებინათ ცხენები? ვინ იცის, რამდენ ცხენს ამოხდებოდა სული გზაში?

- ოჰ, დასწყევლოს ღმერთმა, იქ რაღა არის?

- სადა?

- იქ, ალბას ქუჩის კუთხეში...

- ყოვლის შემძლებელო ღმერთებო, თქვენ დაგვიფარეთ! - თქვა გაკვირვებულმა ვაჭარმა, - სამხედრო ტრიბუნი ხომ არ არის?

- დიახ, სწორედ ის არის... ტიტუს სერვილიანუსი! - უყურე, რა აჩქარებული მოსდევს

  პრეფექტის მონას!

სანამ სამხედრო ტრიბუნი ტიტუს სერვილიანუსი პრეფექტის სახლში შევიდოდა და სეპლაზიას ქუჩაზე კი თანდათან უფრო გროვდებოდა ხალხი, მთელ კაპუას მოედო აღელვება; იმ წყლის არხის გაყოლებაზე, რომელიც ახლომახლო გორაკებიდან აწოდებდა წყალს მთელ ქალაქს და გამოყვანილი იყო კარგა მანძილზე კაპუაზე გარსშემორტყმული კედლის გვერდით, მოდიოდა ორი ძალოვანი და უზარმაზარი ტანის კაცი.

ესენი იყვნენ სპარტაკი და ენომაი, რომლებიც დიდი სისწრაფით გამოვიდნენ რომიდან ღამე და ყოველი ფოსტის სადგურზე ცხენების გამოცვლით მალე მივიდნენ სუესაპომეტიას სადგურამდე; მაგრამ აქ მათ მოეწია ათისთავი, რომელიც თავისი ათი მხედრით მოეშურებოდა კაპუასკენ, რათა შეეტყობინებინა პრეფექტისთვის გლადიატორების მზადება ამბოხებისთვის. ამიტომ მათ თავი უნდა დაენებებინათ არა თუ მარტო ცხენების გამოცვლისათვის, იძულებულიც იყვნენ ხანდახან აეხვიათ ხოლმე აპიუსის გზისთვის და მეორე გზით წასულიყვნენ.

როგორც იყო, იყიდეს ორი ახალი ცხენი ერთი გლეხკაცისგან და არაადამიანური ძალით განაგრობდნენ გზას. როგორც იყო, გავიდნენ კაპუაში მიმავალ ატელუსის გზაზე.

ახლა კი, როცა ეგონათ, რომ მიზანს მიუახლოვდნენ, როცა ეგონათ, რომ სრული ერთი საათის

წინ იყვნენ სენატის შიკრიკებზე, უეცრად გზაში, შვიდი მილის მანძილზე კაპუასთან, სპარტაკის ცხენი დატანჯული და დაქანცული უცებ დაეცა და თან მოჰყვა თავისი მხედარიც, რომელსაც, ამ მოულოდნელ შემთხვევაში უნდოდა, როგორმე შეეკავებინა საცოდავი პირუტყვი და ხელი შემოეხვია კისერზე, მაგრამ ცხენი დაეცა და სპარტაკს ისე გადაუბრუნა ხელი, რომ ძალიან ეღრძო.

მწარე ტკივილის მიუხედავად, სპარტაკს არაფრით არ გამოუმჟღავნებია თავისი ტანჯვა; მხოლოდ ფერმკრთალ სახეზე ძარღვების ოდნავი მოძრაობით შეატყობდით ტკივილს.

ნაღრძობი ხელისთვის ყურადღება არ მიუქცევია, წამოდგა ფეხზე, მძიმედ ამოიოხრა და უიმედო ხმით თქვა.

- ვფიცავ ერებს, გათავდა ყველაფერი! ამასობაში ენომაი ჩამოხტა ცხენიდან,

საჩქაროდ მიუახლოვდა სპარტაკს.

- რა თქვი? განა ყველაფერი გათავდება, სანამ შენი მკლავები ჯაჭვით არ შებოჭილა და სანამ შეგიძლია მახვილის თავისუფლად ხმარება? სპარტაკი დუმდა რამდენიმე ხანს; მერე ენომაის ცხენს შეხედა და თქვა:

- შვიდი მილი!.. შვიდი მილიღა დაგვრჩა გასავლელი. წყეულიმც იყვნენ ჩვენი მოწინააღმდეგე ღმერთები, იმედი უნდა დავკარგოთ? შენს ცხენს რომ შეეძლოს ორივე ერთად გვატაროს სამი, ოთხი მილი მაინც, დანარჩენს ჩვენ თვითონ გავირბენდით ფეხით და იქნება როგორმე მოგვესწრო დროზე, რადგან ჩვენს მტრებს ერთი საათი მაინც მოუნდებათ, რომ საჭირო განკარგულება გასცენ.

- მართალი ხარ, - უთხრა გერმანელმა და თვითონაც ცხენს შეხედა, - მაგრამ ეს უბედური პირუტყვი შეძლებს კი გაგვაჩანჩალოს ორი მილი მაინც?

ძნელი ასაწერია, თუ რა შიშით, შფოთვით და სიჩქარით გაუდგა კაპუას გზას ეს ორი კაცი, დაღლები, დატანჯულები და რამდენიმე დღის უჭმელები. ისინი მიდიოდნენ ჩუმად, დაღვრემილნი, გაფითრებულნი და ოფლში გაწურულები, ისეთი გასაოცარი სისწრაფით, რომ საათ-ნახევარზე ადრე მივიდნენ ქალაქის ალაყაფთან. აქ ერთ წამს შეჩერდნენ სულის მოსაბრუნებლად და ღონეზე მოსასვლელად. სპარტაკმა და ენომაიმ მიიღეს უდარდელი გამომეტყველება და ცდილობდნენ, რამდენადაც შეეძლოთ, ეჩვენებინათ, რომ შორიდან არ მოდიოდნენ, მაგრამ ამ გარეგანი უდარდელობის ქვეშ როგორი შიშით უცემდათ მკერდში გული!

ალაყაფის თაღში შესვლის დროს სპარტაკმა იცოდა, ისეთი რამ მოხდებოდა, რაც გზის გაგრძელებაში ხელს შეუშლიდა. ამ შემთხვევაში მან გადაწყვიტა, წამოევლო ხელი მახვილისათვის და ისეთი ძალით დასცემოდა დარაჯებს, რომ ერთ წამში ამოეხოცა და თვითონ გაქცეულიყო გლადიატორების სკოლისკენ; ეს იყო უკანასკნელი საშუალება. თორმეტი დარაჯი, უმეტეს წილად ბებერი ინვალიდები, ვერ შეაჩერებდნენ.

მივიდნენ თუ არა ალაყაფთან, დაინახეს, რომ ორ დარაჯს ეძინა პატარა ფიცრის სკამზე გაწოლილებს; სამნი ძვლებით თამაშში იყვნენ გართულნი, ქალაქის კედლის თავზე ასასვლელ მარმარილოს კიბეზე დაცუცქულები, და ორი ლაზღანდარობდა.

ამ დროს სპარტაკი და ენომაი გულისცემითა და მომაკვდავივით გაფითრებული სახეებით შედიოდნენ ალაყაფში. მათ დანახვაზე ერთმა დარაჯმა თქვა:

- აი, პატივცემული მცველებიც! - ოჰ... ვფიცავ იუპიტერს, რომ ეს ორი გაფითრებული და გამხდარი გლადიატორი სტიქსიდან გამოსულ ჩრდილებს ჰგვანან!

სპარტაკი და ენომაი ის იყო, აპირებდნენ მეორე თაღიდან გასვლას, რომლიდანაც ალაყაფის კარი იღებოდა, რომ უეცრად ქალაქიდან წინ მოეგებათ ოცდაათი მეომარი თავით ფეხამდე შეიარაღებულნი. მეთაური ალაყაფის თაღქვე რომ შევიდა, ბრძანება გასცა.

- იარაღი აისხით!

დარაჯები ადგილებიდან წამოცვივდნენ. თუმცა ცოტათი დაიბნენ, მაგრამ საჩქაროდ დაეწყვნენ მწკრივად, რაც ძნელი მოსალოდნელი იყო მათგან.

წინამძღოლის ნიშანზე სპარტაკი და ენომაი შეჩერდნენ. გული უიმედობით ეწურებოდათ. რამდენიმე ნაბიჯით დაიხიეს უკან, გადახედეს ერთმანეთს: რუდიარმა ძლივს შეძლო გერმანელის შეკავება, რომელმაც ხელი გაივლო მახვილზე.

- განა ეგრე უნდა დარაჯობა, არამზადებო! - ყრუდ გაისმა ალაყაფის ქვეშ სამარისებურ სიჩუმეში წინამძღოლის სასტიკი ხმა და კვერთხი დასცხო სკამზე დაძინებულ ერთ ლეგიონერს, რომელიც დაგვიანებით ჩადგა მწკრივში, - შენ კი, - მიუბრუნდა ახლა იქვე მარცხნივ მდგომ საშინლად დაბნეულ ათისთავს, - ლივიუს, ძალიან ცუდად ასრულებ შენს მოვალეობას და არ აქცევ ყურადღებას წესიერების დაცვას. გართმევ შენს თანამდებობას, ახლა ლუციუს მედინიუსს, მეორე რაზმის ათისთავს დაემორჩილები. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ თქვა:

- გლადიატორები ამბოხებას აპირებენ. სენატის შიკრიკმა შეგვატყობინა, რომ შეიძლება საქმე ძალიან სერიოზულად გათავდესო. ამიტომ ახლა სერსერო უნდა ჩამოვუშვათ, ალაყაფი უნდა ჩავკეტოთ, ფხიზლად ვიყოთ, როგორც ომიანობის დროს. გუშაგები ჩავაყენოთ, როგორც საშიშროების დროს ვიქცევით.

სანამ საგუშაგოს ახალი უფროსი ლუციუს მედინიუსი ჯარისკაცებს ორ მწკრივად აწყობდა, წარბშეკრული ასისთავი სპარტაკისა და ენომაის დაკითხვას შეუდგა:

- თქვენ ვიღა ხართ? გლადიატორები?

- გლადიატორები ვართ, - მტკიცედ მიუგო სპარტაკმა, ხმაზე ეტყობოდა, რომ ძლივს იკავებდა სულიერ მღელვარებას.

- მაშ ლენტულუსის სკოლის გლადიატორები იქნებით.

- ცდები, მამაცო პოპილიუს, - უპასუხა სპარტაკმა და იმედის ნაპერწკალმა გაუელვა თვალებში, - ჩვენ პრეფექტ მეციუს ლიბეონუსს ვემსახურებით.

-მე მიცნობთ? - გაკვირვებით ჰკითხა ასისთავმა.

- ბევრჯერ მინახავხართ ჩვენი ბატონის სასახლეში.

- მართლაც... - უთხრა პოპილიუსმა და დაჟინებით ჩააშტერდა სახეში გლადიატორს. სიბნელე ჰფარავდა მათ სახეებს და მხოლოდ მათი ზორბა სხეულების გარჩევა შეიძლებოდა. - მართლაც, მგონია...

- ჩვენ, გერმანელები, კეთილშობილი მანდილოსნის, ლელია დომიციას, მეციუსის მეუღლის მსახურნი ვართ და მის ტახტრევანს დავყვებით.

ლენტულუს ბატიატის სკოლაში ოთხი წლის განმავლობაში ყოფნისას სპარტაკმა შეძლო ჩაგრულთა კავშირში რამდენიმე გლადიატორის შეყვანა, რომელნიც კაპუელ პატრიციების ოჯახებს ეკუთვნოდნენ, და ამიტომ კარგად იცნობდა მაღალ-მაღალ ორ გერმანელ გლადიატორს, მეციუს ლიბეონუსის მონებს. ასისთავს უამბეს პრეფექტის სახლის წესები და ჩვეულებანი. ადვილი წარმოსადგენია ამ სიბნელეში რა სიხარულით მიმართა სპარტაკმა ამ ეშმაკობას. ეს იყო ერთადერთი საშუალება დასაღუპად განწირული საქმის ხსნისათვის.

- მართალია! - კვერი დაუკრა ასისთავმა, - მართალს ამბობ, ახლა გიცანით.

- მახსოვს, შუაღამისას ტრიბუნ ტიტუს სერვილიანუსის ალაყაფთან შემხვედრიხართ. მე და ჩემი ამხანაგი მეციუს ლიბეონუსის მეუღლის ტახტრევანს მოვყვებოდით. ჩვენი მოწყალე ქალბატონი ისე ხშირად დასეირნობს ჩუმჩუმად ღამით, რომ...

- გაჩუმდი, შენი ბარბაროსი ღმერთების გულისათვის, საზიზღარო კიმბრო! - დაუყვირა პოპილიუსმა. არ უნდოდა ლეგიონერების თანდასწრებით ეჭორავათ პრეფექტის ცოლის არც თუ მოსაწონ საქციელზე.

- ახლა საიდან მოდიხართ? - ჰკითხა ასისთავმა ერთი წუთის სიჩუმის შემდეგ

სპარტაკს. სპარტაკი არ დაიბნა, უმალ უპასუხა ჩვეულებრივი ხმით:

- ჩვენი ბატონის, კუმის სასახლიდან ძვირფას ტვირთს ვეახელით თან, გუშინდელს აქეთაა, გადმოგვაქვს.

- თქვენ არაფერი იცით გლადიატორებისგან დაწყებული აჯანყების შესახებ ლენტულუს ბატიატის სკოლაში?

- აბა საიდან გვეცოდინება? - უპასუხა სპარტაკმა იმნაირი გულწრფელი ადამიანის კილოთი, რომელსაც არ უყვარს იმაზე ლაპარაკი, რაც არ ესმის, - ლენტულუსის დამთხვეულ და ურჩ მოწაფეებს კიდეც რომ დაეწყოთ რამე სიგიჟე, ისინი, რასაკვირველია, ჩვენ არ მოგვახარებდნენ, რადგან მათ ჩვენი ბედნიერება შურთ. ჩვენ ისე კარგად ვართ ჩვენს კეთილ ბატონთან!

ყველაფერი ნამდვილს ჰგავდა და სპარტაკის სიტყვები ისეთი ძალდაუტანებელი იყო, რომ ასისთავი დარწმუნდა. მაინც ერთი წამის შემდეგ დაუმატა:

- ყოველ შემთხვაში, დღეს საღამოს ჩვენ აჯანყებით გვემუქრებიან. მე მეცინება ამაზე, რომ დავფიქრდები, მაგრამ, როგორც უნდა იყოს... მაინც, ყოველ შემთხვევისათვის,

გიბრძანებთ აიხსნათ მახვილები... თუმცა კეთილი მეციუსი კარგად გეპყრობათ და უკეთესად, ვიდრე ღირსნი იყვნენ თქვენისთანა არამზადების! მოიტათ მახვილები! მაინც გლადიატორები ხართ, ყველაფრის ჩამდენნი... ამ ბრძანებაზე ენომაის ფიცხმა წინდაუხედავობამ კინაღამ დაღუპა ორივენი... გაბრაზებულმა გერმანელმა მახვილზე იტაცა ხელი და ამოიღებდა კიდეც, მაგრამ სპარტაკმა გამოგლიჯა მარჯვენა ხელით და იმ დროს ძალდატანებით და ტკივილით ამოიღო ქარქაშიდან

თავისი საკუთარი მახვილიც და ორივე ზრდილობიანად მიართვა ასისთავს. სპარტაკმა აჩქარებით უთხრა:

- არ არის კარგი პოპილიუს, რომ არ გვენდობი და იქნებ შენს უნდობლობაზე ჩვენმა ბატონმა პრეფექტმა მადლობა არ გითხრას; ყოველ შემთხვევაში, აი, მიიღე ჩვენი მახვილები და მოგვეცი ნება მეციუსის სახლში წავიდეთ.

- შენს საქციელზე, სულმდაბალო გლადიატორო, მოვახსენებ შენს ბატონს; ახლა კი თვალით აღარ დამენახოთ.

სპარტაკმა ხელი წაავლო სიბრაზით აკანკალებული ენომაის მარჯვენა ხელს, თავი დაუკრა ასისთავს და ქალაქში შევიდა, რამდენადაც შეიძლებოდა აჩქარებული ნაბიჯით, რომ ეჭვი არ აეღოთ შემხვედრთ.

თანდათან, რაც უფრო მიიწევდნენ წინ ალბას ქუჩაზე, გლადიატორები, რაღაც მოძრაობას და ხმაურს ამჩნევდნენ ქალაქში და ახლა კი ნამდვილად დარწმუნდნენ, რომ მათი დაწყებული საქმე დაიღუპა და რაც უნდა ძალა დაატანონ თავს, მაინც გვიან მივიდოდნენ გლადიატორების სკოლაში.

სპარტაკმა და ენომაიმ შეუხვიეს მარცხნივ, განიერ, ლამაზ ქუჩაზე, რომლის გაყოლებაზე გადაჭიმულიყო პატრიციების სასახლეები და ქუჩის მეორე ბოლომდე მიირბინეს. როგორც იყო, მიუახლოვდნენ სკოლას.

ეს შენობა იყო ქალაქის სულ მოშორებულ ნაწილში, ქალაქის გალავნის გვერდით. მთელი ეს ნაწილი განსაკუთრებით იყო დასახლებული ცუდი საქციელის ქალებით, ახლომახლო სამიკიტნოების მუდმივი სტუმრებით, სადაც ჩვეულებრივ იკრიბებოდნენ ლენტულუსის გლადიატორები.

ოც თებერვალს, საღამოს, გლადიატორები, თითქმის ყველანი, სკოლებში დარჩნენ. ზოგი მათგანი საფარიკაო დარბაზებში ფარიკაობდა ხის მახვილებით, ერთადერთი უვნებელი იარაღით, რაც ნებადართული იყო მათთვის; ზოგი ეზოში გაფანტულები ჯგუფ-ჯგუფად ერთობოდა გიმნასტიკით, ან არადა მღეროდნენ ბარბაროსულ სიმღერებს, რომლებიც ზედამხედველებს არ ესმოდათ; ზოგი შენობებს შუა ქუჩებზე დასეირნობდა და ზოგიც დერეფნებში ირეოდა, ან არადა იწვა თავის სენაკში.

- რა არის, რომ დღეს გლადიატორები არ გამოდიან სასეირნოდ? - ჰკითხა ერთმა ზედამხედველმა, ცალთვალა, უხელო ბებერმა, სულას მეომარმა მეორე მეომარს, რომელსაც სულ მთლად დასერილი ჰქონდა სახე.

- ვინ რას გაუგებს მაგათ! მგონია, ჩვეულების წინააღმდეგ დღევანდელი საღამოს გატარება სკოლის კედლებს შორის უნდათ.

- მოსაწყენი საღამო კი იქნება მაგათი საზიზღარი საყვარლებისთვის, რომლებიც ტყუილად დაუცდიან ახლომახლო სამიკიტნოებში. ქეიფისა და ღრიანცელის მაგივრად იქ ახლა სიმშვიდე და სიწყნარე იქნება.

- ვფიცავ ძლიერ სულას, რომ ეს მაკვირვებს.

- ისე მაკვირვებს, რომ, ცოტა მაწუხებს კიდეც.

- როგორ? განა მღელვარების გეშინია?

- არა... მაგრამ, მართალი გითხრა, მღელვარებისა - არა, მაგას არ მოველი მათგან, და რაიმე უწესობისა კი... ვინ იცის?..

- ვფიცავ ჯოჯოხეთის ტარტაროზებს, რომ ხელებმა ქავილი დამიწყეს! და თუ...

მაგრამ აქ მეომარი გაჩუმდა და ანიშნა ამხანაგს, რომ ისიც გაჩუმებულიყო, რადგან

იმ დროს მათთან სკოლის პატრონი და მმართველი ლენტულუს ბატიატი მივიდა.

ლენტულუს ბატიატი იყო ოცდათერთმეტი წლის, მაღალი, გამხდარი, ფერმკრთალი კაცი, პატარა, ბოროტი შავი თვალებით. საზოგადოდ, მთელ მას სახეში გამოიხატებოდა რაღაც გულქვაობა და ულმობლობა. ის იყო ლანისტ ლენტულუს ბატიატის შვილი, რომელმაც დააარსა ეს სკოლა და შემდეგ, ოცდაათი წლის განმავლობაში, პატარა დაწესებულება რამდენიმე ასეული გლადიატორით, პირველი ხარისხის სკოლამდე მიიყვანა იტალიაში და ადამიანის სისხლისა და ხორცის ვაჭრობით შეიძინა აუარებელი ქონება.

მამის სიკვდილის შემდეგ, ამ რამდენიმე წლის წინათ, ის გახდა ამ სკოლის მფლობელი და დატოვებული სიმდიდრით უკმაყოფილომ, ერთიორად გამდიდრება მოინდომა.

ლენტულუსის მოახლოებაზე ორივე მეომარმა ზრდილობიანად დაუკრა თავი; მან ჰკითხა:

- არავინ იცით თქვენში, რა მიზეზია, რომ გლადიატორები, თითქმის ყველანი შინ დარჩენილან ამ დროს, როდესაც სკოლა ყოველთვის ცარიელია ხოლმე?

- არ ვიცი... - უპასუხა ერთმა მეომარმა.

- ეგ ჩვენც შევნიშნეთ და შენზე ნაკლებ არ გაგვიკვირდა, - უპასუხა მეორემ.

- რა მოხდა? - იკითხა ბატიატმა, წარბები შეიკრა სასტიკი სახე მიიღო.

მეომრები აღარ პასუხობდნენ, მაგრამ გლადიატორების ვაჭართან პასუხი მოიტანა გაფითრებულმა და შეშინებულმა მონამ. მას თან მოჰყვა პრეფექტის მოსამსახურე, რომელიც თავისი ბატონის ბრძანებით მოსულიყო, რომ საჩქაროდ შეეტყობინებინა ლენტულუსისათვის ის განსაცდელი, რაც მოელოდა არათუ მარტო მის სკოლას, აგრეთვე ქალაქსა და მთელ რესპუბლიკასაც. პრეფექტი უთვლიდა ლენტულუსს, რაც შეიძლება გაფრთხილებოდა და დაეცვა იარაღის საცავი, დაეკეტა სკოლის ალაყაფები და ჰპირდებოდა ნახევარი საათის განმავლობაში სამხედრო ტრიბუნ ტიტუს

სერვილიანუსის გამოგზავნას კაპუას ქალაქის მცველებით. ლენტულუს ბატიატი ჯერ რამდენიმე წუთს იდგა ჩუმად, გაოცებული, მეხდაცემული ადამიანივით; არც იძვროდა, არც ხმას იღებდა და, ვინ იცის, რამდენ ხანს გასტანდა ამ მდგომარეობაში, იქ მყოფთ რომ არ გამოეფხიზლებინათ და არ ერჩიათ მიეღო საჩქაროდ ზომები განსაცდელის თავიდან ასაცილებლად.

გონზე რომ მოვიდა, ლენტულუსმა უბრძანამაშინვე შეეიარაღებინათ ორას ორმოცდაათი მეომარი და ორას ორმოცდაათი მონა, სკოლის მოსამსახურენი, მაგრამ ისე, რომ გლადიატორებს არ შეემჩნიათ.

ლენტულუსმა მიიღო ყველა ეს ზომა, მაგრამ თავი უბრუოდა, გული უკანკალებდა, იმაზე უკეთ არავინ იცოდა, რას ნიშნავდა ათი ათასი გლადიატორის ძალა, რა შეეძლოთ და რა დიდი საფრთხე მოელოდათ. სანამ ლენტულუსი ამ მზადებაში იყო, მოვიდა ტრიბუნი ტიტუს სერვილიანუსი.

- როგორ არის საქმე? - იკითხა სერვილიანუსმა შესვლისთანავე.

- იუპიტერი იყოს შენი მფარველი და მოგიმართოს ხელი მარსმა... მიხარია, რომ მოხვედი.

- მიამბე ერთი, რა მოხდა, სად არიან მეამბოხენი?

- ჯერ არც არავინ განძრეულა, ნიშანიც არსად არ ჩანს ამბოხისა...

- შენ რაღა ჰქენი? რა განკარგულება გაეცი? ლენტულუსმა უამბო სერვილიანუსს

  მოკლედ, რა ბრძანება გასცა.

ტიტუს სერვილიანუსმა რამდენიმე წამში მოიფიქრა, თუ რანაირად მოქცეულიყო, გაგზავნა

ოც-ოცი თავისი ჯარისკაცი იარაღის საცავისა და ალაყაფის დასაცავად. უბრძანა დაეკეტათ ყველა კარი, ფორტუნას ალაყაფის გარდა, სადაც თვითონ დადგა დაახლოებით ორას სამოცი მეომრით.

ამასობაში დაბნელდა. გლადიატორები მღელვარებამ შეიპყრო. ისინი იკრიბებოდნენ ჯგუფებად ეზოებში და შესახვევებში და ხმამაღლა ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

- იარაღის საცავს დარაჯები ეხვევიან!

- მაშ გავუცივართ!

- მაგათ ყველაფერი იციან!

- დავიღუპეთ!

- სპარტაკი მაინც იყოს აქ!

- არც ის, არც ენომაი არ მოვიდა, უთუოდ ჯვარს აცვეს რომში!

- ვაი ჩვენი ბრალი!

- წყეულიმც იყვნენ უსამართლო ღმერთები!

- ალაყაფის კარს კეტავენ!

- ჩვენ იარაღი არა გვაქვს!

- იარაღი! იარაღი!

- ვინ მოგვცემს იარაღს?

ამ ათიათასი კაცის ყვირილი, ღვთის გმობადა წყევლა გადაიქცა რაღაც საზარელ ხმად, როგორც ქარიშხლით აღელვებული ზღვის დრტვინვა. გლადიატორებმა იწყეს დამშვიდება და დალაგება, როგორც ბრძანება იყო, თავის კოჰორტებში; ასე რომ, როდესაც დედამიწას ბინდი დაეცა, იმ უშველებელ ოც ეზოში, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ყველა ეზოში დაისადგურა გლადიატორების ორ-ორმა კოჰორტამ, მჭიდრო წყებებად ჩამწკრივებულებმა (სიგრძეში თექვსმეტი კაცი, სიგანეში ოცდათორმეტი), რადგან ვიწრო

ადგილი იყო; ისინი იდგნენ გაჩუმებულები, აღელვებულები და მოელოდნენ გადაწყვეტილებას, რომელიც უნდა მიეღოთ ტრიბუნებს და ასისთავებს, ახლა ერთ საფარიკაო დარბაზში შეყრილებს იმ წმიდა საქმის დასაწყებად, რომლის სამსახურისთვის აღთქმა ჰქონდა დადებული.

ყველა აქ აღწერილი ამბავი მოხდა სწორედ მაშინ, როდესაც სპარტაკი და ენომაი იმხელა შრომისა და განსაცდელის შემდეგ, როგორც იყო მიუახლოვდნენ ლენტულუსის სკოლას და გაჩერდნენ კიდეც, რომ დაინახეს ჯარისკაცების ანთებულ მაშხალებზე მოელვარე რომაელი მეომრების შუბები, სათხედები და ჩაჩქანები.

- ჯარისკაცები, - უთხრა ჩურჩულით ენომაიმ სპარტაკს.

- ჰო! - უპასუხა სპარტაკმა, რომელსაც გული შეეხუთა ამ სურათის დანახვაზე.

- მაშ ძალიან გვიან არის... სკოლა შემორტყმულია... რაღა ვქნათ ახლა?..

- მოიცა.

და სულგანაბული სპარტაკი ცდილობდა, ყური მოეკრა რაიმე შორეული ხმისათვის ან ხმაურისათვის და თან თვალს ადევნებდა სინათლის მოძრაობას, რომელიც ქუჩებში კრთოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და ხან გამოჩნდებოდა, ხან გაქრებოდა. მაშინ უთხრა ენომაის:

- გაჩერდი!

მეტისმეტი სიფრთხილით ნელ-ნელა წავიდა წინ სპარტაკი იმ ადგილისაკენ, სადაც ამას წინათ გაიარეს ჯარისკაცებმა. როცა გადადგა ექვსიოდე ნაბიჯი, თრაკიელი შეჩერდა, ყური მიაპყრო და გაიგონა ოდნავი ხმაური. შემდეგ მარჯვენა ხელისგული აიფარა თვალებზე, სიბნელეს მიაშტერდა და ერთი წამის შემდეგ გაარჩია შავი გროვა

ქუჩის ბოლოში. შვებით ამოისუნთქა, ხელი ჩაავლო ენომაის, ქუჩას ჩაჰყვნენ და გაუხვიეს მარცხნივ. ათი ნაბიჯი გადადგა თუ არა, მიუტრიალდა გერმანელს.

- მათ სკოლის ალყა დაუწყიათ, მაგრამ ჯერ არ დაუმთავრებიათ. ახლა მეომრები ერთმანეთის შესახვედრად მოდიან ქუჩის ორივე ბოლოდან; ჩვენ უფრო ვიცით არეული ბილიკები და ათი წამით უფრო ადრე მივალთ იმ გალავნამდე, რომელიც სკოლას ქალაქის მხრიდან არტყია. იქ გალავანი ოცდარვა ფუტის სიმაღლისა ძლივს არის; იქიდან შევალთ სკოლაში.

მართლაც ისე მოხდა, როგორც ის ფიქრობდა. რომ არ დაეარგათ არ ერთი წამი, სპარტაკი და ენომაი აჩქარებით გაჰყვნენ ბნელ ქუჩებს და სკოლის გალავნის სწორედ იმ ადგილთან მივიდნენ, რომელზედაც ის იყო ლაპარაკობდნენ. ენომაიმ ისარგებლა უსწორმასწორო კედლით და დაიწყო მაღლაცოცება ისეთი სიმარჯვით, რომელიც ძნელი წარმოსადგენი იყო მისი ზორბა ტანისაგან. ზედ შეჯდა და მერე დაიწყო დაშვება მეორე მხარისკენ. როგორც კი გერმანელი მიეფარა სპარტაკის თვალს, იმანაც მოჰკიდა ხელი კედელში გამოწეულ ქვას და დაიწყო აცოცება იმ უხერხულ კიბეზე; თავისი ნაღრძობი ხელი მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როდესაც მისი მოხმარება დასჭირდა; მწარე ტკივილმა მაღალის ხმით დააყვირა და უბედური, რომ ვეღარ შეიკავა თავი, გულაღმა დაეცა მიწაზე.

- რა იყო, სპარტაკ? - ჰკითხა გალავნის მეორე მხრიდან შეკავებული ჩურჩულით ენომაიმ, რომელიც უკვე ჩამხტარიყო სკოლის შუა ეზოში.

- არაფერი... - უპასუხა სპარტაკმა, რომელმაც მოასწრო ფეხზე წამოდგომა; გადაჭარბებული ძალდატანებით შეიკავა ხელის ტკივილი და გალავანზე დაიწყო ასვლა, - არაფერი... ნაღრძობი ხელი...

- ოჰ, ვფიცავ ჯოჯოხეთის ყველა გველს, - თქვა ენომაიმ, - მომიცადე, ამოვალ. რომ გიშველო. და დაიწყო აცოცება, მაგრამ სპარტაკის ხმა გაიგონა:

- არაფერია, არაფერი... გეუბნები, რომ არაფერი, გაჩერდი და მეც ერთი წამის შემდეგ მოვაღწევ შენამდე... არ მჭირდება შველა...

როდესაც სპარტაკმა უკანასკნელი სიტყვები წარმოთქვა, ენომაიმ დაინახა კედელზე მისი ვაჟკაცური ტანი და ერთი წუთის შემდეგ ჩახტა მიწაზე და გასწია გერმანელისაკენ.

ენომაი გაექანა მისკენ და უნდა ეკითხა რამე ხელზე, მაგრამ ზარდაცემული გაჩერდა მისი მომაკვდავი ფერის სახისა და საშინლად გაგანიერებული, თითქოს შუშის თვალების დანახვაზე. ამ დროს ის უფრო მოჩვენებას ჰგავდა, ვიდრე ადამიანს.

- სპარტაკ! სპარტაკ! ძალიან გტკივა? იმაზე მეტად გტკივა, ვიდრე ადამიანს შეუძლია ატანა? სპარტაკ, გული შეგიწუხდება... დაჯექი აქ...

ამ ლაპარაკით ენომაიმ სიყვარულით მოხვია მკლავები, დასვა ქვაზე და მიაყუდებინა ზურგი გალავანზე.

სპარტაკი მართლა რომ გულშეწუხებული იყო მწარე ტკივილით. სახეზე, უფრო მიცვალებულის სახის მსგავსზე, აქა-იქ ცივი ოფლის წვეთები ასხდა. გაფითრებული ტუჩები უთრთოდა და დროგამოშვებით ოდნავი კვნესა აღმოხდებოდა კრიჭაშეკრული პირიდან. მიაყუდა თუ არა ენომაიმ კედელზე, სპარტაკის თავი გულზე დაეშვა. ის მკვდარს ჰგავდა.

აღელვებული გერმანელი, ახლა ერთგულ მომვლელად გადაქცეული, იდგა რამდენიმე წამს და სასოწარკვეთილი შესცქეროდა თავის მეგობარს და არ იცოდა, რა ექნა; მაგრამ ბოლოს თითქო რაღაცა გადაწყვიტა, დიდი მოწიწებით აიღო სპარტაკის მარცხენა ხელი, ფრთხილად ასწია მაღლა და გადაუწია ტუნიკის სახელო. როცა დაინახა საშინლად გასიებული ხელი, იფიქრა, ახლა კარგი იქნება შეხვევაო. შემდეგ თრაკიელის ხელი დაუშვა და თავისი წამოსასხამიდან ნაჭერს დაუწყო მოხევა. მაგრამ ხელისდაცემაზე სპარტაკმა საშინელი ტკივილი იგრძნო; დაიკვნესა, შეინძრა, მძიმედ გაახილა თვალები და თანდათან იწყო გონს მოსვლა... ტკივილმა დაუკარგა გრძნობა და ტკივილმავე დაუბრუნა გონება.

მოვიდა თუ არა გონზე და მიიხედ-მოიხედა, ძალა მოიკრიბა, ფეხზე წამოხტა და დაცინვით თქვა:

- ყოჩაღ, გმირო!.. ვფიცავ იუპიტერს, რომ სპარტაკი საცოდავ დედაკაცად გადაქცეულა! ჩვენი მოძმენი იხოცებიან, ჩვენი საქმე იღუპება, მე კი ლაჩარივით გული მიწუხდება.

ძლივს დააჯერა ენომაიმ, რომ გულის წასვლის შემდეგ ორი წამის მეტს არ გაუვლია და ხელი ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჰქონდა.

ამ ლაპარაკით გერმანელმა მაგრად შეუხვია ხელი სპარტაკს და მერე შესაკრავით ჩამოუბა გულზე.

- ასე ძალიან აღარ გეტკინება. სპარტაკისათვის კი მარჯვენა ხელიც საკმარისია, რომ უძლეველი იყოს.

- ოღონდ კი მახვილები ჩავიგდოთ ხელში! - უპასუხა თრაკიელმა და საჩქაროდ გასწია ახლო მდგარი სახლისკენ.

მალე მივიდნენ. დერეფანი ცარიელი დაუხვდათ, გაიარეს შიგ და გავიდნენ ეზოში. იქ ხმაგაკმენდილი იდგა გლადიატორების ორი პატარა ჯგუფი, რომლებმაც მალე იცნეს მოახლოვებული სპარტაკი და ენომაი; გაისმა სიხარულის და იმედის ყვირილი.

- გაჩუმდით და წესიერად იყავით! ახლა უადგილო ყვირილის დრო არ არის, - თქვა სპარტაკმა. და როდესაც სიჩუმე ჩამოვარდა, იკითხა:

- სად არიან ტრიბუნები, ასისთავები და ხელმძღვანელები?

- ავრორას სკოლაში. ბჭობენ, რა გააკეთონ, - გამოვიდა წყობიდან და უპასუხა ათისთავმა, - რადგან სკოლა შემორტყმულია რომის ჯარებით და საიარაღოები დაცულია მეომრებით.

- ეგ ვიცი, - უპასუხა სპარტაკმა, ენომაის მიუბრუნდა და უთხრა: - ავრორას სკოლაში ჩავიდეთ. შემდეგ მიუტრიალდა ეზოში შეკრებილ ათას გლადიატორს და დაუყვირა:

- ცისა და ჯოჯოხეთის ყველა ღმერთების გამო, გიბრძანებთ, დაიცვათ წესიერება და სიჩუმე.

საჩქაროდ გამოვიდნენ ძველი სკოლიდან და სპარტაკი ენომაის თანხლებით გაემართა ავრორას სკოლისაკენ, რომლის მარცხნივაც მდებარეობდა ჰერკულესის სკოლა. შევიდნენ რამდენიმე მაშხალით განათებულ საფარიკაო დარბაზში.

- სპარტაკ!.. - წამოიძახა ოცდაათამდე კაცმა, სახეგაფითრიებული და დასახიჩრებული თრაკიელის დანახვაზე.

- სპარტაკ!.. - გაიმეორეს სხვებმა გაოცებულმა მოულოდნელისიხარულით.

- დავიღუპეთ! - უთხრა კრების თავმჯდომარე გლადიატორმა.

- ჯერ არა, - უპასუხა სპარტაკმა, - თუ მოვახერხებთ ერთ-ერთი საიარაღოს დაკავებას.

- მერე შევიძლებთ მაგას?

- უიარაღოდა ვართ.

- გვაქვს თუ არა მაშხალები? - იკითხა სპარაკმა.

- დიახ, გვაქვს, სამას ორმოცდაათი თუ ოთხასი.

- აი, ჩვენი იარაღი! - თქვა სპარტაკმა სიხარულით ანთებული თვალებით. და ერთი წამის შემდეგ დაუმატა:

- ამ სკოლის ათი ათას გლადიატორში ყველაზე მამაცები ხართ: უნდა დაამტკიცოთ დღეს, რომ თქვენი ამხანაგები მართლა არ მოტყუვდნენ უფროსებად თქვენი ამორჩევით. მზადა ხართ თუ არა ყველაფრისათვის?

- მზად ვართ!.. - მტკიცედ უპასუხა, როგორც ერთმა კაცმა, ორასმა გლადიატორმა.

- იბრძოლებთ უიარაღონიც შეიარაღებულებთან?

- ვიბრძოლებთ! - წარმოთქვეს მომეტებული აღტაცებით გლადიატორებმა.

- მაშ მოიტანეთ მაშხალები! გავაჩაღოთ ისინი და ვეცეთ საიარაღოს დარაჯებს, გავრეკოთ ისინი, დავწვათ კარი და იმდენი იარაღი გვექნება, რამდენიც საჭიროა ნამდვილი და სრული გამარჯვებისათვის. ვფიცავ ოლიმპოს წმიდა ღმერთებს, ჯერ ყველაფერი არ დაკარგულა, სანამ ჩვენში არის ის რწმენა და გადაწყვეტილება, რომ ან გავიმარჯვოთ, ან დავიხოცოთ!

გაბედული თრაკიელის ფერმკრთალ სახეს ამ წამს რაღაც უცნაური სინათლე მოეფინა, თვალები უელავდა და მთელი მისი არსება სავსე იყო მხნეობით. ამ ღონეგამოლეული, დაქანცული და დატანჯული ადამიანის გამაცოცხლებელი რწმენა და აღტაცება ელექტრონივით მოედო

დარბაზში შეყრილ ორას გლადიატორსაც. ყველანი ერთად, როგორც ერთი კაცი, გაექანენ მაშხალებისკენ, რომლებიც სპარტაკის წინდახედულობით წინდაწინვე შეენახათ არა მარტო ავრორას სკოლაში, დანარჩენ შვიდ სკოლაშიც.

მაშხალები სხვადასხვანაირი ჰქონდათ: ფისითა და ქონით გაჟღენთილი ძენძისა, ჯოხებზე დამაგრებული თუნუქის კოლოფებში ჩადებული გაფისული ძონძებისა, ფისით გაჟღენთილი დაგრეხილი თოკისა და ცვილისა. გლადიატორები ხმლებივით იქნევდნენ მაშხალებს, მერე აანთეს და გააფთრებულები ამ საცოდავი იარაღით ცდილობდნენ თავის დახსნას.

ამავე დროს პოპილიუსმა როგორც კი გაამაგრა ქალაქის ალაყაფები, წაასხა გლადიატორების სკოლაში სამასი მეომარი და ისინიც და თავისი თავიც ტრიბუნ ტიტუს სერვილიანუსს ჩააბარა მის განკარგულებაში. ფორტუნის ალაყაფთან მივიდა ქალაქკაპუას მცველი შვიდასიკაცი, თვით პრეფექტ მეციუს ბიბეონუსის უფროსობით.

მეციუს ლიბეონუსი იყო ასე ორმოცდაათი წლის, მაღალი, ძალიან სრული კაცი, ლამაზი სახისა.

მიუახლოვდნენ თუ არა კაპუას მეომრები ფორტუნას ალაყაფს, წინ მიეგება ტრიბუნი ერვილიანუსი, რომელსაც თან მოჰყვნენ ლენტულუს ბატიატი და ცენტურიონი გაიუს

ელპიდიუს სოლონიუსი, და გამოუცხადა, რომ აუცილებლად საჭირო იყო საბჭოს შეკრება, რომ სწრაფად გადაეწყვიტათ, თუ რა გზას დასდგომოდნენ.

- საბჭო... საბჭო... ადვილი სათქმელია საბჭოს შეკრება... ეს უნდა ვიცოდეთ ჯერ, ყველამ იცის... ყველას კი შეუძლია... - თქვა შემკრთალმა მეციუსმა, რომელიც უფრო ირეოდა, რამდენსაც მეტად ცდილობდა თავის შიშის დაფარვას. - იმიტომ... რომ ბოლოს და ბოლოს, - განაგრძობდა ერთი წამის მოფიქრების შემდეგ, რა დროსაც ცდილობდა ისე ეჩვენებინა თავი, ვითომც ფიქრობდა რამეზე, - მე ვიცი ყველა კანონი რესპუბლიკისა და თავის დროზე მახვილის ხმარებაც. და თუ საჭიროა, სამშობლოსათვის... თუ საჭიროა... სიცოცხლესაც შევწირავთ... მაგრამ წინამძღოლობა ჯარისკაცებისა... ასე... - მოულოდნელად რომ არც კი ვიცი, ვის წინააღმდეგ... არანაირად... არსად... იმიტომ, რომ საზოგადოდ... მერე... რომ ვიცოდე, რომელ მტერზე მივდივარ... ბრძოლის ველზე... მე კარგად ვიცი, რასაც ვიზამდი, რასაც ჩავიდენდი... მაგრამ...

მისი არეული მჭევრმეტყველება ამაზე შეწყდა. მოიქექა ხან ყური, ხან ცხვირი და ეძებდა სხვა სიტყვას, რომლითაც შეიძლებოდა დაწყებული სიტყვის დაბოლოება, მაგრამ ვეღარ ეღირსა იმის პოვნას და გრამატიკის ყოველი წესის წინაამდეგ სიტყვა „მაგრამის“ შემდეგ საბრალო პრეფექტს წერტილი უნდა დაესვა.

ტატუს სერვილიანუსმა თქვა:

- მე ვფიქრობ, ამ არამზადების გასაფანტავად ერთადერთი საშუალება არსებობს: იარაღის საწყობების გაფრთხილება და დაცვა. დავკეტოთ სკოლის ალაყაფის კარი. ჩავხერგოთ ქუჩები და ქალაქისკენ გასასვლელი გზები. ყველაფერ ამაზე მე უკვე ვიზრუნე.

- მშვენივრად გიქნია, მამაცო სერვილიანუს, რომ გაეცი განკარგულება, - უთხრა პრეფექტმა, ძალიან გახარებულმა იმით, რომ სერვილიანუსის წინდახედულობამ გაათავისუფლა აუცილებელი ბრძანების მიცემისაგან.

- ახლა მე მრჩება დაახლოებით ასორმოცდაათი მეომარი, რომლებიც შენს მამაც ლეგიონერებთან ერთად, - დაუმატა სერვილინიუსმა, -შემიძლია, წავიყვანო მეამბოხეების წინააღმდეგ და იძულებული გავხადო ისინი, გაიფანტონ და შელაგდნენ თავთავიანთ სენაკებში.

- მშვენიერია! საუცხოო მოფიქრებაა! სწორედ ეგ უნდა მეთქვა, - თქვა მეციუს ლიბეონუსმა, რომელსაც ძალიან უხაროდა, რომ სერვილიანუსმა თავის თავზე აიღო საქმის წარმოება.

- რაც შეგეხება შენ, ბრძენო ლიბეონუს, რადგან რესპუბლიკისკეთილდღეობისათვის გინდა ბრძოლა... შეგიძლია, დარჩე ასი მეომრით ჰერკულესის ალაყაფთან, შორიახლოს აქედან, რომ დაიცვა იქ მდგომ მეომრებთან ერთად გასასვლელი. წადი და გაუსწორდი მეამბოხეებს, გასწი, მამაცო და ბრძენო ჭაბუკო. მე წავალ ასი მეომრით დანიშნულ ადგილას და თუ უკეთურები იქიდან თავის დაღწევას მოიწადინებენ, თუ მოინდომებენ ჩემზე დაცემას... დაინახავთ... მე თქვენ გიჩვენებთ იმათ სეირს... თუმცა, ასეა თუ ისე, მე ტოგის კაცი ვარ... დიახ... მაგრამ ჯერ ისევ მახსოვს... ჩემი სიჭაბუკის სამხედრო ღვაწლი... და ვაი იმ უკუღმართებს... თუ...

ამნაირად, ბუტბუტით და ყოყლოჩინობით ჩამოართვა ხელი სერვილიანუსს და ასისთავისა და კაპუას მიერ მიცემული მეომრების თანხლებით გაემგზავრა დანიშნულ ადგილას, მაგრამ გულში კი ჩიოდა თავის მძიმე მდგომარეობას, რომელშიაც ჩააგდო ამ ათი ათასი ავაზაკის თავხედობამ და დიდი სურვილი ჰქონდა, რომ ხელახლა დამტკბარიყო უწინდელი დღეების ნეტარი სიმშვიდით.

ამავე დროს გლადიატორები იდგნენ იქვე ეზოში გამწკრივებულნი და ელოდნენ თავისი უფროსებისაგან ბრძანებას, რომელნიც შეიარაღებულიყვნენ მაშხალებით და ცდილობდნენ დაეპყრათ ჰერკულესის სკოლის საიარაღო, რომლის შესასვლელს ორმოცდაათი მეომარი და მონა იცავდა იმ გადაწყვეტილებით, რომ სიცოცხლე შეეწირათ და არ დაენებებინათ მეამბოხეებისათვის.

მაგრამ იმ წამს, როდესაც სპარტაკი, ენომაი და მათი მეგობრები მზად იყვნენ შეცვივნულიყვნენ დერეფანში, სადაც საიარაღოს კარი გამოდიოდა, ღამის სიჩუმეში გაისმა საყვირის ხმა და მოედო ეზოებს, სადაც საბრალო გლადიატორები იყვნენ შეყრილი.

- დაუგდეთ ყური! - თქვა სპარტაკმა და შეაჩერა ამხანაგები მაშხალიანი მარჯვენა ხელის ერთი მოქნევით.

მართლაც, საყვირის ხმის შემდეგ მოისმა ხმა, რომელიც რომის სენატის სახელით მოუწოდებდა მეამბოხეებს, წასულიყვნენ თავთავიანთ სენაკებში და თან უცხადებდა, რომ თუ არ დამორჩილდებოდნენ, მესამე საყვირის ხმის შემდეგ მათ გაფანტავდა რესპუბლიკის მცველი რაზმი.

სპარტაკი რამდენიმე წუთს იდგა უძრავად, ღრმად ჩაფიქრებული, დაღვრემილი და მიშტერებოდა მიწას. ბოლოს მიუბრუნდა გლადიატორებს და საკმარისად მაღალი ხმით, რომ გაეგონათ, უთხრა:

- თუ საიარაღოს დაპყრობა მოვახერხეთ, ნაშოვნი მახვილები გვეყოფა, რომ დავიპყრათ სკოლის დანარჩენი საიარაღოებიც და ჩვენ გავიმარჯვებთ, თუ ეს არ მოგვიხერხდა, მხოლოდ ერთი

საშუალება დაგვრჩენია, რომ ჩვენი თავისუფლების საქმე სამუდამოდ არ დაიღუპოს: ასისთავები, ორივე ლეგიონის უფროსები, წავიდნენ აქედან ჩვენს ამხანაგებთან და თუ ნახევარი საათის შემდეგ არ გაიგონებენ თავისუფლების სიმღერას, უნდა უბრძანონ ყველას, დაიშალონ ჩუმად და დაბრუნდნენ სენაკებში. ეს იქნება იმის ნიშანი, რომ იარაღი ხელში ვერ ვიგდეთ. ჩვენ კი ამ შემთხვევაში გავტეხთ და დავწვავთ კარს ჰერკულესის ალაყაფთან ახლოს რომ არის, შევალთ ჰანიმედეს სამიკიტნოში, შევიარაღდებით რითაც მოგვხვდება, და დავძლევთ ყოველივეს, რაც წინ გადაგვეღობება, და ასი იქნებათუ სამოცი, თუ ოცდაათი კაცი, ერთი სიტყვით, ყველა, ვინც სიკვდილს გადავურჩებით,შევიყრებით ვეზუვის მთაზე და იქ ავაფრიალებთ თავისუფლების დროშას. იქ მოკლე გზით, შეიარაღებულნი თუ უიარაღოდ, გუნდგუნდად თუ სათითაოდ, მოვიდნენ ჩვენი მოძმენი; იქიდან დაიწყება ომი მჩაგვრელების წინააღმდეგ.

ერთი წამის შემდეგ, რადგან დაინახა, რომ პირველი რაზმის ორი ასისთავი ყოყმანობდა იმ ადგილის დატოვებაზე, რომელსაც ახლა ყველაზე მეტი განსაცდელი მოელოდა, სპარტაკმა უთხრა:

- არმადიუს, კლუვიანუს, უმთავრესი საბჭოს სახელით გიბრძანებთ წასვლას! ორივე

ჭაბუკმა თავი დაღუნა და უგულოდ წავიდა სხვადასხვა მხარეს. ამის შემდეგ

სპარტაკი მიუბრუნდა ამხანაგებს და უთხრა:

- აბა ახლა გასწით წინ!

და პირველი შევიდა ენომაისთან ერთად დერეფანში, სადაც საიარაღო იყო. თვალის დახამხამებაზე ეცა სპარტაკი მეომრებს, რომელთა უფროსი, ცალხელა და ცალთვალა ვეტერანი იდგა მტრის დაცემის მოლოდინში და ყვიროდა:

- გამოდით წინ! გამოდით რაღა... საზიზღარო გლადიატორებო! წინ გამ...

მაგრამ ვეღარ გაათავა, რადგან სპარტაკი გადასწვდა უშველებელი, ანთებული მაშხალიანი მკლავით და შიგ სახეში ჩაჰკრა.

ბებერმა ვეტერანმა დაიღრიალა და უკან გადაიწია; მეომრები ტყუილად ცდილობდნენ ენომაისა და სპარტაკის აცილებას, ისენი თავგანწირული მძვინვარებით იქნევდნენ თავის ახალ გამოგონილ იარაღს, იმათ ხელში საზარელ იარაღად რომ გადაქცეულიყო.

ამავე დროს ტიტუს სერვილიანუსის მეომრები და კაპუას ლეგიონერები, ასისთავ პოპილიუსის

ბრძანებით ორ ნაწილად გაყოფილი, ერთსა და იმავე დროს შევიდნენ სამ ეზოში და საყვირის ხმით სამჯერ ამაოდ მიმართვის შემდეგ დაიწყეს უიარაღო გლადიატორებისთვის სათხედების სროლა.

საზარელი წამი იყო; შეზანზარდა ჰაერი ყვირილით, წყევლით, ღრიალით, კვნესით; უიარაღო გლადიატორების ბრბო დაიბნა სეტყვასავით წამოსული სათხედებისაგან, მოიფინა ეზო დაჭრილებით, დახოცილებით და დაიწყეს უკან დაწევა ეზოების სხვადასხვა გასასვლელებისაკენ გაშმაგებული ყვირილით:

- იარაღი! იარაღი!

სათხედებით დამარცხებული გლადიატორები აირ-დაირივნენ და მალე უკუიქცნენ. მირბოდნენ გასასვლელებში, ეხეთქებოდნენ ერთმანეთს კარებში, ავსებდნენ დერეფნებს, ეცემოდნენ, ეხუთებოდათ სული, თელავდნენ ერთმანეთს. წყევლა, დაჭრილებისა და მომაკვდავებისა, გამხეცებული ღრიალი, ლოცვა, ჩივილი, გოდება საზარლად გაისმოდა ღამის წყვდიადში და აყრუებდა ლენტულუსის უშველებელ სკოლას.

სპარტაკიდა ენომაი იბრძოდნენ, როგორც გამძვინვარებულივეფხვებისხვა ორ ამხანაგთან

ერთად, რადგან ვიწრო დერეფანში ოთხის მეტს არ შეეძლო ბრძოლა. მალე გააქციეს მეომრები კარიდან და გამოეკიდნენ უკან. მაშინ ასი მაშხალით შეიარაღებული გლადიატორები შეიჭედა ჯგუფ-ჯგუფად დერეფანში და დაუწყეს ხოცვა ლეგიონერებს, რომლებშიც ბევრი იარაღაყრილი და დაბრმავებული ცდილობდა გაქცევას. დერეფანში მყოფი გლადიატორების მეორე ნაწილი აწყობდა მაშხალებს საიარაღოს კართან, რომ დაეწვათ და შემდეგ შიგ შესულიყვნენ.

ლეგიონერები გარბოდნენ საითაც მოხვდათ ღრიალითა და კვნესით. ზოგიერთი მათგანი გლადიატორებმა მაშინვე დასცეს, დაახრჩეს და გაქელეს; პოპილიუსი ჰერკულესის სკოლისკენ გაეშურა და შევარდა დერეფანში, სადაც საიარაღოს კარი უკვე იწვოდა. უბრძანა თავის მეომრებს, სათხედებით დასცემოდნენ და ამით აქაც მალე გაიმარჯვეს. სპარტაკის ამხანაგებმა უკან დაიხიეს; მაგრამ, რადგან ისინი უფრო მამაცნი და ყოჩაღები იყვნენ, ამიტომ უკან დაიხიეს მწყობრად. რომაელებისაგან თავს იცავდნენ მაშხალებით და თან დახოცილებსა და დაჭრილებს აცლიდნენ ტანსაცმლიდან სათხედებს და მიჰქონდათ.

სპარტაკი ენომაისთან ერთად დერეფნიდან ეზოში გავიდა. დაინახა იქ გლადიატორების უთავბოლო გაქცევა და მათ სასოწარკვეთილ ყვირილზე მიხვდა, რომ ყველაფერი დაღუპულიყო და ერთადერთი გზაღა დარჩენოდა თავის დასახსნელად - სკოლიდან გასვლა და ვეზუვზე გაქცევა.

მაშინ ხელახლა შევიდა სპარტაკი დერეფანში და დაიყვირა ისეთი მაღალი ხმით, რომ ყველამ გაიგონა.

- ვისაც გაქვთ მახვილები, დარჩით აქ და რაც შეიძლება დიდხანს დაიცავით ეს გასასვლელი ლეგიონერებისგან.

ის რამდენიმე გლადიატორი, რომლებმაც შეტაკების დროს მოახერხეს მახვილებისა და შუბების წართმევა, შეჯგუფდა დერეფნის გასასვლელთან, რომლის დაცვას ტყუილად ცდილობდა პოპილიუსი, თუმცა შუბლში და მარჯვენა ხელში იყო დაჭრილი.

- გამომყევით! - შესძახა სპარტაკმა დანარჩენ გლადიატორებს. აიქნია მაღლა მაშხალა და ენომაისთან ერთად გასწია სწრაფი ნაბიჯით გალავნის იმ ადგილისაკენ, სადაც ვიწრო და დაბალი კარი, ვინ იცის, რამდენი წლის დაკეტილი და მიგდებული, ახლა გლადიატორებისათვის ერთადერთი გასასვლელი იყო.

მაგრამ ამ კარის დასაწვავად ნახევარი საათი მაინც იყო საჭირო. ცხადი იყო, რომ ყოველი მხრიდან გარშემორტყმული გამარჯვებულები აღარ დააცდიდნენ ამას. გასატეხად არ ჰქონდათ არც ცულები, არც ჩაქუჩები. რა უნდა ვქნათ? როგორ გაეღოთ ეს კარი, რაც შეიძლებოდა მალე?

სანამ ყველა ნაღვლიანად და შიშით ცდილობდა რამის მოფიქრებას, ენომაიმ შეხედა შორიახლო მდგარ პატარა მარმარილოს სვეტს და დაუყვირა ამხანაგებს:

- გამოდით წინ ყველაზე ღონიერნო!

ერთი წამის შემდეგ შვიდი თურვა გლადიატორი, ყველაზე მაღალი დაღონიერი, გამოვიდა ხალხის ბრბოდან და ენომაის წინ გაჩერდა.

ყველანი მიხვდნენ ენომაის აზრს და ჩამოეცალნენ კარს, რომელთანაც გაჩერდნენ გერმანელი და სამნიტი. ძალიან ადვილად ასწიეს იმათ ეს სვეტი, გადაიტანეს იქით, გააქნიეს ეს უშველებელი ქვის ურო და რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, დაჰკრეს კარს, რომელმაც დაიჭრიალა და მძიმედ შეირყა.

ორჯერ გაიმეორეს ეს გლადიატორებმა და მესამე დარტყმაზე დამსხვრეული დაეცა კარი მიწაზე. ჩააქრეს მაშხალები და ჩუმად გაჰყვნენ სპარტაკს, რომელიც ვიწრო და ბნელი ქუჩებით გაეშურა ჰანიმედეს სამიკიტნოსკენ.

და დიდი სიფრთხილით მიიწევდა წინ სპარტაკი ორასი გლადიატორით. მიცემულ ბრძანებაზე ყველანი გაჩერდნენ.

თრაკიელი, გერმანელი და კიდევ შვიდი თუ რვა სხვანი შევიდნენ სამიკიტნოში. სახლის პატრონი, დიდად შეწუხებული იმით, თუ როგორ დამთავრდებოდა ბრძოლა, საჩქაროდ გამოეგება გლადიატორებს.

- აბა, რას იტყვით ახალს? როგორ მიდის ბრძოლა? - იკითხა მან. მაგრამ

სპარტაკმა მალე გააააწყვეტინა კითხვები:

- ვიბინიუს, მოგვეცი რაც იარაღი გაქვს, აგრეთვე ისეთი ხელმოსაწყობი, საგნები, რომლებიც თავგანწირული ხალხის ხელში მომაკვდინებელ იარაღად იქცევა.

სპარტაკი მივარდა ბუხარს და წაავლო ხელი შამფურს. ენომაიმ ჩამოგლიჯა კედლის ნაჯახი და მოაგროვეს თუ არა ასე შუბები, დანები და ნამგლები, გავიდნენ

სამიკიტნოდან და დაურიგეს ამხანაგებს. მათ წაბაძეს სხვებმაც და დაიწყეს ძებნა ყველგან. ბოლოს ყველანი საკმარისად შეიარაღდნენ და თან წაიღეს კიდევ სამი ხის კიბე და რამდენიმე თოკი.

იარაღი აისხეს თუ არა, სპარტაკი მაშინვე დაიძრა პირველი და მას გაჰყვნენ ყველანი იმ ქუჩისაკენ, სადაც რომაელი მეომრები იდგნენ. დარაჯებმა ჯერ გაფრთხილების ნიშნის მიცემაც ვერ მოასწრეს, რომ გლადიატორები გარეული მხეცების მძვინვარებით დაეცნენ რომაელებს.

ეს იყო ჟლეტა რამდენიმე წამში, რომლის განმავლობაში გლადიატორების თავგანწირულმა შეტაკებამ მალე გაფანტა ლეგიონერები და კაპუას ჯარი.

მამაცი კვინტუს ვოლოციუსი ძირს დაეცა სპარტაკის შამფურით გულგანგმირული. გლადიატორები გაეშურნენ და წინ დახვედრილების ხოცვით, მიიჭრნენ უბედურ პრეფექტთან, რომელიც ზღარბივით მოკუნტული დაეცა მუხლებზე და გაიძახოდა ქვითინით:

- მე ტოგის კაცი ვარ... არა დამიშავებია რა... შემიბრალეთ... შემიბრალეთ!.. ოჰ, გულადებო... მაპატიეთ...

მაგრამ დიდხანს ვერ გასტანა მისმა ტირილმა, რადგან იმ წამს მოსულმა ენომაიმ ისე ჩაჰკრა წიხლი შიგ გულში, რომ ის ლოდივით გაგორდა უგონოდ.

სამასამდენაბიჯი რომ გაირბინეს, სპარტაკი გაჩერდა და დაღონებულიხმით უთხრა ენომაის:

- ახლა საჭიროა, რომ ნახევარი ჩვენგანი აქ დარჩეს მადევრების შესაჩერებლად ნახევარ საათს მაინც და მისცეს დრო მეორე ნახევარს ქალაქის გალავანზე გადასასვლელად.

- მე ვრჩები! - თქვა ენომაიმ.

- არა, შენ ჩვენებს წაიყვან ვეზუვზე, მე კი აქ დავრჩები.

- არასოდეს! მე თუ მოვკვდები, შენ შეგიძლია განაგრძო ომი, მაგრამ თუ შენ მოკვდი, ყველფერი დაღუპულია.

- გასწი, გასწი, სპარტაკ! - თქვა რვა თუ ათმა გლადიატორმა, - ჩვენ აქ დავრჩებით ენომაისთან.

ცრემლი მოერია სპარტაკს ამ კეთილშობილურ თავდადებასა და გულშემატკივრობაზე და გერმანელს უთხრა:

- მშვიდობით! გელით ვეზუვზე.

სპარტაკი თვალს მიეფარა. ენომაიმ კი უბრძანა რამდენიმე გლადიატორს, შესულიყვნენ მეზობლების სახლებში, გადმოეყარათ იქიდან სკამები, ტახტები, ავეჯეულობა და ამით ჩაეხერგათ ქუჩა, რადგან ხანგრძლივ წინააღმდეგობას უპირებდა დადევნებული რომაელების კოჰორტებს.

11. კაპუადან ვეზუვამდე

ორი საათის შემდეგ ლენტულუსის სკოლიდან გაქცეული გლადიატორების მცირე ნაწილი უკვე მიუახლოვდა გნეუს კორნელიუს დოლაბელას საზაფხულო აგარაკს, რომელიც ერთი მშვენიერი გორაკის ფერდობზე, ატელუსისა და კუმის გზებს შორის, კაპუადან რვა მილის მანძილზე მდებარეობდა.

ამ დროს, როდესაც ბარიკადებს ამოფარებული ენომაი რომაელ ლეგიონერთა შემოტევას იგერიებდა, სპარტაკი და მისი ამხანაგები ავიდნენ ქალაქის კედელზე და იქიდან სამი, ერთმანეთზე გადაბმული კიბით ჩავიდნენ მთელ ქალაქზე გარშემორტყმულ თხრილზე. მერე გადახსნეს კიბეები და ხელახლა გასდეს თხრილზე, რომელიც ამოვსებული იყო წყლითა და ტალახით, რის მიზეზით ზედ ვერ გაისვლებოდა. გადავიდნენ ტრიალ მინდორზე ატელუსის და კუმის გზებშუა, და აჩქარებით გაუდგნენ გზას პირდაპირ. როდესაც დოლაბელას აგარაკის რკინის მესერთან მივიდნენ, სპარტაკმა რამდენჯერმე ჩამოჰკრა ზარი, დააღვიძა ძაღლები და მეკარეც, მოხუცებული თესალიელი მონა, რომელიც უკვე დასაძინებლად დაწოლილიყო და ახლა ნამძინარევი მიდიოდა პატარა ჭიშკართან ბერძნულ ენაზე ბუტბუტით:

- ზევსმა დასაჯოს თავხედი, რომელიც ბედავს ასე გვიან დაბრუნებას. ხვალვე დავაბეზღებ გამგესთან.

ამ სიტყვებით, მოხუცი მივიდა მესერთან, მას მოჰყვა ორი უშველებელი ძაღლი, რომლებიც გააფთრებით ყეფდნენ და ღრინავდნენ.

- ოლიმპოს ზევსი იყოს შენი მოწყალე და შემწე ყოველ შენს საქმეში, - უპასუხა სპარტაკმა ბერძნულადვე, - ჩვენ ვართ გლადიატორები, ბერძნები, მონები, როგორც შენ, და გამოვსულვართ კაპუადან, რომ გამოვაცხადოთ თავისუფლება. ახლავე გაგვიღე კარი და იქამდე ნუ მიგვიყვან, რომ ძალა ვიხმაროთ, თორემ შენთვის უარესი იქნება.

ადვილი წარმოსადგენია მოხუცი თესალიელის ელდა, როდესაც ეს სიტყვები გაიგონა და დაინახა გაწეწილი და უცნაურად შეიარაღებული გლადიატორები.

- გაგვიღებ თუ არა, ლაჩარო ბებრუცუნავ, და გააჩუმებ თუ არა შენს ძაღლებს? თორემ ახლავე ვუბრძანებ, შემოგიმტვრიონ ალაყაფის კარი.

ამ სიტყვებზე ყოყმანი აღარ შეიძლებოდა. მეკარემ ურდული გასწია თან ცდილობდა გადარეული ძაღლების გაჩუმებას.

- გაჩუმდი, პირ, ალკიდ! ღმერთები შეგეწიოთ... ღირსეულო ვაჟკაცებო. ახლა გავაღებ, გაჩუმდებით თუ არა, თქვენ წყეულებო! მობრძანდით... ახლავე დავუძახებ გამგეს, ისიც ბერძენია, ღირსეული კაცია, გადასახუხავსაც გიშოვნით.

შევიდნენ თუ არა გლადიატორები ეზოში, სპარტაკმა უბრძანა ალაყაფის კარის დაკეტვა და თავისი ხუთი დარაჯი დააყენა. შემდეგ შევიდა დიდ, ვარდებით,

იასამნითდაყველანაირი ხეხილითსავსე ბაღში, რომელიც ძალიან უყვარდა სახლის პატრონს, კონსულ გნეუს კორნელიუს დოლაბელას.

სპარტაკმა დაათვალიერა თანამოძმენი: სულ ჯგუფში სამოცდათვრამეტი კაცი იყო მისივე ჩათვლით.

რუდიარი ერთ წუთს ჩაფიქრდა, თავი დახარა, მერე ოხვრით უთხრა მის გვერდით მდგომ მაღალ, გამხდარ, თეთრი სახის, ქერათმიან, ცეცხლითა და ენერგიით სავსე ლურჯვთალა ყმაწვილ გალს:

- ოჰ, ბარტორიქს, თუ ბედიც არ გვიმტყუნებს, ჩვენს სიმამაცესთან ერთად ჩვენს პატარა რაზმს, სამოცდათვრამეტ კაცს შეუძლია წამოიწყოს დიდი ომი კეთილშობილური საქმისათვის!. და მაშინვე დაუმატა:

- საუბედუროდ, ისტორია კეთილშობილურ საქმეზე მისი შედეგის მიხედვით მსჯელობს, თუმცა როგორ გავიგოთ, დარჩა თუ არა ისტორიის ფურცლებზე ადგილი ამ სამოცდათვრამეტი მებრძოლისათვის თერმოპოლის სამასი დამცველის გვერდით, ღმერთმა იცის!

დარაჩები რომ ჩააყენა ყველა გასასვლელში, სპარტაკმა უბრძანა, მოეყვანათ მასთან გამგე ეპირელი ფეოდოფილე, დაამშვიდა იგი, რომ არც მას, არც მისი პატრონის ქონებას არაფერს დაუშავებდნენ, და უბრძანა, თავისი ნებით მიეცა საგზალი, ზოგიერთი საჭირო ნივთი და იარაღი გლადიატორებისთვის.

მაშინვე მოუტანეს გლადიატორებს საკუჭნაოებიდან ღვინო და საჭმელი. სპარტაკის ბრძანებით ყველა მათგანმა აიღო სამი დღის სამყოფი საგზალი. რაც შეეხება სპარტაკს, ის თითქმის არაფერს ჭამდა. რომაელი პატრიცის სასახლეში ყოფნა სპარტაკისათვის უფრო სასარგებლო გამოდგა, ვიდრე ის მოელოდა, რადგან იმ ოთხმოცდაათ მონას შორის, რომელნიც იქ იყვნენ სახლისა და მინდვრების სხვადასხვა სამუშაოსათვის, იყო აგრეთვე ექიმიც, ბერძენი, სახელად დიონისე ჰეუდნეოსი, რომლის მოვალეობას შეადგენდა მონების წამლობა და აგრეთვე თვითონ ბატონისაც. როდესაც ის სასახლეში იმყოფებოდა, დიონისემ გულდასმით გაუსინჯა სპარტაკს

ხელი, თავის ადგილზე ჩაუგდო ნაღრძობი ძვალი, მაგრად შეუხვია არტაშნებით და გულზე ჩამოუკიდა. შემდეგ განუცხადა, რომ აუცილებელი იყო მისთვის მოსვენება, თორემ ანთება გაუჩნდებოდა.

ამიტომ სპარტაკმა მისცა ზუსტი განკარგულება ბარტორიქსს. თვითონ კი ჩაწვა კარგ ლოგინში და მეორე დილამდე ეძინა. თუმცა სპარტაკმა უბრძანა გალს; გაეღვიძებინა ორი საათის შემდეგ, მაგრამ მან, ისევ ექიმი დიონისეს რჩევით, მისცა ძილის ნება, სანამ თვითონ გაიღვიძებდა.

როდესაც სპარტაკი ადგა, ძილისაგან გამოკეთებული და მოღონიერებული, მზე უკვე ანათებდა თავისი ცხოველი სხივებით მშვენიერ აგარაკს, გორაკებს და ცის დასავალზე გადაჭიმულ აპენინის ტყით დაბურულ ფერდობებს. მეორე მხრივ თვალისმომჭრელი სილამაზით მოჩანდა ქალაქი, მშვენიერ, თვით ზღვის ნაპირამდე ჩამწკრივებული სასახლეებით.

სპარტაკი ეზოში გამოვიდა, შეკრიბასახლის წინ დოლაბელას ყველა მონადა გამგისა და საპყრობილეს უფროსის თანხლებით წავიდა საპყრობილეში, რომელიც აუცილებლად იყო ხოლმე რომის ყოველ საზაფხულო სასახლეში და რომელშიაც სვამდნენ დამნაშავე მონებს.

სპარტაკმა გამოუშვა საპყრობილედან ოცზე მეტი ტუსაღი, წაიყვანა თან დანარჩენ მონებთან და

იქ აუხსნა ამ მონებს, რომლებიც თითქმის ყველანი ბერძნები იყვნენ, თავისი გალაშქრებისა და გლადიატორების გაქცევის მიზეზი კაპუადან, მიზანი, რომელსაც მან შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე. დაუხატა, რისთვისაც იბრძოდნენ ამბოხებულები.

- ვისაც სურს თავისუფლება, - ასე დააბოლოვა სპარტაკმა თავისი სიტყვა, - ვინც ამ დამცირებულ სიცოცხლეს მახვილით ხელში ბრძოლის ველზე სიკვდილს ამჯობინებს, ვინც გრძნობს თავის თავს საკმარისად გამბედავად, რომ ყოველ წამს გასწიროს თავი, და საკმარისად მტკიცედ, რომ აიტანოს გაჭირვება, აიღოს ხელში რა იარაღიც მოხვდება და გამოგვყვეს ჩვენ!

სპარტაკის ამ მჭევრმეტყველურმა და გულის სიღრმიდან ამოხეთქილმა სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ უბედურების სულზე, დამცირებულზე, მაგრამ მონობაში ჯერ გაურყვნელზე. ატაცებული ყვირილითა და სიხარულის ტირილით წამოავლეს ხელი ოთხმოც კაცზე მეტმა ცულებს და კვერთხებს და დადეს აღთქმა, რომ იბრძოლებდნენ.

სპარტაკი, ბარტორიქსი და რამდენიმე მამაცი გლადიატორი აღიჭურვნენ მახვილებითა და შუბებით, რაც სასახლეში მოიპოვებოდა. სპარტაკმა გონივრულად გადაანაწილა დოლაბელას მონები თავის გამოცდილ თანამოძმეებს შორის იმ აზრით, რომ ამ უკანასკნელთ ესენი გაემხნევეინათ. შემდეგ გაამწკრივა თავისი პატარა ჯგუფი, დაათვალიერა და ნახა, რომ ახლად შემოერთებულებთან ერთად მას ჰყავდა ასორმოცდაათ კაცზე მეტი.

შუადღემდე ორი საათი იქნებოდა დარჩენილი, რომ დატოვა დოლაბელას სასახლე და გაუვალი ბილიკებით, მინდვრებითა და ვენახებით ნეაპოლისაკენ გაეშურა. ჩქარი სიარულით დაბინდებისას მივიდნენ ნეაპოლში, სადაც სპარტაკის ბრძანებით დაბინავდნენ ერთი პატრიცის საზაფხულო აგარაკზე. მან უბრძანა, მოემარაგებინათ სამი დღის საგზალი, წაეღოთ რა იარაღსაც ნახავდნენ, მხოლოდ სასტიკად აუკრძალა მოძალადეობა და ძარცვა-გლეჯა.

ორი საათის დასვენების შემდეგ სპარტაკი გაუდგა გზას პატრიცის ორმოცდაათი ახალი მონისა და გლადიატორის თანხლებით.

მთელი ღამე მიჰყავდა სპარტაკს თავისი რაზმი მოხერხებულად და გამოცდილი მთავარსარდლის სიფრთხილით. მიდიოდნენ დიდი გზების ახვევით, აყვავებულ მინდვრებსა და ნეაპოლსა და ატელიუმს შორის გადაჭიმულ ბორცვებზე. გზაში შეხვედრილ ყოველ აგარაკთან, ყოველ სასახლესთან ჩერდებოდნენ, რამდენი ხნითაც საჭირო იყო, რომ გადმოებირებინათ ასაჯანყებლად მონები და თან წაეღოთ ნაშოვნი

იარაღი. გარიჟრაჟისას მივიდნენ ვეზუვამდე და გავიდნენ იმ გზაზე, რომელიც ამ მთის კალთებზე მიუყვებოდა პომპეიდან სასახლეებისაკენ, და პატრიციების საზაფხულოაგარაკებისაკენ, სადაცმთის კალთები ლამაზად ბრწყინავდამზის სხივებზე.

სპარტაკმა რამდენიმე ხნის ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა გზის დასაზვერად ბარტორიქსი გაეგზავნა, რომელსაც ოცდაათი კაცი გააყოლა. თვითონ კი განიზრახა, შემოევლო მახლობელი აგარაკები და სასახლეები, რომ გაეთავისუფლებინა მონები და შეეგროვებინა იარაღი. სამოცი გლადიატორი დანიშნულ ადგილას დატოვეს, სადაც უნდა მისულიყვნენ შუადღისას ბარტორიქსი და სპარტაკი.

ყველაფერი მოხდა ისე, როგორც იყო ნაბრძანები აჯანყებული მონების წინამძღოლისგან. ბარტორიქსი რომ დაბრუნდა, დანიშნულ ადგილას დახვდა სპარტაკი, რომელსაც მოესწრო იმ დროს იარაღის მოგროვება და გაემრავლებინა თავისი რაზმი ორასი მონისა და გლადიატორის შემოერთებით. ახლა სპარტაკს ჰყავდა ხუთას კაცამდე, რომლებისგან მან შეადგინა პატარა ჯგუფი, დაყო ხუთ ნაწილად - ასასეულად და იმ იარაღის სახელი უწოდა, რითაც იყო შეიარაღებული. პირველი, ყველაზე ახალგაზრდა, ღონიერი და იარაღის კარგად მხმარებელი გლადიატორებისაგან შედგებოდა და საუკეთესოდ იყო შეიარაღებული შუბებით და მახვილებით. მის უფროსად დანიშნა. ბარტორიქსი. ამ ასეულს ეწოდა შუბოსნები. დანარჩენ ოთხ ასეულში ერთი იყო შეიარაღებული ცელებით და ცელოსნები ეწოდა, მეორე - კვერთხებით, სამკბილებითა და შამფურებით. მათ რეციარიებს ეძახდნენ. დანარჩენი ორი - მოკლე იარაღით: ცულებით, დანებითა და ხანჯლებით. თითო ასეული იმყოფებოდა ათეულებად, მათ სათავეში დააყენა დეკანები, ყოველი ასეულის წინამძღოლებად - უფროსი და

უმცროსი ცენტურიონები. ასისთავები ამოარჩია სპარტაკმა კაპუადან გამოქცეულ გლადიატორებში, რადგან მათ დიდი ხანია, პირადად იცნობდა და ამიტომ შეეძლო სრულიად მინდობოდა.

ბარტორიქსის მოტანილი ცნობებიდან აღმოჩნდა, რომ ის გზა, რომლითაც აქამდე მიდიოდნენ გლადიატორები, თითქმის კიდევ ორი მილის მანძილზე იყო მთის დაქანებულ ფლატეზე, მერე შედიოდა აღმართზე ორი მხრით ფრიალო კლდეებით შევიწროებულ ბილიკად, რომელიც მიიკლაკნებოდა ბუჩქნარებს შორის და შემდეგ, უფრო მაღლა, ტიტველა კლდეების ძირას სრულებით იკარგებოდა და აღმართი ძალიან ძნელი ასავალი ხდებოდა.

- ძლივს, - თქვა სპარტაკმა, - ამდენი დაბრკოლების შემდეგ ღმერთები გვიწევენ მფარველობას! იქ, იმ წვეროზე, სადაც არწივნი იბუდებენ და მხეცნი ემალებიან ადამიანის დევნას. იქ აღვმართავთ თავისუფლების დროშას! იქ დავბინავდებით, სანამ არ შეიკრიბებიან ჩვენთან ჩვენი მეგობრები. უკეთეს ადგილს ვერ გვიჩვენებდა იღბალი. აბა, გავუდგეთ გზას!

იმ დროს, როდესაც გლადიატორების რაზმი მწკრივად შეუდგა ვეზუვის გზას, სპარტაკმა მოიხმო ლენტულუსის სკოლის ცხრა გლადიატორი, გადასცა მათ ფული და უბრძანა წასულიყვნენ სხვადასხვა გზით: სამ კაცს - რომში, სამს - რავენაში და სამს

- კაპუაში; მათ იმ

ქალაქებში მყოფ ამხანაგებისათვის უნდა გადაეცათ, რომ სპარტაკი ხუთასი მეომრით დაბანაკებული იყო ვეზუვის მთაზე და ეძახდა ყველას, რაც შეიძლება მალე მისულიყვნენ მასთან თითო-თითოდ და ჯგუფ-ჯგუფად. ერთისიტყვით, ვისაც როგორ შეეძლო, რომ ერთად ებრძოლათ თვისუფლებისთვის.

სამ-სამ მზვერავს რომ გზავნიდა თითო ქალაქში, სპარტაკს იმის იმედი ჰქონდა, რომ უბედურ შემთხვევაში ერთ-ერთი მათგანი მაინც მოატყუებდა თვალმადევნელ მტერს. დაარიგა ცხრავე გლადიატორი, რაც კი შეიძლებოდა სიფრთხილით მოქცეულიყვნენ, გამოეთხოვა მათ იმ დროს, როდესაც ისინი მთის დაღმართზე ჩადიოდნენ, და დაეწია აჩქარებით მიმავალ თავის რაზმს.

ძალიან მალე გლადიატორების რაზმმა გაიარა გზის ის ნაწილი, რომელიც შემორტყმული იყო ორივე მხრიდან ბაღებით, სასახლეებითა და ვენახებით.

პატარა რაზმი აღმოსავლეთ მთის ფერდობზე, მიუვალი მინდვრის ნაპირას დააყენა, მეორე რაზმი კი პომპეის მხრიდან იდგა, საიდანაც ავიდნენ მწვერვალზე. ამიერიდან ეს მინდორი იწოდებოდა გლადიატორთა ბანაკად და ეს სახლი შერჩა კარგა ხანს.

დაბინდებისას დაბრუნდა შეშის საჭრელად გაგზავნილი რაზმი. თრაკიელებმა მოიტანეს არა

მარტო შეშა კოცონების გასაჩაღებლად, ტოტებიც და ფიჩხიც, რათა კარვები და ზღუდეები აეგოთ, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ქვიანი ნიადაგი იძლეოდა. გლადიატორებმა სპარტაკის წინამძღოლობით ჩახერგეს ბილიკი ქვებითა და ხეებით. მის გაყოლებაზე ამოთხარეს ფართო თხრილი და ამოავსეს ხეებითა და ქვებით. ამნაირად, სულ მალე ერთადერთ მიუვალ მხარეს აღიმართა მაღალი კედელი. ამ კედელს იქით დაბანაკდა მცველი რაზმი, მის წინ კი რამდენადმე დაშორებით საგუშაგოები მოაწყეს, ისე რომ, ყველაზე შორეული საგუშაგო ნახევარ მილზე იყო ბანაკიდან.

მალე გლადიატორებს ჩაეძინათ. მამლის პირველი ყივილისას მთელ მინდორზე სიმშვიდე და სიწყნარე სუფევდა.

მხოლოდ სპარტაკის თვალს არ ეკარებოდა რული.

ამ დიად, ყოვლის მომცველ მდუმარებაში სპარტაკი კარგა ხანს იდგა გაუნძრევლად. გულზე ჩამობმული მარცხენა ხელით მარჯვენას დაყრდნობოდა, გაჰყურებდა მთის ძირას გაშლილ ზღვას და თვალს არ აცილებდა პომპეის ნავსადგურში მდგომ გემის ნათურას.

თვალს არ აშორებდა მოციმციმე შუქს, მაგრამ, ფიქრებში ჩანთქმული შორს, შორს დაფრინავდა.

მისი ფიქრები მშობლიური თრაკიის მთებს დასტრიალებდა. მოაგონდა უდარდელი ბავშვობა, სიყმაწვილე. მოულოდნელად დამშვიდებულ, გაცისკროვნებულ სახეზე

ღრუბელი გადაეფინა: მოაგონდა რომაელთა შემოსევა, სისხლისმღვრელი ომები, თრაკიელთა დამარცხება, საქონლის განადგურება, სახლების ნგრევა, მონობა და...

უცებ სპარტაკი შეკრთა და ყური მიუგდო, პომპეის მხრიდან მიმავალ ბილიკს მიაპყრო მზერა, საიდანაც ხმაური შემოესმა, მაგრამ ყველგან სამარისებური სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ ნიავიაშრიალებდა ტყეში ფოთლებს.

ის იყო უნდამიწოლილიყო მისი წინააღმდეგობის მიუხედავადთანამოძმეებისმიერ ხის ტოტებით, სასახლეებიდან და აგარაკებიდან წამოღებული ცხვრისა და თხის ტყავებით დაფენილ კარავში, გადადგა კიდეც რამდენიმე ნაბიჯი და შეჩერდა, ხელახლა მიუგდო ყური: „არა... მთაზე ჯარისკაცები ამოდიან!“.

მიტრიალდა ახლად აგებული მაღალი კედლისაკენ და ჩურჩულით, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო, თქვა: - ნუთუ ასე მალე?! არ მჯერა!

იმ ადგილამდე არც კი მიეღწია, სადაც გლადიატორების მცველი რაზმი იდგა, რომ ჩურჩული გაიგონა და ღამის სიბნელეში შემოესმა გუშაგის ხმამაღალი შეძახილი:

- ვინ მოდის?

და მაშინვე უფრო ხმამაღლა:

- იარაღი!

კედლის იქით ერთ წამს ყველაფერი აირია. გლადიატორებმა იარაღი აისხეს და გამწკრივდნენ საბრძოლველად. ამ წამს საგუშაგოსთან მივიდა სპარტაკი ხელში მახვილით და დამშვიდებით თქვა:

- თავდასხმისათვის ემზადებიან, მაგრამ ამ მხრიდან ვერავინ გაბედავს ამოსვლას.

- ვერავინ! - ერთხმად შესძახეს გლადიატორებმა.

- ერთი თქვენგანი წავიდეს ბანაკში, განგაშის ნიშანი მისცეს და ჩემი სახელით გამოაცხადოს, რომ დაიცვან წესრიგი.

ამ დროს გუშაგს შემოესმა ნიშანი: „სიმტკიცე და გამარჯვება“, და სანამ ათისთავი რვა თუ ათი რაზმელით გარბოდა იმის გასაგებად, თუ ვინ მოდიოდა, მთელი ბანაკი ფეხზე დადგა. ერთ წამში, უხმაუროდ და წესრიგით, ყველანი შეიარაღდნენ, თავთავიანთი ადგილები დაიჭირეს. უცბად გაისმა ათისთავის მხიარული ხმა:

- ენომაია! და მაშინვე მის უკან მიმავალმა გლადიატორებმაც გაიმეორეს:

- ენომაი! ერთი წამის შემდეგ თვით გერმანელის ძლიერი ხმაც გაისმა: - დიახ, დიახ, მე ვარ, მეგობრებო, და თან მომყავს ოთხმოცდაათი კაცი.

ადვილი წარმოსადგენია სპარტაკის სიხარული. ის ენომაისაკენ გაექანა და ორივე გლადიატორი გადაეხვია ერთმანეთს, როგორც დიდი ხნის უნახავები. ენომაი ცდილობდა, არ ეტკინა ნაღრძობი ხელირუდიარისთვის.

როდესაცსიხარულის პირველმა წამებმა გაიარა, ენომაიმ უამბოსპარტაკს, რომორი საათის განმავლობაში იგერიებდა რომაელთა კოჰორტებს. რომაელები გაიყვნენ ორ ნაწილად და იმ დროს, როდესაც ერთი ნაწილი ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება, მეორემ შემოუარა გარს კაპუას ქუჩებით და უნდოდა ზურგიდან დაცემა. მიუხვდა მათ აზრს და იფიქრა, რომ სპარტაკი და მისი ამხანაგები ახლა შორს იქნებიანო, ენომაიმ მიატოვა ჩახერგილი ქუჩა, უბრძანა მეომრებს აქეთ-იქით გაფანტვა და დამალვა, ვისაც სად შეეძლო, იმ პირობით, რომ მეორე დღეს მოსულიყვნენ თითო-თითოდ, ტანისამოსგამოცვლილები აკვედუკის თაღქვეშ. ასოცს გადარჩენილში მარტო ოთხმოცდაათი შეკრიბა აკვედუკის ქვეშ, საიდანაც ისინი, დაღამდა თუ არა, გაუდგნენ გზას. პომპეის ახლოს შეხვდნენ სპარტაკისაგან კაპუაში გაგზავნილ ერთ მონას და მისგან შეიტყვეს, სად იმყოფებოდა სპარტაკი და მისი ხალხი.

თანამებრძოლების მოსვლით გამოწვეულ მხიარულებასა და სასოწარკვეთისა თუ იმედებით აღსავსე ლაპარაკში ბევრი დრო გავიდა. ასე რომ, მხოლოდ შუაღამისას ჩამოვარდა გლადიატორების ბანაკში სიჩუმე და სიმშვიდე.

ინათა თუ არა, ათმა გლადიატორმა, რომელთაც მეცხვარეების სტვირები ჰქონდათ, სპარტაკის

ბრძანებით დაიწყეს დაკვრა, რომ გაეღვიძებინათ ბანაკი. როცა ყველა ადგა, მაშინვე დააყენეს კაჰორტა საომარ წესზე და სპარტაკმა და ენომაიმ დაათვალიერეს, მისცეს ახალი განკარგულებები.

დანარჩენმა გლადიატორებმა რკინის სამტვრევებით, ბარებით და სხვა სამუშაო იარაღით, რაც ძალიან ბლომად ჰქონდათ, დაიწყეს მიწიდან ქვების თხრა, რომ მტრისთვის ესროლათ ან ხელით, ან იმ შურდულებით, რომელთაც ისინი გააკეთებდნენ.

ასე გავიდა მთელი დღე და მთელი ღამე. მაგრამ მეორე დღის გათენებისას გლადიატორები გამოაღვიძა დარაჯების ყვირილმა, რომ შეიარაღებულიყვნენ. ახლა კი მართლა მოდიოდა რომაელების ორი კოჰორტა, ე. ი. ათას კაცამდე, ტრიბუნ ტიტუს სერვილიანუსის უფროსობით, რომელთაც განზრახული ჰქონდათ გლადიატორებზე გამარჯვება.

ის ღამე რომალებმა მთის ძირას გაატარეს და მეორე დღეს გარიჟრაჟზე მიმართა მეომრებს მოკლე, მაგრამ მხურვალე სიტყვით და გასწია ბანაკის ასაღებად და მზის ამოსვლისას მივიდა იმ წვერომდე, სადაც ბანაკი ჰქონდათ გლადიატორებს.

სანამ მიუვალ გამოქვაბულებში დაბანაკებული გლადიატორები საომრად ემზადებოდნენ,

ტრიბუნი სერვილიანუსი პირველი გადაეშვა წინ ყვირილით. ეს გაიმეორა ათას ორასმა კაცმა და გაისმა ერთად გამაყრუებელი და ზარდამცემი „ბარას“ ძახილი, აბობოქრებული ზღვის გრგვინვის მსგავსი, რომლითაც ძველთაგანვე მიდიოდნენ ხოლმე მტრებზე რომის ძლევამოსილი ლეგიონები.

როგორც კი სერვილიანუსი და მისი კოჰორტა გამოჩნდა, ორმოცდაათმა გლადიატორმაქვები დაუშინა.

- აბა, წინ, წინ, იუპიტერის გულისთვის! გაბედვით! ეს არაფერია, - ამხნევებდა თავის მეომრებს სერვილიანუსი და წინ მიდიოდა, - ახლავე მივალთ იმ მძარცველების ბანაკში და ასო-ასო ავკუწავთ!

ქვა სეტყვასავით მოდიოდა ზემოდან, მაგრამ ამის მიუხედავად რომაელები მაინც წინ მიიწევდნენ თვით თხრილამდე, სადაც შეძლებდნენ იარაღის მოხმარებას და რამდენიმე სათხედის გასროლას.

ხმაური და ყვირილი მატულობდა, დაიწყო სისხლისმღვრელი ბრძოლა.

ამ დროს სპარტაკი მთის წვეროზე იდგა და თვალს ადევნებდა ბრძოლას. ის მიხვდა გამოცდილი სარდლის ჰანიბალის, თუ ალექსანდრე მაკედონელის შორსმჭვრეტელობით, რომ დიდი, მიუტევებელი შეცდომა ჩაიდინა მისმა მოწინააღმდეგემ იმით, რომ რაზმი ამოიყვანა ვიწრო გზით, რაზედაც ათ კაცზე მეტი ვერ დაეტეოდა. მაშინ, როდესაც დანარჩენი ხალხი უნდა მდგარიყო ხელგაუნძრევლად, მტრისაგან დაშენილ ქვებქვეშ. მაშინვე ისარგებლა სპარტაკმა გამოუცდელი მოწინააღმდეგის შეცდომით, ჩააყენა თავისი მეომრები მინდვრის ნაპირზე ორ მწკრივად იმათ მხარეზე და უბრძანა, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, დაუყოვნებლივ დაეშინათ ქვები მტრისათვის.

- ნახევარი საათიც არ გავა, - დაიძახა სპარტაკმა, რომელსაც წინა ადგილი ეკავა მოედანზე და ქვებს ესროდა ლეგიონერებს, - გაიქცევიან რომაელები, ჩვენ უკან დავედევნებით და ასო-ასო ავკუწავთ.

მისი წინასწარმეტყველება ასრულდა, ტრიბუნი სერვილიანუსი და მასთან რამდენიმე გამბედავი მივიდნენ თხრილამდე და შუბებითა და მახვილებით ცდილობდნენ შესვლას მტრის ბანაკში, მაგრამ სპარტაკის იქ ყოფნით გამხნევებული გლადიატორები მტკიცედ იდგნენ, სანამ მათი ამხანაგები აქეთ-იქიდან სეტყვასავით უშენდნენ ქვებს რომაელების გრძელი რაზმის თავსა და ბოლოს. რაზმის ბოლოში გაქცეულ ლეგიონერებს შუბებისა და მახვილების ხმარებაც აღარ

შეეძლოთ, ქვებს ყოველ წუთს სეტყვასავით უშენდნენ რომაელებს და უმსხვრევდნენ ჯავშანსა და მუზარადს, სხეულს ულურჯებდნენ. სისხლისაგან დაცლილები, დარეტიანებულები ეცემოდნენ. მალე შეირყა რომაელების რაზმი, აირ-დაირია და უკან დაიხია. ყვირილისგან ხმაწასული სერვილიანუსი ტყუილად ითხოვდა თავისი ლეგიონებისაგან შეუძლებელს - რომ მდგარიყვნენ გაუნძრევლად და გულხელდაკრეფილები, როდესაც მტერი სეტყვასავით აყრიდა ქვებს. უკანა რიგებიც აირია, ლაჩრების მაგალითს მიჰყვნენ გულადებიც და აჩქარებული უკან დაწევა მალე უთავბოლო გაქცევად გადაიქცა.

რომაელები გაიქცნენ. ვინც უკან იყო, წინ მოექცა, შურისძიებით ანთებული გლადიატორები მისდევდნენ გაქცეულებს.

მაშინ გლადიატორები აცვივდნენ თხრილებზე და შუბებითა და მახვილებით გაირეკეს წინ რომაელები. გაქცეული რომაელების ეს ვიწრო კოლონა, რომელთაც გლადიატორები გამოეკიდნენ, ემსგავსებოდა უზარმაზარ დაკლაკნილ გველს.

მაშინ გლადიატორები აცვივდნენ მიწაყრილებზე, დაედევნენ რომაელებს და კუდით ქვა ასროლინეს.

მხოლოდიქ, სადაც ბილიკი განივრდებოდა და მთის კალთები უფრო ციცაბო ხდებოდა, გაქცეულებს შეეძლოთ გაფანტულიყვნენ ახლომახლო ბაღებსა და მინდვრებში, გლადიატორები იქ გაიშალნენ, გარსშემოერტყდნენ ლეგიონებს და მარჯვნივ და მარცხნივ დაუწყეს ჩეხვა.

სერვილიანუსი გაჩერდა ერთ მშვენიერ სახლთან. ხმაწასული თავისკენ ეძახდა მეომრებს და თან მამაცურად იგერიებდა გლადიატორების თავდასხმას. მაგრამ ძალიან ცოტამ თუ გაიგონა მისი ხმა და კიდევ უფრო ნაკლები შეიკრიბა მის გარშემო, რომ შეეჩერებინათ მტრის მოწოლა. მეორე ადგილას ასისთავმა გაიუს ელპიდიუს სოლონიუსმა მოაგროვა ორმოცდაათი მეომარი და ცდილობდა გლადიატორებისათვის გზის გადაღობვას.

სპარტაკი გლადიატორების ჯგუფით ეცა სერვილიანუსს და თავისი უფროსის გარშემო შეყრილ ას მამაც მეომარს. საზარელი და სისხლისმღვრელი იყო ეს შეტაკება, მაგრამ, როდესაც სერვილიანუსი დაეცა სპარტაკის მახვილით განგმირული, შეშინებული რომაელები გაიქცნენ, შევიწროებულნი გლადიატორებისაგან. იმავე დროს ენომაიმ ერთი მოქნევით მოკვეთა თავი მამაც ასისთავ სოლონიუსს.

რომის ორი კოჰორტა სრულიად მოისპო. ოთხას ჯარისკაცზე მეტი დახოცილი ეყარა. სამასი კაცი ტყვედ წაიყვანეს და სპარტაკის ბრძანებით იარაღაყრილები გაათავისუფლეს.

ნაშუადღევს გლადიატორები, ძვირფასი ალაფით დატვირთულები, ყველანი მტრის ჩაჩქანებით და ჯავშნებით შემოსილნი, მათი მახვილებით, შუბებითა და სათხედებით შეიარაღებულები, დაბრუნდნენ თავის ბანაკში ვეზუვზე და თან წაიღეს უამრავი იარაღი.

12. რაზმები ჯარად იქცევა

კაპუადან გაქცეულ გლადიატორებზე გამოკიდებული სერვილიანუსის ორი კოჰორტის დამარცხების ამბავი ელვასავით მოედო მახლობელ ქალაქებს და ყველას თავზარი დასცა. ნოლა, ნუცერა, ჰერკულანუმი, ბაი, ნეაპოლი, მიზენა, კუმი, კაპუა და სხვა ქალაქები მოემზადნენ თავის დასაცავად, შეაიარაღეს ყველა მოქალაქე და დღე და ღამე იცავდნენ ქალაქის გალავანს და ალაყაფის კარს. პომპეიმ, რომლის გალავანი სულას ბრძანებით გადანგრეული იყო მარიუსის მომხრობის გამო, ვერ შეძლო გლადიატორების წინააღმდეგობა. მეამბოხეები თავისუფლად შედიოდნენ ქალაქში ხორაგის და მოქალაქეთა დიდად გასაოცრად ისე კი არ იქცეოდნენ, როგორც მტრები და ველური ხალხი, არმედ როგორც რომის გაწვრთნილი ჯარები.

ამავე დროს, ჩამოთვლილი ქალაქების პრეფექტები წამდაუწუმ გზავნიდნენ შიკრიკებს მეციუს ლიბეონუსთან, პროვინციის მმართველთან, და ევედრებოდნენ მიეღო რაიმე ზომები განსაცდელის წინააღმდეგ, რომელიც ყოველდღე მატულობდა. უბედური ლიბეონუსი, მთლად გონებადაფანტული, თავის მხრივ შიკრიკს შიკრიკზე გზავნიდა რომის სენატთან და საჩქაროდ სთხოვდა მაშველ ჯარებს.

რომში, რასაკვირველია, დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ გლადიატორების ამბოხებას. მარტო

კატილინას და იულიუს კეისარს ესმოდათ ამ აჯანყების მნიშვნელობა. მარტო მათ იცოდნენ ამბოხების გამომწვევი მიზეზები. ამ ორი კაცის მეტს არავის მიუქცევია ყურადღება ტიტუს სერვილიანუსის კოჰორტის დამარცხებისთვის. რომის სენატი იმ დროს გართული იყო უფრო მძიმე ომებში: დასავლეთით სერტორიუსი იგერიებდა თვით პომპეუსს და მოხუც მეტელუსს. ამასთან აღმოსავლეთით მითრიდატემ ხელახლა გაილაშქრა რომაელებზე და უკვე დაამარცხა რამდენჯერმე მარკუს ავრელიუს კოტა, ამ წელს კონსულად ნამყოფ ლუციუს ლუკულუსთან ერთად.

თუმცა კონსული ლუკულუსი რომში იყო, მაგრამ მთელი ფიქრები იქითკენ ჰქონდა, რომ შეეგროვებინა ლეგიონები მითრიდატეზე გასალაშქრავად, რომლის გამარჯვებებიც აშფოთებდნენ რომსა და სენატს. სენატის რჩევით ლუკულუსმა გადაწყვიტა გლადიატორების საწინააღმდეგოდ კამპანიაში ექვსი კოჰორტის გაგზავნა, ე. ი. სამიათას კაცამდე, თავისი სიმამაცით და გამოცდილებით გამოჩენილი ტრიბუნის კოლდიუს გლაბრის უფროსობით.

სანამ კლოდიუს გლაბრი თავისი კოჰორტების მზადებაში იყო, გლადიატორების ჯარს თანდათან ემატებოდა. პირველი დამარცხებიდან ოცი დღის შემდეგ ჯარის რიცხვი ექვსასიდან ათას ორას კაცამდე ავიდა; საუცხოოდ შეიარაღებულნი მზად იყვნენ სისხლის უკანასკნელი წვეთი დაენთხიათ თავისუფლების მოსაპოვებლად.

სპარტაკმა კარგად იცოდა ტაქტიკა ბერძნებისაც, თრაკიელებისაც და პონტოელებისაც, მაგრამ ყველაზე მეტად რომის სამხედრო წესი მოსწონდა. ეს წესი შეისწავლა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც რომის ლეგიონებში მსახურობდა და სპარტაკი დარწმუნდა, რომ რომაელები ყოვლად მამაც და იარაღის ხმარების მცოდნე ხალხზე იმარჯვებდნენ დისციპლინის წყალობით და ტაქტიკით. აი, რატომ შეჰქონდა, როგორც ზემოთ ვთქვაით, აჯანყებული გლადიატორების რიგებში რომის სამხედრო წესები და ჰბაძავდა მათ თითქმის წვრილმან საქმეშიც კი.

ტიტუს სერვილიანუსზე გამარჯვების შემდეგ, როცა მიეცა პომპეიში შესვლის საშუალება, სპარტაკმა მაშინვე შეუკვეთა გლადიატორების პირველი ლეგიონისათვის დროშა. ტარზე, სულ მაღლა, რომის ჩვეულებრივი არწივის მაგივრად გამოხატული იყო მონების ფრიგიული წითელი ქუდი - სიმბოლო გათავისუფლებისა, და მის ქვეშ კატის პატარა, ბრინჯაოს ფიგურა - თავისუფლების ღმერთისთვის შეწირული ცხოველი. ამას გარდა, სპარტაკმა, რომაელების წახედულობით, ყოველ ასეულს სხვადასხვანაირი დროშა მისცა. მისი ტარი ბოლოვდებოდა ორი, ერთმანეთს ჩამორთმეული ხელით.

რაკი ვეზუვის მიდამო ვაკეებს წარმოადგენდა, სპარტაკი ყოველდღე რამდენიმე საათს ასწავლიდა თავის რაზმებს რომის სამხედრო წესებს. ის ასწავლიდა მათ წყებების გაორკეცებას, შეჯგუფებას, გაფანტვას, საომარ კოლონებად დადგომას და მარჯვნივ და მარცხნივ

მიბრუნებას, სამ მწკრივად დაწყობას, სამიდან ორზე გადასვლას, პირველ რიგში ადგილის დაჭერას და სხვა. სპარტაკმა ისარგებლა სერვილიანუსის ლეგიონერების საყვირებითა და სტვირებით და მემუსიკეთა პატარა ჯგუფი შეადგინა, რომელიც უკრავდა ხოლმე თავდასხმის მომზადებისას, შეტაკებისას.

ამგვარად, მტრებმა დააცადეს, მოესწრო თავისი პატარა ჯარის მომზადება მომავალ ომისათვის მტრისათვის შეუპოვარი წინააღმდეგობის გასაწევად, რომლისგან თავდასხმასაც ყოველი დღე ელოდა.

სპარტაკის მიერ რაზმებში დადგენილი მკაცრი დისციპლინის წყალობით მეცხვარეები და შეშის მჭრელები თანაუგრძნობდნენ და ენდობოდნენ მათ. ამისათვის კლოდიუსის მოახლოების ერთი დღის წინ იცოდა სპარტაკმა, რომ რომაელები ემზადებოდნენ და მტრების ნამდვილი რიცხვიც შეიტყო. სპარტაკი მიხვდა, რომ ათას ორასი მეომრით ის ვერ იბრძოლებდა ტრიალ მინდორზე სამი ათასზე მეტ გამოცდილ რომაელ ლეგიონერთან და ამიტომ გადაწყვიტა ვეზუვის ბანაკში ასვლა და იქ მოცდა.

შუადღისას ერთი შეიარაღებული ქვეითი ასეული ჯაჭვივით გამწკრივებული ადიოდა მთაზე. როცა გლადიატორების ბანაკს მიუახლოვდნენ, ბილიკის ორივე მხარეს, რომაელებმა ესროლეს

ბანაკს მშვილდ-ისრები, მაგრამ ბევრი ვერაფერი ავნეს, რადგან შორ მანძილზე იყო. მაინც რამდენიმე კაცი დაიჭრა და მათ შორის ბარტორიქსიც. სპარტაკი ის იყო, მოემზადა რომის მემშვილდისრეებთან დასატაკებლად, მაგრამ მათ უცებ უკან დაიწიეს, თითქოს გადაიფიქრეს ბანაკზე დაცემა. სპარტაკი მიხვდა, რომ სერვილიანუსის დამარცხებამ ჭკუა ასწავლა რომაელებს, რომ ისინი არ დაეცემიან უწინდებურად პირდაპირ გლადიატორების ბანაკს და კლოდიუსი გააკეთებს რამეს, რომ აჯანყებულები ძირს ჩაიყვანოს და შეებრძოლოს გლადიატორებს უხერხულ ადგილას.

მართლაც კლოდიუსმა მეშვილდისრენი ვეზუვზე მხოლოდ იმის გასაგებად გაგზავნა, გლადიატორებს ხომ არ დაუტოვებიათ ბანაკიო. როცა დარწმუნდა, რომ იქვე იყვნენ, მხიარულად მოიფშვნიტა ხელები. სამოქალაქო ომის დროს იქ იბრძოდა სულას წინამძღოლობით და სულ დავლილი ჰქონდა კამპანია. საუცხოოდ იცოდა ვეზუვის მიდამო და ახლა უცებ მიხვდა, რომ შეუძლია მტრის დაღუპვა მისივე ბუნაგში. კმაყოფილებით გაიღიმა, რასაც იშვიათად დაინახავდით მის ტუჩებზე და არც უხდებოდა მის მზით დამწვარ სახეს.

- თაგვი მახეში გაება! ხუთი დღის შემდეგ დაგვმორჩილდებიან! - წამოიძახა კლოდიუსმა.

- ტრიბუნს გარსშემოხვეულმა ცენტურიონებმა და ოპციონებმა[124] გაკვირვებით შეხედეს

ერთმანეთს. არ ესმოდათ, რას ნიშნავდა მათი უფროსის სიტყვები, მაგრამ მალე მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე. ტრიბუნმა თან მოიყვანა ორი ათასი კაცი. მესამე ათასი ცენტურიონ მარკუს ვალერიუს მესალა ნიგერიუსის უფროსობით დატოვა მთის ძირას და დანარჩენი ოთხი კოჰორტით დაიძრა ზევით გლადიატორების ბანაკისაკენ. როცა მივიდა იმ ადგილამდე, სადაც უშველებელ ხრამებს შუა ერთადერთი დაკლაკნილი და ვიწრო ბილიკი მიდიოდა, რომელზედაც შეიძლებოდა გავლა, კლოდიუსი გაჩერდა, ამოირჩია მარჯვე ადგილი მთის დამრეც ფერდობზე და უბრძანა დაბანაკება; შემდეგ მაშინვე გაგზავნა ვალერიუს მესალასთან შიკრიკი და უბრძანა შესდგომოდა ერთმანეთში მოლაპარაკებული პირობის აღსრულებას.

ვალერიუს მესალამ, ყოჩაღმა, გამბედავმა და პატივმოყვარემ ასპარეზი სამოქალაქო ომის დროს დაიწყო სულას ჯარში ბრძოლით; შემდეგ გაემგზავრა აპიუს კლავდიუს პულხერთან ერთად მაკედონიაში რამდენიმე აჯანყებული ტომის დასამშვიდებლად, მეტადრე თრაკიელებისა, რომელთაც ვერ აიტანეს რომის კირთები და ხელახლა აღუდგნენ თავის დამამარცხებელს.

ამ მამაცობისათვის, რაც ვალერიუს მესალამ როდოპის მთებში გამოიჩინა, ცენტურიონად გახადეს და სამოქალაქო გვირგვინით შეუმკეს თავი. რამდენიმე ხნის შემდეგ აპიუს კლავდიუს პულხერი გარდაიცვალა და ყმაწვილი მესალა რომში დაბრუნდა, სადაც მოაღწია გლადიატორების ამბოხების ამბავმა. მესალა ხელახლა მოემზადა შავი ზღვის ნაპირას

სალაშქროდ კონსულ ლუკულუსის წინამძღოლობით, მაგრამ, რადგან ლუკულუსის ჯარი გაზაფხულის დამლევამდე ვერ გავიდოდა, ამიტომ მესალამ აიღო ნებართვა, რომ გაჰყოლოდა კლოდიუს გლაბრის დამსჯელ ექსპედიციაში გლადიატორების წინააღმდეგ. როგორც რომაელი პატრიცი, მესალა ეკუთვნოდა იმ პირთ, რომელნიც გლადიატორების ომის გახსენებაზე ზიზღით იღიმებოდნენ მხრების აწევით.

კლოდიუს გლაბრის ბრძანება რომ მიიღო, მესალამ წაიყვანა თავისი ორი კოჰორტა მთის გარშემო და რამდენიმე საათის შემდეგ მივიდა პირდაპირ მეორე ფერდობზე, რომელიც ნოლასა და ნუცერას გადაჰყურებდა. იქ ბრძანა დაბანაკება.

ამგვარად, საღამო ხანს, კლოდიუს გლაბრიმ და ვალერიუს მესალამ თავიანთი კოჰორტები დააბანაკეს ვეზუვის ორივე მხარეს და გლადიატორებს შეუკრეს ყველა გასასვლელი გზა.

როგორც წინდახედულმა კაცმა, კლოდიუს გლაბრიმ მესალა გაგზავნა ათასი კაცით იმ ბილიკის დასაცავად, რომელიც ნოლასკენ მიდიოდა, რადგან იქითა მხარეს ციცაბო მთა გლადიატორებისთვის კარგიდამაბრკოლებელი იყო. კლოდიუსმა კი შეუღობა მტერს გზა პომპეის მხრიდან, სადაც ჩასავალი უფრო ადვილი იყო. ამიტომ ტრიბუნი დარწმუნებული იყო, რომ სპარტაკი სწორედ იმ მხრიდან ეცდებოდა შეტაკებას.

მეორე დღეს, გათენებისას, სპარტაკმა ჩვეულებრივ დაუარა მცველებს და შენიშნა მოწინააღმდეგის ბანაკი ნოლასკენ მიმავალ ბილიკზე. კლოდიუსის ჯარები, რომელნიც იყვნენ დაბანაკებული მთის მეორე მხარეს და მიფარებულებით ტყეში, ვერ დაინახა, მაგრამ მაინც ეჭვი დაებადა. სპარტაკი ორი ასეულით შეუდგა

პომპეისაკენ მიმავალი ბილიკით ჩასვლას. არ გაუვლიათ ორი მილი, რომ მათი ავანგარდი რომაელების წინა წყებებს დაეტაკა. მათ ერთმანეთს რამდენიმე სათხედი ესროლეს. სპერტაკმა მაშინვე შეაჩერა თავისი რაზმი, ავანგარდში თვითონ ჩაერია და გაოცებულ გლადიატორს მალე წარმოუდგა თვალწინ რომის ბანაკი მთელი თავისი მედიდურობით.

გაფითრებული იდგა სპარტაკი და თვალს არ აშორებდა გზის გადამღობ ყორეს. ეს ყორე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორც ცოცხლად დამარხულზე თავისი საკუთარი კუბოს სახურავის ხელის შეხება.

გლადიატორების პირველ მოახლოებაზე რომის ავანპოსტებში განგაში ატყდა და მცველად დაყენებული რაზმი მაშინვე დადგა წინ სპარტაკის ხალხისკენ მშვილდისრების სროლით. საბრალო თრაკიელი, იმ მწუხარებით ჩანთქმული, რომ დამწყვდეული იყო ყოველი კუთხიდან და უნდა დაღუპულიყო აუცილებლად, ვერ ინძრეოდა ადგილიდან და ვერც ამჩნევდა თავის გარშემო მოზუზუნე სათხედებს და მშვილდ-ისრებს. ავანგარდის წინამძღოლმა გამოარკვია სპარტაკი.

- სპარტაკ, რას გვიბრძანებ, წავიდეთ წინ და ვიბრძოლოთ, თუ დავიხიოთ?

- უკან, ალკესტ, უკან, - უპასუხა თრაკიელმა.

გლადიატორების ავანგარდმა საჩქაროდ დაიწყო უკან დახევა. მათ მისდევდა სპარტაკი თავისი ორი კოპორტით ნელა, დაფიქრებული და თავჩაღუნული.

რომაელები რამდენიმე ხანს ესროდნენ გლადიატორებს მშვილდ-ისრებს და ბოლოს უფროსების ბრძანებით მალე დაბრუნდნენ უკან.

როცა მინდორზე ავიდა, სპარტაკმა მოიხმო ენომაი და ბარტორიქსი. დაჭრილი ბარტორიქსი მაინც თავდადებით ასრულებდა თავის მოვალეობას, რწმენით აღვსილი. სპარტაკმა გაიყვანა ისინი იქით და უჩვენა რომის ბანაკი ნოლასკენ მიმავალ გზაზე; მერე უამბო, რომ დაინახა მეორე ბანაკი პომპეისაკენ მიმავალ გზაზე და ჰკითხავდა რჩევას, როგორ გამოსულიყვნენ ამ მძიმე მდგომარეობიდან.

ენომაიმ, რომელიც სავსე იყო მხოლოდ შეუკავებელი სიმამაცით და არაფრად აგდებდა სიკვდილს, შეჰყვირა:

- ვფიცავ შურისმაძიებელ ღმერთებს, იმის მეტი აღარა დაგვრჩენია რა, რომ გარეული მხეცის სიმძვინვარით დავესხათ ერთ-ერთ იმათ ბანაკს! ათასი ჩვენთაგანი დაიღუპება, მაგრამ ორასი გაარღვევს გზას და გაიმარჯვებს!

- ეს რომ მოხერხდებოდეს, რაღა გვიჭირს, - თქვა სპარტაკმა.

- მერე რა არის აქ შეუძლებელი? - ჰკითხა გულმოსულმა გერმანელმა.

- მაგაზე მეც ვფიქრობდი ერთ წამს... მაგრამ მივხვდი, რომ როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან შეგვიძლია ბრძოლა მხოლოდ ათ-ათი კაცის რიგზე. რა გამოვა, თუ საქმეში მონაწილეობას მარტო ოცი მიიღებს?

- ხორაგიც სულ ხუთი-ექვსი დღისაღა გვაქვს, - განაგრძო სპარტაკმა, - შემდეგ რაღა ვქნათ?

ამ კითხვამ თავზარი დასცა მის ამხანაგებს. არანაირი საშუალება აღარ იყო, რომ თავიდან აეცილებინათ შარი. შვიდი, რვა, ათი დღე კიდევ შეიძლებოდა თავის გატანა და მერე?..

ერთადერთი საშუალება ისღა იყო: დამორჩილება ან სიკვდილი.

ამას მოჰყვა ხანგრძლივი და მტანჯველი სიჩუმე. აუტანელი წამება იყო მათთვის იმის გაფიქრება, რომ თვალის დახამხამებაზე გაქარწყლდა ხუთი წლის შრომა და იმედები; ჩაინთქა ერთადერთი მიზანი, ერთადერთი სიხარული მათი ცხოვრებისა!.. ასე უბედურად და უხეიროდ დაბოლოვდა მათი სანეტარო საქმე, სწორედ იმ დროს, როდესაც თითქმის ისე ახლოს იყო გამარჯვება. აბა, სიკვდილი რა იყო ამ საშინელ უბედურებასთან. ეს მწარე დუმილი პირველად სპარტაკმა დაარღვია.

- წავიდეთ, - უთხრა მან, - კარგად დავათვალიეროთ მინდორი, იქნება მოვახერხოთ თავის დახსნა და შეიძლებოდეს გასვლა ამ საფლავიდან.

როცა იმ ადგილას მივიდნენ, სადაც უზარმაზარი კედლების მსგავსად აყუდებულიყვნენ ციცაბო კლდეები და მინდორს მთის წვერს აშორებდნენ, სპარტაკმა აიხედა მაღლა და წაიბუტბუტა:

- თრითინაც კი ვერ აცოცდება ამ აღმართზე! ერთი წამის ჩაფიქრების შემდეგ

  დაუმატა:

- და რომ კიდეც ავსულიყავით, უარეს მდგომარეობაში ჩავცვივდებოდით.

ბოლოს გლადიატორები მიადგნენ ციცაბო კლდეებს, რომლებიც სორენტოსაკენ იყურებოდა. სამივემ წინ გადაიხედა, რომ თვალით გაეზომათ მათი სიღრმე, მაგრამ მაშინვე უკან დაიწიეს შეშინებულებმა, რადგან თავბრუ დაესხათ ამ უძირო უფსკრულის დანახვაზე.

- მარტო ქვა თუ დაქანდება ძირამდე, - თქვა სპარტაკმა.

იქვე, შორიახლო მიწაზე წამოწოლილი რამდენიმე ყმაწვილი გალი დიდ ფარებს წნავდა ნერგის ტოტებისგან და შემდეგ ტყავს აკრავდა. ჩაფიქრებით აქეთ-იქით მაცქერალმა სპარტაკმა უნებურად მიაპყრო თვალი ამ გლადიატორებს და მათ მუშაობას.

პირველ წამს სპარტაკი თითქოს უგულოდ უცქეროდა და არაფერს ამჩნევდა, მაგრამ ერთმა გალმა შეამჩნია, რომ უყურებდა და ღიმილით უთხრა:

- ლითონის ფარები ჩვენს ბანაკშიშვიდასზე მეტი არა გვაქვს და რომ დანარჩენ ჩვენს ხუთას

მეომარსაც ჰქონდეთ ფარები, გადავწყვიტეთ ამისთანების დაწნა და ვწნავთ იქამდე, სანამ ტყავი გვეყოფა.

- გეზუ და ტეტუანი[125] დაგაჯილოდებენ მაგისთვის საიქიოს! - წარმოთქვა სპარტაკმა, აღელვებულმა მათი ძმური მზრუნველობით თავიანთი ამხანაგების მიმართ.

ერთი წამის სიჩუმის შემდეგ, რა დროსაც სპარტაკი სიყვარულით შესცქეროდა იმ ახალგაზრდებს, ჰკითხა მათ:

- ტყავი კიდევ ბევრი გაქვთ?

- არა, ერთი თორმეტიოდე ფარისთვის თუა, მეტი აღარ.

- ეს ტყავი ჩვენ ვიშოვნეთ, უკანასკნელად პომპეიში რომ ვიყავით.

- ნეტავი ტყავიც იმდენი იშოვებოდეს, რამდენიც ვაზია ჭალაში! - ხუმრობით შენიშნა ერთმა გლადიატორმა.

სპარტაკმა ხელახლა გადაავლო თვალი იმ მსხვილ, მაგარ და მოქნილ, პატარა კონებად

დალაგებულ წნელს.

გლადიატორის უკანასკნელმა სიტყვებმა გააოცა სპარტაკი. უეცარმა აზრმა გაუელვა თავში. თითქოს გადასახტომად ემზადებაო, სპარტაკი დაიკუზა, წამოავლო ხელი წნელის კონას და სიხარულით შეჰყვირა:

- ოჰ, ვფიცავ იუპიტერს, განმათავისუფლებელს, რომ გადავრჩით! ენომაი და

ბორტორიქსი გაკვირვებით მიუბრუნდნენ სპარტაკს.

- რას ამბობ? სპარტაკი ყურადღებით სინჯავდა წნელს და მერე უთხრა მეგობრებს:

- ხედავთ, ამ წნელს? ამით დავწნავთ დაუსრულებელ კიბეს, ერთ ბოლოს მოვაბამთ აი, იმ კლდის წვეროს და ჩავალთ თითო-თითოდ ხეობის ძირამდე, იქიდან მოვურბენთ უკანიდან რომაელებს და ავკუწავთ ასო-ასო. ენომაიმ უიმედოდ გაიქნია თავი და უთხრა:

- სპარტაკ, შენ ბოდავ!

- კიბე, რვაასი ან ცხრაასი წყრთის სიგრძისა? - ურწმუნოდ თქვა ბარტორიქსმა.

- იმისთვის, ვინც რამეს გულით მოინდომებს, - უპასუხა მტკიცედ დარწმუნებულმა სპარტაკმა, - არაფერი არ არის შეუძლებელი. ათას ორასი კაცი ვართ და სამ საათში დავწნავთ ამ კიბეს!

მაშინვე უბრძანა გლადიატორების ოთ ასეულს, წასულიყვნენ ცულებით ახლომახლო ტყეში და მოეჭრათ, რაც შეიძლებოდა ბლომად ნერგის წნელი.

ამავე დროს მისივე ბრძანებით დანარჩენი გლადიატორები ჩამწკრივდნენ ორ რიგად მთელ მინდორზე, თოკებითა და თასმებით იმ უშველებელი კიბის სხვადასხვა ნაწილების შესაკვრელად.

ერთი საათის შემდეგ ტყეში გაგზავნილი გლადიატორები ჯგუფ-ჯგუფად ბრუნდებოდნენ და თან მოჰქონდათ დიდი წნელის კონები. სპარტაკმა პირველმა

უჩვენა წნელის დაწვნის მაგალითი. ზოგი წნავდა კიბის საფეხურებს, ზოგი ერთმანეთს აბამდა მათ, ზოგი მორგვად ახვევდა თანდათან გაკეთებულ, უშველებელ კიბეს, რომელსაც ისინი უნდა ეხსნა. იმდენად

გულმოდგინებით მუშაობდნენ, რამდენადაც განსაცდელი მოელოდა გლადიატორების ჯარს. იმ ფართო მინდორზე, სადაც ერთსა და იმავე დროს ათას ორასი კაცი მუშაობდა, ღრმა სიჩუმე სუფევდა; ეს სიჩუმე ირღვეოდა ხანდახან მხოლოდ ჩუმი კითხვებით იმაზე, თუ როგორ უფრო უკეთესად გაკეთდებოდა ერთი ან მეორე ნაწილი.

მზის ჩასვლამდე ორი საათით ადრე თითქმის ცხრაასი ფუტის სიგრძის კიბე მზად იყო. მაშინ სპარტაკმა უბრძანა ოთხ გლადიატორს, გაეჭიმათ კიბე, რომ თვითონ დარწმუნებულიყო სიმაგრეში. სპარტაკი სინჯავდა ყოველ საფეხურს და ოთხი სხვა გლადიეტორი მეორე ბოლოდან ახვევდა კიბეს.

როდესაც დაბინდდა, სპარტაკმა უბრძანა, ფრთხილად აშლილიყვნენ ბანაკიდან და ყოველ ათეულს თავისი იარაღი ერთად შეეკრა, რადგან იმნაირი ჩასვლით, როგორც ისინი ემზადებოდნენ, იარაღით ადამიანის დატვირთვა ყოვლად შეუძლებელი იყო. იარაღის ჩასაშვებად უნდა ყოფილიყო სხვანაირი თოკი, ბანაკში ნაქონ სხვადასხვა ნაჭრებით დაგრეხილი. როგორც კი ჩავიდოდნენ უფსკრულის ძირში, ყოველ ათეულს მაშინვე უნდა მიეღო იმ თოკით თავისი იარაღი.

ერთ თავში კიბეს მოაბეს ორი დიდი ქვა და ჩაუშვეს შვეულ ფლატეზე, რომელიც იმ უძირო ჭის

კედელს წარმოადგენდა. კიბეზე რომ ამ მძიმე ქვას აბმევინებდა, სპარტაკს ამით ორი ერთნაირად სასარგებლო შედეგის გაგება უნდოდა, რადგან ქვის წონა ყოველ კაცზე ბევრად უფრო მძიმე იყო, რანაირი ზორბა ტანის ადამიანიც უნდა ყოფილიყო, ამიტომ, თუ ქვები კარგად ჩაეშვებოდნენ ძირამდე, ეჭვი აღარ იყო, რომ კიბეზე უვნებლად შეეძლოთ ჩასვლა ადაიმანებს. მეორეც, თავისი სიმძიმით იმ ქვებს კიბე უნდა გაემაგრებინათ. უამისოდ მოქნილი კიბე ძალიან იქანავებდა და ამით ბევრად უფრო საშიში გახდებოდა ძირს ჩასვლა.

როდესაც ყველაფერი მზად იყო და მთის გარშემო ჩამობნელდა, ენომაი პირველი მოემზადა ძირს ჩასასვლელად. შემოხვია მკლავები კლდის წვეროს, რაზედაც მაგრად იყო მიბმული კიბე და უზარმაზარი გერმანელი ჩაეკიდა ფეხებით უფსკრულში. ცოტათი ფერმიხდილი იყო, რადგან ამნაირი არაჩვეულებრივი მოგზაურობა უძირო უფსკრულში, რომელიც მოფენილი იყო კლდეების წვეტიანი ნატეხებით და რომელთა წინააღმდეგ ვერას იზამდა ვერც მკლავის რკინის ღონით და ვერც თავგანწირული სიმამაცით, სრულიად ახალი იყო მისთვის.

- ვფიცავ ყოვლად ძლიერსა და ყოვლისშემძლე ოდინს[126], - ბუტბუტებდა ის ცალყბა ხუმრობით, - რომ თვით ჰელაც კი, ვალკირებში[127] ყველაზე მსუბუქი, არ ინდომებდა ახლა ჩემს ადგილას ყოფნას.

ამ სიტყვებით გერმანელის უზარმაზარი ფიგურა ნელ-ნელა ჩაეშვა უფსკრულში, სანამ ბოლოს სრულიად არ დაიკარგა გამოშვერილი კლდის იქით. წინ გადახრილი

სპარტაკი თვალს არ აშორებდა თავის მეგობარს და გულის კანკალით ადევნებდა თვალს კიბის ყოველ მოძრაობას.

კიბის ნძრევამ სამ წამს გასტანა, რომელიც საბრალო გლადიატორებს სამ ოლიმპიადად, სამ საუკნედ ეჩვენათ. ბოლოს კიბის რხევა შეწყდა. მაშინ თითქოს უბრძანესო, ყველამ ერთად მიაპყრო ყური უფსკრულს და ყველას სახეზე მოუთმენელი მოლოდინი გამოეხატა.

ბოლოს მოისმა ძახილი, ჯერ ნელი და გაურკვეველი, შემდეგ თანდათან უფრო მაღალი და გარკვეული, თითქო ეს კაცი სწრაფად ახლოვდებოდა:

- გამიგონე! გამიგონე!

ახლა კი თავისუფლად ამოისუნთქა ათასი კაცის გულმა. ეს იყო ნიშანი, რომლითაც ენომაი ატყობინებდა, რომ უვნებლად ჩავიდა უფსკრულის ძირში.

მაშინ გლადიატორებმა მეტისმეტი აჩქარებით და სიფრთხილით დაიწყეს თითოთითოდ ჩასვლა.

ოცდათექვსმეტ საათამდე გასტანა ამ უმაგალითო ჩასვლამ და მხოლოდ მეორე დღის გათენებისას იყვნენ ყველანი უფსრკულის ძირში. მთაზე დარჩა მარტო ბარტორიქსი, რომელმაც ჩაუშვა თოკით ცულები, ნამგლები, კვერთხები, სამკბილები და სხვა იარაღი სპარტაკის ბრძანებით მომზადებული მათ ამბოხებას მიმხრობილი მეომრებისათვის. როდესაც ყველაფერი დამთავრდა, ჩავიდა ბარტორიქსიც.

გრძლად და დაუსრულებლად მოეჩვენათ ეს დღე მოუთმენელ გლადიატორებს, მაგრამ, ბოლოს, მზემ იწყო გადახრა. მაშინ გლადიატორების ორივე კოჰორტა გამოვიდა თავისი საფარიდან და დიდი სიფრთხილით გასწია ორ სხვადასხვა მხარეს. ერთი ენომაის უფროსობით წავიდა ზღვისაკენ, მეორე თვით სპარტაკის წინამძღოლობით - ნოლასაკენ.

რადგან ორსავე კოჰორტას თითქმის ერთნაირი მანძილი უნდა გაევლო, ამიტომ მათ ერთსა და იმავე დროს მოუარეს ზურგიდან რომაელების ბანაკს, ერთი საათით ადრე, შუაღამემდე. ვალერიუს მესალას ბანაკთან რომ მივიდა, სპარტაკმა შეაჩერა თავისი რაზმი და მარტო წავიდა რომაელების ბანაკისკენ.

- ვინ მოდის? - დაუყვირა დარაჯმა, რომელსაც რაღაც შრიალი მოესმა ბანაკთან ახლო მდებარე ვენახში. სპარტაკი გაჩერდა და არაფერი უპასუხებდა.

ჩამოვარდა ხანგრძლივი სიჩუმე, რომაელი დარაჯი ყურთასმენად გადაიქცა, მაგრამ გარს სიჩუმე სუფევდა.

ბოლოს სპარტაკმა გაიგონა გუშაგის ფეხის ხმა, რომელიც დეკანთან ერთად შემოვლაზე იყო.

ღამე ისეთი ჩუმი იყო, რომ თრაკიელს ლაპარაკი ესმოდა, თუმცა კი ჩურჩულებდნენ.

სპარტაკი უძრავად იდგა ბუჩქს იქით მიფარებული და ისმენდა მათ ლაპარაკს:

- აბა, მაშ თვალი კარგად გეჭიროს, სეპტიმიუს, და მელას გლადიატორებად ნუ მიიღებ ხოლმე.

- ეგ დიდი ღირსება იქნებოდა გლადიატორებისათვის! - დაცინვით უპასუხა სეპტიმიუსმა. ხელახლა ყველაფერი სიჩუმემ მოიცვა.

იმ დროს სიბნელეს მიჩვეულმა სპარტაკის თვალებმა გაარჩია, რაც უნდოდა: რომაელების თხრილის მოყვანილობა და აგრეთვე რომელი უფრო ახლოს იყო ოთხ ალაყაფის კართაგან.

გუშაგი დაბრუნდა თავის ადგილას და მიუმატა ფიჩხი თითქმის გამქრალ ცეცხლს. მალე გაანათა ცეცხლის ალმა ყორეცა და მესერიც და სპარტაკმა მშვენივრად გაარჩია მთელი ბანაკი.

დარწმუნდა, რომ ეგრეთ წოდებული Porta de cumana, რომელსაც აკეთებდნენ, საზოგადოდ, ბანაკის იმ მხარეს, საიდანაც მტრის დაცემა იყო უფრო მოსალოდნელი, შორს არ იყო. მესალას ბანაკში იგი ნოლას მხარეს მდებარეობდა. სპარტაკი დაბრუნდა თავის კოჰორტასთან და ჩუმად წაიყვანა ის იმ ალაყაფის კარისაკენ. უხმაუროდ მივიდნენ ბანაკთან საკმარისად ახლო მანძილზე, სანამ ბოლოს ფეხის ხმას ყურადღება არ მიაქცია რომაელების დარაჯმა.

- ვინ მოდის? - დაიყვირა მეომარმა სეპტიმიუსმა ისეთი აღშფოთებული ხმით, რომ ახლა კი ეჭვი არ იყო, გლადიატორები მელა აღარ ეგონა. პასუხი რომ არ მიიღორა, ფრთხილმა სეპტიმიუსმა განგაში ატეხა.

მაგრამ გლადიატორები გაიქცნენ წინ, ჩახტნენ თხრილში, გასაოცარი სისწრაფით შეახტნენ ერთმანეთს მხრებზე და თვალის დახამხამებაში აცვივდნენ ყორეზე და დაიწყეს გადახტომა მესერზე. სპარტაკი პირველი გადახტა და ეცა სეპტიმიუსს, რომელიც ძლივსღა იფარავდა თავს მისი იარაღის გაშმაგებული ცემისაგან.

- ბევრად გერჩივნა, სეპტიმიუს, - დაუყვირა სპარტაკმა, - რომ მელასთან მოგხდომოდა შეტაკება, თუმცა ის გლადიატორზე უკეთესი გგონია.

ეს სიტყვები ჯერ არ გაეთავებინა, რომ რომის ლეგიონერი მახვილით განგმირული მიწაზე დაეცა. ამ დროს გლადიატორები სამ-სამი, ოთხ-ოთხი, რვა-რვა, ათ-ათი კაცი ხტებოდა მესერზე და რომაელთა მთელ ბანაკში დაიწყო საზარელი ჟლეტა, როგორიც ყოველთვის ხდება ხოლმე ღამით მოულოდნელი დაცემის დროს.

რომაელები ღრმა ძილში იყვნენ და სრულებით არ მოელოდნენ მტრისაგან თავდასხმას. როგორც მათ ეგონათ, ვეზუვის წვეროზე დამწყვდეულებისაგან, რომლებსაც სრულიად არ ჰქონდათ ღონე, გაერღვიათ ის რკინის ზღუდე, გლადიატორებს რომ გარს შემოარტყეს, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ დარეტიანებულები თითქმის არანაირ წინააღმდეგობას არ უწევდნენ გლადიატორების თავდასხმას, როდესაც ისინი ნიაღვრის მსგავსად შერბოდნენ უკანა კარიდან და მუსრს ავლებდნენ მარჯვნივ და მარცხნივ შეშინებულ, უიარაღო, ნამძინარევ ლეგიონერებს.

ერთი წამის შემდეგ რომაელთა მთელ ბანაკში გაისმოდა დაჭრილების კვნესა, ყვირილი, წყევლა, ვედრება, საზარელი გოდება. ეს ომი კი არა, სისხლისღვრა, მუსვრა იყო, როდესაც ნახევარ საათზე ნაკლებ ხანში ოთხას ლეგიონერზე მეტი დახოცილი ეყარა და დანარჩენები თავზარდაცემულები გარბოდნენ ყოველ მხარეს.

ორმოციოდე გულადი კაცი, ვალერიუს მესალას წინამძღოლობით, თითქმის ყველანი უფარებოდ და უსამკერდეებოდ, შეიარაღებულნი იმითი, თუ ვისაც ხელში რა მოხვდებოდა, შეჯგუფულიყვნენ პრეტორის ანუ მთავარი ალაყაფის კართან, Porta de cumana-ს პირდაპირ და ცდილობდნენ გლადიატორების შეჩერებას იმ იმედით, რომ მათი მაგალითი შეაგონებდა გაქცეულებს ხელახლა ბრძოლაში ჩარევას. ამ პატარა გროვის წინ იბრძოდა ვალერიუს მესალა, ამხნევებდა სიტყვით და მაგალითით თავის მეომრებს და ეძახდა სპარტაკს, რომელთანაც მახვილით შეტაკება სწყუროდა.

- ეჰეი, სპარტაკ, სად ხარ? სად დაიმალე? თუ ვერ უბედავ თავისუფალი მოქალაქის მახვილს შენი მახვილის შეხებას?

თუმცა ღრიალი, ყვირილი და იარაღის წკრიალი აყრუებდა მთელ ბანაკს, მაგრამ სპარტრაკმა მაინც გაიგონა თავხედი ძახილი, გაარღვია თავისი მეომრების ბრბო და დაიძახა:

- ეჰეი, რომაელო ყაჩაღო! მძარცველო და შვილო მძარცველებისა, უკან წაიღე შენი ლანძღვა, ეგ შენ უფრო შეგშვენის, ვიდრე მე. აბა, აბა, ძაღლო, აი მეც აქ ვარ, რა გინდა ჩემგან?

ამ სიტყვებით შეებრძოლა მესალას, რომელიც გააფთრებული უტევდა, მძიმედ სუნთქავდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ყვიროდა:

- დამაცა, ბილწო, მე შენ გიჩვენებ, რაც არის მესალას მახვილი! შენი სისხლით...

სიბრაზით აევსო გული თრაკიელს. ელვის სისწრაფით აიცილა პატრიცის მახვილი. ერთ წუთში დაუმსხვრია ფარი, გაუჭრა აბჯარი და გვერდში გაუყარა მახვილი, მერე ისე საზარლად დასთხლიშა ჩაჩქანზე, რომ საბრალო ასისთავი დარეტიანებული წაბარბაცდა და დაეცა მიწაზე. უსათუოდ დაიღუპებოდა, რომ ის იყო მისგან წარმოთქმულ სახელს სულ სხვა მოგონება არ აღეძრა სპარტაკის გულში, არ დაეცხრო მრისხანება და ხელი არ აეღებინებინა მის სიკვდილზე.

მესალა არ იყო ბაქია, რომ მარტო გამოწვევა შეძლებოდა, იგი ამასთან მამაცი და ძალოვანი მამაკაციც გახლდათ, მაგრამ რამდენადაც ძლიერი არ უნდა ყოფილიყო, სპარტაკს ვერ შეედრებოდა ვაჟკაცობით და იარაღის ხმარებით.

უკვე მოღერებული მახვილი შეაჩერა ძირს დაცემულ მტვერზე და ეცა ორ ოპციონს, რომლებიც მოეშურებოდნენ მესალას გამოსახსნელად და იმ დროს, როდესაც მან ერთს გააგდებინა ხელიდან მახვილი და მეორეს გულში გაუყარა, სპარტაკი მიუბრუნდა პატრიცს და დაუყვირა:

- წადი, ჭაბუკო, და უამბე ყველას, თუ საზიზღარმა გლადიატორმა როგორ გაჩუქა სიცოცხლე!

როცა ორივე ოპციონს გაუსწორდა, სპარტაკი ხელახლა მივიდა მესალასთან, უშველა ფეხზე წამოდგომა და ჩააბარა ორ გლადიატორს, რომ გაეყვანათ ბანაკიდან და დაეცვათ ის მახვილებისგან.

რამდენიმე წამის შემდეგ რომის მამაცი მეომარნი, რომელთაც უნდოდათ კიდევ გლადიატორებისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ, დახოცილნი იყვნენ თითქმის ყველანი, რომაელთა ჯარის მთელი ბანაკი ხელში დარჩათ გამარჯვებულებს.

იმავე დროს მთის მეორე მხარეს თითქმის ისეთივე ამბავი მოხდა კლოდიუს გლაბრის ბანაკში. იქ ენომაი დაეცა თავისი კოჰორტით მოულოდნელად და სწრაფად პრეტორის ბანაკს და საშინელი სისხლისღვრის შემდეგ დაიპყრო კიდეც.

ამგვარად, სპარტაკის ხერხის წყალობით ათასმა გლადიატორმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა სამი ათას რომაელ ლეგიონერზე, რომელთა შორის ათასი კაცი დაწვა ბრძოლის ველზე, დანარჩენები კი გაიფანტნენ და დაუტოვეს გამარჯვებულებს იარაღი, ბარგი და დროშები.

მეორე დღეს გლადიატორების ორივე დაჯგუფება შეერთდა კოლდიუს გლაბრის ბანაკში. რა თქმა უნდა, გამარჯვებულები ბევრს ხუმრობდნენ და ოხუნჯობდნენ.

ადვილი წარმოსადგენია, რა მხიარულება სუფევდა რომაელების ბანაკში, რომელიც ახლა გლადიატორებს ეკუთვნოდა. უეცრად გავარდა სპარტაკის ახალი გამარჯვების ხმა კამპანიის ყველა ქალაქში. კაპუადან, სადაც ლენტულუს ბატიატის სკოლა იყო, ბრბოებად გამორბოდნენ გლადიატორები, ყოველდღე, ყოველ საათში მოდიოდნენ ვეზუვის ბანაკში. ოცი დღის შემდეგ ოთხი ათასზე მეტი გლადიატორი მოვიდა შეიარაღებული რომაელებისათვის წართმეული შუბებით, მახვილებით, ფარებით. მათ შეუერთდა ათას ორასი მეამბოხე, რომელთაც შეადგინეს გლადიატორების ჯარის პირველი ლეგიონი.

თუმცა რომში სხვა უფრო საყურადღებო საქმეებით იყვნენ გართულები, მაგრამ კლოდიუს გლაბრის დამარცხებამ ცოტაოდენი ხმაური ატეხა. ხალხსაც და სენატსაც ერნაირად სამარცხვინოდ მიაჩნდათ რომის სახელისათვის რომ მთელი ქვეყნის დამპყრობი ლეგიონერები მარცხდებოდნენ მონებთან.

ამ დროს კი მონები, სპარტაკის მეთაურობით, მიადგნენ ქალაქ ნოლას. სანამ იერიშით მივიდოდნენ, გლადიატორებმა მოითხოვეს თავისუფალი შესვლა ქალაქში და ჰპირდებოდნენ სრულ ხელშეუხებლობას მცხოვრებლებსაც და მათ ქონებასაც.

დაუპატიჟებელი სტუმრების მოსვლით შეშინებული ნოლას მოქალაქეები ფორუმზე შეიკრიბნენ

და დაიწყეს სჯა იმაზე, თუ რა უნდა ეღონათ. ზოგი ურჩევდა დამორჩილებას, ზოგი წინააღმდეგობის გაწევას. ბევრი ლაპარაკისა და კამათის შემდეგ წინააღმდეგობის მომხრეებმა გადააჭარბეს, ნოლელებმა დაკეტეს ალაყაფი და ქალაქის გალავნისაკენ გაიქცნენ. ამავე დროს გაგზავნეს შიკრიკნი ნეაპოლში, ბრუნდუზიუმში და რომში, საიდანაც საჩქაროდ ითხოვდნენ დახმარებას.

მაგრამ ყველა შიკრიკიხელში ჩაუვარდა სპარტაკს, რომლის ჯარებს დაკავებული ჰქონდა ქალაქიდან გასასვლელი ყველა გზა და ბილიკი. თვითონ ნოლას თავდაცვა კი სამასხაროდ გადაიქცა. ცუდად შეიარაღებული და იარაღის ხმარებას გადაჩვეული მოქალაქეები ერთ საათსაც ვერ გაუმკლავდნენ გლადიატორების თავდასხმას. ბრძოლა ორ საათზე მეტხანს არ გაგრძელებულა. თავისი კიბის წყალობით გლადიატორები თითქმის სრულიად უვნებლად შეცვივდნენ ქალაქში და წინააღმდეგობით გაბრაზებულებმა დაიწყეს ხალხის ჟლეტა და ძარცვა.

თუმცა სპარტაკმა კატეგორიულად უბრძანა თავის ჯარს შეეკავებინა თავი, არ გადაეჭარბებინათ არაფერში და მისი სიტყვაც სარწმუნო იყო ყველა მეომრისათვის, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს თავის შეკავება.

სპარტაკი გაეშურა ქალაქის ქუჩებში და ყველაფერს აკეთებდა, რომ შეეჩერებინა სისხლის ღვრა

და ძარცვა და მართლაც, თავისი ენერგიის წყალობით მოახერხა რამდენიმე საათში თავისი მეგობრების დახმარებით წესიერების დამყარება.

საყვირის ხმამ მოუხმო გლადიატორებს. სპარტაკის ბრძანებით ლეგიონი უკლებლივ უნდა შეკრებილიყო უმთავრეს მოედანზე.

ერთი საათის შემდეგ ლეგიონი სამ მწკრივად გამწკრივდა მოედანზე. სპარტაკი გამოჩნდა ცერერას ტაძრის საფეხურებზე. რამდენიმე ხანს უხმოდ იდგა სამარისებურ სიჩუმეში, თავდახრილი და ღრმა ფიქრებში ჩანთქმული, მერე თავი ასწია და რისხვისაგან თვალებანთებულმა მჭექარე ხმით მთელი ფორუმის გასაგონად დაიყვირა:

- ვფიცავ ჯოჯოხეთის ღმერთებს, თქვენ, ველურო ადამიანებო, მძარცველებისა და ავაზაკების, კაცისმკვლელების სახელი გინდათ დაიმსახუროთ.

და გაჩუმდა.

რამდენიმე ხანს ხმა არავის ამოუღია. მერე ისევ სპარტაკმა განაგრძო:

- განა ეს არის ის თავისუფლება, რომელიც მონებისთვის მოგვაქვს? ეს ის წესიერებაა, რომლითაც გვინდა ადამიანები გავხდეთ და დავიბრუნოთ წართმეული უფლებები?
ეს არის ის კეთილშობილური საქციელი, რომლითაც იტალიელები უნდა მოვიმხროთ? ეს არის ის სიკეთე, რომლის მაგალითიც უნდა ვაჩვენოთ? განა არ გვეყოფა, რომ ჩვენს წინააღმდეგაა დიდება და ძლიერება რომისა, ახლა ის გინდათ, რომ თავს დაგვატყდეს მთელი იტალიის ხალხების წყევლა-კრულვა და შურისძიება? როგორც ვხედავ, არაფრად აგდებთ, რომ უამისოდაც ბრბოებს, ქურდებსა და კაცის მკვლელებს გვეძახიან და იმის მაგივრად, რომ სახელოვანი საქმეებით, ენით გამოუთქმელი წესიერებითა და სამაგალითო ქცევით გაგვექარწყლებინა მათი ცილისწამება, რომლის მსხვერპლიც გავხდით, თქვენ გინდათ განამტკიცოთ ის თქვენი საზიზღარი, სამარცხვინო საქმეებით!

მთელ იტალიაში შიშითა და უნდობლობით გვიცქერიან. ვინც პირდაპირ არ გვმტრობს, არც მეგობარია ჩვენი. ჩვენს წმიდა საქმეს და დროშას, რისთვისაც ვიბრძვით, ყველაზე სპეტაკს, რაც კი მზის ქვეშ, მთელ დედამიწის ზურგზე არსებულა, არავინ უჭერს მხარს. პატივისცემის მოსაპოვებლად ერთადერთი ღონე მხოლოდ წესიერებაა. რკინისებური დისციპლინა - აი, რით არიან უძლეველნი რომაელთა ლეგიონები. განა ისინი ყველაზე ძლიერები და მამაცები არიან მთელ დედამიწის ზურგზე? არა, არიან ხალხები, რომლებიც მათ არ ჩამოუვარდებიან ვაჟკაცობითა და ძლიერებით. მაგრამ რომაელები განთქმული არიან წესიერებით. აი, რით ამარცხებენ თავიანთ მტრებს.

თქვენ ვერ გიშველით ვერც მკლავის ღონე და ვერც უმაგალითო ვაჟკაცობა, თუ წესიერებას არ მიეჩვიეთ. როგორც რომაელებისაგან ბრძოლის წესები ისწავლეთ, ასევე უნდა ისწავლოთ წესიერება.

თუ გინდათ თქვენ წინამძღოლი ვიყო, მოვითხოვ თქვენგან სრულ მორჩილებას, თავშეკავებას, რადგან ჯარის ძალა მის წესრიგში, მორჩილებასა და თავდაჭერილობაშია. ყველამ უნდა შეჰფიცოს თავის ღმერთსა და დაიფიცოს თავისი პატიოსნება, რომ ამ წუთიდან არ ჩაიდენთ სულ მცირეოდენ დანაშაულსაც კი. არასოდეს არ მომცემთ მიზეზს გისაყვედუროთ თვითნებობა და თავაწყვეტილობა.

გამარჯვების გამო მოვიკრებ ძალას, კონსულ მანილიუს ტორკვატუსს მივბაძო, ვინც უბრძანა საკუთარ შვილს, თავი მოეკვეთა მაგობრისათვის, თუგინდ უმცირესი დანაშაული ჩაედინა და კანონისათვის გადაეხვია. აღტაცებული ისტორიკოსები ასე ყვებიან რომის ლეგიონებზე: ერთხელ თურმე ბანაკი დასცეს ვაშლის ხეებქვეშ, როდესაც კარვები აშალეს, ერთი ვაშლიც კი არ იყო მოწყვეტილი ხიდან. მე მინდა, რომ თქვენც ასევე მოიქცეთ. მხოლოდ მაშინ ვიქნებით ღირსნი თავისუფლებისა, მხოლოდ მაშინ ვძლევთ ყველაზე ძლიერსა და მამაც ჯარს მთელ დედამიწის ზურგზე.

როდესაც სპარტაკმა დაასრულა თავისი სიტყვა, რაზმებში გაისმა მოწონების შეძახილები.

სპარტაკმა გაიყვანა თავისი ჯარი ნოლადან და დაბანაკდა გორაკზე, ქალაქის შორიახლო; შიგ ქალაქში კი დასტოვა მხოლოდ ორი კოჰორტა, რომელიც ყოველდღე იცვლებოდა. ნოლამ გლადიატორებს შემატა აუარებელი ფარი და აბჯარი; ეს იარაღი სპარტაკმა დაალაგებინა თავის ბანაკში მის დროშებქვეშ ყოველდღე მოსული მონებისა და გლადიატორების შესაიარაღებლად.

ნოლასთან სპარტაკმა ორ თვეზე მეტხანს დაჰყო და თავის ჯარისკაცებს სამხედრო საქმეს ასწავლიდა, რომელთა რიცხვმაც რვა ათასამდე მიაღწია. ასე რომ, სპარტაკმა ორ ლეგიონად გაყო ისინი. ისეთი წესიერება და დისციპლინა იყო, რომ თვით კამპანიის მცხოვრებთაც ანცვიფრებდათ: მათ სიცოცხლესა და ქონებას არანაირი საფრთხე არ ელოდა. გლადიატორები არ აწუხებდნენ.

იმ დროს რომში გადაწყვიტეს აჯანყებული მონების წინააღმდეგ პრეტორ პუბლიუს ვარინიუსის გაგზავნა;

მაგრამ სანამ ის რომიდან გავიდოდა თავისი ექვსიათასიანი ქვეითი ჯარისკაცით, რომელთაც მოკავშირე ქალაქებიდან შეკრებილი სამასამდე მხედარი შეუერთდა, სუტრიუმისა და სუესა-პომეტიას შორიახლო მდებარე ეპიცინუმის ტყიდან ღამე კამპანიისაკენ დაიძრა ორი ათასი კაცი, შეიარაღებული როგორც მარგილებით, ორთითებით, ცულებით, კვერთხებით, ზოგი მარტო კეტებით და სარებით და მხოლოდ ზოგიერთს ეჭირა შუბები და მახვილები.

ისინი იყვნენ აქციანის, იულიუს რაბეციუსისა და რომის სხვა ლანისტების სკოლების გლადიატორები. ოთხ კოჰორტად და ოც ათეულად იყვნენ დაყოფილი. ისენი ცალცალკე შეიკრიბნენ ამ ტყეში კრიკსის ბრძანებით, რომელსაც ახლა სპარტაკთან მიჰყავდა ვეზუვზე.

თებერვლის თხუთმეტს, დილით, სწორედ იმ დღეს, როდესაც მეტრობი წავიდა კონსულებთან, კოტასთან და ლუკულუსთან, გლადიატორების შეთქმულების დასაბეზღებლად, კრიკსი გაექანა რომის გლადიატორების სკოლებში, რათა თავისი ამხანაგებისთვის შეეტყობინებინა რაც მოხდა და ჩააგონა, წყნარად ყოფილიყვნენ და ისე მოეჩვენებინათ თავი, ვითომც არანაირი მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული შეთქმულებაში.

ერთ-ერთ ამ სკოლაში კრიკსი შეიპყრეს და მამერტინის საპყრობილეში[128] წაიყვანეს. აქ აწამეს კიდეც, მაგრამ აიტანა ყოველნაირი ტანჯვა და შეუპოვრად უარყოფდა ყოველნაირ მონაწილეობას სპარტაკის შეთქმულებაში. ეჭვი არ არის, ჯვარს აცვამდნენ, რომ არ წასარჩლებოდნენ ცეთეგუსი, ლენტულუსი, კატილინა და თვით იულიუს კეისარი, რომლებმაც როგორც იყო ორი თვის შემდეგ მოახერხეს კრიკსის გათავისუფლება ტყეობიდან.

კრიკსმა კარგად იცოდა, რომ საპყრობილედან გამოუშვეს, მაგრამ მაინც თვალს ადევნებდნენ როგორც თვითონ მას, აგრეთვე რომის ყველა ლანისტის სკოლას, ამიტომ, თუმცა ძალას ატანდა

სპარტაკი, საბრალო გალი კიდევ ორ თვეს უნდა დარჩენილიყო რომში და გადაეტანა ის ტანჯვა, რომ ვერც თვითონ იძვროდა ადგილიდან და ვერ ერთ მანიპულს[129] ვერ უგზავნიდა თავის ამხანაგებს მისაშველებლად.

საპყრობილედან განთავისუფლების მხოლოდ ორი თვის შემდეგ, ესე იგი, ოთხი თვის შემდეგ ამბოხების დაწყებიდან, როდესაც სპარტაკმა ორჯერ გაიმარჯვა, როგორც იყო მოახერხა კრიკსმა რომიდან ეპიცინუმის ტყეში გაქცევა იმ იმედით, რომ თუ ყველანი არა, ვინც დაიბარა, გლადიატორების მეტი ნაწილი მაინც მოახერხებდა შეუმჩნევლად იქ მოსვლას.

განუსაზღვრელი იყო ნოლასთან დაბანაკებული ჯარის სიხარული ამ მოულოდნელი დამხმარეების დანახვაზე; როგორც ძმა, ისე მიიღო სპარტაკმა კრიკსი, რომელიც ყველაზე მეტად უყარდა თავის ამხანაგებში.

ახალმოსულები მაშინვე შეაიარაღეს და სამი ათას სხვა მეომართან ერთად შეადგინეს მეორე ლეგიონი, კრიკსის უფროსობით. პირველ ლეგიონს უფროსობდა გერმანელი

ენომაი. სპარტაკი აღტაცებით ხელახლა აირჩიეს მთელი ჯარის უმთავრეს წინამძღოლად.

კრიკსის მოსვლის ორი დღის შემდეგ მთხრობელებმა მოუტანეს სპარტაკს ამბავი, რომ აპიუსის გზით აჩქარებით მოდიოდა მთაზე პრეტორი პუბლიუს ვარინიუსი.

სპარტაკმა უბრძანა, ღამე აშლილიყვნენ ბანაკიდან და საჩქაროდ დაიძრა მოწინააღმდეგის დასახვედრად.

13 კაზილინუმის ბრძოლიდან აკვინუმის ბრძოლამდე

პუბლიუს ვარინიუსი იქნებოდა ორმოცდახუთი წლის კაცი, ჩამომავლობით პლებეი. მან დაიწყო სამსახური უბრალო ჯარისკაცად და პრეტორის ხარისხამდე მიაღწია, მხოლოდ მარტო საკუთარი დამსახურებით. მართლა რომ ძნელად მოიპოვებოდა კაცი, ისე ზედგამოჭრილი რომაელი ჯარისკაცი, როგორიც იყო პუბლიუს ვარინიუსი. ჭამასმაში მსუბუქი, სიცივესა და სიცხეს შეჩვეული, დაღლილობისა და ყოველგვარი გასაჭირის ამტანი, ჩუმი, პირქუში და მეტისმეტად მამაცი. ამ ღირსებასთან ერთად ვირინიუსს რომ შესაფერისი განათლებაც ჰქონოდა, ის, უეჭველად გამოვიდოდა სარდალი, კონსული ან ტრიუმფატორი. მაგრამ, საუბედუროდ, ძველ მეომარს არ ჰქონდა მისი კეთილშობილების შესაფერი განათლება, ასე რომ, ოცდარვა წლის სამსახურის შემდეგ მან მიაღწია მხოლოდ პრეტორის ხარისხამდე და ისიც სამხედრო წესების საფუძვლიანად ცოდნისა, მათი უნაკლოდ შესრულებისა და პატიოსნების წყალობით. მის გვერდით მებრძოლი რომაელი ჯარისკაცები და სარდლები აღტაცებული იყვნენ მისი გულმოდგინებით, სიმამაცითა და სულიერი და ფიზიკური ძალით.

თავისი სამხედრო ასპარეზი ვარინიუსმა დაიწყო ჩვიდმეტი წლისამ იმ ლეგიონებში, რომლებიც

იბრძოდნენ მარიუსის უფროსობით კიმბრებისა და ტევტონების წინააღმდეგ. ამ ომში მიიღო სამოქალაქო გვირგვინი და დეკანის წოდებაც. მერე ომობდა სამოქალაქო ომში პომპეუს სტრაბონის, პომპეუს დიდის მამის წინამძღოლობით, რამდენჯერმე დაიჭრა და მიიღო მეორე სამოქალაქო გვირგვინი. შემდეგ მიიღო მონაწილეობა საბერძნეთზე სულას გალაშქრებაში. სულას წინამძღოლობით იბრძოდა მითრიდატეს წინააღმდეგ, რამდენჯერმე დაიჭრა. ათენის ალყის დროს დაჯილდოებულ იქნა ციხის გვირგვინითა[130] და უმცროსი ცენტურიონის წოდებით. სულას გვერდიდან არ მოშორებია მთელ სამოქალაქო ომში და მამაცობისათვის ჯერ უფროსი ცენტურიონი, შემდეგ ტრიბუნი გახდა. მერე პომპეუს დიდს გაჰყვა აფრიკაში, სადაც იბრძოდა დომიციუსისა და იარფას წინააღმდეგ. ამ ომში კვესტორის წოდება მიიღო. ეს წოდება შერჩა აპიუს კლავდიუსის დროსაც, როცა აჯანყებული თრაკიელებისა და მაკედონიელების წინააღმდეგ იბრძოდა. კლავდიუსის სიკვდილის შემდეგ დაბრუნდა რომში იმ აზრით, რომ გაჰყოლოდა კონსულ ავრელიუს კოტას მითრიდატეს

წინააღმდეგ ლაშქრობაში და მიეღო მოადგილის ხარისხი და კვესტორის წოდება. მაგრამ, როდესაც ვარინიუსი რომში მივიდა, კოტა უკვე აზიაში იყო და მეორე კონსულს, ლუკულუსს უკვე შეექმნა თავისი ჯარი. ლუკულუსმა მაინც მოიწადინა ესარგებლა ვარინიუსის გამოცდილებით, რომელსაც დიდად აფასებდა, მიაღწია იმას, რომ სიცილიის პრეტორად აერჩიათ და დააკისრა რომისათვის ჩირქის მომცხები მონების ამბოხების ჩაქრობა.

სამი დღის აჩქარებული სიარულის შემდეგ პუბლიუს ვარინიუსი მივიდა გაეტაში, სადაც დაბანაკდა კიდეც. მერე მოიხმო გარდენიუს ტიბურტინი, თავისი ცხენოსანი ჯარის უფროსი, და უბრძანა გასულიყო კაპუამდე და შეეკრიბა დაწვრილებითი ცნობები იმ ადგილისშესახებ, სადაც გამაგრდნენ აჯანყებული მონები, შეეტყო მათი რიცხვი, შეიარაღება და თუ შეიძლებოდა, მათი განზრახვა.

ახალგაზრდა ტაბურტიგნმა ისე გონივრულად და მამაცად შეასრულა დავალება, როგორც შეეფერებოდა მის სასიქადულო მომავალს. არა თუ კაპუამდე მივიდა, კუმს, ბაის, პუცეოლს, ჰერკულანუმს, ნეაპოლსა და პომპეისაც კი მიაღწია და ყველგან კრეფდა რომის მმართველების, მცხოვრებლებისა და მწყემსებისაგან საჭირო ცნობებს მტრის შესახებ. ოთხი დღის შემდეგ დაბრუნდა ვარინიუსის ბანაკში და თუმცა ცხენები ამოხოცა, მაგრამ მრავალი საჭირო ცნობა კი მოიტანა გლადიატორების ჯარის შესახებ. მისგან პრეტორმა შეიტყო, რომ აჯანყებული გლადიატორების რიცხვი ათი ათას კაცამდე იყო; რომ ისინი შეიარაღებული და გაწვრთნილი იყვნენ რომაულად და დაბანაკებულიყვნენ ნოლას სიახლოვეს. ცხადია, დიდხანს აპირებდნენ იქ დარჩენას რომაელების მოლოდინში, რადგან ბანაკი შემოეფარგლათ მაღალი ყორეთი და მესერით.

როცა მოისმინა ეს ცნობები, ვარინიუსი ჩაიკეტა თავის კარავში და დიდი ხნის ფიქრის შემდეგ

გადაწყვიტა გაეყო თავისი ძალა ორ ნაწილად და წაეყვანა ისინი ორი, თითქმის თანაბარი გზით, რომ დასცემოდა გლადიატორების ბანაკს ორი მხრიდან ერთსა და იმავე დროს..

კვესტორ გნეუს ფურიუსს ჩააბარა ლეგიონების ოთხი კოჰორტის, მსუბუქად შეიარაღებული ქვეითების, მეშურდულეებისა და მხედრების უფროსობა და უბრძანა წასვლა აპიუსის გზით სუესამდე, სადაც კვესტორს უნდა გადაეხვია აპიუსის გზიდან დომიციუსისაზე, რომელიც ზღვის ნაპირით მიჰყვებოდა ლიტერნუმს, კუმს, ბაის, ნეაპოლს, სორენტოს. ბაიმდე რომ მივიდოდა, ფურიუსი, იქ ერთ კვირას უნდა დარჩენილიყო, მერე დაძრულიყო ატელუმისკენ და იქ დალოდებოდა ვარინიუსის შემდეგ ბრძანებას. თვითონ ვარინიუსი კი ფიქრობდა, რომ იმ დროისათვის, როდესაც მისი კვესტორი მოვიდოდა, იგი მოასწრებდა მდინარე ლირისით ინტერპმნამდე მისვლას, გაივლიდა ლათინურ გზას, რომელიც რომიდან ტესკულუმზე, ნორბიუმზე, ინტერამნაზე, თეანზე და ალიფაზე გადიოდა ბენევენტომდე. ალიფასთან, მოასწრებდა გლადიატორების ბანაკის შემოვლას უკნიდან. აქ ერთ დღეს გაჩერდებოდა და შემდეგ ბრძანებას მისცემდა თავის კვესტორს, ფურიუსს, ატელუმიდან დაძრულიყო და შეეტია მეამბოხეებისათვის. ეს უკანასკნელნი, რომ

დაინახავდნენ, რიცხვით სჭარბობდნენ ფურიუსს, მთელი თავის ძალებს აქ მოაყრიდნენ. სწორედ ამ დროს ვარინიუსი თავს დაესხმოდა მტერს და ამოჟლეტდა.

ეს გეგმა არ იყო დასაწუნი, ოღონდ კი სპარტაკი არ აშლილიყო თავისი ბანაკიდან, რომაელებს ნოლასთან დალოდებოდა, მაგრამ სპარტაკისაგან სამხედრო წინდახედულობას, ცოდნას ვარინიუსი არ მოელოდა.

შეიტყო თუ არა სპარტაკმა ვარინიუსის მოსვლა გაეტაში, მაშინვე აშალა ბანაკი და ორი დღის აჩქარებული სიარულით, რომ არ შეიბრალა არც თავისი თავი და არც ჯარი, დომიციუსის გზით მივიდა ლიტერნუმამდე.

ამავე დროს კვესტორი გნეუს ფერიუსი, დომიციუსის გზით მოსული, მივიდა ტიფერნუმამდე და იქ შეიტყო თავისი მთხრობელებისაგან, რომ სპარტაკს თავისი ჯარი ჰყავს ლიტერნუმში, სულ ერთი დღის სავალზე რომაელთა ლეგიონებიდან. გნეუს ფურიუსი, გულადი ჯარისკაცი, არ შეუშინდებოდა არც ერთ გლადიატორთან შებრძოლებას და თვით სპარტაკთანაც, მაგრამ, რადგან ბრძანება ჰქონდა მიცემული, ფურიუსმა გადაწყვიტა მისი შეესრულება. ამიტომაც ბრძოლას მოერიდა, რადგან იმედი არ ჰქონდა სრული გამარჯვებისა თავის ჯარზე ოთხჯერ მეტ მტერზე. მაგრამ უკან დახევა სამარცხვინო იყო და ამასთან ასეთი საქციელი არც იქნებოდა გონივრული, რადგან იმ დროს, როდესაც უკან დაიწევდა ლაციუმისკენ, სპარტაკს ადვილად შეეძლო გადაღობებოდა გზაზე და ამოეწყვიტა

მისი დაჯგუფება. ამის ასაცილებლად ახალგაზრდა კვესტორმა გადაწყვიტა კონუსლის დიდი გზიდან უფრო მარცხნივ შეეხვევა, რომ მისულიყო კაპუამდე. ორი ათას რვაასი ჯარისკაცი, კაპუას ჯართან შეერთებული და გაძლიერებული, შეძლებდა გლადიატორთა თავდასხმის მოგერიებას. თუ სპარტაკი მოინდომებდა გზის გაგრძელებას ლაციუმისაკენ, მაშინ გნეუს ფერიუსს იმედი ჰქონდა, რომ დროზე შეუერთდებოდა ვარინიუსს, მოუვლიდნენ ზურგიდან გლადიატორებს და დაამარცხებდნენ.

ფურიუსმა უბრძანა ბანაკიდან აშლა მზის ამოსვლამდე ორი საათით ადრე, დაიძრა კალასკენ და ამასთნა წინ გაისტუმრა დომიციუსის გზით სამი, გლეხკაცურად ჩაცმული მთხრობელი, რომელნიც განგებ უნდა ჩავარდნოდნენ სპარტაკს ხელში და ეცადათ მისი მოტყუება ცრუ ჩვენებით, რომ ვითომც ფურიუსი მთელი თავისი ჯარით უკან დაბრუნდა გაეტაში.

ამასობაში თავის მთხრობელთაგან სპარტაკმა შეიტყო, რომ ტიფერნუმთან რომის ჯარის ერთი ნაწილი იყო დაბანაკებული; მაშინვე მიხვდა, თუ რა მიუტევებელი შეცდომა მოუვიდა ვარინიუსს, რომ თავისი ჯარი ორად გაყო; ამასაც მიხვდა, როგორც გამჭრიახი, ნათელი გონების კაცი იყო, რომ დაცემას უპირებდა ორივე მხრიდან. ერთ წამსაც არ დაყოვნებულა, გადაწყვიტა ორივე დაჯგუფების შუა შევარდნა და ჯერ ერთის დამარცხება, მერე მეორესი.

სპარტაკის ერთი შესანიშნავი თვისებათაგანი იყო ის, რომ სწრაფად მოისაზრებდა თავის მდგომარეობას, გარემოებას. ხვდებოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო და დაუყოვნებლივ ასრულებდა თავის გადაწყვეტილებას.

მან გამოიყენა ყველაზე იოლი და გამოსადეგი ტაქტიკა - ელვისებური სისწრაფის ტაქტიკა, შემოღებული გაიუს მარიუსის მიერ, რამაც შემდგომ იულიუს კეისარს უშველა ქვეყნების დაპყრობაში. ყველა დიდი ბრძოლა მოგებული სპარტაკის მიერ, რამაც იგი სამართლიანად დააყენა იმ დროის ბრწყინვალე მთავარსარდალთა გვერდით, არა მარტო მისი ჯარისკაცების მამაცობის, არამედ ჯარების მოძრაობის ელვისებური სისწრაფის შედეგი იყო.

სპარტაკმა ბრძანება გასცა, ბანაკი აეშალათ; დაიძრა დომიციუსის მძიმე, კაპუადან კაზილინუმამდე გაჭიმული, ბორცვებს შორის გამავალი გზით ზღვის ნაპირზე და ციცაბო ნაპირებს შორის მობუყბუყე წყლის ხმაურში მივიდა ვულტურნუმამდე.

ამ სიარულის შემდეგ ის იყო, რომ განთიადისას, სწორედ იმ დროს, როდესაც კვესტორი ფერიუსი უახლოვდებოდა კალას, სპარტაკი მიუახლოვდა კაპუას და გაჩერდა სამ მილზე ჯარის დასასვენებლად. ღიმილით მოისმინა სპარტაკმა თავისი მთხრობელებისაგან, თუ რა ალიაქოთი მოახდინა მისმა მოახლოებამ ქალაქში, ჩაკეტეს ყველა ალაყაფი, ჩამოუშვეს სერსეროები,

აძვრნენ ყორეებზე დაცახცახით მოელოდნენ თავდასხმას. ერთი საათის დასვენების შემდეგ სპარტაკმა უბრძანა ხელახლა გამგზავრება კაზილინუმისაკენ, სადაც იმავე საღამოს მივიდა სწორედ იმ დროს, როდესაც კვესტორი ფერიუსი შედიოდა კალაში.

კაზილინუმი, პატარა, ცოცხალი, მჭიდროდ დასახლებული ქალაქი მდებარეობდა ვულტურნუმის მარჯვენა ნაპირზე, რომელიც მის კედლებს რეცხავდა. იგი მდებარეობდა ორ მილზე კაპუადან, თერთმეტ მილზე კალადან და ოცდაორზე - ვულტურნუმის შესართავიდან. ამგვარად, კაზილინუმი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი მომავალ სამხედრო ოპერაციებში. მისი ხელში ჩაგდება დიდი მნიშვნელობის იყო სპარტაკისათვის.

უნდა ვთქვათ, რომ კლოდიუს გლაბრის დამარცხების შემდეგ სანამ პუბლიუს ვარინიუსს გამოგზავნიდნენ, სპარტაკმა, რაკი სრული თავისუფლება ჰქონდა, როგორც უნდოდა ევლო მთელ კამპანიაში, უბრძანა, პატრიციების მინდვრებზე მირეკილი გარეული ცხენები გაეხედნათ და ამნაირად შეადგინა ცხენოსანთა ჯარი, ექვსასი ცხენოსნით. მათი უფროსობა ჩააბარა გულად და ღირსეულ ბარტორიქსს, რომელმაც კრიკსს დაუთმო მეორე ლეგიონის უფროსობა.

როგორც კი დაბანაკდნენ, სპარტაკმა ნება მისცა დაღლილ ჯარისკაცებს, დაესვენათ რამდენიმე დღე, რომ ძალა მოეკრიბათ, სანამ კვესტორი ფურიუსი, რომელიც დომიციუსის გზაზე იდგა,

ლიტერნუმამდე მიაღწევდა. თრაკიელს განზრახული ჰქონდა, ზურგიდან დაერტყა და გაენადგურებინა მისი კოჰორტები.

სპარტაკმა მეტისმეტი სიფრთხილით მოიხმო თავისთან ბარტორიქსი და უბრძანა ექვსი საათის დასვენების შემდეგ, შუაღამისას, გაეყო შუაზე თავისი ცხენოსანი რაზმი იმ აზრით, რომ ერთი დომიციუსის გზით ტიფერნუმამდე გაეგზავნა, რათა შეეგროვებინა ცნობები მტრის ჯარზე, მეორე - აპიუსის გზით კალაში დასაზვერავად. ორივე რაზმი მზის ამოსვლამდე უნდა დაბრუნებულიყო ბანაკში და შეეტყობინებინა

დაზვერვის შედეგი. მზის ამოსვლამდე ერთი საათით ადრე მეორე რაზმი, თვით ბარტორიქსის წინამძღოლობით დაბრუნდა და შეატყობინა სპარტაკს, რომ მტერი კაზილინუმიდან მოდისო, რამაც დიდად გააკვირვა სპარტაკი. პირველ წამს გლადიატორების წინამძღოლს არ სჯეროდა ეს უცნაური ამბავი, მაგრამ ხელმეორედ გამოკითხვისა და ერთი წამის მოფიქრების შემდეგ მიხვდა ყველაფერს, რაც უნდა მომხდარიყო: იმ დროს, როდესაც მან აუხვია დომიციუსის გზას მარჯვნივ, რომ ფურიუსი წინ გაეშვა და დასცემოდა უკნიდან, რომის კვესტორმა ჩაუხვია მარცხნივ იმ აზრით, რომ ასცილებოდა გლადიატორებს და მისულიყო სასოფლო გზებით კაპუაში. ამგვარად, ორივე წინამძღოლს უნდოდა ერთმანეთის აცილება და კონსულის გზიდან წასულები ახლა შეეფეთებოდნენ ერთმანეთს პრეტორის გზაზე.

სპარტაკს არ დაუყოვნებია ერთი წამიც, უბრძანა დაეკრათ ჯარის გამოსასვლელი დაფი და დააყენა ორ რიგად საომრად გამზადებული. წინ გამწკრივდა ორი ათასი მეშურდულე და ქვეითი, რომელნიც უნდა შეტაკებოდნენ მტერს.. ამ რიგის უკან განაწყო დანარჩენი ლეგიონი, შეიარაღებული შუბებითა და სათხედებით.

ორად გაყოფილმა მეორე ლეგიონმა, დაიკავა მინდვრები და ვენახები, ერთმა მარცხენა მხარეს, მეორემ - მარჯვნივ. ისინი სწორედ ომის დროს მოულოდნელად უნდა დასცემოდნენ რომაელებს ზურგიდან და გვერდებიდან და შემორტყმოდნენ გარს.

მზე ის იყოამოვიდა და მოჰფინა თავისი ბრწყინვალე სხივები ოქროსფერ ყანებს და ამწვანებულ ვენახებს, როცა რომის ავანგარდი გამოჩნდა გორაკებს იქით. გლადიატორებმა იმავე წამს სეტყვასავით მიაყარეს ქვები და სათხედები. მხედრები უცებ გაბრუნდნენ უკან და ცხენები გააჭენეს, რომ შეეტყობინებინათ ფურიუსისათვის გლადიატორების მოახლოვება. იმავე წამს სპარტაკმა, რომელიც ლაშქრობებში ფეხით დადიოდა, როგორც მისი ამხანაგები, უბრძანა მოეყვანათ მისი მუდამ მზად მყოფი მშვენიერი შავი ცხენი და შემოახტა. მისი ვაჟკაცური ტანი ლამაზად გამოიკვეთა ზორბა ცხენზე. მან გასცა ბრძანება, დაეწყოთ შეტევა, რადგან უნდოდა მტერს დასცემოდა, სანამ ის საომრად მომზადებას მოასწრებდა.

მართლაც, როგორც კი გლადიატორების მოულოდნელი მოახლოვება შეატყობინეს, გნეუს ფურიუსმა მაშინვე უბრძანა თავის კოლონას გაჩერებულიყო და იმ სიმშვიდით, რომელსაც არასდროს კარგავს გულადი ადამიანი, გაგზავნა წინ ქვეითების რაზმი და მეშურდულეები. როგორც კი გაიშალნენ, რაც კი შეძლებოდა დიდ მანძილზე, რომ მტრისათვის არ მიეცათ ნება ორივე მხრით გარშემორტყმისა, დაიძრნენ გლადიატორების დასახვედრად, სანამ კოჰორტები საომრად მოემზადებოდნენ.

რომაელებმა ვერ მოასწრეს მომზადება, რომ გლადიატორები უკვე დაეცნენ იმათ წინა წყებას. მეშურდულეები და მეისრეები გულადად იგერიებდნენ მტერს რამდენსამე ხანს, მაგრამ ვეღარ გაუძლეს თავისზე ბევრად გადამეტებულ ძალას და დაიწიეს უკან იმ გორაკის ძირამდე, სადაც ფურიუსმა დააყენა თავისი ოთხი კოჰორტა. ლეგიონერებმა, ფერიუსის წინამძღოლობით, ისეთი სისწრაფით დაჰკრეს მტერს, რომ იმათაც თავის მხრივ უკან უნდა დაეწიათ, მაგრამ სპარტაკმა უბრძანა დაეკრათ უკან დახევის ნიშანი და ორი ათასმა შეიარაღებულმა გლადიატორმა, გაისროლა უკანასკნელი სათხედი და გამოერიდა იქაურობას და შეერია წინ მიმავალ მეომრებს,

რომლებიც ხმამაღალი „ბარას“ ყვირილით დაეცნენ რომაელებს. ატყდა ერთმანეთთან შეტაკებული ფარების რახარუხი, მახვილების წკრიალი და მებრძოლების გამხეცებული ყვირილი.

თითქმის ნახევარ საათს ორივე მხრივ ერთნაირი სიმძვინვარითა და ღირსებით იბრძოდნენ; მაგრამ რომაელები რიცხვით ბევრით ნაკლებნი იყვნენ მტერზე. ასე რომ, ფერიუსის ლეგიონერებმა დიდხანს ვერ გაუძლეს მათ გაშმაგებულ მოწოლას; დამარცხებულებმა ოთხივ კუთხით დაიწყეს დახევა, ამავე დროს კრიკსიც მეორე ლეგიონით გამოვიდა თავისი თავშესაფრიდან და ერთ წუთს ყოველი მხრიდან შევიწროებულმა რომაელებმა იწყეს უთავბოლოდ გაქცევა. ისინი თითქმის ყველანი და მათ შორის თვითონ ფურიუსიც ღირსეული სიკვდილით დაიხოცნენ. ასე დამთავრდა ეს ბრძოლა.

მეორე დღეს სპარტაკმა უბრძანა ბანაკიდან აშლა და გაუძღვა თავის ჯარს სადიცინიუმისკენ, კალაზე გავლით. გზა მიდიოდა აპენინის მთების კალთებზე და ისეთი მძიმე იყო, რომ სრულიად დაქანცული და ღონეგამოლეულნი მივიდნენ საღამოს იმ ქალაქში. მაშინვე გაგზავნა სპარტაკმა თავისი ცხენოსანი ჯარი ტეანისში, რამდენიმე მილის მანძილზე სიდიცინიუმიდან, რომ შეეკრიბათ ცნობები პრეტორ პუბლიუს ვარინიუსის შესახებ, რომელსაც სპარტაკის ვარაუდით, უნდა გაევლო ამ პატარა ქალაქზე ორი დღის წინათ.

მზვერავები რომ დაბრუნდნენ, შეატყობინეს სპარტაკს, რომ ის თითქმის არ შეცდა და პრეტორს

ვარინიუსს გაუვლია ტეანისზე მხოლოდ წინა დღეს, ალიავისზე მიმავალს. კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, აწონა რა უპირატესობას ანიჭებდა ეს გამარჯვება, რა დიდი წარმატება ხვდებოდა მის პოზიციებს სიდიცინიუმის ტეანისში, გადაწყვიტა, გზაზე გადაღობებოდა პრეტორს, სანამ ის სამხრეთ ქალაქებში გასვლას მოასწრებდა და თავის ჯარს იმათ გარნიზონებს მოუმატებდა. ამ აზრით სპარტაკმა დატოვა სიდიცინიუმის ტეანისი, დაიძრა ქვევით მდინარე ვულტურნუმის ნაპირის გაყოლებაზე და რვა საათის აჩქარებული სიარულის შემდეგ მივიდა კავდიუმის ხეობაში. მაშინვე უბრძანა გვალვისაგან ძალიან ამომშრალ რუზე გაედოთ ხის მორები, გადავიდა მეორე ნაპირზე და დაბანაკდა დიდი გზის ორივე მხარეს. მტერმა მოსვლა არ დაიგვიანა. მეორე დღეს, შუადღისას, ალიავისის გზაზე ვულტურნუმის ჭალაში, კავდიუმის მთის პირდაპირ, გამოჩნდა რომაელების ჯარი. ეს იყო ვარინიუსი თავისი კოჰორტებით. სპარტაკმა დააყენა თავისი ჯარი საომრად და მალე ბრძოლა გაჩაღდა. სასტიკმა და სისხლისმღვრელმა ბრძოლამ საღამომდე გასტანა. რომაელები ებრძოდნენ მტერს იშვიათი სიმამაცით, მაგრამ სამჯერ მეტი ჯარით შევიწროებულმა მზის ჩასვლის დროს დაიწყეს უკან დახევა. გლადიატორები ეცნენ ახალი ღონით და უკან დახევა მალე ნამდვილ გაქცევად გადაიქცა. სპარტაკის ქვეითები გამოეკიდნენ გაქცეულებს და მიარბენინებდნენ ნახევარი მილის მანძილზე. მაგრამ შიშმა ფრთები გამოასხა რომაელებს და მალე შორს მიატოვეს მდევრები. მაშინ სპარტაკმა მიუშვა ცხენოსანთა ჯარი, შეიჭრა გაქცეულების ბრბოში და დაიწყო ჟლეტა მარჯვნივ და მარცხნივ.

ორი ათასზე მეტი რომაელი დაიღუპა ამ ომში, კავდიუმის ხეობაში. ათას ხუთასზე მეტ დაჭრილთა შორის ვარინიუსიც იყო და ბევრი ტრიბუნიც: კოსინიუსი, ფაბიუს მაქსიმიუსი, ბიბულუსი. დაჭრილების მეტი ნაწილი ტყვედ ჩაუვარდა გამარჯვებულებს; მაგრამ სპარტაკმა იარაღი აჰყარა მათ და გაათავისუფლა, რადგან ბევრი ტყვე ძალიან დააბრკოლებდა მის ჯარს გაჭირვების დროს. ამ ბრძოლაში გლადიატორებმაც ბევრი დაკარგეს, ორას ორმოცდაათ კაცამდე დაიღუპა და ხუთასამდე გაიფანტა.

სრულიად სასოწარკვეთილმა პუბლიუს ვარინიუსმა თავი შეაფარა ალიავისში, რათა შეეკრიბა დანარჩენი ჯარი. აქ მან შეიტყო თავისი სრული დამარცხებისა და მისი კვესტორის სიკვდილის მწარე ამბავი. მეორე დღეს, რადგან შეეშინდა ხელმეორედ მტრის დაცემისა, რომელსაც წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, საჩქაროდ დაიძრა აპენინის მთებისკენ. სამ დღეში ორმა ბრწყინვალე გამარჯვებამ უფრო მეტად გაუთქვა სახელი სპარტაკს.

კავდიუმის ხეობიდან სპარტაკს დრო არ დაუკარგავს, წავიდა კავდიუმზე, სადაც ბრეზოვირი შეხვდა, სწორედ ის გლადიატორი, რომელმაც კრიკსის ბრძანებით ერთ დროს ჯაშუში გორდენიუსი მოკლა „დამმარხველი ვენერას“ სამიკიტნოს მახლობლად. ბრეზოვირი ორმოცდაათი ამხანაგით გამოიქცა ლენტულუს ბატიატის სკოლიდან. მას თვალს ადევნებდა რომის პოლიცია.

მისი რჩევით სპარტაკმა გადაწყვიტა კაპუაზე მისვლა იმ აზრით, რომ მოეხერხებინა იმ სკოლაში კიდევ დარჩენილი ხუთი ათასი გლადიატორის გამოყვანა. კავდიუმისბრძოლისსამი დღის შემდეგ სპარტაკი ათიათასიანი ჯარით დაბანაკდა კაპუას გალავანთან და მაშინვე გაგზავნა ქალაქის პრეფექტთან და სენატორებთან თავისი მაცნე, რომ ლენტულუსის სკოლიდან თავისუფლად გამოეშვათ უიარაღო ხუთი ათასი კაცი. თუ ამას არ აუსრულებდნენ, სპარტაკი ემუქრებოდა, იაერიშით ქალაქს ავიღებ, დავწვავ და ყველას ამოვჟლეტო.

თრაკიელის გამარჯვების ამბავმა კაპუამდეც მიაღწია ხალხის ფანტაზიით ერთიორად წარმატებულმა. ქალაქის გალავანთან სასტიკი მტრის მისვლამ თავზარი დასცა ყველას.

შეშინებული სენატი დიანას ტაძარში შეიკრიბა. ხალხი მოგროვდა ფორუმზე. ნახევარ საათში. ყველა დუქანი დაიკეტა. თმაგაწეწილი ქალები ტაძრებში დარბოდნენ და ევედრებოდნენ ღმერთებს შველას. პლებეები ითხოვდნენ, რომ სენატს მიეღო წინადადება გლადიატორებისა და დაეხსნა ქალაქი აუცილებელი დაღუპვისგან.

მეციუს ლიბეონუსმა, გაფითრებულმა და შეშინებულმა ქალაქის პრეფექტმა, ენის ბორძიკით

გადასცა სენატს სპარტაკის სიტყვები. სენატორები, იმაზე არანაკლებ შეშინებულნი, უხმოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს და ვერ გაებედათ აზრის გამოთქმა.

ამ გაუბედაობით ისარგებლა სამხედრო ტრიბუნმა, მამაცმა ჯარისკაცმა, გამოცდილმა მებრძოლმა, ოთხი კოჰორტის უფროსმა, რომლებიც რამდენიმე თვის წინათ

რომაელებმა გამოგზავნეს კაპუას დასაცავად, და სთხოვეს სენატს მიეცა ნება, ეთქვა თავისი აზრი.

როგორც გულადმა და სამხედრო საქმეში გამოცდილმა კაცმა, დაუწყო ახსნა შეშინებულ სენატორებს, რომ სპარტაკის მუქარა არის მხოლოდ ცარიელი ტრაბახი. რომ თუ დიდძალი სხვადასხვა სამხედრო იარაღი არ არის, არასგზით არ შეიძლება იერიშით ქალაქის აღება, ისეთი მაღალი გალავნით არის დაცული კაპუა, რომ გლადიატორები თავის დღეში ვერ გაბედავენ ამისთანა საქმეს.

მაგრამ შიშმა სრულებით გამოატვინა კაპუას სენატორები. ყველანი ერთბაშად წამოცვივდნენ თავიანთი სკამებიდან, თითქო მორიელმა უკბინათო და დაიწყეს ყვირილი, რომ ტრიბუნი ჭკუაზე შეიშალა, რომ როდესაც გლადიატორები ნოლას იღებდნენ, ისინი რიცხვით ნაკლებნი იყვნენ და უფრო ცუდად შეიარაღებულნი, მაგრამ მაინც აიღეს ქალაქი ორი საათის განმავლობაში, რომ მათ სულაც არ სურდათ ტრიბუნის პატივმოყვარეობისათვის მიეცათ

დასაწვავად თავისი სახლები და ასაკუწავად - თავისი ოჯახები; რომ ქალაქიდან ხუთი ათასი გლადიატორის გაშვება აუცილებელი იყო. მათ ბანს აძლევდა ფორუმზე შეკრებილი მოქალაქეების ყვირილი, რომელნიც ითხოვდნენ ქალაქის დახსნისთვის სპარტაკის მოთხოვნის ასრულებას. ამის შემდეგ კაპუას სენატორებმა თითქმის ერთხმად გადაწყვიტეს, დათანხმებოდნენ სპარტაკის მოთხოვნას.

ამგვარად, აქამდე ლენტულუს ბატიატის სკოლის კედლებშორის დამწყვდეული ხუთი ათასი გლადიატორი გაიყვანეს ქალაქგარეთ და ისინი მაშინვე მივიდნენ სპარტაკის ბანაკში, ტიფატინის მთების ფერდობზე. იქ მათ დაუხვდნენ ენით აუწერელი სიხარულით, მაშინვე შეაიარაღეს და შეადგინეს მესამე ლეგიონი, უფროსადდაინიშნა ბარტორიქსი, რომლის თანამდებობა, ცხენოსნების პრეფექტობა, სპარტაკმა ბრეზოვირს გადასცა.

კაპუაზე ამ იღბლიანი გალაშქრების შემდეგ გლადიატორები ხელახლა დაბრუნდნენ თავის ბანაკში ნოლასთან და დარჩნენ იქ ოცდაათი დღის განმავლობაში, რა დროსაც სპარტაკი ასწავლიდა სამხედრო წესებს თავის ახალ ლეგიონს. იმ დროს სპარტაკმა შეიტყო, რომ პრეტორი ვარინიუსი აგროვებდა ახალ ძალას, ხელახლა რომ შეჰყროდა ტრიალ მინდორზე გლადიატორებს.

სპარტაკმა გადაწყვიტა დაესწრო მტრისათვის. ამ აზრით დატოვა კრიკსი ორი ლეგიონით ნოლაში და თვითონ ენომაის ლეგიონით გადაიარა აპენინის მთები, გაიარა სამნიუმი და მიუახლოვდა ბოვანიუმს, სადაც მისი მოსაზრებით ვარინიუსი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რომის პრეტორი ქალაქში არ იყო და მისი ადგილი ეკავა კვესტორ ლელიუს კოსინიუსს.

კავდიუმის ხეობაში დამარცხებულმა პუბლიუს ვარინუისმა მისწერა სენატს დამარცხების მიზეზებზე, რომელიც ახლა სერიოზულ საფრთხედ გადაიქცა, რადგან მის მოსასპობად ორი ლეგიონი მაინც იყო საჭირო, აგონებდა თავის წარსულ სამსახურს სამშობლოსადმი და ძველი ვეტერანი ითხოვდა, როგორც მოწყალებას, რომ

სენატს მიენდო მისთვისვე იმ ომის დამთავრება და საფლავში არ ჩაეტანებინა თავისი დამარცხების ლაქა.

სენატმა შეიწყნარა ძველი მეომრის თხოვნა და გაუგზავნა ვარინიუსს რვა კოჰორტა, ე. ი. ოთხი ათასზე მეტი გამოცდილი ჯარისკაცი და ნება დართო შეეკრიბა მარსებსა, სამნიტებსა და პიცენტებს შორის თექვსმეტი ახალი კოჰორტა. ეს ერთად შეადგენდა ორ ლეგიონს, რომელიც საჭირო იყო, ვარინიუსის აზრით, რომ ბოლო მოღებოდა გლადიატორებს.

ვარინიუსს, როგორც უფროსს, ამორჩევის ნება ჰქონდა და ამიტომ მან ამოირჩია თავის კვესტორად ომში მოკლული ფურიუსის მაგივრად ლელიუს კოსინიუსი, თუმცა ტრიბუნებში

მოიძებნებოდა იმაზე უფრო ჭკუამახვილიც და შორსმჭვრეტელიც. ჩააბარა მან უფროსობა რომიდან ახალ მოსულ რვა კოჰორტის და უბრძანა, დარჩენილიყვნენ ბოვიანუმში, რომ სპარტაკი არ შეეშვათ სამნიუმში. თვითონ კი კავდიუმის ხეობაში დამარცხების შემდეგ გადარჩენილი ორი ათასი კაცით დაიწყო სვლა ქალაქებში და ჯარისკაცების შეკრება.

როდესაც სპარტაკი ბოვიანუმს მიადგა და საომრად იწვევდა კოსინიუსს, ამ უკანასკნელს ახსოვდა თავისი უფროსის დარიგება და ამიტომ ჩაიკეტა ქალაქის გალავანში იმ გადაწყვეტილებით, რომ გლადიატორის დაცინვა აეტანა.

მაშინ სპარტაკი მიხვდა ვარინიუსის აზრს და გადაწყვიტა, არ მიეცა ჯარების შეკრების დრო. მან დატოვა ენომაი ლეგიონით ბოვიანუმში და თვითონ ცხენოსნების ჯგუფით დაბრუნდა ნოლას ბანაკში.

აქ მას ორი მოულოდნელი და სასიამოვნო ამბავი მოელოდა. პირველი და უმთავრესი იყო გრანიკის მოსვლა ხუთი ათასზე მეტი გლადიატორით, გალებით, გერმანელებითა და თრაკიელებით რავენას სკოლებიდან. ამ მომატებით გლადიატორის ჯარი, გაყოფილიუკვე ოთხლეგიონად, ოცი ათას კაცამდეადიოდა და სპარტაკმა უძლეველად მიიჩნია თავი. მეორე, არანაკლებ სასიამოვნო ამბავი იყო მისი დის მირცას მისვლა ბანაკში. სპარტაკი მოეხვია და

სიხარულის ცრემლებით დაუწყო კოცნა სახეზე. ქალი მხურვალედ კოცნიდა ძმას პირზე, ხელებზე, ტანისამოსზე და ეუბნებოდა:

- სპარტაკ! ოჰ, სპარტაკ! ჩემო საყვარელო ძმაო! რამდენი ტანჯვა გამოვიარე შენთვის! როგორ მეშინოდა! იმის შემდეგ, რაც ეს საშინელი ომი დაიწყო, ერთ წამს მოსვენება არ მქონია. სულ იმას ვფიქრობდი: ახლა რომ დაჭრილი იყოს, მე რომ საჭირო ვიყო მისთვის? იმიტომ, რომ ვერავინ, ვერავინ, ჩემო კარგო სპარტაკ, ვერ მოგივლის ჩემზე კარგად. დიდი ღმერთები იყოს შენი მფარველი... და მეც მთელი დღეები ვტიროდი, ვთხოვდი ვალერიას, ჩემს კეთილ ქალბატონს, მოეცა ჩემთან წამოსვლის ნება და მან გამომიშვა. საბრალო, იუნონა იყოს იმ კეთილი ქალის მუდმივი მფარველი. მან გამომიშვა და ისიც დაუმატა, რომ გამათავისუფლა. ახლა მე ხომ მონა აღარ ვარ, სპარტაკ და შემიძლია საუკუნოდ შენთან დარჩენა.

ამ ბავშვური ტიტინის დროს ყმაწვილი ქალი ხან ტიროდა, ხან უცინოდა ძმას.

მათგან რამდენსამე ნაბიჯზე იდგა არტორიქსი და შეჰყურებდა თავისი მშვენიერი ლურჯი თვალებით ამ შეხვედრას. ბოლოს მოკრძალებით წადგა წინ და უთხრა: - მე, დიდებულო და უძლეველო წინამძღოლო, მე კი არ მომცემ ნებას მოგესალმო?

ამ დროს ყმაწვილმა გადახედა მირცას, თითქოს ბოდიშს იხდიდა მის წინაშე, რომ ართმევდა ძმის ალერსს.

- ოჰ, არტორიქს, შენც აქ ხარ? მოდი, ჩაგიკრა გულში! ჩემო საყვარელო მეგობარო, კეთილშობილო ყაწვილო! მოდი, გაკოცო!

მაგრამ გულითადი ბედნიერებით გახარებული სახე უეცრად მოეღრუბლა თრაკიელს, თავჩაღუნულმა ღრმად ამოიოხრა და მიეცა ფიქრებს. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოეთხოვა მეგობრებს და წავიდა მირცასთან ერთად თავის კარავში. მას ძალიან უნდოდა გამოეკითხა რამე დისთვის ვალერიას შესახებ, მაგრამ მოკრძალება არ აძლევდა სურვილის აღსრულების ნებას.

სპარტაკის იღბლად მხიარულმა და მოუღალავმა ყმაწვილმა ქალმა მალე ჩამოაგდო ლაპარაკი სულას ქვრივზე.

- დამიჯერე, დამიჯერე, ჩემო სპარტაკ, - იმეორებდა ყმაწვილი ქალი, რომელსაც თრაკიელის კარავში ვახშამი მოემზადებინა და დაეწყო პატარა ჯირკვზე, მაგიდის მაგივრობას რომ სწევდა, - რომის ყველა მანდილოსანი რომ ვალერიას ჰგავდეს, მე ჩემს თავზე გამოვცადე მისი კეთილშობილება, მაშინ მონობა გადავარდნილი იქნებოდა კანონით, იმიტომ, რომ იმისთანა

დედებისაგან დაბადებული შვილები არ გააკეთებდნენ და ვერც მოითმენდნენ საპყრობილეებს, გლადიატორების წამებას, ჯვარცმას და ხოცვას.

- ვიცი, ვიცი! - გატაცებით შეჰყვირა სპარტაკმა და მაშინვე დაუმატა: - მჯერა შენი.

- შენ კი პატივსა გცემსისე, როგორც არც ერთი მანდილოსანი არსცემს პატივს საკუთარი გლადიატორების მასწავლებელს. ძალიან ხშირად ვლაპარაკობდით შენზე და როგორ გაქებდა, როგორი აღტაცებული იყო შენით! განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ეს ომი დაიწყე. ყოველ შენს ახალ გამარჯვებაზე, ვალერია სულ იმეორებდა: დიახ, დიახ, ის დიდებულ სარდლად არის დაბადებული...

- ის ამბობდა ამას? - ჰკითხა საპრატკმა მთლად ანთებულმა.

- დიახ, ამბობდა, - უპასუხა მირცამ, - აქ ჩვენ დიდხანს დავრჩებით? მე უნდა ვიზრუნო შენს კარავზე. რა არეულია! არაფერი არ არის, რაც საჭიროა, თითქოს აქ გლადიატორების წინამძღოლი კი არა, უბრალო ჯარისკაცი ცხოვრობდეს. დიახ, ის სწორედ ასე ამბობდა და ერთხელ კიდევაც წაეკამათა ჰორტენზიუსს, თავის ძმას, ორატორს: შენ იცნობ იმას? ვალერია უმტკიცებდა, რომ შენგან დაწყებული ომი

სამართლიანია და ღმერთებმა უნდა მოგცენ სრული გამარჯვება, თუ მართლა ისინი ხელმძღვანელობენ მოკვდავთა ბედისწერას.

- ო, ვალერია! - ჩურჩულებდა მეტისმეტად აღელვებული, ფერდაკარგული სპარტაკი.

- რა უბედური კი არის, საბრალო, რა უბედური! - დაუმატა უცებ მირცამ და ცრემლით აემღვრა თვალები.

- უბედური? როგორ? განა ის უბედურია? - შეჰყვირა შეწუხებულმა თრაკიელმა.

- დიახ, ძალიან უბედურია. რატომ, არ ვიცი! ეს კი ვიცი, რომ ხშირად ტირის და ოხრავს. სულ მოწყენილია. იქნება ნათესავების უთანხმოების მიზეზით, იქნება სულას სიკვდილით, თუმცა არა მგონია. ერთადერთი მისი მანუგეშებელი მისი პატარა გოგონაა, პოსტუმია. რა მშვენიერი ბავშვია!

სპარტაკმა ღრმად ამოიოხრა, მალულად მოიწმინდა ცრემლი და დაიწყო სიარული კარავში. თემის შეცვლა უნდოდა და ჰკითხა:

- მირცა, მარკუს ვალერიუს მესალაზე, ვალერიას ბიძაშვილზე ხომ არ გაგიგონია რამე? ჩვენ ბრძოლის ველზე შევხვდით ერთმანეთს და მე დავჭერი. არ იცი, განიკურნა თუ არა?

- როგორ არა! ჩვენც შევიტყვეთ შენი სულგრძელობა. ვალერია ცრემლებით გლოცავდა, როდესეც ტუსკულუმუს სასახლეში მოსულმა ჰორტენზიუსმა უამბო ეგ საქმე.

ამ დროს ათისთავი შევიდა სპარტაკის კარავში და უთხრა, რომ ვიღაც ყმაწვილ ჯარისკაცს, ეს არის ახლა რომიდან მოსულს, სურს საჩქაროდ შენი ნახვაო.

სპარტაკი კარავიდან გავიდა პრეტორის მოედანზე. გლადიატორთა ბანაკი რომის ბანაკების წესით იყო აგებული. სპარტაკის კარავი გაშალეს ერთ ბორცვზე. მის წინ იყო სამსჯავრო. ამ მოედანს რომაელები პრეტორისას ეძახდნენ. სპარტაკის კარავს უკან იყო კიდევ სხვა კარავი, რომელშიც დროშები ინახებოდა. მათ ახლოს მცველებად იდგა ათი ჯარისკაცი, დეანის წინამძღოლობით. როცა კარვიდან გავიდა, სპარტაკმა მართლა დაინახა ახალმოსული, მაგრამ ყმაწვილი კაცი კი არა, როგორც ათისთავმა მოახსენა, არამედ თოთხმეტიოდე წლისა, შემოსილი იშვიათი სიმდიდრის სამხედრო ტანსაცმლით.

სპარტაკმაგაოცებითშეხედა ყრმას, მერე ათისთავსშეხედა, თითქოს ეკითხებოდა, ეს ის მეომარია, ისე ჩაციებით რომ უნდოდა ჩემთან ლაპარაკიო? რა დაინახა, რომ ათისთავმა თავი დაუქნია, მივიდა ყრმასთან და გაკვირებული ხმით ჰკითხა:

- მაშ შენ გინდოდა ჩემი ნახვა? რა გინდა? ყმაწვილს სახე უეცრად აენთო და ცოტა ხნის

ყოყმანის შემდეგ მტკიცედ უპასუხა:

- დიახ, სპარტრაკ, მე მინდოდა. ერთი წამის შემდეგ დაუმატა:

- ვერა მცნობ?

სპარტაკი ჩაუკვირდა ყრმის მშვენიერ სახეს და თავში რაღაც მოგონებამ გაუელვა. მერე თვალმოუშორებლივ ჰკითხა:

- მართლა მინახავხარ, მაგრამ სად? რომაელი ხარ?

ყმაწვილმა თავი გაიქნია. ტუჩებზე მწარე და უსიამოვნო ღიმილმა გადაურბინა.

- მეხსიერება მკლავზე სუსტი გქონია, ღირსეულო სპარტაკ!

ამ ღიმილზე, ამ სიტყვებზე თითქოს ელვამ გაუნათა თავი თრაკიელს. თვალები გაკვირვებით დააშტერა და შეჰყვირა იმ ადამიანის სახით, რომელიც თავის გრძნობასვე არ უჯერებს:

- ნუთუ შენა ხარ? ოლიმპის იუპიტერო! ნუთუ ეს შენ ხარ?

- დიახ, მე ვარ, ევტიპიდა, - უპასუხა ყმაწვილმა, უფრო სწორად ბერძენმა ქალმა, რადგან სპარტაკის წინ გადაცმული კურტიზანი ქალი ევტიპიდა იდგა. იმ დროს, როდესაც სპარტაკი გაკვირვებით სინჯავდა ქალს, მან თქვა:

- განა მე მონა არ ვარ? განა ყველა ჩემი მახლობლები მონები არ არიან? განა მე სამშობლოს არ მომაშორეს? განა რომის გარყვნილებმა არ გამხადეს მე სულმდაბალ კურტიზან ქალად?

დაფარული ბრაზი ისმოდა ყმაწვილი ქალის ლაპარაკში. უკანასკნელი სიტყვები მან ოდნავ გასაგონად წარმოთქვა:

- მესმის, მესმის! - უპასუხა სპარტაკმა მწარედ ჩაფიქრებულმა და თავჩაღუნულმა და ამ წუთს თავისი და მოაგონდა. ერთ წამს გაჩუმდა, მერე თავი აიღო მაღლა და ამოოხვრით უთხრა: - მაგრამ შენ ქალი ხარ, ფუფუნებით ცხოვრებას დაჩვეული. რა შეგიძლია, აქ რა უნდა გააკეთო?

- ვფიცავ დელფოს აპოლონს, რომ ჯოჯოხეთის ღმერთებმა დაგიხშეს გონება! რა უნდა გავაკეთო

აქ? უნდა გადავუხადო სამაგიერო მამისა და ძმების სიკვდილისათვის, დედის დატყვევებისათვის, სამშობლოს აოხრებისათვის, ჩემი შეურაცხყოფისათვის, ჩემი დაღუპული ყმაწვილქალობისათვის და შენ კი მეკითხები, თუ რა უნდა გავაკეთო ამ ბანაკში!

ისეთი საშინელი მძულვარებით იყო სავსე ყმაწვილი ქალის სახე, რომ სპარტაკმა ხელი გაუწოდა ქალს და უთხრა:

- იყოს ნება შენი! დარჩი ჩვენთან, ივლი ჩვენ მხარდამხარ. თუკი შეძლებ, იბრძოლებ ჩვენთან...

- მე ყველაფერს შევძლებ, რასაც მოვინდომებ, - უპასუხა წარბშეკრულმა ყმაწვილმა ქალმა და მაგრად ჩამოართვა ხელი სპარტაკს. მაგრამ გლადიატორის ხელის შეხებამ უეცრად თითქოს მოჰკვეთა ევტიპიდას ენერგია, გაფითრდა, მუხლები მოეკვეთა და

ის იყო გული მისდიოდა, რომ სპარტაკმა ხელი მოხვია, რომ არ დაცემულიყო. ქალი შეკრთა. ჟრუანტელმა დაუარა მთელ ტანში. თრაკიელმა მზრუნველად ჰკითხა:

- რა დაგემართა?

- ნება მიბოძე, დაგიკოცნო ეს ხელები, რომელთაც დიდებისა და ძლევამოსილების

შარავანდედით შეგმოსეს, - წარმოთქვა ევტიპიდამ ნელი ხმით, დაიჩოქა და დაუწყო კოცნა გლადიატორის მზისგან დამწვარ ხელებს.

რაღაც ბინდი გადაეკრა სპარტაკს თვალებზე. სისხლი აუდუღდა, თავბრუ დაეხვა. მზად იყო ჩაეკრა გულში მშვენიერი ქალი, მაგრამ უცებ გონს მოვიდა, საჩქაროდ გამოგლიჯა ხელები და თავშეკავებით უთხრა:

- გმადლობ, სულგრძელო ქალო, დაჩაგრულთა მიმართ შენი ერთგულებისათვის, მაგრამ ჩვენ მონობის მოსპობა გვინდა და ერთმანეთს ისე უნდა მოვექცეთ, როგორც თანასწორნი. ევტიპიდა დარცხვენილი იდგა უძრავად, თავჩაღუნული.

- რომელ რაზმში გინდა ყოფნა? - ჰკითხა სპარტაკმა.

- იმ დღეს აქეთ, რაც შენ ამბოხების დროშა აღმართე, დილიდან საღამომდე ვსწავლობდი ფარიკაობას და ცხენით სიარულს. თანა მყავს სამი ძალიან კარგი ცხენი, - უპასუხა თანდათან გონზე მოსულმა, - გინდა ამიყვანო შენს კონტუბერნალად[131]?

- მე კონტუბერნალები არ მყავს, - უგულოდ უპასუხა სპარტაკმა.

- თუკი აჯანყებული მონების ჯარი მოაწყვე რომაელთა მსგავსად, ახლა, როდესაც ის ავიდა ოთხ ლეგიონზე და მალე რვაზე და ათზედაც ავა, შენ, როგორც მათმა წინამძღოლმა, კონსულის ნიშნები უნდა იქონიო, იმიტომ, რომ გარეგანი შეხედულება კაცს სახელს და რიხს ჰმატებს. უკონტუბერნალებოდ ვერ იქნები, იმიტომ რომ, როდესაც ოციათასიან ჯარს უფროსობ, არ შეგიძლია ყველგან მოასწრო ყოფნა და დაგჭირდება მდევრების ყოლა ლეგიონებში შენი ბრძანების მისატან-მოსატანად. სპარტაკი გაკვირვებით ისმენდა ქალის ლაპარაკს.

- შენ იშვიათი ქალი ყოფილხარ! - წარმოთქვა მან, როდესაც ქალმა ლაპარაკი დაამთავრა.

- სჯობს თქვა, მამაკაცი, შემთხვევით ქალად დაბადებული, - ამაყად უპასუხა ქალმა და ერთი წამის სიჩუმის შემდეგ დაუმატა: - მე ხელი არ მიკანკალებს და გულიც არ მითრთის. ვლაპარაკობ კარგად რომაულად და ბერძნულად და შემიძლია დიდი სარგებლობა მოვუტანო ჩვენს საერთო საქმეს. იმასვევუძღვნი ახლა მთელ ჩემს სიმდიდრეს, რომელიც შეადგენს თითქმის ექვსას ტალანტს, და დღეიდან ჩემს სიცოცხლესაც ვწირავ.

ამ სიტყვებით ის გადგა განზე და დაუსტვინა, ერთი წამის შემდეგ ევტიპიდასთან მოვიდა

მეჯინიბე და მოიყვანა ცხენი, რომლის უნაგირზე ეკიდა ევტიპიდას სიმდიდრით ავსებული ორი ტომარა.

თრაკიელი თანდათან განცვიფრებაში მოჰყავდა ყმაწვილი ქალის დიდსულოვნებას, რამდენსამე წამს დაბნეული იდგა და არ იცოდა, რა ეპასუხა. მერე კი უთხრა, რომ ეს თავისუფლების მოსაპოვებლად შეკრებილ მონათა ბანაკი იყო და იმასაც დიდი სიამოვნებით მიიღებდნენ. საღამოს შევკრებ ჯარის წინამძღოლებს და მოვახსენებ ამ გულუხვ საჩუქარზე. რაც შეეხება კონტუბერნალად მის აყვანას, ამაზე დაპირდა პასუხის გაცემას მაშინ, როდესაც თავის ამხანაგებს მოელაპარაკებოდა.

როდესაც სპარტაკი თავის კარავში დაბრუნდა, ევტიპიდა დიდხანს მისჩერებოდა გაჩუმებული და გაუნძრეველი ქანდაკებასავით. ბოლოს ამოიოხრა, თავს ძალა დაატანა და ნელი ნაბიჯით, მძიმედ თავჩაღუნული წავიდა ბანაკის იმ ბოლო მხარეს, რომელიც დანიშნული იყო მეკავშირეებისათვის და სადაც უბრძანა, გაეშალათ მისთვის კარავი.

- მაინც მიყვარს! - ჩურჩულებდა თავისთვის ევტიპიდა.

ევტიპიდას ნახვის შემდეგ სპარტაკმა მაშინვე უბრძანა, მოეხმოთ კარავში სამხედრო ბჭობაზე

კრიკსი, გრანიკი, ბარტორიქსი, არტორიქსი, ბრეზოვირი და ყველა ტრიბუნი, და მათთან შუაღამემდე დაჰყო.

გადაწყდა, ქალისთვის მადლობა გადაეხადათ უხვი საჩუქრისათვის. ამას გარდა საჭიროდ დაინახეს, რომ სპარტაკს ჰყოლოდა თავისთან კონტუბერნალები. რადგან გლადიატორების მრავალრიცხოვან ჯარში პირადი ბრძანების გადაცემა შეუძლებელი იქნებოდა, სპარტრაკმა ამოირჩია ათი კაცი კონტუბერნალებად და მათ რიცხვში - ევტიპიდაც.

მეორე დღეს, გათენებისას, სპარტაკი გავიდა ბანაკიდან თავისი ლეგიონით და კავდიუმის მთებით გაემართა ალიაფისაკენ. ბევრს ეხვეწნენ ევტიპიდა და მირცა, მაგრამ არ მოინდომა მათი თან წაყვანა. ეუბნებოდა, რომ ომში კი არა, დასაზვერავად მიჰყავდა ჯარი და ძალიან მოკლე ხანში დაბრუნდებოდა.

როცა ბოვიანუმში მივიდა, სპარტაკმა შეიტყო, რომ ენომაის მოსწყინდა უნაყოფო ლოდინი ქალაქის გალავანთან და ორი დღე არის, რაც აიშალა ბანაკიდან, დატოვა კოსინიუსი ბოვანუმში და გაემგზავრა სულმონიუმისკენ, სადაც, მოკრეფილი ცნობებით პრეტორი ვარინიუსი უნდა ყოფილიყო. ენომაის იმედი ჰქონდა თავს დასხმოდა მას და ამოეჟლიტა.

საუბედუროდ, მოხდა ის, რაც ვერ გაითვალისწინა წინდაუხედავმა გერმანელმა. მეორე დღეს, გლადიატორები რომ წავიდნენ, კოსინიუსი ციხიდან ჩუმად გამოვიდა და მათ დაედევნა, ცხადია იმ აზრით, რომ უკანიდან დასცემოდა, როგორც კი ვარინიუსს შეებმოდნენ. მაშინვე მიხვდა სპარტაკი, რა განსაცდელშიაც ჩავარდებოდა ენომაი რამდენიმე დღის შემდეგ. თავისი დაქანცული მეომრები შეასვენა მხოლოდ ექვსი საათით, გაჰყვა უკან კოსინიუსს, რომელსაც გაესწრო წინ ორი დღით. მაგრამ კოსინიუსი, ძველი ჯარისკაცი მეტად გონებაგაუხსნელი და ყურმოჭრილი მონა ერთხელვე დადგენილი ჩვეულებისა, დინჯად და წესიერად გადიოდა ოც მილს დღეში, მაშინ, როდესაც სპარტაკი აჩქარებით მიმავალი ოცდაათ მილზე მეტს

ასწრებდა და მესამე დღეს მოეწია აუფიდენუმის ახლო. დაეცა, დაამარცხა და გამოეკიდა ისეთი უჯიათობით, რომ არ დაასვანა არც ერთ წამს. კოსინიუსი, გადარეული სირცხვილისა და სასოწარკვეთილებისაგან, გლადიატორებში გადაეშვა და მოკვდა, როგორც შეშვენოდა მეომარს.

სპარტაკს არ მოუცდია არც ერთ საათს, საჩქაროდ გაუდგა ისევ გზას და მივიდა სწორედ დროზე, რომ გამარჯვებად გადაექცია ის დამარცხება, რომელიც ენომაის მოელოდა, რადგან ვარიანიუსს შებრძოლებოდა მარუვუმსა და ფუცინუმის ტბას შორის. რვა ათასი რომაელი გაცხარებული ებრძოდა ენომაის ლეგიონს, რომელიც უკვე ემორჩილებოდა ბევრად გადამეტებული მტრის ძალას, სპარტაკის უეცარმა მოსვლამ შეცვალა ომის მდგომარეობა. ვარინიუსი დამარცხდა და ბევრი დანაკლისით დაიწია კორფინიუმში.

როცა დაასვენა თავისი ჯარები სამ დღეს, სპარტაკმა ხელმეორედ გაილაშქრა და გადაიარა აპენინის მთები აუფიდენუმთან, აიღო სორა წინააღმდეგობის გაუწევლად. აქ არანაირი ძალდატანებისთვის არ მიუმართავს, მხოლოდ მონები და გლადიატორები გაანთავისუფლა და შეაიარაღა.

ორ თვემდე დაიარებოდა ლაციუმში, იყო ანგანუმში, არპინუმში, ფერტინუმში, კაზინუმში, გაიარა ლირისი, აიღო ნორბა, სუესა-პომეტია და კიდევაც უახლოვდებოდა რომის გალავანს, რაც თავზარს სცემდა ქალაქის მცხოვრებლებს.

ამ გალაშქრების დროს სპარტაკს შემოუერთდნენ იმდენი მონები და გლადიატორები, რომ იმათგან შეადგინა მშვენივრად შეიარაღებული და ჩაცმული ორი ახალი ლეგიონი. ამის მიუხედავად, სპარტაკი იმდენად გონიერი იყო, რომ ერთ წამსაც არ მოსვლია ფიქრად, ეღონა რამე რომის საწინააღმდეგოდ, რადგან ძალიან კარგად ესმოდა, რომ არც ოცი ათასი მეომრით და არც თუნდა ოცდაათი ათასით, კამპანიაში დაბანაკებული ლეგიონებიც რომ მოეხმო, არ იყო შესაძლებელი გაებედა უკვდავ ქალაქზე თავდასხმა.

ამ დროს სენატის ნებართვით პუბლიუს ვარინიუსმა მოასწრო ჯარის მოგროვება პიცენტებში. რომიდან მიიღო ახალი დახმარება ჯარით და აგვისტოს ბოლოს ასკულუმიდან დაიძრა

გლადიატორების საწინააღმდეგოდ თვრამეტი ათასი ლეგიონერით. როცა შეიტყო ვარინიუსის მოახლოება, ამ დღეებში ტარაცინუმში გასული სპარტაკი დასახვედრად წავიდა. მტრები ერთმანეთს შეეტაკნენ აკვინუმის ახლოს, 19 სექტემბერს.

ეს იყო პირველი ბრძოლა, რომელშიაც სპარტაკი შეხვდა რომაელებს ტრიალ მინდორზე და თითქმის თანასწორი ძალით. აქამდე გულად თრაკიელს ხელს უწყობდა იღბლიანი შემთხვევები.

თითქო ყველაფერი ხელს უწყობდა რომაელებს. იმათკენ იყო დიდი ხნის გამოცდილება, თავისი უძლეველობის შეუდრეკელი რწმენა, მაგრამ ყველაფერი ეს ამაო გამოდგა.

ომის დაწყების წინ სპარტაკმა ჩამოუარა რაზმებს და გაამხნევა თავისი მეომრები ბრწყინვალე გამარჯვების იმედით და ჩააგონა მათ, არ დაეზოგათ თავი წმიდა საქმისათვის. ენით გამოუთქმელი აღტაცებით მიიღეს გლადიატორებმა თავისი წინამძღოლი და აღუთქვეს, რომ ან გამარჯვებული დაბრუნდებოდნენ, ან საერთოდ არ დაბრუნდებოდნენ.

დაიწყო ბრძოლა. მტკიცედ იდგნენ რომაელები. ვარინიუსი სიტყვით და მაგალითით ამხნევებდა თავის ჯარს. საღამომდე გასტანა ბრძოლამ, მაგრამ ვერაფერი უძლებდა სპარტაკის

ლაშქრის თავგანწირულ სიმამაცეს. უკანასკნელი შეტაკება, რომელსაც თვითონ სპარტაკი წინამძღოლობდა, ისეთი იყო, რომ რომაელებმა უკან დაიხიეს. გლადიატორები შეცვივდნენ რომაელთა ჯარში და უკან დახევა უთავბოლო გაქცევად გაუხადეს.

თავგანწირულად იბრძოდა საბრალო ვარინიუსი. სპარტაკისაგან დაჭრილმა დაკარგა ცხენი და მხოლოდ რაღაც სასწაულით გადაურჩა სიკვდილს, ოთხი ათასზე მეტი რომაელი ეყარა დახოცილი ბრძოლის ველზე. გლადიატორებმა ხელთ იგდეს ბანაკი, ბარგი, მტრის მრავალი დროშა. ტყვედ ჩაიგდეს პრეტორის თანმხლები ექვსი ლიქტორი. სპარტაკს ჯერ არ ახსოვდა ასეთი გამარჯვება.

14. ლიქტორი სიმპლიციანუსი

აკვინუმთან დამარცხების შემდეგ პრექტორმა პუბლიუს ვარინიუსმა თავისი ათი ათასი ჯარისკაცით, დამარცხებულ ლეგიონთა ნარჩენებით, ნორბიუმისაკენ დაიხია და იქ გამაგრდა, რათა დაეცვა აპიუსისა და ლაციუმის გზები, იმ შემთხვევაში, თუ მისთვის საზიზღარი გლადიატორი, ტაქტიკის, წესებისა და გამოჩენილ სარდალთა გამოცდილების საწინააღმდეგოდ, არ შეუშინდებოდა მოახლოებულს ზამთარს და რომის გალავნისაკენ დაიძვროდა.

სპარტაკმა შიკრიკი გაგზავნა ნოლას ბანაკში ახალი გამარჯვების შესატყობინებლად და თვითონ თავისი ჯარით დაბინავდა რომაელთა მიერ დატოვებულ ბანაკში. ამავე დღეს მოიხმო ენომაი, ჩააბარა ოთხი ლეგიონის წინამძღოლობა და მოსთხოვა მტკიცე ფიცი, რომ, რაც უნდა ყოფილიყო, არ დაიძვროდა ბანაკიდან და ცხენი გააქროლა, არავინ იცოდა, საითკენ.

ორი თვის განმავლობაში, იმ დღიდან, როდესაც სპარტაკი ნოლას ბანაკიდან გავიდა, იქ ყოველდღე მოდიოდა მონებისა და გლადიატორების ბრბო ისეთი სიმრავლით, რომ კრიკსმა შეადგინა იმათგან სამი ახალი ლეგიონი, ხუთი ათას კაცზე მეტი თითოში. მათი უფროსობა ჩაბარდა არტორიქსს, ბრეზოვირს და უზარმაზარი ტანის მოხუც კიმბრს. ეს კიმბრი სახელად

ვილმიუსი, თუმცა ველური ხასიათისა იყო და ღვინის მსმელი, მაინც დიდად სახელგანთქმული იყო გლადიატორებში თავისი ჰერკულესის ღონისა და იშვიათი გულახდილობის წყალობით.

როდესაც პრეტორ ვარინუისზე სპარტაკის ბრწყინვალე გამარჯვებამ გლადიატორების ბანაკს მიაღწია, მათ სიხარულს ბოლო აღარ ჰქონდა, მთელ მინდორს აყრუებდა ატაცებული ყვირილი, სიმღერა და მხიარული ლაპარაკი. ამ ჩოჩქოლში, მღელვარე ზღვას რომ მოგაგონებდათ, იქნებ მხოლოდ მირცამ არ იცოდა საერთო მხიარულების მიზეზი. მირცამ რომ გაიგონა ხმაური, გამოვიდა კარვიდან, სადაც მთელი დღეების განმადვლობაში იჯდა და ჰკითხა ჯარისკაცს:

- რა მოხდა?

- სპარტაკმა კიდევ დაამარცხა რომაელები, ისე, რომ დიდხანს ემახსოვრებათ.

- სად, როდის? - მოუთმენლად ეკითხებოდა ყმაწვილი ქალი.

- აკვინუმთან, სამი დღეა მას აქეთ. შეიპყრო პრეტორი, წაართვა ცხენი, დროშა და ლიქტორები!

ამ წამს მთავარ კარავთან, პრეტორის მოედანზე, მივიდა არტორიქსი. მან ისარგებლა შემთხვევით, რომ გადაეცა მირცასთვის ძმის გამარჯვება დაწვრილებით. მაგრამ როცა მივიდა და მიესალმა, ისე გაწითლდა, როგორც გასათხოვარი ქალი, და არ იცოდა, რით დაეწყო.

- აი, ხომ ხედავ... სალამი მირცა, - ბუტბუტებდა ახალგაზრდა. ჩასცქეროდა მიწას და აცოდვილებდა მახვილის, - შენ უკვე იცი, რასაკვირველია... ეს მოხდა ავკინუმთან... როგორ ხარ, მირცა?

რამდენიმე ხნის მტანჯველი სიჩუმის შემდეგ თქვა:

- ჰოდა, აი... ხედავ... სპარტაკმა კიდევ გაიმარჯვა.

რაც უფრო მეტს ცდილობდა არტორიქსი თვისუფლად ლაპარაკს, მათ მეტად ირეოდა; თითქოს ენა მუცელში ჩაუვარდაო, რაღაცას უაზროდ ბუტბუტებდა, თვითონვე ესმოდა, რა სასაცილო იყო, და უჯობდა ერთი სამად უფრო ღონიერ მტერთან მდგარიყო, ვიდრე ამ ლურჯთვალებიან ყმაწვილ ქალთან. საქმე ის არის, რომ არტორიქსს, ნაზსა და გულწმინდა ყმაწვილ კაცს, სპარტაკის მათაყვანებელს, ერთი ხანია გულში ჩაუვარდა რაღაც მისთვის სრულიად ახალი და უცნობი გრძნობა. მირცას დანახვაზე ის როგორღაც კრთებოდა. მირცას ხმას გაუგებარ

ათრთოლებაში მოჰყავდა; მისი ლაპარაკი ეჩვენებოდა ციურ მუსიკად, რომელსაც გადაჰყავდა ის უცნობ, მომხიბლავ ქვეყანაში.

იმ დღიდან, რაც სპარტაკი სამნიუმში წავიდა, ყმაწვილმა გლადიატორმა, თვითონაც არ იცოდა, როგორ, ძალიან ხშირად დაიწყო სიარული სპარტაკის კარავში, მირცასთან. ხშირად მოხდებოდა ხოლმე ისეც, რომ მთვარეულივით იწყებდა სიარულს და როდესაც მოიხედავდა, შეამჩნევდა, რომ უცნობ ჭალაში ან ვენახში იყო რამდენიმე მილზე ბანაკიდან, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, რატომ.

სპარტაკის წასვლიდან ერთი თვის შემდეგ მოხდა ის, რამაც ყმაწვილი გალი აიძულა, გონს მოსულიყო, რათა დაეწყნარებინა აშლილი გრძნობები.

და აი, რა მოხდა: მირცა პირველ ხანებში სრულებით ვერ ამჩნევდა არტორიქსის ხშირ სიარულს და ყოველთვის მეგობრულად, ზრდილობიანად და თავისუფლად ესაუბრებოდა, მაგრამ თანდათან იმანაც დაიწყო უცებ გაწითლება, გაფითრება და შეკრთომა არტორიქსის ყოფნის დროს. მაშინ ყმაწვილი კაცი დაფიქრდა ურთიერთშორის დამოკიდებულებაზე და მიუგდო ყური თავის გულის ძგერას. თავზარი დაეცა, როცა შენიშნა, რომ გაგიჟებით უყვარდა სპარტაკის და. მას აზრადაც არ მოსვლია, რომ ყმაწვილი ქალის გულშიც ის ტრიალებდა, რაც მის გულში.

ამნაირად, ახალგაზრდები იტანჯებოდნენ თავიანთი გრძნობის დაფარით. ნახვის დროს ბევრის თქმა უნდოდათ ერთმანეთისთვის და ჩუმად იყვნენ, უნდოდათ განშორებულიყვნენ და ვერ იძვროდნენ ადგილიდან.

აი, რატომ ისარგებლა ასეთი სიხარულით არტორიქსმა სპარტაკის ახალი გამარჯვებით და კარგ მიზეზად ჩათვალა, რომ ენახა სპარტაკის და.

მირცა აენთო დილის ცისკარივით. მაგრამ ეცადა აღელვების შეკავებას და ოდნავ აკანკალებული ხმით თქვა:

- გამიგონე. არტორიქს, განა ასე უამბობენ დას ძმის გმირულ გამარჯვებას?

ანტორიქსი გაწითლდა ამ სიტვებზე, მაგრამ დასძლია თავისი მოკრძალება და უამბო მირცას დალაგებით ყველაფერი, რაც მორბედებმა გადმოსცეს აკვინუმის ომის შესახებ.

- სპარტაკი ხომ არ დაჭრეს? - ჰკითხა გულის ფანცქალით ფერშეცვლილმა ქალმა. - ხომ არაფერი დამართნია?

- არა, არდაუჭრიათ, - უთხრა არტონიქსმა... - როგორც ყოველთვის, ისუვნებლად გამოვიდა განსაცდელისგან.

- მეც ვიცი, რომ ის უძლეველია, როგორც აიაქსი, - ამოოხვრით უთხრა ქალმა, - მაგრამ ისეც ვიცი, რომ უკვდავი არ არის, როგორც აქილევსი[132].

- დიდებული ღმერთები, ჩვენი წმიდა საქმის ცხადად მფარველები დაიფარავენ ჩვენი წინამძღოლის ძვირფას სიცოცხლეს.

- დღეს არ გაიყვან შენს ლეგიონს სასწავლებლად?

- ოჰ, მირცა, - შეჰყვირა შეწუხებულმა. - დავიჯერო, ასე არ გინდა ჩემი აქ ყოფნა?

- ოჰ, არა, არა! - თქვა მირცამ დაუფიქრებელი გატაცებით, მაგრამ მაშინვე შეჩერდა, მთლად გაწითლდა და ენის ბორძიკით დაუმატა: - ეგ იმიტომ გითხარი, რომ ყოველთვის გულმოდგინედ ასრულებ შენს მოვალეობას.

- სპარტაკის გამარჯვების სადღესასწაულოდ კრიკსმა მთელი დღით დაასვენა ლეგიონები.

მათი ლაპარაკი ისევ შეწყდა.

ბოლოს მირცამ გადაწყვეტით გადადგა ნაბიჯი კარვისკენ და ყმაწვილი გლადიატორისთვის შეუხედავად თქვა აჩქარებით:

- მშვიდობით, არტორიქს!

- ოჰ, ნუ მიდიხარ, ნუ მიდიხარ... დამაცადე თქვა... აგერ რამდენი დღეა, სულ მინდა გამოგიტყდე... - შეჰყვირა არტორიქსმა, შეშინებულმა ქალის წამოდგომით, რაკი მიხვდა, რომ ან ახლა უნდა ეთქვა ყველაფერი, ან არასდროს.

- რა უნდა მითხრა? რაზე გინდა ჩემთან ლაპარაკი? - ჰკითხა უფრო შეშფოთებულმა, ვიდრე გახარებულმა სპარტაკის დამ, რომელიც კარვის წინ იდგა არტორიქსისაკენ სახემობრუნებული.

- გამიგონე... მაპატიე... აგერ ორი თვეა, რაც ვიტანჯები და მეტი აღარ შემიძლია... მაგრამ კი არ გეწყინოს ჩემი სიტყვები, იმიტომ, რომ ეს თავისთავად მოხდა... მე სულაც არ ვარ დამნაშავე.

როცა კიდევ რამდენიმე არეული სიტყვა თქვა, ისევ გაჩერდა. მერე უცებ წამოუვიდა სიტყვები აჩქარებით, ერთმანეთზე მოყოლებული, როგორც მთის ნაკადულის ტალღები.

- რატომ უნდა გიმალავდე? რატომ უნდა ვცდილობდე ჩემი გრძნობის დამალვას, როდესაც არ შემიძლია დაფარვა, იმიტომ რომ მაინც ჩანს ყოველ ჩემს სიტყვაში, ყოველ ამოოხვრაში. აქამდე ვერ გადაგიშალე ჩემი გული, რადგან მეშინოდა, არ გწყენოდა, არ შეგზიზღებოდი, მაგრამ ახლა აღარა მაქვს ამ სატანჯველის ატანის ღონე. მიყვარხარ, მირცა! მიყვარხარ, როგორც დროშა ჩვენი, როგორც სპარტაკი, ბევრად მეტად, ვიდრე თვითონ ჩემი თავი. თუ ჩემი სიყვარული შენთვის შეურაცხმყოფელია, თუ გეზიზღები, მაშინ მაპატიე. რაღაც ფარული ძალა მიზიდავდა შენკენ უნებურად. არტორიქსი გაჩერდა და თავჩაღუნული ელოდა განაჩენს.

როდესაც გლადიატორი ლაპარაკობდა მირცა უფრო და უფრო მეტადღელავდა, თვალები თანდათან ცრემლებით ევსებოდა და ძალას ატანდა თავს, რომ ქვითინი არ ავარდნოდა. სახე მომაკვდავივით გაუხდა. როდესაც ბიჭმა დაამთავრა. მან ცრემლით სავსე თვალები მიაპყრო, ბოლოს, აღელვებისაგან ჩაწყვეტილი ხმით უთხრა:

- ოჰ, არტორიქს! კარგი იქნებოდა, რომ არასდროს გაგხსენებოდი და უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ არასდროს არ გამომტეხოდი სიყვარულში...

- მაშ მაგდენად გეჯავრები? - ასწია ფერმკრთალი სახე ნაწყენმა გლადიატორმა.

- არა, არა, არ მეჯავრები, არტორიქს! კეთილშობილო, პატიოსანო ყმაწვილო! რომელი სახელოვანი ქალიც გინდა, ბედნიერი გახდებოდა შენი სიყვარულით... მაგრამ ჩემი სიყვარული არ შეიძლება და უნდა... ჩაიქრო შენი გრძნობა და ამასთან... საუკუნოდ!

- რატომ? რატომ? - გამწარებული ეკითხებოდა არტორიქსი და ვედრებით უშვერდა ხელს.

- იმიტომ, რომ, -პასუხა ცრემლებით მირცამ, - იმიტომ, რომ... სიყვარული ჩვენ შორის... შეუძლებელია!

- რა თქვი? - გააწყვეტინა სიტყვა ნაცრისფრად ქცეულმა საბრალო გლადიატორმა და გაექანა წინ, თითქოს იმ აზრით, რომ ეტაცა ხელი და გაეჩერებინა, რადგან მირცამ ნაბიჯი გადადგა კარვისკენ, - რა თქვი? შეუძლებელიაო? რატომ არის შეუძლებელი? - მწუხარებისგან შესძახა მან.

- შეუძლებელია! - გაიმეორა მირცამ მტკიცედ და მკაცრი ხმით, - ხომ გითხარი, შეუძლებელია-მეთქი.

და მიტრიალდა, რომ კარავში შესულიყო. არტორიქსმა გადადგა ნაბიჯი, თითქოს უნდა გაჰყვესო, მაგრამ ყმაწვილმა ქალმა აიშვირა თითი მაღლა, გაჩერდა და სულშეგუბებული ხმით უთხრა:

- მასპინძლის სახელით ვითხოვ და სპარტაკის სახელით გიბრძანებ, არასოდეს აღარ შემოადგა ფეხი ამ კარავში.

თავისი სათაყვანებელი წინამძღოლის სახელის ხსენებაზე არტორიქსმა თავი ჩაღუნა და ერთ ადგილას გაშეშდა, შეძრწუნებული თავზე დატეხილი საშინელი უბედურებით. გაფითრებული მირცა ქვითინს ძლივსღა იკავებდა კარავში რომ შევიდა.

ახალგაზრდა გალი რამდენიმე ხანს იდგა კიდევ იმავე ადგილას, კარვის ფარდას მიჩერებული, სადაც ქალი მიეფარა და თავისთვის იმეორებდა დაბალი ხმით:

- შეუძლებელია! შეუძლებელია!

ამ მდგომარეობიდან საყვირის ხმამ გამოიყვანა: უკრავდნენ ბანაკში სპარტაკის გამარჯვების სასახელოდ. გონს რომ მოვიდა, არტორიქსმა გაცოფებული ხმით შეჰყვირა, ცისკენ მუშტის მოღერებით:

- ჰოი, დალახვროს ღმერთმა, რა ხდება ჩემ თავს!

ხელებითმაზე წაივლო და მთვრალივით, ბარბაცით მოშორდა კარავს.

იმ დროს, როდესაც გლადიატორების ბანაკში დღესასწაულობდნენ ახალ გამარჯვებას, სპარტაკი თავისი სამასი მხედრით მიჰქოროდა რომის გზაზე.

თუმცა ვარინიუსზე უკანასკნელმა გამარჯვებამ თავზარი დასცა ქალაქს, მაგრამ სპარტაკი მაინც ვერ ბედავდა დღისით აპიუსის დიდ გზაზე სიარულს მარტო სამასი მხედრით. ის ადგებოდა გზას დაღამებულზე, დღე კი იმალებოდა რომელიმე ტყეში ან პატრიცის სასახლეში, დიდი გზიდან მოშორებით და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ არავის მოესწრო. მესამე ღამეს, აკვინუმის ბანაკიდან გასვლის შემდეგ, ის მივიდა ქალაქ ლაბიკუმს. აქ უბრძანა თავის თანამგზავრებს ტყეში დაფარულ, მოტიტვლებულ ადგილზე დაბანაკება, მოიხმო სამნიტი მამილიუსი, რაზმის უფროსი და დაუბარა, დალოდებოდა მის დაბრუნებას ოცდაოთხი საათი. თუ მეორე ღამე არ მოვიდოდა, მაშინ აღარ ეცადა და დაბრუნებულიყო აკვინუმის ბანაკში თავისი მხედრებით, იმავე გზით და იმავე წესით.

შეახტა ცხენს და მარტო გაექანა პრეტორის გზაზე.

ამ ძველი ქალაქის გარშემო, მშვენიერი გორაკების ფერდობზე გაფანტული იყო რომის

პატრიცების მრავალი სასახლე, რომელთაც უყვარდათ ზაფხულის თვეების იქ გატარება და ხანდახან შემოდგომის დამლევამდეც რჩებოდნენ.

სპარტაკი ორ მილზე იყო ქალაქიდან, როცა ირიჟრაჟა. ჰკითხა გზაში შეხვედრილ გლეხკაცს, სად იყო სულას ქვრივის, ვალერია მესალას სასახლე. როცა მიიღო საჭირო ცნობა, შემოჰკრა დეზი თავის შავ ცხენს და მიიჭრა სასახლის რკინის მესერთან. სახეზე ჩაჩქანი ჩამოეფარებინა. გადმოხტა ცხენიდან და ჩამოჰკრა პატარა ზარს.

ჯერ ადრე იყო და მეკარე დიდხანს არ უღებდა კარს. როდესაც გამოჩნდა პატარა ჭიშკართან, დიდ უარზე დადგა, მოეხსენებინა ქალბატონისთვის, თუმცა სპარტაკი არწმუნებდა, რომ ათისთავი იყო მარკუს ვალერიუს მესალას კოჰორტიდან, ძალიან საჭირო საქმის შესახებ გამოეგზავნათ და დაუყოვნებლივ უნდა ენახა ვალერია.

დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ შეუშვა სპარტაკი ჭიშკარში და წავიდა სახლთუხუცესისთვის მოსახსენებლად. მაგრამ აქ უფრო გაძნელდა საქმე, მოხუცი სახლთუხუცესი მეკარეზე უფრო ჯიუტი გამოდგა და გადაჭრით გამოუცხადა უარი ასე ადრე ქალბატონის გაღვიძებაზე.

- მაშ, ეს მაინც მითხარი, - უთხრა სპარტაკმა ეშმაკობით, - ბერძნული კითხვა ხომ იცი?

- არ ვიცი, ჩემო ძმაო, იმიტომ, რომ ლათინურადაც ცუდად ვკითხულობ.

- დავიჯერო, მთელ სახლში ისეთი ადამიანი არ მოიძებნება, რომ ტრიბუნ მესალას ბარათი წაიკითხოს ვალერიასთვის მიწერილი?

სახლთუხუცესისგან პასუხის მოლოდინში, სპარტაკმა დაიწყო უბის ჩხრეკა, ვითომდა ეტრატს ეძებდა, რომ თუ სასახლეში მართლა აღმოჩნდებოდა ბერძნულის წამკითხავი, ეთქვა, წერილი დამკარგვიაო. როგორც სპარტაკი მოელოდა, სასახლეში არც ერთი მონა არ აღმოჩნდა, რომელსაც შეეძლებოდა ბერძნულის წაკითხვა. მოხუცებულმა სახლთუხუცესმა თავი გაიქნია და უთხრა:

- მონებიგაიქცნენ ამ სახლიდან გლადიატორთაბანაკში. ყველანი, ბერძნებიც, სხვებიც...

შემდეგ უფრო ხმადაბლა, გულმოსულმა წაიჩურჩულა.

- იუპიტერის ელვას ფერფლადაც უქცევია ის წყეული გლადიატორი!

სპარტაკმა დაიცხრო მღელვარება. თუმცა მის წინაშე მოხუცი იდგა, მაგრამ სიამოვნებას მოჰგვრიდა მისი მიბეგვა. ბოლოს, როგორც იყო, თავი შეიკავა და სახლთუხუცესს ჰკითხა:

- ეგრე მშვიდად როგორ ლაპარაკობ, როდესაც გლადიატორს ლანძღავ?

- იმიტომ... იმიტომ... - ბურტყუნებდა შემკრთალი სახლთუხუცესი, - იმიტომ, რომ სპარტაკი ვალერიასა და მისი მეუღლის, სულა ბედნიერის შინაყმა იყო. იგი იყო მათი გლადიატორების მასწავლებელი. ვალერია კი ჩემი უკეთილშობილესი ქალბატონი, ღმერთები იყვნენ მისი მფარველნი, იმ სპარტაკს დიდ ადამიანად თვლის და გვიკრძალავს მასზე ცუდის თქმას.

- აი, ბოროტი ქალი! - თითქოსდა დაცინვით დაიძახა სპარტაკმა.

- აბა, ჯარისკაცო! - გააწყვეტინა სახლთუხუცესმა, უკან დაიხია და აწონ-დაწონა გლადიატორი თავით ფეხამდე, - რა კადნიერად ლაპარაკობ ჩემს მოწყალე ქალბატონზე!

- არა, მე ცუდს არაფერს ვამბობ, მაგრამ თუ კეთილშობილი რომაელი მანდილოსანი თანაუგრძნობს გლადიატორს...

- ხომ გითხარი, ამაში უძლურია-მეთქი...

- გავიგე! თუ შენ, მონას, ძალა არ შეგწევს გაკიცხო ეს უძლურება, მე, გათავისუფლებულს, შემიძლია ვკიცხავდე.

- ყველაფერში სპარტაკს მიუძღვის ბრალი!

- მართალს ამბობ, ვფიცავ პლუტონის სკიპტრას, ყველაფერში დამნაშავე სპარტაკია... ვფიცავ ჰერკულესს. მარტო ისა თქვი, როგორ გაბედა თანაგრძნობა ჩაენერგა მოწყალე ქალბატონის გულში.

- ჩაუნერგა კიდეც საზიზღარმა გლადიატორმა.

- მართლაც რომ საზიზღარმა.

აქ გააწვეტინა სიტყვა თრაკიელმა და ჰკითხა შეცვლილი ხმით:

- განა რა დაგიშავა სპარტაკმა, რომ ეგრე გეჯავრება?

- რა დამიშავა? რა დამიშავა?

-

- იმიტომ გკითხავ, რომ როგორც მე გამიგონია, ის მონებს ათავისუფლებს და რადგან შენც მონა ხარ, ამიტომ მე მგონი, უფრო უნდა თანაუგრძნობზე იმ უკეთურს. შემდეგ პასუხის მიცემა აღარ დააცადა სახლთუხუცესს და დაუმატა:

  მაგრამიქნება განგებ ამბობ?

- განგებ ვამბობ? მე ვამბობ განგებ? მინოსმა მოგიტევოს ეგ ჩემი შეურაცხყოფა სასჯელის დღეს! რათ უნდა ვამბობდე განგებ? თავისი უგუნური საქმით იმ გლადიატორმა მე ყველაზე უბედური გამხადა. უიმისოდ ჩემს კეთილ ქალბატონთან სრული ბედნიერი ვიყავი ჩემი ორი შვილით... ოჰ, რა მშვენიერი ახალგაზრდები იყვნენ! ნეტავ გენახა! ტყუპად დამებადნენ და ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, როგორც კასტორი და პოლუქსი[133].

- მერე რა მოუვიდათ?

- გლადიატორის ბანაკში წავიდნენ და აგერა სამი თვეც არ არის, არაფერი ვიცი. ვინ იცის, ცოცხლები არიან, თუ დაიხოცნენ... ოჰ, დიდებულო სატურნო, მფარველო სამნიუმისა, შენ დაიფარა ჩემი ძვირფასი შვილები!

მოხუცი აქვითინდა. სპარტაკს შეებრალა და ერთი წამის სიჩუმის შემდეგ უთხრა:

- მაშ შენ გგონონია, რომ სპარტაკი ცუდად მოიქცა იმ ომის დაწყებით და შენი ვაჟები არ უნდა მიმხრობოდნენ?

- დიახ, ვფიქრობ და სულ მუდამ ამ აზრის ვიქნები. ცუდი გააკეთეს, რომ რომის წინააღმდეგ აღდგნენ. რა თავისუფლებას გაიძახის ის გიჟი გლადიატორი? მე დავიბადე თავისუფალ მეცხვარედ სამნიუმის მთებში. დაიწყო სამოქალაქო ომი. ჩვენმა წინამძღოლებმა დაიწყეს ყვირილი: ჩვენც გვინდა მოვიპოვოთ უფლება რომის მოქალაქეობისა, როგორც ძველმა რომაელებმაო. და ჩვენც ავჯანყდით, ვიომეთ, სიცოცხლე გავწირეთ... მერე რა გამოვიდა? ის, რომ მე, სამნიუმის თავისუფალი მთიელი, გავხდი მესალას ოჯახის მონა. კიდევ ჩემი ბედი, რომ ასეთ კარგ ბატონებში ჩავვარდი... თავისუფალი სამნიტის ცოლიც მონა გახდა და ჩვენი შვილებიც მონებად დაიბადნენ... - აქ მოხუცი შეჩერდა ერთ წამს და რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ დაუმატა: - ოცნებაა, ბოდვაა... ქვეყანა ყოველთვის იყოფოდა და გაიყოფა ბატონებად და მონებად, მდიდრებად და ღარიბებად, პატრიციებად და პლებეებად. ასე იყო და ასეც იქნება... ბოდვაა... რის გამო იღვრება ჩვენი შვილების ძვირფასი სისხლი, რისთვის? მერე მე რა, თუნდ რომ გათავისუფლდნენ მონები, რაც სრულებით შეუძლებელია, და ჩემი შვილები კი დაიხოცონ! მერე რაში მოვიხმარო ჩემი თავისუფლება? ვიტირო, რამდენიც მინდა? თუნდა ჩემი შვილებიც გადარჩენ, ყველაფერი ისე მოხდეს, რომ უკეთესი არ იქნება, და ხვალ მეც და ჩემი შვილებიც თავისუფალი გავხდეთ, მერე რა? რა შეგვემატება თავისუფლებით, თუკი სულით

ხორცამდე არა გვაბადია რა? ახლა ჩვენი ქალბატონისგან გვაქვს ყველაფერი საჭირო და თუმცა მონები ვართ, მაგრამ კმაყოფილები ვემსახურებით; ხანდახან მეტიც გვაქვს.

-
ჩვენი გათავისუფლების მეორე დღეს კი რაც საჭიროა, იმასაც ვერ ვიქონიებთ... დიდი ბედნიერება არ არის შიმშილით სიკვდილი თავისუფლებაში!

მოხუცი გაჩუმდა. მისი სიტყვა, ჯერ ნაწყვეტ-ნაწყვეტი და უთავბოლო, თანდათან ლაპარაკში გახდა ცხადი, დალაგებული და მჭევრმეტყველური. მისმა სიტყვამ ღრმა შთაბეჭდილება იქონია სპარტაკზე, რომელიც არასდროს უყურებდა საქმეს ამ მხარით. მძიმე ფიქრებში გართული, თავჩაღუნული, ერთ წამს უძრავად იდგა. ბოლოს შეკრთა და ჰკითხა:

მაშ არავინ გყავთ, რომ ბერძნული წაიკითხოს?

- არავინ.

- მაშ მომიტანე ძვლის ფიცარი და ჩხირი.

როდესაც ერთიც და მეორეც მოუტანეს, სპარტაკმა დაწერა ბერძნულად ორი სტრიქონი ლექსი ჰომიროსიდან:

„შორით მოვსულვარ მოგზაური, ბედით დევნილი, რათა ვემთხვიო, დედოფალო, მუხლებსა შენსა“. მერე მიაწოდა ფიცარი სახლთუხუცესს და უთხრა:

- წაუღე ამ წამს გოგოს და უთხარი, ახლავე გააღვიძოს თავისი ქალბატონი, თორემ ორივეს ცუდი საქმე დაგემართებათ.

მოხუცი წავიდა უცნობი ასოების ყურადღებით სინჯვით. სპარტაკმა კი დაიწყო სიარული სასახლის ეზოში. მოხუცი მონის სიტყვები ღრმად გაუჯდა გულში.

„მართალს ამბობს, - იმეორებდა გლადიატორი, მძიმედ დაფიქრებული, - რად უნდა თავისუფლება, თუკი შვილებს დაუხოცავენ? რად უნდა გამარჯვება, თუკი თავისუფლება, რომელსაც ეგ იყიდის ისეთი ძვირფასი სისხლით, თან შიმშილს მოუტანს? დიახ. ის მართალია! მაშ თუ ასეა, რიღასთვის ვიკლავთ თავს, რისთვის ვადენთ სისხლის მდინარეებს?“

სპარტაკი უეცრად შეჩერდა, შეშინებული, ფიქრებისაგან თავდამძიმებული. ერთი წამის შემდეგ ნელ-ნელა დაიწყო სიარული.

„მართლაც, რისთვისაც ვიბრძვი, ეს მხოლოდ ოცნებაა, სიმართლის მომხიბლავ საბურველში გახვეული, და ამ მოჩვენებას მივდევ, რომელსაც ვერასოდეს მივაღწევ! რომც დავეწიო, ბურუსივით გაიფანტება, მე კი მომეჩვენება, რომ ხელში მიჭირავს. რა არის ეს? მხოლოდ სიზმარი, ოცნება, ფუჭი ფანტაზია? და ამ მოჩვენებისთვისა ვღვრი ადამიანთა სისხლის ნაკადულებს?“

ამ ფიქრებით თავდამძიმებული შეჩერდა, მერე რამდენიმე ნაბიჯით დაიხია უკან, თითქოს უხილავი სასტიკი მტერი - სასოწარკვეთილება დასდევნებიაო. მაგრამ მაშინვე მოიკრიბა გონება.

-

„ვფიცავ ყოვლად ძლიერი ოლიმპის იუპიტერის ელვას, - ჩურჩულებდა იგი, - სადა წერია, რომ თავისუფლება ხელჩაკიდებული დასდევს შიმშილს? ადამიანის ღირსება რად უნდა იყოს შემოსილი სიღარიბის ძონძებში? ვინ დაადგინა ეს? რომელ ღვთის კანონში წერია?“ სპარტაკი შეჩერდა, ამოიოხრა და განაგრძო:

„ჰო, რა თქვა იმ მოხუცმა? უძლურმა, სულმდაბალმა, მონობაში განებივრებულმა? იმას ავიწყდება, რომ ადამიანია, გონიერი არსება და საქონელივით შეუგნებლად ატარებს მძიმე ტვირთს“.

ამ წამს სახლთუხუცესი დაბრუნდა და უთხრა სპარტაკს, რომ ვალერია მაშინვე ადგა ლოგინიდან და მოელის თავის კონკლავში.

აღელვებული სპარტაკი მოხუცს გაჰყვა. ერთი წუთიც და თავის საყვარელ ვალერიასთან იყო.

მანდილოსანი დივანზე იჯდა. სპარტაკმა ჩაკეტა კარი, ჩაჩქანი აიწია და ფეხებში ჩაუვარდა.

ვალერია ყელზე შემოეხვია უსიტყვოდ და მათი ბაგეები შეეწებნენ ერთ წამში. დიდხანს იყვნენ ისინი გაუნძრევლად, მერე უცებ, თითქოს განგებ, ორივემ უკან დაიწია და ერთმანეთს შეხედეს. თვალებში ბედნიერების ცრემლმორეულმა ოდნავ წაიჩურჩულა:

- ოჰ, სპარტაკ, ჩემო საყვარელო სპარტაკ, რა ბედნიერი ვარ, რომ ისევ ჩემთან ხარ.

ისინი ხელახლა მოეხვივნენ ერთმანეთს. ახალგაზრდა ქალი კოცნიდა, უალერსებდა თავისი საყვარელის ოქროსფერ თმას და სიყვარულით ეჩურჩულებოდა:

- ჩემო ძვირფასო, როგორ მეშინოდა, როგორ ვიტანჯებოდი! რამდენი უძილო ღამე გავატარე ფიქრებში, რომელშიაც შენ იყავი! არაფერზე არ შემეძლო ფიქრი, შენ გარდა, ჩემო პირველო, უკანასკნელო, ერთადერთო ნამდვილო სიყვარულო! მერე ერთი წამის შემდეგ ჰკითხა:

- მითხარი, ჩემო სათაყვანებელო, აქ როგორ მოხვედი? მითხარი, სახიფათო ხომ არაფერი მოგელის? სად არის შენი ჯარი, რომზე ხომ არ მიდიხარ? მიამბე შენი ძლევამოსილება! მითხარი, როდის გათავდება ეს საზარელი ომი და როდის დაბრუნდები თრაკიაში? როდის გათავისუფლდები და მეც შემეძლება განუყრელად შენთან ყოფნა? - ცოტა ხანს გაჩუმდა და მერე უფრო გულში ჩამწვდომი ხმით განაგრძო:

- იქ, იქ გამოგყვები, იქ ვიცხოვრებ შენთან ერთად ყველასგან მოშორებული. მთელი გულით მეყვარე:ბი, როგორც მარსი, როგორც მშვენიერი აპოლონი, ჩემო საყვარელო სპარტაკ!

- ხანგრძლივი და მკაცრი იქნება ომი, მაგრამ მოვახერხებ თუ არა იმ უბედური მონების მიყვანას მშობლების სახლებში... ეს მარტო ღმერთებმა იციან! იმისთვის, რომ სამართლიანობა და თანასწორობა დავამყაროთ ქვეყნად, აუცილებელია ხალხების ომი, რომლებიც აღსდგებიან არა მარტო რომის, ქვეყნიერების მბრძანებლის, არამედ საძულველი პატრიციების წინაამდეგ თავთავიანთ ქვეყანაში.

ალერსითა და კოცნით ცდილობდა ვალერია, რომ გადაეყარა ღრუბელი თავისი საყვარელის შუბლიდან. ვეღარ ამჩნევდნენ, როგორ გადიოდა დრო.

შეყვარებულების ბედნიერებას აორკეცებდა მშვენიერი პოსტუმიას, ვალერიას გოგონას, იქ ყოფნა, მისი ცელქობა. მის ბავშვურ სახეს აცისკროვნებდა დიდრონი შავი, მშვენიერი თვალები, რომლებიც კონტრასტს ჰქმნიდნენ მის მშვენიერ ოქროსფერ თმასთან.

სპარტაკმა უამბო ვალერიას, როგორ მივიდა მასთან და რამდენად საშიში იყო მისი დარჩენა მეტ ხანს, რომ იმავე ღამესვე უნდა დაბრუნებულიყო ლაბიკუმში.

ამ სამწუხარო ამბავზე ვალერიამ ცრემლები ვერ შეიკავა, უბრძანა გაეყვანათ პოსტუმია და ქვითინით ჩაეხვია თავის მეგობარს. ექვსი საათი, შუაღამიდან განთიადამდე, სპარტაკმა და ვალერიამ ერთმანეთის ხვევნაში გაატარეს. ვალერია ცრემლნარევი ხმით ეუბნებოდა, რომ რაღაც საიდუმლო გულისგრძნობით იცოდა, თუ სპარტაკი წავიდოდა, თავის დღეში ვეღარ ნახავდა მას. უკანასკნელად ეხვეოდა და ეალერსებოდა, უკანასკნელად ესმოდა მის სულში ჭეშმარიტი სიყვარულის აღმძვრელი ადამიანის ხმა.

სპარტაკი ცდილობდა საბრალო ქალის დამშვიდებას და მისი ცრემლების შეშრობას, გატაცებით კოცნიდა და ეალერსებოდა.

ასე გავიდა დრო, სანამ პატარა სვეტზე შუშის კლეპსიდრაში[134] წყალი მეოთხედზე არ ავიდა,

რაც დილის მეექვსე საათს ნიშნავდა. მაშინ სპარტაკმა გაითავისუფლა თავი ვალერიას მკვლავებიდან და დაიწყო ჯავშნის ჩაცმა.

შეშინებული წამოვარდა ვალერია, მესალას ქალი, ნაზად მოჰხვია ხელი, გაფითრებული ჩაეკრა მკერდში და მიაპყრო გლადიატორს თავისი შავი, მოელვარე, სიყვარულის გამომხატველი თვალები. ამ წუთში ისეთი მშვენიერი იყო, ბერძენ ქალღმერთებსაც შეშურდებოდათ მისი სილამაზე. ვალერია მწუხარებისგან ათრთოლებული ხმით ევედრებოდა:

- არა, დარჩი, სპარტაკ! დარჩი, გაფიცებ, ვინც კი ძვირფასი გყავს და შენს ღმერთებს... გლადიატორების საქმე კარგ გზაზე გაქვს დაყენებული... იმათ საუცხოო წინამძღოლები ჰყავთ: კრიკსი, გრანიკი, ენომაი... მათ დაამთავრონ ომი! დარჩი ჩემთან! მე გიალერსებ, მეყვარები უსაზღვროდ... ყოველი შენი სურვილი კანონი იქნება ჩემთვის! დარჩი, გევედრები!

- ოჰ, ვალერია, ჩემო საყვარელო, ნუ მთხოვ თავის დაცმირებას, ღალატს, - ეუბნებოდა სპარტაკი და თან ცდილობდა სიფრთხილით გაეთავისუფლებინა თავი მისი მკლავებიდან... - არ შემიძლია, არ შემიძლია მივატოვო ისინი, ვისაც ხელში იარაღი ავაღებინე! ოჰ, ვალერია, დავიჯერო, შენ გინდა მოღალატე გავხდე? ნუ მოითხოვ ჩემგან, არ ვიყო ღირსი შენი სიყვარულისა, გამიშვი, გამიშვი, სათაყვანებელო ვალერია!

ამ მწარე ბრძოლამ რამდენსამე წამს გასტანა. ვალერია თანდათან უფრო ღონივრად ხვევდა სპარტაკს ხელებს, განწირულება იშვიათ ძალას აძლევდა. ოთახში ისმოდა მხოლოდ აჩქარებული სუნთქვა, აჩქარებული კოცნა, ოხვრა, ვედრება და კვნესა.

ბოლოს სპარტაკმა მოიკრიბა მთელი თავისი ვაჟკაცობა, ხელში აიყვანა ვალერია და, როგორც ბავშვი, საწოლზე დააწვინა; რამდენიმე წუთს იწვა ვალერია ღონემიხდილი და პირზე ხელებმიფარებული, ნელა ქვითინებდა.

- უნდა წავიდე, უნდა წავიდე...

- სპარტაკ! სპარტაკ! - ეჩურჩულებოდა მისუსტებული ხმით და ვედრებით იშვერდა მისკენ ხელებს, - გაფიცებ... ჩვენს შვილს...

სპარტაკმა აღარ დააცადა, ხელში აიყვანა, აცახცახებულმა ჩაიკრა გულში და თავისი გახურებული ტუჩებით მის გაყინულ ტუჩებს დააკვდა.

ასე გავიდა რამდენიმე წუთი. მაგრამ როგორც კი სპარტაკი ოდნავ დააპირებდა განძრევას, - ვალერია ისევ თვალგაუხელლად მოხვევდა მაგრად ხელებს და ეჩურჩულებოდა:

- ნუ... ნუ... ნუ წახვალ!

- დროა წავიდე. ნახვამდის... ჩემო სათაყვანებელო ვალერია!.. - ეჩურჩულებოდა მღელვარებისაგან ათრთოლებული ხმით უბედური რუდიარი.

- არა, არა!.. დაიცადე!.. თქვა ვალერიამ და შეშინებულმა გაახილა თვალები.

- ხვალ, განთიადზე, როცა მზე ამობრწყინდება, ათას ხმაზე აჭიკჭიკდებიან ჩიტები. შენ მომეხვევი... ერთს კიდევ აკოცებ შენს პოსტუმიას... მე გაგიკეთებ ყელზე ამ მედალიონს...

მან აჩვენა ოქროს მედალიონი, ძვირფასი თვლებით მოჭედილი.

- იცი, ჩემო კარგო, ამ მედალიონში შენახულია ძვირფასი თილისმა, რომელიც დაგიფარავს ყოველი განსაცდელისაგან. მიხვდი, რა არის?

სპარტაკი ხმას არ სცემდა და მხოლოდ სიყვარულით შესცქეროდა მშვენიერ ქალს ღიმილით, თვალებში ცრემლმორეული.

- უმადურო, - ნაზი საყვედურით უთხრა ვალერიამ, - ვერ მიხვდი?

მერე მოიხსნა მედალიონი ყელიდან, გახსნა და აჩვენა სპარტაკს, შიგ იყო ორი ხვეული თმისა: ერთი შავი, მეორე - ქერა.

- სახსოვარი დედისა და შვილისა! - ჩასჩურჩულა ვალერიამ.

მეტად აღელვებულმა სპარტაკმა ტუჩებზე მიიდო მედალიონი და მხურვალე კოცნით დაფარა.

ვალერიამ გამოართვა ხელიდან თავის მეგობარს, თვითონაც აკოცა, ჩამოჰკიდა გულზე და უთხრა:

- იქონიე ჯავშნის ქვეშ, ტუნიკის ქვეშ, ზედ გულზე.

საბრალო თრაკიელს გული ეწიწკნებოდა. რომ აღარ ჰქონდა ლაპარაკის თავი, გულში იხუტებდა თავის საყვარელ ვალერიას და ცხარე ცრემლი გადმოსდიოდა ლოყებზე.

უეცრად გარედან ყვირილი მოისმა, იარაღის წკროიალი და ხალხის ხმამაღალი ლაპარაკი.

სპარტაკი და ვალერია გაფითრდნენ, სული განაბეს და ყური მიუგდეს.

- კარს არ გავუღებთ თქვენისთანა ავაზაკებს! - ყვიროდა ვიღაც დამტვრეული ლათინურით.

- მაშ ცეცხლს წაგიკიდებთ! - ისმოდა გააფთრებული პასუხი.

- ვფიცავ კასტორსა და პოლუქსს, ისრებს დაგიშენთ! - მიუგო პირველმა ხმამ.

- რა არის ეს? - ჰკითხა ჩუმად ვალერიამ.

- ალბათ მომაგნეს, - უპასუხა გლადიატორმა და თან ცდილობდა ვალერიასგან გათავისუფლებას, რომელიც ისე მაგრად მიეხუტა ხმაურზე.

- ნუ მიდიხარ, არ გაინძრე, გევედრები.. სპარტაკ... ჩემო საყვარელო... - ეჩურჩულებოდა შიშით ვალერია.

- მაშ შენ გინდა, რომ ცოცხლად ჩავუვარდე მტერს ხელში? - უთხრა ნელი, მაგრამ საზარელი ხმით გლადიატორმა. - გინდა მნახო ჯვარზე გაკრული?

- ოჰ, ღმერთებო! - განწირული ხმით შეჰყვირა ვალერიამ და უკან დაიწია თავზარდაცემულმა, - თავს უშველე! და თუ სიკვდილი გიწერია, მოკვდი მახვილით ხელში, გულში ლახვარდაცემული!

- გმადლობ, გმადლობ, საღმერთებელო ვალერია! - წარმოთქვა სპარტაკმა და თვალები აენთო,- ახლა მე უძლეველი ვარ! სპარტაკმა გასასვლელისკენ გაიწია.

- მშვიდობით, სპარტაკ, - შეჰყვირა საბრალო ვალერიამ და უკანასკნელად მიეხუტა გულზე.

- მშვიდობით, - უპასუხა მან ტკბილი კოცნით.

მაგრამ უცებ ტუჩები გაუცივდა ვალერიას და როგორც უსულო გვამი, ჩამოეკიდა სპარტაკს მკლავზე, თავი მის მხარზე ჩამოუვარდა.

- ვალერია, ვალერია! - შეჰყვირა თრაკიელმა საზარლად, როცა ჩააცქერდა ვალერიას მომაკვდავ სახეს, - რა დაგემართა? იუნონა, შენ იყავი ჩვენი მფარველი! ვალერია, ჩემო სათაყვანებელო! ღონე მოიკრიბე, გემუდარები!

დააგდო ძირს მახვილი, ფრთხილად დააწვინა საწოლზე, მუხლებზე დაუჩოქა

და დაუწყო კოცნა პირსა და ხელებზე.

მაგრამ ვალერია უძრავად იყო და უფრო მკვდარს ჰგავდა, ვიდრე გულშეწუხებულს. საზარელმა ეჭვმა გაუელვა თავში სპარტაკს. ვალერია არ სუნთქავდა. მაშინ ხელი დაადო გულზე და იგრძნო, ოდნავ უცემდა. გულზე ცოტათი მოეშვა. მივარდა კარს და დაიყვირა.

- სოფრონია! სოფრონია! გვიშველე!

გასასვლელად მომზადებულ სპარტაკს კარზე ფრთხილი კაკუნი მოესმა. დააყურა. ხმაური და ყვირილი შეწყდა. ისევ გაისმა კაკუნი და მამაკაცის ხმა:

- დიდსულოვანო ვალერია! ჩემო ქალბატონო! ელვის სისწრაფით წამოავლო ხელი მახვილს სპარტაკმა და გარეთ გავარდა. წინ სახლთუხუცესი დაუხვდა.

- რა გინდა? - ჰკითხა სპარტაკმა.

- მხედრები მოვიდნენ ჭიშკართან, - წაიბუტბუტა მოხუცმა, მთელი ტანით აკანკალებულმა. - ისინი ხმაურობენ და ითხოვენ, რომ გამოვიდეს მათი წინამძღოლი და... ამბობენ, რომ შენ... სპარტაკი ხარ! - წადი, უთხარი, რომ ახლავე გამოვალ. სპარტაკმა კარი მიუხურა სახლთუხუცესს, გაკვირვებისა და შიშისაგან გაქვავებულს.

სწორედ იმ წამს, როდესაც სპარტაკი ვალერიას კონკლავში ბრუნდებოდა, მეორე მხრიდან მონა გოგო შემოდიოდა.

- მალე დაუძახე სხვა მონებსაც, აიღეთ სპირტი, სასუნებლები და უშველეთ ქალბატონს: გული შეუწუხდა.

- ოჰ, ჩემო საბრალო, ოჰ, ჩემო კეთილო ქალბატონო! - დაიწყო მონა სოფრონიამ წუხილი.

- დროზე, დროზე! - დაუყვირა სპარტაკმა.

სოფრონია გავიდა და მალე დაბრუნდა სხვა ორ მონა გოგოსთან ერთად, რომელთაც მოჰქონდათ

ჭიქები სურნელოვანი წასასმელებით სავსე და სპირტი; სამივემ გულმოდგინედ დაიწყეს ფაცაფუცი ვალერიასთან და მის მომაკვდავ სახეს მალე მოეფინა ოდნავი სიწითლე.

სპარტაკმა, რომელიც მთელი დრო ვალერიას თავთან იდგა, თვალები მიაპყრო ზეცას, თითქოს მადლობას უხდიდა საყვარელი ქალის დახსნისათვის. მერე მივიდა საწოლთან, მუხლებზე დაეშვა, აკოცა ვალერიას თეთრს ხელს, მის შუბლს და საჩქაროდ გავიდა კონკლავიდან.

კიბეზე რომ ჩავიდა, დაინახა ორმოცდაათი ჩამომწკრივებული მხედარი, რომელთაც ცხენები აღვირებით ეჭირათ.

- აბა? - ჰკითხა მან მკაცრად, - რა გინდათ? რისთვის მოსულხართ?

- მამილიუსის ბრძანებით მოვედით, - უპასუხა ათისთავმა, ნახევარი ასეულის უფროსმა, - ჩვენ თვალს გადევნებდით შორიდან და გვეშინოდა, რომ...

- შეჯექი! - უბრძანა სპარტაკმა.

თვალის დახამხამებაზე ორმოცდაათივე მხედარი შეახტა ცხენებს.

რამდენიმე კაცმა გამოიყვანა სპარტაკის ცხენი. ის მოხუცებულ სახლთუხუცესს მიუბრუნდა:

- რა ჰქვია შენს ვაჟებს?

- ოჰ, დიდებულო სპარტაკ, - უპასუხა მან სლოკინით, - მათ ნუ გადაახდევინებ გუშინდელ ჩემს მოუფიქრებელ სიტყვებს!..

- ყურმოჭრილო მონავ! - შეჰყვირა განრისხებულმა სპარტაკმა, - როგორ ბედავ ასეთი სულმდაბლობის დაბრალებას? თუ გეკითხები მამაც ყმაწვილთა სახელებს, რომელთა მამობის ღირსიც არ ხარ, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიზრუნო მათზე.

- მაპატიე, კეთილშობილო სპარტაკ. მათ ჰქვიათ აკვილიუსი და აცილიუსი. იყავი მათი მფარველი, დიდებულო წინამძღოლო და ღმერთებმა მოგიმართონ ხელი!..

- ჯოჯოხეთშიაც გზა ჰქონიათ სულმდაბალ მლიქვნელებს! - დაიყვირა მრისხანედ, შემოჰკრა დეზი ცხენს და გააქროლა.

ღმერთმა უწყის, რა დაემართებოდა ცხენსა და მხედარს, რომ ორივესათვის საბედნიეროდ, სპარტაკს სხვა ფიქრები არ მოსვლოდა თავში:

ვაითუ ჯერ ისევ გულწასულმა ვალერიამ გაიგოს მისი უეცარი წასვლა? ვაითუ მძიმედ გახდა ავად? ვაითუ, ოჰ ღმერთებო, კვდება?

ამ საზარელ ფიქრზე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აჰკრა აღვირი და გაჭენებული ცხენი უცებ შეაჩერა. მისი თანამგზავრებიც შეჩერდნენ.

- ჩემთვის საჭიროა მესალას სასახლეში დაბრუნება, - უთხრა სპარტაკმა აღელვებული ხმით. - თქვენ კი ისევ გზას გაუდექით ლაბიკუმში.

- არ შეიძლება! - უპასუხა თითქმის ერთხმად ყველა გლადიატორმა.

- მერე ვინ გაბედავს ჩემს დაჭერას?

- ჩვენ! - უთხრა რამდენიმე კაცმა.

- ჩვენი სიყვარული შენდამი, - დაიძახა ვიღაცამ.

- შენი პატიოსნება! - წარმოთქვეს სხვებმა.

- შენი ფიცი! - თქვეს მესამეებმა.

- ჩვენი საქმე, რომელიც უშენოდ დაიღუპება!

- მოვალეობა! შენი მოვალეობა!

- ოჰ, ვფიცავ ყოვლისშემძლე იუპიტერს, რომ იქ ერთი ქალი დარჩა, რომელსაც ვაღმერთებ. იქნებ მწუხარებისაგან კვდება... მე არ შემიძლია...

- თუ, სამწუხაროდ, ღმერთებმა დაგვიფარონ ამისაგან, იგი მოკვდა, შენს თავსაც დაიღუპავ და ვერც მას უშველი. თუ შენი შიში ამაოა, შენი და იმის დასამშვიდებლად გავგზავნოთ ვინმე მის სასახლეში, - თქვა ვიღაცამ. მის ხმაში თანაგრძნობა და მომეტებული ერთგულება გამოსჭვიოდა.

- შენ გინდა, რომ ჩემს თავს გავუფრთხილდე და სხვა კი გავგზავნო სასიკვდილოდ? არა, არასდროს არ ჩაიდენს სპარტაკი ასეთ სულმდაბლობას.

- მე წავალ სასახლეში და იქიდან სრულიად უვნებლად დავბრუნდები, - თქვა მტკიცედ ერთმა მხედარმა.

- მერე შენ ვინ ხარ? როგორ მოახერხებ ამას?

- მე ვარ ერთ-ერთი შენი ძველი ამხანაგი და მხურვალე თაყვანისმცემელი შენი. მზადა ვარ სიცოცხლე შემოგწირო! ამ საქმეში, - დაუმატა მან, - ჩამომავლობით რომაელი ვარ და ძალიან კარგად ვიცი იქაური ჩვეულება და ენა. ჩავიცვამ გლეხკაცის ტანისამოსს, წავალ ვალერია მესალას სასახლეში და ჩვენს ბანაკში დავბრუნდები მთის ბილიკებით შენზე ბევრად უფრო ადრე. ასე რომ, იქ დაგხვდება ვალერიას ამბავი.

- შენ... თუ არ ვცდები, - უთხრა სპარტაკმა, - მგონი მონადირე რუტილიუსი ხარ.

- დიახ, - უპასუხა მან, - მე რუტილიუსი ვარ და ბედნიერად ვრაცხ ჩემ თავს, რომ შენ, სპარტაკმა, ამდენი ხნის უნახავმა, კიდევ გამომიცანი ათი ათას გლადიატორში.

რუტილიუსი იყო გულადი და საიმედო ყმაწვილი, რომლის ნდობაც შეიძლებოდა. სპარტაკმა რამდენიმე ხნის ყოყმანის შემდეგ მიიღო მისი შეთავაზება და გაუდგა გზას თავისი რაზმით. მალე შეხვდათ გზაში გლეხკაცის ფერმა, სადაც გლადიატორებმა იშოვნეს ყველაფერი, რაც საჭირო იყო, რომ რუტილიუსი შეემოსათ ადგილობრივი მცხოვრებივით.

სანამ ყმაწვილი კაცი ტანზე იცვამდა, სპარტაკმა დაწერა გასანთლულ ფიცარზე წერილი ვალერიასთან ბერძნულ ენაზე, გადასცა რუტილიუსს და, ბევრად დამშვიდებული, თავისი რაზმით გაუდგა გზას ლაბიკუმისკენ.

მზის ამოსვლისას მივიდნენ იმ ადგილას, სადაც მამილიუსი იდგა ბანაკად ორას ორმოცდაათი მხედრით. მამილიუსმა უამბო სპარტაკს, თუ რა აღელვება მოსდო მთელ მიდამოს მათმა მისვლამ ტუსკულუმზე და ურჩევდა დაუყოვნებლივ დაბრუნებას უკანვე, აკვინუმში.

სპარტაკმა დაუჯერა მამილიუსის გონივრულ რჩევას. დრო აღარ დაუკარგავს, პრეტორის გზით თავისი რაზმი პრენეტისაკენ წაიყვანა. ქალაქი მარცხნივ დარჩა, მხედრებმა კი გაუხვიეს მარჯვნივ და ლათინურ გზაზე გავიდნენ. მთელი ის დღე და ღამე მიაქროლებდნენ ცხენებს, მხოლოდ გათენებისას ოფლად დაღვრილი ცხენებით მიაღწიეს ალეტრიუმს, სადაც სპარტაკმა უბრძანა თავის რაზმს, დაესვენა. მეორე დღეს მიაღწიეს ბანაკამდე.

საღამოს მოვიდა რუტილიუსი და სპარტაკი დაამშვიდა, რომ ვალერია კარგად იყო.

ვალერია ატყობინებდა თავის სათაყვანებელ სპარტაკს, რომ ახლა წერილებს ლებედიუსის, მოხუცი სახლთუხუცესის ხელით გაუგზავნიდა და სთხოვდა, მასაც დაებრუნებინა პასუხი.

სპარტაკმა მეორე დღესვე მოიხმო ბანაკში ენომაი, ბარტორიქსი და სხვა წინამძღოლები, ჰკითხა მათ რჩევა და უბრძანა აშლილიყვნენ ბანაკიდან, ხუთი დღის სიარულის შემდეგ თავისი ოცი ათასი მეომრით დაბრუნდა ძველ ბანაკში ნოლასთან.

ძნელია წარმოდგენა იმისა, თუ რა სიხარულით მიიღო ოცდახუთი ათასმა გლადიატომა ამდენი გამარჯვების შემდეგ აკვინუმიდან დაბრუნებული თანამებრძოლები.

მთელი სამი დღის განმავლობაში გაგრძელდა მხიარულება ბანაკში, სადაც სპარტაკმა ზამთრის გატარება გადაწყვიტა. მან იცოდა, რომ ვარინიუსი ვერაფერს გაუბედავდა მკაცრსა და წვიმიან ზამთარში. სხვა მხრივ, დიდი უგუნურობა იქნებოდა რომზე გალაშქრება, რომლის წინააღმდეგაც, კანასგან დამარცხების შემდეგ, როცა რომი მიწასთან იყო გასწორებული, ხოლო კართაგენელებს ბევრად უკეთეს პირობებში უხდებოდათ ბრძოლა, ვიდრე ახლა გლადიატორები იმყოფებოდნენ, ვერ გაბედა ბრძოლა უწარჩინებულესმა სარდალმა ჰანიბალმაც, რომელსაც სპარტაკი კიროსზე[135] და ალექსანდრე მაკედონელზე მაღლა აყენებდა. გლადიატორებმა მიატოვეს ძველი ბანაკი, ახლა მეტად ვიწრო მათთვის, გამართეს მეორე, ბევრად უფრო ფართო და შემოზღუდეს ღრმა თხრილებითა და მაღალი მესერით.

როგორც კი დაბინავდა ჯარი ახალ ადგილზე, სპარტაკმა გადაწყვიტა ლეგიონები დაეყო ჩამომავლობით და გვარტომობით, რომ ერთ ლეგიონში ყოფილიყვნენ მხოლოდ გერმანელები,

მეორეში - მხოლოდ გალები, მესამეში - თრაკიელები, ბერძნები ან სამნიტები. თუმცა ზოგიერთი უხერხულობაც მოსდევდა ამგვარ დაყოფას, მაგრამ სპარტაკს იმედი ჰქონდა, რომ კარგი შედეგი ექნებოდა, რადგან უფრო მეტად დააახლოვებდა მეომრებს თავ-თავიანთ ლეგიონებში. ამას გარდა მას ჰქონდა ერთი მიზანი: როგორმე დაეყო თავისი ჯარი ცალ-ცალკე კორპუსებად, მათივე ჩამომავლობის კაცის მეთაურობით.

ახალ ბანაკზე ჯარის გადმოსვლის შემდეგ, სპარტაკმა გაყო ის ორმოცდაათი ათასი კაცი ათ ლეგიონად, თითოში ხუთი ათასი კაცით. პირველი ორი ლეგიონი გერმანელებისა, რომელთაც უფროსობდნენ ვილმირი და მეროვედი, შეადგენდა პირველ კორპუსს, ენომაის გამგებლობით. შემდეგი ოთხი ლეგიონი, გალებისაგან შემდგარი - მეორე კორპუსს, რომელსაც განაგებდა კრიკსი და ემორჩილებოდნენ არტორიქსს, ბარტორიქსს, ავრვინიუსსა და ბრეზოვირს. მეშვიდე ლეგიონი შედგებოდა ბერძნებისაგან, რომელსაც წინამძღოლობდა მამაცი თესალონიუსი, ეპირის მკევიდრი, მერვე შედგებოდა გლადიატორებისა და მწყემს-სამნიტებისაგან. წინამძღოლობდა რუტილიუსი. მეცხრეში შედიოდნენ თრაკიელები. მათი უფროსობა სპარტაკმა მიანდო ორ წინამძღოლს, მათ თანამემამულეებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ მამაცობით, ნებისყოფით, ბერძნული განათლებითა და ჭკუამახვილობით. ერთი მათგანი, ორმოცდაათი წლის მესემბრიუსი, უსაზღვროდ ერთგული იყო სპარტაკისა, მეათე ლეგიონს წინამძღოლობდა არტაკი, რომელიც თრაკიელებს ყველაზე მამაც წინამძღოლად მიაჩნდათ სპარტაკის შემდეგ. ეს

ოთხი ლეგიონი შეადგენდა მესამე კორპუსს. მას უფროსობდა გრანიკი, ილირიელი - დაახლოებით ოცდათხუთმეტის წლის კაცი, ძალიან მაღალი, შავი, ხუჭუჭა თმით და შავგვრემანი პირისახით. თავისი სიმამაცით ის ითვლებოდა პირველ პირად რავენის სკოლის ათი ათას გლადიატორში.

ახლა სამი ათას კაცამდე ცხენოსან ჯარს, რომელიც სპარტაკმა გაყო ექვს რაზმად უფროსობდა მამილიუსი.

როდესაც სპარტაკი სამ კორპუსად ჩამწკრივებული გლადიატორების წინ გამოჩნდა თავისი უბრალო მეომრის ტანსაცმლით და მისცა სალამი, იმ ორმოცდაცამეტი ათასი მონის ხმამაღალმა, ქუხილივით მჭექარე ყვირილმა გააყრუა არემარე:

- დიდება, სპარტაკს!

დიდხანს ისმოდა ეს აღტაცებული ყვირილი, ბოლოს შეწყდა და მესაყვირეებმა დაუკრეს გლადიატორების სამხედრო სიმღერად გამხდარი თავისუფლების ჰიმნი. პირველი კორპუსის წინ, დიდ ქურან ცხენზე მჯდომმა ენომაიმ დაიყვირა მთელ მინდორზე: - მეგობრებო! ჩამოვარდა სრული სიჩუმე და გერმანელმა რამდენიმე წამის შემდეგ განაგრძო:

- თუკი ჩვენი ჯარი მოწყობილია რომაულად, რატომ არ აქვს ჩვენს წინამძღოლს რომის კონსულების პატივი?

- იმპერატორის ნიშნები სპარტაკს! - შეჰყვირა კრიკსმა.

- იმპერატორის ნიშნები სპარტაკს! - დაიღრიალა როგორც ერთმა, ორმოცდაცამეტი ათასმა გლადიატორმა. როდესაც ჟრიამული ოდნავ შეწყდა, სპარტაკმა ანიშნა, რომ ლაპარაკი უნდოდა.

- მთელი გულით გმადლობთ, მეგობრებო და ძმებო! მაგრამ მე არ მინდა არანაირი პატივი, არანაირი განსხვავება. ჩინებისთვის კი არ მოგვიკიდია ხელი იარაღისთვის, არამედ თავისუფლებისა და თანასწორობის დამყარებისთვის.

- შენ ჩვენი იმპერატორი ხარ, - ხმამაღლა თქვა რუტილიუსმა. - იმპერატორად გაგხადეს შენმა გამარჯვებამ, შენმა სიბრძნემ, შენმა სიმამაცემ და შენმა ღვაწლმა. თუ შენი დამსახურებული

პატივის მიღებას ზრდილობა გიშლის, მაშინ ეს უნდა იკისრო ჩვენი ჯარისა და დროშების სახელისა და დიდებისათვის.

- კონტუბერნალები, წითელი მანტია და ლიქტორები!

- წითელი მანტია და ლიქტორები სპარტაკს! - ყვიროდნენ ლეგიონები.

კრიკსის აზრი, მოფიქრებული აზრი, ისეთი უბრალო და მრავალმნიშვნელოვანი იყო, რომ არ შეიძლებოდა ყველა აღტაცებაში არ მოეყვანა. რომის ლიქტორები, რომლებიც თან ახლდნენ რომის გამოჩენილ სარდლებს, მარიუსისს, სულასა და პომპეუსს, გლადიატორების წინამძღოლისთვის რომ გაეძღოლათ, განა ამაზე უკეთესს მოიფიქრებდნენ რამეს რომის სიამაყის დამცირებისათვის? საუკეთესო დამამცირებელ ნიშნად მასზე გამარჯვებისა?

თუმცა ძალზე უარზე იყო ყოველთვის თავმდაბალი სპარტაკი, მაგრამ იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა თავისი ჯარის სურვილი და ჩაეცვა ძვირფასი ვერცხლის ჯავშანი, კრიკსისაგან პომპეიში საგანგებოდ შეკვეთილი, დაეხურა ისეთივე ჩაჩქანი,

საუცხოო ჩუქურთმით, შემოერტყა ბრტყელი, ესპანური მახვილი, რომლის ტარიც მოჭედილი იყო ძვირფასი თვლებით და წამოეხსა მხრებზე ფართე, წმინდა შალის წითელი მანტია, ოქროს ბუზმენტით შემოვლებული.

როდესაც სპატრაკი გამოვიდა თავისი ლეგიონების წინ იმპერატორის ტანსაცმლით, თავის შავს ცხენზე ამხედრებული, რომელსაც უბრალო თასმის მოსართავის მაგივრად ახლა ძვირფასი აღვირი ჰქონდა ოქროთი მოჭედილი და საუცხოო ყაჯარი ოქროს გრეხილის ფოჩებით, მთელ ბანაკში გაისმა:

- დიდება სპარტაკს, იმპერატორს!

ორი ქალი თვალცრემლიანი შეჰყურებდა ამ ამბავს, თუმცა მარტო ქალებიკი არა, ასი და ათასი გლადიატორიც ტიროდა იმ დღეს სიხარულის ცრემლებით და მათ შორის სპარტაკი და არტორიქსიც. ეს ქალები იყვნენ მირცა და ევტიპიდა.

მაგრამ გლადიატორის დის ლურჯ თვალებში ბრწყინავდა მხოლოდ ძმური სიყვარულის უსაზღვრო ბედნიერება, მაშინ, როდესაც ბერძენი ქალი სპარტაკს შეჰყურებდა ანთებული, გაშმაგებული თვალებით, რომლებშიც ელავდა მისი დამწველი ვნების ალი.

უცებ ერთმა ათისთავმა დარაჯებით დაცული კარვიდან გამოიყვანა აკვინუმის ომში დატყვევებული პრეტორ პუბლიუს ვარინიუსის ლიქტორები. მათ უბრძანეს დღეიდან ყოველთვის გლადიატორების უმთავრესი წინამძღოლის თანხლება ისე, როგორც ახლდნენ კონსულებს და პრეტორებს.

ესენი იყვნენ მაღალი ტანის, გრძელთმიანი, ამაყი და ვაჟკაცური შესახედაობის ექვსი ლიქტორი. მათ ტანზე წამოესხათ მუქი ფერის შალის წამოსასხამები, მუხლამდე ჩაშვებული, როგორც ქურუმებს. მხარზე გაედოთ წვრილი წკეპლების კონა, შიგ გარჭობილი ცულით, რომელსაც ამოიღებდნენ ხოლმე მშვიდობიანობის დროს. მეორე ხელში ჰქონდათ როზგი.

სიხარულის ხმამაღალი, გაშმაგებული ყვირილი გაისმა ველზე მათ დანახვაზე, სანამ სპარტაკმა არ გასცა ბრძანება, დაეკრათ სიმშვიდისა და წესიერების დასამყარებლად დაფდაფები.

როდესაც სიჩუმე ჩამოვარდა, სპარტაკი ჩამოხტა ცხენიდან და ლიქტორებისა და კრიკსის, გრანიკისა და ენომაის თანხლებით დაიწყო წინა რიგში მდგომი გერმანელების ლეგიონის რაზმების შემოვლა. კრიკსი, გრანიკი და ენომაი უკან მისდევდნენ თავის წინამძღოლს. ჯარის დათვალიერების შემდეგ მოუწონა მათ სამხედრო წესიერება და ვაჟკაცური შესახედაობა.

ლიქტორები წინ მიდიოდნენ დამცირებულები, თავჩაღუნულები, ზოგი გაფითრებული შეკავებული სიცოფისაგან, ზოგი გაწითლებული სირცხვილისაგან.

- რა შერცხვენაა, რა შერცხვენა! - ბუტბუტებდა ჩუმად ერთი მათგანი.

- არა სჯობდა, დავხოცილიყავით აკვინუმში, ამ დამცირებას ვერ მოვესწრებოდით.

პირველი ამ ლიქტორებში იყო ასე ორმოცდახუთი წლის, ჩაფსკვნილი კაცი მზისაგან დამწვარი, მეტყველი სახით. ამას ოტაცილიუსს ეძახდნენ. მეორე გახლდათ მოხუცი, სამოც წელზე მეტი ხნის, მაღალი, გამხდარი, ჭაღარათმიანი. მის ჭრელ, ცოცხალ თვალებში და წვრილ, მაგრად მოკუმულ ტუჩებში იხატებოდა ვაჟკაცობა და ენერგია. სახელად ერქვა სიმპლიციანუსი.

- მტვრად იქცა რომის დიდება! - ჩურჩულით თქვა ოტაცილიუსმა კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ და მალულად გადახედა აცრემლებულ სიმპლიციანუსს.

- რომის მფარველი ღმერთები მალე დამიხსნიან ამ განსაცდელისგან, - მიუგო დაღვრემილმა მოხუცმა სიმპლიციანუსმა. მისი სახის მოძრაობა მოწმობდა მის სულიერ ტანჯვას.

სრულ სამ საათს მოუნდა სპარტაკი თავისი ლეგიონების რიგების დავლას. ის ჩერდებოდა და ელაპარაკებოდა ნაცნობ გლადიატორებს, აქებდა ღირსეულებს.

როცა აღლუმი დამთავრდა, სპარტაკი შეახტა ცხენს, ამოიღო ქარქაშიდან თავისი მახვილი, მისცა ნიშანი, დასცეს დაფდაფებს. შემდეგ სამივე კორპუსი ერთიმეორეზე მიიყვანეს იერიშით ახლომახლო აღმართებზე. როგორც კი დამთავრდა მესამე მწყობრის წვრთნა, ლეგიონები მოეწყვნენ ბორცვზე, რომლის შემდეგ სამაგალითო წესრიგით გაიარეს თავისი წინამძღოლის წინ, აღტაცებულნი მიესალმნენ თავიანთ იმპერატორს და დაბრუნდნენ ბანაკში.

სპარტაკი უკანასკნელი წავიდა მინდვრიდან და გაჰყვნენ თან ენომაი, კრიკსი, გრანიკი და ლეგიონების ათი უფროსი. ლიქტორები ისევ წინ მიუძღოდნენ.

გლადიატორებმა ააშენეს სპარტაკისათვის წინამძღოლის საკადრისი კარავი. სწორედ იმაში მომზადდა სადღესასწაულო ნადიმი ლეგიონების ათი უფროსისათვის და ცხენოსანი ჯარის წინამძღოლებისათვის. ნადიმი ძალიან უბრალო იყო. სპარტაკი სიყრმიდანვე ზომიერი და უბრალო ჭამა-სმით გამოირჩეოდა. იმისთვის უცხო იყო ღრეობა და მომეტებული სმა.

ამიტომ სვამდნენ და ჭამდნენ ცოტას, თუმცა კი სტუმრების მეტ ნაწილს - ენომაის, ბარტორიქსს, ვილმირს, ბრეზოვირს, რუტილიუსსა და სხვებს გულში სულ საწინააღმდეგო ედოთ. მაინც ამის მიუხედავად, წრფელი მხიარულება სუფევდა ამ მეგობრულ სუფრაზე. სადილის შემდეგ რუტილიუსმა აიღო ხელში თასი და შეჰყვირა:

- მე ვსვამ მონების თავისუფლების, ყველა დაჩაგრულის გამარჯვების და ღირსეული და უძლეველი სპარტაკის, ჩვენი იმპერატორის სადღეგრძელოს! - ტაშის ცემასა და ყვირილში გამოსცალა თასი. მის მაგალითს მიჰბაძეს სხვებმა, მხოლოდ სპარტაკმა ოდნავ შეახო თასს ბაგე.

როდესაც მონადიმეთა აღტაცებული ყვირილი შეწყდა, სპარტაკმა წარმოთქვა:

- ვსვამ განმათავისუფლებელი იუპიტერისა და თავისუფლების პატიოსანი, უბიწო ღმერთის სადიდებლად! დე, მან მოგვაპყროს ღვთიური თვალი და დაგვიფაროს. შეგვავედროს ოლიმპოს ღმერთებს, რომ იყვნენ ჩვენი მფარველნი!

ყველამ სიხარულით დალია, თუმცა გალებსა და გერმანელებს არ სწამდათ არც იუპიტერი და არც ოლიმპოს სხვა ღმერთები. ამიტომ ენომაიმ თავის მხრივ წარმოთქვა სადღეგრძელო და შეავედრა ოდინს ჯარის მფარველობა, კრიკსმა გეზუს ჯარისა და გლადიატორების წმიდა საქმის მფარველობა. ბოლოს, ბერძნების ლეგიონის უფროსმა თესალონიუსმა, ეპირიელმა, რომელსაც არ სწამდა არც ბერძნული და არც ბარბაროსების ღმერთები, თქვა:

- ნუ უხმობთ თქვენს ღმერთებს, ისინი არ არსებობენ. ყველაფერი დამყარებულია ბუნებაზე. როგორც გვასწავლა საღმერთებელმა ეპიკურემ, ღმერთები წარმოდგებიან ბრბოს შიშისაგან და ვერ გაიგონებენ თქვენს ძახილს. უდიდესი უბედურების ჟამს მივმართავთ ღმერთებს, რათა მხნეობა შეგვმატონ და სიმშვიდე დაუმკვიდრონ ჩვენს სულებს. მაგრამ როდესაც ვრწმუნდებით, რომ თვით ბუნება არის შემქმნელი და გამანადგურებელი ყოველისა ამქვეყნად, რატომღა გინდათ, ღმერთებს ვევედროთ! სჯობს დავლიოთ ჩვენი წმიდა საქმის სადღეგრძელო, რაც ჩემისრწმენითარსებობს, - და რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ დაუმატა: - ჩვენი სულიერი მეგობრობის, ჩვენი მამაცობის, ჩვენი მახვილების ძალის სადღეგრძელო.

ვერცხლისფოთლებიანი, ლურჯი შალის კოხტა პეპლუმში[136] გახვეული მირცა, იდგა შორიახლოს, ის იყო ამ ნადიმის მომწყობი და თითქმის მთელი დრო თვალს არ აშორებდა ძმას, რომლის სახელოვან გამარჯვებებს დღეს ზეიმობდნენ. ყმაწვილი ქალის სახე, რომელსაც უკანასკნელ დროს თითქმის არ მოშორებია ნაღვლიანი გამომეტყველება, დამამტკიცებელი რაღაც დაფარული მძიმე ტანჯვისა, დღეს ბრწყინავდა. თითქოს უნებურად დროდადრო მიაპყრობდა თვალს ღირსეულ არტორიქსს. ბოლო ხანებში ყმაწვილი გახდა, ფერი გაუკრთა, გამოუთქმელი სიყვარული სტანჯავდა. ნადიმი და სტუმრების მხიარული ლაპარაკი არ ართობდა მას. მთლად თავის გრძნობებს მიცემული შეჰყურებდა მირცას. ქალი კი თვალს არ აშორებდა ძმას.

მირცა უფრო ძვირფასი და მიმზიდველი ხდებოდა ყმაწვილი კაცის თვალში. იგი დიდხანს შესცქეროდა აღტაცებული ქალს, მერე უცბად წამოხტა, დაივიწყა სიმორცხვე, ასწია თასი და დაიძახა:

- დავლიოთ ჩვენი ძვირფასი წინამძღოლის საყვარელი დის, მირცას ბედნიერების სადღეგრძელო!

ყველამ გამოსცალა თასები. მირცას გარდა არავის შეუმჩნევია, რა ალმური მოეკიდა სახეზე

ყმაწვილ კაცს. მირცა შეკრთა, როდესაც არტორიქსმა მისი სახელი წარმოთქვა, მიტრიალდა მისკენ და უნებურად მიაპყრო მადლობითა და თან სამდურავით აღსავსე მზერა. მაგრამ რომ მიხვდა, თავშეკავების ზღვარს გასცდა, ისიც გაწითლდა

და მორცხვად დახარა თავი. მერე არც აუწევია, არც შეუხედავს არავისთვის, იდგა უძრავად ერთ ადგილას და სიტყვასაც აღარ სძრავდა.

როდესაც მეგობრები დაიშალნენ, მზე უკვე იხრებოდა დასავლეთისაკენ. სპარტაკმა გააცილა თავისი სტუმრები და დარჩა მარტო ოცნებასა და ფიქრებში ჩანთქმული. მიმოავლო თვალი ბანაკს და დიდხანს შესცქეროდა ჩამავალ მზეს. უნებლიეთ წარმოუდგა თვალწინ მთელი წარსული. განა დიდი ხანია, რაც უმნიშვნელო გლადიატორი იყო, უსაქმური და უგულო ბრბოს გასართობად რომ მსახურობდა. ახლა ის ძლიერი ჯარის მრისხანე წინამძღოლია. თავისუფლება - უდიდესი, ყოვლის შემძლებელი სიტყვაა. აი, ამ სიტყვამ შეაგროვა აქ, სულ ერთი წლის განმავლობაში ორმოცდაათი ათასი უბედური, მოკლებული ყოველ უფლებას, მომავლის იმედს, დამცირებულნი, გარყვნილნი თავისი უუფლებობით, პირუტყვის მდგომარეობაში ჩავარდნილი, აი, სწორედ ამ სიტყვამ გადააქცია ეს კაცი დიდებულად, მისცა ძალა, შეექმნა მრისხანე ჯარი, დაბრკოლებები დაეძლია და ეს კიდევ არაფერი, თავისი პირადი კეთილშობილური გრძნობა დაეძლია ვალერიას მიმართ, რომელმაც ყველაფერი უარყო, რაც ადამიანს ძვირფასად მიაჩნია, რომ სრულიად მიეცა ამ კაცისთვის თავისი სული და გული... მას

უყვარდა ვალერია ათასჯერ უფრო მეტად, ვიდრე საკუთარი თავი, მაგრამ იმ წმიდა საქმეზე მეტად კი არა, რასაც სწირავდა მთელ თავის სიცოცხლეს.

ვალერია! მის მოგონებაზე მწარედ ჩაეთუთქა გული. ამ კეთილშობილმა მანდილოსანმა არაფრად ჩააგდო თავისი წრის ცრურწმენა, სახელი, თანამოქალაქეებისა და ნათესავების სიძულვილი დაიმსახურა და უძლეველ სიყვარულს შესწირა თავისი გული, პატიოსნება, მთელი არსება.

ვალერიამ მიანიჭა მას ბედნიერება, გამხდარიყო მშვენიერი ბავშვის მამა და თავისი ბედის მასთან დაკავშირებით სამუდამოდ უარი თქვა ბრწყინვალე მომავალზე და იქნებ საუბედუროდაც, ვინაიდან სპარტაკმა იცოდა და არც ტყუვდებოდა - თუნდაც რომ გაემარჯვა რომის ლეგიონებზე და იმ საშიშროებაში ცოცხალი და უვნებელი გადარჩენილიყო, თუნდაც რომ აღესრულებინა თავისი მიზანი და გამარჯვება მშვიდობით დაეგვირგვინებინა, მისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება ის იქნებოდა, ხალხის სიძულვილს დამალვოდა. ვალერია კი, მისი ფიქრებისა და გრძნობების მბრძანებელი, მთელი სიცოცხლე ტანჯვისა და სიღატაკისთვის იქნებოდა განწირული. მერე ამას აიტანდა სიმდიდრესა და ფუფუნებაში აღზრდილი, პატრიცთა რჩეული ოჯახის მანდილოსანი?

ფიქრებში მთლად ჩანთქმულმა იგრძნო, როგორ ეწურებოდა გული ტანჯვისგან. სულით დაეცა მამაცი რუდიარი. ვინ იცის, ნახავს კი როდესმე ვალერიასა და პოსტუმიას? ყელში მოაწვა რაღაც. ხელი ამოისვა თვალებში და შენიშნა, სველი ჰქონდა, უნებურად ცრემლები სცვიოდა. გული მოუვიდა საკუთარ თავზე ასეთი სისუსტისათვის, რაც მხოლოდ ქალებს თუ ეპატიებოდათ, მაშინვე მოეგო გონსა და სწრაფი ნაბიჯით გაემართა ბანაკის დიდი მოედნისკენ, რომელიც, როგორც რომაელებს, პრეტორიუმის, კვესტორიუმისა და ფორუმის მოშორებით ჰქონდათ. მერე სრულიად უმიზნოდ გასწია წინ და ცდილობდა მოშორებოდა ხალხს, სადაც

შეიძლებოდა ვინმე გამოლაპარაკებოდა. შეუმჩნევლად მივიდა ბანაკის ბოლომდე, ეგრეთ წოდებულ ფორუმთან, იმ ადგილთან, რომელიც მოზომილი იყო მოკავშირეების კარვებისთვის.

ნოლას დიდ ბანაკთან კარვები დასცეს თავისი ბატონებისაგან გამოქცეული, ამბოხებული მონებისა და გლადიატორებისთვის. ისინი აქ ცხოვრობდნენ, სანამ რომელიმე კოჰორტის ან ლეგიონის ათეულში არ ჩარიცხავდნენ. აქვე იყო ევტიპიდას კარავიც. მეორე კარავში კი ცხოვრობდა აკვინუმთან ტყვედ ჩაგდებული ექვსი ლიქტორი, რომელთაც დარაჯები ჰყავდათ მიჩენილი.

აქ თავის თავთან განმარტოებული სპარტაკი, დედამიწაზე ჩამოწოლილ ღამის წყვდიადს მოფარებული, დიდხანს მიმოდიოდა ჩქარი ნაბიჯებით, მოუსვენარი სულიერი მღელვარებით.

მიდიოდა და გულიდან კვნესა და ოხვრა აღმოხდებოდა. ბოლოს თითქოს სიმშვიდე იგრძნოო, გონება დაუბრუნდა, დამშვიდდა, დინჯად იწყო სიარული, მაგრამ ახლა სულ სხვა ფიქრებმა ჩანთქა მისი გონება.

უშველებელ მინდორზე სიჩუმე სუფევდა, სადაც რამდენიმე საათის წინათ ღონით და სიცოცხლით სავსე ორმოცდაათი ათასი გლადიატორი ჰაერს ხმაურითა და სიმღერით ავსებდა.

მაგრამ თანდათან, რაც სიჩუმე მატულობდა, თრაკიელის ყურამდე უფრო ცხადად მოდიოდა მონებისა და გლადიატორების კარვიდან გაუგებარი ლაპარაკი.

ამ ლაპარაკმა მიიპყრო ბოლოს სპარტაკის ყურადღება. გაჩერდაკარავთანდა ლათინურ ენაზე მშვენივრად მოლაპარაკე კაცის ძალოვანი ხმა შემოესმა:

- რასაკვირველია, მართალი ხარ, სიმპლიციანუს! ძალიან შევრცხვით, მაგრამ განა ჩვენ ვართ მაგაში დამნაშავე? განა სიცოცხლე არ გავწირეთ მამაცურ ბრძოლაში ჩვენი პრეტორის ვარინიუსის დახსნისათვის სპარტაკის გაცოფებული თავდასხმის დროს? შენ ძირს დაგცეს, მე კი დამჭრეს. სხვა რა უნდა გვექნა? თუკი დიდებულმა ღმერთებმა მოიძულეს რომაელები, თუკი მათი ნებით ჩვენი სახელოვანი არწივები საზიზღარი გლადიატორების რისხვას გაექცნენ, აბა ჩვენ რაღა შეგვიძლია, უბრალო მოკვდავებს, მათი განჩინების წინააღმდეგ?

- ენა დაიმოკლე, ოტაცილიუს, - უთხრა ჩუმად ვიღაცის ხრინწიანმა, შეშინებულმა ხმამ. - დარაჯები გაგვიგონებენ და მაშინ კარგ დღეს არ დაგვაყრიან.

- გაჩუმდი, მემიუს! - თქვა მკაცრმა ხმამ, რომელიც, ცხადია, წინა მოლაპარაკეს არ ეკუთვნოდა, - გრცხვენოდეს მაგ სამარცხვინო შიშის გამო!

- ჩვენს დარაჯს არ ესმის არც ერთი სიტყვა იმისი, რასაც ჩვენ ვლაპარაკობთ. ეს პირუტყვის მსგავსი გალია, რომელმაც, მგონია, თავის საკუთარ ენაზედაც არ იცის ლაპარაკი.

- თუნდ რომ ესმოდეს კიდეც, - გააწყვეტინა სიტყვა მკაცრმა ხმამ, - განა მან უნდა დაგვიშალოს ლაპარაკი, როგორც რომის მოქალაქეთ შეშვენის? საზიზღარი

სიმხდალე! ვფიცავ კასტორსა და პოლუქსს, განა ორმოცდაათჯერ მაინც არ მდგარხარ სიკვდილის პირისპირ ბრძოლის ველზე? განა სიკვდილი არ გერჩივნა ამისთანა შერცხვენას, რომ სულმდაბალი გლადიატორის წინ ვიაროთ კონსულთა წკეპლებით?

აქ ხმა შეწყდა... სპარტაკი მიხვდა, რომ ეს იყო პუბლიუს ვარიანიუსის ექვსი ლიქტორის დაცული კარავი. სპარტაკი უფრო ახლო მივიდა.

- ოჰ, დიდებულო ღმერთებო! ვფიცავ ჩვენს მფარველ იუპიტერს, - თქვა ცოტაოდენი სიჩუმის შემდეგ ლიქტორმა სიმპლიციანუსმა, - განა ამას მოვიფიქრებდი, რომ სამოცდაორ წელიწადს მიღწეულს ამისთანა დამცირება გადამხდებოდა?.. თექვსმეტი წლისა რომ ვიყავი, დალმატების დამპყრობელი კონსულის მეტელუსის ჯარში ვიბრძოდი; შემდგომ აფრიკაში, იუღურთას წინააღმდეგ ჯერ კვინტუს ცეცილიუს მეტელუს ნუმიდიელის წინამძღოლობით, მერე სახელგანთქმული გაიუს მარიუსისა. ვმონაწილეობდი ტევტონთა და კიმბრთა დამარცხებაში, მივდევდი არპინუმელი უძლეველი სარდლის სატრიუმფო ეტლს და მინახავს, როგორ მოჰყავდათ მის უკან შებოჭილი ხელმწიფეები: იუღურთა და ბოკხუსი. რვა ჭრილობისა და ორი სამოქალაქო გვირგვინისათვის ლიქტორებში ჩამწერეს. ოცდაექვსი წელიწადია ვმსახურობ იმ საპატიო თანამდებობაზე და ყველა კონსულს ვხლებივარ, შვიდჯერ ნაკონსულარ გაიუს მარიუსიდან მოყოლებული ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსამდე და ამ წელიწადს კონსულად არჩეულ მარკუს ავრელიუს კოტამდე. ოჰ, ყოვლისშემძლე ღმერთებო, ნუთუ ახლა წინ უნდა მივუძღოდე საზიზღარ გლადიატორს, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ჩემი თვალით მინახავს ცირკის არენაზე! არა, არა, ეს მეტისმეტია... ვერ დავემორჩილები ბედს... ამას ვერ ავიტან.

მოხუცის ხმაში ისეთი ღრმა ნაღველი ისმოდა, რომ სპარტაკს უნებლიეთ შეებრალა იგი. მოხუცი ჯარისკაცის მწუხარება იმდენად ღირსეულად ეჩვენა, იმდენად კეთილშობილად მისი სიმამაყე, რომ მისდამი თანაგრძნობითა და პატივისცემით განიმსჭვალა.

- მაშ, სად წაუხვალ ღმერთების განჩინებას? - ჰკითხა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ოტაცილიუსმა, - შენც ჩვენსავით იძულებული ხარ, დაუმსახურებელ დამცირებას და უბედურებას დაემორჩილო.

- არა, არა, ვფიცავ ჯოჯოხეთისა და სამოთხის ღმერთებს! მე არ დავემორჩილები ამ უმაგალითო შერცხვენას და როგორც ნამდვილი რომაელი, სიკვდილით დავიხსნი თავს იმ საქმისაგან, რომელიც არ შემფერის. იმავე წამს სპარტაკს მოესმა კარვიდან თავზარდამცემი, ხმამაღალი ყვირილი:

- ოჰ, რა ჰქენი!

- საბრალო სიმპლიციანუს!

- საუკუნო იყოს ხსენება შენი, ღირსეულო რომაელო!

- უშველეთ! უშველეთ!

- დაასვენეთ აი, აქ!

- ფრთხილად, ფრთხილად!..

- ერთ წამში სპარტაკმა შემოუარა კარავს და შესასვლელთან გაჩერდა, სადაც ყვირილზე თავი შეეყარათ სხვა კარვებიდან, ტყვეების მცველებად მდგომ გლადიატორებს.

- გზა მომეცით! - დაუყვირა თრაკიელმა.

გლადიატორები თავაზიანად ჩამოეცალნენ, როცა თავისი უფროსის ხმა იცნეს. სპარტაკს თვალწინ წარმოუდგა საზარელი სანახაობა: ჩალაზე იწვა მოხუცი სიმპლიციანუსი გარს შემოხვეული ხუთი მეგობრით; მისი თეთრი ტუნიკა სისხლით იყო ამოსვრილი ჭრილობისაგან, რომელიც მარცხენა ძუძუს ქვეშ უჩანდა. ერთ ლიქტორთაგანს ხელში ეჭირა იატაკიდან აღებული წვრილი და ბასრი ხანჯალი, რომელიც მოხუცს მტკიცე ხელით გულ-მკერდში სულ ტარამდე გაეყარა.

სისხლი გადმოთქრიალებდა ჭრილობიდან. სიკვდილის ჩრდილი სწრაფად ეფარებოდა მოხუცის მზისგან დამწვარ და მკაცრ სახეს, მაგრამ არც ერთი მისი ძარღვი არ აცხადებდა არც ტკივილს და არ შენანებას.

- ეგ რა ჰქენი, ღირსეულო მოხუცო! - თქვა აღელვებული ხმით სპარტაკმა და მიუბრუნდა მომაკვდავს, - მე რატომ არ მომმართე, რომ გამეთავისუფლებინე ჩემ წინ წკეპლების კონით სიარულისგან, რახან ასე გიმძიმდა? ძლიერი თანაუგრძნობს ძლიერს! მე თანაგიგრძნობდი და გაგათავისუფლებდი.

- მონები ვერ თანაუგრძნობენ თავისუფალს! - თქვა მისუსტებული, მედიდური ხმით დაჭრილმა. სპარტაკმა მწარედ გაიღიმა და თავი გადაიქნია:

- ოჰ, დიადო სულო, სულმდაბლად გამხდარო ცრურწმენით დამედიდურობით, მერე ვინ დაადგინა ადამიანების განაწილება თავისუფლებად და მონებად? - ჰკითხა მან, - განა თრაკიის დაპყრობამდე მეც თავისუფალი არ ვიყავი, როგორც შენ და განა მონა არ გავხდი აკვინუმის ომის შემდეგ?

- ბარბაროსო! შენ არ იცი, რომ უკვდავმა ღმერთებმა... მიანიჭეს რომს... სამყაროს მფლობელობა... დამანებე თავი... ნუ მიშფოთებ ჩემს უკანასკნელ წამებს... შენი აქ ყოფნით...

შემდეგ მოხუცმა ხელების ქნევით მოიშორა თავისი მეგობრები, რომლებიც ჭრილობის შეხვევას ცდლიობდნენ თავისი ტუნიკებიდან ჩამოგლეჯილი ნაჭრებით, და უთხრა უკანასკნელად ხრიალით:

- საჭირო არ არის... არ ამიცდენია... და თუ ამეცდინა... გავიმეორებდი... რომის ლიქტორი... წინამხლებელი... მარიუსისა და სულასი, არ შებილწავს თავის თავს... საზიზღარი... გლადიატორის სამსახურით... საჭირო არ არის... არა... არა...

თავი უკან გადააგდო და სული განუტევა.

- ოჰ, ჭკუაზე შეშლილო მოხუცო! - თქვა დაბალი ხმით ერთმა გლადიატორმა.

- არა, ეს მოხუცი პატივისცემის ღირსია, - სიტყვა მოუჭრა ფიქრებში ჩანთქმულმა სპარტაკმა. - იგი დიდსულოვანი მამაკაცია და თავისი სიკვდილით დაამტკიცა, რომ ხალხს, რომელსაც ამგვარი მოქალაქეები ჰყავს, ჭეშმარიტად აქვს ბატონობის უფლება!

15. სპარტაკი სასტიკად ამარცხებს მეორე პრეტორს და თავიდან იცილებს საშინელ განსაცდელს

კამპანიაში საქმის შეტრიალებამ და პრეტორ პუბლიუს ვარინიუსის დამარცხებამ აკვინიუმთან გააკვირვა და შეაშფოთა აფრიკისა და აზიის ზვიადი დამპყრობელნი და თუმცა მითრიდატესა და სერტორიუსის წინააღმდეგ ომის სამზადისში იყვნენ, რომმა სერიოზულად დაუწყო თვალის დევნება გლადიატორთა ამბოხებას. ორმოცდაათი ათასი გლადიატორი, მშვენივრად შეიარაღებული, ისეთი წინამძღოლით, რომელშიც ყველას, თავის სამარცხვინოდ, სარდლის ნიჭი უნდა ეცნო, სრულებით იპყრობდა მთელ კამპანიას და ემუქრებოდა სამნიუმს და ლაციუმს, სხვანაირად რომ ვთქვათ, თვით რომის კარს. დიახაც რომ იყო მიზეზი, რაზედაც უნდა ჩაფიქრებულიყვნენ სენატორები. ახლა საქმე მონების მცირე აჯანყებაზე კი არა, ნამდვილ ომზე იყო, იმდენად საფრთხილოზე, რომ უწინდებურად დაუდევრად ვერ მოეკიდებოდნენ. ამიტომ სიცილიის მმართველობა და ამასთან გლადიატორებთან ომი სენატმა და ხალხმა პრეტორ პულიუს ვარინიუსის მაგივრად ერთხმად მიანდო გაიუს ანფიდიუს ორესტს, ვეტერანს, რომელიც დიდად დამსახურებული იყო ჯარში და ხალხშიც.

გაიუს ანფიდიუს ორესტი, ასე ორმოცდახუთის წლისა, მეტად გამოცდილი იყო სამხედრო საქმეში. ის მრავალ წელს იყო ტრიბუნად, სამ წელს - კვესტორად. სულას დიქტატურის დროს კი არჩეულ იქნა პრეტორად. თავისი ჭკუისა და სიმამაცის წყალობით დიდი სახელი მოიხვეჭა პლებეებსა და სენატში. გაიუს ანფიდიუს ორესტმა შეკრიბა ძლიერი ჯარი, რომელიც სამი ლეგიონისგან შედგებოდა. ერთში იყვნენ მხოლოდ რომაელები, მეორეში - იტალიელები, მესამეში - მოკავშირეები: დალმატები და ილირიელები, რაც სულ შეადგენდა ოცი ათას კაცს. მათ კიდევ მიუმატა აკვინუმთან ბრძოლაში გადარჩენილი ათი ათასი ჯარისკაცი. ამ შეკრებილი ოცდაათი ათასი ჯარისკაცის გაწვრთნას პრეტორი ჯერ ისევ ლაციუმში შეუდგა. ამ ძალით ორესტს იმედი ჰქონდა, დაემარცხებინა სპარტაკი მომავალ გაზაფხულზე. და აი, გაზაფხულიც დადგა.

ნორბიდან გამოსულმა აპიუსის გზით ფუნდისაკენ მიმავალმა ანფიდიუს ორესტმა შეიტყო, რომ დომიციუსის გზით ლიტერნუმიდან მისკენ მოემართებოდა სპარტაკი და სულ ცოტა მანძილზე იყო მისგან. უბრძანა თავის ჯარს გაჩერება და გამართა ბანაკი გაშლილი ველზე, სადაც შეეძლო უცბად გამოეყვანა თავისი ცხენოსანთა ჯარი, რომელშიც ექვსი ათასი კაცი ირიცხებოდა.

ორი დღის შემდეგ სპარტაკიც მივიდა ფორმიუმში. გაჩერდა და უბრძანა ჯარს დაბანაკება ორი

გორაკის წვერზე, თვითონ კი სამასი მხედრით აპიუსის გზით მოწინააღმდეგის ბანაკისაკენ დაიძრა პოზიციის დასათვალიერებლად.

მაგრამ პრეტორმა ანფიდიუს ორესტმა, უფრო მეტად გამოცდილმა სამხედრო საქმეში, არ დააცადა, დაინახა თუ არა გლადიატორები, მაშინვე წავიდა მათკენ მთელი თავისი ცხენოსანი ჯარით და ხანმოკლე შეტაკების შემდეგ გააქცია გლადიატორები.

თხუთმეტი დღის განმავლობაში ელოდა სპარტაკი, რომ გამარჯვებით გამხნევებული რომაელები დაესხმოდნენ თავს, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ანფიდიუსის მახეში გაბმა ადვილი არ იყო.

მაშინ გლადიატორების წინამძღოლმა სამხედრო ხრიკს მიმართა, რაც თავში მხოლოდ გამოცდილ სარდალს თუ მოუვიდოდა. შუაღამისას, დიდი სიფრთხილით, სპარტაკი რვა ლეგიონით გავიდა ბანაკიდან და დატოვა ენომაი ორის ლეგიონით და მთელი კავალერიით. საჩქაროდ გასწიეს გლადიატორებმა მდინარის ნაპირის გასწვრივ; ვინც კი შეხვდებოდათ გზაში: გლეხები, მეთევზეები, იჭერდნენ, რომ ამბავი არ მიეტენათ რომაელების მხედართმთავრისთვის.

ადგილობრივი მენახშირეებისა და შეშისმჭრელების ჩვენებით ისარგებლა სპარტაკმა, გაიარა ჭაობიანსა და დაბურულ ტარაცინის ტყეზე და სრულებით მოულოდნელად მოუარა ზურგიდან რომაელების ბანაკს.

ძალიან გაუკვირდა ანფიდიუს ორესტს, როდესაც დაინახა, რომ მტერმა ისე მოულოდნელად მოურბინა. რომის ლეგიონები ხმამაღალი ყვირილით ითხოვდნენ, რომ მიეშვათ გლადიატორებზე, მაგრამ ორესტი არ იძვროდა.

ტყუილად იცდიდა სპარტაკი რვა დღეს და იწვევდა მტერს საომრად. გლადიატორების მეშურდულეები თითქმის მტრის მესერთან მივიდნენ და დასცინოდნენ რომაელებს სიმხდალეში, მაგრამ ორესტმა მტკიცედ გადაწყვიტა, არ მიეღო ბრძოლა ასეთ მდგომარეობაში.

მაშინ სპარტაკმა გამოიყენა შექმნილი მდგომარეობა, მოხერხებული ადგილი და სხვა ხრიკს მიმართა. ერთ მშვენიერ დღეს ანფიდიუს ორესტს თავზარი დაეცა, როდესაც შეიტყო მთხრობლებისგან, რომ გლადიატორებმა თავისი რაზმები გაშალეს არა თუ მარტო ფუნდსა და ტარაცინის ტყის ახლო, აგრეთვე ორ სხვა ადგილას და ამგვარად ხელსაყრელი პოზიცია შეიქმნეს აპიუსის გზაზე.

მართლაც, სპარტაკმა რამდენიმე ღამეში გადაიყვანა გრანიკის ოთხი ლეგიონი ინტერამნადან და უბრძანა მაღალ გორაკზე დაბანაკება; გარს შემოირტყეს მესერი და განიერი თხრილი, რომელზეც ორ დღე და ღამეს მუშაობდა ოცი ათასი გლადიატორი. იმავე დროს კრიკსმა თავისი ორი ლეგიონით ხელსაყრელი ადგილი დაიჭირა ფუნდსა და პივერნის შორიახლოს.

ამგვარად, სპარტაკი გარს შემოერტყა რომის პრეტორს და იძულებული გახადა, რომ ან გამოსულიყო ბანაკიდან და ეომა, ან დამორჩილებოდა რვა დღის შემდეგ შიმშილისაგან ღონებამოლეული.

ანფიდიუსის მდგომარეობა მძიმე იყო. უეჭველად უნდა დასცემოდა გლადიატორების ერთ რაზმს, რომ გასულიყო იმ საზარელი რკალიდან. მაგრამ არანაირი იმედი არ იყო, რომ დაემარცხებინა ერთ-ერთი რაზმი, სანამ სხვები მიეშველებოდნენ. რაც უნდა

სუსტი ყოფილიყო გრანიკისა და კრიკსის წინააღმდეგობა, მაინც, ყოველ შემთხვევაში, სამ საათზე ნაკლებ ხანს არ გასტანდა ბრძოლა და იმ დროს ან ერთი ან მეორე რაზმი მოასწრებდა მიშველებას. თვითონ სპარტაკი დაეცემოდა ზურგიდან და ბოლოს, ბრძოლის ველზე, გლადიატორების რეზერვები მოასწრებდნენ და რომაელების დამარცხება გარდაუვალი იქნებოდა.

ორესტი დაღვრემილი იჯდა თავის კარავში, დღე და ღამე იმის ფიქრით, თუ როგორ

გამოსულიყო გამოუვალი მდგომარეობიდან. სასოწარკვეთილებას მიეცა მისი ჯარი. ჯერ ჩუმად, მერე თანდათან უფრო ხმამაღლა დაუწყეს ლანძღვა თავის პრეტორს. ეძახდნენ სულელს და ლაჩარს. - როცა გამარჯვების იმედი ჰქონდა, არ გაგვიყვანა საომრად და ახლა კი იძულებულია, დაგვღუპოს! ყველა იგინებოდა. ანფიდიუსის უმეცრება ბრაზს ჰგვრიდა ყველას. გლადიატორებისაგან დამარცხებული კონსულები, პოსტუმიუსი და ვეტურიუსი, უცაბედად მოემწყვდნენ კავდიუმის ვიწროებში, მაშინ, როდესაც ორესტმა თვითონ მისცა დრო გარსშემორტყმოდნენ ვაკე ადგილზეო.

ასე იყო საქმე, როდესაც პრეტორმა ჯარის გასამხნევებლად გადაწყვიტა მიემართა ერთ იმ ხერხთაგანისთვის, რომელიც ისე სწამდა რომის უმეცარ დაბალ ხალხს და რომელსაც მიმართავდნენ ცბიერნი თავისი ბნელი ზრახვების განსახორციელებლად, რადგან სარგებლობდნენ ხალხის უმეცრებითა და ზებუნებრივი ძალისადმი შიშით.

ამ აზრით უბრძანა გამოეცხადებინათ მთელ ბანაკში, რომ მსხვერპლი შეეწირათ იუპიტერის, მარსისა და კვირინისათვის, რომელთაც უნდა გამოეცხადებინა ავგურების პირით, თუ როგორ დაეხსნა თავი რომის ჯარს ამ გარდაუვალი დაღუპვისგან.

დანიშნულ დღეს ლეგიონები გარს შემოერტყნენ პრეტორის კარვის გვერდზე სამსხვერპლოს, სადაც ცეცხლს ანთებდნენ.

სამსხვერპლოს ერთ მხარეს ჰქონდა ხვრელი, საიდანაც მოჟონავდა სამსხვერპლოდ შეწირული ღვინო, მის გარშემო კი ეკიდა ვარდებითა და სხვა ყვავილებით მორთული კვერთხები. იქვე იდგნენ სამი ღვთაების: იუპიტერის, მარსისა და კვირინის ქურუმები. ქურუმებს თეთრი, უწმინდესი შალის მოსასხამები ჰქონდათ წამოსხმული, გულთან შეკრული, თავზე კი წმინდა შალისვე წოპწოპა ქუდები ეხურათ.

მათ უკან იდგნენ ქურუმების სამოსელში გამოწყობილი ავგურები, ხელში ეჭირათ მწყემსების კომბლების მსგავსი, ბოლოში მოხრილი კვერთხები, მათი გამოსაცნობი ნიშანი. მათ უკან მოჰყვებოდა ქურუმის თანაშემწე - საქონელი მოჰყავდა სამხსვერპლოსთან და კლავდა, მეორე თანაშემწე კი ძარღვებს უჭრიდა მსხვერპლს და იქიდან სისხლს უშვებდა. ორივეს კოჭებამდე წინსაფრები ჰქონდათ აფარებული. პირველს მხარზე ჩუგლუგი გაედო, მეორეს - დიდი, გალესილი ხანჯალი სპილოს ძვლის ტარით. ორივეს, აგრეთვე ქურუმებსა და ავგურებს, თავზე ყვავილების გვირგვინები ედგათ, ყელზე შემოხვეული ჰქონდათ თეთრი და წითელფოჩებიანი შალები. ასეთივე გვირგვინებითა და ფოჩებიანი შალებით ჰქონდათ თავი შემკული სამხსვერპლო ხარებს, ცხვრებსა და ღორებს. მათ უკან მოჰყვებოდნენ მდაბალი მსახურნი და მოჰქონდათ: ხის ჩაქუჩები, რომლებიც ქურუმის თანაშემწეს კეფაში

უნდა ჩაეცა მსხვერპლისათვის და გაებრუებინა, სამსხვერპლო ორცხობილა, ნელსაცხებლისა და გუნდრუკის ვერცხლის ყუთი, საკმეველის ვერცხლის სამსხვერპლო თასი, რომლიდანაც

საკმეველს ყრიდნენ საცეცხლურში, ამფორა ღვინით და პატარა თასი მსხვერპლად შესაწირი ღვინით. სულ ბოლოს მოდიოდა სამსხვერპლო წმიდა ფრინველთა მცველი და გალიით საღვთო ქათმები მოჰყავდა. პროცესიას აბოლოვებდნენ მემუსიკენი, რათა ხმები აეყოლიებინათ ქურუმების სიმღერისთვის მსხვერპლის შეწირვის დროს.

სამსხვერპლო პროცესიას უკან მიჰყვებოდა რომის ჯარი, გარდა იმ ჯარისკაცებისა, ბანაკის დასაცავად რომ დაეტოვებინათ. როდესაც ყველანი გაიუს ანფიდიუს ორესტის წინამძღოლობით მოეწყვნენ სამსხვერპლოს ირგვლივ, ქურუმნი შეუდგნენ განბანვას. ჩაყარეს საცეცხლურში საკმეველი, შეაყარეს სამსხვერპლო საქონელს ფქვილი, აღასრულეს მსხვერპლთშეწირვის წესი ღვინითა და ორცხობილათი. მერე ქურუმმა მდაბალ მსახურთა დახმარებით აუწია თავი ხარს, სწორედ ისე, როგორც იქცეოდნენ მიწიერ ღმერთთა მსხვერპლშეწირვის დროს, საქონლის თავი მიწისკენ მიაქცია, დაჰკრა ჩაქუჩი შუბლში და ნაჯახით მოუღო ბოლო. ამასობაში ქურუმთ მოსაყდრეთ კისერი გადაუჭრეს წვრილფეხა საქონელს და ძარღვებიდან სისხლი ადინეს. ამ სისხლმა მორწყო მთელი სამსხვერპლო. ხორცის ნაწილი მაშინვე დადეს შუა სამსხვერპლოზე დანთებულ ცეცხლზე. ზვარაკთა შიგნეული დიდი მოწიწებით შეაგროვეს ოთხ ფეხზე დადგმულ, ოდნავ მოხრილ ბრინჯაოს ლანგარზე.

როდესაც ეს წესები აღასრულეს, შიგნეული მიეცათ ავგურებს, რომელთაც დაუწყეს სინჯვა დიდი გულმოდგინებით, რათა შიგ თავიანთი მომავალი ამოეკითხათ.

თუმცა ბერძნული ფილოსოფიის შესწავლამ და ეპიკურეს მოძღვრების გავრცელებამ დიდი სისწრაფით შეურყია რომაელ ახალგაზრდებს ღმერთების რწმენა და თვალი აუხილა ქურუმთა თვალთმაქცობაზე, ხალხში მაინც იყვნენ ისეთები, ვისი გონებაც ბნელით იყო მოცული და ისე მისჯაჭვოდა მათი გულები ღმერთებს, რომ სამსხვერპლოს გარშემო მდგომ ოცდაათი ათას მამაც, ბრძოლებში ნაცად ჯარისკაცთაგან ერთიც კი არ აღმოჩნდა, რომ უკმაყოფილება გამოეთქვა ამ გახანგრძლივებულ წმიდა წესის აღსრულებაზე. მხოლოდ საათ-ნახევრის შემდეგ გამოუცხადეს ავგურებმა ჯარს, გადაწყვეტილების მომლოდინეს, რომ ღმერთები კეთილგანწყობილნი იყვნენ რომაელებისადმი, რადგან შიგნეული ამაზე მეტყველებდა.

მერე ჯერი დადგა საღვთო ქათმებზე. ისინი, ცხადია, დიდი ხნის უჭმელნი იყვნენ და გადაუყარეს თუ არა საკენკი, ქათმები სიხარბით მიესივნენ, ოცდაათი ათასი ლეგიონერის გასახარად. ქათმების კარგი მადა რომის ჯარისკაცებს იუპიტერის, მარსისა და კვირინის მფარველობის დამამტკიცებლად მიაჩნდათ.

ეს სასიამოვნო წინასწარმეტყველება სრულებით საკმარისი იყო ცრუმორწმუნე რომაელების გასამხნევებლად. გულადობა, თავისი წინამძღოლისადმი რწმენა და ტრადიციული დისციპლინა დაუბრუნდა მათ რაზმებს; ანფიდიუს ორესტმა

გადაწყვიტა, მაშინვე ესარგებლა ჯარის კარგი მდგომარეობით, რომ რაც შეიძლებოდა მეომართა ნაკლები დაკარგვით გაერღვია გარსშემორტყმული რკალი.

ზვარაკების შეწირვის მეორე დღეს რომაელების ხუთი დეზერტირი მივიდა სპარტაკის ბანაკში. მიჰგვარეს თუ არა ისინი სპარტაკს, ყველამ ერთი და იგივე ჩვენება მისცა: რომ პრეტორმა განიზრახა მეორე ღამესვე ჩუმად გასვლა ბანაკიდან და გლადიატორებზე დაცემა იმ აზრით, რომ გასულიყო კალვისაკენ და შემდეგ თავი შეეფარებინა კაპუაში. გაპარვა ახსნეს იმით, რომ სურდათ თავის დახსნა უეჭველი სიკვდილისგან.

სპარტაკმა ხუთი დეზერტირის ჩვენება დიდი ყურადღებით მოისმინა და თან მზერას არ აშორებდა, რომ დარწმუნებულიყო მათ ჩვენებაში, სპარტაკი მრავალგვარად ეკითხებოდა და ბოლოს გაჩუმდა. რამდენსამე წამს ჩაფიქრებული იდგა, მერე თითქოს თავის თავთან მსჯელობსო, უთხრა:

- კარგი, წადით!

შემდეგ მიუბრუნდა ერთ თავის კონტუბერნალს და დაუმატა: -

მიიყვანე, ფლავიუს, ცალკე კარავში და უბრძანე კარგად უდარაჯონ!

როდესაც კონტუბერნალმა დეზერტირები წაიყვანა, სპარტაკმა გაიხმო იქიდან ლეგიონის ერთი უფროსთაგანი, ყმაწვილი თრაკიელი არტაკი და უთხრა:

- ესენი ცრუ დეზერტირები არიან.

- ვითომ? - წამოიძახა გაკვირვებით არტაკმა.

- განგებ არიან გამოგზავნილები ანფიდიუს ორესტისაგან, რომ მომატყუონ. მათ მიამბეს სწორედ იმის საწინააღმდეგო, რაც ანფიდიუსს მართლა სწადია.

- აგრე რათა გგონია?

- აი, რათა: ორესტი უნდა ეცადოს, და ამას იზამდა ყველა მის ადგილას, გაარღვიოს როგორმე ჩვენი წრე, რომის მხრიდან და არა კაპუას მხრიდან. კიდევაც რომ მოახერხოს თავის შეფარება კაპუაში, ბრძოლისაგან დასუსტებული და დაქანცული მაინც ვეღარაფერ იზამს ჩვენს წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც ჩვენ გზა გახსნილი გვაქვს ლაციუმზე, თვით რომის გალავნამდე. მაშასადამე, ანფიდიუსი უნდა გავიდეს რომისაკენ იმ აზრით, რომ დაიცვას ჩვენი თავდასხმისაგან. რომია ერთადერთი მისი იმედი. რომი რომ ექნება ზურგს უკან, ორესტს ცოტა ჯარითაც შეუძლია ჩვენი შეჩერება კარგა მანძილზე. მაშასადამე, იმის თავგანწირულ საწადელს უნდა ველოდოთ ამ მხარიდან და არა ფორმიუმიდან, როგორც უნდა დაგვაჯეროს თავისი დეზერტირებით.

- ვფიცავ მერკურს, რომ კარგად მოისაზრე!

- აი, ამიტომ ამაღამვე უნდა მივატოვოთ ეს ბანაკი და გავიდეთ აპიუსის გზაზე, სადაც მიფარებულ ადგილზე დავლაგდებით. ამგვარად, ჩვენ ბევრად დავუახლოვდებით

კრიკსს, რომელსაც, როგორც მგონია, ხვალ დაატყდება თავს რომაელების მთელი ძალა. ენომაიც გამოვა ფორმიუმიდან და მიუახლოვდება მტერს...

- მაშასადამე, უფრო მაგრად მოუჭერ ცოცხალ რკალს, რომელიც შემოარტყი რომაელებს! - წრფელი აღტაცებით შენიშნა ყმაწვილმა თრაკიელმა, რადგან ახლა სრულებით ჩასწვდა სპარტაკის აზრს. - და თუ...

- და თუ - გააწყვეტინა სპარტაკმა, - ორესტი მართლა დაიძვრება ენომიაზე და არა კრიკსზე, ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, პრეტორს ხელიდან არ გავუშვებთ, იმიტომ რომ, მტერთან დაახლოებით ჩვენი გერმანელი ლეგიონები ჩვენც დაგვიახლოვდებიან. შემდეგ მოიხმო სამი კონტუბერნალი და უბრძანა სხვადასხვა გზებით წასვლა ფორმიუმში, რათა გადაეცათ ენომაისათვის ბრძანება, მოახლოვებულიყო ექვსიოდე მილზე ფუნდთან, ამასთანავე სპარტაკმა გაგზავნა კრიკსთან შესატყობინებლად, რომ მას მოელის მტრის დაცემა.

სპარტაკის შიკრიკები მივიდნენ გერმანელების ბანაკში მზის ჩასვლისას და ორი საათის შემდეგ ენომაი თავისი სამიათასიანი ცხენოსანი ლეგიონით დაიძრა რომაელების ბანაკისკენ დიდი სიფრთხილით. გათენებისას ჯარი მივიდა ერთ ტყით დაფარულ გორაკზე, რომელიც დასაბანაკებლად ამოირჩიეს. მთელი ღამე წვიმდა და მთლად გაიწუწნენ გლადიატორები, მაგრამ ენომაიმ ცეცხლის დანთება აუკრძალა; უბრძანა, მაშინვე შესდგომოდნენ თხრილების გათხრას და თვითონვე უჩვენებდა მაგალითს მეომრებს.

ყველაფერი სწორედ ისე მოხდა, როგორც სპარტაკი მოელოდა. რიჟრაჟზე, წინა წყებების მზვერავებმა, რომელთაგან ზოგიერთნი აპიუსის გზაზე იდგნენ, შეატყობინეს კრიკსს მტრის მოახლოება.

ორივე ლეგიონი - მესამე და მეოთხე - მზად ჰყავდა საომრად და შუაღამისას გამოვიდნენ თავისი თხრილებიდან. მეშურდულეები წინ გაიფანტნენ და დაუხვდნენ რომაელებს ქვებითა და სათხედებით.

ორესტი საომრად მომზადებული მიიწევდა წინ და ამიტომ, გამოჩნდნენ თუ არა გლადიატორების მეშურდულეები, მაშინვე გამოიყვანა ქვეითები და გაგზავნა მტერზე დასაცემად. შემდეგ რომაელთა მეშურდულეებმა დაცალეს საჩქაროდ ფრონტი და სამი ათასი

მხედარი სწრაფად დაეცა გლადიატორების გაშლილ წყებებს. კრიკსმა უბრძანა, დაეკრათ დაფდაფები შეერთების ნიშნად, მაგრამ მისმა მეშურდულეებმა ვერც კი მოასწრეს თხრილებს იქეთ მოფარება, რომ მტრის მხედრები დაეწივნენ. ოთხას კაცზე მეტი აკუწეს თვალის დახამხამებაში და დანარჩენები კი გადარჩნენ მხოლოდ განიერი მდინარის წყალობით, რომელმაც რომაელების კავალერია შეაჩერა.

მაშინ კრიკსი ერთი ლეგიონით დაიძრა მდინარისკენ, რომლის მეორე ნაპირზე გადმოსასვლელად ემზადებოდნენ რომაელების ცხენოსნები. წვიმასავით ზედმოყრილმა სითხედებმა უწესოდ გაფანტა ცხენოსნები.

ორესტმა უბრძანა, დაეკრათ დაფდაფები უკანდახევის ნიშნად და როდესაც მისი კავალერია ჯარს შეუერთდა, გამოიყვანა კრიკსის ლეგიონზე ორი თავისი ლეგიონი; მისთვის აუცილებლად საჭირო იყო არა მარტო გამარჯვება, სწრაფად გამარჯვება. სულ ცოტა გადამეტებულ ხანსაც შეეძლო მისი დაღუპვა.

რომაელები შეეტაკნენ გლადიატორებს ისეთი საზარელი სისწრაფით, რომ უკანასკნელები ერთ წამში აირივნენ. მაგრამ გამხნევებულებმა არტორიქსის მაგალითით და კრიკსის არაჩვეულებრივი სიმამაცით, რომელიც პირველ წყებებში იბრძოდა, ხელახლა შეაჯგუფეს

თავისი რაზმები და შეაჩერეს რომაელების მოწოლა. დაიწყო ომი ორივე მხრიდან ენით გამოუთქმელი სიმძვინვარით.

ცა მოღრუბლული იყო. ხშირი წვიმა ასხამდა გათენებიდან მოყოლებული გადაუღებლად და ჯანყით ბურავდა უშველებელ მინდორს, სადაც მხოლოდ იარაღის ზარდამცემი წკრიალი და მეომრების ყვირილი გაისმოდა.

ამ დროს რომაელების მესამე ლეგიონმა გლადიატორებს მარჯვნივ შემოუარა და დაჰკრა მათ ფლანგს. ბარტორიქსმა მეოთხე ლეგიონით შეუკრა მათ გზა; მაგრამ ვერც კი მოასწრო მტერთან შეტაკება, რომ ორესტის უკანასკნელი ლეგიონი უკვე დაესხა მის მეორე ფლანგს და უქადდა უკანიდან დაცემას. ვერანაირი სიმამაცე, ვერანაირი შეურყევლობა ვერ უშველიდა აქ. საქმე უნდა გადაეწყვიტა მებრძოლთა რაოდენობას. კრიკსი მიხვდა, რომ ნახევარ საათში ოთხივ კუთხივ შემოერტყმოდნენ, დაამარცხებდნენ და ათი ათასი კაცი ამოიჟლიტებოდა.

მოასწრებს სპარტაკი მოშველებას ამ ნახევარ საათში? აი, ეს არ იცოდა კრიკსმა. ამიტომ უბრძანა ბარტორიქსს დაბრუნებულიყო ბანაკში. ასეთივე ბრძანება მისცა მესამე ლეგიონსაც.

თუმცა გლადიატორები გულადად იყვნენ, მაგრამ უკან დაბრუნება მაინც ვერ იქნა სრულიად

წესიერი. როცა დაინახა კრიკსმა არეულობა, იძულებული გახდა მიეშვა მტერზე ორი კოჰორტა, რომლებიც გასწირა სასიკვდილოდ - სხვების დასახსნელად.

ეს ათასი განწირული კაცი მტერს ეცა რაღაც სარწმუნოებრივი აღტაცებით და იხოცებოდნენ არა თუ უშიშრად, სიხარულითაც. მოკლე ხანში ოთხას კაცზე მეტი დაეცა. თითქმის ყველანი გულში იყვნენ დაჭრილი. რომ ესხნათ გლადიატორები უეჭველი სიკვდილისაგან, ბანაკში დაბრუნებულები აძვრნენ მესერზე და სეტყვასავით დააყარეს რომაელებს სათხედები და ქვები, რითაც იძულებულნი გახადეს, შეეწყვიტათ ბრძოლა.

მაშინ ორესტმა უბრძანა, დაეკრათ დაფდაფები შეკრების ნიშნად და აღადგინა, რამდენადაც შეიძლებოდა, წესიერება გამძვინვარებული ომის მიზეზით ძალიან არეულ წყებებში და საჩქაროდ დაიძრა პივერნისკენ სიხარულით, რომ ასე იოლად აიცილა თავიდან უბედურება.

მისი ფიქრით, ეს მანევრი აიძულებდა სპარტაკს, დაეხია ტარაცინიდან და მიახლოვებოდა ფორმიუმს. მაგრამ ორი მილიც არ გაევლო აპიუსის გზაზე, რომ მის წინა რაზმს, პივერნისა და რომისკენ მიმავალს, შეეტაკნენ სპარტაკის მეშურდულეები.

სულით დაეცა ორესტი, მაშინვე გააჩერა თავისი ჯარი და წინ გაგზავნა კავალერიის ერთი

ნაწილი. შემდეგ ოთხი ლეგიონი გაშალა ისე, რომ ორი მათგანი იდგა პირდაპირ სპარტაკის ლეგიონების წინ და დანარჩენი ორი - უკნიდან, რომელიც მომზადებული იყო კრიკსის დაცემის დასახვედრად, რადგან ორესტმა კარგად იცოდა, რომ კრიკსი დაუყოვნებლივ დაეცემოდა ხელმეორედ.

მაპრთლაც, როგორც კი ომში ჩაებნენ მეხუთე და მეექვსე ლეგიონები, კრიკსმა გამოიყვნა ბანაკიდან თავისი მეომრები, შესამჩნევად შემცირებული ბევრი დანაკლისით, მაგრამ გამხნევებულები გამარჯვების იმედით და სწრაფად გამოეკიდა რომაელებს.

საზარელი იყო ომი. ნახევარ საათს გაგრძელდა, მაგრამ გამარჯვებას მძვინვარედ ედავებოდა ერთმანეთს ორივე მხარე, რომ უცბად იმ ქედის წვეროზე, რომელიც ფუნდს ეფარებოდა, გამოჩნდა გერმანელთა ლეგიონების წინა ჯარი. ვაკეზე ომის დანახვაზე, ყიჟინით დაეცნენ რომაელებს. ამნაირად, სამი მხრიდან, რაოდენობით მათზე მეტი მტრით გარსშემორტყმული რომაელები ვეღარ შეუჩერდნენ და შესამჩნევად დაეტყოთ დამორჩილება; ბოლოს შეირყნენ და გაიფანტნენ უწესოდ აპიუსის გზით პივერნის მხარისკენ.

გლადიატორები ფეხდაფეხ მისდევდნენ რომაელებს სპარტაკის ბრძანებით, რომელსაც მშვენივრად ესმოდა, რომ ამგვარად შეუკრავდა ფეხს მტრის კავალერიას, რადგან მას არ შეეძლო გლადიატორებთან მისვლა ისე, რომ თავისი ქვეითებიც ფეხით არ გაეთელა.

ბოლოს ბრძოლის ველზე მოვიდა რაზმი, რომელიც, ყველაზე შორს იდგა. მისმა მოსვლამ ხომ უფრო დააჩქარა გლადიატორების სრული გამარჯვება. მეტისმეტად წინდახელდულმა და სამხედრო საქმეში გამოცდილმა გრანიკმა, კრიკსისაგან მიღებული ამბის შემდეგ, ისე გამოიარა გზა, რომ პივერნთან უფრო ახლო ყოფილიყო. მან გამოიანგარიშა, რომ მის მისვლამდე რომაელები უკვე დამარცხებული იქნებოდნენ; სწორედ ასეც მოხდა და მისმა კორპუსმა დაჰკრა ორესტის წინა წყებას სწორედ იმ წამს, როდესაც ის უწესოდ გაიფანტა.

სისხლისღვრა დიდი იყო. შვიდი ათასზე მეტი რომაელი დაეცა ბრძოლის ველზე და ოთხი ათასამდე ტყვედ წაიყვანეს. მხოლოდ ცხენოსანთა ჯარი გაიქცა თითქმის უკლებლივ პივერნში, სადაც ღამის განმავლობაში მოიყარეს თავი დამარცხებული ლეგიონების გაფანტულმა მეომრებმა.

გლადიატორებსაც არ დაუჯდათ იაფი ეს გამარჯვება. მათ დაკარგეს ორი ათასამდე მეომარი და თითქმის იმდენივე დაიჭრა.

მეორე დღეს, გათენებისას, სანამ გამარჯვებულები თავის დახოცილ ამხანაგებს მიწას აბარებდნენ, პრეტორი ანფიდიუს ორესტი საჩქაროდ უკუიქცა ნორბაში ოთხი ლეგიონის გადარჩენილი მეომრებით.

ასე დამთავრდა თვე-ნახევრის შემდეგ რომაელების მეორე გალაშქრება სპარტაკზე, რომლის სახელი აშინებდა თვის რომის სენატსაც.

ფუნდის ბრძოლის რამდენიმე დღის შემდეგ სპარტაკმა შეკრიბა გლადიატორების ლეგიონების წინამძღოლების საბჭო და ყველამ ერთხმად გამოაცხადა, რომ სრულებით შეუძლებლად თვლიდნენ რომთან შებრძოლებას, სადაც თვითეული მცხოვრები მეომარი იყო. რომს შეეძლო რამდენიმე დღეს დაეპირისპირებინა გლადიატორებისათვის ასიათასიანი არმია. ამის მიზეზით გადაწყვიტეს სამნიუმსა და აპულიაში ჩასვლა იმ აზრით, რომ იქ შეეკრიბათ მონების ახალი ლეგიონები.

სპარტაკმა თვისი ჯარით დაუბრკოლებლივ გაიარა ბოვიანი, მივიდა სამნიუმში და აქედან დღისით გაემართა აპულიისაკენ.

ამასობაში რომში მივიდა ამბავი პრეტორ ორესტის დამარცხების შესახებ ფუნდთან. შიშმა მოიცვა მცხოვრებლები. სენატმა რომ შეიტყო თავისი ჯარების ახალი დამარცხების ამბავი, მოიწვია საგანგებო კრება, რომ განესაჯათ, როგორ მოესპოთ ეს ამბოხება, რომელიც დასაწყისში სასაცილოდ ეჩვენებოდათ, ახლა კი სასტიკ, რომის დიდების დამჩრდილავ ომად გადაიქცა.

რა გადაწყვიტეს პატივცემულმა მამებმა, ყველასათვის საიდუმლოდ დარჩა; ეს კი იცოდნენ, რომ იმავე ღამეს კონსული მარკუს ტერენციუს ლუკულუსი რამდენიმე მხედრით, პატრიცის უბრალო ტანისამოსით, ულიქტორებოდ და თავისი ხარისხის უნიშნებოდ, ესკვილინის ალაყაფის კარიდან გავიდა და პრენესტის გზით გაემგზავრა.

ფუნდის ბრძოლის ერთი თვის შემდეგ სპარტაკი თავისი ჯარით დაბანაკებული იყო ვენუსიის ახლოს. ის იყო დაბრუნდა აღლუმიდან, რომელიც მის დროშებქვეშ უკანასკნელი ოცდაათი დღის განმავლობაში შეკრებილი მონებისგან - თრაკიელებისა და გალებისგან შემდგერი ორი ლეგიონით ჩაატარა, (ათი ათასზე მეტი მონა მოვიდა ერთ თვეში აპულიის ქალაქებიდან გლადიატორების ბანაკში), რომ უეცრად მოახსენეს, რომის სენატისგან გამოგზავნილი ელჩი ითხოვს შენს ნახვასო.

- ვფიცავ იუპიტერის ელვას, - თქვა სპარტაკმა და თვალები აენთო გამოუთქმელი სიხარულით, - რომის სიამაყე ძალიან დამცირდა, თუკი სენატი არ თაკილობს საზიზღარ გლადიატორთან მოლაპარაკებას! და ერთი წუთის შემდეგ დაუმატა:

- ვფიცავ ოლიმპოს ღმერთებს, მართლაც ღირსეული კაცი ვყოფილვარ და მრავალი საგმირო საქმე ჩამიდენია, თუ პატივი მომაგეს, ასეთი სიამოვნება განვიცადო.

წამოისხა თალხი მოსასხამი, - იმპერატორის ნიშნებს მხოლოდ დღესასწაულებში ატარებდა, რათა სიამოვნება მიენიჭებინა თავისი ლეგიონებისათვის, - დაჯდა თავისი კარვის შესასვლელთან, პრეტორის მოედნის წინ დადგმულ სკამზე და მიუბრუნდა არტორიქსს, ევტიპიდას და დანარჩენ კონტუბერნალებს, რომლებიც თან ახლდნენ გასეირნების დროს, და მეგობრულად დაუწყო საუბარი. ამასობაში შეატყობინეს

სენატისგან გამოგზავნილი ელჩის მოსვლა. სპარტაკმა ღიმილით უთხრა თანამოსაუბრეთ:

- მაპატიეთ, რომ უნდა მიგატოვოთ, თუმცა კი თქვენთან საუბარი ბევრად უფრო სასიამოვნო იქნებოდა ჩემთვის, ვიდრე რომაელ ელჩთან შეხვედრა, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს, უნდა მოვუსმინო, - და გამოეთხოვა თავის ამხანაგებს. შემდეგ ღიმილით მიუბრუნდა ათისთავს, ელჩის მოსვლის შემტყობინებელს, და უთხრა:

- უბრძანე, შემოიყვანონ რომაელი ელჩი!

რამდენიმე წამის შემდეგ სენატის ელჩი და ოთხი მისი თანამგზავრი მივიდნენ სპარტაკის

კარავთან გლადიატორების წინამძღოლობით, რადგან, ჩვეულებისამებრ, ელჩს თვალები ახვეული ჰქონდა.

- შენ იმყოფები ჩვენი ბანაკის პრეტორიუმზე, წინამძღოლის წინ, - უთხრა ათისთავმა რომაელ ელჩს.

- სალამი შენდა, სპარტაკ! - წარმოთქვა მაშინვე სენატის ელჩმა და გაიწოდა ხელი იქით, სადაც სპარტაკი ეგულებოდა.

-

-
სალამი შენც, რომაელო, - უპასუხა სპარტაკმა. მინდა

მოგელაპარაკო საიდუმლოდ, - დაუმატა ელჩმა.

- კარგი, მოვილაპარაკოთ საიდუმლოდ, - უპასუხა სპარტაკმა და უბრძანა ყველას გარეთ გასულიყვნენ, ელჩის თანამგზავრები მეორე კარავში შეეყვანათ, თვალებზე ასახვევები მოეხსნათ და გამასპინძლებოდნენ.

როდესაც ათისთავი, გლადიატორები და მხლებლები გავიდნენ, სპარტაკი მივიდა რომაელთან, შეუხსნა თვალები.

- შეგიძლია უყურო, - უთხრა მან, - დამცირებული და საზიზღარი გლადიატორების ბანაკს.

შემდეგ სპარტაკი ისევ დაჯდა და არ აშორებდა გამომცდელ თვალს ელჩს, რომელიც, უეჭველია, პატრიცის ჩამომავლობისა იყო, რასაც ამტკიცებდა ტოგის ბრტყელი წითელი ზოლი.

ის იყო ორმოცდაათიოდე წლის კაცი, მაღალი, ჩაფსკვნილი, ჭაღარა თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი და კარგად მოყვანილ პირისახეზე ეტყობოდა კეთილშობილება და უსაზღვრო, ნამდვილი რომაული სიამაყე, რომელსაც ვერ ჰფარავდა ვერც ღიმილი, ვერც ელჩის ზრდილობიანი ქცევა, ვერც თავის დახრა პასუხის მიცემისას. როგორც კი თრაკიელმა თვალები აუხსნა, ელჩი ყურადღებით ჩააცქერდა გლადიატორების წინამძღოლს სახეში.

რამდენიმე წუთს შეჰყურებდნენ ერთმანეთს ხმაამოუღებლივ. პირველად სპარტაკმა დაარღვია სიჩუმე.

- დაბრძანდი, - უთხრა მან და მიაწოდა ხის სკამი, - ეს კურულის სავარძელი[137] არ არის, რომელსაც, რასაკვირველია, შენ ჩვეული ხარ, მაგრამ მაინც ამაზე გირჩევნია დანდობა, ვიდრე საკუთარ ფეხებზე.

- წრფელი გულით გმადლობ თავაზიანობისათვის, - უპასუხა პატრიციმ და დაჯდა გლადიატორის პირდაპირ.

მერე გადაავლო თვალი უშველებელ ბანაკს, რომელიც როგორც ხელისგულზე, ისე ჩანდა ამაღლებული პრეტორიუმიდან.

- ვფიცავ ოლიმპოს ღმერთებს, - წარმოთქვა მან, იქნება უნებურადაც, - ასეთი ბანაკი მე მინახავს მხოლდ სექსტიეს წყლებთან, გაიუს მარიუსთან.

- ისინი რომაელები იყვნენ! - დაცინვით მიუგო სპარტაკმა, - ჩვენ კი საზიზღარი გლადიატორები ვართ.

-

-

- მე იმისთვის არ მოვსულვარ, რომ შეურაცხყოფა მოგაყენო, ან შენგან ვიყო შეურაცხყოფილი, - ღირსებით უპასუხა რომაელმა. - დავანებოთ თავი ღვარძლიან ლაპარაკს, სპარტაკ, მე წრფელი გულით გამოვთქვი ჩემი აღტაცება.

ელჩი გაჩუმდა და რამდენსამე წამს ძველი სარდლის გამოცდილი

თვალით ათვალიერებდა ისევ ბანაკს. შემდეგ ხელახლა მიმართა სპარტაკს

და უთხრა:

ვფიცავ ჰერკულესს, შენ იმისთვის არ ხარ დაბადებული, რომ გლადიატორიიყო.

სწორედ ისე, როგორც ეს 60 ათასი უბედური, რომელთა ბანაკსაც შენ გადაჰყურებ, სწორედ ისე, როგორც ის მილიონი თავისუფალი ადამიანი, რომელიც თქვენ დაამონავეთ.

- მონობა ყოველთვის არსებობდა, - უპასუხა პატრიცმა თავის ქნევით, - იმ დღიდან, როდესაც კაცმა მოუღერა მახვილი მეორეს. ბუნებით კაცი კაცისთვის მგელია. მერწმუნე, სპარტაკ, შენი ლტოლვა კეთილშობილურია, როგორც შენი სული, მაგრამ სამუდამოდ დარჩება ლტოლვად; ვიდრე დედამიწის ზურგზე ხალხი არსებობს, ყოველთვის იყვნენ და იქნებიან ბატონები და მონები.

- არა! - სპარტაკმა, - ყოველთვის აგრე არ იყო. სანამ ყველა თავის მიწაზე მუშაობდა და თავის მარჯვენით ცხოვრობდა, ყველანი თანასწორნი იყვნენ და არ იყვნენ დედამიწაზე არც ბატონები, არც მონები. მაგრამ როდესაც გამოჩნდნენ ტომნი, რომლებიც, ღვთიურ დანიშნულებად თვლიდნენ თქვენსავით დანარჩენ ხალხებზე თავიანთ ბატონობას აი, მაშინ გაჩნდა სიხარბე, გაუმაძღრობა, მდიდრული ცხოვრება, ჩხუბი და ბრძოლა ხალხთა შორის...

- მაშ შენ გინდა ხალხი უწინდელ მდგომარეობას დაუბრუნო და გგონია, რომ შეძლებ მაგას?!.

სპარტაკი ელდანაცემი გაჩუმდა ამ უბრალო, მაგრამ ამასთან საზარელ კითხვაზე. როცა შენიშნა სპარტაკის შეძრწუნება, პატრიცმა დაუმატა:

- შენს მხარეზე რომ თვით რომის სენატიც გადმოვიდეს, მთელი თავისი ყოვლისშემძლებლობით, მაშინვე ვერ ასრულდება შენი მიზანი. მარტო ღმერთებს შეუძლიათ ადამიანის ბუნების გამოცვლა.

- თუნდ რომ უთანასწორობა აუცილებელიც იყოს ადამიანთა შორის, - უთხრა სპარტაკმა ფიქრის შემდეგ, - განა აქედან ის გამოდის, რომ ერთი მეორის მონა უნდა გახდეს? განა აუცილებელია, რომ გლადიატორების ერთმანეთის ხოცვის ცქერით ტკბებოდნენ გამარჯვებულები? ეს მხეცური სისხლის წყურვილიც ღმერთებისგან არის ნაბრძანები?

-

-

თავის მხრივ რომაელიც გაჩუმდა ამ სამართლიან კითხვებზე. თავი დახარა და ღრმა ფიქრებს მიეცა. ჩამოვარდა ხანგრძლივი სიჩუმე. სპარტაკმა პირველმა დაარღვია ის:

- რა მიზანი ჰქონდა აქ შენს მოსვლას? - ჰკითხა პატრიცს.

- მე ვარ გაიუს რუფუს რალა, რომის მხედარი და შენთან გამოგზავნილი კონსულ მარკუს ტერენციუს ლუკულუსისაგან ორი წინადადებით. სპარტაკმა ოდნავ გაიღიმა დამცინავად და უნდობლად ჰკითხა:

- აბა, პირველი რა არის?

- გამოუშვა ჩვენი შეთანხმებით რომაელი ტყვეები, რომელიც ფუნდთან შეიპყრო.

- მეორე? ელჩი თითქო შეკრთა. რაღაც უნდოდა ეთქვა, რომ აირია და ბოლოს თქვა:

ჯერ მიპასუხე ჩემს პირველს წინადადებაზე.

მე თანახმა ვარ, გავათავისუფლო ოთხი ათასი თქვენი ტყვე, თუ სანაცვლოდ მომცემთ ათი ათას ესპანურ მახვილს, ათი ათას ფარს, ათი ათას ჯავშანს ჩაჩქანებით და ასი ათას სათხედს, რომელიც დამზადებულია თქვენი საუკეთესო მესაჭურვლეების მიერ.

- როგორ? - წამოიძახა გაიუს რუფუს რალამ განრისხებით და თან გაკვირვებით, - შენ ითხოვ... იმედი გაქვს, რომ ჩვენ თვითონ მოგცემთ იარაღს, რომლითაც მერე ჩვენს წინააღმდეგ იბძროლებ?

- დიახ, დიახ, და წინდაწინვე გეუბნები, რომ უნდა იყოს საუკეთესო. ამას გარდა, პირობას დამიდებთ, მომიტანოთ აქ, ჩემს ბანაკში, ამ ოცი დღის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში ტყვეები არ იქნებიან გათავისუფლებულები. და ერთი წუთის შემდეგ დაუმატა:

- მე შემეძლო იარაღი სხვა ქალაქებშიც შემეკვეთა, მაგრამ დაგვიანდებოდა და მე კი მეჩქარება, რადგან საჭიროა ორი ახალი ლეგიონის შეიარაღება...

- სწორედ ამისთვის, - გააწყვეტინა მრისხანედ რომაელმა ელჩმა, - არ მიიღებ იარაღს და შეგიძლია დაიტოვო ჩვენი ტყვები. ჩვენ რომაელები ვართ და ვისწავლეთ ჰერკულეს მუსაგეტისა და ატილა რეგულისაგან, არა ჩავიდინოთ რამ სამშობლოსთვის მავნებელი და მტრისთვის სასიამო.

- კარგი, კარგი, - მშვიდად უპასუხა სპარტაკმა, - ოცი დღის შემდეგ გამომიგზავნით მაგ იარაღს.

- ვფიცავ იუპიტერს, - შეჰყვირა რუფუს რალამ, რომ ვეღარ შეიკავა სიბრაზე, - შენ ალბათ არ გესმის, რას ლაპარაკობ! არ მიიღებ-მეთქი იარაღს, გიმეორებ, არ მიიღებ! გყავდეს ეგ შენი ტყვეები!

-

-

- კარგი, - გაუმეორა სპარტაკმა უწინდებური სიმშვიდით, - მაგას მერე ვნახავთ. ახლა კი მითხარი, რაში მდგომარეობს მეორე წინადადება კონსულ მარკუს ლუკულლუსისა?

ამასთან სპარტაკმა ხელმეორედ დაცინვით გაიღიმა.

პატრიცი რამდენსამე ხანს ჩუმად იყო და ცდილობდა დამშვიდებას. ბოლოს, დამშვიდებული ხმით უთხრა:

- კონსულმა დამაბარა, ომის შეწყვეტა შემოგთავაზო.

- მაშ ასე? - გაუკვირდა სპარტაკს, - მერე რა პირობით?

- შენ გიყვარს და უყვარხარ რომაელი პატრიცის ქალს, რომელიც რესპუბლიკის უკეთილშობილეს გვარს ეკუთვნის... ისინი ვოლუზიუსის შთამომავალნი არიან, რომელნიც

რომში მისი დამაარსებლის რომულუსის დროს მოვიდნენ. ვოლუზიუს ვალერიუს პუბლიკოლა კი რომის რესპუბლიკის პირველი კონსული იყო.

რუფუს რალას სიტყვებზე სპარტაკი ზეზე წამოხტა სიბრაზისაგან ანთებული თვალებით და აპრიალებული პირისახით. მაგრამ ლოყები თანდათან გაუფითრდა. ხელმეორედ დაჯდა და შეკავებული ხმით ჰკითხა:

- საიდან იცის ეს კონსულმა? იმას და თქვენც რა ხელი გაქვთ ჩემს გრძნობასთან? რა დამოკიდებულება აქვს ჩემს გრძნობას ამ ომთან ან მშვიდობიანობასთან, რომელსაც მე მთავაზობენ?

ელჩი ცოტათი შეკრთა ამ კითხვებზე და წაიბურტყუნა რამდენიმე უთავბოლო სიტყვა, მაგრამ მერე გადაწყვეტით, მტკიცედ უთხრა:

- შენ გიყვარს ვალერია მესალა, სულას ქვრივი, და სენატი მზად არის, რომ ჩამორეცხოს ის სირცხვილი, რაც შენმა სიყვარულმა დაატეხა თავს, ნება მისცეს, გახდეს შენი ცოლი. შემდეგ კონსული მარკუს ლუკულუსი გთავაზობს ერთ-ერთს ამ ორში: თუ გინდა წარჩინება სამხედრო ასპარეზზე, შეგიძლია წახვიდე ესპანეთში პომპეუსთან მის კვესტორად, და თუ გინდა მშვიდი,

ბედნიერი ცხოვრება ოჯახში, მაშინ აფრიკის რომელსამე ქალაქში პრეფექტურას გთავაზობს შენი ამორჩევით. შენთან იქნება პოსტუმიაც, შენი ბედნიერი სიყვარულის ნაყოფი; თუ იმის წინადადებას არ დათანხმდები, მაშინ პოსტუმიას გადასცემენ დიქტატორის ორი სხვა შვილის, ფაუსტუსისა და ფაუსტას, მეურვეებს და შენ არათუ ყოველ უფლებას დაკარგავ მასზე, თვალითაც ვეღარასოდეს ნახავ.

სპარტაკი წამოდგა. მარცხენა ხელი ქამარს ჩასჭიდა, მარჯვენას კი წვერზე ისვამდა. ზიზღის ღიმილმა ტუჩები მოუბრიცა. ანთებული თვალებით დაშტერებოდა პატრიცს. როდესაც მან ლაპარაკი დაამთავრა, სპარტაკი ისევ შეჰყურებდა ოდნავ თავის ქნევით. დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ, თითქმის ჩურჩულით, დამშვიდებით ჰკითხა სპარტაკმა:

- ჩემი ამხანაგები?

- იმათ უნდა დაყარონ იარაღი და დაიშალონ. მონები თავის პატრონებს დაუბრუნდნენ, გლადიატორები - სკოლებს.

- და... ყველაფერი გათავდა? - უთხრა სპარტაკმა სიტყვების გაგრძელებით.

- სენატი მზად არის ყველაფერი დაივიწყოს და აპატიოს...

- დიდი მადლობელი ვარ! - დაცინვით თქვა სპარტაკმა. - რა სულგრძელია, რა მოწყალეა თქვენი სენატი!

- როგორ? - ამაყად წარმოთქვა რუფუს რალამ. - სენატმა ჯვარს უნდა აცვას ყველა ეს აჯანყებული მონა, ის კი პატიებას ჰპირდება და ეს კიდევ ცოტაა შენთვის?

- ოჰ, არა, პირიქით, ძალიან ბევრიც არის! სენატი პატიებას ჰპირდება ძლევამოსილ მტერს, - ეს სწორედ უმაგალითო სულგრძელობაა! ბოლოს, ერთი წამის სიჩუმის შემდეგ, მწარედ დაუმატა:

- მაშ სრული რვა წელიწადი ტყუილად ვიბრძოდი დიდებული, სამართლიანი, წმიდა საქმისათვის, ყოველ განსაცდელში ათასჯერ თავის გაწირვით? მე შევკრიბე

თავისუფლების დროშის ქვეშ სამოცი ათასი ჩემი უბედური ამხანაგი; მე მივუძღვოდი მათ გამარჯვებისკენ და ეს ყველაფერი იმისთვის, რომ ერთ მშვენიერ დილას გამომეცხადებინა მათთვის, თქვენი გამარჯვებები გამარჯვება კი არა, დამარცხება იყო; თავისუფლება, რომლისთვისაც მე თქვენ გეძახდით, ცარიელი ხმაა, დაუბრუნდით თქვენს ბატონებს და კისერი უღელს მიუშვირეთ და ზურგი - მათრახებს?!

- მაშ შენ არაფრად აგდებ იმ პატივს, რომელსაც სენატი გთავაზობს: ბარბაროსსა და მოძულებულ რუდიარს რომის კვესტორად ან პრეფექტად გადაგაქცევს და გაძლევს ცოლად კეთილშობილ ქალს?

- განა ეგეც სენატზეა დამოკიდებული? განა მას უფლება აქვს არა თუ მარტო ქონებაზე, არამედ რომის მოქალაქის გრძნობაზეც?

ორივენი რამდენსამე ხანს ჩუმად იყვნენ. შემდეგ სპარტაკმა დაბალი ხმით ჰკითხა რომაელ ელჩს:

- ვთქვათ, არ გამიგონეს თხოვნა და არ დაიშალნენ?

- მაშინ, - ნელა და ენადაბმით უთხრა თავჩაღუნულმა პატრიცმა თავისი ტოგის კალთის ქნევით, - მაშინ... მაგისთანა სახელგანთქმულ სარდალს, როგორიც შენა ხარ... არ გაგიჭირდება... ამას ხომ იმათივე სარგებლობისთვის ჩაიდენ... შეიყვანო ჯარი... სახიფათო ადგილას...

- სადაც კონსული მარკუს ტერენციუს ლუკულუსი, - თქვა გაფითრებულმა სპარტაკმა დაფარული სიბრაზით ტუჩის კვნეტით, - უდარაჯებს თავისი ლეგიონებით, გარს შემოერტყმის

და ნებით თუ უნებურად დააყრევინებს იარაღს და შემდეგ კიდევაც

დაიჩემებს გამარჯვებას? ხომ აგრეა? მიპასუხე! რომაელმა უფრო მეტად

ჩაღუნა თავი.

- მიპასუხე, ხომ აგრეა? - დაუყვირა სპარტაკმა ისეთი მედგარი ხმით, რომ მისი მოსაუბრე შეკრთა.

პატრიცმა თვალები მიაპყრო სპარტაკს, მაგრამ მას თვალები ისეთი მხეცური სიბრაზით უელავდა, რომ უნებურად უკან დაიხია ერთ ნაბიჯზე.

- ო! - შეჰყვირა თრაკიელმა, - უმადლე ოლიმპოს ღმერთებს, რომ მოძულებულმა, საზიზღარმა გლადიატორმა იცის ელჩების შეურყეველი უფლების პატივისცემა და მრისხანებამ არ დაუბნია გონება. სულმდაბალო და საზიზღარო ადამიანო, შენი ხალხისა და სენატის მსგავსო! შენ მოხვედი, რომ მე ღალატი შემომთავაზო, ღალატი უბილწესი, როგორიც კი შეიძლება კაცმა გაიგონოს! არც კი შეგრცხვა ჩემი გულის სათუთი გრძნობის შეხებისა, რომ ფლიდობით მიგეღწია იმისთვის, რასაც იარაღის ძალით ვერ მიაღწევ!

- ეჰეი, ბარბაროსო! - განრისხებით წარმოთქვა რუფუს რალამ, უკან გადადგა ორი ნაბიჯი და სპარტაკს მედიდურად შეხედა, - შენ, მგონია, დაგავიწყდა, ვის ელაპარაკები!

- არა, მარკუს ტერენციუს ლუკულუსო, რომის კონსულო, შენ დაგავიწყდა, თუ სად ხარ და ვის ელაპარაკები! შენ გგონია, რომ ვერ გიცანი? საზიზღარო! ცრუ სახელით მოხვედი, რომ მუხთლობით შეგეცდინე ღალატში, რადგან გეგონა, შენსავითშემეძლო უპატიოსნობის ჩადენა... გასწი, დაბრუნდი რომში, შეკრიბე ახალი ლეგიონები და მოდი, შემერკინე ტრიალ მინდორზე. თუ იმოდენა გულადობა გექნება, რომ პირისპირ გამისწორდე, როგორც ახლა დგახარ, იქ მოგცემ შენი ბილწი წინადადების შესაფერ პასუხს.

- დავიჯერო, საბრალო სულელო, - უპასუხა ზიზღით კონსულმა მარკუს ლუკულუსმა, - დავიჯერო, იმედი გაქვს დიდხანს გაუძლო ჩვენს ლეგიონებს? დავიჯერო, ოცნებობ სრულიად დაამარცხო უძლეველი რომი, რომელსაც მუდამ თან სდევს ბედნიერება?

- მე იმედი მაქვს გავიყვანო იტალიიდან და მივიყვანო სამშობლოში უფლებააყრილი მონების ეს ბრბო და იქიდან აღვძრა თქვენზე ყველა დაჩაგრული ხალხები და ბოლო მოვუღო თქვენს წყეულ ბატონობას, - უპასუხა სპარტაკმა. შემდეგ ხელის ჩვენებით უბრძანა კონსულს, წასულიყო.

მედიდურად გაეხვია ტოგაში კარისკენ მიმავალი მარკუს ლუკულუსი და უთხრა:

- ვნახავთ ერთმანეთს ბრძოლის ველზე.

- ღმერთებმა ინებონ, მაგრამ იმედი კი არ მაქვს, - უპასუხა სპარტაკმა.

როდესაც ლუკულუსმა პრეტორიუმის ქვემოთა გზით დააპირა წასვლა, სპარტაკმა მოაბრუნა:

- გესმის, რომის კონსულო, რადგანაც მე ვიცი, რომ რამდენიმე ჩემი მეომართაგანი, რომლებიც ტყვედ წაიყვანეთ ამ ომის დროს ჯვარს აცვით, ამიტომ წინდაწინ გეუბნები, თუ ოცი დღის განმავლობაში არ ჩამაბარებთ ჩემს საკუთარ ბანაკში იარაღს და საჭურველს, რომელსაც მე ვითხოვ თქვენგან, ჩემგან ფუნდთან დატყვევებული ოთხი ათასი თქვენი მეომარი ჯვარცმული იქნება.

- როგორ? შენ გაბედავ! - შეჰყვირა მრისხანებისგან გაფითრებულმა კონსულმა.

- თქვენისთანა ხალხთან, ვისთვისაც არ არსებობს წმიდათა წმიდა, ის, რასაც პატივს უნდა სცემდეთ., ყველაფერი შეიძლება! უსინდისობის წილ უსინდისობა, მკვლელობის წილ მკვლელობა, ხოცვის წილ ხოცვა, აი, როგორ უნდა მოგექცეთ! - თქვა სპარტაკმა. - ახლა გასწი! და ხელმეორედ ანიშნა კონსულს, წასულიყო.

სპარტაკის დაძახილზე მოვიდნენ ათისთავი და გლადიატორები, რომლებიც ლუკულუსსა და მის მხლებლებს ახლდნენ. წინამძღოლმა უთხრა, გაეცილებინათ ელჩი და მისი თანამგზავრები ბანაკის ალაყაფამდე.

მარტო დარჩენილი დიდხანს მიმოდიოდა თრაკიელი თავის კარავში, ჩანთქმული მწარე და მძიმე ფიქრებში.

მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ უბრძანა, დაეძახათ კრიკსის, გრანიკისა და ენომაისათვის, და უამბო მათ კონსულ მარკუს ლუკულუსის მოსვლა ბანაკში და მათი ლაპარაკი, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც შეეხებოდა ვალერიასადმი მის დაფარულ გრძნობას.

სამთავე გლადიატორმა მხურვალე მადლობა გადაუხადა სპარტაკსიმ მტკიცე და კეთილშობილური საქციელისთვის და წავიდნენ თავისი მეგობრისა და წინამძღოლის მიმართ ღრმა პატივისცემითა და ერთგულებით აღვსილნი.

დაბინდებისას სპარტაკი თავისი კარვისკენ გაემართა და გამოელაპარაკა მირცას, რომელიც

ცდილობდა გაეფანტა ძმის მძიმე ფიქრები, და ჯარისკაცების მიერ მისთვის მოწყობილი ჩალის, ცხვრის ტყავებგადაფარებული საწოლისკენ წავიდა. მოიხსნა ჯავშანი, რომელსაც დღე ყოველთვის ატარებდა. შემდეგ წამოწვა თავის საწოლზე, მაგრამ ძილი არ მოსდიოდა. მძიმედ ოხრავდა. შუაღამეს რომ გადასცილდა, მხოლოდ მაშინ მიეძინა და დაავიწყა თიხის სანათის ჩაქრობა, რომელიც კარავში ენთო. სპარტაკს ორ საათზე მეტს არ სძინებია, ხელში მაგრად ჩაბღუჯული ვალერიას მედალიონით, რომ უეცრად ხანგრძლივმა, ვნებით სავსე კოცნამ დაუწვა ტუჩები. სპარტაკს გაეღვიძა, ლოგინიდან წამოხტა და წამოიძახა:

- ვინ არის აქ? ვინ არის?

მის თავთან იდგა მუხლებზე დაჩოქილი, ნახევრად ტანგახდილი ევტიპიდა სრული თავისი მომხიბლავი მშვენიერებით. სქელი ქერა თმა მხრებზე გადაჰყროდა, თხელი ტუნიკის ქვეშ უჩანდა თეთრი მკერდი, როგორც თოვლის ფიფქი, და პატარა ხელები გლადიატორისკენ ვედრებით ჰქონდა გაშვერილი.

- შემიბრალე, შემიბრალე, სპარტაკ, ვკვდები შენი სიყვარულისაგან!

- ევტიპიდა! - წამოიძახა სპარტაკმა და თან მაგრად ბღუჯავდა მედალიონს, - შენ? აქ?

- აგერ, რამდენი ღამეა, ვდგავარ იმ კუთხეში და გიცდი, სანამ დაიძინებდე, - განაგრძო მან სიყვარულით სავსე ჩურჩულით და ხელი კუთხისკენ გაიშვირა, - ჩუმად შემოგტრფი. ოჰ, სპარტაკ, ნუთუ ჩემი სიყვარული საუკუნოდ უპასუხოდ დარჩება? ხუთი წელიწადია, ხუთი დაუსრულებელი წელიწადი, რაც თაყვანს გცემ, როგორც ღმერთს, ღმერთზე მეტად, და შენ კი უწინდებურად ყურს იყრუებ ჩემს ვედრებაზე! შენგან შეუწყნარებელი, ტყუილად ვცდილობდი ამომეგდო გულიდან შენი სახე და ჩამეხშო ჩემი გრძნობა ღვინოში, ორგიებში. ტყუილად გამოვიქეცი იმ ქალაქიდან, სადაც შენ გნახე; საბერძნეთშიც, როგორც რომში, შენი სახე განუშორებლივ თან დამდევდა. ვერც სამშობლო ადგილებმა, სადაც ჩემმა უმანკო სიყმაწვილემ განვლო, ვერც მშობლიური ენის გაგონებამ, ვერაფერმა ვერ შეძლო ერთ წამსაც დაევიწყებინა ჩემთვის შენი თავი... მიყვარხარ, მიყვარხარ, სპარტაკ! ადამიანის ენას არ ძალუძს ჩემი გრძნობის გამოთქმა. მიყურე, მე, ევტიპიდა, რომლის წინაშეც ფეხქვეშ ეგებოდნენ რომის უძლიერესი პატრიცნი, შენც ფეხქვეშ ვარ! შემიბრალე, ხელს ნუ მკრავ! მე ვიქნები შენი მონა, შენი მოსამსახურე... რაც გინდა. ოღონდ ნუ გამაგდებ, გევედრები!

თუ კიდევ მომიშორებ, მაშინ შეიძლება ჩავიდინო ყველაფერი, ყველაფერი, თითქმის უსაზარლესი შეცოდებაც კი.

ასე ევედრებოდა შევარებული ქალი ვნებით სავსე, აცახცახებული ჩურჩულით და მაგრად

ჩაებღუჯა თავის პატარა ხელებში გლადიატორის ხელი და მხურვალედ კოცნიდა. ამ ვნებიან, მაგრამ გულწრფელი გრძნობის მგზნებარე ნაკადულის ყურის გდებაზე სპარტაკი ხან აენთებოდა და ხან გაფითრდებოდა. ცეცხლი უტრიალებდაძარღვებში და თავბრუ ეხვეოდა, მაგრამ მედალიონი შეექმნა თილისმად, ცთუნებისაგან დამცველად. მოიკრიბა რაც ძალა ჰქონდა, სპარტაკმა ნელა მოიშორა ყმაწვილი ქალი და ალერსიანი, თითქმის მამაშვილური კილოთი უთხრა:

- კარგი, გეყოფა... დამშვიდდი, სულელო... მე სხვა ქალი მიყვარს, რომელმაც მამად გამხადა... და ვფიცავ, რაც კი წმიდა არსებობს დედამიწაზე, არასდროს ვუღალატო მას, როგორც ჩაგრულთა წმიდა საქმეს. მაში ამოიგდე გულიდან ჩემი სიყვარული და ნუღარ დამელაპარაკები იმ გრძნობაზე, რომელსაც ვერ თანავუგრძნობ.

- ო, ჯოჯოხეთის ერინიებო! მაშ ეს მართალია? - შეჰყვირა ევტიპიდამ, - შენ გიყვარს ის საძაგელი, წყეული ვალერია? მაშ იმან წამართვა შენი ალერსი?

- ჩუმად! - დაუყვირა განრისხებულმა სპარტაკმა.

ქალმა ხმა გაკმინდა ტუჩების კვნეტით. მაშინ გლადიატორი ეცადა სიბრაზის შეკავებას და წარმოთქვა მშვიდი, მაგრამ მკაცრი ხმით:

- გადი ჩემი კარავიდან და აღარ გაბედო აქ ფეხის შემოდგმა. ხვალიდან შენ ენომაისთან იქნები; შენ აღარ ეკუთვნი ჩემი კონტუბერნალების რიცხვს.

თავჩაღუნული კურტიზანი ქალი ნელა გავიდა კარვიდან, სპარტაკმა კი გახსნა მედალიონი და კოცნა დაუწყო დედამიწის ზურგზე მისთვის უძვირფასესი არსებების თმებს.

16. ლომი ქალის ფეხქვეშ. დასჯილი ელჩი

ევტიპიდა არაჩვეულებრივი ქალი იყო. მის გონებას ყოველთვის იმორჩილებდა გაშმაგებული ვნება, წრედაგადასული გულისთქმა. ის სიყრმიდანვე ჩაუვარდა ხელში გარყვნილ პატრიცს და ყველანაირი სირცხვილის გრძნობა დაკარგა, აგრეთვე ყოველი აზრი ნამუსსა და უმანკოებაზე. ჟინის დაკმაყოფილება ერთადერთ მიზანს შეადგენდა მის ცხოვრებაში; არანაირ აღვირს არ შეეძლო მათი შეკავება; ყოველი მისი სურვილი უნდა დაკმაყოფილებულიყო უეჭველად; თავისი უდრეკელი სიჯიუტისა და მტკიცე ხასიათის წყალობით მართლაც ყოველთვის მიაღწევდა ხოლმე, რასაც მოინდომებდა.

სპარტაკს რომ გულში ჩაეკრა, იქნებ მის გულს ბედნიერება ეგრძნო, ვინ იცის? იქნებ სათნო ქალად გადაქცეულიყო. გრძნობდა, შეეძლო გაბედული ნაბიჯები გადაედგა, ოღონდ იმ კაცის სიყვარული მოეპოვებინა, ვინც მის თვალში დიდებულ გმირად გადაქცეულიყო.

ევტიპიდა ელოდა, იმედოვნებდა, მაგრამ ყველა მისი ოცნება და იმედი ფუჭად იქცა. სპარტაკმა ხელმეორედ უკუაგდო და ევტიპიდა თრაკიელის კარვიდან გავიდა ტანჯვისაგან შეშლილი სახით, სირცხვილისგან ანთებული ლოყებით, გაცოფებული გულით.

ჯერ უაზროდ დაეხეტებოდა ბანაკის ხან ერთ კუთხეში, ხან მეორეში, თავბრუ ეხვეოდა, ყურები უბჟუოდა, ბრმასავით დადიოდა. ხან კარვის საკავეს წამოედებოდა, ხან ცხენებისათვის გადაღობილ ადგილთან წაიფორხიალებდა. თვითონაც არ იცოდა, რამ მიიყვანა მესერთან; არ ესმოდა რა ხდებოდა, მხოლოდ გრძნობდა იმას, რომ მეტისმეტად იტანჯებოდა და შურისძიება სწყუროდა, შურისძიება საზარელი, ხანგრძლივი და სისხლისმსმელი.

დილის ცივმა ნიავმა გაუგრილა გახურებული თავი და გონზე მოიყვანა. ევტიპიდა გაეხვია თავის პეპლუმში და მიიხედ-მოიხედა. მიხვდა, რომ მერვე ლეგიონის კარვებს შორის იმყოფებოდა. როცა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, გავიდა კვინტანის გზაზე და იქიდან მოკლე გზით გასწია თავისი კარვისკენ.

გზაში შეამჩნია, რომ ხელები სისხლით ჰქონდა მოსვრილი და გაახსენდა როგორ დაიკბინა გაცოფებულმა. უცბად შეჩერდა, აღაპყრო თავისი მწვანე თვალები და დასისხლიანებული ხელები ზეცას და გულში ღრმა სიძულვილით შეჰფიცა საკუთარი სისხლით რომ გადაუხდიდა თავისი დამცირებისა და შეურაცხყოფის სამაგიეროს და შეუთქვა შურისმაძიებელ ფურიებს სპარტაკის თავი მსხვერპლად.

მეორე დღეს სპარტაკმა, რომელმაც ფუნდთან პრეტორ ანფიდიუს ორესტის ჯარის ალყის

შემორტყმის შემდეგ დაადგინა, რომ გრანიკს, კრიკსსა და ენომაის ჰყოლოდათ ოთხოთხი კონტუბერნალი, უთხრა ენომაის, რომ ერთი მისი კონტუბერნალთაგანი გადავიდოდა მასთან.

გერმანელს არ გაუკვირდა ეს, რომელსაც, როგორც სხვა ჯარების უფროსებს, ჰყავდათ რამდენიმე კონტუბერნალი, მაგრამ მან თვალები გაოცებით დააჭყიტა, როდესაც

თვალწინ მშვენიერი ქალი დაინახა. ენომაი ხშირად შესტრფოდა ხოლმე ევტიპიდას მშვენიერს სახეს და მის ლერწამივით ტანს, თუმცა ერთხელაც არ გაუციახმა, რადგან სპარტაკის საყვარელი ეგონა.

- როგორ? შენ გგზავნის სპარტაკი ჩემთან? - თქვა მან.

- დიახ, მე, - უპასუხა ქალმა, - რად გაკვირვებს ეს?

- იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ... მე მგონია, ძალიან ძვირფასი იყავი სპარტაკისთვის...

- კარგი, ერთი! - უთხრა მწარე ღიმილით ევტიპიდამ, - სპარტაკისთვის ძვირფასია მხოლოდ ჩვენი საქმის გამარჯვება.

- ეგ სრულებით არ უნდა უშლიდეს, მე მგონია, შენიშნოს, რომ ქალებში შენ ხარ უმშვენიერესი და რომ შენი მსგავსი ლამაზი ქალი არ შეუქმნია თვით საბერძნეთის არც ერთ მოქანდაკეს.

ცხადია, ევტიპიდამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ველურ გერმანელზე, რადგან ის უცბად ასეთ ზრდლობიან ჭაბუკად გადაიქცა.

- სიყვარულში ხომ არ გინდა, გამომიტყდე? - გააწყვეტინა სიტყვა ქალმა. - მე მოვედი აქ ჩვენს დამჩაგვრელებთან საომრად და ამ წმიდა მიზნის გამო უარვყავი სიმდიდრე, დიდება და სიყვარული, ფუფუნებით ცხოვრება. თავის შეკავება სპარტაკისგან ისწავლე!

ამ სიტყვებით ყმაწვილმა ქალმა ამაყად მიუბრუნა ზურგი ენომაის და წავიდა იმ კარვისკენ, სადაც მისი კონტურბერნალები იყვნენ.

ენომაი დიდხანს ადევნებდა თვალს მიმავალ ევტიპიდას და მთელი დღის განმავლობაში თავისთვისაც გაუგებარი სიამოვნებით იგონებდა მშვენიერ ქალს.

ადვილი მისახვედრია, რომ ევტიპიდა განგებ ეკეკლუცებოდა ენომაის, რომ შეეყვარებინა თავი. რაც შეეხება მიზანს, რომელსაც დაადგა მაცდური ქალი, ამას ვინ მიუხვდებოდა?

ასეა თუ ისე, ამისთანა ლამაზსა და კეკლუცობაში გამოცდილს, როგორც ევტიპიდა იყო, ბევრი ჯაფა არ დასდგომია, რომ ველური ენომაი თავის ბადეში გაება და მალეც მოიპოვა მასზე უსაზღვრო უფლება.

გლადიატორების ბანაკში გაცხარებული მუშაობა იყო. სპარტაკი დილიდან დაღამებამდე ასწავლიდა სამხედრო წესს ორ ახალ ლეგიონს ვენუსიის ბანაკში. სწორედ თვრამეტის დღის შემდეგ კონსულ მარკუს ტერენციუს ლუკულუსთან მოლაპარაკებისა, ამ ლეგიონებისთვის გლადიატორების ბანაკში მოიტანეს ათი ათასი ჯავშანი, ფარი, მახვილი და სათხედი ტყვეების გამოსახსნელად, რომლებიც სრულიად განაიარაღეს და დააბრუნეს რომში.

ამ შეიარაღებულ ლეგიონთაგან ერთი - მეთერთმეტე, გალებისგან შემდგარი, შეუერთეს კრიკსის ოთხ ლეგიონს, მეორე კი, თრაკიელებისა - გრანიკისას. სპარტაკი აპულიისაკენ დაიძრა. ჯერ ბარესისაკენ გაეშურა და მიუახლოვდა ბრუნდუზიუმის

ზღუდეს, ყველაზე უმნიშვნელოვანეს ნავსადგურს ადრიატიკის ზღვაზე. ამ ლაშქრობის დროს, რომელიც ორ თვეს გაგრძელდა, არ მომხდარა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეტაკება რომაელებსა და გლადიატორებს შორის, რახან შეტაკებად ვერ ჩავთვლით იმ ადვილად დასაძლევ წინააღმდეგობას, რომელსაც ზოგიერთი ქალაქები უწევდნენ.

აგვისტოს ბოლოს ჩაუარა საუცხოოდ გამაგრებულ ბრუნდეზიუმს, სადაც არც კი შეეცადა შესვლას და ბანაკი დასცა გნაციუმის მახლობლად, რაც ჩვეულებისამებრ უფრო გაამაგრა - შემოავლო ფართო თხრილი, რახან თრაკიელი ფიქრობდა ამ პროვინციაში გამოზამთრებას, სადაც ნაყოფიერი მიწები, საუცხოო საძოვრები და საქონლის სიუხვე იმის ჯარს სურსათით უზრუნველყოფდა.

მარტო რომ დარჩებოდა თავის კარავში, სპარტაკი მთელი საათობით ფიქრობდა, თუ რაზე დაემყარებინა იმედი ამ ომში გადაწყვეტით. დიდი ფიქრის შემდეგ ბოლოს შეკრიბა სამხედრო საბჭო და წარუდგინა მოქმედების ახალი გეგმა. შუაღამემდე გაგრძელდა ბჭობა და ბოლოს მიიღეს ფრიად საყურადღებო გადაწყვეტილება, რომელიც, საბჭოს დადგენით, დიდი საიდუმლოებით უნდა შეენახათ.

სწორედ იმ ღამეს, როცა სპარტაკის კარავში გლადიატორების ჯარის უმთავრეს სამხედრო საბჭოს ბჭობა გაემართა, ევტიპიდას მოეხსნა იარაღი და თავის პატარა, მაგრამ საუცხოოდ მორთულ კარავში საწოლზე წამოწოლილიყო. ის თეთრი შალის პეპლუმში იყო გახვეული, თუმცა კი ვერ უფარავდა გაღეღილ მხრებსა და მკერდს. კარვის ბოძზე ჩამოკიდებული პატარა სპილენძის კანდელი ოდნავ ანათებდა კარავს.

სახე გასაოცრად ფერმკრთალი ჰქონდა და მოუსვენარი თვალით შესცქეროდა კარვის ფარდას. ყოველ მცირე შრიალზე იმის მოლოდინში იყო, ხომ არ გაინძრაო. ფიქრებს კი სულ სხვაგან აეტაცა მისი გონება. უეცრად შეკრთა, ყური მიუგდო. თვალები სიხარულით აენთო, ნაბიჯების ხმა თანდათან ახლოვდებოდა და ამოწმებდა იმის მოსვლას, ვისაც ბერძენი ქალი ასე მოუთმენლად ელოდა.

მართლაც, იმ წამს შეინძრა ფარდა და შემოსასვლელში გამოჩნდა ენომაის უზარმაზარი ტანი. ის უნდა დაკუზულიყო, რომ „ვენერას ტაძარში“ შესულიყო, როგორც ხუმრობით ეძახდა ხოლმე ევტიპიდას კარავს.

როცა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ენომაი დაეშვა მუხლებზე, წაავლო ხელი ყმაწვილი ქალის ორივე ხელს და ტუჩებთან მიიტანა.

- ოჰ, ჩემო საღმერთებელო ევტიპიდა! - თქვა მან.

- დიდხანს გასტანა დღეს თქვენმა თათბირმა, - უთხრა ევტიპიდამ და ალერსიანი თვალი მიაპყრო თავის ფეხქვეშ მჯდომ ახოვანს.

- დიახ, გადაჭარბებით დიდხანსაც! - უპასუხა ენომაიმ, - სიმართლე რომ ვთქვა, მომბეზრდა ეს რჩევები. მახვილის ქნევა ჩემი საქმეა, ენით ყბედობას კი დიდი სიამოვნებით დავუთმობდი სხვას.

- კარგი, მაგრამ სპარტაკმაც ხომ იცის მახვილის ხმარება და თუ სიმამაცეს ის გონიერებასაც უერთებს, მაშინ ჩვენი საქმე მხოლოდ გამარჯვებით დასრულდება!

- ღმერთმა ქნას! ჩემი აზრით კი ყველაზე უკეთესი ეს იქნება: მიდი პირდაპირ რომზე, არც აქეთ და არც იქით!

- ეგ ხომ უგუნურობა იქნებოდა! - გააწყვეტინა ევტიპიდამ, - როდესაც ჩვენორასი ათასი ვიქნებით, მაშინაც დიდი დაფიქრება გვმართებს, სანამ მაგას გადავწყვეტდეთ.

ორივენი გაჩუმდნენ. ველური კაცი შესცქეროდა ქალს ისეთი უსაზღვრო სინაზის გამომეტყველებით, რომელსაც ვერავინ ვერ წარმოიდგენდა მისგან. ევტიპიდაც ცდილობდა ნაზად ეყურებინა მისთვის და ხანდახან ისეთნაირად შეხედავდა გერმანელს, რომ ის სულ დნებოდა და თრთოდა.

- თქვენ დღეს, ალბათ, - უთხრა მან ბოლოს განგებ გულგრილად, - მოლაპარაკება გქონდათ დიდად საყურადღებო საქმეზე!

- დიახ, საყურადღებოზე... რა ვიცი, ასე კი ამბობდნენ სპარტაკი, კრიკსი და გრანიკიც...

- ალბათ მომავალი გალაშქრების გეგმას იზიარებდით, არა?

- არა, უპასუხა ენომაიმ, - თუმცა ის, რაზედაც ვთათბირობდით, ომს შეეხება. საქმე ის არის, რომ სპარტაკი გვირჩევს... მაგრამ ეს როგორ მომდის? - შეჰყვირა მან უეცრად, - ჩვენ წმიდა ფიცით შევფიცეთ ერთმანეთს, არ გვეამბა არა ხორციელისათვის, რასაც თათბირზე ვლაპარაკობდით და მე კი კინაღამ წამოვროშე!

- მგონია, რომ მტერს არ მიანდობდი თქვენს საიდუმლოებას.

- ოჰ, ჩემო საღმერთებელო ვენერა! დავიჯერო, შენ გგონია, რომ უნდობლობის გამო არ მინდა გიამბო?

- ეგღა მაკლია, ვფიცავ დელფოსის აპოლონს! - ზიზღით წარმოთქვა ქალმა, - მე შევწირე ამბოხების საქმეს მთელი ჩემი სიმდიდრე, მივატოვე სიტკბოება და უწინდელი ჩემი ცხოვრების მყუდროება და სუსტი ქალისაგან ვიქეცი თავისუფლების მეომრად და ამის შემდეგ ვინმე გაბედავს, ეჭვი შეიტანოს ჩემს ერთგულებაში?

- ოდინმა დასცეს თავისი მეხი მაგისთანა უწმინდურს! - შეჰყვირა ენომაიმ, - იცოდე, ო, სათაყვანებელო ქალო, რომ მე გაღმერთებ არა მარტო შენი სილამაზისათვის, აგრეთვე შენი მაღალი სულისა და კეთილშობილებისთვის. შენ ჩემთვის ყველაზე მაღლა დგახარ -

ხალხზედაც, ღმერთებზედაც, ყველა ფიცზეც და თუ შენ მოინდომებ, გამოგიტყდები აღთქმის მიუხედავად...

- არა, არა, არასდროს! - გააწყვეტინა სიტყვა ევტიპიდამ და თან ცდილობდა მისი მკლავებიდან გამოსხლტომას. - რა ჩემი საქმეა თქვენი საიდუმლოება? არაფრის გაგება არ მინდა, გესმის თუ არა?

- აი, ისევ გამიჯავრდი! - თქვა თითქმის ტირილით ენომაიმ, - განა გაწყენინე? აბა, გამიგონე, საყვარელო, გევედრები... აი, რა, სპარტაკი...

- გაჩუმდი, გაჩუმდი! მე არ მინდა, რომ შენ დაარღვიო ფიცი და უამბო საიდუმლო ქალს, რომელსაც შეუძლია მტრებს გადასცეს, - დაცინვით წარმოთქვა კურტიზანმა ქალმა, - შენ რომ მე მენდობოდე, გიყვარდე, როგორც ამბობ... რომ შენს ნაწილს შევადგენდე, როგორც შენ ჩემთვის ხარ... მიხვდებოდი, რომ შენი ფიცი შეეხება ყველას, ჩემ გარდა... მაგრამ ახლა ვხედავ, რომ არ გიყვარვარ წმინდა, ერთგული, თავდავიწყებული გრძნობით, რომელიც ადამიანს სიყვარულის მონად აქცევს. შენ მარტო ჩემი წყეული სილამაზე გიყვარს, ჩემი კოცნა გჭირდება. ნამდვილი, გულწრფელი სიყვარულით კი არ გიყვარვარ. იმედი გამიმტყუნდა, ეს მხოლოდ სიზმარი იყო.

ევტიპიდას თანდათან ხმა უწყდებოდა; ხელები თვალებზე მიიფარა, დაიწყო სლოკინი და ბოლოს ძალიან ოსტატურად აქვითინდა.

ევტიპიდას ნათამაშებმა კომედიამ სწორედ ისე იმოქმედა გერმანელზე, რისი იმედიც ჰქონდა. ორი თვის განმავლობაში არა ერთხელ გამოეცადა მასზე თავისი მომხიბლაობის ძალა.

მთლად აღელვებული ენომაი უაზრო ბუტბუტით მივარდა და დაუწყო კოცნა მუხლებზე, ფეხებზე და ევედრებოდა შებრძალებას, პატიებას. როდესაც ევტიპიდამ ხელახლა უთხრა უარი მოსმენაზე და თან განგებ თავს აჩვენებდა უკმაყოფილოდ, ენომაიმ დაიწყო კრულვა თავისი სამშობლოს ყველა ღმერთისა და მისცა პირობა, რომ დღეიდან, ყოველგვარი ფიცის მიუხედავად, ყველაფერს უამბობდა, რადგან ევტიპიდა იყო სული მისი სულისა და მისი სიცოცხლე.

ევტიპიდა ცოტა დამშვიდდა და მაშინ ენომაიმ უამბო, რომ სპარტაკმა, რადგან უნდა ახალი ძალა მისცეს ამბოხებას, შეიტანა წინადადება, რომ მოიმხროს თავისკენ რომის ის ახალგაზრდა ვალში დამხრჩვალი პატრიციები, რომელთაც უნდათ ცვლილება და ყველაფერზე მზად არიან თავისი მდგომარეობის გამოსაკეთებლად. რომ დიდი ხნის სჯის შემდეგ გადაწყვიტეს, ხვალ შიკრიკის გაგზავნა კატილინასთან, რათა შესთავაზონ გლადიატორების ჯარის წინამძღოლობა და რუტილიუსმა თვითონ შესთავაზა ამ მძიმე დავალების ასრულება.

ევტიპიდამ რომ მოისმინა გერმანელის საიდუმლო, არ გამოააშკარავა თავისი სიხარული და პირიქით, თითქოს ჯერ ისევ უჯავრდებოდა ენომაის. მაშინ ახოვანმა კაცმა დადო თავი ხალიჩაზე, დაიდგა საფეთქელზე ევტიპიდას ფეხი და ვნებისაგან აღტაცებულმა სულშეგუბებული ხმით დაიწყო ლაპარაკი:

- ხედავ... ხედავ... მე მონა ვარ შენი... შენს ფეხქვეშ ვარ... რაც გინდა, ის მიყავი...

- ადექი, ჩემო კარგო! - სიხარულით წარმოთქვა კურტიზანმა ქალმა და მოელვარე თვალები მიაპყრო უშველებელ მასას, რომელიც მის ფეხქვეშ იყო განთხმული; - ადექი, შენი ადგილი მანდ კი არა, ჩემს მკერდზეა!

ამ სიტყვებით ევტიპიდამ გამოართვა ხელი ენომაის და ნელა მიიზიდა თავისკენ.

ენომაი ფეხზე წამოხტა, წამოავლო ხელი, აიტაცა ჰაერში როგორც ბავშვი

და გაშმაგებით დაუწყო კოცნა. როდესაც მხეცური აღტაცება ცოტათი

დაუცხრა, ევტიპიდამ უთხრა:

- ჯერ თავი დამანებე, ჩემო კარგო... შენ შენს კარავში გიცდიან და მე კი უნდა დავათვალიერო, ზენოკრატე როგორ უვლის ცხენებს. ყოველდღე დავდივარ მასთან ამ დროს. ცოტა უფრო გვიან,

როდესაც ყველანი დაიძინებენ, მოდი... დაგელოდები, მაგრამ იცი, არავინ არ უნდა იცოდეს ჩვენი სიყვარულის ამბავი, განსაკუთრებით, სპარტაკმა!

ენომაიმ მორჩილებით დაუშვა ის მიწაზე, აკოცა კიდევ გაშმაგებით და გავიდა კარვიდან. რამდენიმე წამის შემდეგ მას გაჰყვა უკან ევტიპიდაც და წავიდა ცხენების დასაბმელისკენ, სადაც მას ორი მისი ერთგული მოსამსახურე უცდიდა.

„ დიახ, დიახ!.. კარგი მოსაზრებაა, - ამბობდა თავისთვის ევტიპიდა... - ძალიან კარგია! კატილინა რომ ამ სამოცი ათასი მონის უფროსი გახდეს, ეს ნიშნავს იმას, რომ გააკეთილშობილებს ჯარსაც და თვით საქმესაც... იმას მოჰყვებიან უსახელოვანესი და უმამაცესი რომის პატრიცნი და შემდეგ იქნება გაიღვიძოს დაბალმა ხალხმაც. ამგვარად, მონების ამბოხება, რომელსაც წინდაწინვე უწერია აუცილებელი დაღუპვა, გადაიქცევა სამოქალაქო ომად, რომელიც უეჭველია სრულიად შეცვლის მთელ სახელმწიფო წესწყობილებას... ამასთან, კატილინას მოსვლით სპარტაკის უფლება საერთოდ არ შემცირდება, რადგან კატილინამ, რასაკვირველია, მშვენივრად იცის, რომ უსპარტაკოდ ერთ დღესაც ვერ გაუძღვება ამ გლადიატორებს... არა, არა! ეს მე სულაც არ მომწონს! დამაცადე, დიდებულო სპარტაკ, ამ შემთხვევაში შენი აზრები არ ასრულდება!“

ამ ფიქრში იყო ევტიპიდა, რომ თავისი ერთგული მოსამსახურის კარავთან მივიდა, გამოიხმო ზენოკრატე და გაიყვანა მიყრუებული ადგილისაკენ, სადაც დიდხანს ელაპარაკებოდა რაღაცაზე თავის მშობლიურ ენაზე.

მეორე დღეს, კონსულის გზაზე, ბრუნდუზიუმის და ბენვენტოს შუა, მიდიოდა მაღალი, კოხტა ტანის მხედარი, ოცდაათიოდე წლისა. ტანზე ეცვა უბრალო შალის ტუნიკა, მხრებზე წამოსხმული პენულა და თავზე - ყელფაკი. ყმაწვილ კაცს ჩორთით მიჰყავდა ცხენი.

სამი საათის მგზავრობის შემდეგ მხედარი მივიდა ფოსტის სადგურზე, გნაციუმსა და ბარესს შორის ნახევარ გზაზე და ჩამოხტა, რომ ცხენისთვის ეჭამა და თვითონაც დაესვენა.

- გამარჯობა, მეგობარო! - უთხრა მან, - ცხენის ჩამოსართმევად მოსულ მონას და გასწია სახლის შესასვლელისკენ, სადაც მას უკვე უცდიდა ტანსრული, კიბოსავით წითელი კაცი - სადგურისა და სამიკიტნოს პატრონი.

- ღმერთები იყვნენ შენი და შენი სახლობის შემწე! - უთხრა მგზავრმა.

- მერკური იყოს შენი მფარველი! - უპასუხა პატრონმა, - გინდა დაისვენო დიდი ხნის

მგზავრობის შემდეგ? ალბათ დაიღალე, რადგან ცხენს ეტყობა, რომ შორი გზით მოდიხარ. აჰ, რა ცხენია! განა შეიძლებოდა მისი ეგრე დაღლა?

- დიახ, დილიდან მოვდივარ, - უპასუხა მგზავრმა და მაშინვე დაუმატა: - მაშ მოგწონს ჩემი ცხენი?

- ოჰ, ვფიცავ საღმერთებელი პეგასის ფრთას, უკეთესი ჯერ არ მინახავს.

- საბრალო! - ვინ იცის, ერთი თვის შემდეგ როგორი იქნება! - თქვა ამოოხვრით მგზავრმა სახლში შესვლის დროს.

- როგორ? - ჰკითხა პატრონმა, რომელიც შეჰყვა ტრიკლინიუმში და ერთ-ერთ ხის მაგიდას პატარა სკამი მიუდგა. შემდეგ არ მოუცადა პასუხს და განაგრძო: - გინდა რამე შეჭამო ან დალიო? მაქვს ძველი ღვინო, ნამდვილი უკვდავების სასმელი. რა მიზეზით არ იქნებაშენი ცხენი ერთი თვის შემდეგ ისეთი, როგორც ახლა არის? იქნებ შემწვარი ბატკნის ხორცი გნებავს? მშვენიერი ძუძუს ბატკნები მყავს! შორიდან უნდა იყო, ალბათ დიდი ხანია, გზაში ხარ. ხომ არ მიბრძანებთ, კარაქი ან ახალი ყველი მოგართვა, იმ ბალახივით დაცვარული, რომელსაც ამ ყველის მომცემი ძროხები სძოვდნენ?

მგზავრს თავი მაღლა აეწია და ხან გაკვირვებით და ხან დამცინავად შესცქეროდა მოფუსფუსე, მოლაყბე სახლის პატრონს, რომელიც სტუმრის შეხედვასაც კი ვეღარ ასწრებდა, აქეთ-იქით დარბოდა და სუფრას შლიდა.

მიკიტნის ყბედობა შეწყვიტა ახალი მგზავრის მოსვლამ. ის ჩამოხტა სწორედ იმ წამს ღონიერი, კარგი ჯიშის, მძიმედ მქშინავი, ოფლში გაწურული ცხენიდან.

ახალმოსული იყო ასე ორმოცის წლის კაცი , მაღალი და ღონიერი, შავგვრემანი, ჭკვიანური სახით და მოპარსული წვერით. ტანისამოსით ის ჰგავდა რომელიმე კეთილშობილი და მდიდარი ოჯახის გათავისუფლებულ მონას.

- ღმერთები იყვნენ შენი მწყალობელნი, - უთხრა სახლის პატრონმა შემოსულ მგზავრს, - და ერთიორად მისცენ ღონე შენს ცხენს. კარგი კი არის, მაგრამ თუ კიდევ აგრე აჭენებ, როგორც დღეს, მალე დაგიკრავს თავს და ვეღარ მოგემსახურება. შორიდან ხარ? მოგშივდებოდა, უეჭველია! არ ინებებ შემწვარი ბატკნის ხორცს? ჩემი ბატკნების ხორცი ისეთი ნაზია, როგორც გაზაფხულის ბალახი. ან იქნება ყველი და ღვინო ინებო? ისე შორი გზიდან მოდიხარ და ისე მოაჭენებდი... ისეთი ღვინო მაქვს, ისეთი... თვით იუპიტერის ღვინოსაც კი არ ექნება იმაზე მეტი ნექტარი... გრძელი გზის შემდეგ რა სჯობია ერთ ფიალა ღვინოს? ისეთი ახალი ყველი და ერბო მაქვს, რომ... ჰო, რატომ არ დაბრძანდები? უეჭველია, დაიღლებოდი.

- შენი ყბედობისაგან! დიახ, გამოგიტყდები, ურიგო არ იქნება, - უპასუხა გაჯავრებული ხმით ახალმა სტუმარმა, - უკეთესი იქნება, რომ შენი მოსაწყენი უადგილო გამოკითხვებისა და სხვადასხვა საჭმელების ქების მაგივრად პირდაპირ მოგვიტანო შენი შემწვარი ბატკნის ხორცი, ყველი და ძველი ღვინო. - შემდეგ მიუბრუნდა მეორე მგზავრს და დაუმატა: - ხომ მართალია?

- რასაკვირველია, მართალია, - უპასუხა მან ზრდილობიანად ხელის მიფარებით ტუჩზე, სალმის ნიშნად. ამ სიტყვებით ისიც მაგიდასთან დაჯდა.

- ამ წამში, ამ წამში... - არ შეუწყვეტია ყბედობა მიკიტანს სუფრის გაშლის დროსაც, - ახლავე დაინახათ თქვენ თვითონ, მართალი ვარ თუ არა, ჩემს სამზარეულოს რომ ვაქებ.

ბოლოს სახლის პატრონი გავიდა.

- კურთხეულ იყოს იუპიტერი, რომ დაგვიხსნა ამ ყბედისგან, - თქვა აპულიელმა.

- თავმომაბეზრებელი ადამიანია, მართალი ხარ, - უპასუხა გათავისუფლებულმა მონამ.

ამით შეწყდა ლაპარაკი მგზავრებს შორის. გათავისუფლებული მონა თითქოს ღრმა ფიქრებში წავიდა; იმავე დროს აპულიელი ეჭვის თვალით სინჯავდა მას და თან დანას არაკუნებდა სუფრაზე.

პატრონიმალე დაბრუნდა ორი თეფშით და შემწვარი ბატკნის ხორცით.

სანამ მგზავრები კარგა მადიანად შეექცეოდნენ მოტანილ საჭმელს, სახლის პატრონმა დაუსხა მათ თასებში თავისი ნაქები ღვინო. თუმცა გადაჭარბებით ნაქები იყო, მაგრამ მაინც დაღლილებს საკმარისად გემრიელად ეჩვენათ.

- მაშ შენ ამბობ, რომ მოგწონს ჩემი ცხენი? - ჰკითხა აპულიელმა და თეფში გადადგა.

- ვფიცავ ჰერკულესს! - თქვა ფოსტის პატრონმა, - ნამდვილი აპულიის ჯიშისაა, ძარღვიანი, მაგარი... ჩემზე უკეთესად ვინ იცნობს ცხენს, განსაკუთრებით ადგილობრივი ჯიშისას? აგერ, ოცი წელიწადია, რაც აქ ფოსტის სადგური მაქვს და რამდენ ცხენს გაუვლია ჩემს ხელში ამ დროს? რომ დათვალო...

- გინდა ჩემსაში მომცე ერთ-ერთი იმ შენს ოც ცხენში? - მოუთმენლად გააწყვეტინა სიტყვა აპულიელმა.

- ორმოცში, მოქალაქევ, ორმოცში და არა ოცში... იმიტომ, რომ ჩემი სადგური პირველი ხარისხისაა და არა მეორე და შენ თვითონ იცი...

- ოჰ, ასკლეპიოსმა კი დაგიბას ეგ ყბედი ენა! - შეჰყვირა მოთმინებიდან გამოსულმა აპულიელმა, - ჩემი ცხენი რომ მოგცე, ამარჩევინებ თუ არა ერთ-ერთს შენს ორმოცში, ოთხმოცში, ათასში?

- ნაცნობი ცხენის შეცვლა - უცნობში? ეგ როგორღაც ჭკუაში არ მომდის. მართალია, შეხედულებით შენი ცხენი დახატული სურათია, მაგრამ ვინ იცის. იცი, ხუთი წელიწადია მას აქეთ, ერთი შემთხვევა მქონდა... - მიუგო ყურის ძირის ქექვით დაუფარავი ზიზღით ფოსტის პატრონმა. აინუნშიც არ ჩაუგდია მისი ლანძღვა.

- მე სულაც არ ვფიქრობ, სამუდამოდ მოგცე ჩემი ცხენი, რადგან არ გაგიცვლი მას შენს საუკეთესო ცხენშიც კი. მე მინდა მხოლოდ გირაოდ მოგცე. შენი ცხენით მივალ მეორე სადგურზე, სადაც გამოვცვლი მეორეზე და ასე სულ, სანამ...

აქ აპულიელი უეცრად შეჩერდა და გადაავლო ურწმუნო თვალი ყბედ ფოსტის პატრონს კი არა, კუთხეში მჯდომს გაჩუმებულ და ზრდილობიან გათავისუფლებულ მონას. ერთი წამის შეჩერების შემდეგ განაგრძო:

- სანამ არ მივალ იქ, სადაც საჭიროა ჩემთვის. შემდეგ, როდესაც დავბრუნდები, გამოვიცვლი ცხენს და წავიყვან ჩემს აიაქსს, რომელსაც შენ გაბარებ მოსავლელად.

- ო, ცხენზე ნუ შეწუხდები. მსუქნად, ჯანსაღად, დაწმენდილი მეყოლება. მე ვიცი ცხენის მოვლა. მიგიხვდი კი აი, შორი გზა გაქვს-მეთქი! იქნებ ბენვენტომდე მიემგზავრები?

- იქნება!

- იქნება თვით კაპუამდე?

-იქნება.

- ან ვინ იცის, პირდაპირ რომშიც მიდიხარ?

- ვინ იცის!

ორივენიგაჩუმდნენ. ჩამოვარდა სიჩუმე. აპულიელი მადიანად შეექცეოდა ყველს და ერბოს და დაცინვით შეჰყურებდა ფოსტის სასაცილო უფროსს. ბოლოს თქვა:

- აბა? რაღას გაჩერდი? ჩამოთვალე კიდევ! განა არ შეიძლება მივდიოდე კორფინიუმში, ასკულუმში, კამერინუმში, სენაზე გალებთან, რავენაში, ასევე ფალერიუმში, სპოლეტიუმში, ხიოსში, კორტონუმში, არეთიუმში, ფლორენციაში? ან თუნდ გალებთან ან ლიგურებთან.

- იუპიტერი იყოს შენი თანამგზავრი, - წარმოთქვა შემკრთალმა ფოსტის უფროსმა, - შენ, მგონია, დამცინი.

- გეხუმრე, - კეთილად უთხრა აპულიელმა, დააისხა ღვინო თასში, მიაწოდა სახლის პატრონს და განაგრძო: - დალიე მეგობრობის თასიდან და ნუ გამიწყრები, რომ ცოტა დაგცინე; მგონია, კარგი კაცი ხარ, მაგრამ ყბედი, როგორც დედაკაცი, და გადაჭარბებული ცნობისმოყვარე.

- გეფიცები ოლიმპოს ღმერთებს, რომ გულში ცუდი არაფერი მიდევს. იუპიტერის მეხი დამეცეს მეც და ჩემს ცოლ-შვილსაც, თუ ვტყუოდე...

- ნუ იფიცები, ისედაც მჯერა შენი, დალიე! მასპინძელმა რომ მოსვა ორი თუ სამი

ყლუპი, ხელმეორედ მიაწოდა თავის სტუმარს. მაგრამ აპულიელმა არ გამოართვა:

- მიუტანე იმ მგზავრს და დალიე ჯერ მისი სადღეგრძელო. შემდეგ მიმართა

უკანასკნელს:

- შენ, მგონია, გათავისუფლებული მონა ხარ, არა?

- დიახ, მანილიუს იმპერიოზის ოჯახის გათავისუფლებული მონა, - ზრდილობიანად უპასუხა მან.

- სახელოვანი და უძველესი ოჯახია, - შენიშნა მასპინძელმა, - მარკუს მანილიუს ვულსონიუსი კონსული იყო 280 წელს რომის ქორონიკონით. მეორე მანილიუსი...

- მე რომში მივდივარ, - განაგრძო გათავისუფლებულმა მონამ, - ტიტუს მანილიუსისთვის მოსახსენებლად, თუ რა ზარალი მიაყენეს მის სახლს ბრუნდეზიუმის მახლობლად გლადიატორებმა.

- აა... გლადიატორებმა! - თქვა ფოსტის პატრონმა შეშინებული ხმით, - თუ ღმერთი გწამთ, ნუ ლაპარაკობთ იმათზე... ჭიანჭველები დამივლიან ხოლმე ტანში, რომ გამახსენდება მათი გავლა აქ, ამ ორი თვის წინათ.

- წყეულიმც იყვნენ ისინი თავისი საძაგელი წინამძღოლით! - შეჰყვირა აპულიელმა და მუშტი მაგიდას დაჰკრა. შემდეგ მასპინძელს ჰკითხა:

- ბევრი ზარალი მოგაყენეს?

- რომ გამოვტყდე, ბევრიარაფერი... და სიმართლეც უნდა ვთქვა, არა დაუშავებიათ რა არც ჩემთვის, არც ჩემი ოჯახისთვის, მხოლოდ ჩემი ორმოცი ცხენი წაიყვანეს, მაგრამ მომცეს ბევრი ოქრო... რასაკვირველია, ჩემი ცხენები კარგები იყვნენ და მეტადაც ღირდნენ, მაგრამ შეიძლება უარესიც მომხდარიყო...

- დიახაც! - გაერია ლაპარაკში გათავისუფლებული მონა, - ხომ შეეძლოთ წაეყვანათ შენი ცხენები და არ მოეცათ არაფერი?!

- რასაკვირველია! - დაეთანხმა ფოსტის პატრონი. ერთი წამის სიჩუმის შემდეგ დაუმატა დაბალი ხმით, თითქო ეშინოდა, არავინ გამიგონოსო: - მერე ვისთან ვუჩივლო მათ? დიახ, უნდა გამოვტყდე, რომ ეს წყეული ამბოხება, თუმცა კი სამრაცხვინოა რესპუბლიკისთვის,

ძალიან გაიზარდა. უნდა გენახათ, რამდენმა გამოიარა აქ! ლაშქარი, აუარებელი ლაშქარი, რომელსაც გეგონებოდა, ბოლო აღარ აქვსო... მერე რა წესიერებით მოდიოდნენ. რომ სირცხვილი არ იყოს იმ მძარცველების შედარება ჩვენს მეომრებთან, ვიტყოდი, იმათი ლეგიონები არაფრით არ გამოირჩევიან ჩვენებისგან-მეთქი.

- რაღას თვალთმაქცობ! - გააწყვეტინა გათავისუფლებულმა მონამ, - აიღე და პირდაპირ თქვი! ძალიან სამწუხაროა, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ სპარტაკმა შეძლო თავისი სამოცი ათასი მონისგან მწყობრი და მრისხანე ჯარის შექმნა.

- როგორ, ვფიცავ რომაელ ღმერთებს, - წარმოთქვა გაკვირვებით და მრისხანებით აპულიელმა, - საზიზღარმა გლადიატორმა ააოხრა შენი ბატონის სასახლე და შენ კი ბედავ მის გამოსარჩლებას?

- იუპიტერმა დამიფაროს მაგისგან! - ზრდილობით მიუგო გათავისუფლებულმა მონამ, - არც გამოსარჩლება და არც მისი დიდება მე არასდროს მიფიქრია. ამას გარდა, ესეც უნდა გითხრა, რომ გლადიატორებს სრულებითაც არ აუოხრებიათ ჩემი ბატონის სასახლე.

- მაშ, როგორ ამბობდი ეს არის ახლა, რომში მივდივარ ტიტუს მანილიუსისთვის მოსახსენებლად, თუ რა ზარალი მოუტანა მის სასახლეს გლადიატორების ამბოხებამ?

- აგრეა, მაგრამ გლადიატორებს მაინც არ აუოხრებიათ. მე იმაზე ვამბობდი, რომ სამოცში ორმოცდათოთხმეტი მონა გაიქცა სასახლიდან. გლადიატორებმა გამოუცხადეს მათ ყველას, რომ თავისუფალი არიან და შეუძლიათ ან შეუერთდნენ ამბოხებას, ან დარჩნენ სასახლეში. ორმოცდათოთხმეტი წავიდა, დარჩნენ ჩემთან მხოლოდ მოხუცები და ავადმყოფები. განა ეს, შენი აზრით; ზარალი არ არის? ვინ იმუშავებს ახლა, ვინ მოხნავს, დათესავს, გათოხნის ვენახებს?

- ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ სპარტაკსაც და მის გლადიატორებსაც! - ზიზღით თქვა აპულიელმა, - დავლიოთ ჩვენი დღეგრძელობისა და მათი დაღუპვისა! აპულიელმა გაუსწორა ანგარიში და ადგა, რომ წასულიყო საჯინიბოში ცხენის ამოსარჩევად.

- მომითმინე ერთ წამს, ღირსეულო მოქალაქევ, - უთხრა მასპინძელმა, - მე არ მინდა, რომ ჩემგან წახვიდე სტუმრის მოყვარულობის ფიცრის გარეშე.

ამ სიტყვებით ის გავიდაოთახიდან, სადაც დარჩნენ აპულიელი და გათავისუფლებული მონა.

- ეტყობა, წესიერი კაცია, - შენიშნა გათავისუფლებულმა მონამ.

- მართალია, - მიუგო აპულიელმა. წამოდგა, გაჩერდა კარში, დაიწყო ხელები ზურგს უკან და სამნიუმის, კამპანიისა და აპულიის გლეხებისა და მწყემსების საყვარელი სიმღერა წამოიწყო ღმერთ პანის სადიდებლად. რამდენიმე წამის შემდეგ მასპინძელი დაბრუნდა და მოიტანა თან თხელი ფიცარი, რომელზედაც ეწერა: „აცელიონუს“.
გადატეხა შუაზე და მიაწოდა აპულიელს ერთ-ერთი ნატეხი, რომელზედაც დარჩენილიყო მარტო „ლიონუს“.

- ეს ფიცრის ნახევარი მოგაპოვებინებს შენ რამდენიმე დღის მოგზაურობაში ყველა სადგურის პატრონის მეგობრობას. მხოლოდ უჩვენე მათ ფიცარი ჩემი სახელით და დარწმუნებული იყავი, რომ მაშინვე მოგცემენ საუკეთესო ცხენს თავისი საჯინიბოდან. ასე აკეთებდა ყველა მგზავრი, რომლებიც მიიღებდნენ ხოლმე ჩემს ფიცარს. მახსოვს კიდეც, ამ შვიდი წლის წინათ აქ გამოიარა კორნელიუს ქრიზოგენემ, სახელგანთქმული სულას გათავისუფლებულმა მონამ.

- მადლობელი ვარ, მადლობელი, - გააწყვეტინა სიტყვა აპულიელმა, - მერწმუნე, რომ შენი დაუსრულებელი ყბედობის მიუხედავად, პორციუს მეტელუსი შენ არ დაგივიწყებს და ნამდვილ მეგობრობას გაგიწევს.

- პორციუს მეტელუსი! - წარმოთქვა აცილიონუსმა, - ძალიან კარგი! ახლავე ჩავიწერ შენს სახელს ჩემს წიგნში, რომ არ დამავიწყდეს, რადგან, შენც გესმის, რამდენი ხალხიც მოდის, იმდენი სხვადასხვა სახელია და აბა, სად დაისწავლი!

აცელონიუსი ხელახლა გავიდა ოთახიდან, მაგრამ ერთი წამის შემდეგ დაბრუნდა და წაიყვანა პორციუს მეტელუსი საჯინიბოში ცხენის ამოსარჩევად .

სწორედ ამავე დროს მოვიდა მგზავრი, რომელსაც ტანისამოსით მაშინვე იცნობდით მონად. მან თვითონ შეიყვანა ცხენი საჯინიბოში, სადაც პორციუს მეტელუსი თვალს ადევნებდა მეჯინიბეს, რომელიც აღვირს უკეთებდა და ადგამდა უნაგირს მისგან ამორჩეულ ცხენს.

ამ ფუსფუსში იყო მონა, რომ საჯინიბოში შემოვიდა მანილიუს იმპერიოზის გათავისუფლებული მონა. მოვიდა, რათა დაეხედა თავისი ცხენისათვის, მიეალერსებინა პორციუსისა და აცელიონუსის შეუმჩნევლად და თვალი დაეკრა ახალმოსული მონისთვის.

მონა მოშორდა ცხენს, გაეშურა გასასვლელისკენ და გვერდით რომ ჩაუარა გათავისუფლებულ მონას, თითქოს მაშინღა შენიშნა და დაიძახა:

- ვფიცავ კასტორს, ეს ლაფრენიუსი უნდა იყოს.

- კრებრიკს, განა ეს შენ ხარ? საიდან მოდიხარ? - ჰკითხა მონამ.

- ბრუნდუზიუმიდან და მივდივარ რომში. შენ?

- რომიდან მივდივარ ბრუნდუზიუმისკენ.

ამ ლაპარაკზე პორციუსმეტელუსმა ყურები ცქვიტა და შეუმჩნევლად დაუწყო მოლაპარაკეთ ყურის გდება. მაგრამ იმათ თითქო შენიშნეს ეს და დაიწყეს დაბალი ხმით ლაპარაკი. ერთი წამის შემდეგ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და გამოეთხოვენ. მაგრამ პორციუსმა გვერდზე გავლის დროს გაიგონა სიტყვა „ჭასთან“, რითაც ისინი დაშორდნენ ერთმანეთს.

მონა საჯინიბოდან გავიდა, გათავისუფლებული კი ისევ ეალერსებოდა თავის ცხენს. გამოვიდა პორციუსიც გლადიატორების სიმღერის ღიღინით.

გათავისუფლებული მონა ლაფრენიუსიც ღიღინებდა რაღაც ბერძნულ სიმღერას.

როგორც კი პორციუსი საჯინიბოდან გავიდა, აცელიონუსს უთხრა:

- მომიცადე ერთ წამს, ახლავე დავბრუნდები.

შემდეგ შემოურბინა მასპინძლის სახლის კუთხეს და საჩქაროდ გაიქცა იქით, სადაც მართლა დაინახა ჭა, ბაღისა და ბოსტნის მოსარწყავად გაკეთებული.

პორციუსი სწორედ ქვის იმ კედელს ამოეფარა, რომელიც ბოსტნისკენ იყო მიქცეული, და დაიწყო ლოდინი. სამიოდე წამის შემდეგ მოესმა ფეხის ხმა და დაინახა მონა, მარჯვენა მხრიდან მომავალი. თითქმის იმავე წამს მეორე მხრიდან გამოჩნდა ლაფრენიუსიც. პორციუსმა მაშინვე იცნო მისი ხმა.

- აბა, რას იტყვი? - ჰკითხა უკანასკნელმა.

- გავიგე, რომ ჩემი ძმა მარბიკუსი, - უპასუხა მან დაბალი ხმით, - ჩვენი ამხანაგების ბანაკში გაქცეულა და მე თვითონაც გამოვიქეცი ჩემი ბატონის სასახლიდან და ახლა იქ მივდივარ.

- მე კი, - უთხრა ძლივს გასაგონად ლაფრენიუსმა, - მივდივარ რომში, ვითომდაც იმის მიზეზით, რომ მოვახსენო ჩემი ბატონის სასახლიდან მონების გაქცევა; ნამდვილად კი მინდა გამოვაპარო ჩემი ვაჟი გნაციუსი, რომელიც არ მინდა დავტოვო ჩვენი მტრების ხელში. მერე იმასთან ერთად ჩვენი მამაცი წინამძღოლის ბანაკში წავალ.

- მაშ, მშვიდობით, ფრთხილად უნდა იყოთ, რომ ეჭვი არ აიღონ. ეს აპულიელი როგორღაც გვიბღვერდა.

- დიახ, მეც მომეჩვენა, რომ თვალს გვადევნებს. მშვიდობით, იყავ ბედნიერი!

- სიმტკიცე!

- და გამარჯვება! შემდეგ ორივენი დაშორდნენ ერთმანეთს.

პორციუსი გამოვიდა საფარიდან და გაკვირვებით მიიხედ-მოიხედა, თავი სზმარში ეგონა. ის სრულებით არ მოელოდა, რომ ასეთები აღმოჩნდებოდნენ ისინი, რომელნიც მტრებად მიაჩნდა. ერთ წამს გაჩერდა ერთ ადგილას, გაიღიმა და გავიდა ხელახლა საჯინიბოს კარისაკენ, სადაც უცდიდნენ მას აცელიონუსი და მეჯინიბე შეკაზმული ცხენით. მასპინძელი დიდხანს ეთხოვებოდა, ბედნიერ მგზავრობასა და ჩქარა დაბრუნებას უსურვებდა.

პორციუს მეტელუსს, რომელშიც ალბათ მკითხველმა ლეგიონის წინამძღოლი რუტილიუსი იცნო, სპარტაკის მიერ რომში შიკრიკად გაგზავნილი, სულ ჩორთით მიჰყავდა ცხენი და ამ უცნაურ შემთხვევაზე ფიქრობდა.

ერთი საათი იქნებოდა დაბინდებიდან გასული, რომ ბარესამდე მიაღწია, მაგრამ არც კი შესულა, გნაციუმში გზაზე სამიკიტნოში გაჩერდა და ბრძანა საჯინიბოში წაეყვანათ

არტაქსერქსი, რომელიც მართლაც მუხლმაგარი ცხენი აღმოჩნდა, და გათენებამდე მიწვა იქვე დასაძინებლად.

მეორე დღეს, სანამ მზე ამოვიდოდა, გნაციუმის გზაზე პიცენტისაკენ უკვე მიდიოდა ჩქარი ნაბიჯით პორციუს მეტელუსი. გნაციუმში გამოცვალა არტაქსერქსი შავრა ფაშატ აგანიპზე. კანუზიუმს რომ მიუახლოვდა, რუტილიუსმა შენიშნა თავის უკან მტვრის კორიანტელი და მალე დაინახა მოახლოებული მხედარი. ის იყო გათავისუფლებული მონა ლაფრენიუსი, რომელსაც წინა ღამეს აცელიონუსთან შეხვდა, ბარესის მახლობლად.

- სალამი! - დაუყვირა გათავისუფლებულმა მონამ, როცა რუტილიუსს გაასწრო და არც კი შეხედა.

- გამარჯობა, ლაფრენიუს! - უპასუხა რუტილიუსმა.

- ვინ ხარ? - წარმოთქვა გათავისუფლებულმა მონამ და დაბრუნდა საჩქაროდ, მაგრამ რუტილიუსი რომ იცნო, ამოიოხრა:

- ოჰ, შენ ხარ, ღირსეულო მოქალაქევ! ღმერთები იყვნენ შენი შემწე!

რუტილიუსს შეებრალა ეს საბრალო მამა, რომში იმ იმედით მიმავალი, რომ გამოეტაცა იქედან საყვარელი შვილი და გაქცეულიყვნენ ერთად გლადიატორების ბანაკში.
რამდენიმე წამს შეჰყურებდა ჩუმად, მაგრამ მერე მოინდომა გახუმრება თანამგზავრთან, მიუბრუნდა და მკაცრი ხმით უთხრა:

- მაშ, რომში მიდიხარ, რომ ვაჟიშვილი წამოიყვანო შენი კეთილი ბატონის სახლიდან და გაიქცეთ ერთად ბოროტ სპარტაკთან?

- მე... რას ამბობ? - წაიდუდუნა ჩაწყვეტილი ხმით ლაფრენიუსმა და რუტილიუსს ეჩვენა, რომ ლაფრენიუსი თითქოს გაფითრდა.

- უარს ნუ ამბობ, უმადურო! მე ყველაფერი გავიგონე, როდესაც შენს მომხრეს ელაპარაკებოდი ჭასთან და პირველსავე ქალაქში დაგაბაზღებ პრეტორთან. წამებით უნდა გამოტყდე შენს ღალატში. ცხენები შეაჩერეს.

- მე არაფერში არ გამოვტყდები, - თქვა გათავისუფლებულმა მონამ მუქარის კილოთი, - არც სიკვდილის მეშინია.

- არც იმის გეშინია, რომ ჯვარზე გაცვან?

- არ მეშინია! იმიტომ, რომ ვიცი, როგორ გამოვიხსნა თავი იქიდან.

- მერე როგორ მოახერხებ ამას? - ჰკითხა გაკვირვებით რუტილიუსმა.

- მოგკლავ, საზიზღარო დამბეზღებელო! - გაშმაგებით დაუყვირა ლაფრენიუსმა, ამოაძრო უნაგირის საოფლიდან რკინის მოკლე კვერთხი, შემოჰკრა ქუსლი ცხენს და მიიჭრა რუტილიუსთან, მაგრამ გლადიატორმა ხმამაღლა გადაიხარხარა:

- ეჰეი, ძმობილო, შეჩერდი!.. სიმტკიცე და... ლაფრენიუსმა ცხენი შეაყენა და დარჩა ასე ხელაწეული.

- ო! - შეჰყვირა მან, თავის ყურსაც არ უჯერებდა.

- სიმტკიცე და... რა? - ჰკითხავდა ამ დროს რუტილიუსი, რადგან იმისგანვე სურდა დადგენილი პასუხის გაგონება.

- და გამარჯვება! - წაიდუდუნა ბოლოს ლაფრენიუსმა, ჯერ ისევ გაკვირვებულმა.

მაშინ რუტილიუსმა გაუწოდა ხელი, მოუჭირა მაგრად სამჯერ და სალოკი თითით შეეხო მის ხელისგულს. ამ ნიშანმა სრულიად დაამშვიდა გათავისუფლებული მონა. რაც შეეხება რუტიულიუსს, ის არც კი ეჭვობდა თავის თანამგზავრზე.

ამ დროს დაბნელდა კიდეც. ორივე ცხენოსანი ნელა მიდიოდა ერთად მეგობრული ლაპარაკით.

რამდენიმე ხანს ჩუმად მიდიოდნენ. უცებ ლაფრენიუსის ცხენი, ალბათ ამომავალი მთვარის სინათლეზე რომელიმე ხის ჩრდილით დამფრთხალი, განზე გახტა, წაიფორხიალა და კანუზიუმისაკენ მიმავალი გზის პირას თხილში გადაეშვა.

ლაფრენიუსის ყვირილზე რუტილიუსი ჩამოხტა ცხენიდან, მიაბა ბუჩქზე და ჩახტა თხრილში ამხანაგის მისაშველებლად. მაგრამ ვერც კი მოასწრო კარგად საქმის გამორკვევა, რომ იგრძნო ფერდში დარტყმა. რუტილიუსი დაეცა და სანამ მოასწრებდა ფეხზე წამოდგომას, მეორე დარტყმამ მხარზე ძირს დასცა.

მხოლოდ ახლა მიხვდა გლადიატორი, რომ გაება ასეთი ჯოჯოხეთური ცბიერებით

მომზადებულ მახეში. ამოიძრო ტუნიკის ქვეშიდან ხანჯალი და ეცა ლაფრენიუსს, რომელსაც მესამედ უნდა დაერტყა თავში.

- შე უკეთურო მოღალატევ! მხოლოდ უკანიდან იცი თავდასხმა? რუტილიუსმა

დაჰკრა ხანჯალი გულში, მაგრამ მკვლელს ტუნიკის ქვეშ ჯავშანი ეცვა.

მაშინ დაიწყო მოკლე და თავგანწირული ბრძოლა დაჭრილ, თითქმის მომაკვდავ რუტილიუსსა და ლაფრენიუსს შორის; თუმცა უკანასკნელი ღონიერი და სრულებით უვნებელი იყო, მაგრამ ცახცახებდა უშიშარი ყრმის წინ. რამდენსამე წუთს ბნელი თხრილის ძირში მხოლოდ ყრუ ყვირილი, წყევლა და კვნესა ისმოდა. ბოლოს მოისმა რაღაც ბრაგვანი და ოდნავ გასაგონი ხმა რუტილიუსისა:

- წყეულიმც იყავ, მოღალატევ! შემდეგ ყოველგვარი ხმაური შეწყდა.

ლაფრენიუსმა ჩახედა მოკლულს და როცა დარწმუნდა, რომ გული აღარ უცემდა, გავიდა გზაზე

და გასწია იქითკენ, სადაც რუტილიუსის ცხენი ება.

- ღმერთო! - შეჰყვირა უცებ, რომ იგრძნო, მუხლები ეკვეთებოდა, - თვალთ

მიბნელდება... ეს რას ნიშნავს? ამ სიტყვებით მიწაზე დაეცა.

- აქ რაღაც მეწვის, - თქვა და მიიტანა ხელი კისერთან, მაგრამ მაშინვე უკან წამოიღო, რადგან ხელმა სითბო იგრძნო.

- ოჰ, იუპიტერო! - წაიბუტბუტა მისუსტებული ხმით. - დამჭრა... აქ... კისერში... ერთადერთ ადგილში... რომელსაც... ჯავშანი არ ჰფარავდა...

ეცადა წამოდგომას, მაგრამ წაიბორძიკა და ხელახლა დაეცა. სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა კისრის ძარღვიდან.

აი, აქ, უდაბურსა და მიყრუებულ გზაზე, ღამის წყვდიადში, თავგანწირულად ცდილობდა წამომდგარიყო, ან დაეძახა მოსაშველებლად. ტანჯვით მოკვდა ის კაცი, რომელიც სახელად

ლაფრენიუსს ირქმევდა, მაგრამ რომელშიც მკითხველმა, რასაკვირველია, დიდი ხანია იცნო ცბიერი ევტიპიდას შურისძიების საზიზღარი იარაღი. რამდენიმე ნაბიჯზე ეგდო მისგან რვა ადგილას დაჭრილი უბედური რუტილიუსი.

17. არტორიქსი ტაკიმასხარაობს

681 წლის 19 დეკემბერს კვირინის შთამომავალთ დიდი მხიარულება ჰქონდათ. რომი განსაკუთრებულ სანახაობას წარმოადგენდა იმ დღეებში. უამრავი ხალხი ირეოდა ქუჩებში, ფორუმებზე, ტაძრებში, სამიკიტნოებში და თავაწყვეტილი ღრეობა ჰქონდათ.

ეს იყო „სატურნალიების“ დღეები, ღმერთ სატურნისადმი შეწირული, რომელიც, ძველი გადმოცემით, რომის დაარსებამდე დიდი ხნით ადრე, იანუსის, პირველ მოსახლეთა მეფის დროიდან მოდიოდა. სხვების აზრით კი პელაზგების, ჰერკულესის დროს მიეკუთვნებოდა. ზოგი კი მიაწერდა ტულიუს ჰოსტილიუსის[138] მეფობის ხანას, რომელმაც დააწესა ეს დღესასწაული ალბანებზე და საბინებზე გამარჯვების შემდეგ.

ამ ბედნიერი დღის მოსაგონებლად რომში მონებს ეძლეოდათ თავისუფლება სამი დღით და შეეძლოთ მხიარულება ერთ სუფრაზე მოქალაქეებთან, მხედრებთან და სენატორებთანაც. სამი დღის შემდეგ მონებს ერთმეოდათ ყველა ეს უფლება.

უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ „სატურნალიების“ დასაწყისი უხსოვარი დროიდან მოდის, მაგრამ ეს დღესასწაული ორ კონსულს - ავლიუს სემპრონიუს ატრაცინიუსსა და მარკუს

მინიციუს ავგურიონს დაუწესებიათ. მათვე აუგეს ფორუმიდან კაპიტოლიუმისკენ მიმავალ გზაზე, კაპიტოლიუმის მთის ძირას სატურნს ტაძარი. ეს მოხდა 257 წელს რომის დაარსებიდან, მეფეთა განდევნიდან ცამეტი წლის შემდეგ.

ეჭვი არ არის, იმ დროს ეკუთვნის „სატურნალიის“ პირველი ზეიმი, როცა ქურუმნი მსხვერპლთ შეწირვის წესს თავდაუხურავნი ასრულებდნენ, სხვა ღმერთებს კი ქურუმნი მათი შესაფერისი თავსამკაულით სწირავდნენ მსხვერპლს.

„სატურნალიებს“ - მიწათმოქმედების ღმერთებისადმი მიძღვნილ დღესასწაულს, პირველ ხანებში იხდიდნენ მხოლოდ მიწის მუშები და მწყემსები. სამი დღის თავისუფლება, თავაშვებულ ორგიებში რომ კლავდნენ, ეძლეოდათ მონებს ღმერთ სატურნის სადიდებლად, რომელიც, ძველი გადმოცემით, დედამიწაზე მეფობდა, ეგრეთ წოდებულ, ოქროს საუკუნეში, როდესაც ყველა ადამიანი თანასწორი იყო და არ იყვნენ არც ბატონები და არც მონები.

მკითხველს მაინც არ ექნება სრული წარმოდგენა იმ არაჩვეულებრივ, დიდებულ, დაუვიწყარ სანახაობაზე, რომელიც თვალწინ გადაეშალა მოხეტიალე ტაკიმასხარას, რომელიც მოხვდა რომში 681 წლის 19 დეკემბერს.

ყმაწვილს მარჯვენა მხარზე გაედო პატარა დასაკეცი კიბე, რამდენიმე თოკი და ასხმული რკინის რგოლები. მარცხენაზე ეჯდა პატარა მაიმუნი. უკან მოსდევდა ძაღლი. ამნაირად შევიდა იგი კონსულ პრენესტის გზაზე გამავალ ესკვილინის ალაყაფით რომში.

ტაკიმასხარა მშვენიერი, ქერა, ხუჭუჭთმიანი, მაღალი, მოსული, მარდი, გამხდარი, ფერმკრთალი სახის ყმაწვილი იყო. მის სახეს ნათელს ჰფენდა ლურჯი, ჭკვიანური თვალები. უხეშ ნაცრისფერ შალის ტუნიკაზე ბეწვის პენულა წამოესხა, თავზე ნაბდის ქუდი ეხურა.

ეს ყმაწვილი გახლდათ არტორიქსი.

ქალაქში რომ გავიდა, ალაყაფთან, ქუჩაში ადამიანის ჭაჭანება არ იყო და სამარისებური სიჩუმე იდგა, თუმცა, ამ მიყრუებულ ადგილასაც კი რაღაც ზუზუნი ისმოდა, თითქოს ფუტკრები ბზუიანო. ეს იყო იმ თავაშვებული მხიარულების გამოძახილი, დიდებულ ქალაქში რომ სუფევდა.

თანდათან, რაც ქალაქის შუაგულს უახლოვდებოდა, მის ყურამდე უფრო ხმამაღლა მოდიოდა ბრბოს გუგუნი და ბოლოს მოესმა ყვირილი.

„Jo, bona Saturnalia! Jo, bona Saturnalia!“

კარინის ქუჩაზე გავიდა თუ არა, დაინახა მომავალი ბრბო. წინ მიუძღოდნენ ხელების ქნევითა და ხტუნაობით მომღერლები და მესაკრავენი, თან მღეროდნენ ჰიმნს სატურნის სადიდებლად. მღეროდნენ და ცეკვავდნენ ბრბოშიც.

- გაუმარჯოს მასხარას! - აყვირდა ბრბო.

- აბა, გვიჩვენე შენი ოინბაზობა!

- პატივი ეცი სატურნალიებს!

- ვნახოთ, რა იცის შენმა მაიმუნმა!

- აბა, ერთი ახტუნე შენი ძაღლი!

- არა, მაიმუნი, მაიმუნი!

- ძაღლი, ძაღლი!

- მიეცით ადგილი მახსარას!

- შემოერტყით გარშემო! - გზა მიეცით, გზა მიეცით!

ყველანი ყვიროდნენ, გზა მიეცითო და ყველა კი ცერზე დგებოდა, რომ შეეხედნა მასხარასა და იმის ცხოველებისათვის, მაგრამ ადგილიდან კი არავინ იძვროდა.

არტორიქსი ისე მიაჭყლიტეს კედელს, რომ განძრევა აღარ შეეძლო. ვინც წინ იდგა, დაუწყეს თხოვნა მასხარას, რომ გაერთო ისინი თავისი ოინებით.

- ნუ გეშინია, უბედურო!

- კარგ გასამრჯელოს მიიღებ!

- ქუდს აგივსებთ ტერუნციებით[139]!

- საუცხოო მასიკის ღვინით გაგიმასპინძლდებით!

- რა მშვენიერი მაიმუნია!

- მერე ძაღლი! რამ მშვენიერი ეპირიული ძაღლია!

ზოგი ძაღლს უალერსებდა, ზოგი მაიმუნს. ვინ კიბეს ჰკიდებდა ხელს, ვინ - თოკს, ვინ - რკინის რგოლებს და რას არ ამბობდნენ.

- კარგი, კარგი, - უთხრა მან, რა ნახა, რომ არასგზით არ შეიძლებოდა გარშემორტყმული ბრბოს თავიდან მოცილება, - მე და ჩემი პატარა ნადირები ვცემთ პატივს, როგორც მოგვეხერხება, სატურნს და გაგართობთ თქვენც, კეთილნო კვირიტნო, მხოლოდ გაიწიეთ და ადგილი მომეცით.

- მართალი ხარ!

- გაიწიეთ, გაიწიეთ!

- ადგილი მიეცით!

- უკან დაიწიეთ!

მაგრამ ყველანი ყვიროდნენ და ადგილიდან კი არავინ იძვროდა. ბოლოს ვიღაცის მედგარმა ხმამ დაიყვირა:

- მოედანზე წავიყვანოთ!

- დიახ, დიახ, მოედანზე! - დაიყვირა ჯერ ერთმა, მერე ოცმა და მერე ასმა ხმამ.

ბრბო დაიძრა და თან წაიყვანა დიდის ამბით არტორიქსი. მემუსიკენი და მომღერლები, თავში მყოფნი, ახლა ბოლოში მოექცნენ, თუმცა ხელახლა დაუკრეს გაწყვეტილი ჰიმნი. ჰიმნს ბანი მისცა მაშინვე ათასმა ხმამ:

- Jo, bona Saturnalia!

მთელი ეს ბრბო, რომელსაც გზაში სხვანიც უერთდებოდნენ, მივიდნენ ბოლოს გაშლილ მოედანზე. ხალხი დრტვინავდა. ჰაერს ავსებდა წყევლა, მუქარა, გინება. ამ არეულობაში მოისმოდა სიმშვიდისაკენ მოწოდების ხმები, დარიგება. ბოლოს ვიღაცამ თქვა, რომ მასხარა წარმოდგენის ჩვენებას აპირებდა. ატყდა ყიჟინა, ჭყლეტა. წინა მაყურებლები იდგნენ ერთ მწკრივად. უკანანი თითის წვერებზე დგებოდნენ. ადიოდნენ სკამებზე, მაგიდებზე, დერეფნის საფეხურებზე, ახლომახლო სახლების ფანჯრებზეც. მალე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა,

ყველამ სული განაბა, თვალებმიპყრობილებმა არტორიქსისაკენ, რომელიც წარმოდგენისათვის ემზადებოდა.

როცა მზადება დაამთავრა, ყმაწვილი კაცი რამდენსამე ხანს ისევ ფიქრებში იყო ჩანთქმული, გადმოიღო მხრებიდან კიბე, გაშალა წრის შუა და დააწყო დანარჩენი საგნებიც. მერე მიუახლოვდა ერთ მაყურებელს, მისცა სპილოს ძვლის ბურთი და უთხრა:

- გადაეცი!

მეორე ბურთი შექეიფიანებულ მონას მისცა, რომელიც პირველ მწკრივში იდგა. მონას სახეზე ალმური მოედო და გაებადრა, ბედნიერი ადამიანის სახე ჰქონდა, რომელიც კიდეუ ფრო მეტ სიხარულს მოელოდა. მასხარამ უთხრა:

- გადაეცი ბურთი!

- მერე გალი გამოვიდა მისთვის დაცარიელებულ ადგილას, მიუბრუნდა თავის შავ, თეთრლაქებიან ძაღლს, რომელიც ჩაცუცქულიყო და შეჰყურებდა ხალხს ჭკვიანური თვალებით. - ენდიმიონ!

ძაღლი წამოხტა და კუდის ქნევით დაუწყო ცქერა თვალებში თავის პატრონს, თითქოს უნდოდა ეთქვა, რომ მზად იყო მისი ბრძანების ასასრულებლად.

- წადი, იპოვე და მომიტანე თეთრი ბურთი!

ძაღლი მაშინვე გაექანა იმ ადგილისკენ, სადაც თეთრი ბურთი ერთი ხელიდან მეორეში გადადიოდა.

- არა! წითელი მიპოვნე! - უთხრა არტორიქსმა.

ენდიმიონი საჩქაროდ მიტრიალდა იმ მხარეს, სადაც მონა იდგა ოცდაათი კაცის ხელში გამოვლილი წითელი ბურთით. ძაღლს უნდოდა ფეხებში გასძვრომოდა მაყურებელს და მივარდნოდა მას, ვისაც წითელი ბურთი ეჭირა, მაგრამ არტორიქსმა, თითქოს თავის ათეულს უბრძანებსო, დაუყვირა:

- მოიცა! ძაღლი მაშინვე გაჩერდა. შემდეგ არტორიქსმა მიმართა ხალხს და უთხრა:

- ვისაც ბურთი აქვს ხელში, ნუღარავის გადასცემს. ჩემი ენდიმიონი იპოვის.

დაუჯერებლობისა და ცნობისმოყვარეობის დრტვინვა გაისმა ხალხში. მაგრამ მაშინვე ჩამოვარდა სიჩუმე, როდესაც არტორიქსმა გულხელი დაიკრიფა და უბრძანა:

- ენდიმიონ! მომიტანე თეთრი ბურთი!

ენდიმიონი რამდენიმე წუთს ყნოსავდა ჰაერს, შემდეგ ბეჯითად შეერია ბრბოში, სწრაფად გაძვრა მაყურებლების ფეხქვეშ, მივიდა ერთ მხედართან, დაადო ორივე თათი მხარზე და ლმობიერად დაუწყო თვალებში ცქერა.

მხედარმა ამოიღო წითელი ტოგიდან თეთრი ბურთი და უჩვენა ძაღლს, რომელმაც წაავლო პირი და მიურბენინა პატრონს.

გაისმა ხმამაღალი ტაშისცემა და მოწონების ყიჟინა, როცა ძაღლმა ასევე

მარჯვედ მიაგნო წითელ ბურთსაც.

მაშინ არტორიქსმა გაშალა ორი ნაწილისაგან შემდგარი კიბე, გაამაგრა მიწაზე თოკის ერთი ბოლო, რომელზედაც სამი რკინის რგოლი იყო წამოცმული, მიაბა კიბის ზემოთა საფეხურს, მეორე კი გაჭიმა ოთხი ფუტის სიმაღლეზე მიწიდან, დასვა თოკზე მხარზე მჯდომი მაიმუნი და უთხრა:

- აბა, ფსიქეა, უჩვენე ამ კეთილშობილებს შენი ჭკუა და მოხერხებულობა.

მაიმუნი უკანა ფეხებზე დადგა და მოხერხებულად გაიარა თოკზე, არტორიქსმა კი ამასობაში დაუძახა ძაღლს, რომელიც თვალს არ აცილებდა.

- შენ კი, ენდიმიონ, უჩვენე მარსის სახელოვან მოქალაქეებს, როგორ ადიხარ კიბეზე.

სანამ მაიმუნი თოკზე დადიოდა, ძაღლი დიდი გაჭირვებით ადიოდა საფეხურებზე. ბრბო ჯერ დუნედ უკრავდა ტაშს, მაგრამ როდესაც მაიმუნმა პირველ რგოლს მიაღწია, შიგ გაძვრა და რამდენჯერმე გადატრიალდა, ისევ გავიდა თოკზე, მივიდა მეორე რგოლამდე და ყირა გააკეთა, თავაწყვეტილმა ტაშმა იგრიალა.

ძაღლი ამასობაში კიბის სულ ბოლო საფეხურზე ასულიყო. არტორიქსმა თავი გადააქნია და სიბრალულით უთხრა:

- ახლა რაღა გეშველება, შე საცოდავ, როგორღა ჩამოხვალ ძირს? ძაღლი შესცქეროდა

  პატრონს და თან კუდს იქნევდა.

- აძვრომით კი აძვერი დიდი გაჭირვებით, მაგრამ როგორღა ჩამოხვალ, ეგ არ ვიცი! - დაუძახა არტორიქსმა, სანამ მაიმუნი მესამე და უკანასკნელ რგოლში ყირაზე გადადიოდა. ძაღლმა ისევ გაიქნა კუდი და შეხედა პატრონს.

- როგორღა იხსნი თავს ამ განსაცდელისაგან? - გაუმეორა კითხვა არტორიქსმა.

ძაღლმა ერთი ისკუპა, გაჩნდა მიწაზე და გამარჯვებული სახით გადახედა მაყურებელს და უკანა ფეხებზე ჩაცუცქდა.

ხანგრძლივი ტაშის ცემით შეხვდნენ ენდიმიონის ასეთ ჭკვიანურ ნაბიჯს, მასხარას მიერ შეთავაზებული მძიმე ამოცანის გადაწყვეტაში. ამასობაში მაიმუნმა მიაღწია სულ ბოლო

საფეხურს, უკანა ფეხებზე ჩაცუცქდა და მანაც მაყურებლის ტაში დაიმსახურა.

- მომეცი შენი ქუდი, - უთხრა არტორიქსს ბრბოდან გამოსულმა მხედარმა, - მე შევაგროვებ ფულს შენთვის და შენი პატარა ნადირებისთვის.

არტორიქსმა მოიხადა ქუდი და გადასცა მხედარს, რომელმაც პირველმა ჩააგდო შიგ ერთი სესტერცი და ხალხს შემოუარა. მაშინვე ასები, ნახევარასები და ტერუნციები ჩაცვივდა მასხარას ქუდში. ამავე დროს მასხარამ ამოიღო პარკიდან სათამაშო ძვლები და შეჰყვირა:

- აბა, ახლა, ენდიმიონ და ფსიქეა, ძვლებით ითამაშეთ, უჩვენეთ ამ კეთილშობილ და გულუხვ ბატონებს, ვინ უფრო მარჯვე და იღბლიანია თქვენში.

ბრბოს საერთო ხარხარში ძაღლი და მაიმუნი დასხდნენ ერთმანეთის პირდაპირ. თამაში დაიწყო ენდიმიონმა. როდესაც არტორიქსმა ძაღლს მიუტანა პარკი ძვლებით, ძაღლმა თათით ააგდო მაღლა ისე ღონივრად, რომ ძვლები შორს გაიფანტა და თვით მაყურებლების ფეხებთან გაგორდა. მაშინვე რამდენიმე კაცი დაიხარა, რომ შეეტყოთ, რა დასვა ძაღლმა, და ტაშისკვრით დაიყვირეს:

- ვენერა, ვენერა! ყოჩაღ ენდიმიონ!

ძაღლს თითქოს ესმოდა, რომ კარგად ააგდო ძვალი, და მხიარულად დაიწყო

კუდის ქნევა. არტორიქსმა აკრიფა ძვლები, ჩაალაგა ისევ პარკში და მიაწოდა

მაიმუნს.

მაიმუნმა წაავლო თათი პარკს და დაუწყო ქნევა ათასნაირი პრანჭვა-გრეხით, რითაც საერთო ხარხარს იწვევდა. ბოლოს გადაყარა ძვლები მიწაზე.

- ვენერა! ამასაც ვენერა ჰყავს! - გაისმა რამდენიმე ხმა. - ყოჩაღ, ფსიქეა, გაუმარჯოს ფსიქეას!

მაიმუნი შეხტა უკანა თათებზე და წინა თათებით უგზავნიდა მაყურებლებს კოცნას, მადლობის ნიშნად. ბრბოს აღტაცებას ბოლო აღარ ჰქონდა.

ამ დროს მხედარი, რომელმაც არტორიქსს შესთავაზა ფულის მოკრება, დაბრუნდა და გადასცა ქუდი, თითქმის პირამდე ავსებული წვრილი შავი ფულით. ახალგაზრდა გალმა მადლობა გადაუხადა რომაელს თავაზიანობისათვის და ჩაიყარა ფული ქამარზე ჩამოკიდებულ ტყავის პარკში.

გალი კიდევ აპირებდა წარმოდგენის გამართვას, მაგრამ ამ დროს გრძელი ქუჩიდან, რომელიც

კაპენიდან, დიდ ცირკთან იწყებოდა, უხვევდა პალაცინზე, მოისმა საშინელი ყვირილი და ხალხის ყურადღება მიიპყრო.

მოედანზე გამოჩნდნენ ქილიკები და მიმები, ფერუმარილით შეთხუპნილი და უცნაურად ჩაცმული, ცეკვავდნენ და ხტოდნენ ფლეიტის ხმებზე. მათ დიდი ბრბო მოჰყვებოდა.

არტორიქსს გარშემორტყმულმა უქნარების ბრბომ ახალ სანახაობას მიაშურა. კარინის ქუჩის მემუსიკეებმა მომართეს თავიანთი საკრავები და ისევ გაისმა გამაყრუებელი ხმები სატურნის სადიდებლად. არტორიქსმა ისარგებლა ამ წამით, მარჯვედ დაკეცა კიბე და ყველა თავისი ხელსაწყო, დაისვა მხარზე მაიმუნი და შეუმჩნევლად გაძვრა ბრბოში სამიკიტნოსკენ, სადაც ერთი ჭიქა ცეკუბის ღვინო მოითხოვა და სულმოუთქმელად გადაკრა. როგორც მოელოდა, ისე მოხდა: მოედანი გაიჭედა ბრბოთი. მიმოსები აძვრნენ ყაბახის საფეხურებზე და დაიწყეს წარმოდგენა უკადრისი და ურიგო ფარსისა, მაყურებლების უსირცხვილო ღრიანცელსა და ყვირილში.

სრულიად დარწმუნებული, რომ ხალხი მთლად გართულია მიმების წარმოდგენით, არტორიქსმა სცადა, გაპარულიყო მოედნიდან. დიდი გაჭირვებით, ნახევარი საათის შემდეგ, დაადგა დიდი ცირკისკენ მიმავალ გზას.

სანამ არტორიქსი მკლავებით გულმოდგინედ იკვლევს გზას და ნელა მიიძვრის ხალხით გაჭედილს ქუჩებზე, ვუამბობთ მკითხველს. თუ როგორ მოხვდა რომში არტორიქსი ამ უცნაურ როლში.

საბრალო რუტილიუსის მოკვლის მეორე დღეს, სურსათისთვის გამოსულმა გლადიატორების რაზმმა თითქმის ბარესამდე მიაღწია და შემთხვევით შეიტყო ორი უცნობი კაცის სიკვდილი, რომელთა შორის ერთი, როგორც ამბობდნენ, შეძლებულ

მემამულეს ჰგავდა, მეორე - რომელიმე მდიდარი ოჯახის გათავისუფლებულ მონას. მოხდა ისე, რომ ცხენოსანთა ჯარის უფროსი ეარშიყებოდა ერთი გლეხის ქალს სწორედ იმ სოფელში, სადაც მკვდრები იპოვეს. ეს ქალი ორი თვის წინ გაეცნო, როცა ამბოხებულნი ვენუსიასთან იყვნენ დაბანაკებულნი. იმას გაუხარდა ეს შემთხვევა, რადგან ნახავდა თავის საყვარელსაც. იმ მიზეზით, რომ ბოროტება, ადვილად მიეწერებოდა გლადიატორებს, ის წავიდა მკვდრების შესამოწმებლად და, თუ შესაძლებელი იყო, ნამდვილი მკვლელების აღმოსაჩენად. თქვენ წარმოიდგინეთ გლადიატორების გაკვირვება, როდესაც მკვდრებში იცნეს ერთი თავისი ლეგიონის უფროსი, მამაცი რუტილიუსი, კალაბრიის მემამულედ ჩაცმული.

ამგვარად, სპარტაკმა შეიტყო თავისი მეგობრის სამწუხარო სიკვდილი და აგრეთვე ისიც, რომ

მის საკუთარ ბანაკში ვიღაც მოღალატე იმალებოდა, მისი გეგმების დარღვევის მოწადინე. მაგრამ ვერ აღმოაჩინა რუტილიუსის სიკვდილის მიზეზი - მახე დაუგეს, თუ გზაში მოწინააღმდეგეს შეება.

რუტილიუსის გვამის ღირსეულად დაკრძალვის შემდეგ სპარტაკმა დაიწყო ფიქრი კატილინასთან ახალი ელჩის გაგზავნაზე. რადგან ეს საქმე უკვე გადაწყვეტილი იყო საბჭოსგან, ამიტომ თავის თავს ნება მისცა, არავისთვის აღარ ეკითხა კაცის ამორჩევა, რომლისთვისაც უნდა მიენდო ეს მძიმე საქმე. მისი არჩევანი შეჩერდა უსაზღვროდ ერთგულ არტორიქსზე.

გზაში ხიფათის თავიდან ასაცილებლად არტორიქსმა გადაწყვიტა, მაწანწალა მასხარას ტანისამოსი ჩაეცვა; ჯერ ისევ გლადიატორების სკოლაში სწავლობდა ის გასართობად ამ ხელობას. შემთხვევამ ხელი შეუწყო, აესრულებინა ეს გეგმა. ახლომახლო მიდამოში გამოჩნდა მაწანწალა, ოინბაზი მასხარა (იგი არტორიქსმა ბანაკში მოიყვანა). იყიდა მისგან ძაღლი და მაიმუნი, შეისწავლა სხვადასხვა წარმოდგენის ხერხი, აგვისტოდან ნოემბრამდე ვარჯიშობდა ხელის სისწრაფეში, მერე შეუმჩნევლად გამოვიდა ბანაკიდან და სამი დღის შემდეგ მშვიდობით მივიდა რომამდე.

არტორიქსი ეშურებოდა კატილინას ნახვას, რომ საჩქაროდ გადაეცა სასტიკი პატრიციისათვის

სპარტაკის წინადადება. დიდი ცირკისაკენ პალაცინის ქუჩაზე მიმავალი, რომლის სიახლოვეს კატილინას სახლი იყო, არტორიქსი მივიდა სალიის მოედანზე, სადაც ენით გამოუთქმელი ღრიანცელით ქეიფობდა ათასნაირი ჯურის ხალხი.

არტორიქსი მეტისმეტად დაღალა ამ ჭყლეტამ. დრტვინვისა და გუგუნისაგან ლამის დაყრუებული, როგორც იყო, მივიდა კატილინას სახლამდე, რომლის დერეფანიც გაჭედილი იყო ურიცხვი კლიენტებით, გათავისუფლებული და სხვა მონებით. ტრიკლინიუმიც სავსე იყო სტუმრებით, რასაც ამტკიცებდა იქიდან გამოსული ხუმრობა, სიმღერა და თასების წკრიალი.

ტაკიმასხარას მოსვლაზე ყველამ ტაში დაუკრა და არტორიქსს ხელახლა დასჭირდა ამ შექეიფიანებული ხალხის წინაშე თავისი ხელობის ჩვენება.

რაღა თქმა უნდა, აქაც ენდიმიონისა და ფსიქეას იშვიათმა ოინებმა საერთო აღტაცება, ტაში და გაკვირვება გამოიწვია.

იმ დროს, როდესაც კატილინას ერთი სტუმართაგანმაყურებლებს არტორიქსის ქუდით უვლიდა, არტორიქსი თვალს არ აშორებდა, რაც გარშემო ხდებოდა. ბოლოს მივიდა სახლთუხუცესთან, რომელიც იცნო ტანზე ჩაცმულობის ზოგიერთი განსხვავებით, და ჩუმად უთხრა, რომ სურს მისი ბატონის ნახვა ძალიან საჭირო საქმის გამო. სახლთუხუცესმა საეჭვო თვალი შეავლო მას და ზიზღით ჩაილაპარაკა:

- ჩემი ბატონი შინ არ არის, - ზურგი შეაქცია ტაკიმასხარას და დააპირა წასვლა.

- მერე, ტუსკულუმის ბორცვიდან ავრელიუს ორესტილისაგან რომ ვიყო გამოგზავნილი? - ჰკითხა დაბალი ხმით არტორიქსმა.

- აა! მაშ აგრე! - წარმოთქვა მან და ცბიერი ღიმილით დაუმატა: - მესმის, მესმის... მასხარას ხელობა არ გიშლის აგრეთვე ღმერთების მოენედ ყოფნას... დიახ, დიახ! მესმის!

- მეტად შორსმჭვრეტი ყოფილხარ, - უპასუხა შეუმჩნეველი დაცინვით არტორიქსმა და შემდეგ დაუმატა:

- რას იზამ, რაც შეგიძლია, ის უნდა აკეთო.

- რა ვუყოთ, კარგი ხელობაა. მაგის წინააღმდეგი არ ვარ, - შენიშნა სახლთუხუცესმა, - და თუ კატილინას ნახვა გინდა, წადი ფორუმზე, ახლა იქ უნდა იყოს.

ამ სიტყვებით სახლთუხუცესი მოშორდა.

არტორიქსი მაშინვე დაეშვა პალაცინის გორაკიდან და მალე გაემართა ფორუმისაკენ. მაგრამ იქ ისეთი ჭედვა იყო, რომ არასგზით არ შეიძლებოდა ჩქარი სიარული, სამასი ათას კაცამდე ირეოდა იქ, სადაც სატურნის ტაძარი იდგა, რომლის სახელიც განუწყვეტლივ ისმოდა.

ახალგაზრდა გლადიატორი მიჰყვა ამ ადამიანების ტალღას და ნელა მისდევდა მას ღვთაების ტარძისაკენ.

ბრბო გადადგამდა რამდენსამე ნაბიჯს და ერთი წუთს შეჩერდებოდა და ისევ დაიძვრებოდა. არტორიქსი აქეთ-იქით იყურებოდა. იმედი ჰქონდა, კატილინას დაინახავდა.

ძაღლი გვერდით მისდევდა პატრონს, ხანდახან არტორიქსს ესმოდა მისი საცოდავი წკმუტუნი. თუმცა ფრთხილად მიძვრებოდა ტალღაში, ხან ერთ ფეხზე დადგამდნენ ფეხს და ხან მეორეზე.

წინ, რამდენიმე ნაბიჯზე მისგან, მიდიოდა სამი კაცი, ერთი მოხუცი და ორი ახალგაზრდა, რომლებისთვისაც არ შეიძლებოდა არტორიქსს ყურადღება არ მიექცია. მოხუცს მდიდრული ტანსაცმელი ეცვა, მაგრამ არტორიქსმა მაშინვე იცნო მასხარა. იგი ორმოცდაათ წელს იქნებოდა გადაცილებული. თეთრი და ვარდისფერი

საღებავები ვერ უფარავდა ღრმა ნაოჭებს. მის გვერდით მომავალი ყმაწვილი კაცები პატრიცნი იყვნენ, რასაც მათი

მეწამულქობაშემოვლებული თეთრი ტუნიკები მოწმობდა. ერთი მათგანი იქნებოდა ასე ოცდაორი-ოცდასამის წლისა, საშუალო ტანის, კარგად ჩასხმული. მისი შავი, ხუჭუჭა თმა კიდევ უფრო ფერმკრთალს ხდიდა მის ჩაფიქრებულ პირისახეს.

- ვფიცავ ჩემი უკვდავი მეგობრის, ლუციუს კორნელიუს სულას სახელს, - ეუბნებოდა მასხარა თავის თანამგზავრებს, თითქოს დაწყებულ საუბარს განაგრძობსო, - ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს კლავდიაზე უმშვენიერესი ქალი.

- ბებერო ავხორცო, შენს თავაშვებულ ცხოვრებაში ლამაზებს ნახავდი, მაგრამ ასეთ გარყვნილებს კი - ვერა. მართალს არ ვამბობ, ბებერო მასხარავ?

- პოეტო, პოეტო, ნუ მაღიზიანებ, - თქვა მასხარამ, გაბრაზებულმა ლუკრეციუსის სიტყვებით, - ვფიცავ ჰერკულეს მუსაგეტს, ჩვენც ვიცით შენზე...

- ო, ვფიცავ მნემოსინას, გაგიჟებამდე მიყვარს კლავდია! - შესძახა კასიუსმა და თვალი მიაპყრო ვესტას ტაძრის დერეფანს, რომლის გარეშეც უამრავ ხალხს მოეყარა თავი. აქ იყო კლავდიაც. კასიუსი ანთებულ თვალებს არ აშორებდა მშვენიერ მანდილოსანს, თავისი ყმაწვილი ძმის გვერდით რომ იდგა. - რა ღვთაებრივი სილამაზისაა!

- შენ თუ ეგრე გიყვარს, - უპასუხა ლუკრეციუსმა, - არ მებრალები, რადგან მაგ მშვენიერი ქალის დამორჩილება ძალიან ადვილია.

- დიახ, - კვერი დაუკრა მეტრობიმ, - ეგ იმათგანი არ არის, რომლებიც დიდხანს ალოდინებენ ადამიანს.

- ვერ ატყობ, როგორ ჰგავს თავის ძმას?

- გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს. ტანსაცმელი რომ არა, ადვილად შეიძლება აგერიოთ ერთმანეთში.

ამ დროს ბრბო უეცრად შეჩერდა და არტორიქსმა მშვენივრად გაარჩია, ვისზეც ლაპარაკობდნენ. კლავდია დერეფნის ბოძთან იდგა. ასე ოცი წლისა იქნებოდა, მაღალი ტანის, ვიწროდ მოყვანილი, თეთრი წმინდა შალის, მეწამულქობაშემოვლებული ტუნიკა სრულებით არ უმალავდა საუცხოო მოყვანილობას. პაროსის მარმარილოსავით თვალისმომჭრელი თეთრი ხელები, სახე, მხრები უკვდავი ფიდიუსის[140] გამოქანდაკებული გეგონებოდათ, რომ მის სახეს მკრთალი ვარდისფერი არ გადაჰკვროდა.

ქალის გვერდით, რომელიც უკვე გაჰყროდა თავის პირველ ქმარს, იდგა მისი თოთხმეტი წლის ძმა კლოდიუსი. იმ მშვენიერი ყმაწვილის უმანკო სახეში მაყურებელი ვერ იცნობდა მომავალ მშფოთვარე სულის სახალხო ტრიბუნს, სასტიკი გულის ადამიანს, რომელსაც რამდენიმე წლის შემდეგ უნდა მოერწყო თავის მოქალაქეთა სისხლით სწორედ ამავე ფორუმის ფილაქანი.

- ვენერა და დიანა ვერ იქნებიან ამაზე მშვენიერნი! - თქვა კასიუსმა რამდენიმე წუთის აღტაცების შემდეგ.

- ვენერა, მარტო ვენერა იყოს და ნუ შეეხები უბიწო დიანას! - უთხრა ღიმილით ლუკრეციუსმა, - ეგ შედარება მეტად შეუფერებელი იქნებოდა შენი ადვილად დასაპყრობი ქალღმერთისათვის.

- ვინ ეძახის ამ სამარცხვინო სახელს კლავდიას? ვინბედავს მის ასე შეურაცხყოფას? - დაიძახა სიბრაზით კასიუსმა.

-შურიანი მანდილოსნები არანაკლებ გარყვნილები არიან, უფრო უსირცხვილონი და ულამაზონი. მათ გახადეს თავისი დაცინვისა და სიძულვილის საგნად.

- აი, შეხედეთ, იმან დააჯილდოვა კლავდია პირველად მაგ სახელით! - დაიძახა მეტრობიმ.

და თითი გაიშვირა მაღალი, წარბშეკრული, სასტიკი სახის ქალისაკენ, რომელსაც ტანისამოსზე შეატყობდით, რომ პატრიციების გვარისა იყო. იგი იმ სვეტის შორიახლო გაჩერებულიყო, სადაც კლავდია და მისი ძმა იდგნენ. გვერდით ედგა ასე ოცდაათ წელს გადაშორებული, მაღალი ტანის, მედიდური შესახედაობის მამაკაცი. მეტისმეტად ფართე შუბლი, ხშირი წარბები, მოჭუტული, სხივჩამქრალი თვალები და არწივის ცხვირი არაჩვეულებრივ გამომეტყველებას აძლევდა მის სახეს.

- ვინ არის ეგ? ტერენცია? ციცერონის ცოლი?

- სწორედ ეგ არის... თავისი ღირსპატივსაცემი ქმრის გვერდით დგას.

- ოჰ, მაგას კი შეჰფერის ილაპარაკოს სხვის ცოდვებსა და გარყვნილებაზე, - დამცინავი ღიმილით შენიშნა ლუკრეციუსმა, - მისმა დამ, ვესტალა ფაბიამ, სახელი გაითქვა კატილინასთან სამარცხვინო კავშირით. ვფიცავ ჰერკულესს, თუ ცენზორი დააპირებს კლავდიას უზნეობაზე იმსჯელოს, უჯობს, ფაბიას გარყვნილ ცხოვრებაზე ილაპარაკოს.

- ეჰ! - ამოოხვრით თქვა მეტრობიმ და თავი გადააქნია, - იმდენად სამარცხვინოა ჩვენი ცხოვრება, თვით უსასტიკესი და გულქვა კატონი, ყველაზე უშიშარი რომაელ ცენზორთა

შორის, რომ ახლა ცხოვრობდეს, ვერ შეძლებდა აღვირახსნილი ზნეობის გამოსწორებას. ვფიცავ კასტორსა და პოლუქსს, რომიდან რომ გაედევნა აქ ცხოვრებას უფლებამოკლებული ყველა ქალი, იგი მხოლოდ მამაკაცებით დასახლებულ ქალაქად გადაიქცეოდა, როგორც რომულუსის ნეტარ დროს იყო, და კვირინის მოდგმის გასაგრძელებლად ისევ შევუდგებოდით საბინელ ქალთა მოტაცებას. თუმცა ღირსნი არიან ახლანდელი საბინები მოტაცებისა?

- ყოჩაღ, ყოჩაღ, მართალს ამბობს! ვფიცავ ღვთაებრივ ეპიკურეს! - დაიძახა ლუკრეციუსმა, - მეტრობი მრისხანებას გამოთქვამს ზნეობრივ აღვირახსნილობაზე. პირველ არჩევნებშივე ხმას მოგცემ და სხვებსაც დავარიგებ, რომ შენ ამოგირჩიონ ცენზორად.

ამ დროს ბრბო ხელახლა დაიძრა და კასიუსი და მისი თანამგზავრები მალე გაჩნდნენ რამდენსამე ნაბიჯზე ვესტას ტაძრის იმ დერეფანთან, სადაც კლავდია იდგა.

-

- სალამი შენ, კლავდია, უმშვენიერესო რომის ლამაზებში! - დაუყვირა კასიუსმა და ხელი ტუჩებთან მიიდო.

კლავდიამ უპასუხა სალამზე ოდნავ თავის დახრით და ახალგაზრდას მიანათა ცეცხლით სავსე თვალები.

ესშემოხედვა ბევრის მომასწავებელია! - ღიმილით წასჩურჩულა თავის მეგობარს ლუკრეციუსმა.

- მესმის შენი აღტაცება, სახელგანთქმულო კასიუს, - ჩაერია ლაპარაკში მეტრობი, - არასდროს არ მინახავს ასეთი ლამაზი ქალი... გარდა ევტიპიდასი. - ევტიპიდა! - გაიმეორა ლუკრეციუსმა, შემკრთალმა ამ სახელის ხსენებაზე. ერთი წამის სიჩუმის შემდეგ იკითხა:

- ახლა სად არის?

- არ დაიჯერებ, მაგრამ, - უპასუხა კომედიანტმა, - ის გლადიატორების ბანაკშია!

- მერე რა? ჩემი აზრით, სწორედ იქ არის მისი ადგილი, - უთხრა ლუკრეციუსმა.

- მაგრამ გასაკვირი ის არის, - განაგრძო მეტრობიმ, - რომ ის წავიდა გლადიატორების ბანაკში, რადგან გაგიჟებით უყვარს ერთი იმათგანი - სპარტაკი.

- მერე რა! ვფიცავ ჰერკულესს, ახლა მას სწორედ თავისი შესაფერი საყვარელი ჰყავს.

- არა, ვფიცავ იუპიტერს, ცდები, იმიტომ, რომ იმ სულელმა ბარბაროსმა ზიზღით უკუაგდო მისი სიყვარული.

- იცით, რა, - დაიწყო ხელახლა მეტრობიმ, - მეც კინაღამ არ ჩავეწერე სპარტაკის ბანაკში.

- შენ? - იკითხა ორივე პატრიცმა, - რისთვის?

- იმისთვის ხომ არა, რომ გელოთა? - ჩაურთო კასიუსმა, - ამას რომშიც კარგად ახერხებ.

- თქვენ დამცინით, ხუმრობთ, მე კი იქ წასვლის წინააღმდეგი არ ვიყავი.

- სად?

- სპარტაკის ბანაკში იმისთვის, რომ გამოგონილი სახელით მივსულიყავი მასთან, მომეხვეჭა მისი ნდობა, მედევნებინა თვალი ყოველი მისი ნაბიჯისთვის, შემეტყობინებინა წინდაწინ კონსულებისათვის მისი გეგმები და ამგვარად დამეხსნა სამშობლო. ორივე პატრიცმა ხმამაღლა გადაიხარხარა.

- გაიცინეთ, გაიცინეთ! - თქვა გაბრაზებულმა კომედიანტმა, - მერე ვინ იყო ორი წლის წინ, კონსულ ლუკულუსს რომ შეატყობინა გლადიატორების ამბოხების მომზადება? ვინ მიუგდო ყური იმათ ფურიების ჭალაში, თუ არა მე?

-

„კარგი, გვეცოდინება ეგ!“ - გაიფიქრა გულში არტორიქსმა, სახეზე ალმური მოედო და ნაღვლიანად გააყოლა თვალი მის შორიახლო მიმავალ მეტრობის.

ამასობაში ბრბო მიუახლოვდა კაპიტოლიუმს და სატურნის ტაძარს. ამ დიდებულ შენობაში, გარდა სამსხვერპლოსი, იყო სახელმწიფო ხაზინაც და აქვე ინახებოდა დამტკიცებული კანონები. ხალხი მიაწყდა ტაძარს, მოძრაობა შენელდა.

ვფიცავ რომის მფარველ ღმერთებს, აქ შეიძლება, კაცი დაიხრჩოს! - დაიყვირა კასიუსმა.

- არც არის გასაკვირი, - ჩაურთო ლუკრეციუსმა.

- ვფიცავ დიონისეს სუროს გვირგვინს, მართალს ამბობთ! - შესძახა მეტრობიმ.

- ვერა გამიგია რა, რა გვინდოდა ამ ჭყლეტაში! - თქვა ლურეციუსმა.

ხალხი თანდათან აწვებოდა. საშინელი ჭყლეტა იყო. ბოლოს დაიძრნენ კუს ნაბიჯით და მეტრობი, ლუკრეციუსი, კასიუსი და არტორიქსიც მოხვდნენ ტაძარში, სადაც დაინახეს სატურნის ბრინჯაოს უზარმაზარი ანდრიანტი, ხელში ნამგლით, თითქოს პურის სამკელად მომზადებულაო. ანდრიანტს გარს ეწყო სამიწათმოქმედო იარაღები. ანდრიანტი ღრუ იყო და სიუხვის ნიშნად ზეთისხილის ზეთით ავსებდნენ.

- შეხედე, შეხედე. აი, ღვთიური კეისარი, უმაღლესი ქურუმი, - წამოიძახა მეტრობიმ, - აღასრულა მსხვერპლშეწირვის წესი სატურნის სადიდებლად, გაუხდია ქურუმის სამოსელი და ტაძრიდან გადის.

- როგორ უყურებს მშვენიერი, ჭკვიანი სემპრონია...

- უმჯობესი იყო გეთქვა, თავშეუკავებელი სემპრონიაო.

- შავთვალა მშვენიერი! ვფიცავ თანხმობის თორმეტ ღმერთს, სრულყოფილი სიმშვენიერის განსახიერებაა.

- შეხედე, როგორ აღგზნებით უელავს შავი თვალები! როგორი ღიმილით შესცქერის უმშვენიერეს იულიუსს.

- რამდენი მანდილოსანი და ქალწული შესცქერის კეისარს ნაზად!

- შეხედე ქერათმიან ფაუსტას.

- ჩემი უკვდავი მეგობრის, ლუციუს კორნელიუს სულა ბედნიერის, ნადიქტატორალის ასული.

- უსირცხვილო მეგობარი რომ იყავი ამ უცნაური კაცისა, ეს ყველამ ვიცით. მაშ, რაღად გინდა, რომ ყოველ ნაბიჯზე იმეორებ?

- ეს რა დრტვინვაა?

- რა ყვირილია?

-
ყველამ ტაძრის შესასვლელისკენ გაიხედა, საიდანაც ხმამაღალი შეძახილები გაისმოდა სატურნის სადიდებლად.

გაჭედილ ტაძარს მალე ხალხის ტალღა მოაწვა, სატურნის სათაყვანებლად მოსულნი; ორმოცდაათ ღვთისმოსავს, პირისახედაღვრემილებსა და ჩამომხმრებს, თითქოს დიდებულ მსვლელობას მოუძღვიანო, ქალაქის პრეტორი მოჰყავდათ. ყველას ხელში ჯაჭვები ეჭირა.

ესრა არის? - იკითხა ლუკრეციუსმა, - ჰო, ეს დამნაშავენი არიან, რომლებიც მამერტინის საპყრობილეში ისხდნენ სიკვდილით დასჯის მოლოდინში. ახლა დებულების ძალით გათავისუფლებულები არიან.

- და, ჩვეულების მიხედვით, სატურნის სამსხვერპლოში მიაქვთ ჯაჭვები, - ჩაურთო მეტრობიმ

- შეხედე, აი, სასტიკი კატილინა, მთელი რომის რისხვა! - დაამატა კასიუსმა და ხელი გაიშვირა სამსხვერპლოს მახლობლად მდგომი ამაყი, გარყვნილი პატრიციისაკენ, რომელიც ქურუმთა კოლეგიის ჭვრეტით იყო გართული და თვალით ჭამდა ერთ ყმაწვილ ქურუმ ქალთაგანს. - ეს კაცი სიყვარულშიც სასტიკია. შეხედეთ, ერთი, რა თვალებით უყურებს უმანკო ტერენციას.

სანამ ლუკრეციუსი და მეტრობი ლონინუსსა და კასიუსს ემასლაათებოდნენ კატილინასა და რომში განთქმულ ვესტალას კავშირზე, არტორიქსი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცდილობდა მალე მიეღწია სასტიკ პატრიციმდე.

მაგრამ სურვილი ერთია და მისი აღსრულება - მეორე, მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ გასასვლელისკენ ნელა მიმავალ ტალღას ადევნებულმა ყმაწვილმა გალმა ძლივს შესძლო ისევ ვესტალების ჭვრეტით გართულ ლუციუს კატილინასთან მიღწევა.

- სინათლე და თავისუფლება! - წასჩურჩულა არტორიქსმა ყურში კატილინას.

კატილინა შეკრთა, უცებ მობრუნდა, შუბლი შეიჭმუხნა და სასტიკად, თითქმის მრისხანედ ჰკითხა მასხარას, რომელიც დაჟინებით მისჩერებოდა თავისი წყლისფერი თვალებით.

- ეგ რას ნიშნავს?

- მე ვარ გამოგზავნილი აპულიიდან, - ჩუმად უთხრა არტორიქსმა, - სპარტაკისაგან, რომ მოგელაპარაკო, სახელგანთქმულო კატილინა, მეტად მნიშვნელოვანს საქმეზე.

პატრიციმ ხელახლა მიაპყრო ყმაწვილ გლადიატორს თავისი ჭრელი, მოელვარე თვალები და ჩუმად თქვა:

- კარგი... გამომყევი შორიახლოს და როდესაც გავალთ ყრუ ადგილას, იქ მოგისმენ ყველაფერს.

-
ზიზღით, რითაც გამოირჩევიან ამა ქვეყნის ძლიერნი და კანდნიერი თვითმპყრობელნი - აამოძრავა თავისი ძლიერი მკლავები და ომახიანი ხმით უბრძანებდა გარშემომყოფთ გზიდან ჩამოსცლოდნენ. ამნაირად, სხვებზე უფრო მალე გამოვიდა ტაძრიდან. არტორიქსიც მოუშორებლად მისდევდა.

გაიარეს დერეფანი და ქუჩაში გავიდნენ. ნახევარი საათის შემდეგ ძლივს დააღწიეს თავი ხალხის ტალღას და საქონლის ბაზრისკენ გაემართნენ, სადაც თავი შეეყარათ ხარებით მოვაჭრეებსა და მუშტრებს. საქონლის ამ ვეებერთელა მოედანზე ხალხი არც ისე ბევრი აღმოჩნდა და დიდი შრომა არ დასჭირვებიათ ჰერკულესის ტაძრამდე მისაღწევად. არტორიქსი რამდენიმე ნაბიჯზე მისდევდა.

-

დიდხანს მიდიოდა კატილინა. გაიარა ფორუმი, გასცილდა ჰერკულესის ტაძარს, შევიდა ბოლოს უბიწო ქალღმერთის ტაძრის კარიბჭეში და იქ გაჩერდა. არტორიქსი მაშინვე მიუახლოვდა.

ახალგაზრდა გალმა გადასცა კატილინას სპარტაკის წინადადება. მხურვალედ და უტყუარად დაუხატა გლადიატორების ჯარის ძალა. არტორიქსმა მეტად ხელოვნურად მოახერხა ამაყი პატრიცის თავმოყვარეობის დაკმაყოფილება, როცა უთხრა, რომ, როდესაც ის მრავალ

ბრძოლაში გამოცდილი გლადიატორების სამოციათასიანი ლეგიონების მეთაური გახდებოდა, მათი ძალა გაორკეცდებოდა და ერთი წელიწადიც არ გაივლიდა, რომ ისინი მიადგებოდნენ რომის გალავანს.

სისხლი მოერია კატილინას თვალებში, სანამ გლადიატორის სჯას ყურს უგდებდა; ძარღვები უთამაშებდა სასტიკ, მეტყველ პირისახეზე. დროგამოშვებით კუმავდა თავის უძლეველ მუშტებს და ნადირივით ღმუოდა. როდესაც არტორიქსი გაჩუმდა, კატილინამ მაშინვე ვერაფერი უპასუხა.

- წარმტაცია... შენი წინადადება... ოჰ, ყმაწვილო, - უთხრა ბოლოს აღელვებული ხმით, - და მიზიდავს კიდეც, თუმცა არ დაგიმალავ, რომ მე... როგორც რომაელსა და პატრიცის, მეზიზღება მონების ჯარის მეთაურად გახდომა. მაინც, ყოველ შემთხვევაში, მთელი ჯარის უფროსობა... მისი ხელმძღვანელობა ერთი გამარჯვებიდან მეორემდე, საზიზღარი ოლიგარქების გასრესა, ჩვენი დამთრგუნველებისა... ოჰ, მე ვგრძნობ, რომ დიადი საქმეებისათვის ვარ დაბადებული და არ მომეცა რომელიმე პროვინციის მართვის საშუალება, სადაც მექნებოდა შესაძლებლობა... მაგრამ მარტო ამაზე ფიქრი...

- დაბადებულხარ რომაელად და პატრიცად და თუ ჩვენ გვინდა ოლიგარქების გასრესა,

რასაკვირველია, თავისუფალი ხალხის ხელით უნდა გავაკეთოთ ეს და რომის იარაღის ძალით და არა მონებისა და ბარბაროსების სამარცხვინო დახმარებით!

ეს თქვა მეორე პატრიცმა, რომელიც ორივე მოსაუბრისთვის სრულიად მოულოდნელად გამოვიდა დერეფნის სვეტიდან. იგი იყო მაღალი ტანის, ამაყი, სწორი რომაული პირისახისა, ასე, ოცდაათი წლის ვაჟკაცი.

- ლენტულუს სურა! - შესძახა გაკვირვებულმა კატილინამ, - შენ აქ როგორ გაჩნდი?

- მე ეჭვში შემიყვანა მასხარამ და თვალს გადევნებდი შორიდან, რომ დამეშალა შენთვის ისეთი შეცდომის ჩადენა, რომელსაც ვეღარ გამოასწორებდი. არაერთხელ მითქვამს შენთვის, რომ ბედმა სამ კორნელიუსს უწინასწარმეტყველა რომის მფლობელობა. ორის შესახებ ეს წინასწარმეტყველება კიდეც ასრულდა: კორნელიუს ცინა და კორნელიუს სულა უკვე იყვნენ მფლობელები რომისა. მესამე შენ ხარ ამორჩეული ბედისაგან და მე არ მინდა, წინდაუხედავი საქციელით დაშორდე შენს მიზანს.

- შენ გგონია, ლენტულუს, - მიუგო კატილინამ, - რომ ჩვენ კიდევ ვნახავთ მეორე, ასეთსავე კარგ შემთხვევას და გვეყოლება განკარგულებაში ასეთივე ურიცხვი ჯარი, რომელიც მზად იქნება შეასრულოს ყოველი ჩვენი ბრძანება?

მემგონია, - გააწყვეტინა ლენტულუს სურამ, - რომ სპარტაკის წინადადების მიღებით არა მარტო დავიმსახურებთ ყველა რომაელისა და მთელი იტალიის სიძულვილსა და წყევლას, კაპოცენზებისა და ყველა უუფლებო ოტიმატის სასარგებლო ბრძოლა გადაიქცევა ბარბაროსების სასარგებლო ბრძოლად, რომელთაც სძულთ რომის სახელი. როდესაც ჩვენი დახმარების წყალობით ისინი რომის მფლობელნი გახდებიან, გგონია, მმართველობის ნებას მოგცემენ? ყოველი რომაელი მოქალაქე იმათ თვალში მტერი იქნება, რომელსაც ბოლო უნდა მოეღოს. ამგვარად, ოპტიმატების გასრესის ფიქრში ჩვენ დავამხობთ საკუთარი ხელით ჩვენს სამშობლოს.

ლენტულუს სურას ლაპარაკის დროს კატილინას სახე თანდათან უფრო მეტად ეღრუბლებოდა. აშკარა იყო, რომ აღტაცება, რომლითაც ის აანთო არტორიქსის სიტყვებმა, თანდათან ადგილს უთმობდა იმედის მწარედ შეცვლას. როდესაც ლენტულუს სურა გაჩუმდა, გრატიდიანის მძვინვარე მკვლელმა თავი ჩაღუნა და თქვა:

- შენი ლოგიკა ისეთი მჭრელია, როგორც ესპანური გალესილი მახვილის პირი!

არტორიქსს უნდოდა ეთქვა რამე ლენტულუსისათვის, მაგრამ პატრიცი მიუბრუნდა მას და მტკიცე, მბრძანებელი კილოთი უთხრა:

- შენ კი დაბრუნდი სპარტაკთან და უთხარი, რომ ღირს პატივსა ვცემთ თქვენს ვაჟკაცობას, მაგრამ ჩვენ რომაელები ვართ. უთხარი აგრეთვე თქვენს წინამძღოლს, რომ ჩვენ ვურჩევთ მას, ისარგებლოს ბედის კეთილგანწყობილებით და გაგიყვანოთ ალპებს იქით! მეტი ხნით იტალიაში დაყოვნება ბოლოს მოუღებს მას. გასწი, ღმერთები იყვნენ თქვენი შემწე!

ამ სიტყვებით ლენტულუს სურამ გაუყარა ხელი ხელში კატილინას და ფორუმისკენ წაიყვანა.

დიდხანს გაჰყურებდა არტორიქსი მიმავალ პატრიციებს. ისინი დიდი ხანია, მიეფარენ კიდევაც თვალს და ეს კი ისევ იდგა და გაჰყურებდა მთლად ჩანთქმული ფიქრებში. ენდიმიონმა გამოაფხიზლა ასეთი ჩაფიქრებული. ჭკვიანმა ძაღლმა ნახა, რომ საუკეთესო დრო იყო, შეხტომოდა პატრონს მხრებზე და მოელოკა ხელები. ცრუ მასხარა შეკრთა, გადაისვა შუბლზე ხელი და დინჯად გასწია ალაყაფისაკენ მიმავალი ქუჩით გერმალენის მოედნისკენ.

არტორიქსი ისე იყო ჩაფიქრებული სურას სიტყვებზე, რომ ვერ შეამჩნია, თუ რამდენ ხანს მისდევდა უკან მეტრობი; ის ხან უკან ჩამორჩებოდა, ხან წინ გაუსწრებდა და ყურადღებით აცქერდებოდა. მაგრამ, როდესაც გავიდა გერმალენის მოედანზე, არტორიქსმა შენიშნა, რომ გარშემო უტრიალებდა მიმოსი და მაშინვე იცნო ის. ახალგაზრდა გალი შეკრთა იმ აზრზე, რომ კომედიანტმაც, რომელიც ისე ხშირად

-

დაიარებოდა მისი უწინდელი ბატონის სასახლეში, იქნებ იცნო ის, როგორც სულასთან ნამყოფი გლადიატორი.

შეჩერდა ერთ წამს დაფიქრებული და გადაწყვიტა ნაბიჯის აჩქარება და ბრბოში შემალვა იმ იმედით, რომ მეტრობი სრულებით შემთხვევით მოხვდა მოედანზე და სულაც არ შეუმჩნევია. ბედი თითქოს სწყალობდა არტორიქსს. უკვე ბინდდებოდა. გაიარა მინდორი, შეუხვია პატარა ქუჩაზე და დაინახა მოქალაქეთა ბრბო რომელიღაც პატრიცის სახლის დერეფანში შეკრებილი. ესენი იყვნენ ერთი სენატორის კლიენტები, რომელთანაც მოეტანათ საჩუქრად, როგორც უფროსისთვის, წმინდა სანთელი, როგორც მოითხოვდა ამას სატურნალიების ჩვეულება.

ცრუ მასხარა თვალის დახამხამებაში შეერია იმ ხალხის გროვაში და სახლთუხუცესის კითხვაზე, თუ რა საქმე ჰქონდა, უპასუხა, რომ სახლის პატრონი შეხვდა მას ფორუმზე და გამოგზავნა თავის სახლში, რომ ეჩვენებინა კლიენტებისათვის თავისი ხელობა, მიტანილი საჩუქრების მაგივრად.

სახლთუხუცესმა მაშინვე შეუშვა არტორიქსი ატრიუმში. მაშინ არტორიქსმა, რომელმაც იცოდა, რომ რომში ყველა მდიდარი კაცის სახლი ერთ ყაიდაზე შენდებოდა, იმპლივიუმის შუაგულში აშენებული ლარების[141] საკურთხევლიდან შეიხედა, იყო თუ არა სახლთან ახლოს ბაღიდან გასასვლელი კარი. როცა დარწმუნდა, რომ იყო ეს კარი, მაშინვე დააწყო გეგმა, თუ როგორ უნდა გაქცეულიყო. გაიარა ურიცხვი დერეფანი, შევიდა ბაღში და მეკარეს უთხრა, რომ ოინებს უჩვენებდა სახლში მისი პატრონის სტუმრებს, ახლა ეჩქარებოდა და იმიტომ სთხოვა ბაღის კარიდან გაეშვათ, რადგან მთავარ გასასვლელში მეტისმეტი ჭედვა იყო. მეკარემ მასხარას თხოვნა ძალიან სამართლიანად ცნო და ღიმილით გაუღო ბაღის კარი და გაუშვა პატარა ქუჩისკენ, საიდანაც არტორიქსი მალე გავიდა ახალ ქუჩაზე.

ღამის წყვდიადი უკვე ედებოდა უკვდავ ქალაქს. არტორიქსი ჩქარობდა, ესარგებლა შემთხვევით, რომ რაც შეიძლებოდა მალე გასულიყო ქალაქიდან. გაიარა ქალაქის რამდენიმე ნაწილი ახალი ქუჩით, გავიდა ტიბრის ნაპირზე და საჩქაროდ გაჰყვა მდინარეს ნაპირს ტრიგემინის ალაყაფისკენ.

არტორიქსმა ვერც კი მოასწრო სამასი ნაბიჯი გაევლო, როდესაც უკანიდან მოესმა აჩქარებული ფეხის ხმა. გაჩერდა ერთ წამს და ყური დაუგდო: ფეხის ხმა უფრო უახლოვდებოდა. მაშინ ამოიძრო ტუნიკის ქვეშიდან ხანჯალი და ხელახლა აუჩქარა ნაბიჯს. მაგრამ დატვირთულს ბარგითა და მაიმუნით, რომელიც ხელზე ეჯდა, არ შეეძლო ისეთივე ჩქარი სიარული, როგორც მდევარს, რომლის ფეხის ხმა უფრო და უფრო ახლოვდებოდა. მაშინ არტორიქსმა ისარგებლა გზის ერთი მოსახვევით, მიეფარა წყლის ნაპირზე ამოსულ მსხვილ ხეს და სულშეგუბებულმა დაიწყო ლოდინი, რომ დარწმუნებულიყო, მართლა მეტრობი მისდევდა უკან თუ არა. გლადიატორს მალე მოესმა მდევრის აჩქარებული ქშენა და დაინახა კიდეც, რომ მართლა მიტრობი იყო.

რომ ვეღარ დაინახა წინ არტორიქსი, მეტრობი გაჩერდა, მიიხედ-მოიხედა და წაიბუტბუტა:

- რა ვქნა, სად დაიკარგა?

- აქ ვარ, თავაზიანო მეტრობი! - უთხრა არტორიქსმა და წამოდგა წინ იმ გადაწყვეტილებით, რომ კომედიანტი მოეკლა უწინდელი დაბეზღების სამაგიეროდ და ახლის თავიდან ასაცილებლად.

თავზარდაცემულმა მეტრობიმ უკან დაიხია რამდენიმე ნაბიჯით, წყლის ნაპირას გაყოლებულ დაბალ კედელთან, მაგრამ შემდეგ საჩქაროდ მოიკრიბა ღონე და ალერსიანი, მოფერების ხმით უთხრა:

აჰ, მაშ შენ ხარ, ჩემო მშვენიერო გლადიატორო! სულას სასახლეში არ გაგიცანი კუმში? და გამოგეკიდე ჩემთან ვახშმად დასაპატიჟებლად, რომ მოგვეგონებინა ერთად ძველი დრო.

- შენ გინდოდა მამერტინის ციხეში მიგეპატიჟე, ბებერო მოღალატევ, - უთხრა მუქარის ხმით არტორიქსმა, როდესაც მიუახლოვდა კომედიანტს, - ხვალ კი ჩემი გვამით ივახშმებდნენ ესკვილინის მინდორზე ყვავები!

- რას ამბობ! გონს მოდი... ეგ აზრადაც არ მომსვლია! - ბუტბუტებდა შეშინებული მეტრობი და კლაკვნით იხევდა უკან, საიდანაც მოვიდა, - იუპიტერმა დამცეს თავისი მეხი, თუ შენთან ფალერნის ღვინოზე დაპატიჟება არ მდომოდა!

- არა, საზიზღარო ლოთო, ტიბრის მღვრიე წყალს დალევ შენ დღეს! - თქვა არტორიქსმა, გადააგდო იქით მაიმუნი და კიბე და ეცა კომედიანტს.

- მიშველეთ, მეგობრებო, აქეთ, მალე! მკლავენ! - დაიყვირა მეტრობიმ და თან გაექანა ახალი ქუჩისკენ, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯზე დაეწია არტორიქსი, წაავლო ხელი და ისეთნაირად წაუჭირა ყელში, რომ ბებერ კომედიანტს კრინტის ამოღებაც აღარ შეეძლო.

- მეგობრებსაც პატიჟებდი, გამცემო? - ბუტბუტებდა კრიჭაშეკრული გლადიატორი, - აგერ, კიდევაც მორბიან!

და მაგრად ჩაბღუჯა ხელში ხანჯალი. მეტრობი კი ისევ ეძახდა საშველად.

მართლაც, იმავე წამს ახალი ქუჩის კუთხიდან ნაპირზე გამოვარდა ბრბო. მეტრობისგან წინდაწინვე გაფრთხილებულები სანათებით და იარაღით მოეშურებოდნენ მისაშველებლად.

მაშინ არტორიქსმა, რომელსაც მარცხენა ხელი ისევ თავისი მტრის ყელში ჰქონდა წაჭერილი, მარჯვენით რამდენჯერე ჩაჰკრა გულში ხანჯალი. სისხლი გადმოთქრიალდა გულიდან. მეტრობიმ ერთი კიდევ შეჰყვირა განწირული ხმით:

- მეგობრებო, მიშველეთ!

- ვერ მოგისწრებენ, რომ დაგიხსნან და მე წამავლონ ხელი, ქოფაკო მაბეზღარა! - შეგუბებული ხმით უთხრა ანტორიქსმა. შემდეგ ასწია მაღლა დაჭრილი და გადაუძახა ტიბრში.

-

- ამ საღამოს უკანასკნელად დალევ წყალს.

გაისმა წყლის შხაპური და მეტრობის საზარელი ყვირილი, რომელიც მძვინვარე ტალღებმა ჩანთქეს.

- მეტრობი, მეტრობი, სად ხარ?

- ნუ გეშინია!

- ვერ გაგვექცევა! ვერ გაგვექცევა!

- ჯვარზე, ჯვარზე ეგ წყეული გლადიატორი! - ასე ყვიროდა მოქალაქეების და მონების ბრბო.

მაგრამ ახალგაზრდა გალმა უკვე მოიხსნა პენულა, წაავლო ხელი ენდიმიონს და გადაისროლა წყალში; შემდეგ შეხტა წყლის ნაპირას გაყოლებულ დაბალ კედელზე და თვითონაც გადაეშვა ტიბრში.

- მიშველეთ... ვიხრჩობი... მიშველეთ!... - შეჰყვირა ერთხელ კიდევ მეტრობიმ, როდესაც ერთი წამით წყალმა ამოატივტივა და ტრიგემინის ალაყაფისკენ გააქანა.

მდევრები მიიჭრნენ იმ ადგილას და დაიწყეს მიხეთქ-მოხეთქება მიწაზე დარჩენილი სისხლის გუბის გარშემო. ყველანი ყვიროდნენ, რომ უნდა დაეხსნათ კომედიანტი და აქეზებდნენ ერთმანეთს, მაგრამ არავინ არაფერს აკეთებდა.

ამ დროს არტორიქსი მარდად მიარღვევდა ტალღებს და მიცურავდა მეორე ნაპირისკენ.

ბრბო უკან აყოლებდა უღონო წყევლა-კრულვას და დასტიროდა მეტრობის ბედს, რომლის გვამი აღარ მოჩანდა წყალში.

გავიდა თუ არა გალმა ნაპირზე, არტორიქსი გაიქცა იანიკულის ბორცვისკენ და მალე გაქრა ღამის წყვდიადში, რომელიც თანდათან უფრო ედებოდა უკვდავ ქალაქს.

18. კონსულები გამოდიან საომრად. კამერინუმის ბრძოლა. ენომაის სიკვდილი

როდესაც ყოველი იმედი დაკარგეს კატილინას უფროსობისა, გლადიატორებმა გადაწყვიტეს, მიჰყოლოდნენ სპარტაკის რჩევას და გაზაფხულზე საერთოდ გასულიყვნენ იტალიიდან და შემდეგში გაეგზავნათ დესპანები ყველა ხალხთან იმ აზრით, რომ აღეძრათ დამონავებული რომის საშინელი დიქტატურის წინააღმდეგ. როგორც გამოცდილ სარდალს და შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსს, სპარტაკს ესმოდა, რომ რომთან ომი იტალიის ტერიტორიაზე უეჭველად დამთავრდებოდა რომაელების სრული გამარჯვებით.

682 წლის თებერვლის ბოლოს სპარტაკის ჯარი შედგებოდა თორმეტი ქვეითი ლეგიონის, ხუთი ათასი კაცით თითოში, რვა ათასი ცხენოსნისა და ხუთი ათასი მსუბუქად შეიარაღებული ქვეითისგან, რაც ერთად შეადგენდა სამოცდაათი ათასზე მეტ მშვენივრად შეიარაღებულსა და გაწვრთნილ ჯარისკაცს. ამ ძალით სპარტაკი დაიძრა აპულიიდან ჩრდილო სამნიუმისკენ და ათი დღის სიარულის შემდეგ მივიდა უმბრიაში. იქ შეიტყო, რომ კონსული ლენტულუს კლოდიანი ოცდაათიათასიანი ჯარით გადაეღობა მდინარე პოსაკენ მიმავალ გზაზე, იმავე დროს, მეორე კონსული გელიუს პუბლიკოლა სამი ლეგიონითა და დამხმარე ჯარით მოდიოდა სპარტაკზე ზურგიდან, რომ შეეკრა აპულიაში დასაბრუნებელი გზა.

მართლაც, რომის სენატმა მიიღო რა მხედველობაში, რომ არა თუ სამარცხვინო და მისი ღირსების შემლახავი, აგრეთვე დიდად საფრთხილოც იყო ეს ომი, გადაწყვიტა სპარტაკის წინააღმდეგ ორივე კონსულის გაგზავნა, როგორც მიღებული იყო ხოლმე ყველაზე ძნელი ომის დროს.

კონსულებმა დავალების მიღებისთანავე შეკრიბეს თავიანთი ჯარები - ერთმა ლაციუმში და მეორემ - უმბრიაში. მაგრამ ვერც ამ ომის გამოცდილებამ და ვერც დამარცხებამ, რომელიც განიცადეს პრეტორმა ვარინიუსმა, კვესტორმა კოსინიუსმა და თვით ორესტმა, ჭკუა ვერ ასწავლეს ვერც ლენტულუსს და ვერც გელიუსს და აზრადაც არ მოსვლიათ ერთმანეთის მტრობის თუ არასწორი ტაქტიკური მოსაზრებების წყალობით, რომ ერთად შებრძოლებოდნენ სპარტაკს. გადაწყვიტეს, ცალ-ცალკე შეეტიათ გლადიატორებისთვის, რაც სპარტაკს შესაძლებლობას აძლევდა, სათითაოდ დაემარცხებინა ორივე არმია, როგორც ბოლო ორი წლის განმავლობაში ხდებოდა.

რომში დიდი იმედი ჰქონდათ ამ ორი კონსულის გალაშქრებისა და ეჭვიც არავის შეჰპარვია, რომ აუცილებლად მოეღებოდა ბოლო ამ დამამცირებელ ომს.

შეიტყო თუ არა თავისი მტრების ამბავი, სპარტაკმა აჩქარებული ნაბიჯით წაიყვანა თავისი

ჯარი სამნიუმზე იმ აზრით, რომ ჯერ დასცემოდა გელიუსს, რომელსაც თავისი ფიქრით უნდა შეხვედროდა ამიტერნუმსა და კორფინიუმს შუა.

მაგრამ, როდესაც ამიტერნუმში მივიდა, სპარტაკმა შეიტყო ერთგული მონებისგან, რომ გელიუსი ჯერ ისევ აგნანიუმის ციხეში იდგა თავისი კავალერიის მოლოდინში და რომ თხუთმეტ დღეზე ადრე ის არავითარ შემთხვევაში არ გამოვიდოდა ბრძოლის ველზე.

მაშინ სპარტაკი გაბრუნდა უკან და წავიდა პიცენტის ოლქში, სადაც იმედი ჰქონდა, შეხვდებოდა უაბრიიდან მომავალ კონსულ ლენტულუსს.

სპარტაკს აზრად ჰქონდა, რომ როდესაც კონსულის ჯარს დაამარცხებდა, შემდეგ ან ხელახლა დაბრუნდებოდა და გაუსწორდებოდა გელიუსს, ან არადა, ყურადღებას არ მიაქცევდა მას და წავიდოდა პირდაპირ ალპებისკენ.

ასკულუმამდე, მდინარე ტრუენტზე რომ მიაღწია, თავისი მზვერავებისგან შეიტყო, რომ ლენტულუსი პერუზიიდან მოდიოდა ოცდაათიათასიანი ჯარით და დაიძრა კამერინუმისაკენ მის შესახვედრად. სპარტაკმა ამოირჩია მოხერხებული ადგილი, ბანაკი დასცა და კარგად გაამაგრა ის. გადაწყვიტა, აქ იმდენი დაეცადა, რამდენიც კონსულს კამერინუმამდე მოუნდებოდა, სადაც აპირებდა გლადიატორი რომაელებზე თავდასხმას.

ამრიგად, გლადიატორებმა დასცეს ბანაკი ასკულუმის მახლობლად.

რადგან უნდოდა კარგად გაეცნო მომავალი ბრძოლის ველი, ამიტომ მეორე დღეს სპარტაკი ათასი ცხენოსნით გავიდა დასაზვერად. სრულებით მარტო, დაფიქრებული მიდიოდა სპარტაკი თავისი რაზმის წინ და თითქოს ვერაფერს ამჩნევდა გარშემო. მერე რაზე ფიქრობდა სპარტაკი?

რაც ევტიპიდა ენომაის საყვარელი გახდა და კურტიზანმა ქალმა ხელში ჩაიგდო, კაცი ვეღარ იცნობდა ენომაის; სულ მუდამ მოწყენილი და დაღვრემილი, ისე აღარ ექცეოდა სპარტაკს, როგორც აქამდე. უკანასკნელ სამხედრო საბჭოზე გნაციუმთან, როდესაც ბჭობდნენ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ კატილინას უარის შემდეგ, ენომაი ერთადერთი ეწინააღმდეგებოდა სპარტაკის წინადადებას ალპების იქით გასვლაზე. ის აძლევდა პასუხს უკმეხი და საწყენი სიტყვებით, ლაპარაკობდა რაღაც დამამცირებელს დიქტატურაზე, რომელსაც ვითომ იმედაც დიდხანს ითმენდნენ; რაღაც ახალ მონობაზე, რომელიც ჩამოვარდნილიყო მათ შორის პირადი ანგარების მიზნით.

თავისუფლება ახლა, რისთვისაც იარაღს მოვკიდეთ ხელი, ცარიელ სიტყვებად გადაიქცა. ბოლო

უნდა მოეღოს ამ მონობას, მადლობა ღმერთს, ბავშვები აღარ ვართ, რომ წინამძღოლის ჯოხის გვეშინოდესო.

პირველად სპარტაკი წამოხტა თავისი ადგილიდან, გერმანელის გადაკრულ ლაპარაკზე გულმოსული, მაგრამ მერე დამშვიდდა და ცდილობდა, წყნარი და მშვიდი სიტყვებით ჩაეგონებინა სიმართლე; მაგრამ, როცა დაინახა ენომაიმ, რომ კრიკსი, გრანიკი და სხვა წინამძღოლები სპარტაკს ემხრობოდნენ, მთლად გადაირია და

გაცოფებული გავარდა კარვიდან, რადგან აღარ სურდა მონაწილეობის მიღება მოლაპარაკებაში.

რამდენიმე დღეა, რაც სპარტაკი განუწყვეტლივ ფიქრობდა, გაეგო მიზეზი ენომაის გაუგებარი ცვლილებისა, რომელიც ძალიან უყვარდა და რომელსაც უზიარებდა სიხარულს და უსიამოვნებას უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში. ტყუილად ცდილობდა სპარტაკი გულგახსნით მოლაპარაკებას მასთან: აქამდე გულწრფელი გერმანელი ახლა დაღვრემილი და გულდახშული გახდა. ერიდებოდა სპარტაკთან შეხვედრას და როდესაც ერთად შეიყრებოდნენ, შემკრთალი ხმას არ იღებდა.

საქმე ის არის, რომ ევტიპიდასგან სულ მუდამ წაქეზებული ენომაი, გრძნობდა, რომ გულმოსულობა უქრებოდა, როცა ამ კაცს ხვდებოდა. გერმანელის პატიოსანი სინდისი

გრძნობდა ბერძენი ქალის ცბიერებას და ამით აღშფოთებული უნებლიეთ ემორჩილებოდა პატიოსნებით სავსე მეგობარს.

თვითო სპარტაკს აზრადაც არ მოსვლია, რა იყო ნამდვილი მიზეზი ენომაის გულგრილობისა. ევტიპიდას თავის მორჩილ კრავად გადაექცია ენომაი. ასე რომ, გლადიატორების ბანაკში არავინ არაფერი იცოდა და განსაკუთრებით სპარტაკმა. მას დაავიწყდა კიდეც ევტიპიდა, რადგან ეშმაკი ბერძენი ახერხებდა ისე, რომ არასდროს მოეკრა თვალი მისთვის სპარტაკს.

როდესაც ასკულუმის მიდამოებიდან დაბრუნდა ბანაკში დაღონებული და დაფიქრებული, სპარტაკმა მაშინვე გაგზავნა ერთი კონტუბერნალი ენომაის დასაძახებლად. ყმაწვილი ქალი გავიდა, მაგრამ თითქმის მაშინვე დაბრუნდა და უთხრა:

- მე გზაში შევხვდი ენომაის, ის თვითონ მოდის შენთან.

ერთი წამის შემდეგ კარვის კარში მართლა გამოჩნდა სპარტაკისთვის კარგად ცნობილი ფიგურა.

- სალამი შენ, გლადიატორების უმაღლესო სარდალო! - წარბშეკვრით უთხრა მან, - მოლაპარაკება მინდა შენთან.

- მეც მინდა, - გააწყვეტინა სპარტაკმა, ხელი ჩამოართვა და მეგობრულად დაუმატა: - აბა, მითხარი, რა გინდა, ჩემო ძმაო?

- მე მინდა, - დაიწყო მუქარის ხმით ენომაიმ, თუმცა კი თვალებდახრილმა, - მე მინდა გითხრა... რომ მომბეზრდა სათამაშოდ ყოფნა შენ ხელში... თუ მონა ვიქნები, სჯობია ვიყო რომის მონა. მე მინდა ვიომო და არა შენ გემსახურო.

- ოჰ, ღმერთებო! - შეჰყვირა სპარტაკმა და ცისკენ აღაპყრო ხელები, - ჭკუაზე კი ხარ, ენომაი?

- დიახ, ჩემს ჭკუაზე ვარ, ვფიცავ ფრეიას[142] მშვენიერ თმა! - თქვა ენომაიმ და მიაცქერდა თავის პატარა, ანთებული თვალებით.

- მაშ, თუ შენს ჭკუაზე ხარ, ამიხსენი ჯოჯოხეთის ყველა ღმერთის გულისათვის, როდის გათამაშებდით როგორც სათამაშოს ან შენ და ან სხვას ჩვენს უბედურ ამხანაგებში?

- მაგას ვერ ვიტყვი... არ ვიცი, იყო როდესმე თუ არა... - ბუტბუტებდა ენომაი და აშკარად შემკრთალმა დახარა ისევ თვალები. - ერთი სიტყვით... მეც ხომ კაცი ვარ... - რასაკვირველია, და ამასთან უკეთილშობილესი და უმამაცესი ყველა მათში, ვისაც მე ვიცნობ, - უპასუხა სპარტაკმა და თან გერმანელს გულის სიღრმემდე გამჭვრეტი თვალები მიაპყრო, - მაგრამ რატომ ამბობ ამას? - დაუმატა მან რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ. - განა როდესმე ვცდილობდი შენი სახელის დამცირებას ჩვენს ჯარში? როგორ გაივლე ეგ თავში? რით მოგეცა მიზეზი ასეთი ეჭვებისა? რით მოგაყენე შეურაცხყოფა? რით შევცოდე შენი და ან ჩვენი საქმის წინაშე, რასაც სიცოცხლეს ვწირავ?

- შეურაცხყოფა მომაყენე... შემცოდე... არ ვიცი, რა გითხრა... მართალი გითხრა... შეურაცხყოფა ჩემთვის არ მოგიყენებია... ჩვენი საქმის წინააღმდეგ არაფერი შეგიცოდავს... შეიძლება ვთქვა კიდეც... პირიქით... შენ ყოველთვის გამოცდილი წინამძღოლი იყავი. დიდებულიც, უძლეველიც... მონათა ბრბო სამაგალითო ჯარად აქციე. შენ მიგყავდა ის გამარჯვებიდან გამარჯვებამდე და ეჭვი არ მაქვს, რომ შენი უფროსობით იქნება ის ძლევმოსილი მომავალშიც.

ასე ლაპარაკობდა ენომაი, რადგან ვეღარ შესძლო ევტიპიდას შეგულიანებასთან მებრძოლი სინდისის ხმის დახშობა. გაჯავრებული და გაანჩხლებული თანდათან მშვიდდებოდა და უკანასკნელი სიტყვა დაუფარავი აღტაცებით წარმოთქვა.

- მაშ თუ აგრეა, - უპასუხა სპარტაკმა, - რაღას ნიშნავს ეგ ცვლილება შენში, შენ ყოველთვის

იყავი ჩემი საუკეთესო მეგობარი, მიყვარდი, როგორც ღვიძლი ძმა, ყველაზე უწინ შენ განდობდი ყველა ჩემს გეგმას და უეცრად უკანასკნელ დროს მერიდები, აღარ გინდა ჩემთან ლაპარაკი, თითქოს ერთმანეთის სისხლისმსმელი მტრები ვიყოთ.

- არა, არა! ნუ იტყვი მაგას! - შეჰყვირა ენომაიმ, რომ ვეღარ შეიკავა თავისი გრძნობა, - არასდროს არ ვიყავი და არც ვიქნები შენი მტერი!

- დამიჯერე, თუ შემოგთავაზეთ ალპებს იქით გასვლა, მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი ხნის ფიქრისა და განსჯის შემდეგ დავრწმუნდი, იტალიაში ბრძოლით შეუძლებელია რომზე სრული გამარჯვება, იმ ქალაქის ძლიერების დაცემა, რომელიც ვერ დააქციეს ვერც ბრენმა[143], ვერც პიროსმა, ვერც ჰანიბალმა, ყველაზე სახელგანთქმულმა სარდლებმა, მისი დესპოტური მბრძანებლობის მოსპობა. დავიჯერო, შენ გგონია, მე გული არ მიძგერს მარტო ერთ გაფიქრებაზეც კი? ღამე ძილი არ მიკრთება? განა ეს ჩემთვის დიდება არ იქნებოდა? მაგრამ რომი იტალიაში ანთეოსს[144] ჰგავს ჰერკულესისგან დამარცხებულს, მიწაზე დაცემულს, ერთი-ორად უფრო ღონიერი რომ წამოდგება. ვთქვათ, დავამარცხეთ დიდი დანაკლისით რომის ჯარი, დავღვარეთ უამრავი სისხლი, რომი გამოგზავნის ჩვენს წინააღმდეგ რამდენიმე დღის შემდეგ სამოც-სამოცდაათიათასიან ლეგიონებს, რომლებიც

გაგვსრესენ სამუდამოდ. რომ დაემარცხებინა ანთეოსი, ჰერკულესმა იგი მიწაზე კი არ დაანარცხა, ჰაერში აიტაცა თავისი

ძლიერი ხელებით და მოახრჩო. თუ გვინდა რომზე გავიმარჯვოთ, ჩვენც უნდა აღვძრათ ერთბაშად ყველა დაჩაგრული ხალხები მის წინაამდეგ, შევესიოთ იტალიას ექვსასი, შვიდასიათასიანი ჯარით. შემოვერტყათ გარს სერვიუს ტულიუსის გალავანს და გავანადგუროთ საძირკვლამდე ის წყეული ხალხი, ის საბედისწერო ქალაქი. ეს ერთადერთი გზა არის. ყოველი სხვანაირი ომი აუცილებლად რომაელების გამარჯვებით დამთავრდება. მითრიდატე ისე დამარცხდება, როგორც დამარცხდა ჰანიბალი, რაინის ხალხი, პართიანელები და კართაგენელები, ბერძნები და იბერიელნი. მხოლოდ ყველა ხალხების საერთო კავშირს შეუძლია მიწასთან გაასწოროს ეს უზარმაზარი ბარბაროსის. ამ სიტყვებზე აღელვებულმა გერმანელმა წამოიძახა:

- ოჰ, მაპატიე, მაპატიე, სპარტაკ! შენ ადამიანი კი არა, ნახევარღმერთი ხარ!

- ღმერთი არა... მაგრამ უბედნიერესი კი მოკვდავთ შორის, რადგან დღეს შევძელი ისეთი მეგობრის დაბრუნება, როგორიც შენ ხარ! - თქვა გულაჩუყებულმა სპარტაკმა და მკლავები გაშალა. ენომაი ყელზე შემოეხვია.

- ოჰ, სპარტაკ, - ჩურჩულებდა გერმანელი, - მიყვარხარ და პატივს გცემ უწინდებურად, უფრო მეტად!

რამდენიმე წამს იყვნენ ასე ერთმანეთზე გადახვეულნი ხმაამოუღებლად.

პირველად სიჩუმე სპარტაკმა დაარღვია და აღელვებისაგან აკანკალებული ხმით ჰკითხა:

- აბა, მაშ ახლა მითხარი, რისთვის მოხვედი?

- რისთვის მოვედი? არ ვიცი, - უპასუხა ენომაიმ დარცხვენით, - ან რაღა გასახსენებელია... მაშინ მაშინვე საჩქაროდ დაატანა:

- რახან მოვედი და შენც უეჭველად გწადია კარგი რამ ჩემთვის, ამიტომ გთხოვ, დაგვინიშნო მე და ჩემს გერმანელებს ყველაზე მეტად საშიში ადგილი მომავალ ომში კონსულ ლენტულუსთან. სპარტაკმა ალერსით შეხედა თავის მეგობარს და მხიარულად უთხრა:

- შენ ისევ ის ხარ! კარგი, მოგცემ ყველაზე საშიშ ადგილს.

- მპირდები?

- გპირდები, - უთხრა სპარტაკმა და ხელი გაუწოდა ენომაის, - შენ ხომ იცი, რომ ჩემს გულში ერთნაირად არ აქვს ადგილი არც შიშსა და არც ტყუილს.

მეგობრული მუსაიფით გავიდა ორივე წინამძღოლი პრეტორიუმზე და შემდეგ გასწიეს გერმანელების სადგომისკენ. იქვე ფეხდაფეხ მიჰყვა მათ არტორიქსიც.

- სალამი შენ, ჩვენო წინამძღოლო! - უთხრა მან, როცა დაინახა სპარტაკი, - გელიუსს მოუვიდა თავისი კავალერიის რამდენიმე ნაწილი და კარსეოლისაკენ დაიძრა სალაშქროდ, ასე რომ, ჩვენ ხუთ დღეში დაგვესხმება თავს.

სპარტაკი ჩაფიქრდა. ამბავი მეტად საყურადღებო იყო. რამდენიმე წამის მოფიქრების შემდეგ თქვა:

- ხვალ ბანაკიდან ავიშლებით და ზეგ შუადღისას მივალთ კამერინუმამდე. ლენტულუსი მოვა იქ მხოლოდ ზეგ საღამოს, ან მაზეგ დილით ადრე. ჩვენ მოვასწრებთ დასვენებას და ახალი ძალით დავეცემით დაქანცულ ჯარს. მას რომ დავამარცხებთ, მაშინვე ვეცეთ გელიუსს, რომელსაც არ ასცდება ისეთივე ბედი. შემდეგ ჩვენ დაუბრკოლებლივ შეგვიძლია დავიძრათ ალპებისაკენ. რას ფიქრობ ამაზე, ენომაი?

- საუცხოო აზრია, როგორიც შეჰფერის შენისთანა სარდალს, - უპასუხა ენომაიმ, - ეჭვი არ მაქვს, რომ ორი კვირის შემდეგ ორივე კონსულს ისე დავამარცხებთ, როგორც დავამარცხეთ ორესტი და ვარინიუსი.

შემდეგ ენომაიმ მიიპატიჟა სპარტაკი თავის კარავში, სადაც მათ დიდხანს ინადიმეს გერმანელების წინამძღოლის კონტუბერნალებთან ერთად. მარტო ერთი მათგანი არ დაესწრო მეგობრულ სუფრას, - ეს იყო ევტიპიდა, რომელსაც ბევრი მიზეზი ჰქონდა სპარტაკს რომ მორიდებოდა.

როგორც კი სპარტაკი წავიდა და ენომაი მარტო დარჩა, ევტიპიდა გამოვიდა ენომაის კარვის კუთხეში მისთვის მიდგმული საკუჭნაოდან, მხრებზე ჩამოშლილი სქელი ქერა თმით, ხელები გულზე დაეკრიფა და თრაკიელზე ფიქრებით შეპყრობილი გაჩერდა იმ სკამის წინ, რომელზეც ენომაი იჯდა.

- მაშ ასე, არა? - მძულვარებითა და ზიზღით სავსე მწვანე თვალები გაუშტერა და შეჰყვირა, - სპარტაკმა ისევ დაგადგა უნაგირი, როგორც მხედარმა თავის ცხენს? ხელახლა იქცა შენი ზურგი მის უნაგირად?

- ჰა! კიდევ? - მუქარის ხმით წარმოთქვა ენომაიმ და თვალები დაუბრიალა ევტიპიდას, - როდის მოეშვები ჩემი სულის მოშხამვას მაგ საზიზღარი ცილისწამებით? როდის უნდა დაწყნარდე, შე წყეულო დედაკაცო?

- გმადლობ, გმადლობ! ვფიცავ ოლიმპოს ღმერთებს, შენ ახლა მხეცი ხარ, უგონო მხეცი და შენს ბოროტებას შხამად ანთხევ. ახია ჩემზე, რომ მე, სულელს, მიყვარხარ, მაშინ, როდესაც შეზიზღების მეტის ღირსი არ ხარ. გმადლობ, გმადლობ! ძალიან კარგად მიხდი სამაგიეროს!

- ერთი ეს ამიხსენი, შენ რომ მიყვარდე, რატომ არის ამისთვის საჭირო ადამიანებში უკეთილშობილესი და უპატიოსნესი სპარტაკის შეძულება?

- უპატიოსნესისა და უკეთილშობილესისა ადამიანებში?! - დაცინვით წარმოთქვა ევტიპიდამ, - მეც, შე უტვინო ადამიანო, მეც მოტყუებული ვიყავი მაგისი ცრუ სათნოებით; მეც ვთვლიდი სპარტაკს გმირად, თითქმის ღმერთად. მაგრამ მერე კი, ჩემდა უნებურად, უნდა დავრწმუნებულიყავი, როგორც ორჯერ ორი ოთხია, რომ

სპარტაკში არაფერი მოიპოვება, გარდა პატივმოყვარეობისა, რომ ყოველი მისი კეთილმოქმედება თვალთმაქცობაა. შენ კი მაგ შენი გამოტვინებული თავით...

- ევტიპიდა! - დაიღმუვლა ენომაიმ.

- შენ კი, შენი გამოტვინებული თავით, - შეუპოვრად განაგრძობდა ქალი და არ აშორებდა თავის კატისებურ თვალებს, - ვერაფერს ხედავ; შენ უმღერი მას ჰიმნებს, მის ფეხქვეშ გდიხარ, როგორ ვინმე საზიზღარი მონა.

- ევტიპიდა! - შეჰყვირა ძლივს თავშეკავებულმა გერმანელმა.

- მე არ მეშინია შენი მუქარისა! - ზიზღით თქვა ევტიპიდამ, - რატომ დავუჯერე შენს სიტყვებს, ხომ შემეძლო ისე მძულებოდი, როგორადაც მეზიზღები ახლა.

- ევტიპიდა! - დაუყირა მედგარი ხმით ენომაიმ, წამოხტა თავისი ადგილიდან და ეცა მუშტების მოღერებით.

- აბა, რაღას უდგეხარ, გაბედე ერთი! - თამამად შეუძახა ახალგაზრდა ქალმა და ენომაის მიუახლოვდა, - მომკალი! რაღას ელი, ღირსეულო გლადიატორო! გაჭყლიტე, გასრისე შენი უმსგავსი თათებით უღონო ქალი! ეგ სწორედ შესაფერისი იქნება შენისთანა გულადისათვის. აბა, რაღას ყოყმანობ? მარჯვედ, რაღა!

ამ ახალ შეურაცხყოფაზე ენომაიმ, გაბრუებულმა ცალკე ღვინით და ცალკე სიბრაზით, ის იყო

მოუღერა თავისი მძლავრი მკლავები შეუპოვარ ქალს, მაგრამ უცებ შეჩერდა და სულშეგუბებული ხმით უთხრა:

- მომშორდი, მომშორდი, ევტიპიდა, შენი ღმერთების გულისათვის, სანამ ჭკუა შემრჩენია!

- და მაგის მეტს ვერაფერს მეუბნები? ეგ არის პასუხი იმ ქალისათვის, რომელსაც უყვარხარ? ერთადერთისთვის, რომლისთვისაც მართლა ძვირფასი ხარ? არ მეგონა, თუ ეგრე გადამიხდიდი ჩემს ერთგულებას, ჩემი სიყვარულის, ყველა ჩემი მზრუნველობის სამაგიეროს შენი კეთილდღეობისთვის! - დაუმატა უფრო რბილად და კარავში აქეთ-იქით დაიწყო სიარული, როგორც კი დაინახა, რომ ენომაი სკამზე დაეშვა.

ევტიპიდა შეჩერდა ერთ წამს, ვითომ გულამომჯდარი, შემდეგ აკანკალებული ხმით განაგრძო:

- დიახ, მე უნდა გავჩუმებულიყავი, უნდა გალდამშვიდებულს მეცქირა, როგორ გამცირებდნენ, როგორ გითხრიდნენ სამარეს. მაგრამ განა შემეძლო? დღევანდელ ტანჯვას მაინც ხომ აღარ გამოვცდიდი, რაც სიკვდილზე უფრო მიმძიმს. მერე ამისთვის შეურაცხმყოფს და მაგდებს ის კაცი, ვინც ასე მიყვარდა, ვინც სიცოცხლეზე ძვირფასი იყო ჩემთვის... ოჰ, ეს მეტისმეტია... როგორ ვიტანჯები... რა უმძიმესი ცოდვებიც არ უნდა მქონოდა წარსულში, არ ვარ ღირსი ამ უბედურებისა. ევტიპიდა აქვითინდა.

ეს საკმარისი იყო, რომ სრულებით გამოეშტერებინა გულწრფელი გერმანელი. მისი სიბრაზე ჯერ შეიცვალა ეჭვით, მერე კი სიბრალულითა და სიყვარულით, და როდესაც თვალებზე ხელებაფარებულმ ევტიპიდამ დააპირა გასვლა, მივიდა მტირალ ქალთან და ნაზად უთხრა:

- მაპატიე, მაპატიე, ევტიპიდა. მე თვითონაც არ ვიცი, რას ვამბობდი. მაპატიე და ნუ მომშორდები...

- დამანებე თავი, ათენის მფარველი ღმერთების გულისათვის! - ამაყად, ზიზღით წამოიძახა ევტიპიდამ. თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, - დამეხსენი, მე არ შემიძლია მეტხანს დარჩენა იმასთან, ვინც ასე მასხრად აიგდო ჩემი სიყარული, მშვიდობით!

- არა, არა, არ გაგიშვებ! - თქვა ენომაიმ. სწვდა ხელებში და ნაზად მიიწევდა ევტიპიდას კარვის შუაგულისკენ. - გამიგონე, გევედრები... მაგას მე კი არა, სიბრაზე ლაპარაკობდა, რომელიც მგელმა ფენრისმა[145] მომივლინა. მაპატიე, ევტიპიდა... გეფიცები... ერთი მომისმინე, გევედრები...

- არა, არა, მშვიდობით, მე არაფრის გაგონება არ მინდა. თავი დამანებე. შენთან დარჩენა არ შემიძლია... შენ იქნება ისევ მომვარდე დასახრჩობად... არ მინდა, შენ იყო ჩემი მკვლელი.

- არასდროს, არასდროს! დავიჯერო, გგონია, რომ შემიძლია... არა, მომისმინე... მოიცა... თორემ გეფიცები წმიდა გველ მიდგარდს[146], რომ სანამ შენ ამ კარვიდან ფეხს გადასდგამ, ყელს გამოვიჭრი! ამ სიტყვებით მან ამოიძრო ქამარზე დაკიდებული ხანჯალი.

- ოჰ, არა, არა, ღმერთების გულისათვის! - შეჰყვირა ვითომცდა შეშინებულმა ევტიპიდამ და ვედრებით დაუჭირა გერმანელს ხელები, - შენი სიცოცხლე მეტად ძვირფასია ჩემთვის, - დაუმატა აღელვებული ხმით, - მე შენ ისე მიყვარხარ, გაღმერთებ, რომ...

- ევტიპიდა, ჩემო კარგო ევტიპიდა, მაპატიე ჩემი უგუნური გულის მოსვლა... მაპატიე, მაპატიე! - გულწრფელი სიყვარულით, - უთხრა ენომაიმ.

- ოჰ, ძვირფასო, ოქროს გულო! ოჰ, კეთილშობილო სულო, - წამოიძახე აჩუყებული ხმით ყმაწვილმა ქალმა და კისერზე ჩამოეკიდა მის ფერხთით მუხლმოყრილ მამაკაცს, - მეც ხომ უნდა მოგიხადო ბოდიში იმ სიტყვებისთვის, რომელიც გულმოსულმა გაკადრე. ბედნიერი ენომაი გულში იკრავდა საყვარელ ქალს და მხურვალედ უკოცნიდა სახეს.

- მე შენ ისე მიყვარხარ, - ეჩურჩულებოდა ევტიპიდა, - უშენოდ სიცოცხლეს ვერ ავიტანდი... დავივიწყოთ, რაც მოხდა...

- ოჰ, საყვარელო, კეთილო, დიდსულოვანო ევტიპიდა!

დიდხანს იყვნენ ორივენი ერთმანეთის გულში ჩაკრული ხმაამოუღებლივ. ენომაი მუხლებზე დაჩოქილიყო ევტიპიდას წინ.

- გწამს შენ ჩემი სიყვარული? - ჰკითხა ბოლოს ევტიპიდამ, როდესაც გაითავისუფლა თავი მისი მკლავებიდან.

- ოჰ, მწამს, მწამს უფრო მეტად, ვიდრე ოდინი, ვიდრე ის, რომ როცა ჩემი სული ხორცს გაეყრება, სამფეროვანი ხიდით გავიდე ნეტართა ქალაქში და დავისვენო იდრაზილის უზარმაზარი იფნის ჩრდილქვეშ.

- მაშ თუ გწამს, მითხარი, გაფიცებ დიანას ოქროს ისრებს, განა შეგიძლია, ეჭვი იქონიო თუნდაც ერთ წამსაც, რომ მე შენთვის კეთილი მსურს?

- განა მე როდესმე მქონია ასეთი ეჭვი?

- დიახაც! აგრე რომ იყოს, ცრუ მეგობარს უფრო უნდა უჯერებდე, რომელიც გატყუებს შენც და შენს ამხანაგებსაც, იმ ქალზე უფრო, რომელსაც უყვარხარ ყველაზე მეტად დედამიწის ზურგზე და ფიქრობს მხოლოდ შენს ბედნიერებასა და დიდებაზე? ენომაიმ ამოიოხრა, არაფერი უპასუხა, ფეხზეწამოდგა და დაიწყო კარავში სიარული.

ევტიპიდა ჩუმჩუმად გადახედავდა ხოლმე. იგი პატარა სკამზე იჯდა, დაყრდნობილი მაგიდაზე მარჯვენა ხელით, მარცხენათი კი ვერცხლის სამაჯურს ათამაშებდა, რომელიც გველს გამოსახავდა, რომელიც თავის საკუთარ კუდს იკვნეტდა. ბოლოს მოიხსნა სამაჯური და მაგიდაზე დადო. ასე გაიარა ორიოდე წამმა.

- განა მე არ ვცდილობ შენს დაფარვას, რომ არ გაგიტაცოს შენმა მეტად სათნო, კეთილშობილურმა გულმა? მხოლოდ გაფრთხილებ იმ ცბიერებით დახლართულ ბადეზე, რომელსაც ღალატით გიმზადებენ შენ და უბედურ გლადიატორებს. როგორ გგონია, ამას ჩემი საკუთარი სარგებლობისთვის ვაკეთებ?

- მერე ვინ გითხრა, რომ ანგარიშით იქცევი? ვის შეეძლო ამაზე ფიქრი? - შეჰყვირა ენომაიმ და გაჩერდა ქალის წინ.

- შენ! - უპასუხა მკაცრი ხმით ევტიპიდამ, - შენ.

- მე? - შეჰყვირა გაოცებულმა გერმანელმა და მკერდზე მუშტი მიირტყა.

- დიახ, შენ! ერთ-ერთი უნდა იყოს: ან მე მიყვარხარ და მსურს შენთვის კეთილი - ამ შემთხვევაში ჩემი უნდა გჯეროდეს; ან თუ შენ გჯერა სპარტაკისა - მაშინ მე ვარ მატყუარა და მუხთალი!

- არა, არა და არა! - თქვა თითქმის ცრემლებით საბრალო ენომაიმ, რომელსაც ენა ვერ უჭრიდა ლაპარაკში და ვერას გზით ვერ შეძლო თავის დახსნა ამ უწყალო გამოცანიდან.

- რის გამო უნდა გღალატობდე მე შენ, ამის გაგება ძალიან ძნელია, - განაგრძობდა ევტიპიდა.

- სათაყვანებელო ევტიპიდა, არამც თუ მაგისი გაგება, მაგაზე ფიქრიც არ მინდა. რამდენჯერ დამიმტკიცე სიყვარული და ერთგულება! მაგრამ... მაპატიე... მე ამასთან ერთად არას გზით არ შემიძლია დავიჯერო... არ მესმის სრულებით, რის გამო უნდა გვღალატობდეს ჩვენ სპარტაკი?

- რის გამო? - წამოხტა ფეხზე და გაიოცა ევტიპიდამ. მერე მივარდა ენომაისთან, რომელსაც თავი დაეხარა, თითქოს ეშინია მისი პასუხისო. - აი, გიჟი! კიდეც რომ მეკითხება.

შემდეგ გაჩერდა ერთ წამს ხმაამოუღებლივ და მრავალმნიშვნელოვანი კილოთი ჰკითხა:

- ერთი მითხარი, გულწრფელო ადამიანო, განა არ გაიმბოთ თქვენ თვითონ სპარტაკმა, უფუნდთან ბრძოლის შემდეგ, რომ კონსული ლუკულუსი მივიდა მასთან და შესთვაზა კვესტორობა ესპანეთის ჯარში, ან პრეფექტობა აფრიკაში, რომ დასთანხმებოდა და თქვენთვის ეღალატა?

- დიახ, გვიამბო. მაგრამ შენ თვითონ იცი, რა პასუხიც მისცა კონსულს მაგ წინადადებაზე.

- მერე იცი, საცოდავო სულელო, რატომ მისცაასეთი პასუხი? იმიტომ, რომ მისგან შემოთავაზებული ჯილდო ვერ იყო იმდენი, რასაც სპარტაკისგან თხოულობდნენ. ენომაიმ ხელახლა დაიწყო სიარული კარავში თავჩაღუნულმა და გაჩუმებულმა.

- იმიტომ, რომ მისთვის ცოტაა კვესტორობა და პრეფექტის ხარისხი. ენომაი ჩუმად იყო.

- ახლა ხელახლა მიმართეს მას ასეთივე ერთიორად და ერთისამად უფრო სასარგებლო წინადადებით და იმან კი არაფერი გითხრათ.

- შენ რა იცი? - გაჩერდა ევტიპიდას წინ და გაკვირვებით ჰკითხა ენომაიმ.

- როგორ გგონია, რუტილიუსი, აპულიელ გლეხად გადაცმული, რატომ გაემგზავრა რომში? შენა გგონია, მარტო კატილინასთან მიდიოდა, რომ შეეთავაზებინა მისთვის გლადიატორების წინამძღოლობა?

- ჩვენ ხომ თვითონ...

- ვიცი, რაც ჩაგაგონათ მაგ ეშმაკმა კაცმა. მაგრამ მე კი მაშინვე მივხვდი, რომ ის კონსულებთან ხელახლა მოსალაპარაკებლად მიდიოდა. ენომაიმ ისევ დაიწყო სიარული კარავში.

- ეგრე თუ არ არის, მაშ რისთვის გაგზავნა რუტილიუსი, სწორედ რუტილიუსი, ჩამომავლობით ლათინი და თავისუფალი კაცი და არა სხვა ვინმე? - ენომაი ხმას არ იღებდა.

- რუტილიუსის ასეთი უცნაური სიკვდილის შემდეგ რატომ არაფერი გითხრათ თქვენ, ისეთივე წინამძღოლებს, როგორიც თვითონ არის, და გაგზავნა რომში თავისი საყვარელი არტორიქსი, მასხარას ტანისამოსში გადაცმული? რაღა უთუოდ არტორიქსი, თავისი დის, მირცას საყვარელი?

ერთი წამის სიჩუმის შემდეგ ევტიპიდამ ერთიორად მომატებული ენერგიით განაგრძო:

- რაღა არტორიქსის დაბრუნების შემდეგ დაგიწყოთ ჩაციება, რომ უეჭველად გადაგეწყვიტათ იტალიის მიტოვება და ალპების იქით: თრაკიაში, გალიაში, ილირიაში, გერმანიაში გასვლა?

ენომაი გაჩერდა ევტიპიდას წინ და გაუშტერა თვალი ერთ პალოს, რომლითაც კარგავი იყო გამაგრებული მიწაზე, მარჯვენა ხელის ფრჩხილებს იჭამდა, მარცხენით კი უნებურად დოინჯი შემოეყარა.

განა ეს ჭკვიანურია? პატიოსანი, სამართლიანი საქციელია? - განაგრძობდა შეუბრალებელი ევტიპიდა. - რომმა, ესპანეთში სერტორიუსისაგან აზიაში მითრიდატესაგან დამარცხებულმა,

აღარ იცის, საიდან იშოვოს ახალი ლეგიონები, რომ გაგზავნოს იმათზე. მისთვის ამ გაჭირვებულ დროს ჩვენ ვდგევართ თითქმის მისი კედლის ძირას სამოცდაათი ათასი ძლევამოსილი ,გამოცდილი ჯარისკაცით და იმის მაგივრად, რომ დავეცეთ უპატრონო ქალაქს, ჩვენ გავრბივართ მისგან, თითქო დამარცხების შემდეგ! განა ეს ჭკუასთან ახლოა? ენომაი ჯერ ისევ ჩუმად იყო, მხოლოდ დროგამოშვებით დაიწყო თავის ქნევა.

- ლენტულუსი, გელიუსი, ორი ლაშქარი! ეს სულ მოგონილია მაგის სამარცხვინო გაქცევის გასამართლებლად და მოტყეებული ხალხის თვალში თავისი ღალატის დასაფარავად. გელიუსი, ლენტულუსი! მერე ვინ ნახა ისინი? რაღა თვითონ წავიდა დღეს გზის დასაზვერად? ეს რამდენიმე დღეა მას აქეთ, რისთვის გაგზავნა მან მეორე, გამოგონილი კონსულის ჯარის დასათვალიერებლად ისევ ის არტორიქსი? რაღა უთუოდ არტორიქსი? რატომ სხვა რომელიმე არ გაგზავნა?

- შენ მართალი ხარ, დიახ, მართალი! - თქვა ენომაიმ.

- ო, ვფიცავ ოლიმპოს ღმერთებს! - შესძახა გააფთრებით ევტიპიდამ, - გამოფხიზლდი საღათას ძილისაგან, ღვთის გულისათვის, გაახილე თვალები. საშინელ უფსკრულში გადაგჩეხეს და

უნდათ შენი დაღუპვა. აი, სადამდე მიგიყვანა შენმა ერთგულმა მეგობარმა. და თუ კიდევ გესაჭიროება საბუთები მისი ღალატის დასამტკიცებლად და გინდა იცოდე ამის მიზეზებიც, გახსოვდეს, რომ მას გაგიჟებით უყვარს რომაელი პატრიცის ქალი ვალერია მესალა, სულას ქვრივი, და იმის გულისათვის ყველას მიგვყიდის რომის სენატს, რომ ღალატის საფასურად თავისი საყვარელი პატრიცის ქალი შეირთოს ცოლად და მოიპოვოს სიმდიდრე, სახელი და დიდება...

- დამაცა! ეგ სიმართლეა! სიმართლე! - შეჰყვირა ენომაიმ, თავზარდაცემულმა ამ უკანასკნელი საბუთით და საბედისწეროდ გაბმულმა ცილისწამების ხლართებში. ყველაფერი ეს ერთად მას უმტკიცებდა თრაკიელის ღალატს. - ო, სპარტაკ! წყეულო მოღალატევ! დაე ნიფლჰაიმის უფსკრულში[147] ფლეთდეს შენს სხეულს საზიზღარი ქოფაკი მანიგარმორი[148].

გერმანელის წყევლაზე ევტიპიდას ბოროტი, მხეცური ცეცხლით აენთო თვალები, მივიდა ენომაისთან და საჩქაროდ, სუნთქვაშეკრულმა წასჩურჩულა:

- მაშ, რაღას უცდი? ან იქნებ გინდა, რომ შენ და შენი ერთგული გერმანელები მუხთლობით შეგიტყუონ რომელსამე მთის ვიწროებში, სადაც იძულებულნი გახდებით, სამარცხვინოდ დაჰყაროთ იარაღი, რომ შემდეგ წილად გერგოთ ცირკში ნადირებისგან გაგლეჯა?

- არა, ვფიცავ ტორის ელვას! - დაჰკრა მუშტი მაგიდას ენომაიმ. აიღო კარვის კუთხეში მიმალული უზარმაზარი ჯავშანი და აისხა, დაიხურა მუზარადი, შემოირტყა ხმალი, წამოიცვა მკლავზე ფარი და იყვირა: - არა, მე არ დავნებდები საკლავად ჩემი მამაცი ლეგიონებით! არა... დღესვე, ამ საათშივე გავალ მოღალატეს ბანაკიდან...

- და შენს გერმანელებს გამოჰყვებიან გალებიც, ილირიელებიცა და სამნიტებიც. იმას დარჩება მარტო თრაკიელები და ბერძნები. შენ იქნები წინამძღოლი და შენ, ერთადერთს, დაგრჩება სახელი რომის გარსშემორტყმისა და აღებისა... წადი... წადი!.. გაიყვანე ჩუმად შენი ლეგიონები და აგრეთვე გალებიც და გავიდეთ ბანაკიდან ამაღამვე... ხომ იცი, შენ ხარ ჩემი საღმერთებელი და მინდა შენი სახელი დიდებით იყოს მოსილი ყველა დიდ ადამიანთა შორის!

ასე ეუბნებოდა ევტიპიდა ენომაის და თან ჯავშნის ჩაცმაში შველოდა. როდესაც გერმანელი სრულებით მზად იყო, ევტიპიდაც შეიარაღდა და უთხრა გამოთხოვებისას:

- წადი შენებთან და მე ვუბრძანებ, ცხენები შეკაზმონ.

რამდენიმე წამის შემდეგ დაჰკრეს საყვირები გერმანელების ლეგიონებმა და სულ არ გაუვლია ნახევარ საათს, რომ ათი ათასი გერმანელი მზად იყო საომრად გასასვლელად.

გერმანელთა ლეგიონის ნაწილი განლაგებული იყო მარჯვენა გვერდით ალაყაფთან. როცა მივიდა ალაყაფის კართან, ენომაიმ ნიშანი მისცა დარაჯებს და უბრძანა თავის ლეგიონს, უდრტვინველად გასულიყო ბანაკიდან.

მაგრამ საყვირის ხმამ გააღვიძა გალებიც, იქვე გერმანელების გვერდით დაბანაკებულნი, ისინიც გამოცვივდნენ კარვებიდან და დაიწყეს მზადება, რადგან ეგონათ, რომაელები დაგვესხენო. ამგვარად, მთელ ბანაკში შეიქნა არეულობა, რაც დისციპლინიან ჯარშიც მოსალოდნელია მტრის მოულოდნელად გამოჩენისას.

ერთი პირველთაგანი თვითონ სპარტაკი გამოვარდა კარვიდან და როცა დაინახა გაქცეული ჯარისკაცი, ჰკითხა, რა ამბავიაო.

- მგონია, რომაელები არიან! - უპასუხა იმან.

- როგორ? საიდან? რანაირად? - ჰკითხა განცვიფრებულმა სპარტაკმა.

მაგრამ მაშინვე შევარდა კარავში და რადგან იცოდა, რომ ომში ყველაფერი შესაძლებელი იყო - შეიძლებოდა, რომელიმე გზით ერთ-ერთი კონსული მოსულიყო ასკულუმიდან, საჩქაროდ შეიარაღდა და გასწია შუა ბანაკისკენ.

იქ შეიტყო, რომ ენომაის გაჰყავდა თავისი გერმანელები და დანარჩენი ლეგიონებიც ემზადებოდნენ, მიჰყოლოდნენ მის მაგალითს, რადგან ეგონათ, რომ გასვლის ბრძანება მიცემულია თვით სპარტაკისგან.

- ეს რას უნდა ნიშნავდეს? - იკითხა თრაკიელმა, - დავიჯერო?.. ეჰ, არა, - გაწყვიტა სიტყვა თვითონვე, - შეუძლებელია!

სპარტაკი გაეშურა ჩქარი ნაბიჯით უმთავრესი ალაყაფისკენ... მეორე ლეგიონის უკანასკნელი წყებები უკვე გადიოდნენ, როდესაც სპარტაკი გაძვრა მათში, გაირბინა ოთხასი-ხუთასი ნაბიჯი და ავიდა თხრილზე. აქ, თავისი კონტურბერნალებით შემოხვეული, იდგა ენომაი და ადევნებდა თვალს ჯარის გასვლას. სპარტაკი გაექანა მისკენ.

მაგრამ სპარტაკზე უფრო ადრე მიიჭრა იქ მეორე კაცი, რომელიც ხმაზე იცნო - კრიკსი. სპარტაკმა გაიგონა, სირბილისაგან სუნთქვაშეკრული კრიკსი როგორ ეუბნებოდა:

- ენომაი, რას შვრები? რა მოხდა? რატომ წამოყარე მთელი ბანაკი? სად მიდიხარ?

- მე მივდივარ მოღალატის ბანაკიდან, - უპასუხა მაღალი ხმით და აუჩქარებელი სიმშვიდით

გერმანელმა. - და თუ შენ არ გინდა ღალატით ჩაუვარდე მტრებს ხელში შენი ლეგიონებით, გამომყევი, ერთად წავიდეთ რომზე!

კრიკსი ის იყო, უპირებდა პასუხის მიცემას, რომ იმ წამს მისულმა სპარტაკმა გააწვეტინა სიტყვა:

- რა ღალატზე ლაპარაკობ, ენომაი, ვისზე ამბობ? - ჰკითხა მან.

- შენზე ვამბობ, - უპასუხა ენომაიმ, - ჩვენ აღვუდექით რომს და მე მინდა რომის დალაშქვრა. მე არ მსურს ჩემი გერმანელების გაყვანა ალპებს იქით, რომ, რასაკვირველია, უბედური შემთხვევით, ჩავცვივდეთ რომელიმე ვიწრო ხეობაში, სადაც ლუკმა-ლუკმად აგვკუწავენ რომაელები.

- ვფიცავ მეხდამცემ იუპიტერს, - შეჰყვირა სიბრაზისგან გადარეულმა სპარტაკმა, - რომ თუ ხუმრობ, ძვირად დაგიჯდება ეგ ხუმრობა!

- მე არ ვხუმრობ. ვფიცავ ფრეის, ღმერთების დედას, რომ ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ.

- მაშ შენ მეძახი მოღალატეს? - ჰკითხა სიბრაზისგან სუნთქვაშეკრულმა სპარტაკმა.

- არათუ გეძახი, ვაცხადებ კიდევაც მთელი ჯარის წინაშე!

- ტყუი, შე საზიზღარო ლოთო! - დაუყვირა სპარტაკმა მედგარი ხმით, ამოიღო ქარქაშიდან თავისი მძლავრი მახვილი და ეცა ენომაის.

ენომაიმაც შემოჰკრა ქუსლი ცხენს და გაექანა სპარტაკისკენ ამოღებული მახვილით, მაგრამ მას მაშინვე შემოეხვივნენ თავისი კონტუბერნალები იმავე დროს, როდესაც კრიკსი სწვდა მისი ცხენის აღვირს და დაუყვირა:

- ენომაი, თუ მართლა არ გაგიჟებულხარ, რასაც შენი საქციელით ამტკიცებ, მაშ შენ თვითონ ყოფილხარ მოღალატე, მოსყიდული რომაელების ოქროთი...

- კრიკს! - შეჰყვირა სიბრაზით აცახცახებულმა ენომაიმ.

- დიახ, ვფიცავ ცისა და ჯოჯოხეთის ღმერთებს, რომ მარტო რომაელებისაგან მოსყიდული მოიქცევა ისე, როგორც შენ...

ამ დროს სპარტაკმა გაარღვია გარსშემორტყმული ჯარის უფროსები - არტორიქსი, ბარტორიქსი,

თესალონიუსი და ოცი სხვანი. გააფთრებისგან ძალამოცემულმა ჩამოაშორა ყველანი, მივიდა ენომაისთან და დამშვიდებულმა ჩააგო ქარქაშში მახვილი. რამდენიმე წამს ჩუმად შესცქეროდა ენომაის სახეში, ზიზღით ანთებულ თვალებში ახლა ცრემლი უბრწყინავდა და ბოლოს ართოლებული ხმით უთხრა:

- შენი პირით ჯოჯოხეთის რომელიღაც ავი სული ლაპარაკობს. დიახ, ეს უეჭველია... ენომაი - ჩემი მეგობარი, ჩემთან ერთად სახიფათო გზაზე გამოვლილი რომიდან კაპუამდე, ამ ამბოხების სიხარულისა და მწუხარების მეგობარი, ასე ვერ ილაპარაკებდა. არ ვიცი... არა გამეგება რა... აქ რაღაც წყეული შუღლია, უეჭველია რომიდან გამოსული. მაგრამ არ მესმის, როგორ შემოიჭრა ჩვენს ბანაკში... თუმცა ეგ არ არის უმთავრესი. რომელიმე სხვას და არა შენ, ძმასავით საყვარელს, რომ ეთქვა, რაც ამ წუთში წარმოსთქვი, ახლა მკვდარი იქნებოდა... შენთვის კი მიპატიებია. შეგიძლია, წახვიდე. აიღეხელი შენი ძმების საქმეზე და შენს დროშებზე. მე კიაქ, შენი ლეგიონებისა და მთელი ჯარის წინაშე ვფიცავ მამაჩემის საფლავს, დედაჩემის სულს, ჩემს დას, ყველაფერს, რაც წმიდაა ჩემთვის დედამიწის ზურგზე, რომ არამც თუ დამნაშავე არ ვარ ყველა იმ სისაძაგლეში, რომელსაც შენ მაბრალებ, არც კი მესმის, რაზე ლაპარაკობ. მე რომ მცირედი დანაშაული მიმიძღვოდეს, თუგინდ გონებაში მეღალატოს ჩემი მოვალეობისთვის, როგორც ძმასა და წინამძღოლს, იუპიტერმა გამანადგუროს, სამარცხვინო, ჩირქმოცხებული გადავიდეს ჩემი სახელი შთამომავლობიდან შთამომავლობაზე, წყეულიმც იყოს ძმის

მკვლელის - თიესტის, შვილების მკვლელის - მედეას და საზიზღარი დოლონის[149] სახელებთან ერთად.

მაღალი და მტკიცე ხმით წარმოთქმულმა ამ ფიცმა რომელშიც ისმოდა ღრმა გულწრფელობა და სიმართლე, დიდი შთაბეჭდილება იქონია ყველა იქ მყოფზე და თითქმის თვით ცრუმორწმუნე ენომაიზეც.

მაგრამ იმ წამს მესამე ლეგიონის საყვირის მოულოდნელი ხმა გაისმა მთავარი კარვების შორიახლოს და ყველა იქ მყოფმა იმ მხრისაკენ მიიხედა.

- ეს რა ამბავია? - იკითხა ბარტორიქსმა.

- ეს რას ნიშნავს? - წამოიძახა თავზარდაცემულმა არტორიქსმა.

- ღმერთებო! - შეჰყვირა გაფითრებულმა სპარტაკმა, - ნუთუ გალებიც მიდიან? ყველა

გაექანა კარისკენ.

მაშინ ევტიპიდამ, რომელიც მთელი ეს დრო იჯდა ზუჩჩამოფარებული, თავის კოხტა ცხენზე,

ახოვან გერმანელს ამოფარებული, ხელი ენომაის ცხენის აღვირს ხელი მოჰკიდა და ორივემ გააქროლა ცხენები უკვე საკმარისად გზაგავლილი გერმანელების ლეგიონების დასაწევად. ბერძენ ქალს და გერმანელს გაჰყვნენ ენომაის დანარჩენი კონტუბერნალებიც.

როდესაც სპარტაკი და კრიკსი მიიჭრნენ გვერდით კარავთან, დაინახეს გერმანელების უკან ჩამორჩენილი ოცდაათი მხედარი. ისინი მიაჭენებდნენ ცხენებს, რათა დასწეოდნენ თავიანთ თანამემამულეებს და დაინახეს თუ არა მათ პირისპირ მომავალი სპარტაკი და კრიკსი, შეჰყვირეს აღშფოთებით:

- აი, სპარტაკი!

- აი, მოღალატე!

- მოვკლათ! მოიმარჯვეს მშვილდ-ისრები და დააყარეს მათ სეტყვასავით.

- აჰა, თქვენ, მოღალატეებო, კრიკს და სპარტაკ! - იყვირა ათისთავმა.

სპარტაკმა დაკრიკსმა ძლივს მოასწრეს სახეზე ფარების მიფარება, რომლებშიაც რამდენიმე ისარი შეერჭო ორივეს. კრიკსი გადაეშვა წინ, რომ მოფარებოდა თავის მეგობარს და თან დაუყვირა:

- ჩვენს წმიდა საქმეს გაფიცებ, თავს უშველე!

სპარტაკი უცებ გადახტა გარსშემორტყმულ განიერ თხრილზე და მინდორზე გაიქცა ბანაკისკენ. კრიკსსაც ერთი წამიც არ დაუყოვნებია, მიჰყვა სპარტაკის მაგალითს და ასე უშველეს თავს. მათ კი გააბრუნეს ცხენები და გააქროლეს თავისი ლეგიონების დასაწევად.

- წყეულიმც იყავით, დეზერტირებო! - წამოიძახა კრიკსმა.

- დაე, კონსულმა გელიუსმა აგკუწოთ ლუკმა-ლუკმა! - დაუმატა გაშმაგებულმა სპარტაკმა.

ორივე წინამძღოლი ხელახლა გაეშურა ბანაკის კარისკენ, სადაც არტორიქსი და ბარტორიქსი დიდის წყრომით, თხოვნითა და მუქარით აჩერებდნენ გერმანელებთან მიმავალ მესამე ლეგიონს; მაგრამ კრიკსის მისვლამ დააწყნარა გალები. ის დაელაპარაკა მათ მშობლიურ ენაზე, უწოდებდა მოღალატეებსა და მეამბოხეებს და ემუქრებოდა, რომ ხვალვე გამოვაჩენ ამ

სამარცხვინო ამბოხების დამნაშავეთ და ვუბრძანებ ჯვარს აცვან ისინი შუა ბანაკშიო. გალები დაწყნარდნენ, როგორც ბატკნები, და მორჩილებით გაბრუნდნენ უკან თავისი საყვარელი და პატივცემული წინამძღოლის ბრძანებით.

მაგრამ უკანასკნელ სიტყვებზე გულადი გალი უეცრად გაფითრდა, მედგარი ხმა ჩაუწყდა და ის იყო, ამბოხებული ლეგიონების პირველმა მწკრივებმა უკან დაიხიეს, წაბარბაცდა და უეცრად მიწაზე დაეცემოდა, სპარტაკი რომ არ მიშველებოდა.

- ოჰ, ღმერთებო! - შეჰყვირა მწარედ სპარტაკმა, - შენ დაგჭრეს, როდესაც მე გადამეფარე!

კრიკსი მართლაც ორგან იყო დაჭრილი - ბარძაყში და მარჯვენა ფერდში და სისხლის დენისგან გული შეუწუხდა.

მაშინვე გადაიყვანეს თავის კარავში. თუმცა ბევრი სისხლი დაკარგა, მაგრამ ექიმმა გასინჯა და შეშინებულ სპარტაკს უთხრა, რომ ჭრილობა საშიში არ იყო.

მთელი ღამე თავთან ეჯდა სპარტაკი თავის მეგობარს, ჩანთქმული მწარე ფიქრებში. მას ერთნაირად უკლავდა გულს ენომაის გაუგებარი ღალატი და იმ ათი ათასი გერმანელის ბედი, რომლებიც მას გაჰყვნენ.

როგორც კი ირიჟრაჟა, სპარტაკმა უბრძანა აშლილიყვნენ ბანაკიდან და დაიძრა კამერინუმისაკენ, სადაც თავისი გეგმით შუაღამისას მიაღწია.

კონსული ლენტულუსი კი თავისი ოცდათექვსმეტიათასიანი ჯარით ერთი დღით გვიან მივიდა.

კონსული თუმცა ძალიან მცოდნე არ იყო სამხედრო საქმისა, მაგრამ, სამაგიეროდ, როგორც ჩამომავლობით პატრიცი, გამოირჩეოდა ნამდვილი რომაელის სიამაყით. მას ერთ წამსაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ რომაელთა ოთხი ლეგიონი, რაც შეადგენდა თითქმის ოცდაოთხი ათას კაცს, თორმეტი ათას თანამომხრეებთანერთად, სულ ოთხი საათის შემდეგ გაანადგურებდა საზიზღარი მონებისა და გლადიატორების თუნდ სამოცდაათი ათას ცუდად შეიარაღებულ ბრბოს, რომელსაც არ ესმოდა არც დისციპლინის და არც პატიოსანი სახელის.

ამიტომ, როდესაც დაბანაკდა ერთი დაღმართიანი გორაკის ფერდობზე, მან წარმოთქვა თავისი ჯარის წინ ამაყი სიტყვა, რომელსაც უნდა აღეძრა მათი პატრიოტობა, და მეორე დღეს თამამად გასწია გლადიატორებისკენ.

სპარტაკმა შესანიშნავად გამოიყენა მტრების არეულობა, ხან ერთგან ჩაერეოდა გაცხარებულ

ბრძოლაში, ხან მეორეგან. მისი სიმამაცით გამხნევებულმა გლადიატორებმა ისეთი სისწრაფით დაჰკრეს რომაელების შუაგულ ჯარს, რომ მათი რიგები დაიშალა და გაიქცნენ თავიანთ ბანაკში. მაგრამ გლადიატორები გამოეკიდნენ ფეხდაფეხ და დაიპყრეს ბანაკი, ბარგი და დროშები.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ დიდი სიხარული გამოიწვია, რომლის მნიშვნელობა უფრო იმითი ძლიერდებოდა, რომ მან დასძლია სახელმწიფოში ორ უმთავრეს პირთაგან ერთი, მაგრამ სპარტაკს მაინც არ შორდებოდა თავიდან გერმანელების ორ ლეგიონზე დარდი. კონსული გელიუსი სულ მცირეოდენ მანძილზე იყო მათგან და ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ გელიუსს არ გაეგო მათი განცალკევება და არ მოენდომებინა, ესარგებლა ამ შემთხვევით, რათა ადვილად გაემარჯვა მათზე.

ამიტომ კამერინუმთან ბრძოლის მეორე დღესვე დილით ადრე გააბრუნა სპარტაკმა უკან თავისი ჯარი ასკულუმისაკენ და ჩვეულებისამებრ წინ გაგზავნა კარგა შორს ცხენოსანთა რაზმი, რომ დროზე მოეკრიბათ საჭირო ცნობები მოწინააღმდეგეების შესახებ.

ასკულუმთან რომ დაისვენეს, სპარტაკი და მისი ჯარი დაიძრნენ ტრებულისკენ, სადაც მიიჭრა მათთან მამილიუსი, მთელი მისი ცხენოსანი რაზმის უფროსი და შეატყობინა, რომ ენომაი დაბანაკებულიყო მთაზე, ნურციის სიახლოვეს, და კონსული გელიუსი, რომელმაც შეიტყო,

რომ გერმანელების ლეგიონები, ათი ათასი კაცით, შინაური უთანხმოების მიზეზით გამოეცალა სპარტაკს, აჩქარებული მიდიოდა გერმანელებზე, რომ ლუკმა-ლუკმად აეკუწა ისინი.

სპარტაკმა მხოლოდ ექვსი საათით შეასვენა თავისი ლეგიონები და შუაღამისას აიშალა ტრებულის ბანაკიდან და მოკლე გზით აპენინის ციცაბო კლდეებზე წაიყვანა თავისი ჯარი ნურციისაკენ.

მაგრამ სანამ სპარტაკი აპენინის მთებს გააღწევდა, კონსული გელიუს პუბლიკოლა უკვე მივიდა ნურციაში შეღამისას ოცდარვა ათასი კაცით და მეორე დღესვე, რიჟრაჟისას სასწრაფოდ დაეცა ენომაის, რომელმაც წინდაუხედავად მიიღო ეს ომი ასეთ უთანასწორო მდგომარეობაში.

საზარელი იყო სისხლისღვრა. ორი საათის განმავლობაში გერმანელები, თავისი წინამძღოლის მაგალითით გამხნევებულნი, სამაგალითო სიმამაცით უმაგრდებოდნენ ერთისამად უძლიერესი მტრის მოწოლას. მაშინ პუბლიკოლამ გაგზავნა ერთი ლეგიონი უკნიდან და რომ უფრო მაგრად შემორტყმოდნენ გარს, გლადიატორებს უბრძანა, შუაგულში მებრძოლ კოჰორტებს ცოტათი უკან დაეხიათ. ამ მოძრაობამ ცოტა დარჩა, რომაელების დამარცხება არ გამოიწვია, იმიტომ რომ გერმანელებს ეგონათ, მართლა უკან იხევს მტერიო და ისეთი ძალით დაჰკრეს, რომ ისინი, იძულებული გახდნენ, მართლა დაეხიათ უკან. გელიუსის ჯარებში საშინელი არეულობა დაიწყო.

მაგრამ იმავე წამს რომაელების ქვეითი ჯარი დაეცა გლადიატორებს ორი მხრიდან და რომაელების მესამე ლეგიონი, რომელსაც წინ მიუძღოდნენ მეშურდულეები, გამოჩნდა მათ უკან. როცა დაინახეს გერმანელებმა, რომ ხსნა აღარსაით იყო, გადაწყვიტეს ყველა დახოცილიყო ისე, როგორც ეკუთვნის მეომრებს, და სამი საათის განმავლობაში გამძვინვარებული ბრძოლის შემდეგ მთლად ამოწყდნენ, თუმცა კი ცოტა ზარალი არ მისცეს რომაელებსაც.

ერთი უკანასკნელთაგანი დაეცა ენომაი, რომელმაც მოკლა საკუთარი ხელით ერთი სამხედრო ტრიბუნი, ერთი ცენტურიონი და მრავალი უბრალო მეომარი. მკვდრების ხროვით გარსშემოხვეული, ის იბრძოდა მრავალი ჭრილობის მიუხედავად. ბოლოს ზურგში რამდენჯერმე ჩაკრული მახვილით დაეცა ენომაი, საშინელი ღრიალით ევტიპიდას გვერდით, რომელიც დიდი ხანია, რაც მიწაზე იწვა.

ასე დამთავრდა ეს ბრძოლა, რომელშიც გელიუსმა გაანადგურა ათი ათასი გერმანელი ისე, რომ ერთიც არ გადარჩენილა ცოცხალი.

მაგრამ ჯერ არ დამთავრებულიყო ეს ომი, ანუ ხოცვა-ჟლეტა, რომ საყვირის გამჭვალავმა ხმამ აცნობა გამარჯვებულებს ახალი მტრის მოახლოება.

ეს იყო სპარტაკი. გაჭირვებაგამოვლილი მისი ლეგიონები ის იყო მოვიდნენ ბრძოლის ველზე, არ დაუსვენია არც ერთ წამს და ამზადებდა საომრად; წყებებს წინ უვლიდა და ამხნევებდა ჯარს, რომ ამოწყვეტილი ძმების სამაგიერო გადაეხადათ მტრისთვის და რისხვად დაატყდნენ კონსულ გელიუსის ლეგიონებს, რომელთა შორისაც არეულობა სუფევდა.

კონსულ გელიუსსაც არ დაუკარგავს დრო, გააწყო თავისი ლეგიონები და შეცვალა ფრონტი, რომ დახვედროდა ახალ მტერს. ბრძოლა გაცხარდა ახალი ძალით.

სპარტაკის მოსვლამ რომაელები სხვა მხარეს გადაიყვანა, ამიტომ დახოცილი გერმანელებით მოდებული მინდორი სრულებით დაცარიელდა.

ადამიანთა გვამების საზარელ ხროვაში დროგამოშვებით ისმოდა მხოლოდ კვნესა და ყვირილი დაჭრილებისა და მომაკვდავების. მათ შორის იტანჯებოდა ენომაიც, თავისი საკუთარი სისხლის გუბეში მცურავი. მაგრამ სიკვდილის მოახლოებასაც ვერ შეეჩერებინა მისი გულის ძგერა და უკანასკნელი ფეთქვის დროსაც ჯერ კიდევ საყვარელი ქალის სახელს იმეორებდა. ევტიპიდასაც ესმოდა ეს ძახილი.

გელიუსის თავდასხმა ისეთი მოულოდნელი იყო, რომ ევტიპიდამ ვერ მოასწრო ვერც რომაელებთან გაქცევა და ვერც ბრძოლის ადგილიდან წასვლა. რაკი ამნაირად იძულებული გახდა მიეღო მონაწილეობა ბრძოლაში, მან გადაწყვიტა, პირველსავე ჭრილობაზე დაცემულიყო მიწაზე, ვითომ მოკლეს. სწორედ ასე იწვა ევტიპიდა დახოცილების ხროვაში ბრძოლის დამთავრებამდე. ახლა კი ნელა წამოდგა, მოახია მის გვერდით მწოლ კონტუბერნალის ტუნიკას პატარა ნაჭერი და დაიწყო მარცხენა ხელის ჭრილობის შეხვევა, საიდანაც სისხლი სდიოდა. მისი ფარი მთლად ნამსხვრევებად იყო ქცეული.

- ოჰ, ევტიპიდა, სათაყვანებელო ევტიპიდა! - ბუტბუტებდა მომაკვდავი, გაფითრებული ენომაი მილეული ხმით, - შენ ცოცხალი ხარ! ცოცხალი? ოჰ, რა ბედნიერი ვარ! ევტიპიდა... მწყურია... მწყურია... გულ-გვამი მეწვის... მთლად... ერთი წვეთი წყალი... უკანასკნელად მაკოცე!

ფერმკრთალი სახე ევტიპიდას ზიზღისგან და ბოროტებისგან დაღმეჭოდა. მის გარშემო თვალუწვდენელი მინდორი ადამიანთა გვამებით იყო მოფენილი. კურტიზანი ქალის მწვანე თვალები ამ სანახაობას მხეცური კმაყოფილებით შესცქეროდა. იგი არანაირ ყურადღებას არ აქცევდა მომაკვდავის სიტყვებს. საშინელი სანახაობით დამტკბარმა გულგრილად მიაბრუნა თავი იმ მხარეს, სადაც ენომაი იწვა.

ბინდდაკრული თვალებით დაინახა მომაკვდავმა ევტიპიდა, საკუთარ და მის გვერდით მწოლის სისხლში მოსვრილი, და შეშინებულმა გაიფიქრა, რომ ისიც

სულთმობრძავი იყო, მაგრამ მისი თვალების ელვარებასა და მოძრაობაზე, - ფეხს რომ ჰკრავდა მიწაზე მოფენილ მკვდრებს, - მიხვდა, მისი ჭრილობა ძალზე უმნიშვნელო იყო. საშინელმა ეჭვმა გაუელვა თავში, მაგრამ მაშინვე გადაიგდო გულიდან და ძლივს წაიჩურჩულა:

- ოჰ, ევტიპიდა, მაკოცე... უკანასკნელად!

- სწორედ შენთვისა მცალია ახლა! - თქვა ბერძენმა ქალმა. წამოდგა და თან ისეთნაირად შეხედა მომაკვდავს, რომ ის ყველაფერს მიუხვდა.

- ოჰ, შე შეჩვენებულო! - დაიბღავლა ენომაიმ და რაც კი ძალა და ღონე შერჩა მოიკრიბა, რომ ცოტათი წამომდგარიყო. მოღალატევ! ახლა ყველაფერი მესმის. სპარტაკი არაფერში არ იყო დამნაშავე, შენ სულ ტყუოდი... წყეული იყავ! იყ...ავ... წყ... - და გადაიქცა.

ევტიპიდას ყურადღება არ მიუქცევია გერმანელისთვის, მრისხანედ და ზიზღით შეხედა, გადადგა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ რა ნახა სულს ლევდა, გაიშვირა სისხლიანი პატარა ხელი და დაიყვირა:

- ჯოჯოხეთშიც გქონია გზა! ხომ ვეღირსე შენს სასიკვდილო კლაკვნას. დიდი ღმერთები ასევე მაღირსებენ წყეული სპარტაკის ტანჯვით სიკვდილსაც! - და გაეშურა იმ ადგილისკენ, საიდანაც მოისმოდა ბრძოლის ღრიანცელი.

19. ბრძოლა მუტინთან. არეულობა. მარკუს კრასუსი

გელიუსის დამარცხება უეჭველი იყო. დახოცილებს შორის მიმავალი ევტიპიდა შორიდანვე ხედავდა, რა სუსტად იგერიებდნენ რომაელები გლადიატორთა ლეგიონების მოწოლას. ამასთან შენიშნა, რომ სპარტაკი თანდათან უფრო შლიდა თავის ფრონტს, ცხადი იყო, იმ აზრით, რომ კონსულის ჯარს ორივე მხრიდან შემორტყმოდა.

იმ დროს, როდესაც ევტიპიდა სიბრაზით შეჰყურებდა შორიახლო ბრძოლას, წინ გაურბინა თეთრმა ცხენმა ცისფერი საოფლით და მშვენიერი აღვირით. შიშისაგან გადარეული, ყურებდაკაწრული მინდორზე მიჰქრიდა. ხან აქეთ მიაწყდებოდა დახოცილებს და ხან იქით, უკან იხევდა, ახტებოდა, მაგრამ მაინც უნებურად ფლოქვებს ადგამდა მკვდრებს.

ევტიპიდამ იცნო ცხენი: ის ეკუთვნოდა უცილიანს, ენომაის ერთ კონტუბერნალთაგანს, ბრძოლის დაწყებისთანავე მის თვალწინ რომ მოკლეს. ქალმა მაშინვე მოისაზრა, რომ შეეძლო ამით ესარგებლა თავისი ბოროტი განზრახვისათვის.

ევტიპიდა ფრთხილად გაეშურა იმ ადგილისკენ, სადაც შეშინებული ცხენი აქეთ-იქით აწყდებოდა, თითებს უტკაცუნებდა, უწკლაპუნებდა, რომ როგორმე დაემშვიდებინა და თავისთან მიეხმო.

მაგრამ შიშით შეპყრობილი კეთილშობილი ცხოველი თითქოს გრძნობდა, რაც მოელოდა, და არათუ მშვიდდებოდა, შეშინებული უფრო უკან იხევდა კურტიზანი ქალისგან. უცებ დაეტაკა დახოცილების ხროვას და დაეცა. ევტიპიდა იმწამსვე სწვდა აღვირში, სანამ ცხენი წამოხტომას მოასწრებდა.

ცხენი ცდილობდა, თავი დაეხსნა ევტიპიდასაგან, თავს გაგიჟებით იქნევდა. იქნევდა აღვირს, ხტებოდა, ყალყზე დგებოდა, გააფთრებით ხვიხვინებდა, მაგრამ ქალს მაგრად ეჭირა ხელში აღვირი და ცდილობდა მის დამშვიდებას. ბოლოს ცხენი დამშვიდდა, დაემორჩილა ბედს, ნება მისცა, კისერზე და ზურგზე გადაესვა ხელი, დანებდა ქალს.

ამ დროს რიცხვით გადამეტებული გლადიატორებისაგან შევიწროვებული კონსულ გელიუსის ლეგიონები, არეულ-დარეულები იწევდნენ იმ მინდვრისკენ, სადაც დილას გაანადგურეს გერმანელი გლადიატორები; გლადიატორები გააფთრებული ყვირილით მძვინვარედ აწვებოდნენ რომაელებს, რადგან სწყუროდათ თავისი მოძმეების - ათი ათასი გლადიატორის

სისხლი. მახვილებისა და ფარების წკრიალი, მებრძოლთა გამხეცებული ყვირილი და ყიჟინა ახლოვდებოდა. ევტიპიდა ხვდებოდა, რომ რომაელები მარცხდებოდნენ.

ამ დროს რომაელები უახლოვდებოდნენ იმ ადგილს. სიანჩხლით გაფითრებულმა ევტიპიდამ მიატოვა ის ადგილი, საიდანაც ბრძოლას თვალს ადევნებდა, თან მიჰყავდა აღვირით თეთრი ცხენი და გასწია იქითკენ, სადაც ეგდო ენომაის უსულო გვამი. იქ ამოირჩია ევტპიდამ პატარა, დახოცილებისაგან თავისუფალი ადგილი, ამოიღო ქარქაშიდან თავისი პატარა მახვილი და როცა მიუახლოვდა ცხენს, საჩქაროდ ჩაჰკრა გულში ტარამდე. გამწარებულიცხენი გამოუსხლტა ხელიდან, ყალყზე შედგა და უსულოდ დაეცა მიწაზე სისხლში ამოსვრილი.

მაშინ ევტიპიდა მივიდა ცხენთან, მკვდარ ცხენს გვერდით მიუწვა და თავისი ერთი ფეხი ქვეშ ამოუდო, ასე რომ იფიქრებდა კაცი, ცხენიცა და მისი მხედარიც ორივე ერთად წაქცეულა მტრის ხელითო.

ომის ხმაური კი თანდათან მატულობდა და უახლოვდებოდა იმ ადგილს, სადაც ევტიპიდა იწვა. გამარჯვებულების გამძვინვარებული ღრიალი ვერ ჰფარავდა დამარცხებულების წყევლასა და გოდებას. ევტიპიდა თანდათან რწმუნდებოდა რომაელების დამარცხებაში.

რომაელები უწესრიგოდ გარბოდნენ თავზარდაცემულნი და წინააღმდეგობაზე აღარ ფიქრობდნენ. თავისი ათი ათასი თანამებრძოლით მოფენილი მინდვრის დანახვაზე, გლადიატორები ერთიორად მომეტებული მონდომებით დაეცნენ მტერს და აღარავის ინდობდნენ. თოთხმეტი ათასი რომაელი იწვა ბრძოლის ველზე და თვით კონსულიც მხოლოდ თავისი ცხენის სისწრაფის წყალობით გადარჩა.

ასეთი ბრწყინვალე გამარჯვების სიხარულს გლადიატორებს გერმანელების ორი ლეგიონის დაღუპვა უმწარებდა და სპარტაკმა დღესასწაულის მაგივრად იმ დღეს გლოვა გამოაცხადა.

ამ ორნაირი ბრძოლის მეორე დღეს გამარჯვებულმა მიწას მიაბარეს თავისი ამხანაგების გვამები. მთელი მინდორი სავსე იყო უშველებელი კოცონებით, რომლებზედაც წვავდნენ ასობით დალაგებული გლადიატორის გვამებს. კოცონის გარშემო, რომელზედაც ენომაის ცხედარი ესვენა, უხმოდ იდგნენ დამწუხრებული წინამძღოლნი და ჩამწკრივებული ოთხი ლეგიონი.

ენომაი შეახვიეს თეთრი ტილოს სუდარაში სურნელოვნებით და დააყარეს ყვავილები. სპარტაკმა რამდენჯერმე აკოცა თავის თანამებრძოლის გვამს და გულამომჯდარმა წარმოთქვა სიტყვა, რომლითაც იხსენიებდა მიცვალებულის ღვაწლს, მის უსაზღვრო გულადობას, პატიოსნებასა და გულწრფელობას.

ენომაის ფერფლი ჩაყარეს ნურციის მოქალაქეებისგან გამოგზავნილ ბრინჯაოს ლარნაკში და დადგეს სპარტაკის კარავში. ამ ლარნაკს ის ინახავდა როგორც უძვირფასეს ნივთს.

ენომაისთან ერთად მებრძოლ ათი ათას გერმანელში მხოლოდ ორმოცდაჩვიდმეტი კაცი ნახეს მძიმედ დაჭრილი ბრძოლის ველზე. მათში ცოცხალი გადარჩა მხოლოდ ცხრა კაცი. ამ ცხრაში იყო ევტიპიდაც. მამაცურად მებრძოლი რომაელების ლეგიონებთან და მძიმედ დაჭრილი მარცხენა ხელში, ის დაეცა თავისი ცხენით.

დიდ აღტაცებაში მოიყვანა გლადიატორები ახალგაზრდა ქალის გმირულმა საქციელმა. თვით სპარტაკმაც ვერ შეიკავა თავი და გადაწყვიტა, გამოეცხადებინა მისთვის მთელი ჯარის წინაშე მადლობა, რაც უდიდეს სამხედრო ჯილდოდ ითვლებოდა. ნურციის ომიდან ოცდაერთი დღის შემდეგ ბრძოლის ველზე თვითონ სპარტაკმა დაადგა ყმაწვილ ქალს თავზე სამოქალაქო გვირგვინი, რასაც მთელი ჯარი საერთო აღტაცებით შეხვდა.

როდესაც ჯილდო მიიღო „თავგანწირული სიმამაცისთვის“, ევტიპიდამ, რომელსაც ჭრილობა ჯერ არ მორჩენოდა, გამოაცხადა, რომ სურდა სამსახურში დაბრუნება და ითხოვა კრიკსის კონტუბერნალთა რიცხვში ჩაწერის ნებართვა, რის ნებაც მისცეს კიდეც.

ოცდახუთი დღის დასვენების შემდეგ სპარტაკი აიშალა ბანაკიდან, გადაირია, ხელახლა აპენინის მთები, მივიდა პიცენტების ქვეყანაში, რადგანაც განზრახვა ჰქონდა მდინარე პოზე გადასულიყო და შემდეგ გალიაში ჩასულიყო, მაგრამ რავენის სიახლოვეს გაჩერდა და ქალაქის განაპირას რამდენიმე მილზე დაბანაკდა, რომ მოეწყო და გამოეწვრთნა გლადიატორებისა და მონების სამი ახალი ლეგიონი, რომლებიც შეიკრიბნენ მისი დროშის ქვეშ უკანასკნელი თვეების განმავლობაში.

ამ ლეგიონების უფროსობა ჩაბარდა გაიუს კანიციუსს, ტომით ლათინს, გალ კასტსა და თრაკიელ იდუმეოსს, რომელმაც იშვიათი სიმამაცე გამოიჩინა ნურციასთან ბრძოლაში.

ამგვარად, სამოცდათხუთმეტათასიანი ჯარით სპარტაკი რამდენიმე კვირის შესვენების შემდეგ დაიძრა ხელახლა მდინარე პოსკენ.

ამ დროს გაიუს კასიუსმა, წინა წელს კონსულად ნამყოფმა და ახლა ცეზალპინის გალიის პრეტორმა, როცა შეიტყო ორივე კონსულის დამარცხება და სპარტაკის წამოსვლა, შეკრიბა საჩქაროდ ოციათასიანი ჯარი, და გადაწყვიტა გლადიატორებისთვის გზის გადაღობვა.

სპარტაკი კი მივიდა ბონონიას და, ჩვეულებისამებრ დაბანაკდა ქალაქის შორიახლოს იმ

განზრახვით, რომ რამდენიმე დღეს დაჰყოფდა იქ, სანამ დასაზვერად წინ გაგზავნილი ცხენოსანთა რაზმი არ დაბრუნდებოდა მტრის ძალის შესახებ ცნობებით.

მეორე დღეს, განთიადისას, სანამ სამ ახალ ლეგიონს სამხედრო წესსებს ასწავლიდნენ, ევტიპიდა მივიდა სპარტაკის კარავში მირცას სანახავდ.

ახალგაზრდა ქალმა მიიღო სტუმარი დიდი სიამოვნებით და პატივისცემით, რადგან, როგორც ქალს, გლადიატორებზე უფრო მეტად უკვირდა მისი სამხედრო ღვაწლი. თავისი მხრით ცბიერმა ქალმაც ალერსით შეამკო მირცა და არწმუნებდა, რომ ყოველთვის დიდად იზავდა მირცა მის გულს. სულით და გულით უნდოდა, რომ გამხდარიყო მისი მეგობარი, რადგანაც მთელ ბანაკში სულ მამაკაცები იყვნენ და არ იცოდა, ვისთვის გაეცა ხმა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სიხარულით უგდებდა ყურს გულმართალი მირცა თავისი სტუმრის ლაპარაკს. მისი სიტყვები სრულ სიმართლედ მიიღო და მხურვალე კოცნით შეჰფიცეს ერთმანეთს სამუდამო მეგობრობა. გულწრფელ საუბარში განვლო ორმა საათმა.

ბოლოს ევტიპიდამ წასვლა დააპირა, თუმცა კი დაჰპირდა მირცას, იმავე საღამოს მეორედ ნახავდა, თუ ჯარი არ გაილაშქრებდა სადმე. ბერძენი ქალი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა მოეხიბლა გულმართალი თრაკიელის და.

რისთვის დასჭირდა ევტიპიდასმირცას მეგობრობა, ამას დავინახავთ შემდეგში, ჯერ კი გავყვეთ ევტიპიდას ფეხდაფეხ გალების ლეგიონების კარვებისაკენ, საითკენაც ის წავიდა.

როცა ევტიპიდა დასაზვერად გზაზე გავიდა, მესამე და მეოთხე ლეგიონების კარვებს შორის, გამოცდილი თვალი გადაავლო ახალმოსულების გრძელს მწკრივს და უეცრად მის ცქვიტ ყურს მოესმა შორიახლო კარვიდან ლაპარაკი. რომ დააკვირდა, დარწმუნდა, რომ კარავი ეკუთვნოდა არვინიუსს, ტომით გალს, მეოთხე ლეგიონის უფროსს. ცხადია, ცხარე ბაასი იყო. კარვისკენ ფრთხილად მიმავალმა ევტიპიდამ ყური დაუგდო. თითქმის ყველა ხმას იცნობდა ევტიპიდა და სცნობდა მათ ლაპარაკზე.

- რაც გინდათ ილაპარაკეთ, - ყვიროდა ხრინწიანი ბოხი ხმა. ევტიპიდამ მაშინვე იცნო ორცილიუსი, ნუმიდიელებისა და აფრიკელებისაგან შემდგარი მეთერთმეტე ლეგიონის უფროსი, - რაც გინდათ თქვით, მაგრამ არც ჩვენ ვართ ცხვრები და არავის მივცემთ ნებას, რომ თავისი სურვილით წაგვრეკოს წინ.

- ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, - შეჰყვირა მეორე ხმამ, რომელშიც ევტიპიდამ იცნო გაიუ სკანიციუსი, მეცამეტე ლეგიონის უფროსი, - რა იქნებოდა ახლა ის?

- იქნებოდა უბრალო გლადიატორი, უბრალო გლადიატორი! - სიბრაზით წარმოსთქვა ბრეზოვირმა.

- მე და ჩემი აფრიკელები არ გავყვებით მას გალიაში, ვფიცავ ვაალს[150]! - დაუმატა ორცილიუსმა.

- ენომაი მართალი იყო! - დაიყვირა კასტმა, მეთოთხმეტე ლეგიონის უფროსმა, რომელშიაც ხუთი ათასი ახალგაზრდა გალი შედიოდა და ის იყო ფარიკაობას ასწავლიდნენ.

- საბრალო ენომაი! ის გახდა ღალატის მსხვერპლი, რისი ეჭვიც ახლა აღარ შეიძლება! - თქვა ონაციუსმა, სამნიტმა, მერვე ლეგიონის წინამძღოლმა რუტილიუსის სიკვდილის შემდეგ.

- სპარტაკის ღალატისა? - შეჰყვირა ეპირიელმა თესალონიუსმა და თავისი ბოხი ხმით ერთ წამს ყველა ხმა დაფარა, - ეგ კი გადაჭარბებულია! სწორედ გადაჭარბებული!

- დიახ, ღალატისა! სპარტაკმა, კრიკსმა და გრანიკმა მიგვყიდეს ჩვენ რომის სენატს.

- მოღალატენი არიან ყველა ისინი, ვისაც უნდათ ჩვენი გადაყვანა ალპებზე, რომ დაგვაშორონ რომს!

- რომზე, რომზე გვინდა ჩვენ გალაშქრება. შვიდმა თუ რვა კაცმა დაიწყო ერთად

ყვირილი:

- რომზე, რომზე!

- მე მწამს სპარტაკისა. ის უდიდესია სარდლებში და უკეთილშობილესი ადამიანებში, - თქვა თესალონიუსმა, - მწამს კრიკსისა და განიკისა. ჩემი ლეგიონით მათ გავყვები და არა - თქვენ.

- აგრეთვე მეც! - ჩაურთობარტორიქსმა.

- წადით, გზა მშვიდობისა! კი ჩვენი შვიდი ლეგიონით ხვალვე გავბრუნდებით და მივდივართ რომზე.

- ჰო, სპარტაკის სიბრძნესა და გამოცდილებას მოკლებულნი დიდ საქმეებსაც ჩაიდენთ! - დაცინვით შენიშნა ბარტორიქსმა.

- პირველივე პრეტორი ლუკმა-ლუკმა აგკუწავთ, - უთხრა თესალონიუსმა.

- ესენიც ხალხნი არიან და თავისუფლების მოპოვებისთვის ამბოხებულნი! - წარმოთქვა გაიუს კანიციუსმა, - მონობა არ უნდათ და თვითონვე კი თავისი ნებით უხდებიან მონებად თავის სათაყვანებელ სპარტაკს, რომელიც იქნებ ამათზე დაბლაც დგას.

- თუ თავისუფლებად თქვენ მიგაჩნიათ უწესრიგობა, არეულობა, ასეთი თავისუფლება ჩვენ არ გვჭირდება! - იყვირა თესალონიუსმა, - ჩვენ წესრიგს ვამჯობინებთ და დავრჩებით იმასთან, ვინც ორ წელზე მეტია, მამაც და ბრძენ სარდლად მიგვაჩნია.

ამ წამს საყვირის გამსჭვალავმა ხმამ, რომელიც მესამე ლეგიონს შეიარაღებას აუწყებდა, შეწყვიტა მათი ბაასი და ევტიპიდას უსაზღვრო სიხარული. მისი სული ზეიმობდა, როცა ესმოდა, რა უკმაყოფილონი, მძულვარებით აღვსილნი ლაპარაკობდნენ სპარტაკზე ლეგიონების წინამძღოლები.

ევტიპიდა შეკრთა, შეტრიალდა იქითკენ, საიდანაც საყვირის ხმა მოისმოდა და გაჰყვა უკან არვინიუმის კარვიდან გამოცვივნულ ლეგიონების უფროსებს პრეტორიუმისაკენ, რომ შეეტყო ამ მოულოდნელი შეშფოთების მიზეზი.

მალე განგაშის ნიშანი მისცეს მეოთხე, მეხუთე ლეგიონებში და გლადიატორების მთელი ბანაკის მესაყვირეებმა.

გლადიატორები კი იმ დროს თავიანთი კარვებიდან გამორბოდნენ საჩქაროდ შეიარაღებულნი და მწკრივდებდნენ კოჰორტებად.

რამდენიმე წამის შემდეგ გაისმა საყვირის ახალი ხმა მესამე ლეგიონში, რომელიც დანარჩენებმაც გაიმეორეს და ნიშნავდა ბანაკიდან აყრას. ორი საათის შემდეგ გლადიატორებმა დატოვეს ბანაკი და სრული წესრიგით მოემზადნენ სალაშქროდ. მისცეს ახალი ნიშანი, რაც გლადიატორთა წინამძღოლებს სპარტაკთან უხმობდა.

შემოჰკრეს ქუსლი ცხენებს, გააქროლეს სპარტაკისაკენ და შეიტყვეს, რომ გაიუს კასიუსი მოდიოდა მათ წინააღმდეგ. სპარტაკმა გამოაცხადა, რომ გადაწყვიტა დაესწრო მისთვის, რათა ის არ შეერთებოდა სხვა ჯარებს და არ დაეშალა მდინარე პოზე გასვლა.

როდესაც სპარტაკმა დაამთავრა, რამდენიმე წამის განმავლობაში ყველანი თავჩაღუნულები იდგნენ. ბოლოს გაიუს კანიციუსმა დახარა თვალები და გაუბედავად წარმოთქვა:

- კასიუსთან სიხარულით ვიბრძოლებთ, მაგრამ მდინარე პოს გაღმა კი, როგორც გინდა, არ გავალთ.

- რაო? - გაიკვირვა ელდანაცემმასპარტაკმა და თითქოს ყურს არ უჯერებდა, წარბშეკრულმა ჰკითხა: - რა თქვი?

- ამან თქვა, რომ ჩვენ თანახმა არ ვართ გაგყვეთ შენ პოს იქით, - უპასუხა მის მაგივრად ნუმიდიელმა ორცილიუსმა და თან შეუპოვრად შესცქეროდა სპარტაკს თვალებში.

- შვიდ ლეგიონს, - დაუმატა კანიციუსმა, - არ უნდა წასვლა თავიანთ სამშობლოში, რომზე გალაშქრება სურთ.

- აა! - თქვა სპარტაკმა რისხვით, თუმცა ვერ ფარავდა სიმწარეს, - კიდევ აჯანყება! განა ცოტაა თქვენთვის, უგნურნო, ბედკრული ენომაის საშინელი მაგალითი? გაუგებარი დრტვინვა ერთადერთი პასუხი იყო იმ სიტყვებზე.

- ვფიცავ ღმერთებს, - წყრომით შეჰყვირა სპარტაკმა, - თქვენ ან გიჟები ხართ, ან მოღალატენი! არანაირი პასუხი არ ისმოდა.

- მაშ კარგი, - უთხრა სპარტაკმა, - ახლა მტერი მოგვდგომია და სანამ მას არ დავამარცხებთ,

დამემორჩილებით ხმაამოუღებლივ. მერე მთელმა ჯარმა გაარჩიოს საქმე. ახლა კი გასწით!

ხელის აქნევით ანიშნა მათ წასვლა, მაგრამ სანამ ისინი ცხენებისათვის ქუსლის შემოკვრას მოასწრებდნენ, სპარტაკმა დაუმატა წყნარი, მაგრამ მუქარის ხმით:

- უფრთხილდით ცოტაოდენ ურჩობასაც კი ლაშქრობისა თუ ბრძოლისას, იმიტომ, რომ იუპიტერს ვფიცავ, პირველს, ვინც წარმოთქვამს წინააღმდეგ სიტყვას, სიცოცხლეს მოვუსპობ. აი, ამ მახვილით, რომელიც არასდროს ამიცდენია!

ხელახლა ანიშნა ხელით წასვლა და უფროსები უხმოდ დაიშალნენ თავთავიანთ ნაწილებში.

ჯარი გზას გაუდგა და მეორე დღეს რიჟრაჟამდე მიაღწია მუტინს, სადაც კასიუსი დაბანაკებულიყო ორ ბორცვზე და შემოევლო გარშემო ფართო თხრილი და მესერი.

მეორე დღეს, გათენებისას სპარტაკმა თავისი ექვსი ლეგიონი დაძრა ცეზალპინის გალიის პრეტორის წინააღმდეგ და დაეცა თავისი თხრილებიდან გამოსულ რომაელებს, რომელთაც ძალიან გამაგრებული ადგილი დაეჭირათ გორაკების აღმართზე. მაგრამ გლადიატორები რიცხვით უმრავლესნი იყვნენ. ოცი ათასი რომაელი, მეტწილად მარიუსის და სულას

გამოცდილი მეომრები, ორი საათის განმავლობაში წინააღმდეგობის შემდეგ იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ და დატოვეს ბრძოლის ველზე ათი ათასამდე დახოცილი. დაჭრილი, ცხენიდან გადმოვარდნილი პრეტორი კინაღამ ტყვედ არ დაიჭირეს და გადარჩა მხოლოდ რაღაც სასწაულით. ბანაკი და ბარგი დარჩათ გლადიატორებს, რომელთა დანაკლისი ძალიან მცირე იყო.

მეორე დღეს, უკანასკნელი ხუთი კვირის განმავლობაში მესამე გამარჯვების შემდეგ, გლადიატორების მთელიჯარი გამწკრივდა ოთხკუთხად მდინარე სკულტენის სანაპიროზე, რომ გადაეწყვიტა, საჭირო იყო გზის გაგრძელება მდინარე პოზე, თუ სჯობდა უკან დაბრუნება და რომზე გალაშქრება.

სპარტაკმა წარმოთქვა სიტყვა, რომლითაც მჭევრმეტყველურად უმტკიცებდა, თუ რამდენად სასარგებლო და შესაძლო იყო პირველი აზრი, მეორე კი - დამღუპველი. მოაგონა, რა სამსახურიც გაეწია მას ჩაგრულთა წმიდა საქმისათვის, რომელსაც აგერ ათი წელიწადია, მთლად შესწირა თავი, და რომ ამას პატივმოყვარულობით კი არ

იხსენებს, სურს ამით დაუმტკიცოს უბედურებაში, ტანჯვაში და გამარჯვებაში თავის თანამებრძოლებს, რომ, თუ ურჩევს იტალიის დატოვებას, მხოლოდ იმიტომ, რომ დარწმუნებულია ეს ქვევანა გაუხდება გლადიატორებს საფლავად, ისევე, როგორც კართაგენელებს, ტევტონებს, კიმბრებსა და ყველა

უცხოელს გაუხდათ, რომელთაც როდესმე უბრძოლიათ მის მიწაზე. სპარტაკმა დააბოლოვა მძიმე ფიცით, რომ არაფრით არ ხელმძღვანელობს, გარდა გლადიატორების კეთილდღეობისა. დაე იმათ გადაწყვიტონ. თვითონ კი წინამძღოლად ან უბრალო მეომრად ყოველთვის დარჩება მათთან და სიხარულით მზად არის, თავის ძმებთან ერთად დაიღუპოს, თუკი ასე უწერია.

საერთო ტაშისცემა იყო საყვარელი წინამძღოლის სიტყვებზე პასუხი. მაშინვე რომ ეყარათ კენჭი, მისი წინადადება, უეჭველია, მიღებული იქნებოდა უმრავლესობით. მაგრამ ორი წლის განმავლობაში მრავალმა და ბრწყინვალე გამარჯვებამ სპარტაკის სამხედრო გენიოსობის წყალობით, გლადიატორები გაადიდგულა და დააიმედოვნა. ბევრი უფროსთაგანი, რომელთაც ჰქონდათ მხოლოდ საქმის კარგად შესრულების ნიჭი, თავისთავს ფიქრობდა გულში, რომ სპარტაკზე მაღლა იდგნენ. სხვებს არ მოსწონდათ მისგან ჯარში შემოღებული მკაცრი დისციპლინა, და ნატრობდნენ დამოუკიდებლობას, ძარცვასა და ავაზაკობას. ჯერ ბრძოლის ველზე კონსულების გამოსვლამდე უკმაყოფილებამ იმდენად იმატა, რომ ევტიპიდამ გადაწყვიტა, მოქმედების დრო იყო.

ენომაის ორი ლეგიონის დაღუპვამ არათუ კარგ მაგალითად იმოქმედა დანარჩენ გლადიატორებზე, უფრო გააძლიერა უკმაყოფილება სპარტაკის საწინააღმდეგოდ. ზოგს უნდოდა რომზე გალაშქრება, რომ ჯავრი ამოეყარათ ამოწყვეტილი ძმების გამო. ზოგიც ფიქრობდა ამით ენომაისა და მისი გერმანელების პატივისცემას.

ყველა ამ სურვილით და აღელვებით მშვენივრად ისარგებლა გაიუს კანიციუსმა, რომელიც სანამ გლადიატორად გაჰყიდდა თავს, ცოტას ვექილობდა და ამიტომ იცოდა კარგი ლაპარაკი და ჩაგონება. მან დაიწყო თავისი სიტყვა იმით, რომ ცამდე აიყვანა სპარტაკის ქება, რომ ეჭვი არავის მიეტანა პირად მტრობაზე, რადგან ამას შეეძლო ძალიან ბევრი ევნო მისი სიტყვებით გამოწვეული შთაბეჭდილებისთვის. შემდეგ გამოთქვა სინანული, რომ იძულებულია, არ დაეთანხმოს ამისთანა დიდებულ წინამძღოლს, რომელიც თავისი ზვიადობით თვითონ ვერ ხედავს თავისი ჯარის ძალას; დაიწყო ახსნა რომაელების უსაშველო მდგომარეობისა, რომ ქალაქი უპატრონოა, რომელსაც არასგზით არ შეეძლო მრისხანე და ძლევამოსილი გლადიატორების ჯარის თავდასხმის გამკლავება. ის აფიცებდა თავის ამხანაგებს, არ გაეშვათ ხელიდან ასეთი კარგი შემთხვევა, რომ ერთბაშად მოღებოდა ბოლო რომის ძლიერებას, და ურჩევდა მოწინააღმდეგე ქალაქზე ხვალვე გალაშქრებას.

- რომზე, რომზე! - შეჰყვირა ერთხმად ორმოცდაათი ათასმა კაცმა, - რომზე, რომზე! როდესაც კენჭიჰყარეს, აღმოჩნდა, რომ შვიდმა ლეგიონმამიიღო კანიციუსის წინადადება და დანარჩენ ექვსთაგან უმნიშვნელო უმეტესობამ ამაზე უარი განაცხადა. მხოლოდ ცხენოსანთა ჯარი თითქმის ერთხმად დაეთანხმა სპარტაკის წინადადებას. ამგვარად, აღმოჩნდა, რომ ნამდვილად ორმოცდაათი ათასზე მეტს

უნდოდა რომზე წასვლა მაშინ, როდესაც სპარტაკის მომხრეთა რიცხვი ძლივს ავიდა ოცი ათასამდე.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ შეწუხდა ამ მოულოდნელ გადაწყვეტილებაზე სპარტაკი, რომელსაც რომზე გალაშქრება შეუძლებლად მიაჩნდა.

დიდხანს იდგა სპარტაკი თავჩაღუნული და ხმას არ იღებდა. ბოლოს მიუბრუნდა კრიკსს, გრანიკსა და არტორიქსს, იმაზე უფრო მეტად შეწუხებულებს და მწარედ წარმოთქვა:

- ამოდენა შრომის, განსაცდელისა და ტანჯვის შემდეგ. სიმართლე გითხრათ, მოვალეობის გრძნობა და სინდისის ქენჯნა რომ არ მაკავებდეს, უნდა ვნანობდე, რომ უარი ვთქვი კონსულ მარკუს ტერენციუს ვარონ ლუკულუსის წინადადებაზე! ვფიცავ ჰერკულესს, კარგი იქნებოდა!

რამდენიმე წამს კიდევ გაჩერდა ხმაამოუღებლად, შემდეგ მიმართა მისი გადაწყვეტილების მომლოდინე ლეგიონებს და ხმამაღლა უთხრა:

- კარგი, მე ვემორჩილები თქვენს სურვილს და მივდივარ რომზე, მაგრამ თქვენს წინამძღოლად კი არა, უბრალო მეომრად. ამოირჩიეთ ჩემ მაგივრად უფრო ღირსეული.

- არა, არა, ვფიცავ ღმერთებს! - შეჰყვირა ლივიუს გრანდენიუსმა, სამნიტმა, მეთორმეტე ლეგიონის უფროსმა, - შენ უნდა დარჩე ჩვენს წინამძღოლად, იმიტომ რომ ჩვენში არავინ არის შენი ტოლი.

- ამოვირჩიოთ ისევ სპარტაკი ჩვენს წინამძღოლად. - დაიყვირა მედგარი ხმით ბარტორიქსმა.

- სპარტაკი გვინდა წინამძღოლად! - შეჰყვირა როგორც ერთმა სამოცდაათი ათასმა

გლადიატორმა და თან მაღლა აიშვირა ფარები. როდესაც ხმაური ცოტათი შეწყდა,

სპარტაკმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა შეჰყვირა:

- არასოდეს! მე წინააღმდეგი ვარ რომზე გალაშქრების და არ მწამ, რომ მათზე გავიმარჯვოთ. ამოირჩიეთ ერთი მათგანი, ვინც გამარჯვებას გიქადით!

- შენ გვინდიხარ, შენ გვინდიხარ წინამძღოლად! - ყვიროდა ოცდაათი-ორმოცი ათასი ხმა.

კრიკსმა ნიშანი მისცა, გაჩუმებულიყვნენ და დაიწყო:

- დე ვიყოთ ასი ათასი შეიარაღებული გლადიატორი... მხოლოდ ასი ათასი... მაგრამ ერთი წინამძღოლი უნდა გვყავდეს... აკვინუმთან, ფუნდთან, კამერინუმთან, ნურციასთან, მუტინთან გამარჯვებული! გაუმარჯოს იმპერატორ სპარტაკს! მთელ პანარის მინდორზე გაისმა ყურისწამღები ყვირილი:

- გაუმარჯოს იმპერატორსპარტაკს!

აღშფოთებულითრაკიელი უარს ამბობდა, არ უნდოდა ამსახელის მიღება, იმათი თხოვნის აღსრულება, მაგრამ ლეგიონების უფროსები ეხვეწებოდნენ, ყველაზე მეტად თხოვდნენ არვინიუსი, ორცილიუსი და გაიუს კანიციუსი, საომცდახუთივე სამხედრო ტრიბუნი, ცენტურიონი და ათისთავი, თავთავისი ნაწილებიდან წარმოგზავნილნი ევედრებოდნენ სპარტაკს, დარჩენილიყო გლადიატორთა ლეგიონების უფროსად.

ასეთი საერთო სიყვარულითა და ერთგულებით გულაჩუყებულმა სპარტაკმა დაუთმო ბოლს და მიმართა იქ მყოფთ:

- თქვენ ასე გინდათ? იყოს ნება თქვენი. მე დავრჩები თქვენს წინამძღოლად, რახან სხვა წინამძღოლის ამორჩევას ისევ არეულობა მოჰყვება. მე თანახმა ვარ ვიბრძოლო თქვენ გვერდით და მოვკვდე, როგორც წინამძღოლი, მაგრამ, - სანამ მადლობის ნიშნად უკოცნიდნენ ხელებს, ტანსაცმელს, ხოტბას ასხამდნენ მის მამაცობასა და დამსახურებას, სპარტაკმა ნაღვლიანი ღიმილით დაუმატა: - ვერ დაგპირდებით გამარჯვებას იმიტომ, რომ არ მწამს ეს გამარჯვება. ყოველ შემთხვევაში, ხვალვე ვბრუნდებით უკან, ბონონიაზე.

ამგვარად, სპარტაკი იძულებული გახდა, ეკისრა ის, რაც შეუძლებლად მიაჩნდა და რომლის წარმატებაც არ სჯეროდა.

მაგრამ უკანასკნელმა შინაურმა არეულობამ ისეთნაირად გარყვნა ჯარი, რომ სრულებით დაკარგა თავისი უწინდებული დისციპლინა. მრისხანე ჯარმა, რომელმაც სპარტაკის წინამძღოლობით გაიმარჯვა მსოფლიოში განთქმულ არმიებზე, იწყო გახრწნა და ავაზაკობასა და გარყვნილებას მიეცა.

ყოველ ღონეს ხმარობდა სპარტაკი, შეეკავებინა თავისი მეომრები თავნებობისგან, მაგრამ ვერაფერს შველოდა: ხან ერთი, ხან მეორე, ზოგჯერ რამდენიმე ლეგიონი თავს ესხმოდა სენონთა ქალაქებს, რომელთა ქვეყანაშიც მიდიოდნენ და ძარცვავდნენ მათ. ამას ორნაირი ზიანი მოჰქონდა: თავაშვებულმა გარყვნილობამ და ძარცვამ სახელი გაუტეხა დისციპლინიან გლადიატორთა ჯარს. ახლა კი ისე უყურებდნენ, როგორც ავაზაკების ბანდას და სიძულვილი დაიმსახურეს მოსახლეობაში; გამუდმებული შესვენება აყოვნებდა ლაშქრობებს, რაც აქამდე უმთავრესი იყო სპარტაკის გამარჯვებაში.

ამგვარი საქციელი როგორ სწყინდა სპარტაკს, წარმოსადგენად უფრო ადვილია, ვიდრე საამბობლად. ეს არათუ არცხვენდა მისი დროშის ძვირფას სახელს, საქმესაც აფერხებდა, რადგან

აქამდე ადგილობრივ მცხოვრებლებს ცუდი დამოკიდებულება არ ჰქონდათ მეომრებთან, ახლა კი მათ დაუძინებელ მტრებად გადაიქცნენ, რადგან საქმეს უჭირვებდნენ და ყოველ წამს საჭირო იყო დიდი სიფრთხილე. პირველ ხანში სპარტაკს გული მოსდიოდა, ჯავრობდა, სწყევლიდა გაიუს კანიციუსის მეცამეტე ლეგიონის სრულიად განცალკევებას, რადგან იმან პირველმა უჩვენა ძარცვისა და ძალადობის მაგალითი, მაგრამ სპარტაკმა ვერ მოუღო ბოლო ამ ბოროტებას და არ გაუვლია ორ დღესაც, რომ სალაშქრო კოლონის ბოლოს მიმყოლი მეხუთე და მეექვსე ლეგიონები შეცვივდნენ იმოლაში, კორნელიუსის ფორუმში, და აიკლეს იქაურობა.

სპარტაკი და კრიკსი უნდა დაბრუნებულიყვნენ უკან თრაკიელების სამი ლეგიონით, რომ დაეწყნარებინათ ურჩები. მაგრამ იმ დროს, როდესაც სპარტაკი ამ საქმეს ასრულებდა, აფრიკელების მეთერთმეტე ლეგიონი შევარდა სენონიის პატარა ქალაქ ბერტინორუმშიდა მისცა ცეცხლსა და მახვილს. სპარტაკიხელახლა უნდა გაქანებულიყო იქ, რომ ბოლო მოეღო მეომრების თავგასულობისთვის.

რომში იმ დროს საშინელი ალიაქოთი სუფევდა, ერთიერთმანეთზე მოდიოდა ჯერ ერთი კონსულის დამარცხების ამბავი, მერე მეორისა, ბოლოს ცეზალპინის გალიის პრეტორისა. ამას მოჰყვა კიდევ უფრო ცუდი ამბავი - გლადიატორებისგან რომზე გალაშქრების გადაწყვეტილება.

სპარტაკს უნდა შეეჩერებინა თავისი გალაშქრება რომზე იმავე ლეგიონების თავგასულობის

მიზეზით, რომლებიც ისე ხმამაღლა ითხოვდნენ იქ გალაშქრებას. ერთ თვეს დაჰყო მან არიმინიუმთან, სადაც ხელმეორედ უარჰყო ჯარის უფროსობა და ერთი კვირა გამოუსვლელად იჯდა თავის კარავში. ბოლოს, მთელი ჯარი მივიდა პრეტორიუმზე და მუხლზე დაჩოქილები ხმამაღლა ინანიებდნენ თავის უწესობას და ეფიცებოდნენ, არასდროს აღარ გაემეორებინათ ასეთი საქციელი.

როდესაც ბოლოს სპარტაკი ეჩვენა ბრბოს, ის იყო ფერმიხდილი, თვალებჩაცვივნული. ცრემლებისაგან დასიებული ქუთუთოები ამტკიცებდა მისი მეომრების სამარცხვინო საქციელით გამოწვეულს ტანჯვას.

სპარტაკმა ანიშნა, რომ ლაპარაკი სურდა და როდესაც სიჩუმე ჩამოვარდა, წარმოთქვა სიტყვა, რომლითაც საყვედურს უცხადებდა ლეგიონებს მათ უკადრის საქციელზე და ეუბნებოდა, რომ თურმე მართლა მძარცველები და ავაზაკები ყოფილან, როგორც მათ რომაელები სამართლიანად უწოდებდნენ, და არა თავისუფლების მოსაპოვებლად ამბოხებული ხალხი. გამოუცხადა, რომ არ არის თანახმა, იყოს მათი უფროსი. იქამდე, სანამ თვითონვე არ მისცემენ განუსაზღვრელ უფლებას, როგორ დასაჯოს, როგორც უნდა წამქეზებელნი და უმთავრესი დამნაშავენი ძარცვა-ავაზაკობაში.

როდესაც ლეგიონებში ერთხმად დაეთანხმდნენ მის სურვილს, სპარტაკმა ისევ გადაწყვიტა მათი უფროსობა და შეუდგა ყველა დამნაშავის დასჯას, რაც არ შეეფერებოდა მის ხასიათს, - იმ აზრით, რომ ამით აღედგინა დაკარგული დისციპლინა.

ორცილიუსს, სპარტაკმა გადაუწყვიტა სიკვდილი და მთელი ჯარის თანდასწრებით უბრძანა მისსავე ნუმიდიელებს ჯვარს ეცვათ. ლეგიონების ორი სხვა უფროსი, არვინიუსი და გაიუს კანიციუსი, გაჯოხეს და განდევნეს ბანაკიდან. შემდეგ უბრძანა, ჯვარს ეცვათ ორას ოცი გლადიატორი, ყველაზე მეტად დამნაშავენი ავაზაკობაში, ძარცვასა და ყოველნაირ ძალადობაში, რაც მოხდა უკანასკნელ დროს.

ამ დასჯის შემდეგ სპარტაკმა დაშალა ყველა ლეგიონი და შეადგინა ახლად, რომლებშიც არეული იყვნენ მეომრები ყველა ეროვნებისა, იმ აზრით, რომ შემცირებულიყო თვითეული წინამძღოლის მნიშვნელობა, რომელიც უწინ თითქმის სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდა. ამნაირად, ასოცი კაცისაგან შემდგარი

რაზმი ახლა შედგებოდა ორმოცი გალისაგან, ოცდაათი თრაკიელისაგან, ოცი სამნიტისაგან, ათი ილირიელისაგან, ათი ბერძენისა და ათი აფრიკელისგან.

გარდაქმნილი ჯარი სპარტაკმა გაყო თოთხმეტ ლეგიონად, რომელთა წინამძღოლებად დანიშნა შემდეგი გლადიატორები:

პირველისა - ბრეზოვირი, გალი.

მეორისა - თესალონიუსი, ეპირიელი.

მესამისა - კასტი, გალი. მეოთხისა -

ონაციუსი, სამნიტი. მეხუთისა -

მესემბრიუსი, თრაკიელი.

მეექვსისა - ლივიუს გრანდენიუსი,

სამნიტი. მეშვიდისა - იდუმიუსი,

თრაკიელი. მერვისა - ბარტორიქსი, გალი.

მეცხრისა - არტაკი, თრაკიელი.

მეათე ლეგიონის წინამძღოლად დანიშნა მამაცი მაკედონიელი ეროსტენი, მეთერთმეტისა -

ნუმიდიელი ვისბალდი - სასტიკი, სერიოზული, მედგარი კაცი; მეთორმეტისა ელიალი, ორმოცდაათის წლის უშიშარი გალი - გლადიატორი, ორმოცდაათი ჭრილობით ტანზე. მეცამეტე ლეგიონს წინამძღოლობდა ოცდახუთი წლის ყმაწვილი ილირიელი ტეულოპიკი - კეთილშობილი გვარისა, დაბადებული ლიბურნიუმში, მდიდარს ოჯახში, მონობაში გლადიატორად გადაქცეული. მეთოთხმეტე ლეგიონის უფროსად დანიშნა უზარმაზარი ტანის, წვერიანი გალი, სახელად ინდუტიომარი. იგი განთქმული იყო არაჩვეულებრივი ძალით და მამაცობით, რამაც დიდი სახელი მოუხვეჭა თანამემამულეებში.

ყველა ამ ლეგიონთან სპარტაკმა შექმნა სამი კორპუსი. პირველში შედიოდა ექვსი ლეგიონი და მათ წინამძღოლად დაუნიშნა კრიკსი, მეორე კორპუსი - მეშვიდე, მერვე, მეცხრე და მეათე ლეგიონებით ჩააბარა გრანიკს, მესამე დანარჩენი ლეგიონებით - არტორიქსს. რვა ათასი კაცისგან შემდგარი ცხენოსანი ჯარის მეთაურად დარჩა მამილიუსი.

მაგრამ, როდესაც თავისი ჯარი განაახლა, სპარტაკმა მაშინვე იგრძნო, რომ აუცილებელი იყო მისი განმტკიცება, სანამ რომზე გაილაშქრებდა. ამ აზრით მან წაიყვანა ჯარი უმბრიაში, რომ მიეცა დრო, გლადიატორებისათვის გაეცნო ერთმანეთი და აგრეთვე დაეფასებინათ თავთავიანთი ახალი წინამძღოლები.

რომში კი ამ დროს სენონიაში გლადიატორების მიერ ჩადენილმა ძარცვა-გლეჯის ხმამ მიაღწია, რასაკვირველია, ერთიორად გაზვიადებულმა, როგორც ყოველთვის ხდება

ხოლმე, და თავზარი დასცა ყველას. ტრიბუნები ხმამაღლა ყვიროდნენ ფორუმზე, რომ დრო იყო, ეზრუნათ სამშობლოს დახსნაზე.

შეიკრიბა სენატი. ზოგიერთები სინანულს გამოთქვამდნენ, რომ სენატორები უნიჭო სარდლების წყალობით, რომელთაც გზავნიდნენ გლადიატორების წინააღმდეგ, იძულებული იყვნენ, სერიოზულად ჩარეულიყვნენ ამბოხებაში, რაც სასაცილოდ ეჩვენებოდათ, მაგრამ სერიზულ საფრთხეს უქადდა რომს. სხვები კი გაიძახოდნენ, რახან ასეთ სამარცხვინო მდგომარეობამდე მივედით, დადგა დრო, რესპუბლიკამ მთელი თავისი შეიარაღებული ძალებით შეუტიოს გლადიატორებსო. მდგომარეობა ფრიად საყურადღებო იყო. მრისხანე, შეუბრალებელი მტერი უახლოვდებოდა ქალაქის გალავანს და მათ დასახვედრად კი არავინ იყო მომზადებული. ამ წელს ამორჩეულორ კონსულში ერთი უკვე სამარცხვინოდ დაამრცხეს მეამბოხეებმა, მეორე იმდენად უნიჭო იყო, რომ მისთვის რაიმე სამხედრო საქმის მინდობა საშიში იყო. ამიტომ სენატმა გამოიტანა დადგენილება „Senatus consultym“, რომ გლადიატორებთან ომის წარმოება მიენდოს არა კონსულებს, არამედ ამისათვის საგანგებოდ ამორჩეულ სარდალს, რომელსაც ჩააბარებდნენ ურიცხვს ჯარს და უდიდეს უფლებას, რომ ერთბაშად მოეღოთ ბოლო თავხედი გლადიატორებისათვის, რომლებიც ბედავდნენ და ემუქრებოდნენ საღვთო ქალაქს.

რადგან იმ დღეებში სიცილიის პრეტორი იყო ამოსარჩევი, სენატმა გამოაცხადა, რომ სწორედ იმას მიენდობოდა ამ ომის წინამძღოლობა.

ეს გადაწყვეტილება რომ გაიგეს, ამ თანამდებობისათვის ჩაწერილმა მოქალაქეებმა უარი თქვეს კანდიდატობაზე, რადგან შეეშინდათ მომავალი ომის სიძნელისა, ასე რომ, არჩევის დღეს არც ერთი მათგანი არ გამოცხადდა ფორუმზე.

იულიუს კეისარს მეგობრები შეუჩნდნენ, რომ წარედგინა კანდიდატურა სიცილიის პრეტორის თანამდებობაზე და თან ჰპირდებოდნენ, ეცდებოდნენ სენატთანაც და ხალხთანაც მიეცათ მისთვის ორმოცდარვა ათასი ლეგიონერი და ოცი ან ოცდაორი ათასი მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი და მოკავშირეთა კავალერია, რომ დიდი გარჯის გარეშე გაემარჯვა გლადიატორებზე.

მაგრამ კეისარმა სასტიკი უარი განაცხადა ამ წინადადებაზე, თუმცა მას არ ასვენებდა პომპეუსის ტრიუმფი და გამარჯვება. ის უხსნიდა თავის მეგობრებს, რომ გლადიატორებთან ომი ისეთივე ძნელი იყო, როგორც ომი დომიციუსთან, ან აფრიკის ხელმწიფე იარფასთან, რომლისთვისაც პომპეუსმა ტრიუმფი მიიღო, რადგან მას არ მისცემდნენ არა თუ ტრიუმფს, არც ოვაციას, ვინაიდან რომის სიამაყე არ იძლეოდა ნებას, რომ მეომარ მხარედ ჩაეთვალათ აჯანყებული მონები.

- მე თუ ხელს მოვკიდებ რომელიმე ომის ხელმძღვანელობას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვების შემდეგ ტრიუმფის იმედი მექნება, რომელიც კონსულობისკენ გზას გამიხსნის, - ასე უპასუხა თავის მეგობრებს.

ასეა თუ ისე, კეისარმა უარით ქვა და მის მაგივრად არჩევნების დღეს თოვლივით თეთრი ტოგით გამოცხადდა მარკუს ლიცინიუს კრასუსი. ისევე გაუმაძღარმა პატივმოყვრულობაში, როგორც ფულისა, კრასუსმა გადაწყვიტა, კანდიდატად

გამოსულიყო სიცილიის პრეტორის თანამდებობაზე და დაედგა დაფნის გვირგვინი თავზე, რაც ამდენი წელია, პომპეუსს უმკობდა შუბლს.

მარკუს კრასუსი იმ დროს ორმოცი წლისა იქნებოდა. ის იბრძოდა სულას უფროსობით ჯერ სამოქალაქო ომის დროს, მერე ამბოხების წინააღმდეგ და გამოიჩინა არა მარტო იშვიათი სიმამაცე, აგრეთვე შესანიშნავი სამხედრო ნიჭიც.

მისი გამოსვლა ფორუმზე ძალიან მოეწონათ და საერთო აღტაცებით დაუხვდნენ, რითაც დიდ ნდობას უცხადებდნენ ამ მღელვარებასა და საშიშროებაში და იმედს ამყარებდნენ გლადიატორების წინააღმდეგ ომში.

კრასუსმათავისი არჩევის მოერე დღესვე გამოსცა ედიქტი, რომლითაც იარაღის აღებისკენ მოუწოდებდა მოქალაქეებს სპარტაკის წინააღმდეგ საბრძოლველად. საგანგებო განაჩენით, სენატი ჰპირდებოდა დიდ ჯილდოს სულასა და მარიუსის ძველ ვეტერანებს, რომლებიც თავისი ნებით ისურვებდნენ სიცილიის პრეტორის ჯარში შესვლას.

ამ განაჩენმა და კრასუსის ედიქტმა ერთად აღადგინა რომაელ მოქალაქეთა დაცემული სული და აღძრა ყველგან იმედი. თვით დიდი ჩამომავლობის გვარის ახალგაზრდელბიც კი ეწერებოდნენ კრასუსის ლეგიონებში.

კრასუსი არაჩვეულებრივი ენერგიით შეუდგა თავისი ჯარის შექმნას. ამოირჩია კვესტორად და ტრიბუნებად სამხედრო საქმეში გამოცდილიები, მიუხედავად მათი თანამდებობისა. კვესტორად დანიშნა პუბლიუს ელიუს სკროფა - ტიბურტინელი მემამულე, თერთმეტ ომსა და ასოცდაათ შეტაკებას გამოვლილი. ოცდაორი ჭრილობით, მრავალი ჯილდოთი და გვირგვინით დასაჩუქრებული.

კრასუსი თავისი ფეხით ეახლა ძველ მეომარს სათხოვნელად, რომ მონაწილეობა მიეღო გლადიატორების გამანადგურებელ ომში. სკროფა ააღელვა კრასუსის მოსვლამ და ხალისით დაეთანხმა მისი ჯარის კვესტორობაზე. დატოვა მშვიდი ცხოვრება, ტიბურტინის გორაკები და გაჰყვა კრასუსს რომში.

რამდენიმე დღის შემდეგ კრასუსი თავისი შტაბით და რომის ლეგიონებით გავიდა ქალაქიდან თავისი მეომრების ნათესავებისა და გამხიარულებული ბრბოს თანხლებით. პრეტორს თან მიჰყვებოდა არა მხოლოდ ლოცვა-კურთხევა, არამედ სამხსვერპლო საქონლის შიგნეულზე მრჩეველი კარუსპიკების აზრით, მათდამი კეთილად განწყობილი ღმერთების მფარველობაც.

პირველი ლეგიონი შედგებოდა ორი კოჰორტისგან, ათასამდე რჩეული მეომრით. ესენი იყვნენ მდიდარი ოჯახების შვილები, რომელთაც ისურვეს კრასუსს გაჰყოლოდნენ უბრალო ჯარისკაცებად. მათ შორის იყვნენ: მარკუს პორციუს კატონი, ტიტუს ლუკრეციუს კარუსი, გაიუს ლონგინუს კასიუსი, აფუსტუსი, სულას ვაჟი, ანიუს მილონი, კორნელიუს ლენტულუს კრუსუსი, პუბლიუს ვატინიუსი, კოსინიუს რებილიუსი, ვიბიუს პანსა, მარციუს ცენზორინი, ნორბანუს ფლაკუსი, გნეუს აზინიუს პოლიონი და სხვა კონსულები და აგრეთვე ასობით ახალგაზრდა მხედართა ოჯახიდან.

ამ ყმაწვილების ნათესავებმა, მეგობრებმა და კლიენტებმა მილვიუმის ხიდამდე მიაცილეს კრასუსის ლეგიონები, სადაც ჯარი ფლამინიუსის გზიდან კასიუსის გზაზე გადავიდა და დაიძრა ბაკანისკენ.

ორი დღის შემდეგ მიაღწია ოტრიკულუმს, სადაც დაბანაკდა იმ გადაწყვეტილებით, რომ

გაეწრთვნა ჯარი და აქ დაეცვა რომი გლადიატორთა თავდასხმისაგან, თუ სპარტაკი უმბრიიდან წამოვიდოდა, ან პიცენტთა მაზრას გამოივლიდა.

თითქმის მთელი თვე ორი ჯარი იდგა ერთმანეთის პირდაპირ სრულიად უსაქმოდ, რომაელები - ოტრიკულუმში, გლადიატორები - არეტიუმში. სწვრთნიდნენ თავიანთ ჯარს, იგონებდნენ ახალ გეგმებსა და ახალ სამხედრო ხრიკებს.

როდესაცსპარტაკის აზრით მოვიდა მოქმედების დრო. მან უბრძანა ქარიშხლიან, ბნელ ღამეში აეშალათ ბანაკი და ქარიშხლის წყალობით შეუმჩნევლად გავიდა ლაშქრად. იარა მთელი ის ღამე და თითქმის მთელი მეორე დღე და მივიდა დაღამებაზე იგუვიუმში. აქედან მას აზრად ჰქონდა კამერინუმსა და სკულუმზე გავლით წასულიყო პირდაპირ რომზე იმ განზრახვით, რომ სრულებით მოულდნელად გაჩენილიყო მის გალავანთან, სანამ კრასუსი მის წასვლას გაიგებდა. სპარტაკმა თითქმის მთელი ცხენოსანი ჯარი დატოვა არეტიუმის ბანაკში და უბრძანა, მოეკრიბათ ადგილობრივი მცხოვრებლებისგან ხორაგეული უწინდებურად სამოცი ათასი კაცისთვის. სპარტაკი იმედოვნებდა, რომ ამას შეატყობინებდნენ კრასუსსა და შეცდომაში შეიყვანდნენ.

ამასობაში თრაკიელი საჯაროდ მიიწევდა აპენინზე. მისი ჯარი დღეში ოცდახუთოცდაათ მილს

გადიოდა. გაიარა პიცენტების მხარე და გაეშურა რომისაკენ, რომლის გალავანსაც მოულოდნელად უნდა მისდგომოდა, თუ მარკუს კრასუსი იმის სტრატეგიულ გეგმებს ვერ გაიგებდა.

გლადიატორების ჯარის წასვლიდან სამი დღის შემდეგ კრასუსმა, დარწმუნებულმა იმაში, რომ მტერი არ გამოდიოდა თავისი საფარიდან, გადაწყვიტა, შეეტია და ამით ბოლო მოეღო ომისათვის.

გავიდა ოტრიკულუმიდან და საჩქაროდ გასწია არეტიუმზე, რადგან პირველი ის მიხვდა, რომ სპარტაკთან ბრძოლისათვის საჭირო იყო მოქმედება მისივე ხერხით - სისწრაფით. მეოთხე დღეს კრასუსი უკვე გაუსწორდა პირდაპირ გლადიატორების ბანაკს და გაგზავნა მის დასაზვერავ ცხენოსანთა ერთი რაზმი. როგორი იყო კრასუსის გაოცება, როდესაც მზვერავებმა აცნობეს, რომ მივიდნენ თვით თხრილამდე და დარწმუნდნენ, რომ გლადიატორების ბანაკში ხორციელი არ ჭაჭანებდა.

მართლაც, როგორც ჰქონდა სპარტაკისგან ნაბრძანები, მამილიუსი, ცხენოსანთა ჯარის უფროსი, როცა შეიტყო რომაელების მიახლოვება, წინა ღამესვე გავიდა ბანაკიდან და ახლა ეშურებოდა გლადიატორების ჯარის უმთავრეს ძალასთან შეერთებას. კრასუსი მალე

დარწმუნდა, რომ მტრის ცხენოსანთა ჯარი გაემგზავრა იგუვიუმისკენ, რომელზეც რამდენიმე დღის წინ თვითონ სპარტაკმა გაიარა.

კარგი სარდლის შორს გამჭვრეტელობით მიუხვდა კრასუსი მტერს განზრახვას და მაშინვე იპოვა სახსარი თავისი შეცდომის გამოსწორებისა. სპარტაკი მიდიოდა აპენინის მთების აღმოსავლეთის ფერდობების გასწვრივ. კრასუსმა კი რომისაკენ გადაწყვიტა საჩქაროდ დაბრუნება იმავე მთების დასავლეთის ფერდობის გასწვრივ, რადგან სპარტაკს უნდა ევლო უსწორმასწორო გზით, მაშინ, როდესაც კრასუსი მიდიოდა თითქმის სწორი გზით. ამ უკანასკნელს სრული საშუალება ჰქონდა დაკარგული დროის მოგებისა.

ხუთი დღის მეტისმეტად ჩქარი სიარულის შემდეგ, კრასუსი მივიდა რეატუმში, სადაც ერთ დღეს დაასვენა თავისი დაქანცული ჯარი.

სპარტაკიიმ დროს მივიდა კლიტერნუმთან, ფუცინის ტბასთან, მაგრამ აქ იძულებული გახდა, გაჩერებულიყო უეცარი თავსხმა წვიმისაგან მდინარე ველინის ადიდების მიზეზით. მთელი ერთი დღე მოანდომა სპარტაკმა მოტივტივე ხიდით გაცურვა და მთელი მეორე დღეც - გადასვლას. ამასობაში კრასუსმა, რომელიც აითათასიან ცხენოსან ჯარს გზავნიდა ბანაკის გარეთ დასაზვერავად, შეიტყო, რომ სპარტაკი კლიტერნუმს უახლოვდებოდა და მოიხმო ერთი

თავისი საუკეთესო წინამძღოლთაგანი, ავლიუს მუმიუსი და უბრძანა სამი ლეგიონით გადასვლა მდინარე ველინზე, რეატუმის ახლოს და შემდეგ მდინარის პირაღმა წასვლა ავეცანამდე; საითკენაც უნდა დაძრულიყო აგრეთვე სპარტაკიც. თვითონ კრასუს განზრახვა ჰქონოდა უმთავრესი ძალით წასულიყო იმავე მდინარის მეორე მხარის აღმა და, როცა გააღწევდა სწორედ იმავე ალაგას, სადაც გადავიდა სპარტაკი, დასცემოდა ზურგიდან იმ დროს, როდესაც მას პირდაპირ შეეჯახებოდა ავლიუს მუმიუსი. ამის მისაღწევად მუმიუსს სასტიკად ჰქონდა ნაბრძანები, არავითარ შემთხვევაში არ შებრძოლებოდა გლადიატორებს იქამდე, სანამ არ შეიტყობდა, რომ კრასუსი უკვე გადავიდა მეორე ნაპირას და მიდის გლადიატორებზე უკანიდან დასაცემად.

მუმიუსმა ზედმიწევნით აასრულა თავისი უფროსის ბრძანება და მეორე დღეს გათენებისას მივიდა ავეცანაში, მაგრამ იქ დასვენებაც ვერ შეძლო, რადგან ყოველ წამს სპარტაკის მოსვლას მოელოდნენ.

მუმიუსმა ყური არ ათხოვა თავისი მეომრების დაღლილობას, მაშინვე დაადგა ისევ გზას და მიეფარა აპენინის ხეობაში, სადაც მთის პატარა სოფელ სუბლაკვემში დაიჭირა მიუდგომელი ადგილი, იმ აზრით, რომ მეორე დილით ისევ გზას გასდგომოდა.

მაგრამ მუმიუსის ლეგიონების უფროსები შეიყარნენ მის კარავში და დაუწყეს რჩევა, ესარგებლა შემთხვევით და დაემარცხებინა სპარტაკი ამ ვიწრო ხეობაში, სადაც ის ვერ შეძლებდა თავისი ჯარის რიცხვით უმეტესობით სარგებლობას. ეხვეწებოდნენ მუმიუსს, მოეცადა გლადიატორებისათვის და თავთავიანთი ლეგიონების სახელით ჰპირდებოდნენ სრულ და ბრწყინვალე გამარჯვებას.

ამ დაპირებამ შეაცდინა ავლიუს მუმიუსი და უბრძანა საომრად მომზადება. გლადიატორები მალე მოახლოვდნენ და გაჩაღდა ომი. როცა დარწმუნდა სპარტაკი, რომ არ შეიძლებოდა მთელი ძალის გაშლა, რომაელებზე გაგზავნა მხოლოდ ორი ლეგიონი და შემდეგ შეაგროვა ერთად მოისრენი და მეშურდულენი და უბრძანა აცოცებულიყვნენ ხეობის ფერდობზე და როცა შემოუვლიდნენ რომაელებს, დასცემოდნენ ზურგიდან.

იშვიათში თავგამოდებით გაექანა ქვეითი ჯარი სპარტაკის ბრძანების ასასრულებლად და სამი საათის შემდეგ მუმიუსის ლეგიონები, გლადიატორების მეცამეტე და მეთოთხმეტე ლეგიონებთან მძვინვარე ბრძოლაში გართულები, დიდად გაოცდნენ და ელდა ეცათ, როდესაც დაინახეს, რომ მთების ყველა წვერი დაჭერილი იყო მტრის მოისრეებისა და მეშურდულეების მიერ, რომლებიც ისროდნენ აუარებელ სათხედებს, ისრებს და მძიმე ქვებს. თავზარი დაეცა მუმიუსის ჯარს, დაყარა იარაღი, ფარები და გაიქცა.

გლადიატორები გამოეკიდნენ გაქცეულებს და მოჰფინეს მთელი ხეობა მათი გვამებით. მსუბუქად შეიარაღებული ქვეითები ხტებოდნენ ყოველი კლდიდან, ყოველი ნაპრალიდან. შვიდი ათასზე მეტი რომაელი მოკვდა ამ საზარელ ბრძოლაში.

20. მარგანუმის ბრძოლიდან კრიკსის დასაფლავებამდე

მიუხედავად იმისა, რომ რომაელების დამარცხება სუბლაკვემთან ასეთი სრული იყო და გლადიატორების გამარჯვება - ძალიან აშკარა, ამ ბრძოლამ არც კრასუსს მოუტანა მნიშვნელოვანი ზარალი და არც სპარტაკს - მნიშვნელოვანი სარგებლობა. იმ დროს, როდესაც სპარტაკი მთელი თავისი ძალით გაქცეულებზე გამოკიდებას აპირებდა, სპარტაკისაგან არიერგარდში დატოვებულმა მამილიუსმა, რათა თვალი ედევნებინა კრასუსისათვის, შეატყობინა, რომ რომის სარდალი უმთავრესი ძალით გადავიდა მდინარე ველინზე და მოდის სპარტაკზე. რასაკვირველია, აღარ შეიძლებოდა რომზე გალაშქრება და კრასუსის უკან დატოვება. ამიტომ იმ საღამოსვე გავიდა სპარტაკი სუბლაკვემიდან, მივიდა ლირისში და გაბრუნდა კამპანიისაკენ იმ განზრახვით, რომ რომის მოშორებით გაეტყუებინა მოწინააღმდეგე, რადგან კრასუსს შეეძლო იქიდან მიეღო ახალი დახმარება და იქ დაემარცხებინა რომაელები.

რაც შეეხება კრასუსს, არეტიუმიდან გავიდა იმავე დღეს, საღამოს, როდესაც სპარტაკი დაიძრა სუბლაკვემიდან, ამიტომ მხოლოდ მეორე დღეს შეიტყო მან ავლიუს მუმიუსის დამარცხება.

დიდად განრისხდა კრასუსი მუმიუსის თავნებობაზე და ლეგიონებზედაც, რომლებიც სამარცხვინოდ გაქცეოდნენ გლადიატორებს. მისმა მრისხანებამ უფრო იმძლავრა მაშინ, როდესაც შეიტყო, რომ რომში გაქცეულებს აღეძრათ საერთო ალიაქოთი და გაბრაზება კრასუსის მიმართ, რომაელთა ჯარების ახალი დამარცხების ამბის მიტანით. კრასუსმა სენატის დამშვიდება შეძლო წაგებული ომის ნამდვილი მიზეზის აღწერით და ამასთანავე სთხოვდა გაქცეულების უკან დაბრუნებას ბანაკში.

რამდენიმე დღის შემდეგ მივიდნენ ისინი დაღონებულები, შერცხვენილები. მაშინ კრასუსმა უბრძანა თავის ლეგიონებს გარსშემორტყმოდნენ პრეტორიუმს და შიგ ჩააყენა უიარაღო, სირცხვილით შეწუხებული გაქცეულები.

შემდეგ კრასუსმა წარმოთქვა მჭევრმეტყველური სიტყვა, რომლითაც სასტიკად და შეუბრალებლად დაუყენა თვალწინ, რამდენად სამარცხვინო იყო მათი საქციელი, რა ზარალი მიაყენეს სამშობლოს და რა ლაქა მოსცხეს რომის დროშებს, რომლებსაც მთელი ქვეყანა ძლევამოსილად შემოევლო. მოუწოდა, გაეფანტათ სულელური შიში, რომლის წყალობითაც მთელ იტალიაში სამ წელს თავისუფლად დასეირნობდნენ გლადიატორების, საძულველი მონების რაზმები, მამაცები და ძლიერები არა თავიანთი საქმეებით, არამედ რომის ლეგიონების სილაჩრის წყალობით, ლეგიონების, რომელთაც ოდესღაც სახელი გაითქვეს უძლეველობით, ახლა კი მთელი ქვეყნის სასაცილოდ გამხდარიყვნენ.

- სენატმა მე ამომირჩია, - დააბოლოვა მან, - რომ ბოლო მომეღო ამ ომისათვის, რომელმაც, ჩვენდა სამარცხვინოდ, სამს წელიწადს გასტანა, და ბოლოს მოვუღებ კიდეც. თუ სამშობლოს სიყვარული და მოვალეობის გრძნობა არ კმარა, რომ თქვენ შეგაჩეროთ აჯანყებული მონების წინ, მაშინ სიმამაცეს ჩაგინერგავთ შიშითა და

მკაცრი სასჯელით. ვაცხადებ, რომ ყოველ ლეგიონერს, რომელიც მტერს გაექცევა და ზურგს მიუშვერს, მიესჯება თავის მოკვეთა, რასაც იშვიათ შემთხვევაში ჩვენი წინაპრები მიმართავდნენ ხოლმე. პირველად ეს წესი შემოიღო აპიუს კლავდიუსმა, 304 წელს რომის ქორონიკონით. უკვე ორი საუკუნეა არა ყოფილა ამ ზომის გამოყენების სამწუხარო შემთხვევა, მაგრამ რახან თქვენ ზურგს უშვერთ მტერს და თან სამარცხვინოდ ყრით იარაღს, ვფიცავ ოლიმპოს ღმერთებს, დავიწყებ დასჯას და დავიწყებ დღეიდან ამ ცხრა ათასი ლაჩრით, რომლებიც ახლა თავჩაღუნულები დგანან აქ სირცხვილისა და დაგვიანებული მონანიების ცრემლებით.

თუმცა ბევრი სთხოვეს მისმა საყვარელმა ტრიბუნებმა და მის ჯარში მყოფმა ურიცხვმა პატრიციებმა, მაგრამ კრასუსი შეურყეველი იყო და უბრძანა დაუყვნებლივ ეყარათ კენჭი.

ყველა ათეულიდან კენჭით არჩევდნენ თითოს და გადასცემდნენ მას ლიქტორებს, რომლებიც უბედურს ჯერ ჯოხით სცემდნენ და მერე მოჰკვეთდნენ თავს.

ამ სასჯელმა, მით უმეტეს საზარელმა, რომ ხშირად სწორედ ის მეომრები იღუპებოდნენ, რომლებიც ღირსეულად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, საშინელი მწუხარება გამოიწვია იქ დამსწრე ლეგიონებს შორის.

ამ საშინელი ხოცვის დროს, როდესაც რამდენიმე საათში თავი მოჰკვეთეს ცხრაას ჯარისკაცს, მოხდა რამდენიმე შემაძრწუნებელი შემთხვევა. სხვისი სილაჩრისათვის სჯიდნენ მუმიუსის მამაც ხუთსა თუ ექვს ლეგიონერს, რომელთა გმირობაც სუბლაკვემთან ყველას ენაზე ეკერა. ამ ხუთსა თუ ექვს ყველასაგან დატირებულ მამაცთა შორის დიდი სიბრალული აღძრა ოცი წლის ყრმის, ემილიუს გლაბრიონის ხვედრმა. ის ვაჟკაცურად ეწინააღმდეგებოდა გლადიატორების მოწოლას, პირველ წყებებში მებრძოლი; ორი ჭრილობის მიუხედვად, უკანასკნელ წამამდე დარჩა თავის ადგილას და ამხნევებდა ამხანაგებს. მხოლოდ საერთო გაცქევის დროს ბრბომ ისიც გაიტაცა. ეს ყველამ იცოდა და ხმამაღლა აცხადებდნენ ჯარის წინ. მაგრამ კენჭი მშეხვდა მას და უნდა მომკვდარიყო.

საერთო გოდებისას მამაცი ყრმა მივიდა კრასუსთან და თუმცა მომაკვდავის ფერი ედო, მაგრამ მტკიცე ხმით უთხრა:

- სასჯელი, რომელსაც შენ გვაყენებ, არათუ სასარგებლოა რესპუბლიკის კეთილდღეობისთვის,

აგრეთვე სრული სამართლიანიცაა, რადგან ჩვენმა ლეგიონებმა სამარცხვინო გაქცევით დაიმსახურეს. წილი მე მხვდა და უნდა მოვკვდე. მაგრამ, როგორც შენც იცი, მარკუს კრასუს, და ჩემმა ამხანაგებმა იციან და ამოწმებენ კიდეც, მე არ ვიყავ ლაჩარი, ვიბრძოდი ისე, როგორც ეკუთვნის რომაელს და არ დამიტოვებია ჩემი ადგილი ჭრილობების მიუხედავად, რომელთაც შენც ხედავ, - ამ დროს მან უჩვენა თავისი გული და ასწია მაღლა მარცხენა ხელი, შეხვეული დასისხლიანებული შესახვევით, - ამიტომ გთხოვ, როგორც მოწყალებას, ლიქტორის ჯოხი ნუ შებილწავს ჩემს მხრებს, სანამ ცული თავს მომკვეთდეს! პრეტორთან მყოფნი ტიროდნენ და თვითონაც კი ვერ დაფარა დიდი მღელვარება.

- შენს თხოვნაზე თანახმა ვარ, კეთილშობილო ყრმავ, - უპასუხა კრასუსმა, - და გული მწყდება, რომ არ შემიძლია გაჩუქო სიცოცხლე, რომლის ღირსიც ხარ.

-

ბრძოლისველზე მტრის ხელით სიკვდილი, თუ აქ, პრეტორიუმზე, ლიქტორის ხელით - ჩემთვის სულ ერთია, ოღონდ კი ჩემმა სიკვდილმა სარგებლობა მოუტანოს სამშობლოს. მხოლოდ იცოდეს ყველამ, იცოდეს დედაჩემმა, რომში იცოდეს ხალხმა და სენატმა, რომ მე ლაჩარი არ ვიყავი და ისე მოვკვდი, რომ ჩემს პატიოსნებას ლაქა არ მოსცხებია.

- არა, არა, შენ არ მოკვდები, მამაცო ბიჭო! - თქვა ერთ-ერთმა მეომარმა, რომელიც გამოვიდა მუმიუსის ლეგიონების წყებებიდან და გაექანა პრეტორისკენ.

- ღირსეულო კრასუს! - წარმოთქვა მან ცრემლებისგან აკანკალებული ხმით, - მე ვარ ვალერიუს ატალუსი, რომის მოქალაქე და მეორე ლეგიონის მესამე კოჰორტის მეომარი, რომელიც მონაწილეობას იღებდა სუბლაკვემის ომში. მე ვიდექი ამ ყრმის გვერდით და ვხედავდი, რა მამაცურად იბრძოდა ეს დაჭრილი იმ დროს, როდესაც ჩვენ ყველანი გავიქეცით და ესეც თან წარვიტაცეთ. რადგან ლიქტორის ცულმა მეათეს უნდა მოჰკვეთოს თავი, ამიტომ მე მომკვეთონ, რადგან მე გავიქეცი, და არა ამ ყრმას, რომელიც, ვფიცავ რომის მფარველ ღმერთებს, ისე მოიქცა, როგორც ძველი დროის ნამდვილი რომაელი.

ამ მეომრის საქციელმა უფრო გააძლიერა საზოგადო მღელვარება. ატალუსს და გლაბრიონს შორის კამათი იმაზე, თუ რომელი უნდა გამხდარიყო სიკვდილის მსხვერპლი, მაგრამ კრასუსი დარჩა შეურყეველი და გლაბრიონი გადასცეს ლიქტორს.

დაიწყო ლეგიონებში უფრო ხმამაღალი ტირილი და კვნესა

პრეტორის შეუბრალებელი გადაწყვეტილების გამო. მაშინ ემილიუს

გლაბრიონმა მიმართა თავის ამხანაგებს და უთხრა:

- თუ მართლა გეცოდებით, თუ მართლა უსამართლოდ მიგაჩნიათ ჩემი სიკვდილი და გინდათ ბედნიერება მომანიჭოთ უკანასკნელ წამებში, შემომფიცეთ ღმერთების სახელით, რომ სიკდვილს არჩევთ ყველანი, ვიდრე კიდევ გაექცეთ საზიზღარ მონებს!

- ვფიცავთ, ფიცავთ! - შეჰყვირეს დამნაშავე ლეგიონებმა.

- ვფიცავთ ღმერთებს! - წამოიძახა, როგორც ერთმა კაცმა, სამოცი ათასის ხმამ.

- დიდებული ღმერთები რომზე ხელს არ აიღებენ! მე ვკვდები დამშვიდებული! -თქვა ბედკრულმა ყრმამ და მიუშვირა ცულს თავისი გადაღეღილი კისერი.

მარჯვედ და სასწრაფოდ მოჰკვეთა მას ლიქტორმა ხუჭუჭთმიანი თავი, რომელიც სისხლში ამოსვრილი გადაგორდა მიწაზე, ელდისა და მწუხარების საერთო ყვირილში. მარკუს კრასუსი იქით მიბრუნდა, რომ ლოყებზე გადმოდენილი ცრემლები დაეფარა.

როცა დასჯილების ცხრაასი გვამი დაასაფლავეს, მარკუს კრასუსი აიშალა ბანაკიდან და დაიძრა სპარტაკისაკენ, რომელიც რომზე პირდაპირ შეტევის შეუძლებლობაში დარწმუნებული,

-

კამპანიისა და სამნიუმის გავლით მიეშურებოდა აპულიისაკენ, რომ რაც შეიძლებოდა, შორს გაეტყუებინა კრასუსი რომიდან, რათა აქედან ყოველ წუთს მოსალოდნელი არ ყოფილიყო დამხმარე ძალის მიღება. იმედოვნებდა, თავზარს დასცემდა კრასუსს, საბოლოოდ გაანადგურებდა მის ლეგიონებს და ტიბრისკენ წავიდოდა.

სპარტაკი მიიწევდა ძალიან სწრაფად, მაგრამ არანაკლებ მიიწევდნენ კრასუსის ლეგიონებიც, რომლებიც დასჯის შემდეგ მოთმინებით იტანდნენ ყოველგვარ სიძნელესა და ახალი ბრძოლები სწყუროდათ.

მეთხუთმეტე დღეს პრეტორი მივიდა სიპონტთან. სადაც უკვე უცდიდა მას სპარტაკი, ქალაქის შორიახლოს. აპრებსა და სიპონტს შორის დაბანაკებული.

კრასუსმაც უბრძანა, გაეშალათ კარვები, შემოათხარათ გარს განიერი თხრილი და დაუწყო ლოდინი ბედნიერ შემთხვევას, რომ დაეწყო ომი.

უკვე სამ დღეს იდგა ორივე ჯარი ერთმანეთის პირდაპირ. მეოთხე დღეს შუაღამე გადაცილებული იყო და ყველას ეძინა რომაელების ბანაკში, რომ კრასუსსის ერთმა კონტუბერნალთაგანმა გააღვიძა ის და მოახსენა, რომ გლადიატორებისაგან გამოგზავნილ ვიღაც შიკრიკს სურს შენთან დაუყოვნებლივ მოლაპარაკება ძალიან საჭირო საქმეზეო.

კრასუსი ყოველთვის თავშეკავებული ძილსა და ჭამაში, მაშინვე წამოდგა და უბრძანა, შემოეყვანათ გლადიატორი.

შიკრიკი არც თუ მაღალი ტანისა იყო, საუცხოო ჯავშანი ეცვა, თავზე მუზარადი ეხურა ჩამოშვებული ზუჩით. კრასუსის დანახვაზე აიწია ზუჩი და პრეტორმა დაინახა ქალის ფერმკრთალი სახე. ეს იყო ევტიპიდა, თავისი მეომარი ძმების გასაცემად მისული.

- ვერა მცნობ, მარკუს ლიცინიუს კრასუს? - ჰკითხა მან დაცინვით.

- მგონი, სადღაც მინახავხარ, - ბუტბუტებდა პრეტორი და თან ცდილობდა, მოეგონებინა ამ ნაცნობი ადამიანის სახელი, - დიდებულო ღმერთებო! - შეჰყვირა მან უცებ, - შენ ხომ ვაჟი კი არა, ქალი ხარ? ნუთუ შენა ხარ?

- მალე დაგვიწყებია შენ ევტიპიდას კოცნა, რომელიც არც ერთ მამაკაცს არ დაუვიწყია ჯერ!

- ევტიპიდა! - გაიოცა კრასუსმა, - შენ აქ როგორ მოხვედი? ეგ ტანისამოსი რად გაცვია?

მაგრამ კრასუსმა უეცრად უკან დაიხია, ეჭვით დაიკრიბა გულზე ხელები და მიაპყრო ქალს იმ წამს რაღაც უცნაური ცეცხლით მოელვარე თავისი ჭროღა თვალები.

- თუ მოხვედი, რომ მახეში გამაბა, - მკაცრი ხმით უთხრა კრასუსმა, - მაშ წინდაწინვე გეუბნები, რომ მე არ ვარ არც კლოდიუსი, არც ვარინიუსი და არც ანფიდიუს ორესტი.

- მაგრამ მაინც საკმარისად შეუგნებელი კაცი ყოფილხარ! - ჩვეულებრივი შეუპოვრობით უპასუხა ბერძენმა ქალმა და დაცინვით შეავლო კრასუსს თვალი. შემდეგ ისარგებლა პრეტორის დაბნევით და დაუმატა:

- დიახ, მარკუს კრასუს, შენ უმდიდრესი კაცი ხარ რომაელებში, მაგრამ არა მგონია, რომ უჭკვიანესიც იყო.

მერე შენრა გინდა? რისთვისმოხვედი, თქვი დროზე!

ევტიპიდა ერთ წამს გაჩუმდა, თავი გადააქნია, მერე დაცინვის ღიმილით გადახედა რომაელ პრეტორს და უთხრა:

- მოდი და ამის შემდეგ სიკეთე უყავი კაცს! მე მოვედი, რომ დამარცხებისაგან დაგიფარო და ამის მაგივრად გამარჯვება მოგანიჭო და შენ კი ამგვარად მიიღე. არ მოველოდი შენგან ამას!

- მაშ, რაც გინდა, თქვი და გაათავე! ამიხსენი, რა გინდა! - უთხრა კრასუსმა, რადგან მოთმინება ეკარგებოდა

მაშინ ევტიპიდამ უამბო, რა მიზნით მივიდა მასთან. დარცხვეით უთხრა სპარტაკისადმი თავისი უსაზღვრო მძულვარების მიზეზი უამბო. თუ როგორ მოახერხა ენომაის ჩამოშორება სპარტაკისაგან, კონსულ გელიუსისგან ენომაის ორი ლეგიონის ამოწყვეტის შემდეგ, როგორ მოიპოვა გმირი ქალის სახელი და უსაზღვრო ნდობა გლადიატორებისა და მათი წინამძღოლისა და ახლა როგორ უნდოდა ესარგებლა კრიკსის კონტუბერნალობით, რომ რომაელებისთვის მიეცა საშუალება, საბოლოოდ მოესპოთ გლადიატორების ჯარი.

კრასუსი უსმენდა ევტიპიდას დიდი ყურადღებით და დაკვირვებულ თვალს არ აშორებდა. და როდესაც მან დაამთავრა თავისი სიტყვა, კრასუსმა წყნარად და მშვიდად უპასუხა:

- ეგ შენი ზღაპრები რომ ჩემი გაბმა იყოს იმავე სპარტაკის მახეში? ამაზე რას ფიქრობ, მშვენიერო ევტიპიდა? ვინ მითავდებებს, რომ შენ მართალს ამბობ?

- მე მოგცემ ჩემს თავს, როგორც მძევალს. კრასუსი ჩაფიქრდა ერთ წამს და მერე დაუმატა:

- იქნებ ესეც შენი ეშმაკობაა? იქნებ მზად ხარ, თავი გასწირო. ოღონდ კი მონების საქმემ გაიმარჯვოს?

- ვფიცავ მერკურს, - უპასუხა ევტიპიდამ, - შენ მეტისმეტად უნდობი ხარ. ეგ უგუნურებაა.

- სჯობია გადაჭარბებით უნდობი იყო, ვიდრე მეტად მინდობილი, - შენიშნა პრეტორმა. ევტიპიდას არაფერი უპასუხია, რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ უთხრა:

-

- იქნებ მაგაში მართალიც იყო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ყური კარგად დამიდგე, რასაც გეტყვი. უკვე გითხარი, რომ სრული ნდობა აქვთ ჩემი სპარტაკს, კრიკსსა და გლადიატორების სხვა წინამძღოლებს და ვიცი, რასაც გიპირებენ დასაღუპავად.

- მართლა? - ჰკითხა პრეტორმა ცოტა დაცინვით და უფრო ყურადღებით, - რა განზრახვა აქვთ, აბა ერთი მიამბე!

- ხვალ, დღისით სპარტაკი დიდის ამბით გავა ბანაკიდან გრანიკისა და არტორიქსის რვა ლეგიონითა და ცხენოსანთა ჯარით და დაიძვრება ბარლეთის გზით, ვითომც და პიცენტების მხარეში წასასვლელად. კრიკსი კი ოცდაათი ათასი მეომრით დარჩება სიპონტთან და გაავრცელებს ხმას ადგილობრივ მცხოვრებლებში, ვითომ ის ჩამოშორდა სპარტაკს, ერთმანეთში დიდი შუღლის მიზეზით. შენ როგორც შეიტყობ სპარტაკის წასვლას, მაშინვე დაეცემი კრიკსს. მაგრამ სანამ მასთან ბრძოლაში იქნები, სპარტაკი გამოხტება სიპონტის ტყიდან, სადაც შეფარებული იქნება და დაგეცემა უკნიდან, და როგორი მამაცნიც უნდა იყვნენ შენი ლეგიონები, აუცილებლად დამარცხდებიან.

- მაშ მაგას მიპირებენ ისინი? - შეჰყვირა კრასუსმა.

- დიახ, სწორედ მაგას!

- მაგრამ საქმე ის არის, გავებმები თუ არა მათ მახეში!

- გაებმებოდი, საბრალო კრასუს, გაებმებოდი უეჭველად, მე რომ არ შემეტყობინებინა შენთვის, - უთხრა ევტიპიდამ, - მაგრამ, გინდა უფრო მეტი? გინდა, რომ არა თუ არ გაება მათ მახეში, შენ თვითონ გააბა ისინი? გინდა, რომ დაამარცხო და გაწყვიტო ჯერ კრიკსის ოცდაათი ათასი

ლეგიონერი და მერე დაატყდე თავს მთელი შენი ძალით ორჯერ იმაზე ძლიერ სპარტაკს და გასრისო ის?

- აბა, როგორ უნდა მოვიქცე ამისთვის?

- ხვალ, გათენებისას აიშალე ბანაკიდან და წადი სიპონტზე. იქ სწორედ ისეთ დროს მიხვალ, როდესაც სპარტაკი იმაზე ძალიან დიდ მანძილზე - თხუთმეტ ან ოც მილზე იქნება. შემდეგ სპარტაკი მოუცდის ჩემს შეტყობინებას, რომ შენ დაიძარი ადგილიდან და გაები მახეში. სწორედ მე მაქვს მონდობილი შენზე თვალის დევნება. მე კი ვეტყვი სპარტაკს, რომ შენ ჯერ ისევ შენს ადგილას დგეხარ. შემდეგ მივიჭრები კრიკსთან და ვეტყვი, რომ სპარტაკმა უბრძანა წასვლა გარგანუმის მთისაკენ და ბრძოლა შენთან, სანამ შენ დაეცემი. როდესაც ამნაირად კრიკსი უფრო მეტად მოშორდება სპარტაკს, შენ დაესხმები მას და მოასწრებ გაწყვეტას უფრო ადრე, ვიდრე სპარტაკი შეძლებდეს მიშველებას. კიდევაც რომ გაიგოს შემთხვევით, რა განსაცდელი მოელის კრიკსს.

კრასუსი გაკვირვებით უცქეროდა ამ ბროოტ ქალს, რომელსაც ასე საფუძვლიანად და შორსმჭვრეტელობით შეედგინა ბრძოლის გეგმა, თუ უკეთესად არა, არც ნაკლებად, ვიდრე თვითონ კრასუსი შეძლებდა.

დიდხანს უცქეროდა იგი უხმოდ ევტიპიდას, რომელსაც ლოყები უხურდა მეტი აღელვებით და შემდეგ უცებ წარმოთქვა:

- ვფიცავ იუპიტერს, საშინელი დედაკაცი ყოფილხარ!

- ასეთი გამხადეს მამაკაცებმა, - გაცხარებით მიუგო ევტიპიდამ და მერე ენის ბორძიკით, მწარე ღიმილით, მაგრამ მშვიდად დაუმატა:

- საქმე ეგ კი არ არის, მითხარი, მოგწონს თუ არა ეს გეგმა?

- ჯოჯოხეთის სიღრმეშიც კი ვერ მოიგონებდნენ ამაზე მეტად ეშმაკურსა და საზარელს! მაგრამ გიმეორებ, სრული ნდობა არ მაქვს შენი. მართალსგეუბნებოდი, რომჭკუით ისეთი მდიდარი არ ხარ, როგორც ფულებით! თქვა ევტიპიდამ, - აბა განსაჯე, რას კარგავ, თუ გაიგონებ ჩემს რჩევას და ხვალ დილით ჯერ მზვერავებს გაგზავნი და მერე წახვალ სიპონტისკენ? ყოველ შემთხვევაში, ვთქვათ, მე გატყუებ და პირდაპირ შეხვდები იქ გლადიატორების მთელ ჯარს, განა ამისთვის არ მიდიხარ იქ? განა არ გინდა შეებრძოლო მას? მაშ რის უნდა გეშინოდეს, თუ მარტო ერთი კრიკსის მაგივრად შეხვდები ორივეს ერთად, კრიკსსაც და სპარტაკსაც?

- მართალი ხარ! - უპასუხა კრასუსმა.

- გარდა ამისა, როდესაც მოვახერხებ კრიკსის შეყვანას გარგანუმის მთისაკენ და სპარტაკის შეჩერებას თავის ადგილზე, მე მოვალ შენს ბანაკში და ხელში მოგცემ ჩემს თავს. გჯერა ახლა ჩემი?

- მჯერა, - უთხრა კრასუსმა, რომ დაფიქრდა ცოტას, - ანუ უკეთ რომ ვთქვა, მინდა, დავიჯერო. ყოველ შემთხვევაში, თუ შენი სიტყვები მართალი გამოდგა და მოგვიხერხდა ის, რაც ასე ეშმაკურად მოგიფიქრებია, უხვ ჯილდოს მიიღებ ჩემგან და უფრო მეტს - სენატისაგან, რომელსაც მე უეჭველად მოვახსენებ ამ სამსახურს, რომაელ ხალხს რომ გაუწიე.

- მიმიფურთხებია თქვენი ჯილდოებისთვის, თქვენი სენატისა და თქვენი რომაელი ხალხისთვის! - ზიზღით თქვა ევტიპიდამ. ამ დროს მისი მწვანე თვალები რაღაც ჯოჯოხეთური ელვარებით აენთნენ, - შენი გულისათვის, თქვენი სენატისა და ხალხისთვის კი არ შემოგთავაზე გამარჯვება, მარკუს კრასუს, ჩემი საკუთარი შურისძიების გამო. რაში მეპიტნავება თქვენი ჯილდოები, ოღონდ კი ჩემი თვალით დავინახო მომაკვდავი სპარტაკი, თავისი მახლობლების გვამებით გარშემორტყმული, ოღონდ კი ჩემი ფეხი დავაჭირო მის მოხრიალე გულს და დავტკბე მისი უკანასკნელი ტანჯვით!

უკანასკნელ სიტყვებზე ისეთი შესაზარი გახდა მისი სახე, თავალები კი ბოროტებისგან უელავდა, ტუჩები ისე უცახცახებდა და მის ხმაში ისეთი სიძულვილი და სისხლის წყურვილი ისმოდა, რომ კრასუსსაც ჟრუანტელმა დაუარა ტანში.

დაწვრილებით მოლაპარაკების შემდეგ ევტიპიდა გავიდა კარვიდან, შეჯდა ცხენზე და გლადიატორების ბანაკისკენ გააქროლა.

-

მეორე დღეს, ადრე დილით, კრასუსი დაიძრა სიპონტისკენ, წინ გაგზავნა ხუთი ათასი ცხენოსანი და უბრძანა, რომ ყურადღებით ეთვალიერებინათ ყოველი გორაკი, ყოველი ჭალა, რომ დარწმუნებულიყვნენ, ჩასაფრებული ხომ არ იყვნენ მათ უკან გლადიატორები.

ამავე დროს სპარტაკიც აიშალა ბანაკიდან რვა ლეგიონით და თითქმის მთელი თავისი ცხენოსანი ჯარით და გაემგზავრა ბარლეთისკენ, კრიკსი დანარჩენი ექვსი ლეგიონით დარჩა სიპონტთან და ამ მხარეს გავრცელდა ხმა, რომ სპარტაკსა და კრიკსს შორის დიდი შუღლის შემდეგ გლადიატორების ჯარი შუაზე გაიყო. ერთი აპირებდა რომის ლეგიონებზე დაცემას, მეორემ გადაწყვიტა ბენვენტოს გავლით წასვლა პირდაპირ რომზე. ეს ხმა იმდენად გაზვიადდა, რომ მალე მიაღწია კრასუსამდე.

„ჯერ მართლდება ევტიპიდასსიტყვები, - გაიფიქრა რომაელმა სარდალმა, - ეს კარგი ნიშანია მომავლისთვის“.

იმ დროს, როდესაც კრასუსის ჯარი გაუნძრევლად იდგა გარგანუმის მთის ფერდობებზე დაბურულ ტყეში, ევტიპიდა მიაქროლებდა ცხენს ბარლეთის გზით, რომ კრიკსის დანაბარები შეეტყობინებინა სპარტაკისათვის, რომაელები გავიდნენ ბანაკიდან და მახეში გაებნენ, საჩქაროდ დაბრუნდი სიპონტშიო.

როდესაც ევტიპიდა მივიდა სპარტაკთან, რომელიც თავისი ლეგიონებით გზის გაყოლებაზე, ტყიან ხევებში იყო ჩასაფრებული, მან აღშფოთებით ჰკითხა ქალს:

- რას იტყვი?

- კრასუსი ჯერ ისევ არ დაძრულა არპინიუმიდან, - უპასუხა ევტიპიდამ, - თუმცა მზვერავები გაგზავნეს თვით სიპონტამდე, მაგრამ ჩვენებმა შეატყობინეს კრიკსს, რომ რომაელთა ლეგიონები არც აპირებენ ბანაკიდან აშლას.

- ვფიცავ ღმერთებს, - წარმოთქვა სპარტაკმა, - ეს კრასუსი ბევრად უფრო ჭკვიანია, ვიდრე

მეგონა, - მერე ერთი წამის მოფიქრების შემდეგ მიუბრუნდა ევტიპიდას და უთხრა: - დაბრუნდი კრიკსთან და უთხარი, არ დაიძრას სიპონტიდან არავითარ შემთხვევაში. რომაელების დაცემაზე კი სამი კონტუბერნალი გამომიგზავნოს ერთიმეორეზე, საათის ყოველი ოცი წუთის შემდეგ. სამში ერთი მაინც მოვა ჩემთან. არ ვიცი, რათა... მაგრამ მე მგონია, კრასუსის ასეთი სიფრთხილე ცუდი ნიშანია. სპარტაკმა

რამდენჯერმე გადაისვა შუბლზე ხელი და ხელახლა ჰკითხა ევტიპიდას:

- სიპონტიდან მოსვლას რამდენ ხანს მოუნდი?

-ორ საათს.

- მთელ დროს მოაჭენებდი?

- შეგიძლია, დარწმუნდე, თუ შეხედავ ჩემს ცხენს. სპარტაკი ჩაფიქრდა ერთ წამს და მერე უთხრა:

- მაშ დაბრუნდი ჭენებითვე! ევტიპიდამ თავი დაუკრა სპარტაკს, გააბრუნა ცხენი და გააქროლა სიპონტისკენ.

გადასცა კრიკსს, რომ სპარტაკმა უბრძანა გასულიყო სიპონტიდან და წასულიყო გარგანუმის მთისკენ, სადაც მოხერხებულ ადგილს დაიკავებდა.

როდესაც ევტიპიდა კრიკსის ბანაკში მივიდა, ჯერ გათენებული არ იყო, ამიტომ რაკი მაშინვე უბრძანა ჯარს დაუყოვნებლივ მომზადება გასასვლელად, გალს შეეძლო გალაშქრება მზის ამოსვლისთანავე.

ოთხი საათის მგზავრობის შემდეგ მან მიაღწია მაღალ გარგანუმის მთას, საიდანაც გადაშლილი იყო უსაზღვრო ადრიატიკის ზღვა, რომელზედაც აქა-იქ დაცურავდნენ მეთევზეების თეთრი იალქნიანი ნავები.

როცა ადგილი დაათვალიერა კრიკსმა დასაბანაკებლად და ამ მთის ამორჩევა გადაწყვიტა, გასცა კიდეც შესაფერისი განკარგულება, უეცრად მისი ჯარის წყებებში გაისმა ყვირილი: - რომაელები, რომაელები!

ესენი მართლა კრასუსის ლეგიონები იყვნენ, რომლებიც ევტიპიდას ღალატით მოდიოდნენ ერთისამად უფრო სუსტი გლადიატორების რაზმზე.

მაგრამ ამ მოულოდნელ დაცემაზე კრიკსი არ შემკრთალა, მშვიდად და აუჩქარებლივ, როგორც ეკუთვნის კარგ სარდალს, დაიწყო საომრად მომზადება თავისი ექვსი ლეგიონით. გამოიყვანა საომრად ოთხი ლეგიონი და ჩააყენა ისინი ვიწრო ადგილას, ორ ფრიალო მთას შორის, დანარჩენი ორი ლეგიონი რეზევრში დატოვა და გაჭიმა მარჯვნივ გორაკამდე, სადაც ბანაკის გაშლას აპირებდა, რომ გაემაგრებინა, თუ საჭირო იქნებოდა უფრო საშიში ადგილები. მარცხენა ფლანგი გაშალა ციცაბო, მიუვალ კლდესთან, რომელსაც ხმაურით ედგაფუნებოდა ზღვა.

რომის ექვსმა ლეგიონმა აღარ დააგვიანა და მეტისმეტად მძვინვარედ დაეცნენ გლადიატორებს.

მებრძოლთა გამხეცებულმა ყვირილმა, იარაღის წკრიალმა, დაჭრილთა და მომაკვდავთა კვნესა-გოდებამ დაარღვია ამ უბედური მთების საუკუნო სიჩუმე, დააფრთხო ფრინველნი და ტყის ნადირი და შეარყია მთელი არემარე. კრიკსი უვლიდა გლადიატორების წყებებს, კრასუსი - რომაელებისას და ორივენი მოკლედ და მტკიცე სიტყვებით ამხნევებდნენ და აქეზებდნენ თავიანთ მეომრებს. ორივე მხარე ერთნაირი მძვინვარებით იბრძოდა. მოწინააღმდეგენი ხოცავდნენ ერთმანეთს და ეცემოდნენ მიწაზე.

გლადიატორების ჯარის მარცხენა მხარეს არ დასცემიან რომაელები, იმიტომ რომ იმათ ლეგიონებს სიგანით ადგილი უფრო ნაკლები ეჭირათ, ვიდრე გლადიატორებს. ამნაირად, გლადიატორების მეოთხე ლეგიონის სამი ათასი კაცი გაცხარებული ომის უქმი მაყურებელი იყო. რომ ვეღარ შეაკავა თავისი მეომრების მოუთმენლობა, სამნიტი ონაციუსი, ამ ლეგიონის უფროსი, თვითონ ჩადუგა სათავეში ამ ექვს კოჰორტას და რომაელების მარჯვენა მხარეს ისეთი შეუკავებელი სისწრაფით დაეცა, რომ რომაელების განაპირა ლეგიონი მაშინვე სრულიად აირია; მაგრამ ეს გამარჯვება ხანგრძლივი არ იყო და არც საფუძვლიანი.

როცა დაინახა დამარცხება ბოლო ლეგიონის, მისმა უფროსმა კვესტორმა სკროფამ, ჰკრა დეზი ცხენს და მიიჭრა იმ ადგილას, სადაც რეზერვად იდგა რომაელების ცხენოსანთა ჯარი, და უბრძანა გნეუს კვინტუსს, დასცემოდა შვიდი ათასი მხედრით გლადიატორების მარცხენა ფრთას, რომელიც დარჩენილიყო დაუცველად ონაციუსის კეთილი განზრახვის მიუხედავად, რომ შემოევლო მტრისათვის მარცხენა ფრთიდან და ზურგში მოქცეოდა. რომაელები ერთ წუთში შემოერტყნენ უკნიდან მეოთხე ლეგიონს და ლუკმა-ლუკმა აკუწავდნენ, კრიკსს დროზე რომ არ შეემჩნია და არ მიეგებებინა რეზერვში დატოვებული ლეგიონი.

იმავე დროს ექვსი ათასი მეშურდულე და ორი ლეგიონი კრასუსმა გაგზავნა კრიკსის მარჯვენა ფრთისაკენ. ქარივით გააქროლეს ცხენები ბორცვს უკან მდებარე მწვერვალისკენ, სადაც

დაბანაკებულიყო გლადიატორთა რეზერვები, და ნახევარწრისებურად დაშვებულნი ელვის სისწრაფით დაესხნენ თავს მეხუთე და მეექვსე ლეგიონებს: მაგრამ გლადიატორებმა გაშალეს თავიანთი მარჯვენა ფრთა, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ადგილმდებარეობა იძლეოდა, და შექმნეს ახალი საბრძოლო ხაზი. ამნაირად, გლადიატორთა ორივე ფრონტი სამკუთხედის გვერდებს წარმოადგენდა, რომლის ძირიც იყო ზღვა, წვერო და ბორცვი. გაიმართა გაცხარებული ბრძოლა.

კრასუსმა შეამჩნია მესემბრიუსის და ლივიუს გრანდენიუსის საუცხოო ხერხი, მეხუთე და მეექვსე ლეგიონების წინამძღოლებისა, და დარწმუნებულმა, რომ ასე ვერ შემოერტყმოდა მარჯვენა მხარეს გლადიატორებს, ისარგებლა ონაციუსის შეცდომით, რაც უკვე გამოეყენებინა სკროფას, და გაგზავნა მტრის დასახვედრად არა მარტო თავისი ცხენოსანი ჯარის ნარჩენები, ორი სხვა ლეგიონიც, რომ უკნიდან დასხმოდნენ თავს გლადიატორებს.

ენით გამოუთქმელი სიმამაცით იგერიებდა ოცდაათი ათასი გლადიატორი ოთხმოცი ათას რომაელს. სამ საათსაც არ გაევლო, რომ ორჯერ მომეტებული მტრით გარშემორტყმული კრიკსის ექვსი ლეგიონი განადგურებული იყო, მაგრამ გლადიატორები მაინც განაგრძობდნენ ბრძოლას სრულიად უიმედონი, მხოლოდ იმ ფიქრით, რომ ძვირად გაეყიდათ სიცოცხლე.

კიკსმა გადაწყვიტა ბრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე და თან იმედი ჰქონდა, რომ სპარტაკი მიეშველებოდა. მაგრამ როცა დაინახა თავისი მებრძოლების მეტი ნაწილის დაღუპვა, შეაყენა ცხენი - მესამე, რომელზედაც ის ჯდებოდა ამ რამდენიმე საათში, რადგან ორი უკვე მოუკლეს, მიაპყრო თვალი ცის დასავლის იმ ადგილს, საიდანაც უნდა გამოჩენილიყო სპარტაკი და თქვა აკანკალებული ხმით:

- სპარტაკ, შენ ვერ მოასწრებ ვერც ჩვენს დახსნას, ვერც სამაგიეროს გადახდას ჩვენი დაღუპვისათვის. საბრალო მეგობარო! რა დღე დაგადგება, როდესაც დაინახავ ოცდაათი ათასი შენი უგულადესი თანამებრძოლის გაწყვეტას.

შემდეგ მარცხენა ხელით ამოიწმინდა ცრემლი და მიმართა თავისთან მყოფ წინამძღოლებს და კონტუბერნალებს, რომელთა შორის დილიდანვე აღარ ჩანდა ევტიპიდა, და უთხრა:

- ძმებო, მოვიდა ჩვენი სიკვდილის დროც!

მაგრად ჩაბღუჯა ხელში მახვილი, მთლად მოსვრილი მისგან დახოცილი რომაელების სისხლით, შემოჰკრა ქუსლი ცხენს და ხუთიოდე თავისი მებრძოლით გააფთრებული ეცა რომაელების ბრბოს, რომელიც შემოხვეოდა რამდენიმე გლადიატორს და ისინი კი თავგანწირულობით იგერიებდნენ.

- ეჰეი, კვირიტებო, - ყვიროდა ხმამაღლა კრიკსი, - თქვენ მაშინ ხართ მამაცნი, როდესაც სამნი ხართ ერთის წინ! მაშ გამოდით, სიკვდილს არ ვუფრთხი!

ამავე დროს კრიკსი და მისი ოთხი კონტუბერნალი თელავდნენ ცხენებით და ხოცავდნენ რომაელების ლეგიონერებს, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ოთხმოცი თუ ოთხმოცდაათი იყვნენ, შიშით გაექცნენ ამ ერთ მუჭა გულადებს. რომაელ ლეგიონერთა მკწრივები შეირყა, უკანაც დაიხიეს, მაგრამ რახან უერთდებოდნენ ორორი, ოთხ-ოთხი, ათ-ათი ახალი მებრძოლები, თანდათან მჭიდრო რკალად ერტყმოდნენ გარს ამ ხუთ მამაცს. გარშემორტყმულნი ყოველი მხრიდან, ცხენებიდან გადმოვარდნილი და დაჭრილი გლადიატორები მაინც იგერიებდნენ მტრებს გამძვინვარებული თავგანწირვით. მაგრამ ლახვარდაცემულები წინიდან, უკანიდან, გვერდიდან, ყველანი მალე დაიხოცნენ. დაეცა კრიკსიც, რომელსაც ტანი მთლად დაფარული ჰქონდა ჭრილობებით, მაგრამ სიკვდილის წინ ის მიუბრუნდა რომაელს, რომელმაც ზურგში დაჰკრა, გაუტარა მკერდში მახვილი და მასთან ერთად დაეცა მიწაზე.

- არ აშოროს... ჩვეულებრივ... გამარჯვება შენს დროშებს... ოჰ, სპარტაკ!.. - წაიჩურჩულა ღირსეულმა გალმა და სული განუტევა.

ამ დროს ბრძოლით მიზიდული ლეგიონერების ახალი ბრბო გაექანა იმ შეტაკების ადგილისკენ. მომაკვდავი კრიკსის გარშემო შეიკრიბნენ მეომრები.

- დატკბი ამ დამარცხებით, სიკვდილო!

- ვფიცავ ღმერთებს, რომის მფარველებს, - წარმოთქვა ერთმა ძველმა მეომარმა, - რამდენი მიბრძოლია სულას წინამძღოლობით, მაგრამ ამისთანა მამაცი კაცის მნახველი არ ვარ!

- არც ამისთანა გაუტეხელისა, თვით მარიუსის დროს, როცა ტევტონებსა და კიმბრებს ვებრძოდით! - შენიშნა მეორემ.

- შეხედეთ, ამ წყეულმა ჩვენები რამდენი დახოცა! - შეჰყვირა მესამემ და უჩვენა დახოცილების ხროვა, რომლებიც მაღალი თხრილივით შემორტყმოდნენ უსულო გალის გვამს.

ასე დამთავრდა გარგანუმის საზარელი ბრძოლა, რომელშიც დაიხოცა ოცდაათი ათასი გლადიატორი და ათი ათასი რომაელი.

მხოლოდ რვაას კაცამდე, მეტ წილად მძიმედ დაჭრილები, ტყვედ ჩაუვარდნენ რომაელებს და

კრასუსმა უბრძანა ჯვარს ეცვათ ისინი დიდი გზის გასწვრივ. ნაშუადღევს მისცეს ნიშანი, რომ დაეწვათ რომაელთა გვამები და პრეტორმა ბრძანება გასცა, შეეტყობინებინათ ტრიბუნებისა და ცენტურიონებისათვის, რომ ლეგიონები და კოჰორტები მზად ყოფილიყვნენ სალაშქროდ, სანამ შუაღამე დადგებოდა.

იმ დროს კი სპარტაკი ენით გამოუთქმელი მოუსვენრობით მოელოდა მთელი დღე კრიკსის კონტუბერნალების მოსვლას, რომელთაც რომაელების თავდასხმა უნდა შეეტყობინებინათ. ბოლოს, რომ არავინ მოუვიდა, სპარტაკმა ერთი თავისი კონტუბერნალი გაგზავნა და თან გააყოლა მეორეც, თითო ას-ასი მხედრით, რომ

შეეტყო, რას ნიშნავდა ამისთანა გაუგებარი სიჩუმე. ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რომ მეტხანს ჩასაფრება არ შეეძლო, რადგან მხოლოდ ორი დღის საგზალი ჰქონდა.

როდესაც სპარტაკის პირველი კონტუბერნალი მივიდა სიპონტის ბანაკთან, ძალიან გაუკვირდა, რომ დაინახა ის სრულებით ცარიელი; არ იცოდა, რით აეხსნა ეს უცნაური გარემოება და გადაწყვიტა, დალოდებოდა მეორე კონტუბერნალის მოსვლას. მაგრამ, სანამ ისინი ჯერ ისევ ფიქრში იყვნენ, უეცრად გზაზე დაინახეს, რომ მათკენ მოაქროლებდა ცხენებს ორი მხედარი. ესენი იყვნენკონტუბერნალები, კრიკსისაგან სპარტაკთან გაგზავნილები რომაელთა დაცემის შესატყობინებლად და თხოვნით, რომ მალე მისულიყო, რადგან ევტიპიდას სიტყვებით კრიკსი

სრულებით დარწმუნებული იყო, რომ სპარტაკი მთელი თავისი ჯარით უკვე მიდიოდა მასთან მისაშველებლად.

ადვილი წარმოსადგენია კონტუბერნალების თავზარდაცემა, როდესაც ისინი ევტიპიდას ღალატში დარწმუნდნენ და მიხვდნენ კრიკსის საზარელ მდგომარეობას. ერთიღა დარჩენოდათ, - გაქანებულიყვნენ, რაც კი ძალა ჰქონდათ, სპარტაკთან და რაც შეიძლებოდა მალე გადაეცათ მისთვის ყველაფერი.

მაგრამ, როდესაც ისინი სპარტაკთან მიიჭრნენ, გარგანუმის ბრძოლა უკვე მთავრდებოდა.

- ჯოჯოხეთის ღმერთებო! - შეჰყვირა სპარტაკმა და გაფითრდა, რადგან თვალის დახმამხამებაში მიხვდა, თუ რა საშინელი შედეგი მოჰყვებოდა ევტიპიდას ღალატს. - ცხენები, ჩქარა! ცხენები! - დაუყვირა სპარტაკმა და თან შეახტა ცხენს, დაუძახა გრანიკს და აღელვებული ხმით უთხრა:

- ჩვენი რვა ლეგიონის წამოყვანას შენ განდობ... ყველამ ფრთები შეისხას... უკუღმართი დღეა დღევანდელი დღე ჩვენთვის! გამაგრდით, როგორც კლდე და ეშურეთ, ეშურეთ ყველა ღმერთების გულისათვის! კრიკსი კვდება! ოცდაათი ათასი ჩვენი ძმა იღუპება მტრის ხელით! მე

წინ გავექანები ცხენოსნებით! აბა, ეშურეთ, ფრთები შეისხით, გაფიცებთ რაც

წმიდათა წმიდა გაგაჩნიათ! ამ სიტყვებით ჩაუდგა თავში რვა ათას ცხენოსანს და

გააქროლა სიპონტის გზაზე.

საათნახევრის უსვენებლივ ჭენების შემდეგ, რა დროსაც მრავალი ცხენი დაუვარდათ გზაში, სპარტაკი მიიჭრა სიპონტთან და პირველად მას შემოეყარა შვიდი თუ რვა გლადიატორი, დაჭრილი, ღონემიხდილი, რომლებიც გარგანუმის მთის ერთ დაბურულ ტყეში გაქცეულიყვნენ და ამით გადარჩენოდნენ ამ ხოცვა-ჟლეტას.

- იუპიტერის გულისთვის, მითხარით, რა მოხდა?.. - ჰკითხა სპარტაკმა გულის ფანცქალით.

- დაგვამარცხეს... გაგვწყვიტეს... ჩვენი ლეგიონებისაგან ამ წამს აღარაფერი დარჩა გვამების გროვის მეტი.

- ოჰ, ჩემო უბედურო ძმებო, ოჰ, ჩემო საყვარელო კრიკს! - წამოიძახა სპარტაკმა, მიიფარა ხელები სახეზე და ხმამაღლა აქვითინდა

თავჩაღუნულები, დაძმარებულები იდგნენ ჯართუფროსები და კონტუბერნალები თავისი წინამძღოლის გარშემო და დიდხანს ვერავის გაებედა ამ უძლეველი კაცის ქვითინის შეწყვეტა. ბოლოს, მამილიუსი, კავალერიის უფროსი, მიუახლოვდა და წყნარად უთხრა:

- გამაგრდი ამ დიდ უბედურებაში, კეთილშობილო ჩვენო წინამძღოლო!

- ოჰ, კრიკს! ოჰ, ჩემო საყვარელოძმაო! - იმეორებდაცრემლებისგან სულშეგუბებული სპარტაკი. შემოხვია მამილიუსს კისერზე ხელი, თავი მხარზე დაადო და ისევ აქვითინდა.

ასე იდგა რამდენსამე წუთს. მერე ასწია ცრემლებით დანამული სახე და

თვალები ამოიმშრალა. სიჩუმე ჩამოვარდა.

- გამხნევდი, სპარტაკ! - უთხრა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მამილიუსმა, - და დანარჩენი რვა ლეგიონის გადარჩენაზე იფიქრე.

- მართალი ხარ! - თქვა სპარტაკმა და თან ცდილობდა გულის მობრუნებას. - შეიძლება, სამუდამოდ დავიღუპოთ... საშუალება უნდა ვიხმაროთ... არ უნდა გავუმართლოთ იმედები და ანგარიში იმ ჯოჯოხეთის მაშხალას!

სპარტაკი ჩაფიქრდა და რამდენსამე წამს მხოლოდ მისი მძიმე სუნთქვა ისმოდა და დაჟინებით მისჩერებოდა მთავარ ალაყაფს, მეზობელი ბანაკის ალაყაფის აქეთ.

- აუცილებლად საჭიროა მთებში ჩვენი წასვლა... იმ ომის შემდეგ, როდესაც რომაელებმა ამოწყვიტეს ჩვენი ძმები, კრასუსი ვეღარ შეძლებს ადგილიდან დაძვრას თავისი ლეგიონებით ათ-თორმეტ საათზე ადრე. საჭიროა ვისარგებლოთ ამ დროით, რომ გამოვაკეთოთ მდგომარეობა. შემდეგ მიუბრუნდა ერთ კონტუბერნალს და უბრძანა:

- გაქანდი კრანიკთან და უთხარი, რომ ახლავე უკან დააბრუნოს ლეგიონები...

როდესაც კონტუბერნალი წავიდა, სპარტაკმა აუხსნა მამილიუსს და სხვა წინამძღოლებს, რაში მდგომარეობდა მისი ახალი გეგმა.

მინერვიუმსა და ვენუსიაზე დღეში ოცდაათი მილის გავლით, მთის გზებით ლუკანიაში[151] მივიდნენ, სადაც მათ შეუერთდებოდნენ მონათა ახალი ბრბოები. თუ ამის შემდეგაც არ შეიძლებოდა კრასუსთან პირდაპირი ომის გაბედვა, შეცვივდებოდნენ ბრუტების მხარეში და

იქიდან გადავიდოდნენ სიცილიაში, სადაც ხელახლა გააღვივებდნენ მონათა ამბოხების ცეცხლს, რომელიც ჯერ კიდევ სრულიად არ ჩამქრალიყო.

როცა ნახევარი საათით დაასვენა დაქანცული ცხენები, სპარტაკმა უბრძანა უკან დაბრუნება და თან უბრძანა მხლებელთ, გარგანუმის სვრემისაგან გადარჩენილი რვა დაჭრილი გლადიატორი თავიანთ ცხენებზე შემოესვათ.

როცა დაბრუნდა თავის ლეგიონებთან, სპარტაკმა გაიხმო გრანიკი და გადასცა მას თავისი გეგმა, რომელიც ძალიან მოიწონა ნიჭიერმა ილირიელმა. შემდეგ ჩააბარა მას მთელი ჯარის უფროსობა, მისცა რამდენიმე საყურადღებო დარიგება და უთხრა, რომ თვითონ სამასი მხედრით უნდოდა როგორმე გარგანუმის მთასთან მისვლა კრიკსის გვამის საპოვნელად და მიწისთვის ღირსეულად მისაბარებლად.

ამაოდ ცდილობდა გრანიკი, რომ დაეშალა ეს საფრთხილო მოგზაურობა იმის თქმით, რომ არა გაქვს უფლება შენი თავის გაწირვისა, რადგან მეთაური და სულისჩამდგმელი ხარ ჩვენი წმიდა და მძიმე საქმისაო.

- მე არ დავიღუპები, - ეუბნებოდა სპარტაკი, - ამაშიდარწმუნებული ვარ. სამიოდე დღის

შემდეგ ჩვენ აპენინის მთასთან შევიყრებით. თუ მაინცდამაინც დაღუპვა მიწერია, მაშინ შენ მეყოლები, კეთილშობილო, დიდსულოვანო გრანიკ, ჩემო ღირსეული მოადგილე.

გრანიკის ვერანაირმა ჩაგონებამ ვერ დაარღვია მისი გადაწყვეტილება. სპარტაკი გამოეთხოვა გრანიკსა და არტორიქსს, უბრძანა, შეესრულებინა კეთილშობილი ილირიელის ყველა დავალება. არაფერი უთხრა მირცას, რომელიც ჩააბარა თავის მეგობრებს და მალე მიეფარა მახლობელ გორაკებს.

საღამოზე სპარტაკი მივიდა სიპონტთან და მაშინვე გაგზავნა წინ რამდენიმე მზვერავი, რომ დაეთვალიერებინათ ადგილი და მტრის მდგომარეობა. როდესაც მზვერავები კარგი ამბით დაბრუნდნენ, უბრძანა თავის მხედრებს, ცხენებიდან ჩამომხტარიყვნენ, აღვირით წაეყვანათ ცხენები და გაუძღვა წინ სიპონტის გზის პირას, დაბურულ ტყეში. რამდენიმე საათის მძიმე მოგზაურობის შემდეგ, რა დროსაც რამდენჯერმე მახვილის აღებაც კი დასჭირდათ, რომ გარეულ ბუჩქებში გაეკვალათ გზა, ბოლოს რაზმი მივიდა ერთ მოტიტვლებულ ადგილს, სადაც შეშის მჭრელების რამდენიმე ქოხი იდგა.

სპარტაკმა პირველადვე იმ ხალხის დატყვევებაზე იზრუნა, რომ არ შეეტყობინებინათ რომაელებისათვის მისი აქ ყოფნა. მეტი სიფრთხილისათვის უბრძანა, ცეცხლიც ჩაექროთ, იმიტომ რომ კვამლს შეეძლო რომაელების ყურადღება მიექცია.

როგორც ეგონა სპარტაკს, სწორედ ისე მოხდა. თორმეტ საათს გარგანუმის სერების შორიახლოს გაჩერების შემდეგ კრასუსმა თავისი ჯარი უკანვე დააბრუნა სიპონტისკენ, ცხადია, იმ აზრით, რომ სპარტაკს დასცემოდა, ექვსი ლეგიონის დაკარგვით შესუსტებულს. შუაღამის შემდეგ, სიცივისაგან გაყინულმა გლადიატორებმა მალე გაიგონეს დიდი გზიდან ცხენების ფეხის ხმა და ხმამაღალი, განუწყვეტელი გუგუნი. გამარჯვებით გაამაყებული რომაელები სრულებით მოურიდებლად მიდიოდნენ დიდ გზაზე, დარწმუნებულნი, რომ მტერი შორს იყო.

მხოლოდ მტრის ასეთი ხმამაღალი მხიარულების წყალობით გადარჩნენ გლადიატორები, რადგან მათმა ცხენებმა ჭიხვინი დაიწყეს რომაელების ცხენოსანთა ჯარის მოახლოვებაზე და ამით უსათუოდ გამოააშკარავებდნენ მათ ყოფნას ჭალაში.

მზე ამოსული იყო, როდესაც რომაელების უკანა წყებების მხედრები მიეფარნენ გარგანუმის მთას. ფერდაკარგულ, სულიერად დაცემულ სპარტაკს შეეძლო გამოსულიყო ტყიდან თავისი სამასი მხედრით. ორი საათის სწრაფი სიარულის შემდეგ თვალწინ წარმოუდგათ უშველებელი მინდორი გარგანუმის მთიდან ზღვამდე გადაჭიმული, სადაც წინა დღეს ბრძოლა იყო.

გული ჩაეთუთქა სპარტაკს და თვალთ დაუბნელდა ამ საზარელ სანახაობაზე. ოცდაათი ათასი გვამი იყო გაფანტული თვალაუწვდენელ მინდორზე, თითქმის თვით ზღვის პირამდე.

უზარმაზარ კოცონებს ჯერ ისევ კვამლი ასდიოდა და ჰაერში დამწვარი ხორცის სუნი ტრიალებდა, რაც იმას ამტკიცებდა, რომ არც რომაელები იყვნენ ნაკლებად დაზარალებულნი. ამწყვდიადიდასაზარელი ველის დანახვამ, სადაც ამ ცოტა ხანში სიცოცხლე წყაროსავით ჩქეფდა და ახლა კი ჩუმი, შეუბრალებელი სიკვდილი სუფევდა, თრაკიელის გულში უსაშინლესი ეჭვები აღძრა: კარგად მოიქცა თუ არა, რომ ამოდენა ხალხი სიცოცხლეს განაშორა, მართალია ტანჯულსა და საზიზღარს, მაგრამ მაინც სიცოცხლეს, მხოლოდ იმიტომ, რომ სიკვდილის პირისთვის მიეცა ისინი?

ეს დამტანჯველი კითხვა რკინის არტაშანივით უწურავდა გულს. უნდოდა ეკვნესა, ეყვირა აუტანელი ტკივილისაგან. რომ აღარ იცოდა, საით გაქცეოდა თავის საკუთარ ფიქრებს, შემოჰკრა ქუსლი ცხენს და გაექანა ბრძოლის ველზე. მიაჭენებდა იქამდე, სანამ დახოცილების გროვებმა არ შეაჩერეს. მაშინ ჩამოხტა ცხენიდან, რაზმის ნახევარსაც უბრძანა ჩამოხტომა, დაუტოვა ცხენები ამხანაგებს და წავიდა ფეხით. შემაძრწუნებელი სანახაობა წარმოუდგა თვალწინ: ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა თავისი მეგობრების ან ნაცნობების გაყვითლებულ, შეშლილ, დამახინჯებულ სახეებს. ერთ კუთხეში მან დაინახა მხიარული ეპიკურეელი თესალონიუსი, ახლა პირქვე დავარდნილი, ღია ჭრილობით მარჯვენა ფერდში და ჯერ ისევ მაგრად ჩაბღუჯული მახვილით ხელში. შემდეგ ძლივს იცნო ბრეზოვირი, გულში რვა თუ ათ მახვილდარჭობილი, ცხადია, ცხენებისაგან გაქელილი, რადგან თავი ნალით ჰქონდა

ჩაჭყლეტილი. შემდეგ ეგდო, დახოცილი მტრების გროვაში თითქმის ჩამარხული, მეექვსე ლეგიონის უფროსი, სამნიტი ლივიუს გრანდენიუსი, და მის ახლოს ონაციუსი და გალი კასტი, მესამე ლეგიონის უფროსი, რომელსაც ჯერ ისევ პირში სული ედგა. რომ გაიგონეს მისი სუსტი კვნესა, გლადიატორები მისცვივდნენ და ხელში აყვანილი მიიყვანეს ამხანაგებთან, სადაც მას მიეპატრონენ და ყოველნაირად მოუარეს.

ორ საათამდე დაჰყო სპარტაკმა ამ სიკვდილის ველზე და ბოლოს იპოვა დასახიჩრებული, თითქმის ასო-ასო აკუწული კრიკსის გვამი. მარტო პირისახე ჰქონდა შეუშლელი და სიკვდილის შემდეგაც შეენახა შეუდრეკელი ვაჟკაცობის გამომეტყველება, რაც მას ხასიათად ჰქონდა სიცოცხლეში.

მის დანახვაზე, სპარტაკს გული ჩაეთუთქა ტკივილისა და სიბრალულისგან, დაემხო თავისი მეგობრის გვამზე, ჰკოცნიდა სახეზე და ტრილით ამბობდა:

- ოჰ, ჩემო დაუვიწყარო კრიკს! ღალატის მსხვერპლი გახდი, დაიღუპე შორს ჩემგან და ვერ მოვასწარი ვერც შენი მოშველება და ვერც მტრისთვის სამაგიეროს გადახდა. ჩემო კეთილშობილო, საყვარელო კრიკს!

სპარტაკი გაჩუმდა და თან გულში იხუტებდა ერთ მოკლული გლადიატორის ერთ დროს ძლიერ ხელს. მერე უცებ თავი აიღო მაღლა და სიბრაზით შეგუბებული ხმით წარმოთქვა:

- ვფიცავ მაღალ ღმერთებს, ვფიცავ შავ ჰეკათას, ვფიცავ ამ შენს უსულო გვამს, რომ შეუბრალებლად გადავუხდი საშინელ დამნაშავეს, თუგინდ ჯოჯოხეთის ქვესკნელში დაიმალოს, შენი და ოცდაათი ათასი ჩვენი ძმის უდროოდ ბოლოს მოღების გამო. ვფიცავ ყველა ღმერთს, რომ შენს სულს სიმშვიდე მოვუპოვო, შენს კოცონთან მსხვერპლად შევწირო ყველაზე გამოჩენილი და მამაცი სამასი რომაელი.

წამოდგა მრისხანედ ანთებული თვალებით, ასწია თავი მაღლა და ხელები ცისკენ აღაპყრო. სისხლში ამოსვრილი კიკსის გვამი ხელებზე გადაისვენა და წაიღო ზღვისაკენ, სადაც გახადა გასისხლიანებული ტანსაცმელი, დაჭრილი აბჯარი, კარგად მოჰბანაჭრილობები, გაახვია თავისსაკუთარ თალხ ტოგაში, აბჯარს რომ უფარავდა, და ბრძანა, წაეღოთ იქ, სადაც დანარჩენი მხედრები ელოდნენ თავიანთი ცხენებით.

კასტი ძალიან მძიმედ იყო დაჭრილი, ცხენით მისი წაყვანა ციცაბო გზებზე არ შეიძლებოდა და ამიტომ სიპონტის მახლობლად პატრიცის ერთ სახლში მიაბარეს. მასპინძელმა, ვინც პატივისცემით იყო გამსჭვალული გლადიატორებისადმი, აღუთქვა დაჭრილის მოვლა. მერე

გულმოდგინებით შეხვეული კრიკსის სხეული სპარტაკმა დააკრა ერთ-ერთ თავის ცხენს, რომელიც თავად მოჰყავდა ლაგამით და მთელი რაზმი დაიძრა გერდონიუმისკენ.

არპამდე რომ მივიდა, სპარტაკმა შეიტყო, რომ კრასუსი მთელი თავისი ჯარით წასულიყო კანასაკენ და ამიტომ მაშინვე გადაწყვიტა კონსულის გზიდან გადახვევა და გერდონიუმში წასვლა. მაგრამ ის ჯერ არ გასულიყო არპიდან, რომ თვალწინ წარმოუდგა საზარელი სანახაობა: კონსულის გზაზე ჩარიგებულ ხეებზე სათითაოდ ეკიდნენ ჩამოხრჩობილები. ესენი იყვნენ გლადიატორები, გარგანუმის ომის დროს ტყვედ წაყვანილები. სულ რვაასი კაცი იყო.

რისხვისაგან დამახინჯებულის სახით შესცქეროდა სპარტაკი ამ ახალ სამარცხვინო სანახაობას. მიხვდა, რომ ყოველ განაპირა სოფელში გლადიატორის ცხედარი ეკიდა.

ჩამოხრჩობილებში სპარტაკმა იცნო თავისი თანამემამულე, თრაკიელი მესემბრიუსი, მთლად სისხლში ამოსვრილლი და ჭრილობებით დაფარული. ამ საზარელ სანახავზე სპარტაკმა ხელები მიიფარა თვალებზე, კბილები დააკრაჭუნა და დაიღმუვლა სიმწრისგან. შემოჰკრა ცხენს დეზი, რათა სწრაფად გასცლოდა ამ საზარელ სანახაობას, და შესძახა:

- ოჰ, მარკუს კრასუს! შენ არ ერიდები ახალ ცოდვებს. ვფიცავ ღმერთებს, რომაელებისგან უნდა

ვისწავლო ჯარის წინამძღოლობა! ვფიცავ, ვისწავლი კიდეც! ოჰ, გამჭრიახო პრეტორო! ჯვარს ვაცვამ ტყვედ ჩავარდნილ შენს ლეგიონერებს! რამდენიმე ხანს დუმდა, მერე მგრგვინავი ხმით დაიყვირა:

- იქნებ გლადიატორებს უკანონოებად გვთვლით! ჩვენ მხეცები, საცოდავი, სასაკლაოზე გარეკილი საქონელი ვართ. ჩვენთვის კანონები არ არსებობს, რახან ხალხად არ გვთვლიან! ვფიცავ ყოვლის მშთანთქმელ ჯოჯოხეთის ცეცხლს, ასეც იქნება! გლადიატორები რომაელებს გამოვაცხადებთ უკანონოებად და ისე მოვექცევით, როგორც ქეციან ძაღლებს. ცრემლი ცრემლის წილ, სისხლი სისხლის წილ, სიკვდილი სიკვდილის წილ!

არ დაზოგეს ცხენები. მიდიოდნენ მთელი ღამის განმავლობაში და როდესაც გერდონიუმში მივიდნენ, შეიტყვეს, რომ გლადიატორების ჯარმა უკვე გაიარა ასკულუმზე.

გახარებულნი მიესალმნენ გლადიატორები თავის წინამძღოლს, იმედი კვლავ აენთო მათ გულებში. ცოტათი შეისვენეს აქ და ჯარი გაუდგა გზას და შუაღამისას მივიდა მინერვიუმთან.

მეორე დღეს, რიჟრაჟზე, სპარტრაკმაუბრძანა ბანაკიდან აყრა და ხელახლა გაუძღვა თავის ჯარს აპენინის მთების ცივსა და მიყრუებულ ვიწროებზე.

კრასუსმა კი ამ დროს აჩქარებული სიარულით გაიარა არპი, კანა, კანუზიუმი, მივიდა რუბამდე, სადაც მისი მთვარი შტაბი იყო, და უბრძანა კვესტორ სკროფას ოთხი ლეგიონთი და ხუთი ათასი ცხენოსნით ვენუსიას წასულიყო ერთი გზით, მეორე გზით თვითონ უნდა მისულიყო იქ.

ამავე დროს მან რომში წერილი გაგზავნა თავისი ბრწყინვალე გამარჯვების შესატყობინებლად, რომლის მნიშვნელობასაც მეტად აზვიადებდა და უცხადებდა, რომ გლადიატორები სრულიად შერცხვენილები გაიქცნენ ლუკანიაში, სადაც იმედი ჰქონდა, ძალიან მოკლე ხანში სრულებით გაესრისა ისინი თავისი ლეგიონებით.

როცა ვენუსიაში მივიდა, სპარტაკმა დაასვენა თავისი ჯარი ორ დღეს და როცა შეიტყო თავისი მზვერავებისგან მოწინააღმდეგის მდგომარეობა, ღამე ჩუმად აიშალა ბანაკიდან და თვრამეტი საათის თითქმის შეუსვენებელი სიარულის შემდეგ მოულოდნელად მივიდა რუბთან, სადაც დაბანაკებული იყო მარკუს კრასუსი. სპარტაკმა მიაფარა თავისი ჯარი ტყიან ადგილს ღრმა ხრამის ძირში და ექვსი საათის დასვენების შემდეგ უეცრად დაეცა რომაელებს, რომლებიც ამას სრულებით არ მოელოდნენ.

შურისძიების წყურვილით გამხნევებული გლადიატორები ისეთი სიმძვინვარით იბრძოდნენ,

რომ სამი საათის ბრძოლის შემდეგ რომის ლეგიონერებმა არევ-დარევით დაიხიეს უკან ანდრიაში და დატოვეს ექვსი ათასი კაცი დახოცილი და სამი ათასი - ტყვე.

რვა საათის შემდეგ სპარტაკი გრავინუმზე გავლით გაემგზავრა მეტაპონტუმისკენ და თან უბრძანა გზის პირას ჩამოეხრჩოთ ორი ათას ექვსასი კაცი იმ სამი ათას დატყვევებულებში, რომლებიც უკანასკნელი ომიდან წამოიყვანეს. დანარჩენი ოთხასი, თითქმის სულ პატრიცის გვარისანი, ცოცხლები დაეტოვებინა რაღაც მიზნით, რომელიც მან იმ დღეს არავის უთხრა. ერთი ყმაწვილი ამ პატრიცთაგან სპარტაკმა კრასუსს გაუგზავნა, რომ ეამბა მისთვის, როგორ მოექცა რომაელების ტყვეებს და გამოუცხადა, რომ კვლავაც ასე მოექცეოდა მათ. გარდა ამისა, დააბარა, გადაეცა, რომ თანახმა არის ოთხას პატრიცში ასი კაცი გაუშვას, თუ ის ევტიპიდას მისცემდა, რომელიც უეჭველია, რომის ბანაკში იმყოფებოდა.

შემდეგ სპარტაკი გაუდგა ისევ გზას და რამდენიმე დღის მგზავრობის შემდეგ მივიდა გამაგრებულ ქალაქ ტურიუმში, რომელიც იერიშით აიღო და გადაწყვიტა მონების ახალი ლეგიონების მისვლისთვის ეცადა.

მართლაც, რვა დღის განმავლობაში მასთან მივიდნენ თექვსმეტი ათასი მონა და გლადიატორი ახლომახლო ქალაქებიდან. რადგან დრო არ ჰქონდა, შეესწავლებინა მათთვის სამხედრო წესები,

სპარტაკმა ისინი თავის ლეგიონებში გაანაწილა, ასე რომ, თითოეულს გარს ერტყნენ ძველი მეომრები, სამხედრო საქმის მცოდნენი და ასე შექმნა ოთხი ლეგიონი.

როცა გარგანუმთან დამარცხებით განადგურებული ჯარი შეავსო თორმეტ ლეგიონამდე (თვითეულ ლეგიონში შედიოდა ოთხი ათას შვიდასი მებრძოლი, მათი საერთორიცხვი შეადგენდა ორმოცდათექვსმეტი ათას ქვეითსა და რვა ათას ცხენოსანს), გაიყვანა ქალაქგარეთ, მიიყვანა უზარმაზარ კოცონთან, რომელზედაც სურნელებით შემურვილი კრიკსის გვამი ესვენა და უბრძანა შუაგულ წრეში შეეყვანათ რომაელების სამასი ტყვე; ნახევარი მათგან ჩაცმული იყო სამნიტებად, მეორე ნახევარი - თრაკიელებად.

სირცხვილისგან სახეზე მკვდრისფერი ედოთ ახალგაზრდა რომაელებს. თავები დაეხარათ, ზოგიერთები უხმოდ ტიროდნენ სასოწარკვეთილნი და გაბოროტებულნი.

როდესაც ისინი ერთმანეთის პირდაპირ ჩამწკრივდნენ, საიმპერატორო მანტიაში გამოწყობილმა, ამაღლებულ ადგილზე მდგომმა, მრისხანებისგან გაფითრებულმა და აცახცახებულმა სპარტაკმა შემდეგი სიტყვით მიმართა მათ:

- კეთილშობილო ყრმანო! თქვენ ეკუთვნით წარჩინებულ პატრიციების ოჯახებს, მთელ

ქვეყანაზე განთქმულებს ძარცვით, ღალატით, ქალაქების დაწვით და ძალადობით. ცრემლებით, სისხლით, ხალხთა ხოცვით. მათ უკვდავყვეს რომის დიდება. თქვენ გადაწყვიტეთ აღება თქვენი ნაზი ხელებისთვის მეტად მძიმე მახვილის, აღება, რომ თქვენი სუსტი ღონე სულმდაბალ, საზიზღარ გლადიატორებთან გამოგეცადათ. მაგრამ მოძულებული მონები თქვენზე ღონიერები და მამაცები გამოდგნენ, თქვენ ომისთვის არ ვარგიხართ და აბა, მაშ გლადიატორული ხოცვით გაგვართეთ. იმდენჯერ დამტკბარხართ თქვენი დიდსულოვანი ქალაქის ცირკებში ამ საცოდავი, ადამიანის მსგავსი პირუტყვების ერთმანეთის ხოცვის ცქერით, იმდენჯერ

აგიშვერიათ თითი მაღლა, რომ დაგენახათ, როგორ მოეღებოდა ბოლო უბედურ მირმილიონს, ბადეში გაბმულ რეციარის, და აბა მაშ ერთხელ მაინც გაართეთ ისინი, რომლებიც თქვენ მთელ სიცოცხლეში გართობდნენ, დაიწყეთ ომი, ხოცეთ ერთმანეთი და დაიხოცენით ამ დამცირებული და საზიზღარი გლადიატორის კოცონის გარშემო. მის სულს ესიამოვნება ელიზიუმიდან ამ ხოცვა-ჟლეტის ცქერა.

აღტაცებით გამოწვეული ჭექა-ქუხილის მსგავსი გაშმაგებული ღრიალი გაისმა გლადიატორებში, როცა სპარტაკმა თავისი სიტყვა დაასრულა. თვალები აენთოთ მძვინვარე და უსაზღვრო სიხარულისგან. ეს დღე, ეს ომი გადაუხდიდა სამაგიეროს ყველა იმ დამცირებისა და სირცხვილისას, რომელიც მათ გადაუტანიათ თავის თავზე ძმის მკვლელობით, რაც მათ მოვალეობად ჰქონდათ დაკისრებული.

სპარტაკის აზრი იყო დიდმნიშვნელოვანი, დიდებული: შეუბრალებელი დამჩაგვრელების მიერ მტვრადქცეულების ფეხზე დაყენება, რომ ახლა ამათ დაეჭირებინათ ფეხი მათი ამაყი კისრისთვის; თავისი ადამიანური ღირსების აღდგენა და ამასთან მტანჯველების საზიზღარ პირუტყვებად გადაქცევა, რომ მათ გასართობად დახოცილიყვნენ; ერთხელ მაინც სიცოცხლეში იმის ცქერით დატკბობა, თუ როგორ, გაწყვეტდნენ ერთმანეთს ისინი, ვინც აქამდე სხვისი ამოწყვეტით ტკბებოდნენ; ერთი წუთით როლების შეცვლა და ამაყი პატრიციების გლადიატორებად გადაქცევა, რომ მათი ხოცვით დამტკბარიყვნენ; შეესვათ მათი სამარცხვინო წამებით სიკვდილის სიტკბოება. ყველაფერი ეს საბრალო გლადიატორებისთვის რაღაც უდიდესი ბედნიერება იყო, თითქმის დაუჯერებელი, მიუღწეველი, სათაყვანებელი. ეს შურისძიება იყო სანეტარო, ღმერთების შესაფერი! შეუძლებელია იმ გამხეცებული ღრიალის, ტაშისა და აღტაცების აღწერა, რაც სპარტაკის სიტყვების პასუხად გაისმოდა. ეს იყო რაღაც აწყვეტა, ჭკუაზე შეშლა, ყველა დაჩაგრულის ბოდვა, რომელთაც დღევანდელი გამარჯვება ყველა გამარჯვებაზე უდიდესად მიაჩნდათ.

რომაელები, რომელთაგან ოცდაათი სენატორთა წოდების იყო, ასზე მეტი კი მხედართა ოჯახებს ეკუთვნოდნენ, არ ინძრეოდნენ ადგილიდან. თავჩაღუნულები, ნაღველითა და გულმოსულობით სახეზე შეშლილები, თვალცრემლიანები უღონო სიბრაზისგან, სამარცხვინო ბრძანების ასრულების არანაირ სურვილს არ აცხადებდნენ.

- აბა, რაღას ელით, ფლავიუსის, ფურიუსის, დუილიუსის, გენუციუსის, ფავნიუსის, ლივიუსის, მუციუსის და პროცილიუსის ღირსეულნო ჩამომავალნო! - იყვირა სპარტაკმა, - ამოიღეთ მახვილები და დაიწყეთ ომი! ჩვენ გართობა გვსურს, ვფიცავ იუპიტერს!

ამ სიტყვებით სპარტაკმა გამოართვა კონტუბერნალს ანთებული მაშხალა და მივიდა კოცონთან. მის მაგალითს მიჰყვნენ სხვა წინამძღოლნი, ტრიბუნები და ცენტურიონები.

ხმელ, ფისიან შეშას ტკაცატკუცი გაუდიოდა, მაგრამ რომაელები უწინდებურად არ იძვროდნენ ადგილიდან, რადგან ნებაყოფლობით არ სურდათ სამარცხვინო მორჩილება.

- აა! - მრისხანედ დაუყვირა სპარტაკმა, - თქვენ მხოლოდ გლადიატორების ომის ცქერა გიყვართ და საკუთარი ბრძოლა არ მოგწონთ? მაშ კარგი! ეჰეი! მომგვარეთ ლარარიები! - მიმართა თავის კონტუბერნალებს.

მაშინვე რამდენიმე კაცი გაექანა ახლომახლო სახლებში და ერთი წამის შემდეგ იქიდან გამოვარდა ცხრაასი გლადიატორი, შეიარაღებული გრძელი სარებით, გახურებული შუბებით, შემოარტყნენ გარს რომაელებს და დაუწყეს ამ რკინებით ჩხვლეტა და დაღვა. სამარცხვინო ძმის მკვლელობა ძალიან ეზიზღებოდათ, მაგრამ ერთმანეთზე გახურებული რკალით თანდათან

უფრო მიჭყლეტილი ახალგაზრდა პატრიციები იძულებული გახდნენ, ბოლოს ერთმანეთს სცემოდნენ და დაიწყეს მძვინვარე და მომაკვდინებელი ბრძოლა.

ყვირილი, ხარხარი, ტაშის ცემა, როგორც ქუხილი, ასე გაისმოდა გლადიატორების რაზმებში, რაც მათი შურისძიების სასიხარულო ნიშანი იყო.

- მოკალი, მოკალი!

- დაჰკა, დაჭერი!

- უჩხვლიტე, უჩხვლიტე!

- აგრე მაგას, აგრე!

- ყოჩაღ, ყოჩაღ!

- კიდევ, კიდევ!

- აკუწე, აკუწე, უჩხვლიტე!

სამოცდაოთხი ათასი კაცის გოდება, სამოცდაოთხი ათასი ხმა, სამოცდაოთხი ათასის წყევლა შეერთებული ერთ საშინელ ბღავილად, ერთ შესაზარ ღმუილად, ერთ გაცოფებულ შეჩვენებად...

ნახევარ საათში კოცონისგან მხოლოდ ფერფლიღა დარჩა და სამასი კეთილშობილი ყრმა მიწაზე სისხლის ტბაში ცურავდა კრიკსის კოცონთან.

- ოჰ, რა ტკბილი და სამართლიანი შურისძიებაა! - წარმოთქვა გამოუთქმელი სიამოვნებით სპარტაკმა, რომელსაც არც ერთი მოძრაობა არ გამოჰპარვია ამ შეტაკებაში.

21. სპარტაკი ლუკანელებს შორის. სხვებზე მონადირე საკუთარ მახეში გაბმული

- არა, მირცა, შენ უნდა გამომიტყდე ამ საშინელ საიდუმლოში, რომელსაც აგერ ორი წელიწადია, მიმალავ. თუ მცირედი მაინც სიბრალული გაქვს ჩემი, თუ ისევე დიდსულოვანი და კეთილშობილი ხარ, როგორც მშვენიერი, აღარ დამტანჯავ ამას იქით! აბა მითხარი, რატომ არ შეგიძლია ჩემი სიყვარული? რად უნდა გარბოდე ჩემგან? თუკი მეუბნები, რომ მეც ისეთივე ძვირფასი ვარ შენთვის, როგორც შენ - ჩემთვის? უნდა ვიცოდე, რისთვის ვიღუპები, ხომ ხედავ, რომ უშენოდ ვკვდები! ასე ეუბნებოდა კრიკსის დამარხვის ოცი დღის შემდეგ არტორიქსი მირცას.

გლადიატორების ბანაკი გადატანილი იყო ახლა ქალაქ გრუმენტუმში, სამხრეთ ლუკანიაში, საიდანაც სპარტაკთან მოვიდა მონებისა და გლადიატორების ახალი ბრბო და მისი ჯარის რიცხვი ახლა სამოცდათორმეტი ათას კაცამდე ავიდა, თითოეულ ლეგიონში ექვსი ათასი კაცით.

თვითონ სპარტაკი ორი ათასი ცხენოსნით გზის დასათვალიერებლად გაემგზავრა იმ აზრით, რომ მისულიყო ვულტურის მთამდე, საიდანაც, როგორც გავრცელდა ხმა, მოდიოდა კრასუსი სამოცდაათი ათასი რომაელით.

არტორიქსმა, რომელიც თავის გრძნობას ორ წელიწადს ებრძოდა, გადაწყვიტა, ესარგებლა წინამძღოლის იქ არ ყოფნით, რომ ეთქმევინებინა მირცასათვის გაუგებარი საიდუმლო, მათი სიყვარულის დაბრკოლება.

იმ დღიდან, რაც მირცა დაუმეგობრდა ევტიპიდას, მან ასწავლა იარაღის ხმარება. ცხენზე ჯდომა თვით სპარტაკმა ასწავლა გლადიატორების ამბოხების პირველ დღეებშივე, რომ საწყალ ქალს ფეხით სიარული არ მოსწეოდა, რახან მთელი დღეების განმავლობაში უწევდა ძნელი გზის გავლა.

როდესაც აჯანყებულები რავენასთან იყვნენ დაბანაკებულნი, მირცამ ძმისაგან მის ტანზე მორგებული ჯავშანი მიიღო, სწორედ ისეთი, როგორიც ევტიპიდას ჰქონდა. რაც ჯავშანი ჩაიცვა, ყმაწვილი ქალი აღარ იშორებდა მას, რახან იცოდა, რა საფრთხეც ემუქრებოდა ყოველდღე მის ძმას და გადაწყვიტა, გვერდიდან აღარ მოშორებოდა ბრძოლის დღეებშიც კი, რათა დახმარებოდა, რამდენადაც ღონე შესწევდა, ან მისი ხვედრი გაეზიარებინა.

იმ დროს, როცა არტორიქსმა გზა გადაუღობა თავისი ძმის კარავთან, მირცას მთელ ტანზე მომდგარი მუხლებამდე ჯავშანი ეცვა, ვერცხლივით ლაპლაპა, ხელს სამკლავე უფარავდა, მარცხენაში მსუბუქი, მრგვალი ბრინჯაოს ფარი ეჭირა. მარცხნივ საუცხოო, პატარა მახვილი ეკიდა, თავზე ვერცხლის ჩაჩქანი ეხურა ზუჩით.

ამ მორთულობაში უფრო გამოკვეთილიყო იმისი ლერწამივით მოქნილი ტანი. მის ფერმკრთალ, ქერა ხუჭუჭა თმით შემოგარსულ სახეს მწუხარების ბეჭედი ესვა. ამ

ჯავშანშიმირცაუფრო საუცხოო, უფრო ენერგიული ჩანდა, ვიდრე მისი მომხიბლავი, გარეგნობის დამამშვენებელი ქალის კაბაში.

- არტორიქს! ეს რას ნიშნავს? - წარმოთქვა ოდნავი საყვედურით ქალმა. მის ხმაში გაკირვება თუ საყვედური შეინიშნებოდა.

- განა შენ არ იცი? - უთხრა არტორიქსმა და თან ნაზად ჩასცქეროდა ყმაწვილ ქალს თვალებში, - მე შენ მიყვარხარ და არ შემიძლია უშენოდ სიცოცხლე! სპარტაკსაც ვუყვარვარ და დარწმუნებული ვარ, სიამოვნებით დათანხმდება ჩვენს დაქორწინებას.

რომ არავინ გიყვარს, ამაზე ხომ რამდენჯერ შემომფიცე? მაშ რადა ხარ აგრე გაჯიუტებული? იქნება მოგბეზრდი? თქვი! მიპასუხე!

- შენც მიპასუხე, - უთხრა ქალმა აღელვებული ხმით და კაცს სიყვარულით სავსე თველები მიაპყრო, - რატომ მოხვედი ხელახლა ჩემს დასატანჯად? განა არ მითქვამს შენთვის ათასჯერ, რომ არ შემიძლია შენი ცოლობა არასდროს, არასდროს!

- მერე რატომ, მითხარი, შენი ღმერთების გულისთვის! - შეჰყვირა გაფითრებულმა არტორიქსმა. ლურჯი თვალები ცრემლებით აევსო და ვეღარ იკავებდა. - მითხარი, რატომ? აი, ეს არის ჩემი თხოვნა. ადამიანს, რომელსაც შეეძლო უბედნიერესი ყოფილიყო ამქვეყნად, ხომ აქვს უფლება, გაიგოს მიზეზი, თუ რისთვის უნდა გახდეს უბედური მოკვდავებში, ვფიცავ გეზუს, იმის უფლება აქვს, გაიგოს, რატომ დაეშვა ბედნიერების მწვერვალიდან სასოწარკვეთილების უფსკრულში.

არტორიქსის დაწყლულებული გულის სიღრმიდან წარმოთქმულმა ამ სიტყვებმა, ძლიერმა და მგზნებარემ, დიდი შთაბეჭდილება იქონია მირცაზე. ყმაწვილი ქალი თავს დამარცხებულად თვლიდა, მთლად მოხიბლულად. სიყვარულის ნაპერწკლებით აენთნენ თვალები... ისეთი მგზნებარებით, ყოვლის დამმონავებელი გრძნობით შესცქეროდა არტორიქსს, რომ ყმაწვილ კაცს მთელ სხეულში ნეტარების ჟრუანტელი უვლიდა.

ორივენი თრთოლვას აეტანა ერთმანეთის ცქერაში, ერთ მომაჯადოებელ ძალას გაექვავებინა.

ასე იდგნენ რამდენსამე წუთს უხმოდ, გაუნძრევლად, სანამ ბოლოს არტორიქსმა არ დაარღვია მდუმარება. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ფერმკრთალ ლოყებზე და ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მთრთოლვარე, მისუსტებული ხმით ეუბნებოდა:

- გამიგონე, მირცა! მე არც ლაჩარი ვარ და არც სულმოკლე, ეს შენ იცი. ბრძოლაში მუდამ პირველი ვარ, უკან დახევისას კი - უკანასკნელი... ჩემი სული უდრეკია. მდაბალ, ქვენა გრძნობებს არასოდეს ავყოლივარ, განსაცდელისას სიცოცხლეს არ ვუფრთხილდები, სიკვდილისა არ მეშინია... იმაში ვხედავ ჩვენი სულების ნამდვილ სიცოცხლეს, როგორც დედაჩემი მასწავლიდა... მაგრამ ხედავ, მაინც ვტირი ბავშვივით...

მირცას თითქოს უნდოდა გაეწყვეტინებინა არტორიქსისთვის.

- ნუ მაწყვეტინებ, სათაყვანებელო, საღმერთებელო მირცა... დიახ, მე ვტირი და ეს ცრემლები ჩემი გულიდან მომდინარეობენ, ჩემი მგზნებარე სიყვარულის საწინდარია... ეს ცრემლები ნეტარების ცრემლებია... რომ იცოდე, რა ბედნიერი ვარ, როდესაც შენს ნაღვლიან, ლურჯ თვალებს, შენი ამაღლებული სულის სარკეს ჩავცქერი... ისინი სიყვარულითა და სინაზით შემომცქერიან. მირცამ იგრძნო, რომ ლოყები უხურდა. თვალები დახარა.
- ო, გაფიცებ, მირცა, - მღელვარებით წარმოთქვა ყმაწვილმა კაცმა და გულზე ხელები დაიკრიფა, თითქოს ლოცულობსო, - თუ სიბრალული გაგაჩნია, ნუ მომაკლებ ღვთაებრივ შუქს, შენს თვალთაგან დაფრქვეულს. მიცქირე, მიცქირე, როგორც ახლა მიცქერი... ეგ შენი ნაზი, სიყვარულით აღსავსე მზერა მთლად მიმონებს, შენკენ მიზიდავს, მაჯადოებს, მთელ ქვეყნიერებას მავიწყებს, ენით გამოუთქმელ ნეტარებას მანიჭებს... ღონე არ შემწევს, გადმოგცე სიყვარულის ის აღრთოვანება, რასაც განვიცდი... ჩემი სული ისეთი უსაზღვრო სინაზით არის აღსავსე, რომ ამ წუთში ვლოცულობ, სიკვდილს ვუხმობ, ვგრძნობ, რომ სიკვდილი ღვთაებრივი, დამათრობელი ნეტარება იქნებოდა!

ის გაჩუმდა და რაღაც გაშმაგებით შეჰყურებდა ყმაწვილ ქალს. აკანკალებულმა ქალმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ მიუგო:

- რატომ ლაპარაკობ სიკვდილზე? შენ მამაცი ხარ... ყმაწვილი... უნდა იცოცხლო... და ბედნიერი იყო...

- მერე როგორ უნდა ვიყო უშენოდ ბედნიერი? - სასოწარკვეთილებით შეჰყვირა არტორიქსმა, - შენ ხომ სიცოცხლე ხარ ჩემი, ჩემი თვალის ჩინი, ჩემი ბედნიერება.

ერთ წამს გაგრძელდა დუმილი. სპარტაკის და თვალებდახრილი ისევ უხმოდ იდგა შემკრთალი. ყმაწვილმა კაცმა ხელი მოხვია, თავისკენ მიიზიდა და მღელვარებისაგან ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმით უთხრა:

- ჩემო სათაყვანებელო, საღმერთებელო, ნუ მომაკლებ ამ ტკბილ ოცნებას... მითხარი, რომ გიყვარვარ... დამარწმუნე შენს სიყვარულში... მომიალერსე შენი ღვთაებრივი მზერით, რომ ბედნიერების შუქი მიბრწყინებდეს თვალებს... შემეძლოს ამ ნეტარებაზე ფიქრი.

ამ სიტყვებით არტორიქსმა მიიტანა მირცას ხელი ტუჩებთან და გატაცებით დაუწყო კოცნა. ქალი ფოთოლივით თრთოდა. ბოლოს ნაწყვეტ-ნაწყვეტად უთხრა:

- ნუ მეუბნები, ნუ მეუბნები, არტორიქს... თავი დამანებე... გამშორდი... რომ იცოდე, როგორ ვიტანჯები... რად მიღირს შენი სიტყვები... რომ იცოდე, ეს რა ტანჯვაა...

- იქნებ ეს მხოლოდ ოცნება იყო... იქნებ შენი ნაზი მზერა მაცთური იყო... თუ ასეა... მაშინ მითხარი... გადამიშალე გული, ღონე მოიკრიბე და მითხარი: „ამაო იყო შენი იმედები, არტორიქს, მე სხვა მიყვარს“...

- არა... არავინ მიყვარს და არც მყვარებია, - გატაცებით წარმოთქვა ყმაწვილმა ქალმა, - და არც არასოდეს არავის შევიყვარებ შენ გარდა.

- ო! - შესძახა ენით გამოუთქმელი აღტაცებით არტორიქსმა,- შენ გიყვარდე... შენ გიყვარდე! საღმერთებელო! განა ყოვლად ძლიერი ღმერთები ამაზე დიდ ბედნიერებას მიანიჭებენ ადამიანს?

- ო, ღმერთებო! - წარმოთქვა მირცამ და ხელი გააშვებინა ყმაწვილს, - ღმერთები არა თუ სცნობენ სიყვარულს, ტკბებიან კიდეც ამ ბედნიერებით. ჩვენ კი განწირული ვართ, უხმოდ გვიყვარდეს, არ შეგვიძლია ერთმანეთის კოცნაში გამოვხატოთ მგზნებარე სიყვარული...

- მერე ვინ, ვინ გვიშლის ამას? - ჰკითხა სიხარულისგან თვალებგაბრწყინებულმა არტორიქსმა...

- ნუ მკითხავ, - წაიბუტბუტა მირცამ ჩუმად, - ნუ ცდილობ, უკუღმართი საიდუმლოს გაგებას. ბედმა გადაწყვიტა, რომ ჩვენ სამუდამოდ უცხონი ვიყოთ ერთმანეთისთვის. უწყალოა, ულმობელი ასეთი ბედი... დამანებე თავი... დამივიწყე! უბედურმა ქალმა მიიფარა სახეზე ხელები და ქვითინით დაუმატა:

- ხედავ, როგორ ვიტანჯები... იცი, რად მიღირს შენზე უარის თქმა? მე ხომ უბედნიერესი ვიქნებოდი მთელ ქვეყანაზე... მაგრამ ჩემთვის არ შეიძლება ბედნიერება, არ შეიძლება, არა, არასოდეს! მაშ მომშორდი და ნუღარ მიმატებ ტანჯვას... დამტოვე მარტო ჩემს ნაღველთან და იყავი ბედნიერი!

ამ სიტყვებით მან მიაგდო კუთხეში ფარი, მიიფარა სახეზე ხელები და აქვითინდა.

როდესაც შეშინებული არტორიქსი მივარდა და დაუწყო ხელებზე კოცნა, ქალმა მსუბუქი ხელის კვრით მოიშორა და დაჟინებით დაუმატა:

- მომშორდი, არტორიქს! შენ თუ პატიოსანი კაცი ხარ და გულწრფელად გიყვარვარ, თავი დამანებე. წადი, რაც შეიძლება შორს აქედან.

ამ დროს კარვის წინ პრეტორიუმზე გაიარა ცეტულმა, მონა ზანგმა. გლადიატორების ბანაკში ტარენტიდან გამოქცეულმა, რაც თავისმა ქალბატონმა, პატრიცის ცოლმა, ენა მოაჭრევინა, რახან ერთი მისი სამარცხვინო საიდუმლო წამოეროშნა. როცა დაინახა ზანგი გოგო, მირცამ ხმამაღლა დაუძახა, რადგან ამით უნდოდა ბოლო მოეღო დამტანჯველი გამოკითხვისთვის.

- ცეტულ, ცეტულ! შემდეგ მიუბრუნდა არტორიქსს და უთხრა:

- ახლა, არტორიქს, თავი უნდა დამანებო.

ახალგაზრდა გლადიატორმა გამოართვა ხელი, მიიკრა ტუჩებთან და ჩუმად წარმოთქვა:

- როდესმე გამომიტყდები შენს საიდუმლოში?

- არასდროს!

ამ დროს ცეტული მივიდა ყმაწვილ ქალთან და არტორიქსი, თან აღგზნებული და თან დანაღვლიანებული, ნელა გაშორდა. სული ტკბილი მოგონებებით ჰქონდა აღსავსე, თავში კი მწუხარე ფიქრები უტრიალებდა...

- გინდა, წავიდეთერთადდა შევწიროთ მსხვერპლად ეს ცხვარი მარსს? - ჰკითხა მირცამ ზანგ გოგოს და მღელვარების დასაფარავად უჩვენა ხელით კარვის ერთ ბოძზე მიბმული თეთრი ბატკანი.

საბრალო მონამ, დამუნჯებულმა თავისი ქალბატონის ულმობელობის

მიზეზით, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- სწორედ ახლა ომის ღმერთის ტაძარში წასვლას ვაპირებდი და შენ გეძებდი, - უთხრა ყმაწვილმა ქალმა, აიღო გადაგდებული ფარი და მკლავზე წამოიცვა.

მერე მიტრიალდა კუთხისკენ, სადაც ცხვარი იყო დაბმული, რათა მონა ქალისთვის მოერიდებინა ამ ტყუილის თქმაზე აწითლებული პირისახე.

მოხსნა ცხვარი, გადასცა ცეტულს და გავიდნენ კარვიდან. მონას თოკით მიჰყავდა შესაწირავი ცხოველი, მირცა გვერდით მიჰყვებოდა.

კარგა მანძილზე რომ მოშორდნენ ბანაკს, ავიდნენ პატარა გორაკზე, სადაც იდგა მარსის ტაძარი. იქ საბერძნეთისა და არა რომის რიტუალის მიხედვით შესწირა მირცამ ომის ღმერთს ცხვარი და შეევედრა, მოწყალე თვალით გადმოეხედა გლადიატორთა ჯარისა და მისი წინამძღოლისთვის.

ამ დროს დაზვერვაზე მყოფი სპარტაკი მოიჭრა თავისი რაზმით ბანაკში: გზაში შეხვედრილ მტრის მზვერავებს დაეცა, დაამარცხა, წამოიყვანა ტყვედ შვიდი კაცი და შეიტყო, რომ კრასუსი მთელი თავისი ლეგიონებით მოდის გრუმენტუმზე. მაშინვე შეამზადა ჯარი საომრად. ორი

დღის შემდეგ, შუადღისას, გამოჩნდა საომრად მომზადებული კრასუსი ახლო გორაკებიდან თავისი ჯარით.

გაისმა საყვირების ხმა და ორივე ჯარი ეცა ერთმანეთს ხელჩართულ ბრძოლაში. ოთხ საათს გასტანა ბრძოლამ ერთნაირი მძვირვარებით და შეუდრეკელობით ორივე მხრიდან, მაგრამ დაღამებისას გლადიატორების მარცხენა მხარეს, არტორიქსის წინამძღოლობით, უმთავრესად ახალმოკრებილი, გამოუცდელი მეომრებისაგან რომ იყო შემდგარი, დაძლევა შეეტყო რომის ლეგიონების მიწოლით, რომლებიც დასჯის შემდეგ გამამაცებულიყვნენ, რაც სიმხეცეში გადადიოდა. უწესობა და არევ-დარევა ყოველ წამს მატულობდა და შეიძლებოდა, საქმე გაქცევით დასრულებულიყო. მაშინ არტორიქსი, ამ ფრთის უფროსი, ჩამოხტა ცხენიდან თავში და მკერდში დაჭრილი, უჩაჩქნოდ, რადგან რომაელის მახვილმა დაუმსხვრია, გადავარდა წინ და ცდილობდა თავისი მაგალითით შეეჩერებინა სულმოკლენი. მაგრამ ყოველი მისი ცდა ამაო იყო და მისი ლეგიონები იხევდნენ და იხევდნენ უკან უწესრიგოდ.

გულმოსული სპარტაკი მიუვარდა მარცხენა მხარეს და უყვიროდა მაღალი ხმით მეომრებს:

- დავიჯერო, თქვენმა უწინდელმა გამარჯვებებმა რომაელები ლომებად გადააქციეს და თქვენ კი მხდალ კურდღლებად? გაჩერდით, ღვთის გულისათვის! დაბრუნდით უკან! მომყევით

ერთად და მალეგავაქცევთ მაგათ, როგორცაქამდე ყოფილა! თუ მამაცურად იბრძოლებთ, როგორც გჩვევიათ, ახლაც დავძვლევთ მტერს!

ამ სიტყვებით მან ესროლა თავისი ფარი მტრებს. წამოავლო მარცხენა ხელი ერთი მოკლული გლადიატორის მახვილს და ეცა რომაელებს ორივე მახვილით, როგორც სჩადიოდა მასწავლებლობის დროს გლადიატორების სკოლაში. მართლა რომ თავისი გასაოცარი დახელოვნებით ფარიკაობაში, მარჯვნივ და მარცხნივ დაატრიალა მომაკვდინებელი მახვილი და თავისი გზა დახოცილებით მოჰფინა, მაშინ, როდესაც ვერც ერთი რომაელის მახვილი და ვერც ერთი შუბი ვერ შეეხო მას. უვნებელი გამოვიდა სპარტაკი ამ ბრძოლიდან, როგორც უვნებელი რჩებოდა წინა ომებში.

თავისი წინამძღოლის ამ სამაგალითო მამაცობის დანახვაზე გლადიატორები გამხნევდნენ და ხელახლა ეცნენ რომაელებს. სპარტაკი გადავიდა მეორე ლეგიონთან, რომ აქაც თავისი მაგალითით აღედგინა გლადიატორების დაცემული სული, მაგრამ ამ დროს ჯარის შუაგული სრულებით აირ-დაირია, რადგან რომაელების უმთავრესი ძალა იმაზე იყო მიმდგარი. კრასუსი მიჰყვა მას თავისი საუკეთესო მეექვსე ლეგიონით, რომელიც შემდგარი იყო განსაკუთრებით მარიუსისა და სულას ძველი მეომრებისაგან. რომ ვეღარ გაუმკლავდნენ ამ გამოცდილი მეომრების მოწოლას, გლადიატორების რიგები სრულიად აირივნენ და მალე გაიქცნენ.

მარცხენა მხრიდან ხედავდა სპარტაკი თავისი შუაგული ჯარის დამარცხების სამწუხარო სურათს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გააქროლა ცხენი რეზერვისკენ, სადაც მისი ცხენოსანთა ჯარი იდგა მამილიუსის წინამძღოლობით. ბრძანა, მიეცათ ნიშანი ცხენოსანი ჯარის თორმეტ რიგად მოწყობისა, რომ ფრონტის მეორე ხაზი შეექმნა.

უკან გაქცეულ ლეგიონებს შეეძლოთ გაევლოთ ცხენოსანთა ჯარის რიგებს შორის, რომ ბანაკში შეეფარებინათ თავი. დაჰკრეს დაფდაფები. მაგრამ ყოველი ღონე ამაო იყო. ვეღარაფერი დაიხსნიდა შუაგულსა და მარცხენა ფთრის ლეგიონებს. მხოლოდ მარჯვენა ფრთა, გრანიკის წინამძღოლობით, იხევდა წესრიგით, რათა შეეკავებინათ რომაელთა სწრაფი შემოტევა და ეხსნათ ჯარი სრული განადგურებისგან, ერთ წუთს სპარტაკი ცხენოსანთა თორმეტი რაზმით გაექანა რომაელთა კოჰორტებისკენ, არევდარევა შეიტანეს მათ რიგებში. ლეგიონერები სწრაფად იხევდნენ, ეწყობოდნენ წრედ, კვადრატებად, სამკუთხედებად, რათა არ გაექელათ გლადიატორთა ცხენოსან რაზმებს, რომლებიც ჩეხავდნენ, ვისაც კი დაეწეოდნენ.

კრასუსს უნდოდა თავისი კავალერია გამოეყვანა, მაგრამ დაღამებამ შეუშალა ხელი. სიბნელემ შთანქთა ყველაფერი. ბრძოლა შეწყდა. ჯარები დაბრუნდნენ თავთავიანთ ბანაკებში, მაგრამ გლადიატორებმა დაკარგეს რვა ათასი კაცი და ათას ორასი ტყვედ წაყვანილი, მაშინ, როდესაც რომაელების დანაკარგი ხუთი ათას კაცზე მეტი არ იყო.

როცა ბანაკში დაბრუნება, სპარტაკმა გრანიკისა და დანარჩენი წინამძღოლების დახმარებით დაიწყო არეული ლეგიონების დალაგება და არტორიქსზე ზრუნვა, რომელსაც საშიში ჭრილობები არ ჰქონდა, ექიმის თქმით. როდესაც ეს მოახერხა, სპარტაკმა უბრძანა გაეჩაღებინათ რამდენიმე ადგილას დიდი ცეცხლი, რომ უკეთესად მოეტყუებინათ მტერი და მერე შუაღამის შემდეგ ჩუმად აეშალა ბანაკიდან

და გაემგზავრა სამხრეთისაკენ. მეტისმეტად აჩქარებული სიარულით, რომ არ დაზოგა არც ხალხი და არც ცხენები, შუადღისას მივიდა ნერულუმთან, სადაც გაჩერდა სულ ოთხი საათით დაშემდეგხელახლა გაუდგაგზას იმ აზრით, რომ მისულიყო სამხრეთ იტალიაში და იქიდან ზღვით გადასულიყო სიცილიაში.

პანდოზიაში სპარტაკს რომის ჯართუფროსის მდევარი მოეწია, რომელმაც რამდენიმე კვირის წინათ უარი განაცხადა მის ბანაკში მყოფ ევტიპიდას მიცემაზე და ახლა სთავაზობდა გრუმენტუმში ტყვედ წაყვანილ ათას ორასი გლადიატორის გაცვლას ჯერ ისევ სპარტაკის ხელში დარჩენილი რომის ას პატრიციზე.

ეს წინადადება, მოეთათბირა რა გრანიკსა და ლეგიონთა სხვა წინამძღოლებს, მაშინვე მიიღო და გადაწყვიტა, რომ გაცვლა მოხდებოდა როსციანუმში, სამი დღის შემდეგ. მაგრამ სპარტაკი ეჭვობდა და არც უმიზეზოდ, რომ რომის ჯართუფროსმა შესთავაზა ასეთი სასარგებლო საქმე იმ მიზეზით, რომ გაეჩერებინა ის გზაში. რადგან თავისი იშვიათი სიჩქარის წყალობით

სპარტაკი იმდენად წინ წავიდა, რომ აღარ შეიძლებოდა დაწევა, ამიტომ გადაწყვიტა ასი პატრიცის როსციანუმში გასტუმრება და თან გააყოლა ათას ორასი მხედარი, რომელთაც თან მიჰყავდათ იმდენივე შეკაზმული ცხენი თავისი გათავისუფლებული ამხანაგებისთვის. ამ რაზმის უფროსს, მამილიუსს, მკაცრი ბრძანება ჰქონდა მიცემული, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცა რომის პატრიცები, თუ დატყვევებულ გლადიატორებს ჩაიბარებდა და შემდეგ მაშინვე შეესვა ისინი ცხენებზე და აჩქარებულიყო ტემეზისკენ, სადაც სპარტაკის აზრით, ოთხი დღის შემდეგ იქნებოდა. რომაელების მხრიდან მოტყუების შემთხვევაში, მაშინვე ყელები უნდა გამოეჭრათ რომის პატრიციებისათვის, მიეტოვებინათ ტყვე გლადიატორები ალალბედზე და გამოქანებულიყვნენ სპარტაკთან შესაერთებლად.

პანდოზიიდან ტემეზისაკენ მიმავალ გზაზე გლადიატორების ჯარი შეეტაკა შეიარაღებულ რაზმს, რომელიც პირველ ხანს მზვერავებმა რომაელებად იცნეს, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ის იყო ხუთი ათასი მონის ლეგიონი, სამხრეთ ლუკანიაში შეკრებილი გაიუს კანიციუსისგან, რომელიც ერთ დროს ბანაკიდან განდევნეს ურჩობისა და ცბიერებისათვის. მან მოინანია თავისი დანაშაული და მიჰგვარა სპარტაკს ხუთი ათასი მონა და მისცა ფიცი, ამიერიდან უსიტყვოდ დამორჩილებოდა მის ბრძანებას.

სპარტაკი ძმურად მოეხვია თავის ძველ ამხანაგს, გაანაწილა ახალმოსულები ყველა ლეგიონში,

ბრძანა მათი საუცხოო იარაღით აღჭურვა. ერთ იმათგანში უფროსად დააყენა თვითონ კანიციუსი.

დანიშნულ დღეს მოვიდა მამილიუსი ტყვე გლადიატორებით. მთელი ჯარის დასწრებით სპარტაკმა უთხრა მათ მოკლე სიტყვა. სასტიკად გაკიცხა იმაზე, რომ ცოცხლები ჩაუვარდნენ ტყვედ მტერს და თან მოაგონა, რომ ყოველთვის არ ეყოლება მას ხელში ასი რომაელი პატრიცი მათ გამოსახსნელად და ეს ბედნიერი შემთხვევა რომ არ ყოფილიყო, ახლა ისინი ჩამოკიდებულები იქნებოდნენ გრუმენტუმიდან

როსციანუმში მიმავალი დიდი გზის პირას და აპენინის ტყეების ყვავ-ყორანთა საჯიჯგნი გახდებოდნენ. შემდეგ უბრძანა მათ ხელახლა იარაღის აღება და დაბრუნება თავთავიანთ ლეგიონებში.

კრასუსმა ოცი დღით დაიგვიანა ტემეზამდემისვლა. ამ ხანში წერილები დაუგზავნა ლუკანიის, აპულიის, კალაბრიის და იაპიგიის მმართველებს და მოსთხოვა ჯარით დახმარება. პირველ ორს პროვინციაში მოაგონებდა გლადიატორების მიერ მიყენებულ ზარალს, განადიდებდა თავის დამსახურებას, რომ თუ არა მე, კრასუსი, უფრო მეტ ზიანს მოგვაყენებდა სპარტაკიო.

წყალობით ყოველი მხრიდან იღებდა მაშველ ძალებს და ორ კვირაში ოთხ ლეგიონზე მეტი შეაგროვა. როცა სპარტაკზე გაილაშქრა, მის ჯარში დაახლოებით ასი ათასი კაცი იყო.

სრულიად დაუბრკოლებლივ მივიდა სპარტაკი ტემეზამდე და როცა დაბანაკდა, დაიწყო მზადება ზღვაზე გადასასვლელად. მან მოლაპარაკება დაიწყო რამდენიმე მეკობრესთან, რომლებიც ტარენტის ზღვის ყურის ნაპირებზე მიმოდიოდნენ, და გაურიგდა მათ, გადაეყვანათ ჯარი ოცდაათ ტალანტად სიცილიის ნაპირზე. მთელი ეს ფული შეადგენდა მათ ხაზინას.

გრანიკმა უკვე გადასცა მათ წინდაწინვე, პირობისამებრ, ათი ტალანტი, მაგრამ დანიშნული დღის წინა ღამეს მეკობრეები მოულოდნელად აიშალნენ ნაპირიდან და გაშალეს აფრები, რადგან, უეჭველია, შეეშინდათ რომაელების შურისძიებისა მათი მოსისხლე მტრების დახმარებისთვის.

იმ დროს, როდესაც სპარტაკი და დანარჩენი წინამძღოლები ნაღვლიანად გაჰყურებდნენ მეკობრეების ნავების აფრებს, რომლებიც უკვე ეფარებოდნენ ცის დასავალს, მათთან მოიჭრა მზვერავების რაზმი და მოიტანა ამბავი, რომ კრასუსი მთელი თავისი ჯარით მოდიოდა.

როცა შეიტყო სპარტაკმა მტრის მოახლოება, მაშინვე მოამზადა ჯარი საომრად და სანამ კრასუსი უმთავრესი ძალით მოასწრებდა მოსვლას, დაეცა ექვსი ლეგიონით მის წინა ჯარს და უთავბოლოდ უკუაქცია.

მეორე ხაზზე სპარტაკს ჰყავდა ოთხი ლეგიონი, მარჯვენა და მრაცხენა ფრთაზე კი ოთხი ათასი კავალერისტი. ორი ლეგიონი ტემეზაში გააჩერა, სადაც დამარცხების შემთხვევაში აპირებდა დაცდას შურისძიების ხელსაყრელი შემთხვევისათვის. ვინ იცის, იქნებ გეგმასაც ადგენდა რთული მდგომარეობიდან გამოსასვლელად.

სანამ ბრძოლაში ჩაებმებოდნენ, სპარტრაკმა უბრძანა თავისი ექვსი ლეგიონის წინამძღოლებს, რომლებიც პირველ ხაზს შეადგენდნენ, უკან დახევის დროს დაეკრათ საყვირები და სიტყვიერად გადაეცათ ჯარისათვის ტრიბუნების, ცენტურიონებისა და ათისთავების მეშვეობით, რომ იმავე მწკრივებით დაეხიათ მეორე ხაზს უკან.

მალე დაიწყო მთელ მწკრივში გამძვინვარებული ხოცვა და სამი საათის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ ეტყობოდა დაძლევა. როდესაც კრასუსმა მოიხმარა რამდენიმე ახალი ლეგიონი. გრანიკმა უბრძანა გლადიატორებს საჩქაროდ უკან

დახევა. მებრძოლთა თავდადების წყალობით დაიხიეს მეორე მწკრივზე საჩქაროდ და წესრიგით. რომაელებმა უკან დახევა მიიღეს გაქცევად და გამოეკიდნენ უკან, რათა ამოესრისათ გაქცეულები, მაგრამ წააწყდნენ გლადიატორების მეორე მწკრივს, რომელთაც სასწრაფო დარტყმით გააქციეს რომაელები და მიაყენეს დიდი ზიანი. მარკუს კრასუსმადასცა დაფდაფები, რათაბრძოლაში ჩაება კიდევ რვა ლეგიონი და დაეწყო ახალი, მომეტებულად გაცხარებული ბრძოლა. ორი სხვა ლეგიონი ჩაამწკრივა მარჯვენა და მარცხენა ფრთებზე, რომ გარს შემოერტყა გლადიატორებისთვის, მაგრამ სპარტაკის ცხენოსნებმა გაშალეს თავისი ფრონტი მარჯვნივ და მარცხნივ და რომაელი სარდლის გეგმა ჩაიფუშა.

ამასობაში გრანიკმა ბრძოლაში ჩააბა ექვსი ლეგიონი, განაწყო ისინი ტემეზის გარშემო გორაკებზე და როცა კრასუსმა გადაწყვიტა, ბრძოლაში ჩაება ცხენოსანი ჯარი, სპარტაკმა უკან დაიხია პირველი ხაზიდან, რომელსაც წინამძღოლობდა გრანიკი, და ისევ მზად იყო რომის ლეგიონებთან შესაბრძოლებლად.

ამნაირად, თავისი ჯარის გადაადგილებით გლადიატორებმა დაბინდებისას მიაღწიეს ტემეზის გალავნამდე. მეტად შეუფარდებელი ძალის წყალობით გლადიატორების ლეგიონები იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ. იმავე საღამოს კრასუსმა უბრძანა თავის ლეგიონებს ერთ-ერთ გორაკზე დაბანაკება ტემეზის გარშემო და უთხრა თავის კვესტორს, სკროფას:

- რაც გინდა სთქვი და ამ წყეულ მონას ისეთი ბრძოლა სცოდნია, რომ თითქმის კარგ სარდლად მიიღებს კაცი!

- თქვი პირდაპირ, რომ ეს სპარტაკი საუცხოო სარდალია! - ამოოხვრით უპასუხა სკროფამ.

ასე დასრულდა ეს ბრძოლა, რომელმაც შვიდ საათს გასტანა. გლადიატორებმა დაკარგეს ექვსი ათასი კაცი, რომაელებმა - შვიდი ათასი.

თუმცა რომაელებს უკანასკნელ ბრძოლაში მეტი დააკლდათ, ვიდრე გლადიატორებს და არც არაფერი გამოსადეგი შემატებიათ, მაგრამ კრასუსმა მაინც შეატყობინა სენატს თავისი ახალი გამარჯვების ამბავი და დაჰპირდა, რომ ოციოდე დღის შემდეგ შემოერტყმოდა სპარტაკს და დააყრევინებდა იარაღს.

სპარტაკი ისე უჩვენებდა, ვითომ ხანგრძლივ და შეუპოვარ დაცვას ამზადებდა ტემეზაში. უბრძანა, განიერი თხრილები შემოევლოთ ქალაქის ზღუდისთვის, ყოველთვის მზად იყო მტრის მოსაგერიებლად და აწყობდა გეგმებს, როგორ ეხსნა თავი ამ რთული მდგომარეობიდან. მოქალაქეებს სასტიკად ეკრძალებოდათ, ყოველი მიზეზის მიუხედავად, ქალაქიდან გასვლა, რომლის ალაყაფის კარს დღედაღამ გლადიატორების დარაჯი ედგა. ასეთმა მზადებამ საშინელი ალიაქოთი მოახდინა ქალაქში.

სპარტაკს მიუგზავნეს დეპუტაცია თხოვნით, რომ დაეტოვებინა ქალაქი და სამაგიეროდ შეეწირნა მისთვის ხარკი, რანაირიც უნდოდა. გლადიატორების წინამძღოლმა ძალიან ზრდილობიანად მიიღო ტემეზელები და უპასუხა, რომ სიამოვნებით აუსრულებდა მათ სურვილს, თუ მოქალაქენი მისცემდნენ, რამდენიც კი

მოეძევებოდათ, გემებს, ნავებს, ბარკასებსა და ტივებს და თუ ისინი არ ეყოფოდა ზღვაზე ჯარის გადასაყვანად, გამოუგზავნიდნენ გემების ოსტატებს და გამკეთებლებს საჭირო მასალით ხომალდების გასაკეთებლად.

ქალაქის სენატი, პატრიციები და ხალხი ხმაამოუღებლივ დაეთანხმნენ სპარტაკის მოთხოვნილების ასრულებას, რადგან სხვა გზას ვერ ხედავდნენ, რომ ხანგრძლივი და საზარელი გარემოცვისგან გათავისუფლებულიყვნენ, და ტარენტის ყურის მთელი ნაპირი მალე მოეფინა მრავალი გლადიატორით და ასობით მუშით, რომლებიც აკეთებდნენ ნავებსა და საომარ ხომალდებს სპარტაკის ჯარისთვის.

თავის მხრით, კრასუსმა გაგზავნა ახლომახლო ქალაქებში ელჩები თხოვნით, რომ დაუყოვნებლივ გამოეგზავნათ ყველა იარაღი ქალაქის იერიშით ასაღებად.

სანამ რომის პრეტორი ტემეზის იერიშისთვის ემზადებოდა, გლადიატორების წინამძღოლი კი -

სიცილიაში გადასასვლელად, სადაც აჯანყება მეტი ძალით უნდა აღგზნებულიყო, გააფთრებული ევტიპიდა, მოუთმენლად დაიარებოდა რომაელთა ბანაკში, გულმოსული იმით, რომ სასურველი შურისძიება ასე დიდახანს აცდევინებდა. დატანჯულმა უსაქმურობით ერთი კარგი გეგმა მოიაზრა: გამოეკვლია - იყო თუ არა შესაძლებელი ქალაქის გალავანზე სადმე ასვლა და მოულოდნელად დაცემა.

ამ მიზნით მან უბრძანა ტარენტში ნაყიდ თავის ორ მონა გოგოს, მოემზადებინათ ყავისფერი საცხებელი, რომელსაც რამდენიმე დღეს ზედიზედ ისვამდა სახეზე, ყელზე და ხელებზე, ასე რომ, პირის კანის ფერით ზანგს დაემსგავსა. მაშინ ჩაიცვა მონა გოგოსავით, აიწია თავისი ქერა თმა, შემოიხვია თავსაფარი, რომელიც ნახევრად უფარავდა ყურებს, ერთ მშვენიერ დღეს აიღო ხელში ამფორა, რომლითაც ჩვეულებრივი მონები დადიოდნენ ხოლმე წყალზე, გავიდა რომის ბანაკიდან და გასწია ქალაქისკენ. ევტიპიდამ იცოდა, რომ ქალაქის ახლო იყო წყარო, საიდანაც ახლომახლო მცხოვრებნი წყალს ეზიდებოდნენ სასმელად. სიბნელეში სიფრთხილით მიმავალი ევტიპიდა მალე მივიდა გორაკთან, რომლის იქითა მხარესაც უნდა ყოფილიყო წყარო. მაგრამ ყურის მიგდების შემდეგ გადაწყვიტა, რომ მიახლოვება წყაროსთან საფრთხილო იყო. შეკავებული ლაპარაკი და იარაღის ხანგამოშვებით წკრიალი მოისმოდა იქიდან. ცხადი იყო, რომ წყაროს დარაჯობდა გლადიატორების რაზმი.

ევტიპიდამ გაიარა ასე ნახევარი მილის მანძილი, ავიდა ერთ ბუჩქებიან გორაკზე, ქალაქის კედლებზე კარგა მოშორებით. მარჯვნივ ზღვა მოჩანდა. ყმაწვილი ქალი შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა და დილის ჯანღში რაღაც შენობას მოჰკრა თვალი, ახლომახლო პატარა მთების ერთ-ერთ მწვერვალზე აშენებულს. ახლო რომ მივიდა, მიხვდა, რომ ჩამუქებულ ხეებს შორის იდგა ჰერკულესის ტაძარი, რომლის შესახებაც მას გაგონილი ჰქონდა ჯერ ისევ ბანაკში.

რამდენსამე ხანს ჩაფიქრებული იდგა, მერე მტკიცე გადაწყვეტილებით გაემართა ქალაქის კედლიდან მეტისმეტად მოშორებული ტაძრისკენ. ამ ადგილას კედლები

ბორცვებს მიუყვებოდა. როგორც მას ეჩვენებოდა, ამ ბორცვებზე გლადიატორები იყვნენ ჩასაფრებულნი.

რამდენსამე წუთში მიუახლოვდა შენობას. საუცხოო, დორიულ სტილზე ნაგები მარმარილოს ტაძარი იყო. ეზო და დერეფანი ცარიელი დაუხვდა. ევტიპიდა ის იყო წასვლას აპირებდა, რომ უცებ დაინახა დერეფნის ქვეშ მოხუცი და ტანისამოსზე იცნო ქურუმი. ის იდგა სვეტთან და ეტყობოდა, ღრმა ფიქრებში იყო წასული. სამსხვერპლოს მახლობლად აღმართული იყო ჰერკულესის მარმარილოს ანდრიატი, ხელში ზეთის ხის ენქერით. ევტიპიდა მიუახლოვდა ქურუმს და დაბლა თავის დახრით დაუწყო თხოვნა, რომ ტაძრის აუზიდან წყლის ამოღების ნება მიეცა, რადგან ყველა წყაროს გლადიატორები იცავენო. ეს რომ გაიგო, ჩემმა პატრონმა ტყეში, იანუსის ტაძრის ნანგრევებს შეაფარა თავი, სადაც ერთი ცვარი წყალიც არ მოიპოვებაო.

ქურუმმა წაიყვანა ევტიპიდა აუზისაკენ და მიმავალი ელაპარაკებოდა ცუდ დროებაზე, ომზე, გლადიატორებზე, რომლებიც ქალაქიდან მსხვერპლის შესაწირავადაც კი არ უშვებდნენ არავის.

ევტიპიდა ეშმაკურად კვერს უკრავდა მჭევრმეტყველ მოხუცს. ძველი იტალიელები დიდად განსხვავდებოდნენ ღვთისმსახურებით. ამიტომაც სატურნი, იუპიტერი, მარსი, იუნონა, ცერერა, ჰერკულესი, იანუსი და სხვა ღმერთები გულუხვად აჯილდოებდნენ მათ. ახლა სკეპტიციზმი და ეპიკურეს მიმდევრობა მომეტებულად იმორჩილებს ადამიანთა სულებს, დიდი ღმერთების კულტს პატივს აღარ სცემენ, ქურუმებს კი დასცინიან. გამწყრალი ღმერთები სამართლიან სასჯელს უვლენენ ადამიანებს და ეს ომებიც, ხოცვა და ამბოხი, ოცდაათ წელზე მეტია იტალიას რომ შავ ღრუბლებად აწევს, სხვა არა არის რა, თუ არა ღმერთების რისხვაო.

მოხუცი იმასაც ჩადიოდა, რომ გლადიატორების მიერ ტემეზის აღების შემდეგ იძულებული გახდა, ორ სხვა ქურუმთან ერთად ამ ტაძარში შეეფარებინა თავი.

- აგერ ოცი დღეა, რაც ჩვენი დიდებული ღმერთის ტაძარი ცარიელია, - თქვა ქურუმმა, - სხვა დროს კი ყოველდღე ირეოდნენ აქ მლოცველები, მარტო რამდენი შესაწირავი იყო! - დაუმატა ამოოხვრით.

- კარგი, მაშ მე გადავცემ ჩემს ბატონს შენგან, რომ თუ თავისი სახლი და სამფლობელო განადგურებისგან უნდა დაიცვას, ან თვითონ მოვიდეს, ან შესაწირავი გამოუგზავნოს ჰერკულესს, - უთხრა ევტიპიდამ ღრმა რწმენითა და მორჩილებით ძალად დამახინჯებული ლათინური სიტყვებით.

- თვით ღმერთმა ჩაგაგონა ეგ მშვენიერი აზრი! - სიხარულით წარმოთქვა ქურუმმა. - დიახ, - დაუმატა მან ერთი წამის სიჩუმის შემდეგ, - ღვთისმოყვარულობა ახლა მხოლო ქალების გულშიღაა დარჩენილი. მამაკაცები სულ ეპიკურეს მიმდევარნი არიან, არა სწამთ თავიანთი ღმერთები. აი, ამ წამში გითხარი, რომ ოცი დღეა არავინ არ მოსულამეთქი, მაგრამ შევცდი, იმიტომ რომ ორჯერ იყო აქ მსხვერპლის შესაწირავად ერთი გასათხოვარი ქალი გლადიატორების ბანაკიდან, მგონია, ბერძენია ჩამომავლობით, კეთილი, ღვთისმოყვარული და მასთან ძალიან ლამაზიც.

ევტიპიდას ჯოჯოხეთური სიხარულით გაუბრწყინდა თვალები, გაწითლდა. მხოლოდ სქლად წასმული საღებავის წყალობა იყო, რომ ქურუმმა ვერ შეამჩნია ის შთაბეჭდილება, რომელიც იქონია თავისი სიტყვებით ვითომდა მონა გოგოზე.

- ოჰ, - მღელვარების შეკავებით წარმოთქვა ევტიპიდამ, - შენ ამბობ, ვიღაც ყმაწვილი ქალი იყო მტრის ბანაკიდანო?

- დიახ, - განაგრძობდა მოხუცი, - გასათხოვარი ქალი ჯავშნით, ჩაჩქანით და მახვილით შეიარაღებული. თან მოსდევს ხოლმე ყოველთვის ზანგი გოგო, სწორედ შენისთანა, მხოლოდ მუნჯია საბრალო, რადგან უწინდელ ქალბატონს მოუჭრევინებია ენა.

- აბა, ჩვენი მტრებისგან გვჭირდება კეთილმსახურების სწავლა, ვამბობ მტრებისგან, რადგან ჩემი პატრონი ამბობს, ისინი ჩვენი მტრები არიანო. ხვალვე მოვალ აქ უთუოდ საღვთო შესაწირავით ჩემი პატრონისგან, გათენებისას, იმიტომ რომ გლადიატორების მეშინია. თუ იგი ვერ დავითანხმე, მაშინ მე თვითონ შევწირავ დიდებულ ჰერკულესს ჩემს მცირეოდენ შესაწირავს.

ქურუმმა მხურვალე მადლობა გადაუხადა ევტიპიდას ამ კეთილი განზრახვისთვის და თან დაჰპირდა ჰერკულესის მფარველობას მისი იშვიათი ღვთისმოყვარულობისათვის. თვითონვე გამოიყვანა ტაძრიდან და აჩვენა ფაქრული ბილიკი, რომლითაც უვნებლად შეიძლებოდა ასვლა და ჩასვლა ტაძრიდან.

რა სიხარულსა და აღტაცებაში იყო ევტიპიდა, ბანაკში რომ ბრუნდებოდა, ამას თქმა აღარ უნდა. ლამის გული ამოვარდნოდა საგულედან. სრულებიდ მოულოდნელად იპოვა ისეთი მოკავშირე, როგორზეც ვერც კი იოცნებებდა. ქურუმის ვერცხლის მოყვარულობა და გამყიდველობა საეჭვო

არ იყო. მისი მოსყიდვა მეტად ადვილი იყო და მისი დახმარებით ხომ ძალიან ადვილი იქნებოდა გასაძრომი ეპოვნა ქალაქში შესასვლელად. გული სიხარულით უჩქროლავდა იმის მოგონებაზეც, თუ სხვანაირად ვერა, როგორ დაუკოდავდა სპარტაკს გულს დის სიკვდილით. მისი სიკვდილი სპარტაკისათვის ერთი ათასად უმძიმესი იქნებოდა, ვიდრე საკუთარი სიკვდილი.

როცა ბანაკში დაბრუნდა, ევტიპიდა მთელ დღეს არ გამოსულა კარვიდან. დაღამებისას წავიდა კრასუსთან და უამბო, რაც შეიტყო, და თან თავისი გეგმაც გადასცა. რომის სარდალმა მოუწონა მას ამგვარი მოსაზრება და კვესტორის ხაზინის მოხმარების სრული ნება მისცა. ევტიპიდამ უთხრა, რომ ჯერ ცოტა სჭირდებოდა, და სკროფას გამოართვა მხოლოდ ხუთი ტალანტი.

მზის ამოსვლამდე გავიდა ბანაკიდან და გაიყოლა ბატკანი, ორი ძუძუთა გოჭი, ოთხი მტრედი, აჰყვა ბილიკს ჰერკულესის ტაძრამდე და კარგა ხანს იცდიდა, სანამ ქურუმი ტაძარს გაუღებდა. ქურუმი, რომელსაც სტენდიდი ერქვა, ორი თავისი, ამავე ტაძარში მყოფი ამხანაგით მიეგება ვითომცდა მონას ტაძრის კართან, შეასხა ქება მის გულმოდგინეობას და დააბარა უღრმესი მადლობა თავის კეთილმსახურ პატრონთან.

ევტიპიდამ ისიც უთხრა ქურუმს, რომ მეორე დღეს მისი ბატონი აპირებდა ტაძარში მისვლას და

მსხვერპლის შეწირვას, თუ ტაძრის ნანგრევებიდან გამოპარვას შეძლებდა. თუ იგი ვერ მოვა, მის მაგივრად მე შევასრულებ ამ საპატიო მოვალეობასო.

მეორე დღეს მართლაც მოიყვანა ღვინითა და პურით დატვირთული ხარი და თავისი ბატონის სახელით მსხვერპლად შესწირა ღმერთს.

რამდენჯერმე მივიდა შემდეგში ევტიპიდა ჰერკულესის ტაძარში და მიჰქონდა ხოლმე შეწირულებანი ხან სახლის პატრონის სახელით, ხან მისი ცოლისა, ხან იმ მეზობლებისა, რომლებიც მათთან ერთად გაქცეულიყვნენ ტყეში. ყოველთვის ცდილობდა სტენდიდთან დალაპარაკებას, უნდოდა მოეგო მისი გული და მოემზადებინა თავისი გულისნადებისთვის.

ბოლოს შეამჩნია, რომ ცუღლუტი ქურუმი თვითონვე მიმხვდარიყო და გამოუტყდა, რომ მონა არ იყო და ურჩია, რომაელების მხარე დაეჭირა. კრასუსი უხვად დაგაჯილდოებს შენც და სხვა ქურუმებს, თუ იმ ადგილს უჩვენებთ, საიდანაც შეეძლებათ მოულოდნელად შეიჭრენ ქალაქშიო. ქურუმი მზად იყო ასეთი საუბრისთვის, მაგრამ ახლა საჭიროდ დაინახა, გაკვირვებულიყო.

- მაშ, შენ მონა არ ხარ? მე კი მეგონა... ისე იქცეოდი! მაშ შენ, ბერძენი ქალი, რომაელების ერთგული ხარ?

- ეგ სამხედრო ეშმაკობა იყო.

- მე არ გკიცხავ... მაშ ასე, რომაელების საქმის ერთგული ხარ? კეთილმსახური ხალხია! ღმერთები იყვნენ მათი შემწე მტრების დამარცხებაში! ჰერკულესის ტაძრის ქურუმნი რომაელთა მხარეზე არიან, რომელნიც ყოველთვის პატივს სცემდნენ ჩვენს ღმერთსა და ექვსი დიდებული ტაძარი აუგეს თავიანთ ქალაქებში.

- მაშ, შენ დაეხმარები? - ჰკითხა ევტიპიდამ და თან თვალებში ჩააცქერდა.

- ვეცდები... რამდენადაც შემიძლია...

მალე შეთანხმდნენ. ქურუმმა აღუთქვა, მიუხედავად საფრთხისა, რაიმე საპატიო მიზეზით მირცასთან ერთად მისულიყო ქალაქთან. თან დაუმატა, მე მხოლოდ ერთი ბილიკი ვიცი, ციცაბო კედლებით ქალაქის დანგრეულ კედლამდე მიმავალი. თუ გლადიატორებმა არ გაამაგრეს, იქიდან ადვილად შეიძლება ქალაქში შესვლაო. ბოლოს უთხრა ევტიპიდას, ყოველდღე მისულიყო მასთან ამბის გასაგებად, რაც ახალ სამხედრო ეშმაკობასთან იქნებოდა დაკავშირებული - ასე ეძახდა ღვთისმოსავი ქურუმი ევტიპიდასთან შეთქმულებას. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ტაძარში სპარტაკის დის მოსვლა და იქნებ, მეორედ შეხვედრისას, შეეტყობინებინა მისთვის დაზვერვის შედეგი.

ევტიპიდა ქურუმს შეჰპირდა ათ ტალანტს, იმ დიდი საჩუქრის ანგარიშში, რასაც უხვად ჰპირდებოდა საქმის დასრულებისას კრასუსი.

მეორე ღამეს ადვილად ჩამოიბანა ევტიპიდამ საღებავი, ჩაიცვა სამხედრო ტანისამოსი და წავიდა ჰერკულესის ტაძარში ათი ტალანტით, რომელიც სტენდიდს შეჰპირდა. მაგრამ იმ ღამეს, ქურუმმა ახალი ვერაფერი შეატყობინა. მესამე ღამეს კიდევ მივიდა ევტიპიდა, მაგრამ თავისი თანამოაზრე არ დაუხვდა იქ, დანარჩენმა ორმა ქურუმმა უთხრა, რომ წინა დღეს გასათხოვარი ქალი მოვიდა გლადიატორების ბანაკიდან მსხვერპლის შესაწირავად და სტენდიდი თან გაჰყვაო.

მთელი ღამე და მეორე დღე მოუთმენლად მოელოდა მოხუცს. საღამოს ქურუმი დაბრუნდა, მაგრამ მისგან მოტანილი ამბავი სანუგეშო არ იყო: თურმე სპარტაკს დიდი ხანია გაეცა კეთდლის შეკეთების ბრძანება იმ ადგილებთან, რომლის იმედიც სტენდიდს ჰქონდა. ასე რომ, მოულოდნელ თავდასხმაზე ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდა.

ევტიპიდა მეტისმეტად გააბრაზა ქურუმის მოტანილმა ამბავმა. სწყევლიდა სპარტაკის წინდახედულობას და გამჭრიახობას.

- სპარტაკის და, მირცა, როდისღა მოვა კიდევ აქ? - ჰკითხა ევტიპიდამ დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ, საკუთარ ფიქრებში ჩანთქმულმა.

არ ვიცი, როგორ გითხრა! - უპასუხა ყოყმანით სტენდიდმა, - იქნება ზეგ მოვიდეს... ჩვენი ღმერთის დღესასწაულის დღეს. მირცამ მითხრა, ძვირფას შესაწირს ვაპირებო, რომ შეავედროს გლადიატორების ჯარი და მეტადრე მისი წინამძღოლი.

- ოჰ, იუპიტერო, რა სამართლიანი ხარ და შენც, ჰერკულესო! - შეჰყვირა ევტიპიდამ ბოროტის აღტაცებით თვალანთებულმა, - ძლივს არ შეისმინეთ ჩემი ვედრება! ძლივს არ მეღირსება საშინელი შურსიძიება!

- რა შურისძიებაზე ამბობ? - გაკვირვებით ჰკითხა ქურუმმა, - შენ იცი, რომ ღმერთები არ იწონებენ და არ მფარველობენ შურისძიებას?

- სამართლიანი თუ არის? - უთხრა ევტიპიდამ, - თუ დაუმსახურებელი და გულსაკლავი შეურაცხყოფით არის გამოწვეული? მაშინ, რასაკვირველია, მოიწონებენ და მფარველნიც იქნებიან არამც თუ ჯოჯოხეთის ღმერთები, თვით ოლიმპოს ღმერთებიც კი. მართალს არ ვამბობ, სტენდიდ? - ამ სიტყვებით მან მოიხსნა მხრებიდან ოქროს ჯაჭვი, რომელზედაც თავისი პატარა, ძვირფასი თვლებით მოჭედილი მახვილი ეკიდა და მიაწოდა ქურუმს.

- განა, სტენდიდ, - იმეორებდა ევტიპიდა, - ღმერთები არ იცავენ შურისძიებას, თუ ის სამართლიანია?

- რასაკვირველია, ეგ სხვა არის, თუ სამართლიანია. მაშინ შეურაცხყოფა ყოფილა უსამართლო! - უპასუხებდა ქურუმი და თან ხარბი თვალით სინჯავდა ძვირფას საჩუქარს.

- ჰო, აი, ხომ ხედავ! - სიხარულით წარმოთქვა ევტიპიდამ და თან მოიხადა თავიდან ვერცხლის ჩაჩქანი, რომელზედაც ოქროს პატარა გველი იკლაკნებოდა ორი უშველებელი ლალის თვალით.

სანამ სტენდიდი თვალით სჭამდა ამ ახალ ნივთს, ევტიპიდამ აღტაცებული ხმით უთხრა:

- დიდებულ, უძლეველ ჰერკულესს ვწირავ ამ უბრალო საღვთო ძღვენს და ხვალ კიდევ მოვიტან ათ ტალანტს, იმ პირობით, რომ შენ, მისმა ქურუმმა, ხელი შემიწყო ჩემს შურისძიებაში. თანახმა ხარ თუ არა?

- დიახაც! ვფიცავ კასტორს და პოლუქსს! - წარმოთქვა აჩქარებით ტენდიდმა, -რაკი ის სამართლიანია... მე ცუდი ქურუმი ვიქნებოდი ჩემი ღმერთისა, თუ იმ საქმეში არ დავეხმარები, რომელსაც ის უეჭველია, უნდა იცავდეს.

- ხვალ ღამე შენ შეაფარებ ტაძარში ჩემს ორს მამაც მხედარს...

- როგორ? ტაძარში? შევბილწო წმიდა თავშესაფარი? რომ ჩამომახრჩონ გლადიატორებმა, თუ როგორმე მოჰკრეს თვალი შენს ორ მხედარს? - საზარელი ხმით წარმოთქვა სტენდიდმა და უკან დაიხია.

- მაშ, როგორ შეგიძლია დამეხმარო? - ჰკითხა ევტიპიდამ.

-

- აი, რა, უპასუხა მოხუცმა, - მე არ შემიძლია, მირცას სისხლის დაღვრის ნება მივცე ჩემი ღმერთის ტაძარში. მაშ, რიღას ქურუმი ვარ? ის სხვა არის, საჭირო რომ იყოს... ვთქვათ, ტყვედ აყვანა და მერე შენთვის გადმოცემა.

ბოროტის სიხარულით აენთო ევტიპიდას მწვანე თვალები, უცნაურმა ღიმილმა დაუმანჭა ტუჩები.

- ჰო, ჰო, ჰო! - დაიყვირა მან, - ტყვედ, ცოცხალი... მე თვითონ, ჩემი ხელით მოვკლავ, თუ სპარტაკი თავის ნებით არ ჩამივარდება ხელში, რომ დაიხსნას და.

- რასაც უზამ... მე მაგის გაგება არ მინდა, არ უნდა ვიცოდე. ჩემთვის თავი და თავი ის არის, რომ მე, ჰერკულესის ქურუმმა, ხელები არ გავისვარო ერთ-ერთი მისი მლოცველის სისხლში. ეგ შენი საქმეა, რასაც იზამ, - პირმოთნედ შენიშნა სტენდიდმა.

- მართალი ხარ, მართალი! - დაეთანხმა ევტიპიდა, - მაშ, ხვალ ღამე შენ შეიფარებ ორ ჩემს მეომარს, - რადგან მოხუცი ჯერ ისევ ყოყმანობდა, ევტიპიდამ წაიძრო თითიდან ოქროს ბეჭედი ძვირფასი თვლით, მიაწოდა ქურუმს და გაუმეორა: - კარგი?

- კარგი, კარგი, - უპასუხა მან და ჯიბეში ჩაიდო ბეჭედი. - მაგრამ უკეთესი იქნება, რომ ტაძარში არ მოხდებოდეს ეს. არ უნდა წაიბილწოს ღმერთების სადიდებელი და არ უნდა დაიტეხოს კაცმა მათი რიცხვა. სჯობს, მე ვუჩვენებ შენს მხედრებს ერთ პატარა ადგილს გზაში, შორს არ არის აქედან, ნერგის ჭალაში. საუცხოო ადგილია, თითქოს საგანგებოდ იმისთვის არის გაკეთებული, რომ ჩიტები მახეში გააბან.

- მერე რომ გაიქცეს?

- ვერ გაიქცევა, გეუბნები! ისეთი ადგილია, რომ უკეთესს ვერ ინატრებდი.

- მაშ, კარგი, აგრე იყოს! არ მინდა შევარცხვინო შენი უმწიკვლო სინდისი, - დაცინვით უთხრა ევტიპიდამ. მერე ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დაუმატა.

- არ შეიძლება განა, რომ რამენაირად მოხდეს...

- რა? - ჰკითხა სტენდიდმა.

- ის, რომ ხვალ ხელახლა გაიღვიძოს შენში პატიოსანმა გრძნობებმა და ისე ხმამაღლა დაიწყო ღაღადი, რომ საჭიროდ დაინახო მთელი შენი ქონებით თავი შეაფარო... მაგალითად, ტემეზას?

ამ სიტყვებით ევტიპიდამ თვალი თვალში გაუყარა ქურუმს და ცდილობდა ამოეკითხა, თუ რა იმალებოდა მის სულში?

- რას ამბობ? რამ მოგაფიქრა ეგ? - წარმოთქვა სტენდიდმა ღირსებაშეურაცხყოფილი გრძნობით.

- იცი, რა, - განაგრძო ევტიპიდამ, - ერთი საუცხოო აზრი მომივიდა თავში.

- როგორი?

- აი, როგორი: მე და შენ შევინახოთ ცალკე ადგილას ის ნივთიები, რომლებიც შენს ღმერთს შევწირე, ისე, რომ შენმა ორმა ამხანაგმა არ იცოდეს, და შენ გამომყევი ბანაკში. გპირდები, რომ კმაყოფილი დარჩები დღევანდელი დღით... გაგიმართავ ჩინებულ ნადიმს, როგორიც შეჰფერის ჰერკულესის შენისთანა კეთილმსახურ ქურუმს და პატიოსან მოქალაქეს.

ვფიცავ ღმერთებს, რომ შენ, მგონი, არ მენდობი.

- არა, მაგრამ არის ხოლმე ზოგი ისეთი უმწიკვლო სინდისის პატრონი!

- არ ვიცი სწორედ...

- გინდა თუ არა, წამოხვიდე ჩემთან? მაშ, როგორ იქნება სხვანაირად? ვინ უნდა მიშველოს იმ თხუთმეტი ტალანტის მოტანა, შენ რომ დაგპირდი? თუ ათისა? მგონი, ათს დაგპირდი!

- თხუთმეტს, თხუთმეტს დამპირდი! - აჩქარებით უთხრა სტენდიდმა.

- სულ ერთია, ათიც რომ მეთქვა, მაინც შეცდომაა. მე თხუთმეტი ტალანტის შეწირვა მინდა

ღმერთისთვის, თუ დამეხმარა ჩემს შურისძიებაში. წამოდი ჩემთან, დიდსულოვანო სტენდიდ. უკმაყოფილო არ დარჩები.

ამ სიტყვების შემდეგ ყოყმანი შეუძლებელი იყო, ამიტომ სტენდიდმა კარგად შეინახა ნაჩუქარი ნვითები და გაჰყვა ევტიპიდას რომაელების ბანაკში.

კრასუსი ისე ენდობოდა ევტიპიდას, რომ შესვლა-გასვლის ნება ჰქონდა მიცემული ბანაკიდან და როდესაც და ვისთანაც სურდა.

ევტიპიდა დაუყოვნებლივ შეუშვეს ბანაკის ალაყაფში და ქურუმი წაიყვანა თავის კარავში, სადაც მოხუცმა ორმოცდაათი წლის ფალერნის ღვინოში ჩაკლა ის ნაღველი, რაც მას ბერძენმა ქალმა თავისი უნდობლობით მიაყენა. ევტიპიდამ თავისთან იხმო ერთგული ზენოკრატე, რაღაც წასჩურჩულა და ისევ გაუშვა.

შუაღამისას ქალმა გადაიგდო მხარზე მახვილი, თავზე დაიხურა ფოლადის პატარა ჩაჩქანი და გავიდა ბანაკიდან შექეიფიანებულ სტენდიდთან ერთად და გაიყოლა მარკუს კრასუსის ორი კაპადოკიელი მონა.

ევტიპიდასგან ბანაკიდან გამოყვანილი ორი კაპადოკიელი, შუაღამიდან მოყოლებული, ჩასაფრებული იყო იმ გზის შორიახლოს, რომელიც ქალაქიდან ჰერკულესის ტაძრისკენ მიდიოდა. იქვე ახლოს მესერი მისდევდა, რომლის უკან გლადიატორთა სადარაჯო იყო.

დროგამოშვებით კაპადოკიელების ყურამდე ქარს მიჰქონდა ყრუ გუგუნი და ნაბიჯების ხმა.

- მაშ, შენ ამბობ, ერციდან, რომ ის ქალი ცოცხალი უნდა დავიჭიროთ? - უთხრა ჩურჩულით ერთმა კაპადოკიელმა მეორეს.

-

- დიახ, ასკუბარ, უნდა დავიჭიროთ, მაგრამ მოვახერხებთ კი ამას? - უპასუხა ერციდანმა.

- მოვახერხებთ.

- ამას ვიტყვი, - თქვა ისევ ერციდანმა, - რომ წინასწარვე გადავწყვიტე, თუ წინააღმდეგობას გამიწევს, აქვე მოვუღებ ბოლოს ისრით და ხანჯლით. თუკი ჩვენ გვესმის აქ გლადიატორებისჩურჩული, ისინიც ხომ კარგად გაიგონებენ იმ ქალის წივილ-კივილს?!

- დიახაც! და მაშინვე დაგვესხმიან თავს და ხეირს არ დაგვაყრიან. გლადიატორები აქვე არიან და ჩვენს ბანაკამდე კი ერთი საათის სასიარულოა.

- შენ მართალი ხარ, მართალი, ვფიცავ იუპიტერს! ეს საქმე როგორღაც მაწუხებს...

- მე კი დიდი ხანია, მაწუხებს. ორივე კაპადოკიელი გაჩუმდა.

უცბად ფოთლების შრიალში ნაბიჯების ხმა მოისმა. იმ ადგილის შორიახლო, სადაც მონები იყვნენ დამალულნი, ვიღაც მოდიოდა ჭალაში.

- ვინ ხარ? - მოგუდული ხმით ჰკითხა ასკუბარმა და მახვილი იშიშვლა.

- ვინა ხარ? - გაიმეორა ერციდანმა.

- ჩუმად, - გამოეპასუხა ქალის ხმა, - მე ვარ, ევტიპიდა, ნანგრევებში დავიარები. ყურს ნუ ათხოვებთ, რაც თქვენს ზურგს უკან ხდება, გზისკენ გქონდეთ თვალი.

ეს ხმადაბლა წარმოთქვა, გაიღიმა, ბუჩქებში მიიმალა და შევიდა ნერგის ჭალაში. მონებს მალე მხოლოდ ქარის ზუზუნიღა ესმოდათ. ასკუბარი და ერციდანი კარგა

ხანს სდუმდნენ. ბოლოს ერთმა წასჩურჩულა მეორეს:

- ერციდან!

- რა იყო?

- იცი, რა მოვიფიქრე?

- რომ ეს საქმე უფრო ძნელია, ვიდრე უწინ გვეგონა?

- ეგ ხომ ბევრჯერ მომსვლია თავში! არა, ახლა იმას ვფიქრობდი, რანაირად გამოვიხსნათ თავი ამ უბედურებისგან.

- დიახაც კარგი იქნებოდა! მაგრამ, როგორ მოვახერხოთ?

- აი, როგორ: როცა ის პატარა ამორძალი ათ-თხუთმეტ ნაბიჯზე მოგვიახლოვდება, ორივემ ავიღოთ ხელში მშვილდ-ისრები და ვესროლოთ ორი ისარი: ერთი ყელში, მეორე - გულში. მაშინ კი ვეღარ შეჰკივლებს! როგორ ფიქრობ ამაზე?

- საუცხოოა, ასკუბარ!

- იმ ევტიპიდას კი ასე ვუთხრათ, რომ შეგვეწინააღმდეგა და უნებლიეთ მოვუღეთ ბოლო-თქო.

- მშვენიერი აზრია!

- მაშ როგორ, თანახმა ხარ?

- თანახმა ვარ!

- დარწმუნებული ხარ, რომ გულში მოარტყამ?

  სრულიად დარწმუნებულივარ. შენა, ასკუბარ, არ ააცდენ?

- აი, ნახავ!

ამ სიტყვებზე მოზიდეს მშვილდ-ისრები და თან ბილიკს თვალს არ აშორებდნენ.

იმ დროს ევტიპიდა ახლომახლო დაეხეტებოდა და მოუთმენლად მოელოდა განთიადს,

როდესაც ქალაქიდან გამოსული მირცა, ტაძრისკენ მოემართებოდა. დაუსრულებლად ეჩვენებოდა დრო. ხუთ-ექვსჯერ მაინც მივიდა თითქმის გლადიატორების სადარაჯო ადგილთან, რომ დაენახა, მოდიოდა თუ არა მირცა, იმდენად იწვოდა მოუთმენლობით. ბოლოს, შეხედა ცის სივრცეში აპენინის გათეთრებულ მწვერვალებს და შენიშნა, რომ მთაზე ჩამოწოლილ ღრუბლებს მოყვითალო ფერი გადაჰკრავდა. ევტიპიდამ თავისუფლად ამოისუნთქა: ეს ნიშნავდა იმას, რომ თენდებოდა.

ხელმეორედ გავიდა ბილიკზე და ნელ-ნელა უახლოვდებოდა გლადიატორების სადარაჯო ადგილს. მაგრამ ჯერ ორასი ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ შეაჩერა ჩუმმა, მაგრამ სასტიკმა შეძახილმა:

- ვინ მოდის?

ეს იყო გლადიატორების კერკეტონი, რომელიც განთიადისას ყველა სადარაჯო ადგილს გარს უვლიდა.

ევტიპიდას ხმა არ გაუცია, ისე დაეშვა სირბილით ჭალისკენ და თან ცდილობდა, რაც შეიძლებოდა ნაკლები ხმაური გამოეწვია.

პასუხი რომ არ მიიღო, კერკეტონი, რომელიც შედგებოდა ერთი ათისთავისა და ოთხი გლადიატორისგან, გამოეკიდა ევტიპიდას.

გაქცეული და მდევრები მალე შეცვივდნენ იმ ჭალაში, სადაც მშვილდისრებმოზიდული იდგა ორი კაპადოკიელი.

- გესმის ფეხის ხმა? - შეეკითხა ასკუბარი ერციდანს.

- მესმის.

- მაშ, მოემზადე!

- მზად ვარ.

-

მზის პირველმა სხივებმა უკვე გაფანტეს ღამის წყვდიადი და დილის ჯანღში კაპადოკიელებმა შეძლეს, შეემჩნიათ პატარა მეომარი, რომელიც სწრაფად უახლოვდებოდა მათ.

- ის არის! - წასჩურჩულა ასკუბარმა თავის ამხანაგს.

- დიახ... ჯავშანი აცვია... ჩაჩქანიც... მერე ისე პატარაა, რომ მამაკაცი არ იქნება. დაუმიზნე!

- ის არის.. ის...

კაპადოკიელებმა დაუმიზნეს და თვალის დახამხამებაზე ზუზუნით გამოიტყორცნა ლარიდან ორი ისარი და დაესო ევტიპიდას ერთი თეთრ ყელში, მეორემ გაუჭრა ვერცხლის ჯავშანი და შიგ გულში გაუარა.

გულისგამგმირავი, ხანგრძლივი ყვირილი გაისმა ღამის სიჩუმეში და კაპადოკიელებს მოესმათ მოახლოებული კერკეტონის ფეხის ხმა და ხმამაღალი ყვირილი:

- იარაღი!

კაპადოკიელები გაიქცნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ რომაელების ბანაკისკენ, კერკეტონი კი წააწყდა შუა გზაზე ძირს დაცემულ ევტიპიდას.

ევტიპიდა სისხლისგან იცლებოდა, განსაკუთრებით ყელიდან, რახან ასკუბარის ისარს საძილე არტერია გადაეჭრა და კვნესოდა ტკივილისგან, მაგრამ ხმის ამოღება არ შეეძლო.

გლადიატორები დააშტერდნენ, ხუთივემ ჰკითხა ერთმანეთს, თუ ვინ იყო ის, ან ვინ დაჭრა.

ამ დროს მზეც ამობრწყინდა და გაანათა დაჭრილის სახე. ხუთივემ შეჰყვირა ერთბაშად: - ქალია!

გლადიატორებმა გაიყვანეს მომაკვდავი გზის პირას, მიაწვინეს ხის ძირას. როდესაც ჩაჩქანი მოხადეს და მხრებზე გადმოუცვივდა ხვეული ქერა თმა, დააშტერდნენ მომაკვდავის გაფითრებულ სახეს და წამოიძახეს:

- ევტიპიდა!

- ამ დროს სადარაჯო ადგილიდანაც მოცვივდნენ გლადიატორები, ასისთავი და ყველანი გარს შემოეხვივნენ ბერძენ ქალს.

- დაჭრილია! მაშ აქ ვიღაც ყოფილა, - თქვა ასისთავმა, - დაეწიეთ მის მკვლელებს. შორს ვერ წავიდოდნენ.

ორმოცდაათი გლადიატორი გაიქცა ჰერკულესის ტაძრისკენ. დანარჩენები გარს შემოეხვივნენ სისხლში მოსვრილ ქალს, მათ მიმართ მრავალი სიბოროტის ჩამდენს.

ევტიპიდას სახეზე მკვდრისფერი ედო, იტანჯებოდა უკანასკნელ წამებში. კვნესოდა ტკივილისა და ცოფისაგან და კანკალით აღებდა პირს, თითქო წყევლის წარმოსათქმელად.

- ევტიპიდა! საზიზღარო გამცემო! - წარმოთქვა ბოლოს დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ ასისთავმა, - რას აკეთებდი აქ ამ დროს? ვინ დაგჭრა? არაფერი მესმის... მაგრამ დარწმუნებული კი ვარ, რომ აქ რაიმე ღალატი იმალება.

ევტიპიდამ სასოწარკვეთილებით დაიკვნესა და ანიშნა ხელით, რომ მარტო დაეტოვებინათ.

- არა! - მკაცრად წარმოთქვა ასისთავმა, - შენ ღალატით დაღუპე ორმოცი ათასი ჩვენი მოძმე, მაშ ჩვენმა აქ ყოფნამ მოგაგონოს შენი ბოროტება და უფრო მეტად გაგიმწაროს ტანჯვის უკანასკნელი წამები!

ქალს თავი ჩამოუვარდა და მისი ნაწყვეტ-ნაწყვეტი სუნთქვა რომ არ გაეგონათ, უსათუოდ მკვდარი ეგონებოდათ.

ამ დროს ის ორმოცდაათი გლადიატორი დაბრუნდა დაქანცული, კაპადოკიელებს რომ გამოეკიდნენ, და მოიყვანეს თან ერციდანი, ფეხში ისრით დაჭრილი, ის ტყვედ ჩაეგდოთ, მეორე კი გაქცეულიყო.

კაპადოკიელმა ყველაფერი უამბო მაშინვე, რაც კი იცოდა, და გლადიატორები მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე.

- რა მოხდა? - იკითხა ამ დროს ქალის ხმამ. ეს იყო მირცა, ჰერკულესის ტაძრისკენ მომავალი, ცეტულის თანხლებით.

- ევტპიდამ შენ დაგიგო მახე, - უპასუხა ასისთავმა, - მაგრამ რომელიღაც ღმერთის წყალობით, იქნებ თვით ჰერკულესისა, შენ მაგივრად თვიონ გაება შიგ. გლადიატორებმა გზა მისცეს. მირცა მივიდა ახლო და დაინახა მომაკვდავი ევტიპიდა.

ევტიპიდას რომ შემოესმა მისთვის საზიზღარი სპარტაკის დის ხმა, თავი წამოსწია, მიაპყრო მას უღონო, სიანჩხლითა და განრისხებით სავსე თვალები, მოინდომა რაღაცის თქმა, მაგრამ მისი გალურჯებული ტუჩები მხოლოდ მანჭვით მოიკუმნენ. ევტიპიდამ ხელები გაიწვდინა წინ და მთელი ძალით ეცადა მივარდნოდა მირცას, მაგრამ ერთი უკანასკნელადღა დაიკვნესა, თვალები დახუჭა, უღონოდ გადააგდო თავი უკან და უსულოდ დაეცა მიწაზე.

- დიდება ღმერთებს! - წარმოთქვა ასისთავმა, - ამ უკანასკნელად ხომ მაინც გაება სხვებზე მონადირე თავის საკუთარ მახეში. ყველანი უხმოდ განშორდნენ საზიზღარ გვამს.

22. უკანასკნელი ომები. ბრადანუსთან დამარცხება. სიკვდილი

იმ დროს, როდესაც ევტიპიდა, ღირსეულად დაჯილდოებული ყველა თავისი ბოროტებისათვის, მირცას თვალწინ კვდებოდა, ტემეზის ნავსადგურში შევიდა ნავი, გრანიკისაგან - გლადიატორების წინამძღოლისგან - გაგზავნილი, ამბის შესატყობინებლად.

სპარტაკს მეტისმეტად ეწყინა, რომ ვერ მოახერხა ნაპირზე გასვლა და დიდხანს ფიქრობდა, თუ როგორ მოქცეულიყო. ბოლოს მიმართა არტორიქსს:

- რა ვუყოთ... თუკი გრანიკი ორმოცდაათი ათასი კაცით დგას ნიკოტერთან, ჩვენ რატომ არ გადავიყვანოთ იქ ჩვენი ჯარი? მთებში უფრო უძლეველი ვიქნებით, ვიდრე ციხის სიახლოვეს.

და გაგზავნა ნავი დანარჩენების შესატყობინებლად, რომ მეორე ღამესვე დაბრუნებულიყვნენ ტემეზაში.

მართლაც, რვა ღამის განმავლობაში გაიყვანა მან იქ თავისი ჯარი. ყოველ ღამე გამოჰყავდა

მეომრები, გარდა უკანასკნელი ღამისა, როცა ცხენოსან ჯარს თვითონ გაჰყვა. ისე გააპარა ოთხი ლეგიონი, რომ დაეფარა თავისი განზრახვა, თითქოს გლადიატორები არსადაც არ აპირებდნენ წასვლას.

მაგრამ, როგორც კი თვით სპარტაკი მოსცილდა ნაპირს უკანასკნელი ლეგიონით, ტემეზელები გაექანენ კრასუსთან ამ ამბის შესატყობინებლად.

პრეტორის სიბრაზეს საზღარი არ ჰქონდა, როდესაც გაიგო მტრის გაპარვა, მაშინ, როდესაც მას თავის ხელში ეგონა. უშვერი პირით ლანძღავდა ტემეზელებს, რომ მათ თავისი სიმხდალით არ შეატყობინეს სპარტაკის მზადება და ამგვარად შეუშალეს ხელი, რომ ერთბაშად დაემთავრებინა ეს სამარცხვინო ომი.

კრასუსმა დაადო ქალაქს სიმხდალისათვის მძიმე საურავი და იმავე დღეს აიშალა ბანაკიდან და წავიდა ნიკოტერზე. მაგრამ სპარტაკმა, მივიდა თუ არა ნიკოტერში, მზის ამოსვლამდე დაძრა თავისი ლეგიონები, ოც საათს აღარსად შეჩერებულან, სანამ სცილიუმამდე არ მივიდა, სადაც გადაწყვიტა გამაგრება და რომაელებს დალოდებოდა.

მეორე დღეს თრაკიელი რეგიუმისაკენ გაემართა და გზა-გზა ჰკრებდა ახალ-ახალ ძალას.

დაიჭირა მოხერხებული ადგილმდებარეობა და თან ისეთი მაღალი მესერი შემოარტყა გარს თავის ბანაკს და ისეთი ღრმა თხრილი შემოავლო, რომ კრასუსმა მიუდგომლად ჩათვალა გლადიატორების ბანაკი. რომის სარდალმა უბრძანა, დაეწყოთ უზარმაზარი შენობის აღება, რომელიც ბუტაფორიად ეჩვენებოდა კაცს, იმ ეპოქის ისტორიკოსები რომ ერთხმად არ გვიმტკიცებდნენ ამას.

„როცა მივიდა მტრის თხრილთან, თვით ბუნებამ უკარნახა კრასუსს, რა უნდა მოემოქმედნა“, - ამბობს პლუტარქე. გადაწყვიტა, აეშენებინა ზღვიდან ზღვამდე კედელი, რომ თავისი ჯარისკაცები უსაქმურობისგან დაეხსნა და მოესპო მტრისათვის ხორაგეულობის შოვნის საშუალება და შიმშილით დაემორჩილებინა. დიდი იყო ეს საქმე და იმდენად ძნელი, რომ კაცის ძალ-ღონისათვის შეუძლებლად ითვლებოდა, მაგრამ მოკლე ხანში ააშენა ეს კედელი და შემოარტყა გარს სამასი სტადიონის სიგრძისა და თხუთმეტი ნაბიჯის სიღრმის თხრილი.

ამ დროს, როდესაც ასი ათასი კაცი ამ ციკლოპურ მუშაობა ადგა, სპარტაკი წვრთნიდა ორ ახალ, თერთმეტი ათასი მონისგან შემდგარ ლეგიონს. ვერანაირ წუხილს ან აღელვებას ვერ შეატყობდა კაცი სახეზე; მან უკვე გამოიგონა ამ მახიდან გასვლის საშუალება, რომელსაც უმზადებდა კრასუსი.

- ერთი მითხარი, სპარტაკ, - შეეკითხა ერთხელ არტორიქსი, - განა ვერ ამჩნევ, რომ რომაელებმა თაგვებით გაგვაბეს მახეში?

- შენ აგრე ფიქრობ?

- როგორ არ უნდა ვიფიქრო? საცაა დაასრულებენ კედელს და ჩვენ აღარც გასასვლელი გზა გვექნება და აღარც შემოსასვლელი.

- ვეზუვზედაც ეგრე უნდოდა საწყალ კლოდიუს გლაბრის თაგვებივით გავბმულიყავით მახეში.

- ათი დღის შემდეგ ხომ ხორაგეული აღარ გვექნება?

- ვის?

- ჩვენ.

- ვიშოვით.

- მერე საიდან, როდესაც გასასვლელი აღარ გვექნება ბანაკიდან?

- ვინ გითხრა, ჩემო კარგო არტორიქს, რომ ათი დღის შემდეგ ჩვენ ისევ ამ ბანაკში დავრჩებით?

გაჩუმდა არტორიქსი და თავი ჩაღუნა სირცხვილით, რომ ეჭვი შეიტანა თავის წინამძღოლში. მაგრამ სპარტაკი მივიდა მასთან, ალერსით დაჰკრა მხარზე ხელი და უთხრა:

- ძალიან კარგად გამახსენე, არტორიქს, რომ ათი დღის სამყოფიღა გვაქვს ხორაგი. ჩვენი მდგომარეობისა კი ნუ გეშინია: მე უკვე მოვიფიქრე, თუ როგორ გავიპარებით აქედან და დავტოვებთ კრასუსს პირდაღებულს ამ უშველებელი კედლის წინ.

- ეს კი მაინც უნდა თქვას კაცმა, რომ კრასუსი კარგი სარდალია.

- ყველაზე უკეთესი, რომლებთანაც კი მოგვიხდა ბრძოლა აქამდე, - უპასუხა სპარტაკმა.

ერთი წამის შემდეგ დაუმატა:

- ჩვენ მაინც ვერ დაგვამარცხა!

- ვერც დაგვამარცხებს, სანამ შენ ცოცხალი ხარ!

- არტორიქს, მეც ისეთი ადამიანი ვარ, როგორც სხვები.

- არა, არა, შენ ჩვენი დროშა, ჩვენი ძლიერება ხარ. შენ ხარ ჩვენი უმთავრესი მიზნის - ჩაგრულთა ხსნის, უბედურთა კეთილდღეობის, მონათა გათავისუფლების განხორციელება.

- მაშ, შენ გწამს საბოლოო გამარჯვება? - ნაღვლიანად და თავის ქნევით ჰკითხა სპარტაკმა.

- რატომ არ უნდა მწამდეს?

- იმიტომ, რომ იმ ათი მილიონი, მთელ იტალიაში ჩაგრული მონისგან ასი ათასიც არ შეიკრიბა ჩვენს დროშებქვეშ. მონობამ მეტად დაუმცირა სული იმ უბედურებს და აღარ აქვთ ღონე, გაწყვიტონ ის ჯაჭვი; იმიტომ, რომ რომის დესპოტიზმს საბოლოოდ

მოთმინებიდან არ გამოუყვანია მის უღელქვეშ მგმინავი ხალხი. რომი ძალიან ძლიერია, ჩვენ კი მეტისმეტად სუსტნი. აი, ამიტომ არ შეგვიძლია გავიმარჯვოთ და ვერც გავიმარჯვებთ. თუ რაიმე იმედი იყო გამარჯვებისა, ეს იტალიის გარეთ, დაპყრობილების დახმარებით და არა დამონავებული ხალხებისა. აქ კი დაღუპვის მეტი არა დაგვრჩენია რა და დავიღუპებით კიდეც. სპარტაკი გაჩუმდა. შემდეგ ამოოხვრით დაუმატა:

- კეთილშობილურ მაგალითად მაინც დარჩეს შთამომავლობისთვის ჩვენი ბრძოლა!

სწორედ ამ დროს ცენტურიონმა შეატყობინა სპარტაკს, რომ სამი ათასი მეშურდულე დალმატი და ილირიელი რომაელთა ბანაკიდან პრეტორის ალაყაფთან მოსლიყო და დაჟინებით ითხოვდა მოძმეთა რიგებში მიღებას. სპარტაკი ფიქრებს მიეცა, მაშინვე არ უპასუხია სამი ათასი ლტოლვილის თხოვნაზე. ვინ იცის, იქნებ საეჭვოდ მიაჩნდა მათი საქციელი, თუ არ უნდოდა მაგალითი მიეცა თავისი მამაცი ჯარისათვის. მივიდა ალაყაფთან და უთხრა, რომ ჯარისკაცს არ შეჰფეროდა თავისი დროშის მიტოვება. გაქცეულთა ხელისშეწყობა და მიღება თავის რიგებში არათუ საძრახის საქმედ ითვლებოდა სახელგანთქმული წინამძღოლისთვის, არამედ დამღუპველადაც, რათა მოღალატეთა საქციელი მისაბაძ მაგალითად არ გამხდარიყო.

ამ ლაპარაკის შემდეგ გავიდა რვა დღე და საღამოზე ყველა ლეგიონის ასისთავებმა და ათასისთავებმა შემოუარეს გლადიატორების კარვებს და გადასცეს ბრძანება სპარტაკისა, რომ აშლილიყვნენ ბანაკიდან, რაც შეიძლებოდა ჩუმად, ჩვეულებრივ ნიშანზე.

ცხენოსნები ჯერ ისევ წინა დღეს წავიდნენ, მისივე ბრძანებით, მტრის ზურგს უკან მდებარე ტყეში და მოზიდეს იქიდან აუარებელი წნელი, ტოტები და ხეები.

დაღამდა თუ არა, გლადიატორებმა გააჩაღეს თავიანთ ბანაკში ცეცხლი და სპარტაკმა, ისარგებლა რა წვიმითა და თოვლით, რის გამოც შემოდგომის ბნელი ღამე უფრო მეტად ჩამობნელებულიყო, ჩუმად გაიყვანა ლეგიონები თხრილებიდან და წაიყვანა ტარენტის ყურის ნაპირისაკენ, სადაც უფრო საშიშრად იყო ამაღლებული რომაელების კედელი და სადაც რომაელებს დარაჯებიც არა ჰყავდათ დაყენებული, ისე იყვნენ დარწმუნებულები მის მიუდგომლობაში. აქ სპარტაკმა უბრძანა, ჩაეყარათ თხრილში ტყიდან რვა ათასი ცხენოსნისგან მოტანილი ხეები და ფიჩხის კონები, შემდეგ კონებზე დააწყვეს ექვსი ათასი ტომარა, მიწით გავსებული და გლადიატორებისგან წინდაწინვე მომზადებული. როდესაც ამგვარად გაკეთდა უზარმაზარი, კედლის სიმაღლის ბოგირი, სპარტაკი თავისუფლად გადავიდა მეორე მხარეს თავისი ლეგიონებით.

ჯარის უფროსობა გადასცა გრანიკს და სპარტაკმა უბრძანა მას, წინ წასულიყო, არ მიექცია ყურადღება არც თოვლისთვის და ევლო იქამდე, სანამ არ მივიდოდა კავლონიამდე, რომელიც ხუთი დღის სავალზე იყო რომის ბანაკიდან. თვითონ კი მთელი თავისი ცხენოსანთა ჯარით დაიმალა ახლო ტყეში. რადგან რომაელები საერთოდ არ მოელოდნენ უკანიდან მტრის დაცემას, სპარტაკს შეეძლო, ორ დღეს შეუმჩნევლად გაჩერებულიყო და ეზრუნა მხოლოდ იმაზე, რომ შემთხვევით გზაში შემოყრილი გლეხები და მგზავრები ტყვედ დაეჭირათ იმის რაზმებს.

მესამე დღეს სპარტაკმა შეიტყო, რომ რომაელების ორი ლეგიონი სურსათზე წასულიყო. ის სრულებით მოულოდნელად დაეცა მათ თავზე და სულ ნახევარი საათის განმავლობაში დაამარცხა და სდია უკან თვით რომაელების ბანაკამდე, სანამ ოთხი ათასი კაცი არ ამოწყვიტა. შემდეგ, არც კი მისცა დრო კრასუსს, რომ შოკიდან გამოსულიყო, მტრის უკნიდან დაცემით, რომელსაც ის პირისპირ უდარაჯებდა, გაბრუნდა უკან და გააქროლა ცხენი კავლონიისკენ.

- ჯოჯოხეთის ქაჯებო! - შეჰყვირა გაცოფებულმა კრასუსმა და შემოირტყა მუშტი შუბლში, - რომაელი ხალხის წინაამღდეგ თვით ღმერთები გამოდიან ამ გლადიატორის მფარველად! მე გარს ვერტყმი, ის ხელიდან მისხლტება; მე ვამარცხებ, ის კრებს ახალ ჯარს და ბრუნდება უფრო ძლიერი! როცა მგონია, ომი დამთავრებულია, წინანდელზე უფრო გაცხარებული ხდება. თავს მესხმის უკნიდან! სწორედ ნამდვილი ჯადოქარია! სისხლისმსმელი ვამპირი! გაუმაძღარი ადამიანთა სისხლით!

- არა, ის მხოლოდ დიდი სარდალია!

ასე უპასუხა ახალგაზრდა კატონმა, რომელსაც თავისი სიმამაცით, ამტანობითა და სამხედრო წესიერების დაცვით კონტუბერნალის წოდება დაემსახურებინა რომაელების წინამძღოლთან.

მარკუს კრასუსმა მრისხანე თვალით შეხედა თავხედ ჭაბუკს და თითქოს ჭკუის სწავლება უნდოდა მეტიჩარისთვის, მაგრამ თავი შეიკავა და დამშვიდებით უთხრა:

- მგონია, რომ მართალი ხარ, გამბედავო ჭაბუკო!

- თუ გამბედავს მხოლოდ სიმართლის თქმისთვის მიწოდებ, მაშ ჩემზე გამბედავი დედამიწის ზურგზე არავინ ყოფილა, - ამაყად უპასუხა კატონმა.

გაჩუმდა კრასუსი, გაჩუმებულნი იყვნენ სკროფა, მუმიუსი, კვინტუსი და დანარჩენი წინამძღოლებიც, მძიმე ფიქრებში ჩანთქმულები. ბოლოს კრასუსმა თქვა:

- გამოკიდება შეიძლება, მაგრამ დაწევა კი - არასდროს! ის ქარივით მიჰქრის და რამდენიმე დღითაც არის ჩვენზე წინ... ოთხმოცი ათასი კაცი კი არის მის ხელში! მერე ამ ძალით რომ ის რომს დაეცეს? ოჰ, ღმერთებო! მე კი გუშინაც მივწერე სენატს, რომ დღეიდან ომი დასრულებულად უნდა ჩაითვალოს-მეთქი... რაღა ვქნათ?.. როგორ ვუშველოთ უბედურებას?

კრასუსის ამ კითხვებზე წინამძღოლებმა ერთხმად უპასუხეს, რომ უეჭველად სენატს მოხსენდეს ყველაფერი ეს და გამოეცხადოს, რომ ახლა ომმა უფრო სასტიკი მიმართულება

მიიღო, ვიდრე უწინ, და მის მოსასპობად აუცილებლად უნდა გამოიგზავნოს სპარტაკის საწინააღმდეგოდ კრასუსის ჯარის გარდა პომპეუსის ჯარი, რომელიც ბრუნდებოდა ესპანეთიდან სერტორიუსთან ომის შემდეგ, და ლუკულუსის ჯარი, რომელმაც მითრიდატე დაამარცხა და უკვე მოდიოდა იტალიაში. ამგვარად, სპარტაკი გამოემწყვდეოდა სამიათასიანი ჯარის შუა, რომელსაც წინამძღოლებად ეყოლებდნენ

რესპუბლიკის საუკეთესო სარდლები, და მაშინ რამდენიმე დღეში დამთავრდებოდა ეს ომი.

თუმცა დიდად არასასასიამოვნო იყო კრასუსისათვის, ეს ამბავი რომის სენატისათვის რომ შეეტყობინებინა, მაგრამ მან მაინც დაუჯერა და გაგზავნა წერილი, შემდეგ აშალა ბანაკი და დაიძრა გლადიატორებისკენ.

ამ დროს სპარტაკს იმედი ჰქონდა, გადაელახა მთები და კავლონიიდან სკილაკიუმის გავლით წაეყვანა ჯარი ნოვოკასტრუმისა და პოლეოკასტრუმისკენ. მაგრამ აქ ის შეაჩერა ისევ იმავე გაიუს კანიციუსისაგან ატეხილმა ახალმა აჯანყებამ. მან მიიმხრო ხუთი ლეგიონი და კანიციუსი გაიძახოდა, რომ ჯერ კრასუსი უნდა დავამარცხოთ და შემდეგ რომზე გავილაშქროთო. ვერც თხოვნამ გაჭრა, ვერც მუქარამ და გაიუს კანიციუსი კასტთან შეერთებული ხუთი ლეგიონით დაბინავდა ათი მილის მანძილზე სპარტაკისგან.

სპარტაკმა გრანიკი და არტორიქსი გაუგზავნა, რომ დაებრუნებინათ როგორმე, მაგრამ კანიციუსიცა და მისი ამხანაგებიც ერთსა და იმავეს გაიძახოდნენ, რომ ეს საუკეთესო ადგილია, საჭიროა აქ მოვუცადოთ კრასუსს და უკანასკნელად შევებრძოლოთო.

სპარტაკი მეტად შეაძრწუნა ჩამოშორებული ლეგიონების ამ უგუნურმა სიკერპემ, მაგრამ ვერ შეძლო მათი უპატრონოდ დატოვება, რადგან მთლად ამოწყდებოდნენ უიმისოდ. მან მოცდა გადაწყვიტა, სანამ ისინი გონს მოვიდოდნენ; ასე ჰკარგავდა ძვირფას დროს და ამით რომაელებს საშუალებას აძლევდა, აენაზღაურებინათ დანაკარგი.

მართლაც, მეოთხე დღეს, კრასუსი, თითქმის ისეთივე სიჩქარით მიმავალი, როგორც სპარტაკი, იმ მაღლობების წინ გამოჩნდა, რომელიც კანიციუსის ლეგიონებს ეჭირათ. გაჩაღდა ბრძოლა. გაიუს კანიციუსის ოცდაათი ათასი ჯარისკაცი მედგრად ედგა რომაელების თითქმის ასიათასიან ჯარს, მაგრამ, რასაკვირველია, მთლად გაწყდებოდა, სპარტაკი რომ არ გამოჩენილიყო მთელი თავის ჯარით. მის მოსვლაზე ბრძოლა ხელახლა გახურდა გაორკეცებული სიმძვინვარით და გაგრძელდა დაღამებამდე. გლადიატორებმა დაკარგეს თორმეტი ათასი, რომაელებმა ათი ათასი კაცი, მაგრამ არც ერთ მხარე არ დაუთმია ერთმანეთისათვის არც ერთი გოჯი მიწა.

რადგან სპარტაკს კრასუსზე ნაკლები ჯარი ჰყავდა, ამიტომ ის ღამე აიშალა ბანაკიდან, იქვე თანხმობა ჩამოაგდო თავის ჯარში და დაიძრა ბიზინიანუმისკენ. კრასუსი ფეხდაფეხ გაჰყვა მას, თუმცა თავდასხმას კი ვერ ბედავდა.

სპარტაკი გამაგრდა მაღალ მთაზე და გადაწყვიტა, დალოდებოდა ხელსაყრელ შემთხვევას, თან ცდილობდა თანხმობა ყოფილიყო კანიციუსისა და კასტის ბანაკში. ყველაზე გონივრულად მას ახლა კრასუსთან ბრძოლის თავიდან აცილება მიაჩნდა. მოხერხებულ დროს უნდა დაველოდოთ, ჯერ კი რთული გზით დავღალოთო.

კასტი და კანიციუსი სპარტაკთან ლაპარაკის შემდეგ თითქოსდა დამშვიდდნენ. მტრულად არ უცქერდნენ, მაგრამ ვერ ურიგდებოდნენ წესრიგს და ესწრაფოდნენ, რაც შეიძლება მალე შეჰყროდნენ მტერს.

სამ დღეს იდგა სპარტაკი ბიზინიანუმის მახლობლად ბანაკად, მთას ამოფარებული. მეოთხე ღამეს ქარიშხალში, წვიმასა და ჭექა-ქუხილში თავისი ჯარით ჩუმად დაეშვა ციცაბო ბილიკზე, კლარომონტისკენ საჩქაროდ მიმავალი კრასუსის შეუმჩნევლად.

რვა დღის შემდეგ დაეწია კრასუსი გლადიატორებს და გამაგრდა ისე, რომ სპარტაკი კვლავ ორ მთას შუა მოამწყვდიეს.

კანიციუსმა და კასტმა ხელახლა ატეხეს შფოთი, ჩამოშორდნენ სპარტაკს თავისი ლეგიონებით და დაბინავდნენ ექვსი მილის მანძილზე იმისგან, სადაც სპარტაკი ხელმეორედ გაჩერდა.

ორ დღეს იდგა გრასუსი გლადიატორების ჯარის თვალწინ, სინჯავდა პოზიციას, და ემზადებოდა საომრად. მესამე დღეს გაგზავნა ერთი ლეგიონი კანიციუსის პოზიციის გარსშემოსავლელად, თან უბრძანა, დამალულიყვნენ მთებში და დასცემოდნენ უკანიდან კანიციუსსა და კასტას მხოლოდ მაშინ, როდესაც სკროფა დანარჩენი სამი ლეგიონით წინიდან დაესხმოდა. ამნაირად, კრასუსს იმედი ჰქონდა, ამოეწყვიტა ორივე ჩამოშორებული ლეგიონი, სანამ სპარტაკი მიეშველებოდა. შემდეგ იმედი ჰქონდა, რომ ადვილად დაამარცხებდა თვით სპარტაკსაც, რომელსაც პოლეოკასტრუმთან ამისთანა ზარალის შემდეგ უნდა დარჩენოდა მხოლოდ ორმოცდაათი ათასი კაცი, მაშინ, როდესაც კრასუსს ჰყავდა ოთხმოცდაათი ათასი.

ლივიუს მამერკმა, ლეგიონის უფროსმა, რომელიც კანიციუსისა და კასტას ალყის შემოსარტყმელად იყო გაგზავნილი, ისეთი სიმარჯვით შემოუარა გარს, რომ გლადიატორებმა ვერაფერ შენიშნეს. რადგან ეშინოდათ, რომ მზის სხივებზე ჩაჩქანებისა და ჯავშნების ბრწყინვალება გაამხელდა მათ იქ ყოფნას, მამერკმა უბრძანა, თავი და მკერდი ბალახითა და ვაზის ყლორტებით შეეხვიათ. ამ სახით მეომრები ჩუმად იწვნენ გორის იქით და ელოდნენ დროს. მაგრამ, რომაელების საუბედუროდ, იმ გორაკზე, რომლის უკანაც ისინი იმალებოდნენ, პატარა სამლოცველო ტაძარი იდგა იუპიტერის სახელობაზე.

მირცა, თავისი ძმის უსაზღვროდ ერთგული და ამასთან მეტად ღვთისმოყვარე ქალი, არასდროს კარგავდა შემთხვევას მსხვერპლის შეწირვისთვის, იმ იმედით, რომ ღმერთები გახდებოდნენ სპარტაკისა და მისი ჯარის მფარველი. იმ დღესაც წავიდა ცეტულის თანხლებით ღმერთების მამის ტაძარში თეთრი თიკნის შესაწირავად. გორაკზე რომ ავიდა, დაინახა რომაელი მეომრები, ზოგი ბალახზე მწოლი, ზოგი ჩაცუცქული. ასე ჩასაფრებულები აღმოაჩინა ღმერთისათვის მსხვერპლის შესაწირავად წასულმა ორმა ქალმა.

მირცამ არაფერი შეამჩნევინა, გადაიხადა მსხვერპლის შეწირვის ყოველიწესი და მაშინვე გაეშურა კასტთან და კანიციუსთან შესატყობინებლად. მერე შეჯდა ცხენზე და წავიდა სპარტაკთან.

გაიუს კანიციუსს არ დაუყოვნებია, სწრაფად გამოიყვანა თავისი ორი ლეგიონი და დაეცა თავს ლივიუს მამერკს. უკანასკნელი მამაცურად დაუხვდა მოულოდნელ თავდასხმას და მაშინვე გაუგზავნა კრასუსს კონტუბერნალი თხოვნით, რომ ეშველა მისთვის. კრასუსმა დაუყოვნებლივ გაუგზავნა ორი ლეგიონი. ასევე მოიქცა

სპარტაკიც. ეს შეტაკება მალე გადაიქცა ნამდვილ ბრძოლად, რომელიც იყო ისეთი მძინვარე, როგორიც არ ყოფილა არც ერთი წინა.

თითქმის ერთსა და იმავე დროს მოაქროლეს ცხენები სპარტაკმა და კრასუსმა... მთელ დღეს

დიდი მამაცობითა და თავგამეტებით იბრძოდნენ. მხოლოდ ღამის სიბნელემ განაშორა მებრძოლნი.

რომაელები დაიხოცნენ თერთმეტი ათასზე მეტი; გლადიატორები - თორმეტი ათას სამასი, მათ რიცხვში ლეგიონების უფროსებიც: კანიციუსი, კასტი და ინდუტიომარი, რომლებიც მამაცურად იბრძოდნენ წინა რიგებში.

ოთხი საათის შემდეგ სპარტაკი აიშალა ბანაკიდან და მიხვეულ-მოხვეული ტყიანი ბილიკებით ხელახლა გასწია პეტელინის მთებისკენ.

მეორე დღეს კრასუსმა დაათვალიერა ბრძოლის ველი და თავისი და მთელი თავისი ჯარის გასაკვირველად შენიშნა, რომ დახოცილ გლადიატორებში მხოლოდ ორნი იყვნენ ზურგში დაჭრილები, დანარჩენები კი დახოცილიყვნენ პირისპირ ბრძოლაში.

კლარომონტის ბრძოლის შემდეგ, როდესაც სპარტაკი ხელახლა მიეფარა მთებს, კრასუსი მეტად ნანობდა, რომ სენატს წერილი მისწერა და სთხოვა პომპეუსისა და ლუკულუსის დაჩქარება. საქმით მარტო იმის კისერზე იყო ომის ტვირთი და იმდენად შეასუსტა სპარტაკი, რომ იგი ვეღარც კი უბედავდა ბრძოლას; ბოლოს კი ომის დამთავრების სახელს თავის თავს მიაწერდა

ორი სხვა სარდალი. კრასუსმა გადაწყვიტა, ომი დაემთვრებინა, სანამ იტალიიდან ლუკულუსი მოვიდოდა და რომში თავისი ჯარით მოსული პომპეუსი ლუკანიისაკენ გამოემართებოდა. ამ მიზნით, თავის კვესტორს, სკოფას მიანდო, სპარტაკს ფეხდაფეხ გამოჰკიდებოდა და არ მიეცა არც ერთი დღის დასვენების ნება. თვითონ კი თან წაიყვანა მხოლოდ ოცი ათასი კაცი და საჩქაროდ გაემგზავრა ტურიაში და იქიდან პორტენციისკენ, საიდანაც ის ყველა ქალაქში გზავნიდა ტრიბუნებს ახალი ლეგიონების შესაკრებად და ჰპირდებოდა ძვირფას ჯილდოს ყველას, ვინც კი თავისი ნებით შევიდოდა მის ჯარში.

ამასობაში სპარტაკი კლარომონტიდან ნოვოკასტრუმში გაემართა, აქედან - ტანაგრუმში, ტანაგრუმიდან - ისევ კლარომონტში, რომ ასეთი მძიმე გადასავლგადმოსვლით დაეტანჯა რომაელთა ჯარი და შემდეგ უფრო მოხერხებულ დროს დასცემოდა თავს, როდესაც რიცხვით ისეთი დიდი განსხვავება აღარ იქნებოდა მათ შორის. სკროფა, კრასუსის ბრძანებით, მოსვენებას არ აძლევდა გლადიატორებს და ეცემოდამათ უკანა ჯარს ყოველ შემთხვევაში. რამდენიმე გლადიატორიტყვედ ჩაიგდო და იქვე, გზაში, ჩამოახრჩო.

კლარომონტიდან მთებზე მიმავალი სპარტაკი გაეშურა ჰერაკლიისკენ.

გლადიატორები მივიდნენ წვიმებისგან ადიდებულ მდინარე კაზუენტთან და გაჩერდნენ ხიდის

გასადებად. ამით ისარგებლა სკროფამ, დაეცა მთელი თავისი კავალერიით გლადიატორების უკანა ჯარს და ამოწვიტა რამდენიმე ასი კაცი.

ამან ისე გააოფთრა სპარტაკი, რომ მაშინვე გადაწყვიტა, დაეწყო ომი. გამოიყვანა თავისი ლეგიონები და მოუწოდა მათ, ან გაემარჯვათ, ან დახოცილიყვნენ: უკან მდინარე იყო, არანაირი საშველი არ ჰქონდათ.

გამძვინვარებული გლადიატორების ლეგიონები ეტაკნენ რომაელებს და ორი საათის შემდეგ ომის ბედი გადაწყვეტილი იყო. რომაელები უკუიქცნენ. ტყუილადღა ვარდებოდა სკროფა უფრო საშიშ ადგილებში, რომ ამ მაგალითით შეეჩერებინა უკუქცეულნი. ტყუილადღა ცდილოდნენ ტრიბუნები გლადიატორების შეკავებას. თავზარდაცემული რომაელები გარბოდნენ და თვით კვესტორი, ფეხში და სახეში დაჭრილი, ძლივს გადაარჩინა მხედართა რაზმმა ტყვეობისაგან.

რომაელები დამარცხდნენ. ათი ათას კაცზე მეტი დაიხოცა მაშინ, როდესაც გლადიატორებმა დაკარგეს რვა ათასი. რომაელთა მეომრებს ისე დაეცათ თავზარი, რომ მდინარე კარისში ცურვით გასულნი, რა დროსაც ბევრი მათგანი წყალში დაიღუპა, ტურის ციხემდე გარბოდნენ, ორი დღის სავალზე იმ ადგილიდან, სადაც ისინი დამარცხდნენ.

დიდი იყო გლადიატორების აღტაცება. ამ მოულოდნელი გამარჯვებით გამხნევებულებმა, სპარტაკს მიუგზავნეს ამორჩეული პირნი და სთხოვეს, ხელახლა გაეყვანა მტერზე საომრად, სადაც ჰპირდებოდნენ ასეთსავე გამარჯვებას.

მაგრამ სპარტაკმა არ შეიწყნარა თხოვნა. კრასუსი, მიუხედავად დამარცხებისა, მაინც ძლიერი იყო და თან შეიტყო, რომ რომაელი სარდალი ჯარს აგროვებდა.

იმ დამარცხების შემდეგ, რაც სკროფამ განიცადა, კრასუსი პოტენციიდან ტურიაში მივიდა თავისი ოცდათვრამეტი ათასი ჯარისკაცით (ამდენი კაცი ჰყავდა შემომატებულებთან ერთად) და დიდი საყვედური გამოუცხადა ჯარიდან გაქცეულებს. დაიფიცა, რომ სიკვდილით დასჯიდა, თუ კიდევ გაექცეოდნენ გლადიატორებს. შემდეგ რამდენიმე დღე დაჰყო ციხეში და დაედევნა სპარტაკს, რომელიც, როგორც კრასუსმა შეიტყო, თავისი მზვერავებისგან, დაბანაკებული იყო ბრადანუსის ნაპირზე, სილვიუმის შორიახლო.

ათი დღე გავიდა კაზუენტუმის ბრძოლის შემდეგ. სპარტაკი ერთ საღამოს ჩაფიქრებული მიდიოდა თავისი ბანაკის სადარაჯო გზაზე, როდესაც მასთან მივიდა ერთი მისი კონტუბერნალთაგანი და უთხრა, რომ ეს არის ახლა რომიდან მოსულმა სამმა გლადიატორმა მოუტანა რაღაცა ფრიად საჭირო წერილი.

სპარტაკი მაშინვე წავიდა თავის კარავში, სადაც ნახა სამი გლადიატორი, გლეხურად ჩაცმულები. მათი მოტანილი წერილი ვალერია მესალასი იყო.

სპარტაკიგაფითრდა ძვირფასი სახელის გაგონებაზე და აკანკალებულიხელით ჩამოართვა შეხვეული პაპირუსი. მარტო რომ დარჩა, გახსნა და წაიკითხა შემდეგი: უძლეველსა და ღირსეულ სპარტაკს ვალერია მესალას სალამი!

რადგან მტრული ბედი და უწყალო ღმერთები წინ აღუდგნენ შენს კეთილშობილურ საქმეს, ო, ჩემო სათაყვანებელო სპარტაკ, რადგან შენი უსაზღვრო მამაცობის, უდიდესი ნიჭისა და პატიოსნების წყალობით სამ წელიწადს მრავალჯერ გამარჯვებულმა რომის ლეგიონებზე ვერ შესძელ ულმობელი ბედის შემობრუნება და რომის ძლიერების დამხობა, ვინაიდან შენს წინააღმდეგ აზიიდან მოწვეულია ლუკულუსი და სწორედ ამ წამს პომპეუს დიდს, ესპანეთის დამპყრობს, მთელი თავისი ჯარი მოჰყავს რომიდან სამნიუმისკენ, გაფიცებ, ჩემი მხურვალე, უკვდავი სიყვარულისათვის დაეხსენ ამ ბრძოლას, გაუფრთხილდი შენს სიცოცხლეს ჩვენი საბრალო პოსტუმიას გულისათვის. ნუ მოაკლებ შენს მამობრივ ალერსს ჩვენს საყვარელ შვილს: იგი ხომ დაობლდება, თუ შენ ისევ განაგრძობ ბრძოლას, რომელიც სრულებით შეუძლებელი გახდა ახლა.

ქალი, რომელიც შენ გიყვარს, ვერას გთხოვს შენს დამამცირებელს სამი წლის ბრძოლის ამდენი გამარჯვების შემდეგ, როდესაც რომი და მთელი იტალია შენი შიშით ცახცახებდა, უკვდავჰყავ შენი სახელი და დაფნის გვირგვინი დაიდგი, იარაღის დაყრა სამარცხვინო არ არის: შენ მტრებისგან კი არა ხარ დამარცხებული, არამედ ავი ბედისაგან, იდუმალი, უხილავი ძალისაგან, რომლის წინააღდეგაც უღონონი არიან ადამიანის ღირსებაცა და ვაჟკაცობაც. ამას მეტყველებს ისტორია, დაწყებული კიროსიდან პიროსით გათავებული და ქსერქსედან - ჰანიბალამდე.

სანამ ბრძოლის ველზე მოვიდოდნენ პომპეუსი და ლუკულუსი, შეწყვიტე კრასუსთან ომი. შენზე გამარჯვების სახელი რომ თავის მოქიშპეთ არ დაუთმოს, კრასუსი შენთვის სასარგებლო პირობებზე დაგთანხმება.

მაშ უარჰყავ, რაც ბედისაგან წაგერთვა, და დაბრუნდი ჩემთან ტუსკულუმის სასახლეში, სადაც მოგელის უწმიდესი, უნაზესი, უმხურვალესი სიყვარული, როგორიც კი უგრძვნია კაცს ოდესმე. ადამიანთა ცხოვრების მღელვარებას მოშორებულნი, ჩვენს შვილთან ერთად სრულ ბედნიერებაში გავატარებთ დანარჩენ სიცოცხლეს.

ო, სპარტაკ, ჩემო სათაყვანებელო სპარტაკ, საბრალო, უბედური დედა და შვილი გევედრებიან,

გესმის, სპარტაკ, შენი შვილი ჩემთან ერთად გეხვევა მუხლებზე, გიკოცნის ხელებსა და ცრემლებით გისველებს; ცხარე ცრემლებით გევედრებით, გაუფრთხილდე შენს სიცოცხლეს, ის ხომ ყველაზე ძვირფასია ჩვენთვის ამქვეყნად.

ამ სიტყვებს რომ ვწერ, ხელები მიცახცახებს, ცრემლები მახრჩობს, ეცემა პაპირუსს და აქა-იქ შლის ჩემს ნაწერს...

ო, სპარტაკ, ჩემო სათაყვანებელო სპარტაკ, შეიბრალე შენი გოგონა, შემიბრალე. მე ხომ ერთი უმწეო, უბედური ქალი ვარ, ვერ ავიტან შენს სიკვდილს, მოკვდები დარდისა და მწუხარებისგან. მიყვარხარ, გაღმერთებ ყოვლისშემძლე ღმერთებზე მეტად! შემიბრალე!

ვალერია.

სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია, თუ რას გრძნობდა საბრალო გლადიატორი ამ წერილის კითხვისას. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე და დასდიოდა ვალერიას ცრემლებით დასველებულ პაპირუსს. ბოლომდე რომ ჩაიკითხა წერილი, მიიტანა ტუჩებთან,

გაშმაგებულმა დაუწყო კოცნა და თან გამწარებული ქვითინებდა. ბოლოს დაეშვა სკამზე. მაგრამდ ეჭირა ხელში პაპირუსი და რამდენსამე ხანს იჯდა თვალცრემლიანი, ნაღვლიან ფიქრებში ჩანთქმული.

ვინ წარმოიდგენს, სად დაფრინავდა ამ დროს მისი ფიქრები, რა ოცნებას გაეტაცნა, რა მოჩვენებებით ტკბებოდა!

დიდხანს იჯდა გაუნძრევლად და მხოლოდ მძიმე სუნთქვასა და სახის ძარღვების მოძრაობაზე შეატყობდა კაცი, თუ რა ტანჯვას განიცდიდა. ბოლოს, თითქოს გონს მოვიდაო, მოიწმინდა თვალები. კიდევ აკოცა ვალერიას წერილს და უბეში შეინახა. მერე ჩაიცვა აბჯარი, დაიხურა ჩაჩქანი, შემოირტყა მახვილი, აიღო ხელში ფარი, მოიხმო მამილიუსი და უბრძანა, მზად ყოფილიყო თავისი რაზმით წასასვლელად.

არ გასულა ერთი საათიც გრანიკთან მოლაპარაკების შემდეგ, რომ სპარტაკი გაუძღვა წინ სამას მხედარს და გავიდა ბანაკიდან. გავიდა თუ არა სპარტაკი კარვიდან, შიგ შევიდნენ მირცა და არტორიქსი.

ყმაწვილი კაცი ევედრებოდა ქალს, რომ გამოსტეხოდა იმ საიდუმლოში, რომელიც უშლიდა მას მის ცოლობას. მირცა კი, ჩვეულებრივ, უარს ეუბნებოდა ოხვრითა და ცრემლით.

- აღარ შემიძლია, არა, ამნაირი სიცოცხლე, - ეუბნებოდა არტორიქსი,- ვფიცავ სპარტაკის სიცოცხლეს, წმიდათა წმიდას ჩემთვის და უძვირფასესს საკუთარ სიცოცხლეზე, ვფიცავ, ჩემი სიყვარული ადამიანური უძლურების ნაყოფი არ იყოს. მან მთლად შეიპყრო ჩემი სული, მთელი ჩემი არსება, მთელი ჩემი გრძნობა. თუ ყველაფერს მიამბობ, რა გიშლის, გახდე ჩემი... ვინ იცის? იქნებ დავემორჩილო ულმობელ ბედს. მაგრამ სანამ არ ვიცი, რა გიშლის, რომ ადამიანებში უბედნიერესი ვიყო, თუმცა ვიცი, რომ გიყვარვარ, ჩემი ნებით ვერ დავემორჩილები ბედს და უარს ვერ ვიტყვი ბედნიერებაზე.

არტორიქსი მომეტებული მღელვარებით ლაპარაკობდა. ხმა უთრთოდა, სახე გაფერმკრთალებოდა. რომელზეც გამოიხატებოდა მთელი მისი სულიერი ტანჯვა. ყმაწვილი ქალი ენით გამოუთქმელ მწუხარებას შეეპყრო.

- არტორიქს! - უთხრა მან ცრემლნარევი ხმით, - გაფიცებ შენს ღმერთებს, გაფიცებ სპარტაკს, ნუ მატან ძალას. რომ იცოდე, როგორ მტანჯავ. არ შემიძლია არაფრის თქმა!

- მაშ, გამიგონე, მირცა, - შეჰყვირა არტორიქსმა მწუხარებით გადარეულმა, - თუ არ მეტყვი მაგ საიდუმლოს, გეფიცები, რომ ვეღარ ავიტან ამ ტანჯვას. გხედავდე ყოველდღე, ვტბებოდე შენი სილამაზის ცქერით, ვიცოდე, რომ გიყვარვარ და

სამუდამოდ კი ხელი ავიღო შენზე, ეს არ შემიძლია. ყოვლად ძლიერი ტირანის ელვამ დასცეს მეხი უძლეველ სპარტაკს, თუ შენს თვალწინ არ ჩავიცე გულში მახვილი.

ამ სიტყვებით არტორიქსმა გამოიძრო ქამრიდან ხანჯალი და მოიღერა გულისკენ.

- შეჩერდი, შეჩერდი, ღვთის გულისათვის! - საზარელის ხმით შეჰყვირა მირცამ და შემოეხვია კისერზე. - ყველაფერს გეტყვი, ყველაფერს. ქვითინმა გააწყვეტინა სიტყვა.

- მიჯობს, დავმცირდე შენს თვალში, - განაგრძო მან ცრემლებით, - შენი სიკვდილის ნახვას... გამიგონე. მე არ შემიძლია შენი ვიყო, იმიტომ, რომ... ოჰ, ჩემო ძვირფასო, რა ტანჯვაა! არა, მოიცა, სირცხვილისაგან ვიწვი, მაგრამ ყველაფერს გეტყვი, ჩემო საყვარელო, სათაყვანებელო არტორიქს!

მირცა ხელახლა აქვითინდა და პირზე ხელებმიფარებულს არ შეეძლო ხმის ამოღება, მაგრამ თავს ძალა დაატანა, მოიკრიბა ღონე და თქვა:

- მონა... მაჭანკალი პატრონის ჯოხებქვეშ... მე... მე... ნამუსახდილი ქალი გავხდი!

მირცას ღონე გამოელია და თითქოს გონება დაეკარგა.

არტორიქსი სახეზე შეიშალა, თვალები მრისხანებით აენთო და ხანჯალმოღერებულმა შეჰყვირა:

- ოჰ, წყეულიმც იყვნენ ეს საზიზღარი, ადამიანის სხეულით მოვაჭრენი! წყეულიმც იყოს მონობა! წყეულიმც იყოს ადამიანთა ულმობლობა!

შემდეგ ჩააგო მახვილი ქარქაშში, დაეცა საბრალო ქალის ფერხთით, სწვდა ხელში, დაუწყო მხურვალედ კოცნა და თან მგზნებარე სიყვარულით იმეორებდა:

- ნუ სტირი, ჩემო ძვირფასო! მერე რა ვუყოთ? განა შენ ნაკლებად წმიდა ხარ, ნაკლებად უმანკო ხარ ჩემს თვალში? შენ ხომ რომის ბარბაროსობის მსხვერპლი ხარ. ძალის დატანებით შენი სხეულის შებილწვა შეძლეს და არა შენი სულისა!

- არა, არა, თავი დამანებე! - თქვა მირცამ, გამოჰგლიჯა ხელი და მიიფარა პირზე, - უნდა მოგშორდე, დავფარო ჩემი შერცხვენა, არ შემიძლია თვალებში გიყურო!

ამ სიტყვებით გამოუსხლტა ხელიდან, შევარდა კარვის მეორე განყოფილებაში და ჩამოეკიდა კისერზე თავის ერთგულ ცეტულს.

არტორიქსი რამდენიმე წამს სიყვარულით შესცქეროდა იმ ფარდას, რომელსაც მირცა მიეფარა, მერე თავისუფლად ამოისუნთქა და კარვიდან გავიდა. დაბრკოლება, რომელიც მირცას უსაშველოდ მიაჩნდა, სრულებით არ იყო ისეთი მის თვალში.

მეორე დღეს, მზე ის იყო ამოვიდა, მარკუს კრასუსს, რომელიც დაბანაკებული იყო მამერტინში, ერთი ისრის გასროლაზე გლადიატორთა ბანაკიდან, მტრის მხედარმა, სპარტაკის შიკრიკმა წერილი გადასცა. წერილში ბერძნულ ენაზე კრასუსმა ამოიკითხა შემდეგი:

მარკუს ლიცინიუს კრასუსს, იმპერატორს, სპარტაკის სალამი!

შენთან მოლაპარაკება მინდა შენი და ჩემი ბანაკიდან ათ მილზე. ოპიდიდან სილვიუმისაკენ მიმავალ გზაზე არის ვენუსიელი პატრიცის, ტიტუს ოსილიუსის აგარაკი. მოგელი იქ სამასი მხედრით. იქნება ინებო შენც და მოხვიდე შენი სამასით. პატიოსნად მოვალ შენთან და სრული ნდობა მაქვს შენი პატიოსნებისა.

სპარტაკი

კრასუსი მაშინვე დაეთანხმა ამ წინადადებას. მოიხმო გლადიატორების შიკრიკი და უბრძანა, გაბრუნებულიყო სპარტაკთან და გადაეცა, რომ ოთხი საათის შემდეგ იქნებოდა დანიშნულ ადგილას და თვითონაც ისე ენდობოდა გლადიატორის პატიოსნებას, როგორც სპარტაკი - მისას.

იმავე დღეს, შუადღემდე ორი საათით ადრე, კრასუსი მივიდა ტიტუს ოსილიუსის აგარაკთან სამასი მხედრით. ჭიშკართან შეხვდნენ გლადიატორთა ცხენოსანი რაზმის უფროსი მამილიუსი, ერთი ცენტურიონი და ათიც დეკანი.

ცხენი ჩამოართვეს და თავაზიანად წარუძღვნენ რომის სარდალს სასახლისკენ. გაატარეს ატრიუმი, დერეფანი და შეიყვანეს სურათების გალერეაში, სადაც სპარტაკი ელოდებოდა.

სპარტაკს ფეხის ხმა რომ მოესმა, გამოჩნდა გალერეის ზღურბლზე, ანიშნა გლადიატორებს, წასულიყვნენ, ნიშნად პატივისცემისა, ტუჩებზე ხელი მიიფარა და უთხრა:

- სალამი შენდა, სახელოვანო მარკუს კრასუს! და დაიწია ოთახის კუთხისკენ, გზა რომ

  მიეცა რომაელი სარდლისთვის.

- სალამი შენც, ღირსეულო სპარტაკ! - ზრდილობიანად უპასუხა თავის მხრივ
  კრასუსმაც.

რამდენიმე წამს წინამძღოლნი თვალით სინჯავდნენ ერთმანეთს. გლადიატორი მთელი თავით და მხრებით მაღალი იყო პრეტორზე. სპარტაკის ზორბა ტანის მშვენიერი მოყვანილობა უფრო მეტად ირჩეოდა კრასუსის დაბალსა და შესამჩნევად ჩასუქებულ ტანთან. იმ დროს, როდესაც სპარტაკი ყურადღებით აკვირდებოდა კრასუსის ხელს და შავგვრემან, ნამდვილი რომაელის მხსვილნაკვთოვან სახეს, მის მხარ-ბეჭსა და მუხლებში მოგრეხილ ფეხებს, კრასუსი შესტრფოდა თრაკიელის ვაჟკაცურ სილამაზეს და კეთილშობილებას, რომელიც ყოველ მის მოძრაობაში იხატებოდა.

ყველაზე მეტად ის უკვირდა კრასუსს, რომ ვერ დაეძლია ამ კაცისადმი უნებური პატივისცემისა გრძნობა.

პირველად სპარტაკმა დაარღვია სიჩუმე და დაბალი ხმით წარმოთქვა: -

ეს მითხარი, კრასუს, შენ არ ფიქრობ, რომ ეს ომი ძალიან გაგრძელდა?

კრასუსი რამდენსამე წუთს ყოყმანობდა პასუხის გაცემაზე.

- დიახ, იმაზე მეტად გაგრძელდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო, - უპასუხა მან ბოლოს.

- როგორ გგონია, დრო არ არის, რომ მას ბოლო მოეღოს? - ჰკითხა ხელმეორედ სპარტაკმა.

კრასუსს თავისი ჭროღა, დამძიმებულქუთუთოებიანი თვალები ერთ წუთს თავისებური ცეცხლით აენთო და მაშინვე შეეკითხა:

- მერე როგორ?

- მორიგებით.

- მორიგებით? - გაკვირვებით იკითხა კრასუსმა.

- რატომ გიკვირს შენ ეს?

- რაო? რატომ? მერე როგორ უნდა მოვრიგდეთ?

- როგორ? ჰერკულესის სახელით! რასაკვირველია, ისევე, როგორც რიგდებიან ერთმანეთში მებრძოლი მხარეები.

- მაშ აგრე! წარმოთქვა დამცინავი ღიმილით კრასუსმა, - შენ გინდა, რომ ისე მოგირიგდნენ, როგორც ჰანიბალს, ანტიოქეს, მითრიდატეს...

- რატომაც არა? - უპასუხა შესამჩნევი ირონიით სპარტაკმა.

- იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ... - გაიმეორა წყენით და ზიზღით კრასუსმა, - განა თქვენ მებრძოლი მხარე ხართ?

- ჩვენ ვართ რომის ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლთა კავშირი, - უპასუხა სპარტაკმა.

- მართლა? ოჰ, ვფიცავ მარსს, დამსჯელ ღმერთს, მე მეგონა, რომ თქვენ ხართ საზიზღარი მონების ხროვა, რომლებიც აჯანყებულხართ თქვენი კანონიერი ბატონების წინააღმდეგ, - ღვარძლით უპასუხა კრასუსმა და მარცხენა ხელი ოქროს სამხარიღლივეში შეიყო.

- მოითმინე, განვსაჯოთ! - დამშვიდებით მიუგო სპარტაკმა, - ჩვენ ვართ ხროვა საზიზღარი მონებისა? არა, საზიზღარნი არ ვართ, ჩვენ ვართ მსხვერპლნი თქვენი უსამართლო და უგუნური ძალმომრეობისა. რაც შეეხება თქვენს სამართლიან მბრძანებლობას ჩვენზე, სჯობს, ამაზე ნურაფერს ვიტყვით.

- ერთი სიტყვით, - უპასუხა კრასუსმა, - გინდა მოურიგდე რომს ისე, ვითომ ჰანიბალი ან მითრიდატე იყო? აბა, მაშ სთქვი, რომელ პროვინციებს თხოულობ? ომში დანახარჯი რამდენი გსურს?

მრისხანედ აენთო თვალები თრაკიელს და მზად იყო, საკადრისი პასუხი მიეცა კრასუსისთვის, მაგრამ თავი შეიკავა, მარცხენა ხელი მიიტანა ტუჩებთან, რამდენჯერმე გადაისვა მარჯვენა ხელი შუბლზე და წარმოთქვა:

- მე აქ იმიტომ კი არ მოვსულვარ, რომ ან შენ მოგაყენო შეურაცხყოფა, ან მე ვიქნე შეურაცხყოფილი.

- მერე შენ შეურაცხმყოფელად არ მიგაჩნია რომის ხალხისა და სენატისათვის ეგ წინადადება, რომ მოურიგდეს აჯანყებულ მონებს და გლადიატორებს? ტიბრის ნაპირას უნდა იყო

დაბადებული, რომ იგრძნო, რა სამარცხვინოა ეს წინადადება. შენ კი, შენივე თავის საუბედუროდ, რომაელად არ დაბადებულხარ, თუმცა კი სრული ღირსი ხარ ამისი, და ვერც გაიგებ და შეაფასებ იმ შეურაცხყოფას, რაც მომაყენე.

- შენ კი ლათინთა ტომისთვის ჩვეული უსაზღვრო სიამაყე უფლებას არ გაძლევს, გაიგო იმ შეურაცხყოფის სიღრმე, რაც მომაყენე არა მარტო მე და ჩემს თანამებრძოლებს, არამედ ადამიანთა მოდგმას, დიდ ღმერთებს. შენ ხომ ყველა ხალხი ამქვეყნად მდაბალ მოდგმად მიგაჩნია, უფრო ცხოველად, ვიდრე ადამიანად.

რამდენსამე წუთს ფიქრებში ჩანთქმულმა კრასუსმა თავი ასწია, შეხედა სპარტაკს და უთხრა:

- შენ დაუძლურდი და თხოულობ მორიგებას, კარგი, რა პირობები გინდა?

- მე სამოცი ათასი კაცი მყავს. შენც კარგად იცი და რომსაც მოეხსენება იმათი სიმამაცის ამბავი. მილიონობით მონა კვნესის თქვენს უღელქვეშ მთელ იტალიაში; ისინი მაძლევენ და კვლავაც მომცემენ ახალ-ახალ ძალას. ომმა სამ წელიწადს გასტანა და შეიძლება კიდევ გასტანოს სამ, ოთხ, ათ წელს. შეიძლება იგი გამძვინვარებულ ცეცხლის ალად იქცეს და შთანთქას რომი. მე დავიღალე, მხოლოდ არ დავუძლურებულვარ.

- შენ გავიწყდება, რომ პომპეუსი მოდის შენზე სამნიუმიდან თავისი ლეგიონებით, სერტორიუსის დამმარცხებელი, და ყოველ დღე ბრუნდუზიუმში ელოდებიან ლუკულუსს, მითრიდატეს წინააღმდეგ მებრძოლს.

- მაშ ლუკულუსიც! - წარმოთქვა გაფითრებულმა სპარტაკმა, - ვფიცავ იუპიტერს, რომაელები დიდ პატივს სცემენ გლადიატორებს! თუკი ჩვენს წინააღმდეგ სახელმწიფოს მთელი ძალა გამოგყავთ, მაშ უღირსად რაღად მიგაჩნიათ ჩვენთან მშვიდობიანობაზე ლაპარაკი?

კრასუსმა არ უპასუხა და მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

ერთ წამს გაჩუმდა სპარტაკი და დაუმატა:

- თუ მე პომპეუსი და ლუკულუსი დამამარცხებენ, მაშინ ამ გამარჯვების სახელი, თუ ამნაირი გამარჯვება სასახელოდ ჩაითვლება, ლუკულუსს, პომპეუსსა და კრასუსს შორის გაიყოფა.

პატრიციმ ტუჩზე იკბინა, რადგან ახლა კი გულზე მოხვდა სპარტაკის სიტყვები, მაგრამ ყური მოიყრუა, ვითომ არ გაუგონია და გაუმეორა:

- რა პირობები გინდა... თქვი, როგორია შენი პირობები?

- ჩვენს ჯარს დავითხოვთ, რომის სენატი აპატიებს ყველა ჩემს ამხანაგს, ყველანი, როგორც გლადიატორები, ისე მონები დაბრუნდებიან გლადიატორების სკოლებში

და იტალიის ცირკებში, მე და რამდენიმე ჩემი ამხანაგი, რომლებიც უწინ რუდიარები იყვნენ და აგრეთვე ჯარის უფროსები, ასისთავებიანად - ჩაითვლებიან რუდიარებად.

- მაგ პირობებს, ლუკულუსსა და პომპეუსს რომ გავუყო გამარჯვების სახელი, ის მირჩევნია.

- თუ ამ მორიგების უარზე ხარ, მაშ შენ მითხარი, როგორია შენი პირობები?

- შენ და შენიამორჩევით ასი კაცი გადარჩებით ცოცხალი და თავისუფალნი; დანარჩენებმა დაყარონ იარაღი და დაგვმორჩილდნენ უპირობოდ. იმათ ბედს სენატი გადაწყვეტს.

- ვიცი! მათ მოელის... - ის იყო დაიწყო სპარტაკმა, მაგრამ კრასუსმა აღარ გაათავებინა.

- ანდა, - გააწყვეტინა მან სიტყვა, - თუ შენ დაიღალე, თავი დაანებე მათ. შენ გპირდებიან თავისუფლებას, რომის მოქალაქეობას და ჩვენს ერთ-ერთ რაზმში კვესტორის წოდებას. შენს ბრძნულ ხელმძღვანელობას მოკლებულნი, ისინი რვა დღეში სრულიად ამოწყდებიან.

სპარტაკს სახე აელეწა სიბრაზით. წარბები შეიჭმუხნა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა კრასუსისკენ გამძვინვარებული სახით, მაგრამ დასძლია თავს და ბრაზისგან ათრთოლებული ხმით თქვა:

- თავი დავანებო? ვუღალატო? არა, მაგ პირობებს მთელი ჩემი ჯარით გაწყვეტა მირჩევნია ბრძოლის ველზე. სპარტაკი ფეხზე წამოდგა და გადადგა რამდენიმე ნაბიჯი გასასვლელისაკენ.

- მშვიდობით, მარკუს კრასუს! - უთხრა სპარტაკმა. მაგრამ კართან რომ მივიდა,

შეჩერდა, მიიხედა რომაელი სარდლისკენ და შეეკითხა:

- ვნახავთ ერთმანეთს პირველ ბრძოლაში?

- ვნახავთ.

- პირობას მაძლევ, მებრძოლო?

- გაძლევ.

- მშვიდობით, კრასუს!

- მშვიდობით!

ტიტუს ოსილიუსის აგარაკიდან რომ გავიდა, სპარტაკმა უბრძანა თავის რაზმს შემსხდარიყვნენ ცხენებზე და გააქროლა ბანაკისკენ.

მეორე დღეს გავიდა მდინარე ბრადანუსში და წაიყვანა ჯარი პეტილიუმისკენ, სადაც საღამო ხანზე მივიდა იმ აზრით, რომ იქიდანაც წავიდოდა, მაგრამ მეორე დღეს, დილით, სპარტაკს მოუყვანეს რომაელი მხედარი, რომელიც გლადიატორებს დაეჭირათ გზაში მიმავალი. მას უპოვეს წერილი, რომელშიც ლუკულუსი

ატყობინებდა კრასუსს თავისი ჯარის მშვიდობიანად მოსვლას ბრუნდუზიუმში და დაუყოვნებლივ გამოსვლას იქიდან კრასუსთან შესაერთებლად.

გლადიატორებმა ყოველი იმედი დაკარგეს. თავის ხსნას მხოლოდ კრასუსთან თავგანწირულ შეტაკებაში დაეძებდნენ.

სპარტაკი უკან გამობრუნდა პეტელიუმიდან, ისევ ბრადანუსთან მივიდა და დაბანაკდა ერთ მილზე მარცხენა ნაპირიდან და რვა მილის მანძილზე კრასუსის ბანაკიდან, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, სადაც რომაელები სპარტაკზე რამდენიმე საათით ადრე მისულიყვნენ.

ღამის განმავლობაში კრასუსმა თავისი ლეგიონებიც მარცხენა ნაპირზე გაიყვანა და უბრძანა გლადიატორებისგან სულ ორი მილის მანძილზე დაბანაკება.

განთიადი იყო. რომაელების ოთხი კოჰორტა ჯერ ისევ თავის ბანაკის თხრილს აღრმავებდა, როდესაც გლადიატორების სამი კოჰორტა, დასაზვერავად გაგზავნილი, მივიდა რომაელების ბანაკთან, ამოავსო თხრილი ფიჩხით და გაშმაგებული დაეცა თავს რომაელებს.

ამ ხმაურზე გამოცვივდნენ იმ ლეგიონის დანარჩენი კოჰოროტებიც, რომლის ნაწილიც მიწის თხრაში იყო, და გაექანნენ თანამებრძოლების მისაშველებლად. თავის მხრივ, გლადიატორებმაც რომ დაინახეს ბანაკიდან მათი შეტაკება, ჯგუფ-ჯგუფად ეშურებოდნენ მისაშველებლად. ამნაირად, მებრძოლთა რიცხვი თანდათან მატულობდა და უბრალო შეტაკება ბრძოლაში გადადიოდა.

ამ დროს სპარტაკი თავის კარავში იყო; შეახვია პაპირუსი, რომელზედაც ვალერიასთან პასუხი დაეწერა, და როცა დაბეჭდა წმიდა სანთლის ბეჭდით და გულზე დაკიდული, ვალერიას ნაჩუქარი მედალიონით, გადასცა ერთ-ერთს იმ სამ გლადიატორში, რომელიც სულას ქვრივს გამოეგზავნა.

- თქვენ ყველას განდობთ ამ წერილს, - ეუბნებოდა მათ სპარტაკი აღელვებული ხმით, - გადაეცით ეს თქვენს ქალბატონს, რომლის ერთგულნიც ხართ...

- ჩვენ შენი ერთგულნიც ვართ და შენთვისაც მზად ვართ თავი გავწიროთ, - გააწყვეტინა სიტყვა წერილის მიმღებმა გლადიატორმა.

- გმადლობთ, ძვირფასო ძმებო, - უთხრა სპარტაკმა და განაგრძო შეწყვეტილი სიტყვა: - მიყრუებულ ბილიკებზე და გაუვალ გზებზე იარეთ, რომ მტერს არსად შეხვდეთ. თუ ვინიცობაა, საუბედუროდ, ერთ-ერთი თქვენთაგანი დაიღუპა, დანარჩენებმა მიუტანეთ წერილი თქვენს ქალბატონს. წადით და ღმერთები იყვნენ თქვენი მფარველნი!

სპარტაკმა კარვის კარამდე მიაცილა ისინი და გააფრთხილა, დეკუმანის ალაყაფით გასულიყვნენ. პრეტორიუმზე რომ გავიდა, ომის ხმაური მოესმა. რა ნახა, რომ შეტაკების შეჩერება შეუძლებელი იყო, გადაწყვიტა, მაშინვე დასცემოდა თავზე კრასუსს მთელი თავისი ჯარით, რომ დაესწრო რომაელებისთვის.

უბრძანა მებუკეებს, დაეკრათ ყველა ლეგიონის შეკრების ნიშანი და გამოიყვანა ველზე. ასევე მოიქცა რომაელი სარდალიც. როცა გაიგონეს თავისი ლეგიონების ძახილის ნიშნები, როგორც

გლადიატორები, ისე რომაელები, შეგროვდნენ თავთავიანთ ნაწილებში და ორივე ჯარი გაემართა საომრად. სპარტაკმა თავის ლეგიონებს ჩამოუარა და მიუბრუნდა მათ:

- ძმანო! დღევანდელ დღეზე არის დამოკიდებული ჩვენი ბედი. ჩვენს ზურგში არის ლუკულუსი, რომელიც ბრუნდუზიუმში გადმოვიდა და მოდის ჩვენზე. მარჯვენა ფრთიდან გვემუქრება პომპეუსი; იგი უკვე დაიძრა სამნიუმისკენ. ჩვენ წინ დგას კრასუსი. აუცილებელია ჩვენთვის კრასუსის დამარცხება, რომ შემდეგ დავეცეთ პომპეუსს. ანდა დავიღუპოთ ყველანი ერთად, როგორც შეჰფერის ვაჟკაც მეომრებს, რომაელებისმრავალგზის დამმარცხებლებს. ძმანო! ჩვენი საქმე წმიდა და სამართლიანია. ის არ დაიღუპება ჩვენს სიკვდილთან ერთად. გამარჯვება სისხლის ნაკადულებად დაგვიჯდება. მხოლოდ თავგანწირვითა და მსხვერპლით გაიმარჯვებს წმიდა იდეა. ნაძრახსა და სამარცხვინო სიცოცხლეს მამაცური და სახელოვანი სიკვდილი გვიჯობს. თუ დავიღუპებით, შთამომავლობას დავუტოვებთ ჩვენი სისხლით შეღებილ თავისუფლებისა და თანასწორობის დროშას და შურისძიებასა და გამარჯვებას. ერთი ნაბიჯითაც არ დავიწიოთ უკან. სიკვდილი ან გამარჯვება!

ამ დროს მოუყვანეს შავი, ნუმიდიური ცხენი, შესანიშნავი სილამაზის, რომელიც მას ერთი

წლის განმავლობაში ჰყავდა და ძალიან უყვარდა. როცა დაინახა მშვენიერი პირუტყვი, სპარტაკმა ამოიღო მახვილი, ჩასცა გულში თავის საყვარელ ცხენს და შეჰყვირა მთელს ველზე:

- მე არ მინდა დღეს ცხენი. თუ გავიმარჯვებ, საუკეთესოს ამოვარჩევ მტრის ცხენებიდან; დამარცხებული არ ვსაჭიროებ ცხენს არც დღეს, არც ხვალ და არც არასოდეს.

გლადიატორები მიხვდნენ ამ სიტყვის დიად აზრს და ამ საქციელს და გაშმაგებული ყვირილით ითხოვდნენ რომაელებზე მისვლას.

სპარტაკის ბრძანებით დაკრეს ბუკს; მთელი ჯარი შეიძრა.

როგორც გაზაფხულზე მოვარდნილი ნიაღვარი გაცოფებული მიისწრაფის მთების კალთებზე და მიაქვს თან, რაც კი შეხვდება, სწორედ ისე დაეცნენ თავს გლადიატორები რომაელებს ხელჩართულ ბრძოლაში.

ამ საზარელ თავდასხმაზე აირივნენ კრასუსის ლეგიონები და საჩქაროდ დაიხიეს უკან.

სპარტაკი პირველ ხაზზე იბძროდა, შუაგულ გაცხარებულ ომში, თავგანწირულებითა და

მამაცობით. მისი ყოველი მახვილის მოქნევა მტერს ცელავდა. სპარტაკმა რომ შენიშნა მტრის ლეგიონებში არევ-დარევა და უკან დახევა, უბრძანა მესამე ლეგიონს,

რომელშიც თვითონ იბრძოდა, მიეცათ მამილიუსისათვის წინდაწინვე შეთანხმებული ნიშანი, რათა დასხმოდა საჩქაროდ თავს მტრის მარჯვენა ან მარცხენა ფრთას.

განგაშის ხმაზე მამილიუსმა, ამ დროს გლადიატორების ფრონტის იქით მდგომმა, გამოიყვანა რვაათასიანი ცხენოსანთა ჯარი მარცხენა ფრთიდან, გაშალა ფრონტი და სწრაფად დაეცა რომაელების მარჯვენა ფრთას.

განგაშის ხმაზე მამილიუსმა, იმ დროს გლადიატორების ფრონტის იქით მდგომმა, გამოიყვანა რვაათასიანი ცხენოსანთა ჯარი მარცხენა ფრთიდან, გაშალა ფრონტი და სწრაფად დაეცა რომაელების მარჯვენა ფრთას.

მაგრამ კრასუსმა, რომელიც პატარა გორაკიდან ადევნებდა თვალს ბრძოლას, ოთხი ახალი ლეგიონი მიაშველა თავის თითქმის დამარცხებულ ჯარს და იმავე დროს უბრძანა კვინტუსს, ათი ათასი ცხენოსანით გლადიატორების ცხენოსნებს შესტაკებოდა. გასაოცარი სისწრაფით გაშალა ფრონტი რომის კავალერიამ და მამილიუსი, რომელიც კრასუსის ფრთაზე აპირებდა დაცემას, შეხვდა მტრის საუცხოო რაზმს და შეიქმნა მათ შორის მძვინვარე ხოცვა-ჟლეტა.

ამავე დროს მუმიუსი რეზერვის ოთხი სხვა ლეგიონით დაიძრა გლადიატორების მარჯვენა ფრთისკენ. გრანიკი წამოვიდა მის დასახვედრად ორი ლეგიონით, რაც დარჩა მას რეზერვში, და შეაჩერა ორჯერ უძლიერესი მტერი.

მაგრამ რიცხვით ბევრად აღემატებოდნენ რომაელები, ოთხმოცდაათი ათასი კაცი იბრძოდა გლადიატორების ორმოცდაათიათასიანი ჯარის წინააღმდეგ. იმ დროს, როდესაც სპარტაკისგან შევიწროებული ლეგიონები ფრონტიდან თანდათან უფრო მეტად იხევდნენ უკან-უკან და ბოლოს კიდეც გაიქცნენ, კრასუსმა უბრძანა დამარცხებულ რაზმს, დაეცალა ფრონტი, ჩაუდგა წინ თვითონ რეზერვის ოთხ ლეგიონს და გაექანა დაცარიელებული ადგილისკენ.

რამდენსამე წუთში აქეთ-იქით გაფანტულებმა გზა მისცეს ახალ კოჰორტებს, რომელთაც თვით კრასუსი და ტრიბუნი მამერკი წინამძღოლობდნენ. გააფთრებული ძალით ეკვეთნენ სპარტაკს და მის გლადიატორებს, რომელთა რიგებიც რამდენადმე არეულიყო. გაქცეულ რომაელებზე გამოკიდებით გლადიატორები ახალ ძალას შეეფეთნენ და ბრძოლა გაორკეცებული სიმძლავრით გახურდა. ამ დროს რომაელების დანარჩენმა ხუთი ათასმა ცხენოსანმა, მამილიუსის წინააღმდეგ მებრძოლი ათიათასიანი ჯარის გასწვრივ რომ იყო გამწკრივებული, შემოუარა მამაცურად მებრძოლი გლადიატორების კავალერიის მარცხენა ფრთას და დაეცა უკანიდან. იმავე დროს, გრანიკის ხერხისა და ენერგიის, აგრეთვე გლადიატორების არაადამიანური სიმამაცის მიუხედავად, მუმიუსმაც მოახერხა მარჯვენა ფრთის შემოვლა.

ამ წამიდან არათუ გამარჯვების იმედი, მხოლოდ შურისძიების წყურვილი და სიცოცხლის უფრო ძვირად გაყიდვის სურვილიღა ამხნევებდა გლადიატორებს.

ეს იყო არა ბრძოლა, არამედ სისხლისღვრა, ხოცვა-ჟლეტა. გლადიატორები თითქმის ალყაშემორტყმულები აღმოჩნდნენ, მაგრამ ბრძოლა მაინც სამ საათს გაგრძელდა.

რომაელებისაგან შევიწროებულმა მარცხენა და მარჯვენა ფრთებმა შესამჩნევად დაიხიეს უკან. მხოლოდ შუაგული ადგილი, სადაც სპარტაკი იბრძოდა და იმის მახლობლად - არტორიქსი, ჯერ კიდევ უმკლავდებოდა მტერს.

გრანიკმა როცა დაინახა თავისი ლეგიონების დამარცხება, გაექანა იქ, სადაც ხოცვა იყო, მოუღო ბოლო საკუთარი ხელით ერთ ტრიბუნს, ორ დეკანს და რვა თუ ათ მეომარს და დაჭრილი, სისხლში ამოსვრილი და ღონემიხდილი დაეცა ისიც ვაჟკაცური სიკვდილით, ოცი მახვილით განგმირული.

ასევე მამაცურად დაეცა მეცხრე ლეგიონის უფროსი, მაკედონიელი ეროსტენიც.

ბრძოლის შუაგულში მოკვდა ლამაზი ახალგაზრდა, თავისი ლეგიონის წინ მებრძოლი ტეულოპიხი.

სრულიად დამარცხებული კავალერია თავისი უშიშარი წინამძღოლის, ამილიუსის სიკვდილის მოწმე იყო.

დაღამდა დაბრძოლა არ შეწყვეტილა. ძალ-ღონე გამოლეული, დაჭრილი, სისხლისგან დაცლილი გლადიატორები კიდევ უწევდნენ წინააღმდეგობას, მაგრამ ახლა ისინი მარტო მამაცი მებრძოლნი კი არ იყვნენ, არამედ გააფთრებული მხეცები.

მთელი ეს დრო სპარტაკს არათუ ერთ ნაბიჯზედაც არ დაუხევია უკან, ათასი გლადიატორით გარშემორტყმული, რომაელების მეექვსე ლეგიონის რიგებში შეიჭრა. მარიუსისა და სულას ვეტერანები ვერ შეუჩერდნენ მათ გაცოფებულ სიმამაცეს. ხმამაღალი ყვირილით ეძახდნენ კრასუსს, რომელიც თრაკიელის შორიახლო იბრძოდა.

ტრიბუნი მამერკი მამაცი ლეგიონერების ჯგუფით ეტაკა სპარტაკს, მაგრამ თვალის დახამხამებაში მოუღეს მას ბოლო. ასეთივე ბედი ეწია ორ ცენტურიონს და რვა დეკანს, რომელთაც მოინდომეს ხელქვეითებისათვის იმის ჩვენება, თუ როგორ უნდა მოეგერიებინათ მტერი, მაგრამ მხოლოდ ის უჩვენეს, თუ რანაირად უნდოდა სიკვდილი.

სპარტაკის გვერდით ენით გამოუთქმელ სიმამაცეს იჩენდა ნუმიდიელი ვისბალდი,

მეთერთმეტე ლეგიონის უფროსი, უზარმაზარი ტანისა და ჰერკულესის ღონის მქონე, ენომაის მსგავსი კაცი.

ბრძოლის ველი სიბნელემ მოიცვა, მაგრამ რომაელები, თავიანთ თავს რომ გამარჯვებულად სთვლიდნენ, იძულებულნი იყვნენ, ყოველ კუთხეში ებრძოლათ.

ამოვიდა მთვარე და მკრთალი სხივებით გაანათა სისხლის ნთხევის ეს საზარელი სურათი.

ოცდაათი ათასზე მეტი გლადიატორი იწვა დახოცილი უშველებელ ველზე, თვრამეტი ათას რომაელში არეული. ომი დამთავრებული იყო და მასთან ერთად ლაშქრობაც. პატარა რაზმებად გაფანტული თექვსმეტი ათასი გლადიატორი ახლომახლო ტყეებსა და მთებში გაიქცა.

მხოლოდ ერთ ადგილას გაისმოდა მახვილების წკრიალი და მებრძოლების მხეცური ყვირილი.

აქ რამდენიმე ასი კაცი შეგროვილიყო სპარტაკის გარშემო და ისე ჯიუტად იგერიებდნენ მტერს, თითქოს არაფერს არ შეუძლია მათი დამორჩილებაო.

- კრასუს, სადა ხარ? - დროგამოშვებით ყვიროდა სპარტაკი, - ხომ დამპირდი პირისპირ ბრძოლას, კრასუს, სადა ხარ?

ორი საათის წინ სპარტაკმა უბრძანა ბრძოლის ველიდან ძალით წაეყვანათ ცხარე ცრემლებით ატირებული მირცა.

იცოდა, სიკვდილი ეწერა და არ უნდოდა, მის თვალწინ დაცემულიყო მირცა ან გამხდარიყო იგი ძმის სიკვდილის მოწამე.

გავიდა კიდევ ერთი საათი. სპარტაკის ფარი მთლად დაცხრილეს სათხედებით. მის თვალწინ დაეცნენ იმის გვერდით მებრძოლი უკანასკნელი მეგობრები, ვისბალდი და არტორიქსი, რომელიც განაგრძობდა ბრძოლას, თუმცა მთელი ტანი ჭრილობებით ჰქონდა დაფარული და მკერდში ისარი ჩარჭობოდა. როცა ეცემოდა, ენით გამოუთქმელი სიყვარულით გადასძახა მეგობარს:

- სპარტაკ! ელიზიუმში... ვნახავთ...

ოთხივ კუთხით მტრებით გარშემორტყმული, ჭრილობებით დაფარული, უჩაჩქანო სპარტაკი შვიდას თუ რვაას რომაელს ებრძოდა ერთად და ჯერ ისევ თავს იცავდა დახოცილთა გროვაში მდგომი. ელვასავით ბრწყინავდა მისი მახვილი და ერთიმეორეზე ეცემოდა ყველა, ვინც კი გაბედავდა გულდაგულ მისვლას. ბოლოს თორმეტ ნაბიჯზე დამიზნებულმა სათხედმა ფეხში

დაჭრა. დაეცა მარცხენა მუხლზე, მოწინააღმდეგის მხარეს მიაბრუნა თავისი ფარი და განაგრძობდა მტრის მოგერიებას არაადამიანური ძალით, როგორც კენტავრებით გარშემორტყმული ჰერკულესი, როგორც მბრდღვინავი ლომი.

ათი ნაბიჯიდან შვიდი თუ რვა სხვადასხვა მხრიდან ნასროლი სათხედით განგმირული სპარტაკი უკან გადაიქცა და წარმოთქვა მხოლოდ ერთი სიტყვა: „ვალერია“ და სული განუტევა. მისი ბრძოლის მოწმე განცვიფრებული რომაელები უხმოდ შემოერტყნენ გარს. უკანასკნელ წუთამდე იბრძოდა ვაჟკაცურად და გმირულად დაეცა.

ასე დაამთავრა თავისი დღენი ამ იშვიათმა ადამიანმა, რომელშიც შერწყმული იყო მაღალი სული, ნათელი ჭკუა, სიმამაცე, არაჩვეულებრივი ვაჟკაცობა და სიბრძნე სახელგანთქმული სარდლისთვის აუცილებელი ყველა თვისება, რომლის ნამოქმედარს ისტორია თაობიდან თაობებს გადასცემს. ორი საათის შემდეგ რომაელები თავიანთი ბანაკისკენ გაეშურნენ. მთვარის მკრთალი შუქით განათებულ ბრძოლის ველზე გამეფებულ სიჩუმეს დახოცილების გვერდით დაყრილი მომაკვდავების და დაჭრილების კვნესა-გოდება არღვევდა.

ვიღაც ჩრდილივით დაბორიალობდა ველზე და გზას ძლივს იკვლევდა დახოცილთა შორის. ნელ-ნელა, ფრთხილად მიიწევდა იმ ადგილისკენ, სადაც უფრო მძვინვარე და ხანგრძლივი იყო ბრძოლა. მთვარის შუქზე გამოჩნდა მეომარი, გაბრწყინებული აბჯრითა და მუზარადით.

ალბათ გლადიატორი ან რომაელი იყო დიდსულოვანი განზრახვით მოსული, ენახა ამ შუაღამისას ეს გლოვის ზეწარგადაფარებული მინდორი.

ბოლოს მხედარი მივიდა იმ ადგილამდე, სადაც დახოცილთა გროვა იდგა და სადაც სპარტაკი დაეცა. შეჩერდა. არცთუ მაღალი, მაგრამ მოყვანილი ტანისა იყო. თავი დახარა და ჩააკვირდა უსულო სხეულებს, სანამ ბოლოს გლადიატორთა წინამძღოლის გვამს არ მიაგნო და მის წინაშე მუხლებზე დაეშვა. დიდი გაჭირვებით წამოუწია ქერა, ხუჭუჭთმიანი თავი და სასთუმალივით მიაყრდნო მის მიერვე განგმირული რომაელი ცენტურიონის გვამს.

მთვარის შუქი დანათოდა გლადიატორის გაყვითლებულ, მაგრამ ცოცხალივით მშვენიერ სახეს. ლოყებზე ცხარე ცრემლებჩამომდინარე ყმაწვილმა ხმამაღალი ქვითინით დააკონა ბაგე მის უსიცოცხლო სახეს და არაჩვეულებრივი ნაზი კოცნით დაუფარა.

ეს ყმაწვილი, როგორც ალბათ მიხვდა მკითხველი, მირცა იყო. როდესაც გლადიატორები ერთიანად ამოჟლიტეს, ხოლო გადარჩენილებს სიკვდილი უმიზნოდ მიაჩნდათ და გაქცევით უშველეს თავს, ყმაწვილმა ქალმა დაიძვრინა თავი მცველებისგან და ბრძოლის ველს მიაშურა.

მას არც სპარტაკი, არც არტორიქსი ცოცხალი აღარ ეგულებოდა, მაგრამ უნდოდა, გამოსთხოვებოდა ძვირფას ადამიანებს.

- ო, სპარტაკ! ჩემო საყვარელო ძმაო! - იმეორებდა მირცა ცრემლების ფრქვევით და უკოცნიდა პირისახეს, - ბედმა მარგუნა შენი ხილვა. რა უბედური ვარ! რა უყვეს შენს მშვენიერ სხეულს! რამდენი იარა... რამდენი სისხლი...

ყმაწვილი ქალი გაჩუმდა. საიდანღაც კვნესა შემოესმა, უფრო გარკვევით, ვიდრე სხვათა, ამ სამარისებურ სიჩუმეში რომ აღწევდა მის ყურამდე.

- ნუთუ ვეღარასოდეს ვიხილავ შენს კეთილ თვალებს, ვერ ვეღირსები შენს მშვენიერ ღიმილს, სიკეთითა და სინაზით რომ ავსებდა შენს კეთილშობილურ სულს? ვეღარ გავიგონებ შენს ალერსიან ხმას, ოჰ, ძმაო, ძმაო, ვეღარასოდეს გნახავ, ოჰ, სპარტაკ, საყვარელო ძმაო! სულისწამღებმა ქვითინმა კვლავ გაუწყვიტა სიტყვა და ჩაეკონა ძმის გაციებულ გვამს.

ხელახლა გაისმა კვნესა ღამის სიჩუმეში, უფრო მისუსტებული, მაგრამ

გახანგრძლივებული. მირცა ადგილიდან არ იძვროდა, კვლავ უკოცნიდა

ძმას უსიცოცხლო სახეს.

მესამედ შემოესმა კვნესა, ახლა რაღაც სიტყვებიც. ყმაწვილი ქალი წამოიწია, მიაყურა.

ვიღაც მისუსტებული ხმით მის სახელს იძახდა. მირცა შეშინებული წამოვარდა ფეხზე, მთელ სხეულში ჟრუანტელმა დაუარა, ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზე, საშინელებისგან თვალები გაუფართოვდა.

- ღვთის გულისათვის! ვინ ხარ? ვინ მეძახის? - ძლივს წაიბუტბუტა მან. არანაირი

  პასუხი. მირცა ერთ ადგილას იდგა გაქვავებულივით და ვერ იძვროდა.

- მირცა, ჩემო საღმერთებელო მირცა! - ახლა კი სრულებით გარკვევით მოესმა მომაკვდავის ხმა.

- ღმერთებო! არტორიქს! ნუთუ შენ ხარ? - შეჰყვირა ქალმა, როდესაც იცნო მისი ხმა და გაექანა იმ ადგილისაკენ, საიდანაც კვნესა ისმოდა და დაინახა თავის სისხლში მცურავი არტორიქსი.

სახე ფერმკრთალი, გაყინული ჰქონდა. დროდადრო ასწევდა სიკვდილის აჩრდილით დამძიმებულ ქუთუთოებს.

მირცა დაეცა მის წინ მუხლებზე, დაეკონა სახეზე, დაუწყო მხურვალედ კოცნა და თან იმეორებდა აჩქარებით:

- შენ ცოცხალი ხარ... ცოცხალი ხარ, ჩემო საყვარელო... საღმერთებელო არტორიქს! ოჰ, მე დაგიხსნი... ჩემი სუნთქვით გაგათბობ... მე შეგიხვევ ჭრილობებს... მე გაგიყვან უშიშარ ადგილას.

ქალის მხურვალე ტუჩების შეხებისაგან მომაკვდავი გონს მოეგო, ოდნავ გაახილა ჩამქრალი თვალები და მისუსტებული ხმით წარმოთქვა:

- უკვე... შევხვდით?.. ასე მალე? ელიზიუმში ვართ, ჩემო სათაყვანებელო, მაგრამ... რატომ ცივა ასე... ელიზიუმში?

- არა, - უთხრა ყმაწვილმა ქალმა უფრო მეტი ალერსიანი ხმით, - არა, ჩვენ ელიზიმუში არ ვართ... ეს მე ვარ... შენი მირცა... შენ ცოცხალი ხარ... უნდა იცოცხლო... მე მინდა ცოცხლობდე... ჩემთვის საჭიროა შენი სიცოცხლე... ხომ არ მოკვდები, ჩემო სიყვარულო?

გალმა თვალები დახუჭა, რომ ეს მშვენიერი მოჩვენება არ გამქრალიყო, მაგრამ ყმაწვილი ქალის

მხურვალე კოცნამ გამოაფხიზლა, ერთ წუთს სიცოცხლის ცეცხლით ანთებული თვალები გაახილა. მისუსტებული ხელები მოხვია მირცას კისერზე და წასჩურჩულა:

- მაშ ეს სიზმარი არ არის? მე ცოცხალი ვარ... და ბედმა მაღირსა... სიკვდილის წინ... ენით გამოუთქმელი... შენი კოცნის ნეტარება?

- ჰო, ჰო, ჩემო არტორიქს... შენ იცოცხლებ, ჩემო სათაყვანებელო არტორიქს, მე შენი ვარ... შენი... მთლად შენი...

- ოჰ, მე ვკვდები... ბედნიერი! ღმერთებმა ისმინეს ჩემი ვედრება... ხმა ჩაუწყდა.

  აღელვებამ, სიხარულმა სრულებით გამოაცალა უკანასკნელი ღონე.

- მირცა! - დაიკვნესა მომაკვდავმა და აკოცა ყმაწვილ ქალს, - ვკვდები...

მირცამ იგრძნო, როგორ უთრთოდა ტუჩები, როგორ მძიმედ სუნთქავდა და მიხვდა, რომ მისი საყვარელი ადამიანის სიცოცხლე ქრებოდა და წასჩურჩულა:

- ნუ მოკვდები... დამიცადე... ერთად მოვკვდეთ და ერთად წავიდეთ ელიზიუმში!

ამ სიტყვებით საჩქაროდ ამოაძრო ქარქაშიდან არტორიქსს მახვილი და მარჯვედ ჩაიცა გულში, ისე რომ ერთიც არ დაუკვნესია.

სისხლი ნაკადულივით წამოსკდა ჭრილობიდან. მაგრად მოხვია ხელი თავის სატრფოს და წასჩურჩულა:

- შენთან ერთად... ერთად შევიდეთ ნეტართა სავანეში.

- ეგ რა ჰქენი? - ძლივს წაიბუტბუტა მომაკვდავმა.

- შენთან ერთად ვკვდები... ჩემო საღმერთებელო... - დიდი გაჭირვებით წარმოთქვა ეს სიტყვები, უფრო მაგრად მიეკრა ყმაწვილის მკერდს და თავისი ტუჩები მის ტუჩებს შეაწება. ორივეს სიცოცხლე ერთად ჩაჰქრა რამდენიმე ხნის სულთაბრძოლის შემდეგ. სწორედ ამ წუთს მეტისმეტი სიფრთხილით მოიკვლევდა გზას ორი გლადიატორი დახოცილებში და მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც სპარტაკი იწვა. გვამი შეახვიეს განიერ შალის თალხ პენულაში. ერთმა ფეხებში წაავლო ხელი, მეორემ - თავში და დიდი გაჭირვებით გაიტანეს ბრძოლის ველიდან. ორი მილი რომ გაიარეს, გავიდნენ გზაზე, სადაც ხარებშებმული

ურემი ელოდათ მოხუც გლეხთან ერთად. დაასვენეს თრაკიელის ცხედარი ურემზე და დააყარეს ხორბლით სავსე ტომრები, რათა მისი სხეული დაეფარათ. ურემი დაიძრა. გლადიატორები უკან გაჰყვნენ.

ესენი იყვნენ ტყუპები: აცილიუსი და აკვილიუსი, ვალერიას ტუსკულუმის სასახლის სახლთუხუცესის, ლებედიუსის ვაჟები. უეჭველია, სპარტაკის გვამი მიჰქონდათ სათაყვანებელი ქალის სასახლეში, რათა დაეცვათ იმ შეურაცხყოფისგან, რაც მეორე დღეს მოელოდა ამაყი გამარჯვებულებისგან.

ეპილოგი

ბრადანუსთან ბრძოლის თხუთმეტი დღის შემდეგ გლადიატორებთან ომი დამთავრებული იყო. საერთო ხოცვა-ჟლეტას გადარჩენილი, მთებში გაფანტული რამდენიმე ათასი კაცი თითქმის ყველანი გაწყვიტეს კრასუსისა და პომპეუსის ლეგიონებმა, რომლებმაც ომს კიდევ მოუსწრეს. ტყვედ ჩაიგდეს შვიდი ათასი კაცი და ყველანი კაპუადან რომამდე მიმავალ აპიუსის გზაზე ჩამოჰკიდეს.

ბრადანუსის ომში დახოცილების სინჯვის დროს ტყუილად ეძებდნენ სპარტაკის გვამს. ის ვერ იპოვნეს დახოცილ გლადიატორებში, რამაც ათასნაირი გასაოცარი ხმები და მოსაზრებები გამოიწვია.

ასე დამთავრდა ეს ომი, რომელიც თითქმის ოთხ წელს გრელდებოდა; ომი, რომელშიც გლადიატორებმა სიმამაცით დაამტკიცეს, რომ ისინი ღირსი იყვნენ თავისუფლებისა. სპარტაკმა ამ ომში უჩვენა, რომ ის იყო ყველაზე თავგანწირული და სახელგანთქმული სარდალი მათ შორის, ვისი სახელიც კი ახსოვს კაცობრიობას.

საქმე, რისთვისაც იბრძოდნენ გლადიატორები, იყო წმიდათა წმიდა და სამართლიანი.

ამისთვის დაირღვარა სისხლი მაშინ, შემდგომ და ჩვენს დროშიც, მაგრამ ამ ბრძოლას ყოველთვის ხანმოკლე და უმნიშვნელო წარმატებები ახლდა, არასოდეს არ დაგვირგვინებულა სრული გამარჯვებით.

ახლა ვამთავრებთ ჩვენს მოთხრობას და მკითხველს მივიყვანთ იმ ადგილას, სადაც შეხვდებიან ჩვენი მოთხრობის ორ გმირს. ვიმედოვნებ, ისინი უკვე შეიყვარეს და ინტერესმოკლებული არ იქნება, მათი ცხოვრების ზოგიერთ თავგადასავალს გავეცნოთ.

გავიდა სამი კვირა ბრადანუსთან დამარცხების შემდეგ. იმ დროს, როდესაც ერთმანეთის სიძულვილითა და შურით აღვსილი კრასუსი და პომპეუსი, თავიანთი ჯარებით რომს უახლოვდებოდნენ და თითოეული მათგანი თავის დამსახურებას მიაწერდა ამ ცეცხლის ჩაქრობას და კონსულობას ითხოვდა, თალხ, სამგლოვიარო სტოლაში გახვეული მშვენიერი ვალერია ტუსკულუმის სასახლეში, თავის კონკლავში იჯდა დაბალ სკამზე.

მესალას ქალს სახე ახლახან გადატანილი ღრმა მწუხარების ბეჭედი ესვა. ქუთუთოები ცრემლებისგან დაწითლებოდა და დაბერვოდა. მშვენიერ მხრებზე ჩამოშლოდა რბილი, ყორნის ფრთასავით შავი, ხშირი თმა. მთელ მის სახეზე გამოკრთოდა ენით გამოუთქმელი მწუხარება, ღრმა, სულისწამღები სასოწარკვეთა.

მარცხენა ხელი თავზე შემოედო, მარჯვენა ხელის იდაყვით მაგიდას ჩამოყრდნობილს ხელში პაპირუსი ეჭირა, შავი თვალები ლარნაკისკენ მიეპყრო. ამ მშვენიერი მანდილოსნის ღრმა, ჩუმ მწუხარებას ნიობეას[152] მწუხარებას თუ შევადარებთ. მისი სახე თითქოს ამბობდა: „შემომხედეთ, შეედრება კიდევ რამე ჩემს მწუხარებას!“

სკამზე, ლარნაკის გვერდით, იდგა მშვენიერი, ქერათმიანი პოსტუმია. მის ბუნებრივ სილამაზეს ერთვოდა ბავშვური მომხიბლაობა და სინარნარე. ნაზი ხელებით

უალერსებდა ლარნაკზე გამოკვეთილ ფიგურებსა და ფოთლებს. ხანდახან დიდრონ, შავ, ჭკვიანურ თვალებს მიანათებდა დამწუხრებულ დედას, თითქოს საყვედურობდა მისთვის გაუგებარ სიჩუმეზე.

საბრალო ქალი შეკრთა, დააცქერდა პაპირუსს, რომელიც ხელში ეჭირა და ხელმეორედ დაიწყო კითხვა:

საღმერთებელ ვალერია მესალას სპარტაკის სალამი!

შენმა სიყვარულმა მაიძულა, ოჰ, უსაყვარლესო ვალერია, კრასუსს შევხვედროდი. აღვუთქვი, რომ იარაღს დავყრიდი. შენი და ჩვენი ძვირფასი პოსტუმიას სიყვარულისთვის მზად ვიყავი ყველაფერი მომემოქმედა, მაგრამ სიცილიის პრეტორმა ღალატი შემომთავაზა სიცოცხლისა და თავისუფლების გამოსასყიდად.

ჩემი მოძმეების გაყიდვასა და ჩემი სახელის საუკუნოდ ჩირქის მოცხებას ისევ ის ვარჩიე, უმადური ვყოფილიყავი შენ მიმართ და შეუბრალებელი - ჩემი გოგონას წინაშე.

როდესაც შენ ამ წერილს მიიღებ, მე ალბათ აღარ ვიქნები ცოცხალი. ხვალ მოგველის საშინელი, უკანასკნელი ბრძოლა, რომელშიც სახელოვნად დავასრულებ ჩემს სიცოცხლეს.

ასეთია ნება უკუღმართი ბედისწერისა.

სიკვდილის წინ, ო, სათაყვანებელო ვალერია, მინდა პატიება გთხოვო იმ მწუხარებისთვის, რომელიც მოგაყენე. მომიტევე და იყავი ბედნიერი. სიკვდილის წინ ვლოცავ შენს მამაცობით აღსავსე გულს, შენს კეთილშობილურ, მოყვარულ სულს.
გამხნევდი და იცოცხლე, იცოცხლე ჩემი გულისათვის, ჩვენი უმანკო შვილის გულისათვის. აი, ჩემი ანდერძი, აი, მომაკვდავის უკანასკნელი ვედრება.

ცრემლები მახრჩობენ, სუნთქვა მეკვრის და ერთადერთი, რაც მამშვიდებს, ის არის, რომ შევხვდები შენს უკვდავ სულს, მოგეხვევი, გულში ჩაგიკრავ უკეთეს სამყაროში. გიძღვნი ჩემს უკანასკნელ ამბორს, ჩემს უკანასკნელ ფიქრს, ჩემი გულის უკანასკნელ ძგერას.

შენი სპარტაკი.

როცა ამ წერილის კითხვა დაამთავრა, ვალერიამ მიიტანა ტუჩებთან და ხმამაღლა აქვითინდა.

- ოჰ, დედა! ეგრე რატომ ტირი? - ჰკითხა ცრემლებმორეულმა გოგონამ.

- საბრალო, საბრალო ჩემო შვილო! - აქვითინდა ვალერია, ალერსით გადაუსვა ხელი პოსტუმიას ქერა, ხუჭუჭ თმას და ენით გამოუთქვემლი სიყვარულით დაუმატა: - ეს არაფერია, არაფერი, გაივლის. ნუ ინაღვლებ, ჩემო გოგონა!

- შენ ამბობ, არაფერიაო და ტირი! - უთხრა პოსტუმიამ საყვედურით, - როცა მე უმიზეზოდ ვტირი, შენ ხომ მეუბნები, ცუდი ხარო. ახლა შენ ხარ, დედა, ცუდი!

- ოჰ, ჩემო ძვირფასო გოგონა! ნუ მეუბნები, ნუ! - უთხრა უბედურმა ქალმა და უფრო მხურვალედ დაუწყო კოცნა ბავშვს. - ო, რომ იცოდე, როგორ ვიტანჯები!

- მეც ვიტანჯები, დედა, როცა შენ ტირი!

- ოჰ, ჩემო კარგო, რა ძვირფასი ხარ და რა ულმობელი, ამიერიდან ჩემო ერთადერთო და უწმინდესო სიყვარულო!

ამ სიტყვებით უბედურმა ქალმა ისევ აკოცა წერილს და გულში ჩაიდო, მუხლებზე დაისვა პოსტუმია და ცდილობდა ცრემლები შეეკავებინა.

- ჰო, ჰო, შვილო, შენ მართალი ხარ, - თქვა ვალერიამ და თან კოცნიდა და უალერსებდა გოგონას. - ცუდი ვიყავი... მაგრამ ახლა აღარ ვიქნები... შენ მეყვარები, მარტო შენ, ჩემო სიყვარულო... შენც გეყვარება შენი საწყალი დედა?

- ჰო, ჰო, ძალიან, აი, ასე! - თავი ასწია, მოხვია დედას ხელები კისერზე და დაუწყო გატაცებით კოცნა, მაგრამ მაშინვე, როგორც ბავშვის ჩვეულებაა, გადმოხტა კალთიდან და ხელახლა დაიწყო თამაში ლარნაკის გვერდით. კონკლავში ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. პოსტუმიამ მოულონდელად ჰკითხა.:

- დედა, მითხარი, რა არის ამაში? ვალერიას თვალები აემღვრა.

- საბრალო შვილო! - ძლივს წარმოთქვა ვალერიამ, რადგან ცრემლები ახრჩობდა, - მაგ ლარნაკში, ჩემო საბრალო გოგონა, მამაშენის ფერფლია! - და ისევ აქვითინდა.